

12



IX

К 134.063
3

ვალერ ანდრეანოვი

ფერი ალვადან ფანტელამდე

ჯიე პორგეტი

ტყეური ვეფხვი

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი . 1968

639.111.7 (54) + 599.74
ბ 633

კენეტ ანდერსონი — შავი ავაზა შივანიპალიდან

ცნობილი მონადირე კენეტ ანდერსონი საინტერესოდ მოგვითხრობს პროფესიული მონადირის თავგადასავალზე, ის ცოცხლად აგვიწერს სამხრეთ ინდოეთის ჯუნგლების ცხოვრებას და ადამიანებზე კაციჭამია ავაზებისა და ვეფხვების თავდასხმის შემზარავ სურათებს.

ჯიმ კორბეტი — ტაძრის ვეფხვი

ჯიმ კორბეტს. როგორც მონადირესა და ნატურალისტს. ქართველი მკითხველი იცნობს წიგნებით „კუმაონის კაციჭამიები“ და „რუდრაპრაიაგის ავაზა“.

„ტაძრის ვეფხვით“ იგი წარმოგვიდგება როგორც ჰუმანური, კეთილშობილი კაცი, რომელმაც არაერთხელ გასწირა სიცოცხლე მტაცებლებისაგან ინდიელთა, შორეულ ჯუნგლებში გადაკარგულ სოფლის მცხოვრებთა გადასარჩენად. მთელი სიცოცხლე ის მჭიდროდ იყო დაკავშირებული ინდოეთის უბრალო ხალხთან და უანგაროდ ემსახურებოდა მას.

სარედაქციო კოლეგია:

პროფ. ბ. ზარდალიშვილი, პროფ. ს. მაკალათია,
პროფ. არჩ. ჯანაშვილი

ბენეს �ოსი

ოქვი ოქვენ ოიკონომიელნი

თარგმანი ლევან ბურჯანაძისა

ამ წიგნს ვუძღვნი ყველას, ვისაც უყვარს დედამიწის ისეთი ადგილები, სადაც ადამიანებს ჯერ კიდევ ფეხი არ დაუდგამთ: ტროპიკული ჯუნგლები, მთათა მწვერვალები, მთაგრეხილები, ყველას, ვისაც უყვარს მშვიდობა, მყუდროება და განმარტოება, უბრალო ცხოვრება და ბუნება.

წინასიტყვაობა

ამ წიგნის პირველ ოთხ თავში მოთხრობილია ავაზების შესახებ.

ალბათ გაგიკვირდებათ, თუ რატომ გამოვიჩინე ამ ცხოველებისადმი ასეთი დიდი ყურადღება. ჯერ ერთი, ავაზები კვლავ მრავლადაა გავრცელებული ინდოეთში. მეორე — მათ შედარებით ადვილად შეხვდებით, რადგან ამჟამადაც ბინადრობენ ზოგიერთი დიდი ქალაქის მახლობლად. მესამე — ავაზებზე ნადირობა არ მოითხოვს დიდ ხარჯებს და საშუალო შეძლების მქონე კაცისათვის სავსებით ხელმისაწვდომია. ავაზა ეტანება ისეთ მისატყუარს, როგორიცაა ძაღლი, თხა ან ვირი, მაშინ როცა ვეფხვის მისატყუარად საჭიროა ხარი, რომელიც გაცილებით ძვირი ღირს.

ამასთან ავაზას დევნა, როცა მონადირე უშიშარ მაჰანში * კი არ იმყოფება, არამედ მიწაზეა, ვეფხვზე ნადირობაზე ნაკლებ როდი გიტაცებთ.

ცალკე თავი მივუძღვენი ვეფხვებსა და სხვა ცხოველებს, განსაკუთრებით, გველებს. ვეფხვების, სპილოების, ლომებისა და სხვა მსხვილი ცხოველების შესახებ ხომ ვრცელი ლიტერატურა არსებობს, მაშინ როცა გველებზე სულ მცირე რამ არის დაწერილი და ხალხის უმრავლესობამ მათზე ძალიან ცოტა რამ იცის, გარდა იმისა, რომ მათ უნდა განერიდონ. ვიმედოვნებ, რომ შევძელი და გიამბეთ რაღაც ახალი ამ საინტერესო არსებებზე და დაგარწმუნეთ, რომ ვეფხვები, ავაზები და დათვები როდი არიან ინდოეთის ჯუნგლების ყველაზე მრისხანე ბინადარნი. ბუჩქნარსა თუ ბალახში გალურსული შხამიანი გველი უფრო ძნელი შესამჩნევი და საშიშია.

გიამბეთ აგრეთვე ერთ მამაც ბიზონსა და იმ თავგადასავალზე, რომელიც გადამხდა ვეფხვზე ნადირობის დროს. ყოველივე ეს ხელს შეგიწყობთ წარმოდგენა იქონიოთ იმ სიძნელეებზე, დაბრკოლებებსა და იმედების გაცრუებაზე, რომლებიც დაკავშირებულია კაციჭამია ვეფხვის დევნასთან. ერთ შემთხვევაში სრული მარცხი განვიცადე, მეორეში წარმატებას მივაღწიე, მაგრამ სრულიად შემთხვევით. წიგნს ვამთავრებ პატარა მოთხრობით უცნაური ჩვევების მქონე ვეფხვის შესახებ. ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ის ცოცხალია და ჩემთვის კვლავ გამოცანად რჩება.

---

* ხეზე გამართული ალაფ-ხანის მსგავსი ნაგებობა, საიდანაც ზაფხულში ნადირობენ დათვებზე.

საკმარისია ხელში ავიღო კალამი, რომ აწმყოს ხმები და სახეები მსწრაფლ წარიხოცონ და მათ ნაცვლად მოზღვავდნენ მოგონებანი: ტყეში ღამის წყვდიადის შესახებ, როცა თავზე ვარსკვლავებით მოჭედილი ცა დაგცქერის, ფეხქვეშ კი ძვირფასი ქვებით მოოქვილი ჯუნგლების ნოხია გაფენილი; დაბურულ ფოთლებზე უამრავი ციცინათელების შესახებ, ჯადოსნური ცეცხლით რომ გიზგიზებენ; და სხვა, უფრო კაშკაშა სინათლეზე, ვეფხვის, ავაზას, ბიზონის თვალებიდან რომ გამოკრთის, ან მოხდენილად მიმავალი, ფეხმარდი ირმია მწვანე თვალებზე, რომლებშიც ერთმანეთთან მოჩურჩულე ხეების ქვეშ გავლის დროს ჩემი ფარნის შუქი ირეკლებოდა.

იმოგზაურეთ ჩემთან ერთად რამდენიმე საათს, — რომელიც თქვენ ამ წიგნის წასაკითხად დაგჭირდებათ, — ვეფხვის, ავაზასა და სპილოს საბრძანებელში, ვეებერთელა ხეების მოქანავე კენწეროთა დაბურულ ჩრდილში, ხეებისა, რომლის შტამბები უცნაურ ნაგებობას ქმნიან. დაივიწყეთ ეგრეთწოდებული ცივილიზაციისათვის დამახასიათებელი ყალბი ფასეულობანი და ცრუ ცნებები, რომლებიც ზღუდავენ თავისუფლებას და ამახინჯებენ უბრალო ცხოვრების სიმართლეს. ჯუნგლებში თქვენ ჰპოვებთ მყუდროებას, ნეტარებასა და ბედნიერებას, იხილავთ ნამდვილ ცხოვრებას. აქ არც დროა და არც ადგილი თვალთმაქცობის, ფარისევლობის, სიყალბისა და სიცრუისათვის. ჯუნგლებში თქვენ იხილავთ ყველაზე მშვენიერს, რაც კი არსებობს დედამიწაზე — პირველქმნილ ბუნებას .

თუ შევძლებ ცოტა ხნით მაინც თქვენს განრიდებას საყოველდღეო ყოფისაგან, ტროპიკული ტყის საკვირველებასა და მღელვარებაში მოქცევას და თქვენ მოგეჩვენებათ, რომ მიჰყვებით ხშირ შამბნარში დაჭრილ კაციჭამიას სისხლიან ნაკვალევს, როცა თქვენი სიცოცხლე დამოკიდებულია თქვენსავე გონიერებასა და მოხერხებულობაზე, მაშინ მე სავსებით კმაყოფილი ვიქნები.

თავი პირველი

ავაზას ჩვევები

ავაზები მრავალგვარია: ერთნი უაღრესად გამბედავნი არიან, მეორენი — მხდალები; ერთნი იმდენად ცბიერნი არიან, რომ მათი ქცევა მიუწვდომელი გეჩვენებათ, მეორენი კი, ჩვენი შეხედულებით, მოქმედებენ სულელურად. მე შემხვედრია ავაზები, რომელთაც, მგონი, მეექვსე გრძნობა გააჩნდათ და იქცეოდნენ ისე, თითქოს ძალუძდათ ადამიანის აზრის ამოცნობა და მისი განზრახვის წინასწარ განჭვრეტა, დაბოლოს ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ისეთი ავაზები, რომლებიც თავს ესხმიან ადამიანს, და კიდევ უფრო იშვიათად — კაციჭამია ავაზები.

ჩვეულებრივ მტაცებელი კაციჭამია ხდება განსაკუთრებული მდგომარეობის გამო. მაგალითად, დაჭრის შემდეგ მას აღარ შეუძლია ადვილად ცხოველის დევნა, რომელიც მის ბუნებრივ საზრდოს წარმოადგენს და იძულებულია იკვებოს ადამიანის ხორცით. ანდა ის ჭამს ტურებისა და დათვების მიერ ამოთხრილ გვამს, და ადამიანის ხორცი ეგემრიელება.

დაბოლოს ისიც ხდება, რომ ავაზას ადამიანის ხორცის ჭამას კაციჭამია დედა აჩვევს ხოლმე.

როგორც წესი, ავაზა თავს არ ესხმის ადამიანს პირველად. მას ეშინია ადამიანისა და მის ხმას გაიგონებს ან დაინახავს თუ არა მას, უხმოდ უჩინარდება ტევრში. ზოგიერთი ავაზა, როცა დაჭრილია, არაჩვეულებრივად მძვინვარე და გამბედავია. ზოგი კი, პირიქით, საოცრად მხდალია: შეიძლება მათი, როგორც კურდღლების დევნა.

თუ თქვენ მოახერხებთ ბორცვის სიმაღლიდან თვალის დევნებას, თუ როგორ უთვალთვალებს ავაზა თავის მსხვერპლს, არაჩვეულებრივ საინტერესო სანახაობას იხილავთ. ავაზა დასამალავად იყენებს თითოეულ ბუჩქს, ხის შტამბს, ლოდს, იგი ისე განერთხმება ხოლმე მიწაზე, ვერც კი შეამჩნევთ. ისეთი ფერის ბეწვი აქვს, რომ, თუ მახვილი თვალის პატრონი არა ხართ, ვერ აღმოაჩენთ. მე ერთხელ ვუთვალთვალებდი დურბინდით ერთ ავაზას და გაოცებული დავრჩი, თუ რა შესანიშნავად ეპარებოდა ის მსხვერპლს ტყეში.

გადამწყვეტი მომენტი რომ დგება, ავაზა ორი ელვისებური ნახტომით დაეწევა ხოლმე ნადავლს. ზუსტად გამიზნული ნახტომით ზურგიდან ესხმის მსხვერპლს, ასობს ბასრ ეშვებს ყელში, და რომ წააქცევს, მანამ ჰყავს მიკრული მიწაზე, სანამ ცხოველი სულს არ დალევს. მაგრამ მტაცებელი ამის შემდეგაც არ უშვებს მსხვერპლს ყელზე კბილებს და სწოვს ღრმა ჭრილობებიდან ჯერ კიდევ თბილ სისხლს.

წარმოიდგინეთ მდუმარე ჯუნგლები, და ავაზა, რომელიც ფეხაკრეფით ეპარება მიზანში ამოღებულ მსხვერპლს ან მისთვის საგანგებოდ მიბმულ ცოცხალ მისატყუარს. თუ თქვენ განიზრახავთ ავაზაზე ნადირობას, ეცადეთ, შეამოწმოთ თითოეული ბუჩქი, დაათვალიეროთ შამბნარი, იყავით ფრთხილად, კლდეების ან რიყის ახლო გავლისას ჩაიხედეთ ორმოებსა და ხრამებში — თითოეული დაბრკოლების მიღმა, ყოველ ჯურღმულში შეიძლება იმალებოდეს ავაზა. თქვენს სიფრთხილეზეა დამოკიდებული არა მარტო ნადირობის წარმატება, არამედ თქვენი სიცოცხლეც, რადგან ჩაბმული ხართ ორთაბრძოლაში ჯუნგლების ყველაზე უფრო მოხერხებულ და საშიშ ბინადართან.

ერთ-ერთი ყველაზე ძნელი და საინტერესო გასართობი ისაა, რომ მიაკვლიოთ ავაზას მისივე მეთოდებით. ასეთ ნადირობას ეწოდება „ფარული“. აქ წარმატებისათვის აუცილებელია შეგეძლოთ ფეხაკრეფით სიარული, „შეიგრძნოთ ჯუნგლები“ და შეგწევდეთ უნარი ისე იმოქმედოთ, როგორც ავაზა. თქვენ ხომ ცდილობთ ცბიერებით აჯობოთ მეტად ეშმაკ მხეცს და ჩინებულ მონადირეს.

პირველ ყოვლისა, აუცილებელია, დაადგინოთ, როდის გამოდის ავაზა ნადავლის საძებნელად. როგორც წესი, იგი დაძრწის ტყეში ღამით. რომ დაინახოთ რამე, დაგჭირდებათ ელექტრონის ფარანი. მაგრამ მაშინ, ცხადია, ეს „ფარული“ ნადირობა აღარ იქნება.

ზოგჯერ ავაზა გამოდის საღამოს მოგვიანებით, დაბნელებამდე. დღისით მისი ძებნა ამაოა: მას არ უყვარს პაპანაქება სიცხე და ამ დროს ისვენებს.

შემდეგ საჭიროა გაირკვეს, სად აჯობებს ავაზას კვალის მიგნება? ამისათვის აუცილებელია შეიტყოთ — ჩვეულებრივ რაზე ნადირობს იგი. თუმცა ბევრ რამეში არც ეს დაგეხმარებათ: იგი ხომ ნთქავს ყოველ ცოცხალ არსებას — ტყის ფრინველებს, ბაჭიებს, მაიმუნებს, გარეულ ღორებსა და ირმებს, მსხვილი მამალი ირმების გამოკლებით. სოფლის მახლობლად მონადირე ავაზას ძირითად საკვებად ითვლება ღორები, ძაღლები, თხები, ცხვრები, რქოსანი საქონელი. სახლიდან ძალიან შორს მოხეტიალე სოფლის უგნური ხვადი კატებიც კი ავსებენ მის სუფრას.

ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ თქვენ იმყოფებით ჯუნგლებში, სადაც ავაზა უთვალთვალებს საკბილოს. არ დაივიწყოთ, რომ იგი იშვიათი მხედველობისა და მახვილი სმენის პატრონია, მაგრამ თითქმის მოკლებულია ყნოსვის უნარს. აბა რას გააკეთებდით მის ადგილას? ალბათ ორში ერთს: ან შერჩეული ცხოველის ირგვლივ დაიწყებდით უხმოდ ხეტიალა, ანდა იმ წყაროსა და ბიცობი ნიადაგის მახლობლად დაიმალებოდით, სადაც ის ჩვეულებისამებრ მოდის ხოლმე. სწორედ ასე იქცევა ავაზაც.

მსხვერპლის უხმაუროდ მიკვლევის დროს ავაზა ერიდება ბუჩქნარსა და ხმელ ფოთლებს, რადგან ტკაცატკუცსა და

ფოთლების შრიალს შეუძლია გასცეს იგი. ამიტომ, თუ ის საფარში არაა ჩაწოლილი იმ ადგილის მახლობლად. სადაც ცხოველები წყლის დასალევად ან მარილის სალოკად მოდიან, იმალება საცალფეხო გზებზე, მხეცების ბილიკებზე, სასოფლო გზაზე, ამომშრალი ღელეებისა და ნაკადულის კალაპოტში. სწორედ იქ უნდა ვეძიოთ ავაზა.

თქვენს ყოველგვარ მოძრაობას შეუძლია მიიპყროს მისი ყურადღება. რაკი ეს ასეა, დღისით ერთხანს იხეტიალეთ ჯუნგლებში და სცადეთ აღმოაჩინოთ ავაზას ნაკვალევი, მაგრამ არა შემთხვევითი, არამედ მისი მუდმივი ბილიკი თათების ძველი და ახალი ანაბეჭდებით. სცადეთ აღმოაჩინოთ ორი ან რამდენიმე ასეთი ბილიკის გადაკვეთის ადგილი ნაკადულთან ან განაკაფ ტყეში.

იმავე საღამოს დაბრუნდით იქ, ამოეფარეთ ხეს ან ბუჩქს და გაუნძრევლად ფხიზლად ადევნეთ თვალი ბილიკებს, ტყეში განაკაფ გზებს ან ნაკადულის ნაპირს. თუ ბედი გაგიღიმებთ, დაინახავთ ავაზას, რომელიც მიიპარება თავის ბილიკზე, შესაძლოა, დრო და დრო ხეებიც შეათვალიეროს, იმ იმედით, რომ აღმოაჩინოს მაიმუნი ან ტყის მსხვილი ფრინველი. რასაკვირველია, თქვენი საფარიდან შეგიძლიათ დაინახოთ აგრეთვე ვეფხვი, სპილო და ირემიც.

თუ თქვენ მოძებნეთ ჯუნგლებში სარწყულებელი ან ბიცობი ნიადაგი, ყველაზე გონივრული იქნება ჩაწვეთ რომელიმე საფარის მახლობლად. დიდად ნასიამოვნები დარჩებით ტყის იმ სხვადასხვა ბინადართა თვალყურის დევნებით, რომლებიც ასეთ ადგილებს მოინახულებენ ხოლმე. არ გაიკვირვოთ, თუ რამდენიმე ხნის შემდეგ აღმოაჩენთ, რომ ავაზას ან ვეფხვს თქვენი მსგავსი პოზიცია დაუკავებია, მაგრამ ისინი იმდენად ჩუმად გადაინაცვლებენ ხოლმე ერთი ადგილიდან მეორეზე, რომ თქვენთვის არც ისე იოლია ამის შემჩნევა.

მახსოვს, ერთხელ ხის შტამბს ამოფარებული ვიწექი და თვალს ვადევნებდი პატარა ხრამს, რომლის კუთხეში მარილი ყონავდა. წინასწარმა დაზვერვამ გვიჩვენა, რომ აქ უყვართ მოსვლა სამბარებსა* და ხალებიან ირმებს. ბინდდებოდა, რომ

* ირმის სახეობა.

ოდნავ შრიალმა ფრთხილად უკან მიმახედა. დავინახე ავაზა, რომელიც აშკარად გაკვირვებული მათვალიერებდა. რომ შეამჩნია, იგი აღმოაჩინეს, შებრუნდა და წასვლა დააპირა. მერე კვლავ შემომხედა, თითქოს უნდოდა ეთქვა: „ვერ მიბრძანდები, ნეტავ აქედანო?“ — და გაეცალა იქაურობას.

ძალიან საინტერესოა ლეკვებიანი ავაზას და ძუ ვეფხვის თვალთვალი. არ შეიძლება არ შეამჩნიოთ, თუ რა მზრუნველი დედებია ისინი. მტაცებლებს მანამ არ გამოჰყავთ ბუნაგიდან ბოკვრები, სანამ იმდენად არ მომაგრდებიან, რომ შეეძლებათ მოძრაობა და ნადირობაში მონაწილეობის მიღება. ჩვილები რძით იკვებებიან, შემდეგ კი დედა თანდათან აჩვევს მათ უმი ხორცის ჭამას. პირველ ხანებში ჯერ თვითონ ყლაპავს მას და ნაწილობრივ ინელებს, შემდეგ უკანვე აბრუნებს ხოლმე და იმით კვებავს პატარებს. როცა მათ უკვე შეუძლიათ უფრო მაგარი საჭმლის მონელება, დედას მოაქვს ბუნაგში ნანადირევი ფარშევანგი ან ტყის სხვა ფრინველი, ზოგჯერ, პატარა ცხოველი, შემდეგ კი ირმის ფეხი ანდა ირემი მთლიანად.

ავაზას ლეკვები მეტად ღორმუცელები არიან. მე მყავდა ავაზას და ვეფხვის რამდენიმე ლეკვი და დავადგინე, რომ პირველთ გაუმაძღრობის ნიადაგზე მიდრეკილება აქვთ გასტრიტით დაავადებისადმი. სისხლის ხვრეპისას ხარბად ყლაპავენ უმი ხორცის დიდ ნაჭრებს მანამ, სანამ განძრევა აღარ შეეძლებათ. მათი გასტრიტი გარდაუვალად მთავრდება სამოთხ დღეში საშინელი სულთმობრძავი სიკვდილით. ეტყობა, იგი ემუქრება ავაზებს რვა თვის ასაკამდე; თვითონ დავკარგე ამგვარად რამდენიმე ლეკვი.

ცხადია, თავისებური ინსტინქტით შეპყრობილი ავაზა ხორ–ცის განსაზღვრულ რაოდენობას აწვდის რძესთან ერთად ლეკვებს, მანამ, სანამ წამოზრდილი ბოკვრები არ დაუწყებენ მას კბენასა და კაწვრას კვების დროს.

თუ ბუნაგს საფრთხე ელის კაცის ან მამალი ავაზასაგან, რომელსაც უყვარს პირის ჩაგემრიელება თავისი შვილების ხორცით, დედა მალავს მათ უშიშარ ადგილას. გადაჰყავს ისინი ერთიმეორის მიყოლებით ქეჩოში მაგრად კბილებჩავლებული.

როგორც კი დაიწყებენ სიარულს, დედა უმალვე შეუდგება

შათთვის ნადირობის ხელოვნების სწავლებას, ცხოველების დევნა და მათი მოკვლა საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. პირველად თვითონ კლავს ცხოველს, ხოლო დამალული ლეკვები თვალყურს ადევნებენ მას. შემდეგ მოუხმობს მათ თავისთან ხორხისმიერი ხმით, რომელიც კნავილს მოგვაგონებს, ნებას აძლევს ლეშზე იხტუნონ, დაკბინონ და გასინჯონ ჯერ კიდევ თბილი სისხლი და ხორცი. სასაცილოა ის მძვინვარე ხმები, რომლებსაც გამოსცემენ ლეკვები; ისინი ხდებიან აღგზნებულნი, ღრენენ, ერთმანეთს თავს ესხმიან და დედასაც კი არ ინდობენ.

შემდეგი გაკვეთილი იმით იწყება, რომ ავაზა მხოლოდ ასახიჩრებს თავის მსხვერპლს, და პატარებს ნებას აძლევს ბოლო მოუღონ მას. ისინი გაშმაგებით მივარდებიან დაჭრილ ცხოველს და კბენენ კისერში, სანამ არ მოკვდება. ეს ძალიან სასტიკი სანახაობაა.

პატარა ვეფხვი უფრო ძნელი გასაწვრთნელია ნადირობაში. ავაზა ყელში ჩააფრინდება თავის მსხვერპლს, ჩამოეკიდება და გუდავს, ვეფხვი კი ასეთ შემთხვევაში ოსტატურად უმტვრევს კისერს. ჩვეულებრივ ძუ ვეფხვს თვითონ უხდება ოთხი ან ხუთი ძროხის მოკვლა, ასე რომ არა, პატარა ვეფხვები ცხოველს მხოლოდ დაკბენენ, დაჭრიან და ბოლოს და ბოლოს გაუშვებენ. შეახტება რა გვერდიდან ზურგზე ცხოველს, ძუ ვეფხვი გადაიზნიქება მეორე მხარეზე, ჩააფრინდება ყელში, ჩამოეკიდება ზედ, ბეჭებს ჩაიბღუჯავს მძლავრ წინა თათებში და ძლიერი ატაცით დასცემს მსხვერპლს მიწაზე. ვეფხვის სიმძიმის გამო მსხვერპლს კისრის ხერხემალი უტყდება.

როდესაც ძუ ვეფხვს ან ავაზას მიჰყავს თავისი შვილები სანადიროდ, ისინი ყველაფრით ბაძავენ დედას, იმეორებენ მის ყველა მოძრაობას. ამ დროს საშიშია მათ ახლოს ყოფნა: ძუ ვეფხვს თავისი ნაშიერის დასაცავად შეუძლია თავს დაგესხას ავაზა უფრო იშვიათად ესხმის თავს, თუმცა მტრულ განწყობილებას ავლენს იმით, რომ მრისხანედ იღრინება. მაგრამ მისი განზრახვის გამოცნობა შეუძლებელია, ამიტომ ყველაზე უფრო გონივრულია ასეთი ოჯახური პროცესიის შეხვედრისას თოფი მომარჯვებული იქონიოთ ხელში.

ძუ ვეფხვს ან ავაზას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში უნდა ესროლოთ. თუ დედა მოუკალით, პატარა მხეცები

აუცილებლად გაიქცევიან ჯუნგლებში, სადაც შიშილით დაიხოცებიან, ანდა თუ საკმაოდ მოზრდილებია, შეიძლება კაციჭამიებად იქცნენ, რადგან ვერ ასწრებენ სამონადირო ჩვევების ათვისებას. ადამიანის ჩასაფრება და მოკვლა ხომ უფრო ადვილია, ვიდრე რომელიმე მსხვილი ცხოველისა.

ძალიან საინტერესოა ავაზას ან ვეფხვისთვის თვალყურის დევნება ზამთრობით — ნოემბერში, დეკემბერსა და იანვარში, როდესაც ამ მტაცებელთა შეუღლების სეზონი დგება. თმა ყალყზე დაგიდგებათ ძუ ვეფხვის მომხმობი ღრიალის გაგონებაზე. მასში ალბათ შეიცნობთ მოუთმენლობის კილოს. ამ დროს ვეფხვები ძალიან საშიშნი არიან, განსაკუთრებით ლაქუცისა და დაწყვილების დროს. ვნებას ძალიან უხეშად ავლენენ: ხშირად გააფთრებულნი კბენენ და კაწრავენ ერთმანეთს.

თავაწყვეტილნი გაშმაგება-გაცოფებამდე არიან მისულნი და ვაი იმას, ვინც ხელს შეუშლის მათ განმარტოებას სქესობრივი აღგზნების დროს. ცნობილია, რომ ძუ ვეფხვი უფრო მეტადაა აღგზნებული და მაშასადამე, ძალზე საშიშიც, ვიდრე ხვადი. მისი მძვინვარე ძახილი მძუნაობისას ხშირად იწვევს ტყეში მუშაობისა და გზებზე მოძრაობის შეჩერებას.

ავაზაც თითქმის ისევე იქცევა, როგორც ვეფხვი, მაგრამ ჩვეულებრივ, არ ჰყოფნის გამბედაობა თავს დაესხას ადამიანს, თუმცა თავის გააფთრებას ძალზე აშკარად ამჟღავნებს.

თავისი ქცევით ავაზა ვეფხვზე მეტად მოგვაგონებს ხვად კატას: მისი ბრჭყალების ნაკვალევი ქვიშაზე ან ბილიკის ნაპირას ხმელ ფოთლებზე ცხადჰყოფს, რომ აქ ავაზას ბუნებრივი მოთხოვნილება დაუკმაყოფილებია და შემდეგ ჩაუფლავს მიწაში განავალი, რასაც ვეფხვი ძაღლის მსგავსად ღიად ტოვებს. როგორც ვეფხვის, ისე ავაზას განავალი, ძირითადად, შედგება უკანასკნელი მსხვერპლის მოუნელებელი ბალნისაგან.

წინათ დიდი დავა იყო მონადირეთა შორის. ერთნი ამტკიცებდნენ, რომ ავაზა და ჯიქი ცხოველთა ორი სხვადასხვა სახეობა არისო, მეორენი კი მათ ერთ სახეობას მიაკუთვნებდნენ. ამჟამად დადგენილია, რომ ისინი ეკუთვნიან ერთ ბიოლოგიურ სახეობას, მაგრამ გარემოს განსხვავებულობის გამო ზოგიერთი მათგანი დიდი იზრდება. ტყის ავაზები, რომლებიც სხვადასხვა ნანადირევით იკვებებიან, ჩვეულებრივ მსხვილებია

და აქვთ უფრო მუქი და ხშირი ბალანი, ვიდრე ძაღლებსა და თხებზე მონადირე სოფლის ახლო ბინადარ ავაზებს. მუქი შეფერილობა შველის ტყის ავაზას შეეხამოს ჯუნგლების ხშირ მცენარეულობას, მაშინ, როცა „სოფლის ავაზა“, როგორც მას ზოგჯერ უწოდებენ, თავისი ღია ფერის ქურქის გამო, ძნელი გასარჩევია კლდეებს შორის.

იგივე შეიძლება ითქვას ვეფხვზეც. ვეფხვები, რომელნიც შეჩვეული არიან შინაური ცხოველების ხორცით პირის ჩაგემრიელებას, ძალზე სუქდებიან, ხდებიან მოუქნელნი, მაშინ. როცა მათი მოძმენი გარეულ ცხოველებზე ნადირობისას ხარჯავენ გაცილებით მეტ ენერგიას და ამიტომ გამხდარი და კუნთმაგარნი არიან. ფიზიკური ვარჯიში სიმსუქნეს აკლებს არა მარტო ადამიანებს, არამედ ცხოველებსაც.

თუმცა არის იშვიათი გამონაკლისი ამ წესიდან, როცა ბუნება თვითონვე არღვევს მის მიერვე დადგენილ კანონებს. მე მომიკლავს ჯუნგლებიდან მოშორებით მდებარე სოფლების ახლოს ძალიან მსხვილი, მუქი, ხშირბეწვიანი ავაზები, ჯუნგლებში, კი პირიქით — მომცრო, ღია ფერის ბეწვიანი ავაზები.

ამ სახეობის მტაცებელთა წარმომადგენლები იშვიათად ხდებიან კაციჭამიები, და თუ ასეთებად გადაიქცევიან, ეს იმ მდგომარეობითაა გამოწვეული, რომელზეც ზემოთ მქონდა საუბარი.

ავაზებმა იციან ხეებზე ასვლა; მაიმუნების ან გარეული ძაღლების დევნის დროს თავის დასაღწევად ისინი ზოგჯერ ძალიან მაღლა ადიან. ვეფხვები ამ უნარს მოკლებულნი არიან. თუმცა მაისურის ზოოლოგიურ ბაღში მინახავს ვეფხვი, რომელიც ადიოდა მისთვის ხეზე მოწყობილ ბაქანზე. ეს ლაპარაკობს იმაზე, რომ ვეფხვებს ისევე, როგორც ადამიანებს, ღრმა ინდივიდუალობა ახასიათებთ.

ვეფხვები ძალიან ორიგინალურ მეთოდს იყენებენ მაიმუნებზე ნადირობისას. ჯუნგლებში ბინადარი მაიმუნები უაღრესად ფრთხილნი და ფხიზელნი არიან. თუ დაინახეს, ან იგრძნეს, რომ მტერი უახლოვდებათ, ისინი ხის კენწეროებზე ადიან. იცის რა ეს, მტაცებელი დგება ხის ძირში და ღმუის და ღრინავს. დამფრთხალი მაიმუნები, იმის ნაცვლად, რომ თავშესაფარში დარჩნენ, სადაც მათ ვერავინ მიწვდება, ცდილობენ მე-

ზობელ ხეზე გადახტომას, და თუ ის ძალზე შორსაა, წარმოუდგენელი სიმაღლიდან ეშვებიან მიწაზე, რომ მეზობელ ხემდე მიაღწიონ. ზოგიერთი მათგანი, გაბრუებული ან დასახიჩრებული, ადვილად ხდება მოხერხებული მონადირის მსხვერპლი.

ინდოეთის ჯუნგლების ერთ-ერთი ყველაზე ჭკვიანი და გონიერი ბინადარია გარეული ძაღლი. მონადირე-აბორიგენები* პირველ ადგილზე აყენებენ სპილოს, ვეფხვს, ავაზას, მაგრამ გარეული ძაღლების ჩვევების შესწავლის შემდეგ სხვა დასკვნამდე მიხვალთ. ნადირობისას ძაღლები „ფლანგებზე" მოქმედ ძაღლებს აყენებენ, რომლებიც დაწინაურდებიან ხოლმე და ირემს მიუდენიან თავისიანების ხროვას. ხროვაში ოცდაათზე მეტი ძაღლი გროვდება, გარს ერტყმიან ვეფხვს ან ავაზას და მტაცებელს პირდაპირ ლუკმა-ლუკმა გლეჯენ, თუმცა ამ დროს თვითონაც ზიანდებიან.

განსაკუთრებით გაითქვეს სახელი თავისი სიმამაცით მადრასის საპრეზიდენტოში ჩიტურის ოლქის ძაღლებმა. სხვათა შორის მე ვიცი სამი შემთხვევა, როცა მძვინვარე ბრძოლებში ვეფხვი ნაკუწ-ნაკუწ იქნა დაგლეჯილი, თუმცა წინასწარ მან რამდენიმე ძაღლი სიცოცხლეს გამოასალმა და ბევრიც დაასახიჩრა. მაგრამ არასოდეს მსმენია, რომ ძაღლებს დაეგლიჯოთ ავაზა: როგორც უკვე ვთქვი, საშიშროების შემთხვევაში მას შეუძლია თავს უშველოს ხეზე ასვლით.

ვეფხვს არ ეშინია წყლის და თავისუფლად გადაცურავს ხოლმე დიდ მდინარეებს. მას უყვარს განსაკუთრებით ცხელ დღეებში ნაკადულის ჩრდილიან ნაპირზე ანდა პირდაპირ წყალში ნებივრობა. იგი ნადირობს ავდრიან ღამეებშიც და ხშირად დილას, კოკისპირული წვიმის შემდეგ შეიძლება მისი ნაკვალევის ნახვა. სულ სხვაგვარია ავაზა. იგი ყველაფერში ნამდვილი კატაა, ეჯავრება წყალი და წვიმა და წყალში შეცურავს ხოლმე განსაკუთრებული საფრთხის დროს, მაგალითად, როცა თავი უნდა დააღწიოს გარეული ძაღლების დევნას.

---

* „აბორიგენის" სახელწოდებაში ეთნოგრაფები აერთიანებენ ინდოეთის სამხრეთ-დასავლეთის, ცენტრალური, ჩრდილო-დასავლეთის, მთაგორიანი რაიონებისა და გვაროვნული წყობილების დაშლის სხვადასხვა საფეხურზე მდგომ მრავალრიცხოვან ტომს. აბორიგენული ტომები დგანან წოდებრივ-კასტური იერარქიის დაბალ საფეხურზე, ან საერთოდ მის გარეშე.

ვეფხვი გადმობარგდა ინდოეთში მონღოლეთის უფრო ცივი რაიონებიდან, და ამიტომ უყვარს გრილი ადგილები, სადაც თავის შეფარება შეიძლება პაპანაქება სიცხის დროს. ავაზა კი ინდოეთის ტროპიკული ნაწილის მკვიდრია.

ზოგჯერ ტყეში, სადაც ბევრი ირემია, ვეფხვი ბაძავს სამბარის ყვირილს, ალბათ იმისათვის, რომ მიიტყუოს ეს ცხოველი და ჩასაფრებული ადგილიდან თავს დაესხას მას. ავაზა არ მიმართავს ასეთ ხერხს: იგი მსხვერპლთან მიპარვის განსაკუთრებული უნარითაა დაჯილდოებული.

წარსულში მონადირეები ამბობდნენ, ვეფხვი „ჯენტლმენია", ავაზა კი — „ბრიყვიო". ეს მონადირეები უთუოდ ღირსნი არიან იმისა, რომ მათ წინაშე თავები დავხაროთ: ისინი, შეიარაღებულნი ძველებური თოფებით, რომლებსაც უპირატესად ლულიდან ტენიდნენ, იმ დროის ყაიდის მძიმე ფეხსაცმელებით, ვეება ტროპიკული ჩაფხუტით თავზე უშიშრად მიყვებოდნენ დაჭრილი ნადირის ნაკვალევს. რა დიდი განსხვავებაა შედარებით ახლანდელ „მონადირეებთან", რომლებიც თოფს ესვრიან მხეცს ავტომანქანიდან ღამე ანთებული ფარების შუქზე, რაც ცხოველს აბრმავებს და თავის გადარჩენის საშუალებას უსპობს.

დაჭრილი ვეფხვი ღრენით ამცნობს მოახლოებულ მდევარს თავის ადგილსამყოფელს, მაშინ როცა ავაზა უპირატესად ჩუმად წევს და როცა მონადირე ახლოს ჩაუვლის, ზურგიდან ესხმის თავზე. ვეფხვი გაცილებით უფრო მამაცი და მრისხანე მოწინააღმდეგეა; დაახტება რა თავს მონადირეს, ჩვეულებრივ კლავს მას. ავაზა კი, თუ ის კაციჭამია არაა, ხშირად მხოლოდ ასახიჩრებს მდევარს და გაქცევით შველის თავს.

ავაზა ღრღნის თავისი მსხვერპლის ძვლებს მაშინაც კი, თუ გვამი ძალიან გახრწნილია. ვეფხვი, როგორც წესი, მესამე დღეს უკვე აღარ უბრუნდება ნადავლს. იგი ჭამს გაცილებით მეტს და ჩვეულებისამებრ ნთქავს ყველაფერს, რისი შეჭმაც კი შეიძლება ორ-სამ ჯერზე. გარდა ამისა, ვეფხვი უფრო აზიზი მჭამელია.

მტაცებლის კლანჭებში ჩარჩენილი ხორცი იხრწნება და საშიში მიკრობების გავრცელების კერად იქცევა. ამიტომ ვეფხვის ან ავაზას მიერ მიყენებული განაკაწრი უფრო

იწვევს სისხლის მოწამვლას, ვიდრე მათი ნაკბენი. ვეფხვს აღიზიანებს კლანჭებში ჩარჩენილი ხორცის ნარჩენები, და ხის რბილი ქერქის კაწვრის დროს არა მარტო ილესავს ბრჭყალებს, არამედ ისუფთავებს კიდეც. ხეებზე ექვს—შვიდ ფუტ* სიმაღლეზე ბრჭყალების ანაბეჭდები (ვეფხვი დგება უკანა თათებზე და იწმენდს წინა თათებს) ამცნობს მონადირეს, რომ მის მიერ დევნილი ცხოველი ახლოსაა.

ვეფხვის სიფაქიზე ვლინდება სხვა რამეშიც. ავაზა თავის მსხვერპლის ხორცთან ერთად ჭამს შიგნეულსაც; ვეფხვი, სანამ ჭამას შეუდგებოდეს, გლეჯს მოკლული ცხოველის უკანა გასასვლელს, თათით აცლის საჭმელად უვარგის ნაწილებსა და კუჭს და დაახლოებით ათი ფუტის მოშორებით აგდებს. იგი ხშირად ცხოველს წინასწარ აჭამს კუდს. ზოგჯერ ასევე იქცევიან ტყის მსხვილი ავაზებიც, მაგრამ საშუალო და მომცრონი ნადავლს ნთქავენ ნაწლავებსა და განავალთან ერთად.

ავაზას ბუნაგთან შედარებით, გამოქვაბული, რომელშიც ვეფხვი ბინადრობს ლეკვებით, უფრო სუფთა და დაცულია, იქ ვერ ნახავთ ძვლებისა და საჭმლის სხვა ნარჩენებს.

გარდა მძუნაობის პერიოდისა, ვეფხვი უფრო ხშირად, ვიდრე ავაზა, აუწყებს ჯუნგლებს თავისი ყოფნის შესახებ. ამას ადასტურებენ ტყეებში მობინადრე ინდოელთა ტომები. ვეფხვის ხმის მიხედვით მათ შეუძლიათ დაახლოებით მიგითითონ ნადირობისას ვეფხვის გადაადგილების მიმართულება. მისი მელოდიური, ხორხისმიერი, გაჭიანურებული კვნესა, რომელიც დაუვიწყარი „უუ-უუ-უუნგით“ მთავრდება, შორს გაისმის უზარმაზარი დაბურული ხეების ჩრდილებქვეშ ან მთვარის ფოსფორისებური შუქით განათებულ ველებსა და ტყით შემოსილ ხევებში და ეალერსება მის სმენას, ვისაც ჯუნგლები უყვარს. მეტად მძაფრი, მაგრამ მცირე მანძილზე გასაგონი ხერხის ხმის მაგვარი ავაზას ძახილი გაცილებით იშვიათად არღვევს ღამის მყუდროებას.

ვეფხვის მეორე თავისებურება ის არის, რომ ის ირჩევს სამონადიროდ ექსპედიციებისათვის განსაზღვრულ რაიონს, —

---

* ფუტი=მეტრის 0,3.

თუნდაც ის მოიცავდეს ას მილს* — ამომშრალი ნაღვარევის კალაპოტის, მდინარის ან ნაკადულის სანაპიროს, ხევის ან მთის ფერდობის გასწვრივ. თუ თქვენ დაინახავთ ნადირთა მიერ გათელილ ბილიკზე მტვერში აღბეჭდილ მონადირე ვეფხვის ნაკვალევს, შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ კვლავ შეხვდებით მას. გაივლის ალბათ რამდენიმე დღე, რამდენიმე კვირა და იქნებ ერთი თვეც — ეს დამოკიდებულია ვეფხვის სამონადირო რაიონის სიდიდეზე, — ის გააკეთებს უზარმაზარ წრეს და თითქმის ნამდვილად იმავე ადგილას გამოჩნდება, სადაც თქვენ მისი ნაკვალევი აღმოაჩინეთ. თუ იგი შეძლებს ცხოველის მოკვლას, ის ერთ—ორ დღეს, სანამ ნადავლს გაანადგურებდეს, იქვე ახლოს რჩება, შემდეგ განაგრძობს თავის გზას.

დაიხსომეთ ვეფხვის ეს ჩვეულება, თუ გსურთ კაციჭამიას ადგილსამყოფელის მიკვლევა. აღნიშნავთ რა რუკაზე იმ პუნქტებს, სადაც ვეფხვმა ადამიანები დახოცა, შეგიძლიათ დაახლოებით შემოხაზოთ მისი სამონადირო რაიონი, და თუ იცით თარიღები, ძნელი არაა უბრალო არითმეტიკული გაანგარიშებით განსაზღვროთ მისი დაბრუნების ვადა.

ავაზა, როგორც ჩანს, განსაკუთრებული მარშრუტით არ მოძრაობს. ხან აქ გამოჩნდება, ხან იქ. ამიტომ კაციჭამია ავაზას კვალდაკვალ დევნა ან მისი ადგილგადანაცვლების წინასწარ გაგება ამაოა.

მას შეუძლია მოულოდნელად თავს დაესხას კაცს ისეთ ადგილას, სადაც ყველაზე ნაკლებად ელოდება უაღრესად გამოცდილი და გამჭრიახი გონების ადგილობრივი მონადირეც კი.

ამ თავში შევეცადე მეამბნა მსხვილი მტაცებლების ზოგიერთ ჩვევასა და თავისებურებაზე და მომეცა გარკვეული რჩევა-დარიგება მათზე ნადირობის „საიდუმლოების“ შესახებ. განზრახ არ მოვიხსენიე ის შემთხვევები, როცა ვახერხებდი მტაცებლის მოკვლას. მე მგონია, ეს არც ისე საინტერესოა. ბოლოს და ბოლოს სიამოვნება ის კი არაა, რომ ნადირი მოკლა, არამედ ისაა, უთვალთვალო მტაცებელს მაშინ, როცა თვითონ ნადირობს. მე გირჩევდით, თან გეტარებინათ აპარატი და მოკვ-

* მილი=კილომეტრის 1,5.

ლის ნაცვლად ამ ლამაზი ცხოველებისათვის სურათი გადაგე-
ლოთ. ნუ დაივიწყებთ ყოველ შემთხვევისათვის თან იქონიოთ
თოფი, როგორც მოულოდნელი თავდასხმისაგან დაცვის სა-
შუალება, მაგრამ თუ ცდუნების დაძლევა შეგიძლიათ, ეცა-
დეთ, თავი შეიკავოთ მათი ამაო განადგურებისაგან.

გახსოვდეთ, რომ კარგი ორიგინალური სურათი უფრო მეტ
ქებას იმსახურებს, ვიდრე თქვენი სასტუმროს კედლის ან
იატაკის დამამშვენებელი ნადავლის ტყავი. პირველ შემთხვე-
ვაში თქვენ გაქვთ შესაძლებლობა დატკბეთ მოხდენილი, ძლიე-
რი ცხოველის მთელი სილამაზით მაშინ, როცა ნადავლის ტყა-
ვი აბრეშუმის გამოჩეკილი პარკის ან კვერცხის ნაჭუჭის მსგავ-
სად ოდესღაც ლამაზი არსების მხოლოდ გარსია, რომელიც
ადრე თუ გვიან დალპება ან შევმული იქნება მტვრისა და
მწერების მიერ.

თავი მეორე

კაციჭამია ავაზა ელაგირის მთებიდან

შუადღე იყო. ტროპიკული მზე გავარვარებული ცეცხლის ბურთივით დაგვნათოდა თავზე. სიცხისაგან გათანგული ჯუნგლები გარინდებულიყვნენ. ფრინველებსა და მაიმუნებსაც კი, რომლებიც მთელი დილა ხმაურობდნენ, ხმა გაეკმიდათ, თითქოს ირგვლივ გამეფებულ მდუმარებაში ჩაძინებიათო.

ხშირი ტყის ჩრდილში შეიძლებოდა თავისუფლად ამოგესუნთქათ, მაგრამ აქაც ალმურისაგან ყველაფერი თრთოდა და ცახცახებდა. ჰაერის ოდნავი მოძრაობაც კი ვერ არხევდა ძირს ჩამოცვენილ ფოთლებს, რომლებიც თვით ბუნების მიერ მოქსოვილი მოყვითალო-ყავისფერი საუცხოო ნოხივით გაფენილიყვნენ მიწაზე. მუსონების დროს ეს ფოთლები ბრელოდ იქცევა და მრავალი წლის შემდეგ ტყის უზარმაზარი ხეები— საიდანაც ფოთლებია ჩამოცვენილი — იღუპება და ახალი ხეების სიცოცხლის წყაროდ იქცევა.

გულისშემაღონებელ სიჩუმეს ზოგჯერ არღვევდა ხის ჩხარუნების ყრუ ხმაური. მათ ყელზე აბამენ ჯუნგლებში მობალახე პირუტყვს მტაცებელთა დასაფრთხობად, და, რაც მთა-

ვარია, მწყემსებს შეეძლოთ განსაზღვრა, სად იმყოფება ჯოგი ხშირ ბუჩქებში. ვეფხვები და ავაზები ძალიან ეჭვიანები არიან და ვერ ბედავენ შერჩეულ მსხვერპლზე თავდასხმას, თუ მას კისერზე შებმული აქვს ხის საოცარი საგანი, რომელიც არაჩვეულებრივ ხმებს გამოცემს. მაგრამ ეს ფანდი ყოველთვის როდი გადის. ეს დამოკიდებულია მტაცებლის ინდივიდუალურ თავისებურებაზე, და კიდევ უფრო მეტად იმაზე, რამდენად მშიერია იგი ამ დროს.

სწორედ შუადღის ხანს მოხდა ასეთი შემთხვევა. ფიკუსების ჩრდილს თავშეფარებული ჩაკურატებული ყავისფერი მოზვერი ჯოგის მოშორებით ძოვდა. იგი საცოხნელით პირგამოტენილი თავს მაღლა წევდა და მეთოდურად ამუშავებდა ყბებს, თან ზანტად ჩაფიქრებული ათვალიერებდა ჯუნგლებს. ეგონა, ირგვლივ არაფერი არ იძროდა და მოზვერი ძალიან კმაყოფილი იყო თავისი თავით და მთელი გარემოთი.

მაგრამ უკან რომ შემობრუნებულიყო, გაუქრებოდა ეს კეთილგანწყობა. ბალახი სრულიად უხმაუროდ გაიწ-გამოიწია და ორი ბოროტი მწვანე თვალი მიაშტერდა მოზვერს. ისინი ეკუთვნოდნენ ტყის მსხვილი ჯიშის ერთ-ერთ წარმომადგენელს, ვეებერთელა ხვად ავაზას. ის თავისი მძიმე ტანით, რომელიც სიდიდით თითქმის არ ჩამოუვარდებოდა ძუ ვეფხვს, მიწაზე გაეკრა ისე, რომ მისი ვარდისფერზოლებიანი ქათიბი ბალახის სხვადასხვა ელფერს შეერწყა.

ნელა და უხმოდ შემოიკეცა ავაზამ უკანა თათები, და მოემზადა თავდასასხმელად, დაძაბულობისაგან კუნთები უთრთოდა, მთელი სხეული კი მსუბუქად ირწეოდა მომაკვდინებელი ნახტომის წინ წონასწორობის შესანარჩუნებლად.

როგორც ჭექა-ქუხილმა მოწმენდილ ცაზე, ისე გაიელვა ჰაერში ავაზას მოყვითალო-მოშავო წინწკლებით დაფარულმა მძიმე სხეულმა და სანამ მოზვერი აზრზე მოვიდოდა, თუ რა მოხდა, საშინელი ყვითელი ეშვები ჩაერჭო ყელში. საცოდავი ცდილობდა თავი შეეკავებინა ფართოდ გადგმულ ფეხებზე და შუა ჯოგში შეჭრას ლამობდა, მაგრამ გამოღადრული ყელიდან სისხლი სჩქეფდა და არ შეეძლო ერთ წამზე მეტს გასძალიანებოდა. უბედური დაემხო მიწაზე და სასოწარკვეთილი ცდილობდა თავის მტრისათვის წიხლები დაეშინა. ავაზა მოხერხე-

პულად იცდენდა დასარტყმელად გამიზნულ წიხლებს და ერთი წუთითაც არ უშვებდა სასიკვდილოდ ჩაფრენილ კბილებს. დაცემულ ცხოველს გაღებული პირიდან მოკლე ბუყბუყი ამოსდიოდა, ფეხების მოძრაობა მოუდუნდა, შიშით სავსე თვალები თანდათან ჩაუქრა. რამდენიმე წუთის შემდეგ კიდეც გათავდა.

ასე დაკარგა მწყემსმა ნათხანმა ერთ-ერთი თავისი საუკეთესო ცხოველი. მოზვერის დაღუპვის წინ ბღავილით დამფრთხალი ჯოგი მიაწყდა სოფლისაკენ მიმავალ ტყის განაკაფს.

ნათხანის დანაკარგი ამით არ დამთავრებულა: სამი მომდევნო თვის მანძილზე მის ჯოგში მოგუდულ იქნა კიდევ ოთხი ცხოველი და ამდენივე ორი სხვა მწყემსის ჯოგშიც. ავაზამ, ჩანს, გადაწყვიტა, და, არც ისე უსაფუძვლოდ, რომ მიაგნო ადვილმისაწვდომი საკვებით მდიდარ ადგილს. მან უმჯობესად ჰიიჩნია თავი გაენებებინა ტყეში ძნელად სადევნი ნადირისათვის და ბუნაგი დაედო საძოვრების მახლობლად.

დაიწყო მუსონები. ელჭექისა და წვიმების შემდეგ ყველაფერი ქორფა მცენარეულობით დაიფარა. უკვე აღარ იყო საჭირო პირუტყვის ჯუნგლებში გადენა: აძოვებდნენ მას სოფლის ახლო მინდვრებზე, სადაც თვალყურის დაჭერა ადვილი იყო. ეს მდებარეობა, რასაკვირველია, ჭკუაში არ დაუჯდა ავაზას; ახალ საძოვრებზე არსებულმა პირობებმა აიძულა უფრო მეტად გათავხედებულიყო.

სოფლის ახლოს ტყე მეჩხრდებოდა, მინდვრებზე ხეები სრულებით არ ხარობდა, ასე რომ ჯოგთან შეუმჩნევლად მიახლოება იოლი არ იყო. ხშირად მწყემსები ავაზას დანახვისას ასტეხდნენ ხოლმე ყვირილს, ქვების სროლას და კომბლების ქნევას. ეს აფრთხობდა მხეცს.

მაგრამ შიმშილი უფრო და უფრო აწუხებდა. ორში ერთი უნდა აერჩია: ან უნდა მოესვენებინა სოფლის ჯოგი, თავი დაენებებინა იოლი საშოვარისათვის და დაბრუნებოდა გარეულ მხეცებზე ნადირობას, ანდა უფრო გაბედულად უნდა ემოქმედა.

ავაზამ აირჩია უკანასკნელი. ერთხელ იგი მიეპარა ჯოგს და ჯიქურ ეძგერა ძროხას. ორი მწყემსი იმყოფებოდა მახლობლად და ხედავდნენ, როგორ უახლოვდებოდათ მტაცებელი,

ისინი ყვიროდნენ, ჯოხებს უღერებდნენ, მაგრამ ამაოდ: ავაზამ არ მიაქცია მათ ყურადღება. შეახტა ძროხას ზურგზე და ჩააფრინდა ყელში ეშვებით. მწყემსები რამდენიმე წუთს დაიბნენ, მაგრამ როცა ცოცხალმკვდარი ძროხა წაიქცა, ისევ შეუდგნენ ქვების სროლას და წინწკლებიანი მტაცებლის გინებას.

და აი მაშინ ავაზამ პირი უშვა ნადავლს, წამოიმართა და ჭრისხანედ შეუღრინა ხალხს. სიბრაზისაგან დრუნჩი მოეღრიცა, თვალები სიძულვილით აენთო. ავაზას ბრდღვინვა რომ გაიგონეს და იხილეს მისი შემაძრწუნებელი დრუნჩი, მწყემსებს შიშისაგან სისხლი გაეყინათ ძარღვებში და თავუარდაცემულებმა მოკურცხლეს.

ამის შემდეგ მცხოვრებლებმა ადგილობრივ მეთვალყურეს მიმართეს თხოვნით, დახმარებოდა როგორმე მტაცებლის მოშორებაში, ანდა საიდანმე მოეწვია მონადირე. ამ მეთვალყურეს, რომელსაც ეძახდნენ რამუს, ჰქონდა ცალლულიანი 12 ყალიბის თოფი, დაჟანგული ჩახმახით. თუმცა მის მოვალეობაში შედიოდა ბრაკონიერებთან ბრძოლა, მაგრამ მას თვითონ უყვარდა თოფით ხელში წყალსატევთან ან ბიცობ ნიადაგზე ჩამოჯდომა და ირმის ან შემთხვევით შეხეტებული ტახის დაჭრა. რამუ ცდილობდა, ხელქვეით მეტყეველებს არ შეეტყოთ მისი ბნელი საქმეები, მაგრამ როცა ამას ვერ ახერხებდა, მაშინ, ხმა რომ ჩაეკმიდათ, მოისყიდდა მათ მოკლული ნადირის ცვრიანი ხორცით ან განუწყვეტლივ ემუქრებოდა, შავი დღე დაგიდგებათ, თუ ჩემს შესახებ რაიმე ცნობა მიაღწევს ტყის ოფიცრის* ყურამდეო. მიუხედავად ამისა, ოფიცერმა ჰაინც შეიტყო რამუს საყვარელი დროსტარების შესახებ. ის კეთილსინდისიერი ახალგაზრდა მოხელე გახლდათ ნადირთა დაცვის წესების გულმოდგინე შემსრულებელი და ნიადაგ ცდილობდა თავისი ხელქვეითი დანაშაულზე მიესწრო. მაგრამ ეს უკანასკნელი ახერხებდა სუფთად ჰქონოდა თავისი ნამსაურობის ნუსხა. ან რამუ იყო ძალზე მოხერხებული, ანდა მისი მუქარა მოქმედებდა მეტყეველებზე. ასე იყო თუ იყე, ტყის

---

* სატყეოს ხელმძღვანელი მოხელე ინდოეთში.

ოფიცრის ყოველგვარ ცდას ჯერჯერობით წარმატება არ მოჰყოლია.

მანამდე რამუს არასოდეს არ გამოუყენებია თავისი იარაღი მსხვილი მტაცებლის წინააღმდეგ და ნათხანის თანასოფლელთა თხოვნამ ავაზას მოკვლის შესახებ მასში დაბნეულობა გამოიწვია. მაგრამ თანასოფლელნი დაჟინებით მოითხოვდნენ ამას და სულ მალე მიხვდა რამუ, რომ მისი ღირსება და სახელი განწირულია. მას ხომ აღარ შეეძლო უსაზღვროდ გაეჭიანურებინა დრო, მოემიზეზებინა მოუცლელობა, ვაზნების უქონლობა, ან კიდევ სხვა რამ.

და აი, ერთხელ დილით რამუ თოფით ხელში სოფელში გამოჩნდა. მცხოვრებლები მას, როგორც მხსნელს, აღფრთოვანებით შეხვდნენ. მან უმალვე ისარგებლა თავისი მდგომარეობის უპირატესობით და მიუჯდა გლეხების მიერ უხვად გაწყობილ სუფრას. ნოყიერ საჭმელს ბლომად ყავა დააყოლა. სიამოვნებით დააბოყინა და განაცხადა, რომ განზრახული აქვს ერთი საათით წაიძინოს.

ორი საათის შემდეგ გაღვიძებულმა, როცა შუადღე უკვე გადასული იყო, სოფლის მამასახლისს მისატყუარისათვის მოსთხოვა თხა და მისი მიღების შემდეგ, ხუთი თუ ექვსი გლეხის თანხლებით გაეშურა ჯუნგლებისაკენ.

რადგან ეს უბანი რამუს რაიონში შედიოდა, მან კარგად იცოდა მისი ადგილმდებარეობა და წინასწარ შეარჩია ხე, რომელზეც მაჰანი უნდა მოეწყო.

ეს იყო გზისა და განაკაფთან ცოტა მოშორებით ამართული ვეებერთელა ლეღვის ხე. განაკაფს მახლობლად კვეთდა ნაკადულის ამომშრალი კალაპოტი. ავაზა სარგებლობდა სამივე გზით, აშას ადასტურებდა მისი ნაკვალევის ხშირი ანაბეჭდები. რამუმ შეარჩია ძალზე მოხერხებული ადგილი: ავაზას განაკაფის ან ნაკადულის კალაპოტის გასწვრივ რომ გაევლო, შეიძლებოდა მიბმული თხის სუნი არ ეკრა. მაჰანში მყოფი რამუ კი კარგად ხედავდა ორივე მისასვლელსა და გზის ნაწილსაც.

რამუმ უბრძანა თავის თანამგზავრებს მოეწყოთ მაჰანი მიწიდან დაახლოებით ოცი ფუტის სიმაღლეზე, ხოლო თვითონ ისე კარგად შენიღბა ფოთლებით, რომ ავაზას არასგზით არ შეეძლო მისი შემჩნევა.

მუშაობა დამთავრდა მხოლოდ საღამოს ხუთ საათზე. რამუ აძვრა მაჰანში; ხოლო თხა ბაწრით მიაბეს მიწაში ჩასობილ პალოზე.

სოფლის მცხოვრებლები წავიდნენ. თხამ იგრძნო, რომ მარტო დარჩა, მიაშტერდა სოფლისაკენ მიმავალ გზას და ხმამაღლა დაიკიკინა. ყველაფერი ისე კარგად გამოვიდა, რომ უკეთესი არ შეიძლებოდა: ავაზამ გაიგონა თხის ხმა, და დაახლოებით საღამოს ექვს საათზე, როცა ჯერ კიდევ დღის ძალი იყო, თავს დააცხრა თხას, ყელში სწვდა და მიწაზე დასცა. რამუმ მსხვილი საფანტით გატენილი თოფი ესროლა. გაისმა ხველებისმაგვარი ხმამაღალი ხმაური და სანამ ავაზა ტევრში მიიმალებოდა, ჰაერში გადატრიალდა. ნახევრად გაგუდულ, ჭრილობებისაგან მომაკვდავ თხას ბოლო მოუღო ყურიდან ტვინში გასულმა საფანტმა.

ცოტა ხნის შემდეგ რამუ ჩამოვიდა ლეღვის ხიდან და მიაშურა სოფელს, მან დაარწმუნა მცხოვრებლები, რომ მოარტყა ავაზას, რომელსაც ისინი მეორე დღეს უეჭველად ნახავდნენ მკვდარს.

გარიჟრაჟზე გლეხების დიდი ჯგუფი რამუს მეთაურობით გაეშურა ლეღვის ხისაკენ. მათ ნახეს, რომ თხის ლეში შეეჭამა აფთარს. რამუმ აჩვენა, რა მიმართულებით მიიმალა ავაზა და ტევრი გულდასმით გაჩხრიკეს. მალე მიაგნეს ლანტანის ბუჩქებსა და ფოთლებზე სისხლიან ნაკვალევს, რომელიც ცხადჰყოფდა, რომ ავაზა ნამდვილად იყო დაჭრილი. მაგრამ მტაცებლის აღმოჩენა მაინც ვერ მოხერხდა, თუმცა ხალხი ერთ მილზე მეტს მიყვებოდა სისხლიან ნაკვალევს, ვიდრე იგი არ გაუჩინარდა.

ამის შემდეგ, ორი თვის განმავლობაში არც ერთი თავდასხმა პირუტყვზე არ მომხდარა და ყველანი, მათ რიცხვში რამუც, დარწმუნებული იყო, რომ ავაზა შევიდა ტევრში და იქ მოკვდა.

ერთ საღამოს თექვსმეტი წლის ყმაწვილი იმავე განაკაფით ბრუნდებოდა სოფლად სახლში. გზის მოსახვევთან რომ მივიდა, ოცდაათი იარდის მოშორებით დაინახა დაყუნტული ავაზა, რომელიც პირდაპირ მას მისჩერებოდა. ყმაწვილი შედგა, ეგონა, იგი მიიმალებოდა ისე, როგორც ამას გააკეთე-

ბდა მის ადგილას ყველა სხვა ავაზა. მაგრამ ის ასე არ მოიქცა: მოირკალა და ღვარძლიანად დაიღრინა.

ბიჭი მობრუნდა და გაიქცა. ავაზა უკან დაედევნა. მხეცი მსხვერპლს ზურგზე შეახტა, მან მიწაზე დაცემისას დაინახა განაკაფზე დაგდებული ხმელი როკი. შიშმა და სასოწარკვეთილებამ ყმაწვილს გამბედაობა და საზრიანობა შემატა. მან დასტაცა როკს ხელი, გადაბრუნდა გვერდზე და როკის ბოლო ხახაში ჩასცა ავაზას. მხეცი იძულებული იყო გაეშვა თავისი მსხვერპლი. ბიჭი ფეხზე წამოვარდა და განმეორებით დასცხო კეტი ცხოველს. მოულოდნელმა თავდასხმამ დააფრთხო ავაზა და იგი ბუჩქებში გადახტა.

ხელფეხდაკაწრული, სისხლში მოსვრილი ბიჭი ბარბაცით გაიქცა სოფლისაკენ ისე, რომ ხელიდან არ გაუგდია მისი სიცოცხლის მხსნელი როკი.

ასე იქნა ჩადენილი პირველი თავდასხმა ადამიანზე, მეორე თავდასხმა მოხდა სამი კვირის შემდეგ. მაგრამ ამჯერად ავაზა არ გაქცეულა. საღამო ხანს, როცა მწყემსი თხის არვეს მიერეკებოდა, ერთ-ერთ თხას თავს დაესხა ავაზა. მწყემსი ღარიბი იყო, არვე შეადგენდა მთელ მის სიმდიდრეს. თხის გადასარჩენად, ყვირილითა და კომბლის ქნევით გაექანა ის ავაზასაკენ. ეს იყო გაბედული, მაგრამ წინდაუხედავი მოქმედება, რადგან მწყემსმა იცოდა, ამ ცოტა ხნის წინათ, ავაზა თავს დაესხა გზაზე წყნარად მიმავალ ადამიანს. თავისი უგუნური გამბედაობა კი მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა: ავაზამ თავი მიანება თხას, შეახტა მწყემსს და ყელში ჩააფრინდა.

თხები მიცვივდნენ სოფელში. არვეს უმწყემსოდ დაბრუნება დიდად არავის გაჰკვირვებია. მწყემსი განმარტოებით ცხოვრობდა, ნათესავები მას არ ჰყავდა, და ერთი საათის შემდეგ, როცა ბინდდებოდა, მეზობლებმა მხოლოდ მაშინ მოისაკლისეს, მაგრამ უკვე ძალზე გვიან იყო, რომ რაიმე ეღონათ.

დილით კეტებითა და ჯოხებით შეიარაღებული ოცდაათი კაცი გაეშურა მწყემსის საძებნელად. წინა დღით გამოქცეული თხის ჯოგის მიერ დატოვებული ნაკვალევი მკაფიოდ აჩნდა ბილიკს, ხალხი მალე მივიდა იმ ადგილზე, სადაც ავაზა თავს დაესხა მწყემსს. სილიან მიწაზე ნათლად აღბეჭდილიყო ვე-

ებერთელა კატის თათები. ასევე გარკვევით აჩნდა ავაზას მიერ ნათრევი სხეულის ნაკვალევი. აქა-იქ მიწაზე სისხლის რამდენიმე წვეთი იყო, ხოლო ბილიკს გადაღმა მზისგან გამოფიტულ მაგარ ნიადაგს ხარბად შეესრუტა სისხლი და ძნელი იყო ნაკვალევის მიგნება.

როგორც ჩანს, ავაზას გადაეთრია თავისი მსხვერპლი გზიდან და წაეღო ჯუნგლებში, მაგრამ შორს არ წასულიყო: ასი იარდის* გავლის შემდეგ გლეხებმა აღმოაჩინეს უბედური მწყემსის გვამი, რომელსაც გამოჭმული ჰქონდა გულმკერდი და ბარძაყის მცირე ნაწილი.

ასე გამოჩნდა კაციჭამია ელაგირიდან.

ელაგირი მდებარეობს ჯალარპეტის აღმოსავლეთით რკინიგზის კვანძის სამხრეთის ხაზზე და წარმოადგენს ნახევარმთვარის მსგავს მთაგრეხილს. „ნახევარმთვარე“ თავისი შეზნექილი გვერდით მიმართულია სადგურისაკენ, საიდანაც ასი მილის მანძილზე მისი მწვერვალი ცერადაა ატყორცნილი ზღვის დონიდან დაახლოებით სამი ათასი ფუტის სიმაღლეზე. მკვეთრად მიხვეულ-მოხვეული, მეტად ოღრო-ჩოღრო ბილიკი გარშემო უვლის ციცაბო ფერდობს ისე, რომ ზოგ ადგილას მსხვილ რიყის ქვებზე გადის.

მრავალი წლის წინათ, 1941 წელს ამ მთაგრეხილს ზემოთ შევიძინე რამდენიმე აკრი** მიწა. ბანგალურიდან ის დაახლოებით ორმოცდათხუთმეტ მილზე მდებარეობდა და განზრახული მქონდა, კვირის ბოლო დღეები იქ გამეტარებინა, მაგრამ ამას იშვიათად ვახერხებდი. ამის შედეგად უპატრონოდ მიტოვებულ მიწას საშინლად მოდებოდა ლანტანი.

და აი, ახლა გადავწყვიტე გამეტარებინა ფერმაში სამი დღე, რომ ყურადღება მიმექცია ნაკვეთის გაწმენდისათვის. მალე ჩავედი მწყემსის დაღუპვის შემდეგ, და ჩემ მიერ დაქირავებულმა მუშებმა მიამბეს ავაზას შესახებ, რომელზეც გაზეთები არაფერს იუწყებოდნენ. მუშები მარწმუნებდნენ, რომ ავაზა ხანგამოშვებით გამოჩნდებოდა ხოლმე სოფლის გარეუბანში: დიდი ხანი არაა, რაც ენახათ მისი ნაკვალევი.

---

* იარდი=0,9 მეტრს.

** აკრი=0,4 ჰექტარს.

ამ ისტორიამ დამაინტერესა და გავიფიქრე, რომ კარგი იქნებოდა მეცადა ამ ნადირის მოკვლა. სანადირო თოფებიდან თან მქონდა წამოღებული 12 ყალიბის ფილთა თოფი: ელაგირი სავსეა გარეული ფრინველით და წინათ, როცა ჩამოვდიოდი ხოლმე აქ, ვხოცავდი რამდენიმე ფრინველს სუფრისათვის. ფრინველისათვის განკუთვნილ მეექვსე ნომერ საფანტის გარდა ყოველ შემთხვევისათვის თან წამოვიღე ორი გასროლა ფინდიხი. მართალია, მსხვილი საფანტის ეხოლოდ ორი გასროლა მქონდა, მაგრამ ავაზასათვის ზუსტად უნდა მომეხვედრებინა ნიშანში.

შუადღის ხანს შევწყვიტე მუშაობა და შევუდექი ადგილის გამოკვლევას. ყველაფერი ისე იყო, როგორც მოველოდი. ჯუნგლები გადადიოდა სოფელზე მიკრულ მინდვრის მოსაზღვრე ლანტანის ბუჩქნარის ვიწრო ზოლში. ერთ-ერთი მინდვრის განაპირას მიმავალ ბილიკზე ცხადად ჩანდა ჯერ კიდევ წინა ღამით გავლილი, საკმაოდ მოზრდილი, მსხვილი მამალი ავაზას ნაკვალევი.

მე გავეშურე სოფელში და, წარვუდექი პატელს*, რომელსაც არასდროს არ შევხვედროდი, ავუხსენი ჩემი მისვლის მიზანი. მას ძალზე გაეხარდა და აღმითქვა ყოველმხრივი დახმარება. განვსაჯეთ მდგომარეობა და მე ვუთხარი, რომ, პირველ ყოვლისა, მინდოდა მეყიდა თხა მისატყუარისათვის.

აღმოჩნდა, რომ ამ საქმეში პატელის დახმარება აუცილებელია, რადგან ადგილზე თხის შეძენა შეუძლებელი იყო. ბოლოს, როგორც იქნა, მეზობელ სოფელში ვიყიდეთ ისე პატარა ციკანი, რომ ეჭვი არ გვეპარებოდა, იგი კაკანს მორთავდა. პატელმა და ოთხმა გლეხმა გამაცილეს: ერთს მოჰყავდა ციკანი, დანარჩენებს კი ნაჯახები მოჰქონდათ მაჰანის გასაკეთებლად.

მათ მიმიყვანეს იმ განაკაფთან, სადაც ავაზა თავს დაესხა მწყემსს და შემდგომ იქ, სადაც აღმოაჩინეს უბედურის ნეშტი. ეს ადგილი დაფარული იყო „მადრასის კუნელის“, ანუ „კორკაპულის“ სახელწოდებით ცნობილი ხშირი წვრილი ჩირგვნარით. მიწაზე სახუნდარის მოწყობაზე ფიქრიც კი ზედ-

* მამასახლისი.

მეტი იყო, რადგან კუნელის ბუჩქები ისე ხშირი იყო, რომ ცხოველის დანახვა შეიძლებოდა მხოლოდ ორი იარდის მანძილზე. ამიტომ დაახლოებით მეოთხედი მილის მანძილზე უკან დაბრუნება მოგვიხდა.

ჩვენ მივადექით ვეებერთელა პურის ხის სქელი ფოთლებით დაფარულ მშვენიერ, საუცხოოდ გაშლილ გვირგვინს, რომელიც, გეგონებოდათ, სახუნდარის მოსაწყობადაა შექმნილი: პირველი ტოტი შტამბიდან დაახლოებით რვა ფუტის სიმაღლეზე ჰქონდა აზიდული. მესამე ზედ გზაზე იყო გადმოშვებული. ჩემს თანამგზავრებს ვუბრძანე სწორედ მასზე თხუთმეტი ფუტის სიმაღლეზე გაეკეთებინათ მაჰანი.

მათ მოჭრეს მეზობლად მდგარი ხის წვრილი ტოტები, გასხიპეს ფოთლები, დააწყვეს ორკაპ ტოტზე და მიამაგრეს მას ხვიარა მცენარეების ლერწებით. მალე მზად იყო დაახლოებით ოთხი ფუტი სიგრძისა და სამი ფუტი სიგანის, საკმაოდ დიდი ბაქანი, რომ იქ მოვთავსებულიყავი. შემდეგ გლეხებმა ყოველი მხრიდან შენიღბეს მაჰანი რტოებით. ბაქანი საიმედოდ დავფარეთ, რომ ავაზას, მაჰანის ქვეშაც რომ გაჩერებულიყო, არ შეემჩნია შიგ მჯდარი კაცი ან სხვა რამ უჩვეულო, რაც მას ეჭვს აღუძრავდა.

ერთ-ერთ ჩემს თანამგზავრს ვუბრძანე გამოეჭრა პალო, წაეწვეტა ბოლო და ქვით ჩაესო მიწაში ოც ფუტზე მეტი მანძილის მოშორებით მაჰანიდან. მე ხომ მარტო ფილთა თოფი მქონდა.

დაახლოებით ხუთ საათზე, როცა ყველა სამზადისს მოვრჩით, ავედი მაჰანში და გავწი-გამოვწიე ფოთლები ისე, რომ გარკვევით დამენახა ციკანი და მის გარშემო მიწის პატარა ნაკვეთი.

რადგან მსხვილ მხეცზე ნადირობას არ ვაპირებდი, თან არ წამომიღია თოფის ლულაზე მისამაგრებელი ნათურა. მქონდა მხოლოდ ორი ბატარეით მომუშავე პატარა ნათურა, რომლითაც ვსარგებლობდი ხანმოკლე შესვენებების დროს ლაშქრობისას. იგი აირეკლავდა გაფანტულ სინათლეს და სრულიად გამოუსადეგარი იყო ჩემი ამოცანისათვის. თანაც სამაგრის უქონლობის გამო მიხდებოდა ფარნის მარჯვენა ხელში დაჭერა თოფის ლულის ახლოს. ამ დროს უმთვარო ღამეები იცის და

ავაზა რომ გამოჩენილიყო, სიბნელეში მისი ადგილსამყოფელის განსაზღვრა მხოლოდ ხმაურით ან გუმანით შემეძლო.

გავითვალისწინე რა ყველაფერი ეს, ვცადე მოხერხებულად მოვწყობილიყავი მაჰანზე. შემდეგ ვუბრძანე გლეხებს მიებათ ციკანი პალოზე და ხმამაღლა საუბრით დაბრუნებულიყვნენ სოფელში. ეს აუცილებელი იყო არა მარტო იმისათვის, რომ გვეიძულებინა ციკანი ხმამაღლა აკიკინებულიყო, როცა ადამიანების წასვლას შეიგრძნობდა, არამედ იმისთვისაც, რომ ავაზას ყურადღება მიგვეპყრო.

ჩემმა თანამგზავრებმა ყველაფერი ისე შეასრულეს, როგორც ნაბრძანები მქონდა. ციკანი გამოუდგა მათ უკან, დაჭიმა თოკი და ისეთი ხმამაღალი კიკინი მორთო, რომ სიხარულმა ამიტანა, აღარ ვეჭვობდი, თუ კი ავაზა სადმე მახლობლად იყო, უთუოდ გაიგონებდა კიკინს და გამოექანებოდა ნისთვის განკუთვნილ მსხვერპლისაკენ.

მაგრამ ყველაფერი პირიქით წარიმართა. ციკანი ისე ხმამაღლა კიკინებდა, რომ მზის ჩასვლისას ხმა უკვე ჩახლეჩილი ჰქონდა და ყელიდან რაღაც ხრინწიანი წრიპინის მაგვარი ხმა ამოსდიოდა. დაბინდებისას თითქოს ბედს დაემორჩილა—ღამე ტყეში გაეტარებინა, დაწვა მიწაზე და დაიძინა. ახლა ავაზას შეეძლო მისი აღმოჩენა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ახლოს გავლისას პირდაპირ თავს წაადგებოდა მას. მე მაინც გადავწყვიტე, დავლოდებოდი ცხრა საათამდე.

შემდეგი ორნახევარი საათი არაფრით განსხვავდებოდა იმისაგან, რომელიც მე ჯუნგლებში გამიტარებია. ტყის ბინადარ ფრთოსანთა ხმები დიდი ხანია რაც მიწყდა. სიჩუმეს ხანგამოშვებით არღვევდა მწყემსი-ფრინველის ჩუმი, მაგრამ ყურთასმენის წამღები ყვირილი, რომელიც მწყემსების მიერ ტყეში საძოვარზე გაშვებული ჯოგის მომხმობ ხმას მომაგონებდა, აქედანაა მისი სახელწოდებაც. დაახლოებით რვა დუიმის ზომის ეს ნაცრისფერი ღამის ფრინველი, როგორც ჩანს, ბინადრობს მხოლოდ ჯუნგლებში, ანდა უშუალოდ მათ მახლობლად: ყოველ შემთხვევაში, არ მქონია შემთხვევა შევხვედროდი მას დასახლებულ რაიონებში.

მეტი არაფერი შემიძლია გიამბოთ, გარდა იმისა, რომ ათის

თხუთმეტ წუთზე გადავწყვიტე დამეტოვებინა ჩემი საგუშაგო. მივანათე ფარანი, მაგრამ გაფანტულმა სხივებმა ძლივს მიაღწია მძინარე ციკნამდის, რომლის ბუნდოვანი აღნაგობის გარჩევა შევძელი მას მერე, როცა ის ფეხზე წამოხტა. ავაზა რომ ციკანს დასხმოდა თავს, მე ვერც კი დავინახავდი მას. თავს იმით ვინუგეშებდი, რომ შესაძლოა უმჯობესიც კი იყო, ავაზა რომ არ გამოჩნდა. ჩამოვედი ხიდან, ავუშვი ციკანი, წავიყვანე უკან სოფელში და დავუტოვე ერთ-ერთ გლეხს, რომელიც მაჰანის მოწყობაში გვეხმარებოდა.

დილაადრიან დავბრუნდი კვლავ სოფელში, რომ დამატებითი ცნობები შემეკრიბა, მაგრამ არავინ იცოდა, საიდან გაჩნდა ავაზა და სად შეიძლებოდა ყოფილიყო მისი ბუნაგი.

ჩემს ფერმაში მუშაობა კიდევ სამ დღეს გრძელდებოდა და ყოველ საღამოს რამდენიმე საათს ვატარებდი მაჰანში. მისატყუარისათვის ვიყენებდი სხვადასხვა თხას. მაგრამ თან მსდევდა წარუმატებლობა — ავაზას ხმაც კი არ გამიგონია. დილაობით ვათვალიერებდი მაჰანის მიდამოებს, განაკაფებს და ნაკადულის ნაპირს, მაგრამ ახალ ნაკვალევს ვერსად ვერ ვნახულობდი. ამ ღამეების განმავლობაში იგი აქ არ ყოფილა. შესაძლებელია ავაზა გადავიდა ელაგირის შორეულ კუთხეში.

მეოთხე დღეს პატელს დავუტოვე ბარათი, ჩემი მისამართით, გვარით, დეპეშის გამოსაგზავნი ფულით და წავედი ბანგალურში.

თვეზე მეტი გავიდა, დეპეშა არ ჩანდა, გადავწყვიტე, რომ ან ავაზა არ მიეჩვია კაციჭამიობას, ანდა ელაგირიდან დაეშვა, გადაკვეთა მინდვრები და ჯავადის მთების უფრო ვრცელ ტყეებს შეაფარა თავი.

უკანასკნელმა ამბებმა დამარწმუნა, რომ ეს ასე არ იყო.

გავიდა შვიდი კვირა, მე უკვე გადამიწყდა დეპეშის მიღების იმედი, რომ იგი მოულოდნელად მოვიდა. მამასახლისი მატყობინებდა, ავაზამ მოჰკლა წერილების დამტარებელი, რომელსაც რკინიგზის სადგურ ჯალარპეტიდან მთების მწვერვალზე განლაგებულ სოფლებში ფოსტა დაჰქონდაო.

დეპეშა ნაშუადღევის სამ საათზე მივიღე, მაგრამ მაინც მივუსწარი საღამოს შვიდ საათზე ბანგალურიდან გამავალ ტრიჩინოპოლის ექსპრესს და თერთმეტის ნახევარზე უკვე

ჯალარპეტში ვიყავი. პეტრომაქსის სატარებელი ელვა-ლამპის კაშკაშა სინათლემ ხელი შემიწყო გადამელახა რვამილიანი ალმართი სადგურიდან სოფლამდე, სადაც ღამის ორ საათზე მივედი. სხვა დროს ღამით ვერ გავბედავდი ოღრო-ჩოღრო, ციცაბო და მსხვილი რიყის ქვით მოფენილ გზაზე სიარულს, რადგანაც ვიცოდი, კაციჭამია ავაზა მის მიდამოებში დაეხეტებოდა. თუმცა დარწმუნებული ვიყავი, რომ ვიდრე ჩემი პეტრომაქსი გზას მინათებდა, შეიძლებოდა თავდასხმის შიში არ მქონოდა.

ზურგზე აკიდებული 405 ყალიბის თოფი, საბარგო ჩანთა, თავისი მოწყობილობით, და ამასთან მარცხენა ხელში ლამპა შეადგენდა ფრიად მძიმე და მოუხერხებელ, არც თუ იოლად სატარებელ ტვირთს ციცაბო ბილიკზე, და სანამ მწვერვალზე ავიდოდი, მთლად ოფლში გავიღვარე. აქედან კიდევ ერთი მილი დარჩა სოფლამდე გასავლელი და ვიდრე იქამდე მივაღწევდი, გარიჟრაჟის ცივმა ნიავმა შემიშრო ტანსაცმელი.

გავაღვიძე მამასახლისი, რომელმაც ფეხზე დააყენა თითქმის მთელი სოფელი. უმალვე ჩემს გარშემო თავი მოიყარა შავგვრემანმა ხალხმა, რომელთა თეთრი კბილები თვალისმომჭრელად კაშკაშებდა პეტრომაქსის სინათლეზე.

ჩემდათავად თითქმის არაფერი მქონდა სათქმელი. ჩემი წასვლის შემდეგ მთელი დღე ყველა ფრთხილად იყო, განსაკუთრებით ის, ვინც ტყის ახლო ცხოვრობდა, ღამე კი საერთოდ არავინ გამოდიოდა სახლიდან გარეთ. გავიდა რამდენიმე კვირა. ავაზა არსად გამოჩენილა და, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე ასეთ შემთხვევაში, სიფხიზლე თანდათან მოადუნა ყველამ.

ჩვეულებრივად წერილების დამტარებელი გამოდიოდა ჯალარპეტში სადგურის გვერდით მდებარე პატარა საფოსტო განყოფილებიდან დაახლოებით დილის 6 საათზე. ყველა საფოსტო მატარებელი ბანგალურიდან, მადრასიდან და კალიკატიდან, ჯალარპეტის გავლით, ღამე გადიოდა. ელაგირისათვის განკუთვნილი კორესპონდენცია შედარებით პატარა იყო და საფოსტო მატარებლის გადამრჩევლები სოფლის მისამართზე გამოგზავნილ მცირერიცხოვან წერილებსა და ამანათებს ყრიდნენ ტომრებში და ჩამოაგდებდნენ ხოლმე სადგურში. წერი-

ლების დამტარებელი გადაალაგებდა მათ ერთ ჩანთაში, რომელიც მხარზე ან კისერზე გადაკიდული მიჰქონდა.

ერთადერთი მისი იარაღი, რომელიც იმდენად დაცვის საშუალებას კი არ წარმოადგენდა, რამდენადაც თანამდებობის სიმბოლოს, და აგრეთვე გველების დასაფრთხობ თავისებურ სამარჯვს, იყო ტარზე რგოლებჩამოცმული მოკლე შუბი. წერილების დამტარებელს ეკავა იგი ხელში და რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ ურტყამდა მიწაზე. რგოლები ხმამაღლა ჟღარუნებდა და ჩხარუნებდა, რითაც თითქმის ასი წელია იცნობდნენ ინდოეთში ფოსტალიონს.

ამ საბედისწერო დღეს წერილების დამტარებელი ჩვეულებრივ სისხამ დილით გამოვიდა ჯალარპეტიდან, მაგრამ მთის მწვერვალამდე მაინც ვერ მიაღწია. ყოველდღე მის მოსვლას მიჩვეულ სოფლის მცხოვრებლებს იმ დღეს არ გაუგონიათ მთავარ ქუჩაზე ჟღარუნი, რომელიც ფოსტალიონის გავლას ახლდა თან, მაგრამ ჩვეულებისამებრ აღმოსავლური დაუდევრობის შედეგად არ მიაქციეს ამას ყურადღება.

ნასადილევს რამდენიმე კაცი გაემგზავრა ჯალარპეტს. დაახლოებით გზის მეოთხედი ექნებოდათ გავლილი, რომ ღორღიან გზაზე შეამჩნიეს სისხლის ლაქები. შეჩერდნენ, რომ გამოერკვიათ, რაში იყო საქმე. უეცრად ერთ-ერთი თანამგზავრის მახვილმა თვალმა გზის გადაღმა ბუჩქის ახლო შეამჩნია წერილების დამტარებლის შუბი. მიხვდნენ, რაც მოხდა და მიაშურეს სოფელს დახმარებისათვის. შემდეგ კვლავ დაბრუნდნენ გზაზე და ბოლოს იპოვეს უბედურის ნახევრადშეჭმული გვამი.

პატელმა გაგზავნა იგივე გლეხები ჯალარპეტში, რომ ჩემთვის გამოეგზავნათ დეპეშა. დეპეშა მეორე დღეს მივიღე, თუმცა ჯალარპეტიდან ბანგალურამდე სულ რაღაც ოთხმოციოდე მილია.

გლეხებმა მიამბეს აგრეთვე, რომ ჯალარპეტის საპოლიციო ხელისუფლებმა წაიღეს გვამი გამოძიებისა და კრემაციისათვისო. მხოლოდ დილის ხუთი საათისათვის შევკრიბე ყველა საჭირო ცნობა, უფრო სწორად, რაც პატელმა და ადგილობრივმა მცხოვრებლებმა იცოდნენ ავაზას შესახებ. პატელმა მათხოვა თავისი სამგზავრო საწოლი, რომელიც წავიღე სოფ-

ლის განაპირას და დავწექი იქ, რათა გათენებამდე დარჩენილი ორი საათით დამესვენა. გამაღვიძა ხმამაღალმა ყეფამ ორი ნაგაზისა, რომლებიც აშკარად ეჭვის თვალით და უკმაყოფილოდ მათვალიერებდნენ მეცა და ჩემს საწოლსაც.

ელაგირის ახლოს არ იყო ნამდვილი ჯუნგლები, მაშასადამე არ იყვნენ არც ტყის ტომები. ამიტომ საკუთარი თავისა და გლეხების იმედით უნდა ვყოფილიყავი.

დილაადრიან დავიწყე გამოკითხვა, თუ სად შეიძლებოდა ყოფილიყო ავაზას ბუნაგი. ზუსტი პასუხი ვერ მივიღე, თუმცა ორი მწყემსი მარწმუნებდა, რომ ავაზა რამდენიმე კვირის განმავლობაში სამჯერ თუ ოთხჯერ ენახათ პერაიამალაის (რაც დიდ მთას ნიშნავს) შვერილზე გაწოლილი, მზეზე რომ თბებოდა. ელაგირთან მთავრდება ზეგანი და მასზე პერაიამალაის ერთადერთი მწვერვალია აღმართული. მისი სიმაღლე ოთხი ათას ხუთას ფუტს აღწევს ზღვის დონიდან.

დავბრუნდი კვლავ პატელის სახლში. მან მალე გაიღვიძა და დიდი ჩუმბოთი — წყლის ქვაბის ფორმის მრგვალი სპილენძის ჭურჭლით შემომთავაზა ცხელი რძე. ვთხოვე, მოეყვანა პერაიამალაიზე ავაზას მნახველი მწყემსები და გავეცილებინე შვერილამდე, რომელსაც, მათი სიტყვებით, ავაზა ხშირად მოინახულებდა ხოლმე. მწყემსები, ძალიან უკმაყოფილონი და აშკარად დამფრთხალნი, მაშინვე არ დამეთანხმნენ. პატელს დასჭირდა საკუთარი დამარწმუნებელი მეთოდების გამოყენება და დამუქრებაც კი, რომ თუ უარს იტყოდნენ, სამაგიეროს გადაუხდიდა მათ. ბოლოს მხოლოდ ამის შემდეგ შევძელი გავდგომოდი გზას.

პერაიამალაი მდებარეობს სოფლიდან აღმოსავლეთით დაახლოებით სამ მილზე იმ ადგილიდან, სადაც საცოდავი წერილების დამტარებელი მოკლა ავაზამ. მთამდე ხუთ მილზე დამუშავებული ყანებია. ჯუნგლები, რომლებიც პერაიამალაის ფარავს, აქ უკან იხევს და ძირს ეშვება ელაგირის ფერდობზე „ნახევარმთვარის“ იმ ნაწილში, რომელიც ჩრდილოეთისაკენ არის მიმართული. ყველაფერი ეს სრულიადაც არ მახარებდა, რადგან საფუძველი მქონდა მევარაუდა, რომ მწყემსებს შეეძლოთ დაენახა სხვა ავაზა და არა წერილების დამტარებლის მკვლელი.

პერაიამალაის მთის ძირთან რომ მივედით, ჩემმა თანამგზავრებმა მაჩვენეს თითქმის სამასი ფუტის სიმაღლეზე აღმართული კლდის შვერილი. ლანტანის ხშირი შამბნარი ფარავდა დაახლოებით პერაიამალაის ფერდობის ნახევარს შვერილის ძირამდე, საიდანაც უკვე ნამდვილი ტყე იწყებოდა. აქ ხდებოდა ის, რაც ხშირი მოვლენაა სამხრეთ ინდოეთის ტყეებში—პარაზიტული ლანტანის შამბნარი ნელა, მაგრამ ღრმად იჭრება ჯუნგლებში და ახმობს ხეებს. ელაგირის მთაგრეხილის მსგავსად პერაიამალაი კლდოვანი მთაა, რომლის ფერდობზე ხავსმოდებულ ლოდებში, კლდის ნაპრალებსა და გაუვალ შამბნარში ავაზას ძებნა უიმედო საქმე იყო.

ამიტომ დავკმაყოფილდი იმით, რომ ამოვირჩიე მთისძირას ამოსული ხე, და მერე დავბრუნდი სოფელში მისატყუარისათვის. პატელმა მომიყვანა ვირი. ამ შემთხვევაში თხა არ გამოდგებოდა, რადგან არ ვაპირებდი სახუნდარში ჯდომას. გარდა ამისა, ავაზას თხა რომ მოეკლა, შეჭამდა ერთ წამში, მაშინ როცა იგი ვირს ვერ მოერეოდა შესაჭმელად ერთ ჯერზე და მეორე ღამეს დაბრუნდებოდა ნარჩენების მისართმევად. მაგრამ თხასთან შედარებით ვირს ერთი ნაკლი აქვს, ის არ კიკინებს.

მე ვვარაუდობდი, თუკი ავაზა მთაზე ბინადრობს სადმე, მაღლობიდან უთუოდ დაინახავს ვირს-მეთქი. ამიტომ ავიღე მაგარი ბაწარი და ვუბრძანე მწყემსებს, ჩემს მიერ დანიშნულ ხეზე მიებათ ვირი.

ამის შემდეგ პატელი და სამი თუ ოთხი გლეხი წამოვიდნენ იმ ადგილის საჩვენებლად, სადაც წერილების დამტარებელი იქნა მოკლული. იგი მდებარეობდა სოფლიდან ნახევარ მილზე, სწორედ იქ, სადაც ჯალარპეტიდან მიმავალი გზა გადის ლანტანებსა და ლოდებს შორის. მართალია, მე აქ გავიარე გასულ ღამეს, როცა მთაზე ავდიოდი და ნათურით გზას ვინათებდი, მაგრამ სისხლის ლაქები არ შემიმჩნევია. ეს, უეჭველად, კარგიც იყო, თორემ ჩემი მშვიდი განწყობილებიდან ნასახიც არ დარჩებოდა.

როგორც უკვე ვთქვი, წერილების დამტარებლის გვამი გადატანილ იქნა ჯალარპეტში კრემაციისთვის, ამიტომ დაყოვ-

ნებას არავითარი აზრი არ ჰქონდა — ვინაიდან რაიმე ახლის მიკვლევას, სულ ერთია, ვერ მოვახერხებდი.

ბილიკიდან ზეკით დაახლოებით სამასი იარდის მანძილზე ხარობდა კაკლის ხე კეშიუ; პატელს ვთხოვე ამ ხის ქვეშ მიება კიდევ ერთი ვირი.

შემდეგ ჩვენ დავბრუნდით უკანვე სოფელში და ვურჩიე იქ, სადაც ყველაზე ახლოსაა სოფელთან ბუჩქნარი, დაებათ მესამე ვირი. პატელს კვლავ დასჭირდა მთელი თავისი გავლენის გამოყენება, რომ ვირი ეშოვა.

დღის პირველი საათისთვის სამზადისს მოვრჩით და მოლოდინის გარდა სხვა აღარაფერი დამრჩენოდა. დაიმედებული ვიყავი, რომ ღამის განმავლობაში ავაზა, თუ რომელიმე მათგანს წააწყდებოდა, სამიდან ერთ-ერთ ვირს მაინც მოკლავდა. თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომ ამ ხნის მანძილზე ავაზას არც ისე ბევრი ადამიანი მოუკლავს, ის, ცხადია, სხვა ნანადირევით საზრდოობდა.

პატელი გამიმასპინძლდა საკუთარი ბოსტნიდან მოწეული ცერცვით, ბადრიჯნითა და ხახვით შემზადებული, ბლომად პილპილმოყრილი ბრინჯის კერძით. ძალზე ცხარე, პილპილიანმა საჭმელმა სახეზე სიმწრის ოფლი დამასხა. ეს რომ შემამჩნია, განცვიფრებულმა მასპინძელმა ბოდიშის მოხდა დაიწყო. მაგრამ სიტყვა შევაწყვეტინე და დავარწმუნე, სადილი ძალიან მომეწონა-მეთქი. შემდეგ ორი ყლუპი ყავა მოვსვი და სრული კმაყოფილება ვიგრძენი.

დრო რომ მომეკლა როგორმე, წავედი ჩემს ფერმაში და საღამომდე იქ ვიხეტიალე. მე მგონი, თქვენთვის ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ გეტყვით, რომ ჩემი პატარა ნაკვეთი ნარგავებით იყო სავსე. აქ ხარობდა მელნის ხე, რომლის ნაყოფისაგან მელნის დასამზადებლად შავ სითხეს იღებდნენ ნიშნებისათვის. ჩვეულებრივ სამრეცხაოებისა და დხობის* მოსამსახურენი, ვიდრე რეცხვას შეუდგებოდნენ, თითოეული საგნის კუთხეში პატრონის ინიციალებს მიაწერენ ხოლმე. ამ მელნით გაკეთებული ნიშნები არ იშლება. პურის სამი ხე ორიდან თორმეტ გირვანქამდე ნაყოფს მაძლევდა, გარდა ამი-

---

* ტრადიციული წესით მრეცხავთა კასტა.

სა, ფერმაში ხარობდა გუაიავისა და ატმის რამდენიმე ხე და ბოსტანი ნაკვეთებად მქონდა დაყოფილი. ჩალანარევი თივის სქელი ფენით დახურული და თიხატკეპნილ კედლებიანი ორი კოტეჯის წინ ვარდებისა და კროტონების პატარა ბაღი იყო გაშენებული. იმ დროს მოვაშენე ორმოცამდე სხვადასხვა ჯიშის ქათამი. მათ რიცხვში ლეგორნები, როდესი, შავი მინორკები და აგრეთვე ათამდე იხვი. სასმელ წყალს ვიღებდით პატარა ჭიდან, რომელშიც წყლის გასაწმენდად გავუშვი ბანგალურიდან მოყვანილი რამდენიმე თევზი. ნაკვეთს კოტეჯის ფასადის წინ ესაზღვრებოდა პატარა ნაკადული, დანარჩენი სამი მხრიდან კი მწკრივად დარგული ბამბუკის ხეები. ნაკვეთი თუმცა პატარა, მაგრამ კვირაობით დასასვენებლად არაჩვეულებრივად მყუდრო კუთხე იყო.

ჩემი მიწის ნახევარი დაახლოებით მდებარეობდა დაბლობში, რომლის განაპირას მიედინებოდა ნაკადული. იქედან მოსარწყავი წყალი გამოვიყვანე და მომყავდა ოდესღაც ბირმიდან მოტანილი შავი ბრინჯის ნაირსახეობა, ცნობილი სახელწოდებით „ბრინჯი პეგუდან“*. ინდოეთში ის ჯერ კიდევ იშვიათად იყო გავრცელებული. ბევრმა დათესა, მაგრამ არასახარბიელო შედეგი მიიღო.

ფერმა მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ მასზე დადიოდა ხმები, თითქოს ერთ-ერთ კოტეჯს ხშირად მოევლინება ხოლმე ანგლო-ინდოელი** ლედის ძმის აჩრდილი, რომლისგანაც 1941 წელს ვიყიდე ფერმა ხუთას რუპიად, ანუ ოცდათხუთმეტ სტერლინგად. ყოფილი პატრონი გარდაიცვალა, მარცხენა ხელსა და მკერდში რაღაც ფარული ავადმყოფობის მტანჯავი ტკივილის მოულოდნელი შეტევებისაგან. შესაძლოა, ეს იყო გულის ანგინა. მას უსაზღვროდ ყვარებია თავისი ფერმა, რომელიც მწირ ადგილზე გაუშენებია და აქვე ოცდახუთ წელზე მეტი უცხოვრია. უშვილძიროდ გადაშენებულს ფერმა თავის დისთვის დაუტოვებია. ამბობდნენ, რომ პატრონის სიკვდილის შემდეგ ფერმის აბლოს მიმავალნი დაბინდებისას ხშირად ხე-

---

* ოლქია ბირმაში.

** ანგლო-ინდოელები — ინგლისელებისა და ინდოელების შერეული ქორწინებისაგან დაბადებული ბავშვები.

დავდნენ მას ერთ-ერთი კოტეჯის წინ. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ სოფლის მცხოვრებლები გვერდს უვლიდნენ ფერმას.

განსვენებულის დას ალბათ ეგონა, გავიგებდი თუ არა აჩრდილის შესახებ, შეიძლებოდა უარი მეთქვა პირობაზე და მისი „გამოცხადების“ ამბავი მაცნობა მხოლოდ მეორე დღეს, როცა ყიდვა-გაყიდვის საბუთები გავაფორმე ნოტარიუსის თანაშემწესთან და მისივე თანდასწრებით გადავიხადე ფული. ის მარწმუნებდა, რომ ზოგჯერ მისი ძმა დაეხეტება ორივე კოტეჯის გარშემო, რომ მას ცხადლივ დაენახა აჩრდილი მთვარის შუქზე ვარდის ბუჩქებთან, რომლებიც განსვენებულს განსაკუთრებით უყვარდა, მაგრამ უმალვე დასძინა, რომ „სული“ სრულიად უწყინარია, ხმას არ იღებს და არავის უსიამოვნებას არ აყენებს, ადამიანის მიახლოებისას კი უმალვე გაუჩინარდება ხოლმეო.

კინაღამ დამავიწყდა მეთქვა, რომ კოტეჯთან ერთად მერგო ძველი ავეჯი: საწოლი თითოეულ კოტეჯში, ტუალეტის დამტვრეული მაგიდა, ორი კარადა და სამი თუ ოთხი ფეხმოტეხილი სკამი. ძველებურ საწოლში ბადის ნაცვლად ფიცრები იყო ჩადებული.

კარგად დამამახსოვრდა პირველი ღამე, რომელიც გავატარე იმ კოტეჯში, სადაც ფერმის პატრონი გარდაიცვალა; წვიმდა და მეორე კოტეჯის სახურავში წყალი ჩამოდიოდა, გავშალე პლედი პირდაპირ ლოგინზე და დავწექი დასაძინებლად. უსწორმასწორო ფიცრები ზურგში ჩამეჭდო და კარგა ხნის წვალების შემდეგ გადავწყვიტე, რომ იატაკზე დაწოლა უფრო მოხერხებული იქნებოდა. ცხადია, ელექტროგანათების ხსენებაც არ იყო, ამიტომ ავანთე სანთელი. გავშალე პლედი იატაკზე, ჩავაქრე სინათლე და დავწექი. ამჯერად ბედმა გამიღიმა და უმალვე დამეძინა.

არ ვიცი, რომელი საათი იქნებოდა, რომ გამომეღვიძა. ჯერ სრულიად ბნელოდა. რაღაც მძიმე და სლიპინა მოიწევდა ჩემსკენ. მოძრაობა შეწყდა და ორი გათოშილი თითი შემომეჭდო ყელზე.

ბუნებას არ დავუჯილდოებივარ მდიდარი წარმოსახვით, არ მეშინია სიბნელის და არც ცრუმორწმუნე გახლავართ, მაგ-

რამ აქ უმალვე აზრად მომივიდა გარდაცვლილი პატრონის აჩრდილი და გამახსენდა, რომ ფარანი ფანჯრის რაფაზე დავტოვე, და ასანთიც არ ვიცოდი, სად წავიღე. ყველა ამ აზრმა თავში გამიელვა ერთდროულად, ოფლიანი თითები კი აშკარად მოძრაობდნენ და მეჩვენებოდა, რომ კიდევ უფრო მაგრად მიჭერდნენ ყელზე. ვიგრძენი, თმა როგორ დამიდგა ყალყზე. შეძრწუნებული წამოვხტი ზეზე და ვეცი ფანჯარას ფარნისათვის, მაგრამ სიჩქარეში გადავაბრუნე სკამი, რომელიც ნაწილებად დაიშალა. ხელების ფათურით გაშმაგებული დავრბოდი სიბნელეში და ბოლოს მივაგენი ფარანს, დავაჭირე ღილაკს თითი, რომ ჩემსკენ გამოწვდილი აჩრდილის ცივი ხელები დამენახა. მის ნაცვლად იატაკზე იწვა არნახული სიდიდის გომბეშო. შავი, სრიალა, ზომით თითქმის ერთი ფუტი იქნებოდა, კოტეჯში მოცოცებულიყო, რომ წვიმისაგან თავი შეეფარებინა.

ეს შემთხვევა ადასტურებს, თუ რა უკიდურესობამდე შეუძლია მიიყვანოს ნერვებს ადამიანი. მე პირდაპირ გათავებული ვიყავი შიშისაგან იმის გამო, რომ რაღაც შეუცნობელს, ზებუნებრივს შევეჩეხე, რამდენიმე წამის შემდეგ კი ჩემს თავზე მეცინებოდა და საშინაო ფეხსაცმლის წვერი წავკარი გომბეშოს კარისაკენ და წვიმაში გავაგდე.

მეორე დილას სამივე მოსატყუარი ცოცხალი აღმოჩნდა და მთელი დღე კვლავ ფერმაში გავატარე. კიდევ ერთმა ღამემ განვლო და ვირები კვლავინდებურად კარგად გრძნობდნენ თავს, მაგრამ რაღაც სიახლეებმა იჩინა თავი. წერილების დამტარებლის სიკვდილის შემდეგ მთაში ფოსტა მოჰქონდა სამ პირს: წერილების ახალ დამტარებელს და მის ორ მცველ ჩაუკიდარს, ე. ი. ჩაფრებს. დამატებითი „თანამდებობის სიმბოლოს“ გარდა, რომელიც ავტომატურად გადავიდა დაღუპული ფოსტალიონის შემცვლელზე, ისინი შეიარაღებული იყვნენ პრიმიტიული შუბებით. სამივენი აღელვებულნი ყვებოდნენ, რომ სოფელში, ქვემოთ, ერთ მეოთხედ მილზე იმ ადგილიდან, სადაც წერილის დამტარებელი იქნა მოკლული, უნახავთ ავაზა, რომელიც მზეს ეფიცხებოდა.

პატელმა სოფლის ერთ-ერთი მცხოვრების პირით მაცნობა ეს ამბავი. ჩაუკიდარებმა იკისრეს ჩემი გაცილება. ჩვენ სწრა-

ფად გავიარეთ ორ მილზე მეტი მანძილი კლდემდე, მაგრამ შვერილი ცარიელი დაგვხვდა. კლდეებში ავაზას ძებნას, და ისიც ასეთ სიცხეში, არავითარი აზრი არ ჰქონდა. მაგრამ მე მიხაროდა ისიც კი, რომ ის დაინახეს: მაშასადამე, ის ჯერ კიდევ ამ მიდამოებში იმყოფებოდა. სანამ დავბრუნდებოდი, მე კვლავ დავათვალიერე კეშიუს ხეზე მიბმული მისატყუარი, და შევარჩიე ტოტი, რომელზეც აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლებოდა მაჰანის მოწყობა.

ღამემ ჩვენ მოგვიტანა წარმატება, ვირს კი — სიკვდილი: ავაზამ ის სიბნელეში მოაშთო და ნახევარი შეჭამა.

ეს ნახა სისხამ დილაზე ხალხმა, რომელიც გავგზავნე ვირების დასარწყულებლად და საკვების მისაცემად. ავაზას ნამუსრევს ფოთლები მიაყარეს, რომ სვავებს არ შეეჭამათ, და დაბრუნდნენ ახალი ამბის საუწყებლად.

ადრე ვისაუზმე, შემდეგ სწრაფად დავტაცე ხელი პალტოს, ფარანს, მათარას ჩაით, ცოტაოდენ ნამცხვარს და გავეშურე სოფლისაკენ, სადაც პატელმა სიამოვნებით მათხოვა ჩარპაი*. ოთხმა გამყოლმა საწოლი კაკლის ხესთან გადაიტანა, ჩამოკიდა და მიამაგრა ბაწრებით. მე ვაჩვენე მათ, როგორ შეენიღბათ საწოლი წვრილი ტოტებითა და ფოთლებით, რომ არ გამოჩენილიყო, რადგანაც ვიცოდი, თუ როგორი მნიშვნელობა აქვს ამას. მცირეოდენ დაუდევრობას შეუძლია გამოიწვიოს წარუმატებლობა. გადაბრუნებული ფოთლები, ერთი მხრიდან გამოჩენილი ჩარპაი, ხის ქვეშ დაყრილი ტოტები და ფიჩხი — ყველაფერი ეს კაციჭამიას ეჭვს იწვევს, რომელიც ყოველთვის დიდი სიფრთხილით უბრუნდება დატოვებულ ნანადირევს.

ყველაფერი რომ დავამთავრეთ, მე მხოლოდ ერთი ნაკლი შევამჩნიე — მაჰანი ძალიან დაბლა გვქონდა მოწყობილი — მიწიდან არა უმეტეს ათ ფუტზე იყო. თანაც ხეზე ასვლა სიძნელეს არ წარმოადგენდა.

---

* ინდური საწოლია, წარმოადგენს ოთხ ფეხზე მდგარ თოკებით გადახლართულ ხის ჩარჩოს.

დაახლოებით სამის ნახევარზე ჩემი თანმხლები ხალხი წავიდა. მე მათ დავავალე, თუ ღამე არ დავბრუნდი სოფელში, გარიჟრაჟზე მოდით-მეთქი, და მოვიკალათე სახუნდარში. ცხელი დღე იყო, ირგვლივ უზარმაზარ გავარვარებულ კლდეებს პაპანაქება სიცხისაგან ბუღი ასდიოდა. ხე ცუდად მიცავდა სიცხისაგან გათანგულს და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა მოსაღამოვდა და ბზე მაისურის პლატოს უკან ჩაეშვა. შორს ჩემს ქვემოთ მდებარე დაბლობზე მე შემეძლო კარგად გამერჩია ჯალარპეტი და სადგურის ლიანდაგზე მანევრირებული ორთქლმავლების ორთქლის მოყვითალო ფერის ღრუბლები. დრო და დრო სიჩუმეში გარკვევით ისმოდა ჩამომდგარ და გამავალ მატარებელთა შემადგენლობის სასტვენის ხმა.

დაბინდებისას სადღაც შორს ფარშევანგმა დაიყვირა და წყვილმა თხაწველიამ გადაგვიფრინა ახლოს. მთის ფერდობზე ვიმყოფებოდი დასავლეთისკენ პირშებრუნებული და შემეძლო თვალყური მედევნებინა, როგორ მუქდებოდა მინდვრები, თითქოს შავ წამოსასხამში ეხვევიანო. ამავე დროს ჩემს ზემოთ მთის მწვერვალზე ჯერ კიდევ კიაფობდა წარმავალი დღის უკანასკნელი ათინათი. ჯალარპეტის ჩირაღდნები თანდათან ჩაქრა. ხან აქ, ხან იქ ვარჩევდი რკინიგზის სიგნალების წითელსა და მწვანე სინათლეებს. ჩრდილოეთიდან ჯალარპეტში მოდიოდა მატარებელი. ორთქლმავლის მთავარი ფარანი წინ შორს მანძილზე აწვდენდა შუქს. მატარებელი მიადგა აღმართს და მისი გადალახვისას ლოკომოტივის ქშენა ასე ჩამესმოდა: „თუ ის შესძლებს ამის გაკეთებას... მეც შევძლებ... თუ ის შესძლებს ამის გაკეთებას... მეც შევძლებ...“ ეს ხმები და მუხრუჭების ღრჭიალი თითქოს სულ ახლოს ჩემს გვერდით გაისმოდა, თუმცა სინამდვილეში ეს ხმები არა ნაკლებ ხუთი მილის მანძილიდან აღწევდა.

წყვდიადში გავეხვიე. უმთვარო ღამე იყო. ცაზე შავი ღრუბლები სადღაც მიიჩქაროდნენ. ზოგიერთი მათგანი კი ელაგირის მწვერვალს გართხმოდა. უკუნმა სიბნელემ დაივანა. ციდან ვარსკვლავები ალერსიანად აღარ დამცქეროდნენ და ისღა დამრჩენოდა, რომ ჩემს სმენას მივნდობოდი მხოლოდ.

საღამოს მწერების ჩქამიც არ ისმოდა. ჭრიჭინაც კი გატ-

რუნულიყო. გაუნძრევლად ვიჯექი ჩამოკიდებულ საწოლზე, თავზე კი ნემსიპარიები დამბზუოდნენ, მესეოდნენ სახეზე, ხელებზე და თავისი ნემსა ხორთუმებით მჩხვლეტდნენ და მწვავე ტკივილს მაყენებდნენ. ვანძრევდი ხელის თითებს ანდა მსუბუქად გამოვწევდი ქვედა ტუჩს და ჩუმად ვიბერავდი სახეზე. ნემსიპარიების ნაწილი აფრინდებოდა ხოლმე, დანარჩენი კი განაგრძობდა ჩემს თავზე ტრიალს და თავს მაბეზრებდა კბენით.

მე შეჩვეული ვიყავი ჯუნგლებში მაჰანში ჯდომას და დროის ანგარიში დაკარგული მქონდა, ან რა ბედენაა დასაქეროდე საათს, თუკი დროს დაჩქარება ჩემს ძალას აღემატება.

ასეთი მდგომარეობის დროს თავში უამრავი აზრი ირევა და მრავალ მოგონებას ამოატივტივებს ხოლმე. ამ საღამოს რატომღაც ვფიქრობდი დიდი სისწრაფის განმავითარებელი ახალი ველოსიპედის გამოყენების პრობლემაზე, ვფიქრობდი, რომ მცირე ენერგიის დახარჯვით შევძლებდი უდიდესი მანძილის დაფარვას. რა არ მოუვა თავში კაცს, რომლის ტვინიც უმოქმედოდაა!

სუსტმა ოხვრამ შემაწყვეტინა ფიქრი. მივხვდი, რომ ავაზა მოვიდა ვირის ლეშის ნარჩენებისათვის.

ვიფიქრე, ფარნის ანთება და სროლა ნაადრევია-მეთქი. კეთილგონივრული იყო მეცლია ავაზასთვის შედგომოდა ჭამას. შემდეგ ძალიან ვნანობდი, რატომ მივიღე ასეთი გადაწყვეტილება და ხელი ავიღე სროლაზე, რომელიც წარმატების შეთხვევაში იხსნიდა კიდევ ერთი კაცის სიცოცხლეს.

დაიმედებული ველოდი, რომ გავიგონებდი ხორცის გლეჯის ხმას და ძვლების ხრამუნს, მაგრამ დრო გადიოდა, და ჩამიჩუმსაც არ მოუღწევია ჩემს ყურამდე.

გამოცდილებით ვიცოდი, როგორ უხმაუროდ ძალუძთ მტაცებლებს გადაადგილება, განსაკუთრებით ავაზას. რომელსაც უნარი შესწევს ჩუმად მოვიდეს და ისე წავიდეს, რომ შეუმჩნეველი დარჩეს დღისითაც კი. ახლა ის შესაძლოა ჩემგან ერთ იარდზე ან ერთ მილზეც კი იყო დაშორებული, მაგრამ განა ასეთ კუნაპეტ ღამეში გაარჩევდა კაცი რამეს!

დავხედე საათის მნათ ციფერბლატს, ცხრას აკლდა ოცი წუთი. გაუნძრევლად ვიჯექი. უკვე მეათე საათი დაიწყო, რომ უც-

ბად ჩემგან მარჯვნივ ქვების მხარეზე გავიგონე ყრუ ღრენა. რამდენიმე წუთის შემდეგ იგი განმეორდა.

როგორღაც ავაზამ გაიგო ჩემი იქ ყოფნა. სუნის აღება მას არ შეეძლო, რადგან ავაზას ან სრულიად არა აქვს, ან ძალიან სუსტი აქვს ყნოსვა, მაშასადამე, ავაზამ ან შემთხვევით აიხედა ზევით და დაინახა მაჰანი ანდა ინტუიციით იგრძნო.

ღრენა ახლა უფრო ხმამაღალი და ხანგრძლივი იყო. ავაზა საშინელ ხმებს გამოსცემდა და გადავწყვიტე, რომ ის ემზადება ჩემს შესაშინებლად, რათა მაიძულოს ჩამოვხტე ძირს, ანდა სანამ ხეზე ამოვიდოდეს, აქეზებს თავის თავს და კიდეც მოემზადა უკანასკნელი ნახტომისათვის.

ასე გაგრძელდა რამდენიმე წუთს, შემდეგ გაისმა თავისებური ხველა-ღრიალი; ავაზა ხის ძირას რომ მოვიდა თავდასასხმელად, მე გადავიხარე საწოლიდან, მოვსინჯე ფარნის გამომრთველი, გადავწიე შემნიღბავი ტოტები, რომ თოფი ქვევით მიმემართა. ვიცოდი, აჩქარება იყო საჭირო. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სახუნდარი მიწიდან არც თუ ისე მაღლა გვქონდა მოწყობილი, ხეც ძალიან მოხერხებული იყო ასაცოცებლად და ავაზას შეეძლო ლანდის უსწრაფესად დამსხმოდა თაკზე.

საუბედუროდ, მას ერთ-ერთი შემნიღბავი ტოტი დაეცა, რამაც, უეჭველად, ხელი შეუშალა მტაცებელს ხეზე ამოცოცებაში, მაგრამ ამავე დროს ჩამოეფარა ჩემი ფარნის სინათლეს. გადავიხარე ძირს, დავინახე როგორ ირხეოდა ტოტი და დავრწმუნდი, რომ ავაზა ტოტის ქვეშ იყო მოქცეული.

და აი ამ მომენტში წინდაუხედაობა გამოვიჩინე. ნაცვლად იმისა, რომ დავლოდებოდი, ვიდრე ჩემი მტერი განთავისუფლდებოდა ტოტისაგან, ნაჩქარევად დავუმიზნე იქ, სადაც მეგულებოდა ავაზა და თითი გამოვკარი ჩახმახს. თოფი გავარდა და მომეჩვენა, სხეულმა ზღართანი მოადინა. წამსვე გავიფიქრე, რომ მოვკალი. მიწაზე დაცემისას ტოტში გახლართული ავაზა განთავისუფლდა და ვიდრე თოფის ხელახლა გატენას მოვასწრებდი, თვალი ძლივს მოვკარი ბუჩქნარში გაუჩინარებულ მის ყვითელ სხეულს.

ფარანი იმ მიმართულებით მივანათე, სადაც იგი გაუჩინარდა, მაგრამ ვერაფერი დავინახე და ვერც ვერაფერი გავიგონე. ირგვლივ სიჩუმე სუფევდა. შესაძლოა, ავაზა ბუჩქნარში ეგდო

მკვდარი ან დაჭრილი, ან კიდევ შორს წავიდა და გადაიკარგა. ამის გამორკვევა შეუძლებელი გახდა.

მე განვაგრძობდი ფარნის შუქით გარშემო ძებნას. შემდეგ გამოვრთე ფარანი იმ იმედით, რომ სიბნელეში რაიმე ხმაურს მოვკრავდი ყურს. ერთი საათის შემდეგ ალალბედზე გავისროლე ბუჩქნარში. გასროლის ხმის გამოძახილი მრავალგზის განმეორდა, მაგრამ ავაზას სიცოცხლის ნიშანწყალი თითქოს გამქრალიყო.

თორმეტის ნახევრამდე ველოდე. მადრას-კოჩინის ექსპრესის ხმამაღალი სტვენა რომ გავიგონე, ჩამოვედი ხიდან და გავსწიე კოტეჯისაკენ. თანაც სრულიად დამშვიდებული ვიყავი, რომ თუ ავაზა დაჭრილი იყო და სადმე ახლოს იმყოფებოდა, როგორმე გამოეხმაურებოდა ჩემს უკანასკნელ გასროლას.

გზადმიმავალმა სოფელში შევუხვიე, პატელსა და აღელვებულ გლეხებს ვუამბე ყველაფერი, რაც მოხდა.

მეორე დღეს დილაადრიან დავბრუნდი სოფელში, ოცმა კაცმა მოისურვა ჩემი გაყოლა დახმარების გასაწევად. ჩემივე რჩევით, იმათ წამოიყვანეს რამდენიმე ნაგაზი და საკმაოდ მრავალრიცხოვანი რაზმით, რომ თავი უშიშრად გვეგრძნო, გავეშურეთ კაკლის ხისაკენ.

ვირის ლეში ხელუხლებელი აღმოჩნდა. ხის ქვეშ მიწაში ნატყვიარი გვიჩვენებდა, თუ სად გაიარა ტყვიამ. სისხლის ნაკვალევი არ ჩანდა. გულდასმით დავჩხრიკეთ ბუჩქნარი, სადაც ავაზა გაუჩინარდა და საითკენაც მეორედ გავისროლე თოფი, დავათვალიერეთ აგრეთვე ლოდები და დაბალი ტყის დიდი ნაკვეთი. აშკარა იყო, რომ ტყვია ავაცდინე და ავაზამ თავს უშველა.

თითქმის ზიზღს ვგრძნობდი ჩემი თავის მიმართ, ისე დავბრუნდი თანამგზავრებთან ერთად სოფელში, სადაც პატელს ვაცნობე, რომ დრო მეტი აღარ მრჩება და მივემგზავრები ბანგალურში. თუმცა ვთხოვე, თუ რამე მოხდეს, კვლავ მიდეპეშეთ-მეთქი.

მადრასის ექსპრესით ჯალარპეტზე გავლით შაბათ საღამოს ჩავედი სახლში.

ასე დასრულდა ელაგირელ კაციჭამია ავაზასთან ჩემი შეხვედრის პირველი ტური.

მიუხედავად ყოველგვარი მოლოდინისა, პატელს არაფერი შეუტყობინებია. ორი თვის შემდეგ მივწერე მას წერილი. პასუხად პატელმა მაცნობა, რომ ავაზაზე არაფერი ახალი ცნობები არ ჰქონდა. ამას იმ დასკვნამდე მივყავდი, რომ ავაზამ ან ხელი აიღო კაციჭამიობის ჩვევებზე ანდა ელაგირიდან სამხრეთით თხუთმეტი კილომეტრის მანძილზე მდებარე ჯავადის მთაგრეხილი გადალახა და მიიმალა. მაგრამ თუ უკანასკნელი ვარაუდი სწორი იყო და ჯავადის მთებში ვინმე იქნებოდა მოკლული, მე ამას გაზეთებიდან ან მთავრობის ცნობებიდან შევიტყობდი. ამიტომ პირველი ვერსია მიმაჩნდა სწორად, რა თქმა უნდა, ჩემს შემთხვევით გასროლილ ტყვიას შეეძლო მოხვედროდა მიზანში და ცხოველი სადმე განმარტოებულ ადგილას მიხოხებული, იქვე მომკვდარიყო, მაგრამ ეს საეჭვოდ მეჩვენებოდა.

გავიდა კიდევ ცხრა კვირა, და პატელისაგან მივიღე დეპეშა: ავაზა კვლავ გამოჩნდა და მოკლა ადამიანიო. მთხოვდნენ, სასწრაფოდ ჩავსულიყავი. ორ საათში მე უკვე მატარებელში ვიჯექი.

დაახლოებით საღამოს ცხრის ნახევარზე ჩავედი ჯალარპეტში. ამ დროს სოფელში წასვლას აზრი არ ჰქონდა და გადავწყვიტე გამომეძინა რამდენიმე საათს მოსაცდელ დარბაზში, გარიჟრაჟზე კი ავსულიყავი მთებში. ეს გეგმა არაგონივრული აღმოჩნდა. ძალიან ფხიზელი ძილი ვიცი და გამვლელი მატარებლების ხმაური წამდაუწუმ მაღვიძებდა. გარდა ამისა, ნემსიპარიებისა და ბაღლინჯოების თავდასხმამ — ეს უკანასკნელნი მგონი სკამში ბუდობდნენ — მაიძულეს გავსულიყავი ბაქანზე და დილის ხუთ საათამდე მეხეტიალა. ელაგირზე ასვლას რომ შევუდექი, უკვე ინათა და რვის თხუთმეტ წუთზე მივაღწიე სოფლამდე.

ჩემი მეგობარი პატელი ჩვეული გულთბილობით მომეგება და რძიანი ცხელი ყავა შემომთავაზა, მან მიამბო, ჯერ სამი დღის წინ დილით ავაზას მოეკლა ქალიშვილი, რომელიც წყლის მოსატანად წასულიყო ნაკადულზე პერეიამალაის მთის ძირას. თანასოფლელ გლეხებს მალე აღმოეჩინათ გვამის ნაჩენები და წამოეღოთ საკრემაციოდ. ავაზას გვამის მცირე ნაწილის

შეჭმა მოესწრო, შესაძლოა, მას ხელი შეუშალა ქალიშვილის საძებნელად წასულმა ხალხმა.

გადავწყვიტე, ამჯერად ცოცხალ მისატყუარად გამომეყენებინა თხა და ჩავმჯდარიყავი მისატყუარის თავზე სახუნდარში, რადგან ელაგირში ოთხ დღეზე მეტხანს დარჩენა არ შემეძლო. პატელმა გამაფრთხილა, რომ თხა ოც რუპიამდე ეღირებოდა. ელაგირში თხები ცოტა იყო, და პატრონებმა რომ გაიგეს მასზე დიდი მოთხოვნილება არისო, ფასები აუწიეს. ჩავაბარე პატელს ფული და ჯერ ჩემს ფერმას მივაშურე.

შუადღისას ბანგალურიდან წამოღებულ ცივ საუზმეს შევექეცი, წმერე დავბრუნდი სოფელში და ვნახე, რომ თხა ჯერ კიდევ არ მოეყვანათ.

დღის ორი საათის შემდეგ მოიყვანეს შავი თხა. ის იმ ასაკში არ იყო, რომ მარტო დარჩენილს კიკინი დაეწყო და ავაზას ყურადღება მიექცია. გარდა ამისა, ზოგიერთ ავაზას შავი და თეთრი თხები სიფხიზლეს მატებენ. ჩვეულებრივ, მისატყუებლად ყველაზე კარგია ყავისფერბალნიანი ცხოველი, რომელიც ავაზას ბუნებრივ ნადავლს, გარეულ ცხოველს მოაგონებს. მაგრამ თხის გამოცვლა უკვე გვიან იყო.

მე თან გამომყვა პატელი და ოთხი თუ ხუთი გლეხი: მათ მოჰქონდათ ნაჯახები, ბაწრები და იგივე ჩარპაი, რომლითაც წინათ ვარგებლობდი. გზაში ერთი საათიც არ დამჭირვებია იმ სოფელში მისასვლელად, სადაც მოკლული ქალიშვილი ცხოვრობდა. იქ ჩვენ შემოგვიერთდა კიდევ ორი გლეხი. ადგილი, სადაც თავდასხმა მოხდა, მდებარეობდა სოფლიდან დაახლოებით სამ მეოთხედ მილზე, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიმდინარე ნაკადულის ახლოს. მისი ქვიშნარიანი ნაპირები ხშირი ლანტანითა და ეკლიანი ბუჩქებით იყო დაფარული. ავაზა თავს დაესხა ქალიშვილს გლეხების მიერ არც ისე ღრმად ამოთხრილი გუბურის ახლოს, სადაც გვალვიან პერიოდში ნაკადულის დაშრობისას წყალი ჰქონდათ მომარაგებული. ცხადია, კაციჭამიამ მიიტაცა ქალიშვილი ლანტანის ბუჩქების საფარიდან.

ყველაფერი იმაზე მეტყველებდა, რომ ამ ავაზას კაციჭამიასათვის საკმაო სრულიად არაჩვეულებრივი ჩვევები გააჩნია. იგი კვლავ ბინისით, მზისით დაესხა თავს ადამიანს. ასე იქცევიან მხოლოდ ვეფხვები, მაშინ როდესაც ბუნებით მშიშარა კაციჭა-

მია ავაზები ჩვეულებრივ ეპარებიან ხოლმე თავიანთ მსხვერპლს სიბნელეში. მე ვფიქრობდი, როცა ქალიშვილი მოვიდა, ცხოველი უკვე ტევრში იწვა და ვერ დააღწია თავი ცთუნებას და იგემა გემრიელი ლუკმა, რომელიც მოულოდნელად თათებში ჩაუვარდა.

ჩავიმუხლე და გულდასმით დავათვალიერე ლანტანის შამბნარი და მისი ახლომახლო ადგილები. ჩემი მოსაზრება დადასტურდა: ერთ-ერთი ბუჩქი წარმოადგენდა ავაზას ვრცელ თავშესაფარს, რომლის ძირსაც მიწა დაფარული იყო ხმელი სქელი ფოთლებით და ნაკვალევის აღმოჩენის საშუალებას არ გვაძლევდა, მაგრამ გარეული ცხოველის გარკვეულმა, ოდნავ საგრძნობმა სუნმა დამარწმუნა, რომ ავაზა დროგამოშვებით სარგებლობდა ამ თავშესაფარით.

გავიხარე: თუკი ავაზა მოდიოდა აქ წინათ, კვლავაც მოვიდოდა. გარდა ამისა, პერაიამალაი მდებარეობდა აქედან დაახლოებით ნახევარ მილზე და მისი მწვერვალის კლდეებსა და ნაპრალებში ავაზას შეეძლო ჰქონოდა მუდმივი ბუნაგი. მაშინ თავშესაფარი ლანტანში მისთვის იყო ყველაზე მოხერხებული ადგილი, სადაც იგი წყლის დასალევად მოსულ ცხოველებს დარაჯობდა ხოლმე.

მდგომარეობა რომ შევისწავლე, ერთმა აზრმა გამიელვა თავში: უნდა გავმართო რამდენადაც შეიძლება ბუნებრივი სცენა, ესე იგი, ისე უნდა მივაბა თხა გუბურის მახლობლად, თითქოს ის წყლის დასალევად მოვიდა. მე კი უნდა დავასწრო ავაზას და დავიმალო ბუჩქის ქვეშ. გაიგონებს თუ არა თხის კიკინს ანდა დაინახავს მას მთიდან, უმალვე გამოეშურება საფარისაკენ, სადაც მე დაველოდები.

ჩემი გეგმა გავაცანი თანამგზავრებს, მათ იგი მოიწონეს. მხოლოდ პატელს მიაჩნდა უაზრობად თავის ასეთ საფრთხეში ჩაგდება. დავარწმუნე ის, რომ რისკი არც ისე დიდია: ლანტანის ხშირი შამბნარის გამო ავაზას შეეძლო ჩემთან მოსვლა მხოლოდ ერთი მხრიდან. ამასთან მისი ყურადღება მიპყრობილ იქნება თხაზე და, არა მგონია, ეჭვი აიღოს, რომ მტერი მისსავე საკუთარ თავშესაფარშია ჩასაფრებული.

და აი, ჩავასვით მიწაში პალო, შემდეგ შევძვერი ბუჩქის ქვეშ, დავამაგრე ფარანი თოფის ლულაზე და კარგად გავსინჯე,

მუშაობდა თუ არა წესიერად. ეს ფარანი ახალი შეძენილი მქონდა, სამი ბატარეით იკვებებოდა და იძლეოდა ფოკუსისებურ სხივს. ბოლოს მშვიდად დავლიე ჩაი მათარიდან და პატელსა და გლეხებს ვუბრძანე მიებათ თხა უკანა ფეხებით პალოზე და წასულიყვნენ.

აქამდე თხა ცოტა მოშორებით გვყავდა, რომ ბუჩქებში დაშალული ადამიანი არ დაენახა: თორემ სიმარტოვეს აღარ იგრძნობდა და კიკინსაც არ დაიწყებდა.

ლანტანის ქვეშ ძალიან ცხელოდა. ვიდრე მზე ჩავიდოდა, სიბნელეში აღმოვჩნდი, თხამ რამდენჯერმე დაიკიკინა და გაჩუმდა, მარტო იმის იმედიღა მქონდა, რომ დაღამების შემდეგ ის კვლავ ამოიღებდა ხმას. მაგრამ იმედი გამიცრუვდა: ჩემამდე ჯერ დროგამოშვებით აღწევდა მისი ჩლიქების ბაკუნი და ბაწრისაგან განთავისუფლების ცდის ხმაური, მაგრამ მერე ყველაფერი მიწყდა. როგორც ჩანს, წყეულმა ცხოველმა დაიძინა, მე კი მთელი ღამე უნდა მეფხიზლა და სულ დაძაბულ მდგომარეობაში ვყოფილიყავი. როგორ მშურდა თხის ბედი!

ნემსიპარიები მაწუხებდნენ, რაღაც მწერები დაფუთფუთებდნენ ჩემს სხეულზე. შინაურ თაგვებზე მომცრო ტანის ტყის თაგვები დასუნსულებდნენ ხმელ ფოთლებში და დაცოცავდნენ ლანტანის ტოტებზე. რაღაც გრძელმა და რბილმა გაისრიალა ბუჩქის გასწვრივ. გველი... უვნებელი თუ შხამიანი – არ ვიცოდი. ნემსიპარიებისა და მწერების თავდასხმის მიუხედავად, სრულიად გაუნძრევლად ვიჯექი და ვერ გავიგონე, როგორ გასრიალდა ის.

ავაზა არსად ჩანდა. ღამის ფრინველებიც კი არ არღვევდნენ მყუდროებას. მოსაბეზრებლად გაჭიანურდა დრო. ჩემი მაჯის საათის მანათობელ ციფერბლატზე ისარი მშვიდად ზომავდა წუთებს. ძილი მერეოდა, მაგრამ ვცდილობდი არ ჩამეთვლიმა და ერთი წუთითაც არ ვხუჭავდი თვალებს. თავს ძალას ვატანდი გული გადამეყოლებინა და სხვა რამეზე მეფიქრა, მაგრამ ჩემი აზრები კვლავ თხისკენ იყო მიმართული.

თანდათანობით შემოტანებულმა ნაცრისფერმა სინათლემ გვამცნო ახალი დღის მოახლოება. მე გამოვძვერი ბუჩქიდან და ვგრძნობდი თავს ყველაზე საძაგელ ადამიანად მთელ ინდოეთში, თხას ფეხები შემოეკეცა და მაგრად ეძინა. ის ზანტად წამოდგა ფეხზე, დაუჩქარებლად დაიბერტყა სხეული, გაიქნია

თავისი მოკლე კუდი და დამცინავად შემომხედა, თითქოს სურდა ეთქვა: „აბა, რომელი ჩვენგანია სინამდვილეში თხა, შენ თუ მეო“?

თხა ავუშვი და მივუყვანე სოფელში პატელს. ის სწორედ წამოსასვლელად ემზადებოდა, რათა შეეტყო ჩემი წარმატებების შესახებ. ვთხოვე მას, დაებრუნებინა შავი თხა პატრონისათვის და ვუთხარი, მე თვითონ შევუდგები უფრო შესაფერი მისატყუარის მოძებნას-მეთქი. წავედი ჩემს კოტეჯში და შუადღემდე ვიძინე.

ავდექი, ძალზე მომშივნოდა, გავხსენი ორაგულის ქილა და ბანგალურიდან წამოღებული პურით შევექეცი. პური უკვე გამხმარიყო და ბლომად წავაცხე დაკონსერვებული კარაქი. ეს გახლდათ მთელი ჩემი საუზმე. პორტატიულ ფილა-პრიმუსზე ავადუღე ჩაი, რომელმაც მხნეობა შემმატა მორიგი ღამისთევისათვის. მოვაგროვე საჭირო ნივთები, გავავსე მათარა ჩაით და დავბრუნდი სოფელში. საბედნიეროდ, ისე თბილოდა, როგორც წინა ღამეს.

პატელს ვთხოვე გავეცილებინე სოფელში, სადაც შეიძლებოდა თხის შოვნა. გულდასმით შერჩევისა და გაცხარებული ვაჭრობის შემდეგ შევჩერდი ციკანზე, რომელსაც, ჩემი აზრით, უნდა ეკიკინა. დაახლოებით ოთხი საათისათვის წავედით ადგილზე, სადაც წინა ღამე გავატარე. ერთი საათის შემდეგ უკვე ვიჯექი ბუჩქის ძირას, ციკანი მიბმული იყო, ჩემი თანამგზავრები კი უკან დაბრუნდნენ.

როგორც კი ისინი თვალს მიეფარნენ და მიწყდა მათი ხმა, თხამ მორთო გაუთავებელი კიკინი. ასეთი წარმატებისათვის გუნებაში მივულოცე ჩემს თავს.

საღამოს ლანტანის ქვეშ კვლავ სიბნელემ დაისადგურა, თხა ხმამაღლა კიკინებდა, მე კი მოუთმენლად ველოდი ავაზას. გავიდა საათი და უეცრად ყური მოვკარი ნელ შრიალს, ხმელი ტოტების ოდნავ გასაგონ ტკაცუნს და მივხვდი, რომ ის მიახლოვდებოდა. საცაა დადგებოდა გადამწყვეტი მომენტი! ახლა მთავარი იყო, არ ამენთო ფარანი მანამ, სანამ ავაზა მთლიანად ჩემი მხედველობის არეში არ მოხვდებოდა, თორემ გაიქცეოდა. მაგრამ თუ დავაგვიანებდი, მას შეეძლო აღმოვეჩინე და თავს დამეხმოდა.

ნერვები უკიდურესობამდე მქონდა დაძაბული და ისე განვაგრძობდი ცდას. ირგვლივ ჩამიჩუმიც კი არ ისმოდა. უეცრად ჩემამდე მოაღწია ოდნავმა ქშენამ. მაშასადამე, ავაზამ გაიგო, რომ მე იქ ვარ. ის აიპურძგნა, უნდოდა დაეღრინა, და ამ დროს ხახიდან მაღალი ქშენა ამოსკდა. ახლა ან არასოდეს! თითი დავაჭირე ფარნის ღილს. მისი სინათლე პირდაპირ ავაზას სისხლით სავსე მოთეთრო თვალებს მიაწყდა. ჩემგან ათი ფუტის მანძილზე კარგად ვარჩევდი მის დრუნჩსა და მკერდს. ნაჩქარევად დავუმიზნე ყელში და ვინჩესტერის სასხლეტს გამოვკარი თითი. ავაზამ ნაბიჯი გადმოდგა წინ და უკანა თათებზე აღიმართა, მაგრამ მეორე ტყვია შიგ გულში მოხვდა, ზურგზე დაეცა და უეცრად სადღაც მიიმალა. რამდენიმე წუთს ისმოდა დამტვრეული ფიჩხის ტკაცანი, და მას მოჰყვა მომაკვდავი ცხოველის ბუყბუყისმაგვარი ხმა, რომელიც შეუძლებელია სხვა ხმას მიამსგავსო და ყველაფერი მიწყდა.

კიდევ ნახევარ საათს ველოდე, სანამ გავბედავდი ბუჩქიდან გამოსვლას. თუმცა თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ ავაზა მკვდარია, ხელში გატენილი თოფით გამოვედი საფარიდან. პირველი ჩემი სურვილი იყო ამეშვა ციკანი და თან წამეყვანა, მაგრამ შემდეგ გავიფიქრე, მოკლული ავაზა იქნებ არც კი იყო კაციჭამია-მეთქი. მაშინ სოფელში მაქსიმალური სიფრთხილით უნდა დავბრუნებულიყავი, არც თხის წაყვანა შეიძლებოდა, რადგან ის დიდ ხიფათს შემაჭეთხვევდა. ამიტომ თხა ადგილზე დავტოვე, მე კი ნელა და ფრთხილად გავწიე პატელის სახლისაკენ. იქ ჯერ კიდევ არ ეძინათ. ვუამბე, როგორ იყო ყველაფერი, წავედი კოტეჯში და ღრმად დავიძინე.

მეორე დღეს ვიპოვეთ ავაზას ლეში. ეს იყო ბებერი ხვადი ავაზა, რომელსაც საკმაოდ თხელი და უფერული ტყავი ჰქონდა და კაციჭამიას აშკარა ნიშნები ეტყობოდა: ეშვები ხანდაზმულობის გამო მოცვეთოდა, კლანჭები დასუსტებოდა. მაგრამ მხოლოდ დროს შეეძლო დაედასტურებინა ნამდვილად მოვსპე თუ არა მკვლელი.

დღისით ავაზას ტყავით დავეშვი ელაგირის მთებიდან.

ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, მაგრამ ელაგირსა და ჯავადში არ ყოფილა ადამიანის მოკვლის არცერთი შემთხვევა. ასე რომ მე ყველა საფუძველი მაქვს ვიფიქრო, რომ იმ ღამეს ბოლო მოვუღე კაციჭამიას.

თავი მესამე

მოხუცი მუნუსვამი და ავაზა მაგადიდან

ქალაქი ბანგალური, სადაც მე ვცხოვრობ, მდებარეობს ინდოეთის აღმოსავლეთ სანაპიროზე, რომელსაც გარს უვლის ბენგალის სრუტე, მდებარე მადრასისა და დასავლეთ სანაპიროზე, რომელსაც აკრავს არაბეთის ზღვა, მდებარე მანგალურის შემაერთებელ ხაზზე. ბანგალური ზღვის დონიდან სამი ათასი ფუტი სიმაღლის ტაფობზე მდებარეობს. იმას, ვისაც ამ ქალაქში უცხოვრია, არასოდეს დაავიწყდება მისი თავისებური ზომიერი, არცთუ ძალზე ტენიანი და გვალვიანი ჰავა, არ დაავიწყდება წლის ცივ სეზონში მომხიბვლელი ნისლი დილაობით ნოემბრიდან შუა თებერვლამდე და გამამხნევებელი სიგრილე დილაობით ზაფხულშიაც კი. სახელწოდება ბანგალური წარმოადგენს სიტყვა „ბენგალ ურუს“ ინგლისურ ვარიანტს, და კანადას ენაზე ნიშნავს „ცერცვის ქალაქს“, რითაც გაითქვა სახელი. ის, ვისაც ერთხელ მაინც უგემნია ბანგალურის ბოსტნეული და ინდური და ევროპული ჯიშის ხილი, ვერასოდეს დაივიწყებს მას.

მეორე მსოფლიო ომის ბოლომდე ბანგალური არ იყო დიდი სოფელი, მაგრამ სტრატეგიულმა მდებარეობამ და უდიდესმა პოტენციალურმა შესაძლებლობამ გადააქცია ის ინდოეთის ყველაზე პოპულარულ ქალაქად. ლტოლვილთა მოზღვავების შედეგად მისი მოსახლეობა სამჯერ გაიზარდა და გადაიქცა სწრაფმზარდ სამრეწველო ცენტრად.

მე აქ არ შევუდგები ბანგალურის დაწვრილებით აღწერას. მინდა მხოლოდ ვთქვა, რომ ვცხოვრობ ძალიან ლამაზ ქალაქში. ის რამდენიმე ბორცვზეა გაშლილი და თითოეული ბორცვიდან ჰორიზონტზე მოჩანს სამი მთა — ჩრდილოეთით, ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით. ეს მთები განლაგებულია ოცდათხუთმეტი მილის რადიუსზე, და თითოეულის სიმაღლე ოთხი ათას ფუტს აღემატება.

ყველაზე მაღალი — ჩრდილოეთის მთა ფაქტიურად ნანდიდრუგის ჯგუფის წარმომქმნელ სამი მთისაგან შედგება. „დრუგი“ ნიშნავს „მთის ციხე-სიმაგრეს“. სამი მწვერვალიდან ერთი სხვებზე უფრო წამოწეულია აღმოსავლეთისაკენ, და მართლაც დაგვირგვინებულია კარგად შემონახული ძველი ციხე-სიმაგრის ნაშთით. ის აგებული იყო მრისხანე „მაისურის ვეფხად“ წოდებული მუსულმანი მეომრის ტიპუ-სულთანის მიერ. სიმაგრე ცნობილია დაახლოებით ექვსასი ფუტი სიღრმის მქონე „ტიპუს ხრამით“. მრისხანე სარდალი აქ უსწორებდა ანგარიშს თავის მტრებს: ისინი თვალახვეულნი უნდა გასულიყვნენ უფსკრულზე გადებულ ვიწრო მოქანავე ფიცარზე. ის, ვინც შეძლებდა ბოლომდე გასვლას და უკან დაბრუნებას, გადარჩენილი იყო. თუმცა არსადაა მოხსენებული ასეთი ბედსვიანის შესახებ. 'მესაძლოა, ფიცარი ძალზე მაგრად ქანაობდა ან ძალზე მაგრად აქანავებდნენ — ვინ იცის? ისტორიკოსები აქამდე ვერ იძლევიან პასუხს ამ კითხვაზე.

ბანგალურიდან ჩრდილო-დასავლეთით შივანაგანგის მთაა აღმართული. მის მწვერვალზე დგას ტაძარი — ინდოელთა სალოცავი ადგილი. იქვე არის ჭა, რომელზეც ამბობენ, უფსკროაო. მეორე ვერსიით მასში იწყება ბანგალურში შემავალი მიწისქვეშა საიდუმლო ხვრელი.

აღმოსავლეთით მდებარე მესამე მთას ჰქვია მაგადი. თუ ბანგალურიდან უმზერთ, ის მოგაგონებთ შაქრის თავს, მაგრამ თუ

ზედ ახვალთ, აღმოაჩენთ აქლემის კუზის მსგავს ორ მაღლობს. მათ შორის გაწოლილია ხშირი ტყით დაფარული ხეობა, სადაც ციცაბო ფერდობების გამო ძნელია მოხვედრა. ხოლო თუ აქ ფეხი დაგისხლტათ, ისეთივე ცუდი ბოლო მოგელით, როგორც ტიპუს ტყვეებს.

ამ ხეობიდან დავიწყებ ჩემს მოთხრობას, რადგან აქ ჰქონდა ბუნაგი ავაზას, რომელიც შიშის ზარს სცემდა მთელ მაგადს.

მაგადის მაღლობი მდებარეობს გადაკვეთილ ადგილზე. მისგან სამხრეთით გადაჭიმულია სამოცდაათ მილზე დაცული ტყე, რომელიც ფარავს ბორცვების ჯაჭვს და სოფელ სანგამის მახლობლად მდინარე კაერამდე აღწევს.

ბორცვების ამ ჯაჭვის შუა ნაწილი, სადაც ყველაზე მაღალი მწვერვალები მჭიდროდ მიჯრილან ერთმანეთთან, ქალაქ კლოზეპეტსა და კანკანხალს შორის, სავსეა ავაზებით. ეს რაიონი ჩემი ვაჟიშვილ დონალდისათვის ნამდვილი სამოთხეა. მან იქ დაახლოებით ორმოცამდე ავაზა და ათზე მეტი დათვი დახოცა.

მაგადიდან დასავლეთით გადაშლილია დაბალი ბუჩქნარით დაფარული ვაკე. აქ უხვადაა შავი ირმები, კურდღლები, ფარშევანგები, კაკბები და მწყერები. ბორცვები გრძელდება ჩრდილოეთისაკენ, მაგრამ იქ ისინი გაცილებით დაბალია. აღმოსავლეთით უფრო ბორცვიანი ადგილია, ოცდათხუთმეტ მილზე კი ბანგალურია. ბანგალურისკენ მიმავალი გზა ოცდასამ მილზე ჰკვეთს შედარებით პატარა მდინარეს არკრავარტის იმ ადგილას, სადაც მოწყობილია საგუბარი. ამ წყალსაცავის მოცულობა იმდენად დიდია, რომ ის უზრუნველჰყოფს წყლით ბანგალურს ყველაზე გვალვიან წლებშიც კი.

ახლა თქვენ გაქვთ წარმოდგენა იმ ადგილზე, სადაც პირველად გამოჩნდა ჯიქი, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, მაგრამ ნუ იფიქრებთ, რაკიღა მე ამ მტაცებელს ჯიქი ვუწოდე— თითქოს მასში რაღაც არაჩვეულებრივი რამ იყოს. მე უკვე განვმარტე წიგნის დასაწყისში, რომ ავაზა და ჯიქი ერთი და იგივე ცხოველია. ინდოეთში, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, უფრო მეტ ხმარებაშია სახელწოდება „ავაზა“.

ამბავი, რომელიც მინდა გიამბოთ, მოხდა მეორე მსოფლიო ომამდე.

მაგადის მთის ძირში გაფანტულ ზოგიერთ მცირერიცხოვან

სოფელში ავაზამ მოკლა რამდენიმე თხა და ერთი თუ ორი სოფლის ნაგაზი. ამისათვის არავის მიუქცევია განსაკუთრებული ყურადღება, რადგან ამ ავაზების ნაშიერნი ასეთ თავდასხმებს ახდენდნენ ადამიანთა მრავალი თაობის თვალწინ.

მაგრამ დროთა განმავლობაში ავაზამ თანდათან თავი აიშვა. მან დაგლიჯა რამდენიმე მოზვერი და შემდეგ ძროხებსაც დაერია.

ინდოეთში ხარი წმინდა ცხოველად ითვლება და არც ერთი ინდოელი მის ხორცს პირს არ აკარებს. მიუხედავად ამისა, ხარი ასრულებს ყველა მძიმე სამუშაოს. ხარი ხნავს, ხარს აბამენ ორთვალაში. მას მოძრაობაში მოჰყავს აგრეთვე წისქვილის ვეებერთელა ქვები, რომლითაც ფქვავენ ჩუნამს — ჩამქრალ კირს. მიუხედავად იმისა, რომ ხარი აუცილებელია მეურნეობაში და ძვირადაც ფასობს, ადამიანები არც ისე დარდობენ, როდესაც ზოგჯერ ავაზა მოჰკლავს ხოლმე მას — ოღონდაც მთლად ღორმუცელად ნუ გადაიქცევა. მაგრამ როცა მტაცებელი იწყებს თავდასხმას მეწველ ძროხებზე, რომლის რძიდან შემდეგ ღებულობენ მთელ ქვეყანაში ფართოდ გამოყენებულ და ძვირად ღირებულ გხის — ერბოს, — ეს უკვე დანაშაულია და იგი უნდა აღიკვეთოს.

ბანგალურში ცხოვრობს (მე ვლაპარაკობ აწმყო დროში იმიტომ, რომ ის ამჟამადაც იქ ცხოვრობს) ერთი სუბიექტი, რომელსაც სახელად მუნუსვამი ჰქვია. იგი „ჯენტლმენი მონადირეების გამცილებლის“ როლს ჩემულობს. დიდი გაიძვერა ვინმეა. ქალაქში მოაქვს ახალი ამბები და ამცნობს მას ახალბედა გამოუცდელ მონადირეებს:

— ოსტატო, აქედან სულ თორმეტიოდე მილზე უაიტფილდის ახლოს ორმოცამდე ტახის კოლტია, რომლის დახოცვა სულ იოლი საქმეა.

ან:

— ოსტატო, ათ მილზე მაგადისკენ და თვრამეტ მილზე მაისურისკენ მიმავალ გზებზე მთის ირმის ჯოგებია, თითოეულში ორმოცდაათ-ორმოცდაათი სულია.

ცნობისათვის ის თხოულობს საკმაო გასამრჯელოს. თუ მუნუსვამი მოდის დანიშნულ დღეს, რომ გააცილოს ახალბედა აღნიშნულ ადგილამდე, ამ უკანასკნელს მხოლოდ ისღა დარჩე-

ნია, გაოცდეს, თუ სად გაქრა მრავალრიცხოვანი გარეული ტახები და შავი ირმები, რომლებიც, მუნუსვამის სიტყვით, აქ მრავლად იყო. მაგრამ ერთი წუთითაც კი არ იფიქროთ ეჭვის შეტანა მუნუსვამის სიმართლეში. ის ძალზე გაქნილი და გაიძვერა ვინმეა.

— აი, ოსტატო, — გეტყვით ის,—მე დიდიხანია გეუბნებოდით: ადრე უნდა ჩამოხვიდეთ-მეთქი. თქვენ არ დამიჯერეთ. გუშინ ჩამოვიდა მანქანით სახიბების — სამხედრო ოფიცრების შთელი ჯგუფი; მათ მოკლეს ორი ტახი. დანარჩენები კი უმალვე გაიფანტნენ. ეჰ, ოსტატო, ჩამობრძანდით მეორეჯერ!

ტახები და შავი ირმები — „საბავშვო სათამაშოებია“ მუნუსვამისათვის. რომ გაიგოთ, რისი გამკეთებელია ის, უნდა დაუკვირდეთ, თუ როგორ თავაზობს ავაზას შესაბებ ახალ ამბავს ვინმე უბედურ ახალბედას, რომელმაც უნდა მიიღოს ცხოვრების ახალი გაკვეთილი. ის გამოჩნდება ბუნგალოს ჭიშკართან, ან შეაჩერებს სახიბს გზაზე სიტყვებით:

— სარ, მე დიდი მონადირე გახლავართ — ჯენტლმენების გამცილებელი. მე ვუჩვენებ ოსტატს შავ ირმებს, ტახებს, ფარშევანგებს, კურდღლებს, კაკბებსა და მწვანე მტრედებს. იქნებ ოსტატს ჩიბუხა ან გარეული იხვები უყვარს? ისინი უამრავი არიან ხოლმე დეკემბერში კისტმისის * დროს. ოსტატს სურს მოკლას ირემი ან ძალიან დიდი ავაზა? თხუთმეტ მილზე აქედან, კანკანხალში მიმავალ გზაზე ვეებერთელა ავაზაა. თუ ოსტატი გაიღებს ავანსად თხუთმეტ მონეტს, მე დანიშნულ ადგილას დავაბამ ცოცხალ ვირს და ვაცნობებ ოსტატს. აგრეთვე მოვაწყობ ძალზე ჩინებულ მაჰანს და ოსტატი ძალზე ადვილად მოკლავს ავაზას.

ახალბედა გაოცებულია. ცოცხალი მისატყუარი სულ რაღაც თხუთმეტ რუპიად? ავაზა აქედან მხოლოდ თხუთმეტ მილზე? ვინ ამბობდა, ნადირობა დიდ სიძნელეებთან დაკავშირებული ძვირადღირებული გასართობიაო?

ამრიგად თხუთმეტი რუპია ბარდება მუნუსვამს. ამ მომენტში მას უეცრად აგონდება, რომ ოსტატმა უნდა მისცეს კიდევ ორი რუპია საჭმლისათვის, სამი კი — ავტობუსისათვის. სხვა-

---

* დამახინჯებულია „ქრისტმასი“ — შობა (ი ნ გ ლ.).

ნაირად ის ვერ შეძლებს აცნობოს ოსტატს იმის შესახებ, რომ ავაზამ მოკლა მისატყუარი. ახალბედას ეს მოთხოვნები მიაჩნია სავსებით ბუნებრივად, ის გაიკრავს ჯიბეზე ხელს და უმატებს კიდევ ხუთ რუპიას. ფრიად კმაყოფილი მუნუსვამი მიდის.

პირველყოვლისა, ის ადგილობრივ მრავალრიცხოვან სავაჭროთაგან ერთ-ერთს მიაკითხავს, სადაც ტოდის ყიდიან. ის სვამს მარტო ტოდის და პირს არ აკარებს არაყის მაგვარ სპირტიან სასმელს, რომელიც, მისი სიტყვით, ძალზე მაგარია — განსაკუთრებით მუნუსვამისათვის. ხოლო ტოდის — ქოქოსის პალმის დადუღებულ წვენს — ცლის სამ-სამ ბოთლს ერთბაშად. ამის შემდეგ ბებერი მუნუსვამი ღრმა ძილს ეძლევა.

მეორე დღეს გაღვიძების შემდეგ ის თავგამოდებით შეუდგება ავაზასათვის მისატყუარის ძებნას.

გზასაცდენილი პირუტყვისა და ძაღლებისათვის ბანგალურში არის ორი საჩეხი. ასეთ საჩეხში მოხვედრილი ვირი პატრონმა რომ უკან დაიბრუნოს, უნდა გადაიხადოს ერთი რუპია. თუ ათი დღის განმავლობაში პატრონი არ გამოჩნდება, უპატრონო ცხოველი გაიყიდება საჯარო ვაჭრობით, რომ დაფაროს მისი შესანახი ხარჯების ნაწილი. ასეთი აუქციონები კვირაში ორგზის ტარდება.

მუნუსვამისთვის არაფერს წარმოადგენდა წასულიყო აუქციონზე და ორ რუპიად შეეძინა ვირი. მას ისიც შეეძლო — თავი გაესაღებინა ცხოველის პატრონად და მოეთხოვა მისი უკანვე დაბრუნება, ბოლოს და ბოლოს ერთი ვირი მეორეს ჰგავს, ხოლო საჩეხის ზედამხედველს საშუალება არ ჰქონდა შეემოწმებინა, რამდენად კანონიერი იყო მუნუსვამის პრეტენზია, განსაკუთრებით, თუ იგი ამას აცხადებდა თაღლითი პირების მეშვეობით.

მაშასადამე, ვირი, რომელშიც სახიბმა თხუთმეტი რუპია გადაიხადა, მუნუსვამს დაუჯდა სულ ორი რუპია, და ამგვარად მიიღო შემოსავლის სახით ცამეტი რუპია, რაც დაბანდებული კაპიტალის 650%-ს შეადგენს. რა თქმა უნდა, დასაწყისი ჩინებულია.

შემდეგ ის გზას გაუდგება, გაივლის რამდენიმე მილს იმ ადგილამდე, სადაც, მისი სიტყვით, უნდა იყოს ავაზა, და ორი დღით მიაბამს ვირს. მესამე დღეს სისხამ დილით თვითონ

ჰკლავს მას. ეს ასე კეთდება. მუნუსვამს აქვს ვეებერთელა დასაკეცი დანა, — რომელსაც გააჩნია ათამდე სხვადასხვა მოწყობილობა, მათ რიცხვში, როგორც ჩანს, ცხენის ჩლიქებიდან კენჭების ამოსაძრობი მრგვალი მახვილწვეტიანი ინსტრუმენტიც. ასე კი მეუბნებოდნენ, მაგრამ ამაში სრულებით არა ვარ დარწმუნებული. ამ პრიმიტიული იარაღით მუნუსვამი გადაუჭრის ცხოველს მთავარ ვენას, და როცა ის დაეცემა, კისერზე აყენებს კიდევ ოთხ ჭრილობას, ორ-ორს ყოველი მხრიდან. დანის წვერით უფატრავს მუცელს, მიმოაბნევს გარშემო შიგნეულს, ამოაგლეჯს რამდენიმე დიდ ნაჭერს და შემდეგ ლეშს ფარავს ტოტებით. დაბოლოს ბინძური ჩანთიდან ამოაქვს საიდუმლო საგანი. იცით რა არის ეს? მუნუსვამის მთავარი საშუალება — ნამჯით გატენილი ავაზას თათი. ამით იგი რამდენიმე ადგილას მიწაზე დააჩენს ნადირის კვალს.

როცა მას, როგორც საქმის მცოდნეს, დააკმაყოფილებს სურათის საერთო ხედი, ის გააჩერებს საბარგო მანქანას და რამდენიმე ანად ჩადის ქალაქში, სადაც უაღრესად აღგზნებული, ნახულობს სახიბს. მღელვარება ახალბედასაც გადაედება, ის აიძულებს „მისუსს“* საჩქაროდ მოუმზადოს სენდვიჩი და ჩაი თერმოსისთვის, თვითონ კი წმენდს თოფს, აგროვებს ვაზნებს, ფარანს, ბატარეას და, როგორც წესი, მრავალ სხვა, სრულიად უსარგებლო ნივთს. შემდეგ ის მუნუსვამთან ერთად მთელი ს ი ს წ რ ა ფ ი თ მიჰქრის ადგილისაკენ, სადაც ავაზამ „მკვლელობა“ ჩაიდინა.

მუნუსვამი უჩვენებს ნაკვალევს მიწაზე, კბილების ანაბეჭდს ვირის კისერზე და სახიბს არაფერში ეჭვი აღარ ეპარება. მუნუსვამი ხელმძღვანელობს მაჰანის აგებას, რისთვისაც ქირაობს ორ მუშას და თითოეულისათვის მოითხოვს გასამრჯელოს ორ-ორ რუპიას, თუმცა მათ აძლევს მხოლოდ თოთხმეტ ანს**, დაბოლოს, ვიდრე სახიბი შევიდოდეს სახუნდარში, მუნუსვამი მასთან აწყობს გარიგებას: თუ სახიბი მოკლავს ავაზას, მან უნდა მისცეს მუნუსვამს ჯილდო ოცი რუპია: თუ ოსტატი ააცდენს (ეს თვითონ ოსტატის დანაშაულია), მან უნდა მისცეს თავის

---

* დამახინჯებული „მისის“.

** რუპია იყოფა თექვსმეტ ანად.

მონა-მორჩილ მსახურს ათი რუპია; და თუ ავაზა არ გამოჩნდა (ოსტატმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ავაზა უაღრესად ეშმაკი ცხოველია და ზოგჯერ არ ბრუნდება მკვლელობის ადგილზე). მაშინ მან უნდა მისცეს მუნუსვამს ხუთი რუპია. მას ხომ პაპანაქება სიცხეში მოუხდა ოსტატისათვის ძალიან მძიმე სამუშაოს შესრულება. გარიგება იდება და, საოცარია, მუნუსვამი ისევე ენდობა ოსტატს, როგორც ოსტატი მას.

მაშ ასე, ავაზა არ მოდის. არ მოდის იმ უბრალო მიზეზების გამო, რომ იგი საერთოდ არ არის. პირველყოვლისა, მუნუსვამი ზრუნავს იმაზე, რომ ჩაიჯიბოს თავისი ხუთი რუპია, შემდეგ ანუგეშებს ოსტატს და ეუბნება, რომ ავაზა ძალზე უცნაური ცხოველია და შემდეგში შეიძლება მოვიდეს. ის წინადადებას აძლევს მიაბას მეორე ვირი, ისტორია ისევ და ისევ მეორდება მანამ, სანამ ახალბედა არ დაკარგავს ერთ-ერთი ამ უჩინარი ცხოველის დანახვის იმედს, და არ გადასწყვეტს თავი შეიქციოს მხოლოდ იხვებსა და კაკბებზე ნადირობით.

თქვენ შეგიძლიათ იკითხოთ: „საიდან ვიცი ყველაფერი ეს?“ ოდესღაც მეც ახალბედა ვიყავი და მუნუსვამმა ოთხგზის მაინც მომატყუა, თუ მეტჯერ არა. ერთხელ მოხდა გაუთვალისწინებელი შემთხვევა. მაშინ როცა მუნუსვამი მიჩვენებდა „ნადირის ნაკვალევს“, იქვე მყოფი მაწანწალა ძაღლი ერთბაშად ტყვიასავით შევარდა ბუჩქებში და გამოათრია იქიდან ტილოს ჩანთა. ძალზე შეშინებული მუნუსვამი დაედევნა მას, ძაღლი გაიქცა, მაგრამ ჩანთიდან გამოვარდა რაღაც ლაქებიანი საგანი. მუნუსვამი გაექანა მისკენ. მეც მივყევი. ეს იყო ნამჯით გატენილი ავაზას თავი, მაშინ სასტიკი სასჯელის მუქარით, უფრო მწვავე სასჯელისა, ვიდრე ვირების ხვედრი იყო მის ხელში, დაწვრილებით დაფქვა თავისი მოქმედების ხერხი, როგორც ამის შესახებ ზემოთ გიამბეთ.

ჭირთამთმენი ადამიანი ვარ და ვიცავ წესს: „შენც იცხოვრე და მიეცი საშუალება სხვამაც იცხოვროს“. თუ ახალბედები ისეთივე სულელებია, როგორიც მე ვიყავი და მხოლოდ იმას ელიან, რომ ვინმემ „გაატყაოს ისინი“, მაშინ მუნუსვამს რატომ არ უნდა გაეკეთებინა ეს? ამიტომ არასოდეს ხელს არ ვუშლიდი მის ოინებს და მუნუსვამს, ცოტა არ იყოს, ვუყვარდი კიდეც.

არ იფიქროთ, რომ რადგან თქვენ გიამბეთ ეს ისტორია, მე მას რაიმეს ვავნებ. ბანგალური სავსეა ახალბედა მონადირეებით და მუნუსვამი თვითეულ მათგანს ახალ-ახალი სახელით წარუდგება ხოლმე: ზოგჯერ ის რამაიაჰია, ზოგჯერ პუიაჰი, ზოგჯერ კი პუნაიაჰი. იმ შემთხვევისთვის, თუ თქვენ ოდესმე მოგიხდებათ ბანგალურში ყოფნა და მოისურვებთ ჩვენი რიგების შევსებას, მე დაგეხმარებით და აგიწერთ მუნუსვამის გარეგნობას. თუ თქვენს წინაშე წარსდგება ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე „ჯენტლმენი მონადირეების გამცილებელი“, ხანშიშესული შავგვრემანი, ხმელ-ხმელი და მაღალი კაცი, კეფაზე მოხვეული გრძელი თმით, დიდი გადმოკარკლული თვალებით და დოლბანდით ან კეპით თავზე, დხოტში*, ლანგოტში**, შარვალსა ან შორტში, ის ჯეკ ჯონსონის სახელითაც რომ წარმოგიდგეთ, შორს დაიჭირეთ თავი მისგან და წინასწარ ჩაკეტეთ ყუთში თქვენი ქისა. დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ეს იქნება ჩემი ძველი მეგობარი მუნუსვამი, „ბედნიერი წარმატების მაცნე“, მატყუარა გამცილებელი.

ალბათ იფიქრებთ, რომ ამ კაცზე ამდენი ლაპარაკით ზე ძალზე დავშორდი ძირითად მოთხრობას. ეს ასე როდია, რადგანაც ის საკმაოდ დიდ როლს თამაშობს, როგორც ამ ისტორიის დასაწყისში, ისე მის დასასრულს. გარდა ამისა, დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ კმაყოფილება მიიღეთ ასეთი არაჩვეულებრივი ადამიანის გაცნობით.

სწორედ ამ მუნუსვამმა მოჰკრა ყური ავაზას ოინებს, რომელმაც დაიწყო მაგადის რაიონში ხარებისა და ძროხების დახოცვა. არ იფიქროთ, რომ თუ მუნუსვამი მუდამ მოგონილ ავაზებს გთავაზობთ, მან არაფერი იცის ნამდვილი ავაზებია შესახებ. სრულიადაც არა! მრავალი წლის წინათ, როცა მუნუსვამი ახალგაზრდა გახლდათ და ცხოვრება შედარებით უფრო იოლი იყო, ის თვითონ ნადირობდა და კარგად შეისწავლა ეს ცხოველები. ამიტომ, როცა მუნუსვამამდე მოაღწია ხმებმა მაგადელი ავაზას შესახებ, იგი ავტობუსით მივიდა

---

* მამაკაცის ტანსაცმელი: ქსოვილის ნაჭერი, რომელსაც წელზე, ბარძაყებსა და ნაწილობრივ ფეხებზე იხვევენ — ინდოეთის სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვანაირად იხვევენ.

** ვიწრო შემოსახვევი ბარძაყებზე.

მთაში და იქ პირველწყაროებიდან შეკრიბა ცნობები, რომ ავაზა საკმაოდ ხშირად ესხმოდა თავს მსხვილ რქოსან პირუტყვსა და თხებს.

ძნელი წარმოსადგენი არაა, რომ მუნუსვამის ოინები და ის უცნაური ფაქტი, რომ სანადიროდ მასთან ერთად წასულს არავის არ უნახავს ავაზა, შეუძლებელია არ ევნო მისი მეგზურობის რეპუტაციისათვის. მთელ იმ მხარეში მასთან ხომ მჭიდროდ იყო დაკავშირებული როგორც ევროპელი, ისე ინდოელი მონადირეების ნახევარზე მეტი. მუნუსვამი სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა, რამაც შეათხელა მისი ქისა და, რასაკვირველია, უშუალოდ იმოქმედა მის კუჭზეც. დრო იყო ეზრუნა თავისი შელახული სახელის აღსადგენად.

ავაზას ხშირი და თავხედური თავდასხმები იმედს იძლეოდა, რომ მისი მიკვლევა არ იქნებოდა ძნელი. მუნუსვამში გაიღვიძა მონადირის ინსტინქტმა. მან გადაწყვიტა, რომ მოკლავს მხეცს და მერე მთელ ქვეყანას მოსდებს ამ ამბავს: ხარებშებმულ ფორანზე დადებს ავაზას ლეშს და ტამტამის ცემით დიდი ზეიმით გაატარებს ბანგალურის ქუჩებში. კიდევ მეტი, ის სურათს გადაიღებს მოკლულ ავაზასთან და ფოტოსურათებს საჩუქრად მისცემს იმ კლიენტებს, რომლებსაც ჯერ კიდევ ურთიერთობა აქვთ მასთან. იმათ კი, რომლებმაც მისგან პირი იბრუნეს, ფოტოსურათებს ფოსტით გაუგზავნის. თითოეული ფოტოსურათის მეორე მხარეზე გააკეთებს მოკლე წარწერას, რომ ამა და ამ ადგილას, ამა და ამ დღეს მონადირე მუნუსვამმა მოკლა ავაზა, იმიტომ, რომ სახიბებმა, რომლებიც თან ახლდნენ, ვერ შეძლეს ნადირის მოკვლა, მიუხედავად იმისა, რომ მუნუსვამი ყოველგვარ დახმარებას უწევდა.

რამდენადაც ბევრს ფიქრობდა მოხუცი მუნუსვამი, იმდენად უფრო მეტად მოწონდა თავისი ჩანაფიქრი. ეს აიძულებს ადამიანებს ჩაფიქრდნენ და დაეხმარება მას შელახული რეპუტაციის აღდგენაში.

მუნუსვამმა თავისი თოფი დიდი ხანია, რაც გაყიდა და ახლა როგორღაც იშოვა 12 ყალიბის ორლულიანი ძველი თოფი ჩახმახიანი მექანიზმით. შემდეგ დაბრუნდა მაგადის რაიონში და განუცხადა გლეხებს, რომ ის, მუნუსვამი, ოდესღაც გენე-

რლებთან და მეფის მოადგილეებთან ნამსახური ძველი „შიკარი“,* მოვიდა ცხოველის მოსაკლავად, რომელიც ასეთ დიდ ზიანს აყენებს მათ. მან განუცხადა, რომ ბინას დაიდებს მაგადის მთიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით ოთხ მილზე მდებარე იმავე სახელწოდების სოფელში და თხოვა, უმალვე შეეტყობინებინათ მისთვის, თუ ავაზა კვლავ დაესხმოდა თავს ნახირს.

ორი დღის შემდეგ ავაზამ დაგლიჯა ძროხა. მუნუსვამმა წაიღო ნათხოვარ თოფთან ერთად ტყვია და ფინდიხი და გაეშურა შემთხვევის ადგილზე, სადაც ააგო სახუნდარი. ნამდვილად რომ მოეხვედრებინა ავაზასთვის, ორივე ლულიდან ერთდროულად ესროლა, ცალი ლულიდან ტყვია ბეჭში მოარტყა, ხოლო მეორედან ფინდიხიც არ დაუცდენია, მაგრამ ავაზა მაინც წავიდა. ასწონ-დასწონა რა მდგომარეობა, მუნუსვამმა გადაწყვიტა, რომ ის ძალზე მოხუცია და ვერ შეუდგება დაჭრილი ავაზას ძებნას. „გმირობის“ პროპაგანდის უპირატესობა, რომელმაც ასე აღაგზნო მისი წარმოსახვა, ახლა არარაობად ეჩვენებოდა სისხლიან ნაკვალევზე ცხოველის დევნის საშიშროებასთან შედარებით. მუნუსვამმა გადაწყვიტა, როგორმე დაბინდებამდე დაბრუნებულიყო და ბანგალურისკენ გაეშურა.

როგორც ცნობილია, ისტორია მეორდება, და ყველაფერი თავისი რიგით წარიმართა. ავაზამ კვლავ დაიწყო ძაღლებსა და თხებზე ნადირობა მაგადიდან კლოზეპეტში მიმავალი ოცდაორმილიანი გზის გასწვრივ მდებარე სოფლების ახლო. ის ორჯერ დაესხა თავს მწყემსებს, რომლებიც ცდილობდნენ გადაერჩინათ თხები, რასაც შედეგად მოყვა მამაკაცისა და ბიჭის დასახიჩრება.

შემდეგ თავს დაესხა პონის. ერთხელ ღამით სადგურ კლოზეპეტზე მაისურის მატარებლიდან სამი კაცი ჩამოვიდა. ამ დროს ავტობუსი არ დადის და ჩამოსულებმა გადაწყვიტეს მათთვის საჭირო სოფლამდე ჯატკით ემგზავრათ. ჯატკა—ლერწმის ჩარჩოზე ჭილობებგადაჭიმული და ზემოდან ნახევრადმრგვალი ორთვალაა. მასში აბამენ ამ მიზნისათვის საგანგებოდ გაწვრთნილ ტანმორჩილ პონის. სოფლის ჩვეულებრივი

* მონადირე (ინდი).

„ტატუსგან“* ისინი გამოირჩევიან მოკლე ფაფრითა და კუდებით.

ჯატკა მივიდა დანიშნულ ადგილას და მგზავრები ჩამოხდნენ. მეჯაგემ გადაწყვიტა ღამის გათევა სოფელში და დილაზე უკან კლოზეპეტში დაბრუნება. მან გამოუშვა პონი, დაუყარა თივა, რომელიც ჯვალოს ტომრით ჰქონდა წამოღებული და დაწვა დასაძინებლად.

როგორც ჩანს, თივა რომ მოათავა, პონიმ დაიწყო ხეტიალი სოფელში, რომ რაიმე მცენარეულობას წაწყდომოდა. ასე აღმოჩნდა ის სოფლის განაპირას.

უცბად ბოლო ქოხს ამოფარებული რაღაც მხეცი შეახტა ზურგზე და დაუწყო ყელის გამოღადვრა. პონი ხმამაღლა ჭიხვინით გამოქანდა უკან. მტაცებელმა თავი ვეღარ შეიკავა და გადმოვარდა, თუმცა მოასწრო მძიმე ჭრილობის მიყენება. ეს იყო ავაზა.

დაფეთებული პონის ჭიხვინმა და ავაზას ღმუილმა გამოაღვიძა მეჯაგე და მან დაინახა მისკენ გამოქანებული ტანმორჩილი ცხენი. შიშისაგან აკანკალებული ცხოველი შედგა, ყელიდან სისხლი სჩქეფდა. მეჯაგემ დაუყოვნებლივ განგაში ასტეხა.

პონის აღარ შეეძლო ჯატკის ზიდვა, მეორე დილას პატრონმა წაიყვანა იგი კლოზეპეტში და პოლიციას განუცხადა მომხდარი ამბის შესახებ. ხმა გავარდა — ახლო მიდამოებში გამოჩნდა ავაზა, რომელიც ერთ დღეს შეიძლება გახდეს კაცჭამიაო.

მალე ამის შემდეგ სოფელ მაგადიდან ორი მილის მოშორებით ავაზა თავს დაესხა ადამიანს. ახლო მდებარე მინდვრებში მომუშავე გლეხები გავიდნენ საბრალოს დასახმარებლად. ის მიწაზე ეგდო ძალზე დაკბენილ-დაკაწრული. მაგადში წაიყვანეს და საავადმყოფოში მოათავსეს. შეადგინეს აქტი და ადგილობრივი დაფედარი — ეს სახელწოდება დაახლოებით შეესაბამება სერჟანტს, — სოფელში თავისი წოდებით ყველაზე მაღლა მდგომი და საპოლიციო უბნის უფროსი

---

* „ტატუ“ — ინდური პონი (ჰ ი ნ დ ი).

ველოსიპედით წავიდა მომხდარი შემთხვევის ადგილზე. მას თან ახლდა კონსტებლი.

სანამ ის ათვალიერებდა სისხლის ლაქებსა და მხეცის ნაკვალევს და ადგენდა, შესაძლებელია, მეტად გრძელ ოქმს, რომელსაც ასეთ შემთხვევაში პოლიციელები წერენ, ვიღაცამ ძაღლა აიხედა და დაიყვირა, პატარა გორაკის გაშიშვლებულ კლდოვან მწვერვალზე რაღაც ორიოდე ფარლანგის* მანძილზე ავაზა წევსო. დაინახა თუ არა ის, დაფედარმა გამოართვა კონსტბელს ველოსიპედი, მთელი ძალღონით დააწვა სატერფეებს და მოკურცხლა სოფლისაკენ, რათა იმ სამი თოფიდან, რომელიც საპოლიციო უბნის მთელ არსენალს შეადგენდა, ერთ-ერთი წამოეღო.

თუმცა უკან ის ბრუნდებოდა ისეთივე სისწრაფით, ავაზამ მაინც მოასწრო ბორცვის მწვერვალს ამოფარება. გლეხებმა ურჩიეს დაფედარს შემოევლო ბორცვისათვის — მანძილი დიდი არ იყო, — და ხელთ ეგდო ავაზა მეორე მხარეზე.

დაფედარმა, მამაცმა და ენერგიულმა ადამიანმა თან წაიყვანა სოფლის ერთ-ერთი მცხოვრები, რომ ეჩვენებინა მისთვის უმოკლესი გზა და სწრაფად გაეშურა ბორცვის შემოსავლელად და დამატებით აღიჭურვა 303-ყალიბის შაშხანით. ინდოეთის პოლიციელები შეიარაღებული არიან ისეთივე შაშხანებით, როგორითაც სამხედრო მსახურნი, მხოლოდ ამ შაშხანებს არ გააჩნიათ სავაზნე კოლოფები. ასე რომ სასხლეტზე თითის გამოკვრის დროს შესაძლოა მხოლოდ ერთხელ გაისროლო. სიფრთხილის ეს ღონისძიებანი ხალისს უკარგავს სასხლეტზე ჩქარ-ჩქარა ხელის დაჭერის მსურველ პოლიციელებს აღგილობრივი არეულობისა და შეტაკებების დროს. ამიტომ დაფედარის თოფი გატენილი იყო ერთი ვაზნით და კიდევ ორი თუ სამი ჯიბეში ედო.

ბორცვის მეორე მხარეზე ავაზას ჭაჭანებაც არ იყო, ირგვლივ კი მხოლოდ ლოდების გროვა ეყარა. გლეხებმა ურჩიეს ბორცვზე ასვლა, რადგან მხეცი შეიძლება სადმე მახლობლად ყოფილიყო. როგორც კი შეუდგნენ აღმართს, კლდიდან გამოხტა ავაზა. მოულოდნელობისაგან დაბნეულმა დაფედარმა დაუ-

---

* სიგრძის საზომი, უდრის დაახლოებით ორას მეტრს.

მიზნებლად ესროლა და ააცდინა. მეორე წამს ის უკვე ბალახზე ეგდო, ავაზა ზემოდან აჯდა, კბენდა და უკაწრავდა მკერდსა და ხელებს, მისი თანამგზავრები კი თავქუდმოგლეჯით ჩაშორბოდნენ ბორცვიდან.

ავაზამ, რომელიც ჯერ კიდევ არ გამხდარიყო კაციჭამია, დაიკმაყოფილა ჟინი, მიატოვა დაჭრილი პოლიციელი და თავის ბუნაგში დაბრუნდა. ამასობაში გლეხმა მიირბინა იმ ადგილას, სადაც კონსტებლი და მეორე გლეხი იყო და აცნობა, რაც მოხდა, კონსტებლი შეახტა ველოსიპედს და გაექანა საპოლიციო უბანში.

წამოიღო ჯოჯგინაში დარჩენილი ორი თოფი და დამატებით ჯოხებით შეიარაღებული კანონის ოთხი წარმომადგენელი სასწრაფოდ გაეშურა ბორცვისაკენ. გზად მიმავალ პატარა რაზმს შეუერთდა რამდენიმე გლეხი. რაზმში უკვე ათ კაცზე მეტი იყო, როცა მძიმე მდგომარეობაში მყოფი დაფედარი აიყვანეს და მეორე დღეს სანიტარული მანქანით ჩაიყვანეს ბანგალურში.

ავაზას ოინები ადრევეც იყო ცნობილი, მაგრამ როცა ის თავს დაესხა ხელისუფლების წარმომადგენელს და ისიც დაფედარს, პოლიცია ამოძრავდა. ბევრი დრო არ დაჭირვებიათ ამ ბოროტების ფესვის მისაკვლევად. აღმოჩნდა, რომ ყველაფერში დამნაშავეა მონადირეების გაიძვერა გამცილებელი მოხუცი მუნუსვამი. ის მამხილებელი საბუთებით სააშკარაოზე გამოიყვანეს: მოწმეებმა აჩვენეს, რომ მან ააგო სახუნდარი, დაუდარაჯდა ავაზას და დაჭრა იგი. ამისათვის მას უნდა ესარგებლა ცეცხლმსროლი იარაღით. აქვს თუ არა მას თოფი? თუ აქვს, მაშინ იარაღის ტარების უფლებაც უნდა ჰქონდეს. ხომ არ მალავს იარაღს, რომელზეც არა აქვს ლიცენზია? შეიძლება ვინმესგან ითხოვა? ვისგან? რატომ? როდის? სად? იარაღის პატრონს თუ აქვს ლიცენზია? რამდენი ვაზნა ჰქონდა მუნუსვამს?

სეტყვასავით დააყარეს შეკითხვები. საწყალი მუნუსვამი ხათაბალაში გაება. მისთვის წაყენებული ბრალდება მთავრდებოდა დასკვნით, რომ ჭრილობებისაგან დაფედარის სიკვდილის შემთხვევაში მოხუც მონადირეს მიიჩნევენ „პოტენციური კაცის მკვლელად“, შეავსეს ბრალდებათა მთელი გვერდი და უეჭველია საფუძვლად დაუდებდნენ დიდი ხნით მის ციხეში ჩასმას.

აქ მუნუსვამს წამოეშველა თანდაყოლილი საზრიანობა და ყველაზე ხელსაყრელი გარიგება დადო. ვალდებულება აიღო, რომ ოთხ დღის განმავლობაში მოკლავდა ავაზას და ოლქის პოლიციის უფროსს მიართმევდა. თუ იგი ამას ვერ მოახერხებდა, მაშინ პოლიცია მის მიმართ ნებისმიერ ზომებს გამოიყენებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში მასზე წაყენებული ყველა ბრალდება მოხსნილი იქნებოდა.

ოლქის პოლიციის უფროსი პრაქტიკული ადამიანი იყო, ავაზას განადგურება უფრო აინტერესებდა, ვიდრე მუნუსვამის დევნა სასამართლოს მიერ. ავაზა დროთა განმავლობაში აუცილებლად გადაიქცეოდა კაციჭამიად, მაშინ როცა საეჭვოა, რომ მუნუსვამი, მიუხედავად თავისი ყალთაბანდური ხრიკებისა, აქამდე გაანაღდებდა თავის დანაპირებს. ამიტომ ოლქის პილიციის უფროსმა მისცა მას ოთხი დღის ვადა და გაანთავისუფლა.

იმავე დღეს ჩემი კოტეჯის შესასვლელ კართან გავიგონე დაჟინებული მუდარა: „სარ, სარ!“ ეს იყო მუნუსვამი. ცრემლები ჩამოსდიოდა ლოყებზე (როგორ ახერხებდა მის გამოწვევას, ეს გახლდათ მისი საიდუმლოება, რომელიც ჩემთვის ჯერ კიდევ არ გაუნდვია). მან მიამბო თავიდან ბოლომდე თავისი მწუხარებისა და იმის შესახებაც, რაც იცოდა ავაზაზე — ამ მონაყოლის უმეტესი ნაწილი მე უკვე გიამბეთ.

ის იმეორებდა, რომ მიცემული აქვს ოთხი დღის ვადა ავაზას მოსაკლავად, რომ წარუმატებლობის შემთხვევაში მას მიაბრძანებენ „დიდსა და უზარმაზარ ციხეში“. მე სიცილით ვკითხე მუნუსვამს, რატომ არ გაიქეცი-მეთქი. ასეთი აზრი კი დაებადა მას, მაგრამ ინდოეთში სხვაგან სად იპოვნიდა ისეთ სახიბ-სპორტსმენებს, რომლებიც ასე უხვად იძლევიან ფულს, აუქციონებს, სადაც ორ რუპიად შეიძლება ცოცხალი ვირის შეძენა, და ოჰ!.. მრავალ სხვა უპირატესობას, რომლითაც ის სარგებლობს ბანგალურში. ამ აზრებმა მოტეხეს მოხუცი და ცრემლები კიდევ უფრო უხვად ჩამოეღვარა თვალთაგან. არ გავიოცებდი, რომ შემეტყო — ამ ცრემლების ნაწილი გულწრფელი იყო.

ვიქნებოდი თუ არა იმდენად თავაზიანი, რომ დავეხმარებოდი მას ავაზას მოკვლაში? ამით გადავარჩენდი მას და მრა-

ვალ სხვა ადამიანს, რომლებიც შეიძლება მომავალში მისი მსხვერპლნი გამხდარიყვნენ.

მე ყურად ვიღე მისი მეორე თხოვნა, მაგრამ არ დამიმალავს მუნუსვამისთვის, რომ პირველი ნაკლებად მაწუხებდა. მას არ წყენია. დავეთანხმე, დავხმარებოდი ერთი პირობით: რადგანაც ის იყო ყველა ფათერაკის მიზეზი, ჩემს გვერდით უნდა ყოფილიყო ნადირობის დამთავრებამდე.

თანხმობის ნიშნად მოხუცს გაეღიმა, უცნაურია, თითქოს სულ ახლახან ცრემლად არ დაღვრილიყოს.

იმ საღამოსვე გავეშურე ოლქის პილიციის უფროსთან და სიცილით ვუამბე მუნუსვამთან ჩატარებული საუბრის შესახებ. მე განვუცხადე პოლიციელს, რომ არ ვიცი, რამდენად სერიოზულად ეკიდება იგი მუნუსვამისათვის მიცემულ ოთხი დღის ვადას, რომ ასეთი შეზღუდვა ჩემთვის მხოლოდ ხელის შემშლელი იქნებოდა, იმიტომ, რომ მსურდა თან მყოლოდა მოხუცი ყალთაბანდი, და როგორ დამენანებოდა, როცა მეხუთე დღეს პოლიცია წაიყვანდა მას.

პოლიციის უფროსმა მიპასუხა, რომ, მართალია, აპირებდა მუნუსვამისათვის ოთხი დღის ვადის მიცემას, მაგრამ რადგან მე ვხელმძღვანელობდი ნადირობას, იგი აღარ ჩაერეოდა ამ საქმეში. გარდა ამისა, მან მომცა წერილი, რომელშიც უბრძანებდა ყველა პოლიციელს, რომ ყოველგვარი დახმარება აღმოეჩინათ ჩემთვის.

ცხადია, ამის შესახებ არაფერი მითქვამს მუნუსვამისათვის, გული რომ არ გატეხოდა, პირიქით, დავარწმუნე, ოლქის პოლიციის უფროსი უკვე ნანობს-მეთქი, ოთხი დღის ნაცვლად რატომ სამი დღე არ მივეციო. მაგრამ მე ჩავერიე საქმეში და სულ უკანასკნელ მომენტში გამოვასწორე მდგომარეობა-მეთქი.

მუნუსვამი კიდევ უფრო მეტად განიმსჭვალა ჩემდამი მადლიერების გრძნობით და, მოუთმენლობით აღგზნებულს, სურდა, რაც შეიძლება ჩქარა გავდგომოდი გზას. მეორე დღეს სისხამ დილით „სტუდებეკერის“ მანქანით მივედით მაგადის მთამდე და დავიწყეთ მის ძირში მდებარე სოფლების მცხოვრებთა გამოკითხვა. ასე მივაღწიეთ სოფელ მაგადიმდე. აქ მო-

ველაპარაკე კონსტებლს, რომელმაც სიკვდილს გადაარჩინა დაფედარი, იქედან მანქანით ჩავედით კლოზეპეტში.

გზაში ვჩერდებოდით თითოეულ სოფელში და კვლავ გამოკითხვას ვაწარმოებდით. ვიყავით იმ სოფელშიც, სადაც ავაზა თავს დაესხა პონის. კლოზეპეტში ინსპექტორის ადგილობრივ თანაშემწეს გადავეცი ოლქის პოლიციის უფროსის წერილი. მან დაუყოვნებლივ აფრინა კაცი ჯატკის მეჯაგის მოსაყვანად და მან გვიამბო, რაც შეემთხვა მის პონის.

გამოკითხვა გრძელდებოდა გვიან საღამომდე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვერ შევხვდი ვერც ერთ კაცს, რომელმაც იცოდა ავაზას ბუნაგის ადგილმდებარეობა ან მისი ჩვევები. მე კი ვიცოდი, საჩქარო არაფერი იყო, მაგრამ მუნუსვამის დაღვრემილმა სახემ მიიღო კიდევ უფრო ტანჯული გამომეტყველება, როდესაც აშკარა გახდა, რომ იმ ნაჩუქარი ოთხი დღიდან ერთმა დღემ უშედეგოდ ჩაიარა.

დავბრუნდით სოფელ მაგადიში და ღამე გავათიეთ მოგზაურთათვის განკუთვნილ ბუნგალოში.

დილით ჩვენს წინაშე გამოცხადდა გამხდარი კაცი, სახელად ალიმუტუ. მან გვიამბო, რომ საარსებო საშუალებას იმით შოულობს, რომ გარშემო მდებარე ბორცვებზე აგროვებს თაფლს, დაეძებს სამკურნალო ბალახებს და, როცა საშუალება ეძლევა, მახეებს უგებს კურდღლებს, მწყრებსა და კაკბებს. რომ გაეგო, გასულ ღამეს მე და მუნუსვამი დავდიოდით ამ მხარეში ავაზაზე ცნობების შესაკრებად, ის მოვიდა და გვაცნობა, რომ მისი დაკვირვებით, მხეცი ბინადრობს მაგადის მთების ხეობაში მდებარე გამოქვაბულში.

მე ვკითხე მას, რატომ გგონია-მეთქი ასე. რამდენიმე კვირის წინ, ბალახის მოგროვების დროს შეემჩნია, რომ იმ ადგილას კლდეებს შორის გაევლო ცხოველს, რომელსაც სისხლი დიოდა და გარკვეულ კვალს ტოვებდა. გაჰყვა მას და იქ, სადაც ცხოველი ჩამოსულიყო კლდიდან, ავაზას თათების ანაბეჭდები აღმოაჩინა. ნაკვალევს აღარ გაჰყოლია. მოგვიანებით მას უამბეს, რომ წინა დღით, ცოტა მოშორებით ამ ადგილიდან ვიღაცას დაეჭრა ავაზა. ეს უცნობი გახლდათ მუნუსვამი.

მან იცოდა გამოქვაბულის არსებობა, რადგან ადრე არაერთხელ შეუგროვებია აქ თაფლი. ორი დღით ადრე კლოზე-

პეტიდან დაბრუნებისას, როცა ჯერ კიდევ არ იცოდა წინა დღით დაფედარზე მომხდარი თავდასხმის შესახებ, ის მივიდა გამოქვაბულთან, რომ შეემოწმებინა შეუდგნენ თუ არა ფუტკრები ფიჭის კეთებას, უეცრად გამოქვაბულიდან მოესმა ღრენა. მოაგონდა სისხლიანი ნაკვალევი და უმალვე დასტოვა ხევი.

ეს იყო მნიშვნელოვანი ახალი ამბავი.

ალიმუტუ კისრულობდა გამოქვაბულამდე ჩემს გაცილებას იმ პირობით, თუ დაახლოებით ერთ ფარლანგს ოთხზე დამდგარი ხოხვით გავივლიდი ლანტანის ხშირ შამბნარში.

მე დავთანხმდი და მუნუსვამს ვუთხარი, რომ დადგა ჩვენი პირობის შესრულების დრო, რათა გამომყოლოდა სანადიროდ იმ ბოროტების გამოსასყიდლად, რომელიც მან ჩაიდინა ავაზას დაჭრით.

არ იფიქროთ, რომ მან უარი განაცხადა. პოლიციამ იაე დააშინა მუნუსვამი, რომ მას ეშინოდა არა ავაზასთან შეხვედრის, არამედ იმის, რომ დარჩენილ სამ დღეს ფუჭად არ ჩაევლო.

შევიცადე, ვიდრე მზე დააცხუნებდა და დინჯად ვისაუზმე: საშუალება უნდა მიმეცა ავაზასთვის თავის ბუნაგში დღის ღრმა ძილს მისცემოდა. ძალიან ადრე რომ გამოვჩენილიყავი, ცხოველს შეეძლო ჩემი ხმის გაგონება და მიიმალებოდა.

ზუსტად ათ საათზე გავედით ბუნგალოდან მანქანით და თხუთმეტ წუთზე უფრო ადრე აღმოვჩნდით თითქმის ზუსტად ხევის პირდაპირ მდებარე მთის ღრმულში. ალიმუტუმ გვითხრა, აქ გავჩერებულიყავით. მანქანა ხის ჩრდილში დავაყენე გზის პირას და გარეთ გამოვედით. დავაჭირე ხელი თოფის კონდახს, რომ გამესინჯა, კარგად მოძრაობდა თუ არა მექანიზმი. შემდეგ ალიმუტუმ, მუნუსვამმა და მე გავწიეთ მაგადისაკენ, რომელიც გზიდან დაახლოებით ორ მილზე მდებარეობდა. მალე მივაღწიეთ მის ძირს და შევუდექით ხეობისაკენ გასვლას, რომელსაც ჩვენგან ფარავდა ხეები. გადაშლილი კენწეროების ზემოთ მოჩანდა მარცხნივ და მარჯვნივ აღმართული მთის მწვერვალები.

აღმართი მძიმე სავალი იყო, და მთელ საათს მივცოცავ-

დით, ვიდრე დაბალი ტყისა და ლანტანის შამბნარს მივაღწევდით. აი სწორედ აქ იყო საჭირო ხოხვით სვლა.

მერწმუნეთ, რომ დიდი შრომა გავწიეთ ამ მცირე მანძილის გადასალახავად. ალიმუტუ ჩემზე ცოტა წინ მიხოხავდა, მუნუსვამი კი ძალზე ახლო მომყვებოდა. ლანტანის სარტყელს რომ გავცდით, ოფლი წურწურით ჩამოგვდიოდა, ხაკისფერი შარვალ-პერანგი ბევრ ადგილას გამხეოდა. დარწმუნებული ვარ, რომ კაკვისმაგვარ ეკლებზე, რომლითაც სავსეა ლანტანის ტოტები, შერჩა ჩემი სახის, კისრისა და ხელის მტევნის კანის ნაწილები.

როგორც იქნა, თავი დავაღწიეთ შამბნარს და შევედით ხეობაში. ჩვენს ირგვლივ ეყარა უზარმაზარი რიყის ქვები, რომლებიც ნახევრად მაღალ ეკლიან ბალახს დაეფარა. ალიმუტუმ წაიჩურჩულა, რომ გამოქვაბული მარცხნივაა და იქამდე გასავლელია ხეობის სამი მეოთხედიო. ავაზას დანახვა შეუძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაშიც კი, ჩვენს გვერდითაც რომ ყოფილიყო. აქ ათამდე ვეფხვიც რომ ყოფილიყო, ვერც ერთს ვერ შევამჩნევდით.

ახლა რაზმის უფროსი მე ვიყავი, უკან მომყვებოდა ალიმუტუ, ხოლო მას — მუნუსვამი. მარჯვენა მხარე მეკავა იმ ანგარიშით, თუ ავაზა თავს დაგვესხმოდა ბუნაგიდან ან მარცხნივ რომელიმე საფარიდან, უმალვე შევამჩნევდით მის მოახლოებას.

აი, ჩვენც აღმოვჩნდით გამოქვაბულის პირდაპირ. მის თავზე გადმოკიდებული კლდის ნაპრალი ამოვსებული იყო ცვილის უჯრედებით, ძველი ფიჭით, მაშინ, როცა ახალი ფიჭა თითქმის ჯერ კიდევ არსად ჩანდა. მაღალი ბალახი და ქვის გროვა, რომლის უმეტესი ნაწილი ზევიდან იყო ჩამოშვებული, ფარავდა გამოქვაბულის ნაწილს.

უეცრად გავიგონეთ მხეცის ღმუილი. ალიმუტუ მხარზე შემეხო, რომ შევეჩერებინე, მაგრამ მე უკვე თვითონ გავიგონე ეს ხმა, ეს იყო ავაზას ან დათვის ხმა.

შევდექი, რომ კარგად გავრკვეულიყავი შექმნილ მდგომარეობაში. ღმუილი უთუოდ მოისმოდა წინიდან — გამოქვაბულიდან, ანდა რომელიღაც ახლო ადგილიდან. მე შემეძლო იმ მიმართულებით ქვები დამეშინა ან მივსულიყავი ცოტა უფ-

რო ახლოს. ეს უკანასკნელი საშიში იყო. ცხოველს შეეძლო ზემოდან დამსხმოდა თავს. ბალახის ან ქვების იქით რომ ვერ შემემჩნია მისი მოახლოება ან ტყვია ამეცდინა, სერიოზული უსიამოვნებანი მომელოდა.

სიფრთხილემ გაიმარჯვა და ჩურჩულით ვუბრძანე ალიმუტუსა და მუნუსვამს, ესროლათ ქვები.

მოვიმარჯვე თოფი, შევაყენე ჩახმახი და დაძაბული ვადევნებდი თვალს ჩემს ირგვლივ ოდნავ მოძრაობასაც კი, მაგრამ წინანდებურად სრული სიწყნარე სუფევდა. მუნუსვამმა და ალიმუტუმ კვლავ დაიწყეს ქვების სროლა, მაგრამ ისევ უშედეგოდ.

უეცრად მარჯვნივ, იქ, სადაც გამოქვაბული ფერდობს ეკვრის, შევამჩნიე, რომ მაღალი ბალახი ოდნავ ირხევა. ეს მოძრაობა შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო ნიავით ან ბალახებში მიმალული ცხოველების მიერ.

მე ერთში ვიყავი დარწმუნებული: ეს არ იყო დათვი. სამხრეთ ინდოეთის დათვი შავია და მუქ ბალახში ადვილად შემეძლო მისი ქურქის გარჩევა; გარდა ამისა, ის ვერ ახერხებს ჩუმად მიპარვას და მიეკუთვნება იმ მოუქნელ ცხოველებს, რომლებიც ხმაურით გამოჩნდებიან და ხმაურითვე გაუჩინარდებიან ხოლმე.

მხედველობა დავძაბე და დავინახე გამოქვაბულზე გადმოწოლილი წინწკლებიანი ქურქის ნაწილი. ახლა ცხოველი არ მოძრაობდა, და უეჭველია ჩვენ გვიყურებდა, თუმცა ბალახი მიშლიდა მისი თავისა და დრუნჩის დანახვას. რამდენიმე წამით დაგვიანება — და იგი შეიძლება წასულიყო.

დავუმიზნე წინწკლებიან საგანს და ფრთხილად გამოვწიე ჩახმახი. წამსვე ბალახიდან გამოჩნდა ზევით ამხტარი ავაზა, შემდეგ ის დაგორდა ფერდობზე და მხედველობიდან მიიმალა. კლდეზე ავცოცდი, ვცადე მისი დანახვა ქვევით, მაგრამ ვერაფერი ვერ შევამჩნიე.

ათ წუთს დაველოდე, შემდეგ ვუბრძანე ალიმუტუსა და მუნუსვამს დამალულიყვნენ და დასაზვერად წავხოხდი. დრო და დრო მსხვილი რიყის ქვებზე ავდიოდი და ვცდილობდი დამენახა გაუჩინარებული ცხოველი.

ბოლოს, როგორც იქნა, დავინახე, მაგრამ ჩემი სიფრთხი-

ლე ამაო აღმოჩნდა: ავაზა მკვდარი იყო. კისერში გასული ტყვია თავის ქალაში მოხვედროდა.

მოკლული ნადირის დათვალიერების დროს გამოირკვა, რომ მუნუსვამს ავაზასთვის ტყვია ზურგში მოერტყა. ამ ადგილზე აჩნდა გაგლეჯილი დიდი ჭრილობა, რომელშიც მატლები ფუთფუთებდნენ. ორ ნამსხვრევს ტყავი გაეგლიჯა, მაგრამ, როგორც ჩანდა, ამათგან მიყენებული ჭრილობები მოშუშებოდა. ძირითადი ჭრილობა საბოლოოდ გამოიწვევდა ცხოველის შიმშილით სიკვდილს, რომ ის კაციჭამია არ გამხდარიყო.

საშინელი სათრევი იყო მძიმე ლეში ლანტანის შამბნარში, მაგრამ ოფლში გაწუწულებმა, როგორც იქნა, გავათრიეთ.

იმ საღამოსვე ავაზას ლეში ოლქის პოლიციის უფროსის ფეხებთან დავაგდეთ. გავიდა ზუსტად ორი დღე მას შემდეგ, რაც მე მოვითხოვე მათ მიერ დადგენილი ოთხდღიანი ვადის გაგრძელება. მე და მუნუსვამმა დასახული ამოცანა ორჯერ უფრო სწრაფად შევასრულეთ. ოლქის პოლიციის უფროსს ძალზე კმაყოფილი გამომეტყველება ჰქონდა.

თავი მეოთხე

შავი ავაზა შივანიპალიდან

შივანიპალი ყოველთვის იყო ჩემი საყვარელი სანადირო ადგილი; იგი მდებარეობს დაცული ტყის განაპირას ბანგალურის მახლობლად და იქ ჩასვლა უფრო მოხერხებულია უიკენდის * დღეს და საღამოობითაც რამდენიმე საათს მთვარის შუქზე სასეირნოდ. ამისათვის საჭიროა გაიაროთ ორმოცდაერთი მილი დენკანიკოტამდე, იქედან კიდევ ოთხი მილი, შემდეგ დატოვებთ მანქანას და ხუთ მილს ფეხით გაივლით ბილიკზე.

სოფლიდან დასავლეთით დაახლოებით სამ მილზე ადგილი ციცაბოდ ეშვება სამასი ფუტის სიღრმეში მიმავალ მდინარისაკენ. შივანიპალის სამხრეთით აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიედინება მეორე შენაკადი; ის ჰქმნის რამდენიმე ჩანჩქერს და შემდეგ ერთვის მდინარეს. შივანიპალიდან აღმოსავლეთით ბორცვის ფერდობზე დაახლოებით ხუთასი ფუტის

* შაბათიდან ორშაბათამდე დასვენების დრო (ინგლ.).

სიმაღლეზე მდებარე „გულხატი ბუნგალოს“ პატარა სამონადირო სახლამდე გადაჭიმულია ჯუნგლები. გულხატიდან აღმოსავლეთით ხუთნახევარ მილზე აიურის დაბაში მეორე ბუნგალოა. ოთხი მილის მანძილზე იქედან ჩრდილო-აღმოსავლეთით კუჩუვადის კლდოვან ბორცვთან ახლოს მდებარეობს სატყეოს კუთვნილი ფარდული. ამ მიდამოებში ხარობს სანდალოზის ტყეები, და ფარდულში ვეებერთელა ძველ სასწორზე წონიან მორებს დენკანიკოტის საწყობში გაგზავნის წინ.

შივანიპალიდან ჩრდილოეთით გადაჭიმულია ხშირი ბუჩქნარი. შივანიპალში ვერც კი დაითვლით ლერწმით გადახურულ ხუთამდე ქოხს — მას სოფელსაც ძნელად თუ უწოდებს კაცი. ჩრდილოეთით სამ მილზე, ვიდრე ნახევარ მანძილს გაივლიდე მთავარ გზამდე, მდებარეობს სოფელი სალივარამი.

შივანიპალი ყოველი მხრიდან გარშემორტყმულია განაკაფებით, რომლებიც სატყეო სამმართველოს მიერ სოფლიდან ერთი მილის მანძილზე გაკეთებულია დაცული ტყის საზღვრების აღსანიშნავად. თითქმის ორი განაკაფის გადაკვეთის წერტილში სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში მდებარეობს წყალსატევი. ორი პატარა მდინარე, რომლებიც სოფლიდან დასავლეთით სამასი ფუტის სიღრმის ხევში ერთმანეთს უერთდება, მიიკლაკნება ხშირ ჯუნგლებში შივანიპალიდან სამხრეთ-დასავლეთით დაახლოებით რვა მილზე მდებარე მოზრდილ სოფელ ანჩეტისაკენ.

მე ასე დაწვრილებით იმიტომ აღვწერ შივანიპალის შემოგარენის ტოპოგრაფიას, რომ შეგეძლოთ წარმოიდგინოთ ადგილმდებარეობის სურათი, სადაც მოხდა ის ამბავი, რომელზეც მსურს მოგითხროთ.

ასეთი კუთხეები, დაბალი კლდოვანი მთებით, ხშირი ბუჩქნარით, გაუვალი ჯუნგლებითა და სარწყულებლებით, რომლითაც სარგებლობენ არა მარტო მტაცებელი, არამედ მათი საკბილო ცხოველებიც, ავაზების იდეალური თავშესაფარია. დაუმშრალი წყაროები ადგილობრივ მცხოვრებლებს საშუალებას აძლევდა ჰყოლოდათ შივანიპალში მსხვილი რქოსანი პირუტყვის საკმაოდ დიდი ჯოგები, რის გამო მის მიდამოებს, ცხადია, კიდევ უფრო ეტანებოდა კატის ოჯახის ეს ნაშიერი.

და მართლაც, შივანიპალის რაიონი ბევრმა ავაზამ აირჩია ხანმოკლე თუ მუდმივ ადგილსამყოფელად. სწორედ ამით მიზიდავდა ეს კუთხე 1929 წელს ჩემი პირველი ჩასვლისას.

შივანიპალის ირგვლივ მეტად სხვადასხვანაირი მცენარეულობა ხარობს: წყალსატევის გარშემო ბამბუკის რაყაა, სამხრეთით და დასავლეთით — ხშირი ტყე, აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით უფრო მეჩხერი ჯუნგლები და ბუჩქნარია, რომელშიაც შერეულია სანდალოზის ხეები.

თვალწარმტაცი მთები, რომლებიც დასავლეთით ცისფერ ნისლში გახვეულ ჰორიზონტის დაკბილულ ზოლს ქმნიან, ამ გარემოს მატებს განსაკუთრებულ სილამაზეს. გარიჟრარზე ჯუნგლებიდან მაღლა იწევა ნისლის ფარდა, ფარავს მთების ძირს და ხილულად ტოვებს მხოლოდ მწვერვალებს, რომლებიც მოგვაგონებენ ზღვის აქაფებულ ტალღებში ჩაძირულ კლდოვან კუნძულებს. მოღრუბლულ დღეებში, პირიქით, შავი ღრუბლები ფარავს მთის მწვერვალებს ისე, რომ ხილული რჩება მხოლოდ მთის ქვედა ფერდობები და ადგილი თითქმის ვაკე გეჩვენებათ.

მე ბევრი მთვარიანი ღამე გამიტარებია „ჩხუმიაში“ (ზმნა „ჩხუმი“ ურდუს ენაზე ნიშნავს „ხეტიალს“), შივანიპალის გარშემო მდებარე ჯუნგლებში. აქ მოიპოვებოდა ყველა სახის ნადირი ბიზონებს გარდა. მთვარიან ღამეში ჯუნგლებში შეიძლება შეხვდეთ სპილოს, გაიგონოთ ვეფხვის ჩუმი კვნესა, ხერხის ღრჭიალის მსგავსი ავაზას ღმუილი, და გაქცეული სამბარის მიერ დამტვრეული ტოტების ტკაცანი. შეიძლება მხოლოდ მარტო სპილო დაინახოთ, რადგან მტაცებლები და სამბარიც ძალზე ეშმაკებია, და დიდი ხნით ადრე, ვიდრე ადამიანი მათ მიუხლოვდებოდეს, ხედავენ ან ესმით მისი ხმა. შეიძლება შეხვდეთ დათვს, ხმამაღლა ღრუტუნითა და ჰაერის ყნოსვით მიმავალს ან თეთრი ჭიანჭველების ძებნის და მიწაში საჭმელი ძირხვენების ენერგიულად ამოთხრის დროს. თქვენს მახლობლად მიმავალი დათვის ხმაური გაისმის კიდევ დიდი ხნით ადრე, სანამ მცენარეულობის ბუნდოვან ფონზე მუქი ლაქა გამოჩნდებოდეს.

ძალიან დიდი ხნის წინათ, 1934 წელს შივანიპალი გააოცა ახალმა ამბავმა: ტყიდან თავისი ჯოგით დაბრუნებულმა მწყემ-

სმა წყალსატევთან დაინახა შავი ავაზა. ის იდგა ბუჩქთან და მშვიდად სვლეპდა წყალს. მწყემსი იფიცებოდა, რომ ავაზა კუპრივით შავი იყო, მე სხვა რა საბუთი მქონდა, რომ მისთვის არ დამეჯერებინა. ავაზა მიაშტერდა ჯოგს, მაგრამ როგორც კი მწყემსი შენიშნა, ბუჩქებში გაუჩინარდა.

ამჟამად შავ ავაზას არ მიაკუთვნებენ განსაკუთრებულ ბიოლოგიურ სახეობას. მიიჩნევენ, რომ ცხოველის შავი ტყავი მელანიზმის * შედეგია. თუმცა ძალიან იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ ნაყარს შორის შეიძლება დაინახოთ შავი ღეკვი. თუმცა, შავი ავაზები უფრო ხშირად გვხვდება მალაის, ბირმისა და ასამის მარადმწვანე ხშირ ტყეებში, ვიდრე სამხრეთ ინდოეთში. იშვიათად ასეთი შეიძლება მოკლათ დასავლეთ გატშიც**. მართალი არიან, ჩემი აზრით, ისინი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ შავი ავაზები უმთავრესად ბინადრობენ ხშირ მარადმწვანე ტყეებში, იმიტომ, რომ მცენარეულობის მუქი შეფერილობა მათ აძლევს უკეთ შენიღბვის საშუალებას. სწორია აგრეთვე ისიც, რომ მელანიზმი შეიძლება გამოვლინდეს, სადაც გნებავთ, ტყის მცენარეულობის ხასიათის დამოუკიდებლად. თუმცა ჩემი გამოცდილება ამას არ ადასტურებს. შავი ავაზები წარმოადგენენ ბუნების, ანუ, უფრო სწორად, ჯუნგლების ერთ-ერთ საიდუმლოებას, რომელიც დღესაც საბოლოოდ არ არის ამოხსნილი.

თუ თქვენ ზოოპარკში ყურადღებით დააკვირდებით შავ ავაზას, მის მუქ ქურქში გაარჩევთ ჩვეულერივი ავაზას ვარდისფერ წინწკლებს, თუმცა, რასაკვირველია, უაღრესად ბუნდოვანს.

სოფელში დაბრუნებისას მწყემსმა უამბო თანასოფლელებს, რომ შეხვდა შავ ავაზას. ამ მხარეში მანამდე არასდროს არ ენახათ შავი ავაზა, არც სმენოდათ რაიმე ასეთის შესახებ და მწყემსს არ დაუჯერეს. თვითონ მწყემსს, ცხადია, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ დაინახა შავი ავაზა, მაგრამ გულწრფელად

---

* ცხოველთა ორგანიზმის კანსაფარველში მუქი შეფერილობის განმაპირობებელი, მეტად დიდი რაოდენობით შემღებავი ნივთიერების არსებობა.

** მთის ქედი ინდოეთის დასავლეთ ნაწილში.

მიაჩნდა, რომ მას თვალწინ წარმოუდგა არა ცოცხალი არსებ. არამედ თვითონ სატანა ერთ-ერთი იმ სახეცვლილებით, რომ ელსაც ხშირად ღებულობს ჯუნგლებში, რომ დააშინოს საცო დავი გლეხები.

გაიარა რამდენიმე კვირამ, შავ ავაზაზე არაფერი ისმოდა და მწყემსის ნაამბობი დავიწყებას მიეცა.

ერთხელ შუადღისას, როცა მზე შუბისტარზე იყო, ჯოგი ისვენებდა ხეების ჩრდილში. ცხოველები ორიდან ექვსამდე ჯგუფ-ჯგუფად იწვნენ, და თვალებდახუჭულნი ზანტად იცოხნებოდნენ. ორმა მწყემსმა დაამთავრა ფეტვის ლავაშისა და კარისაგან* შემდგარი სადილი, დაწვნენ ერთმანეთის გვერდით ხის ძირში და მალე დაიძინეს. ძნელი წარმოსადგენია ამაზე უფრო მშვიდი სურათი: ლაქვარდოვანი ცა, ტროპიკული მზე, მიწაზე უხვად რომ აფრქვევს მცხუნვარე სხივებს, რომლებსაც მიწავე ირეკლავს მთრთოლვარე ტალღებად. სიცხისაგან მოთენთილი ჯოგი თვლემს და არაფერს აინუნშიაც არ აგდებს.

და ამ მომენტში მოხდა შავი ავაზას პირველი თავდასხმა. მოულოდნელად გამოჩენილმა ეშვები გაუყარა ყელში მოწითალო-თეთრ ძროხას, რომელმაც დაიბღავლა ტკივილისაგან, წამოხტა ზეზე და თავისი მტერი მაღლა აიტაცა.

ძროხის სულთმობრძავმა ბღავილმა გააღვიძა ერთ-ერთი მწყემსი.

მან უბიძგა ამხანაგს და მიუთითა შავი ავაზას ქურქით მოვლენილ ეშმაკზე. მათ თვალწინ შიშისაგან შეძრწუნებული ძროხა მიწაზე დავარდა და განაგრძობდა ფეხების ქნევას, თუმცა სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. შავი ავაზა უფრო და უფრო უჭერდა ეშვებს, ბოლოს საწყალ ცხოველს აღმოხდა სული. მხოლოდ მაშინ წამოცვივდნენ მწყემსები.

ჩვეულებრივ პირუტყვზე ავაზას თავდასხმის შემთხვევაში მწყემსები მიცვივდებოდნენ ხოლმე საშველად ჯოხების ქნევითა და ხმამაღალი ყვირილით და თუ ყოველთვის ვერ ახერხებდნენ მსხვერპლის გადარჩენას, მტაცებელს მაინც განდევნიდნენ, ვიდრე იგი მოასწრებდა ჯუნგლებში ლეშის შეთრევას.

---

* ცერცვის, ბოსტნეულისა და მწვანილისაგან მომზადებული საჭელებელი.

ამჯერად მათ ვერ გაბედეს ასე მოქცეულიყვნენ. თავზარ-
აცემულნი იდგნენ, თითქოს ადგილზე ყოფილიყვნენ მიჯა-
ჯულნი. ამასობაში ავაზამ გაუშვა პირი თავის მსხვერპლს და
აიხედა მათკენ. თუმცა ის ორმოცდაათ იარდზე იყო მწყემს-
ებისაგან, მაგრამ ნათლად არჩევდნენ ძროხის გამოღადრული
კელიდან მოთქრიალე სისხლის ნაკადს და მტაცებლის მუქ-წი-
ელ ხახას, რომელიც მკვეთრად გამოირჩეოდა შავი ქურქის
ფონზე.

მწყემსები შემობრუნდნენ და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ,
მოკურცხლეს.

უცნობი შავი ურჩხულის გამოჩენით დამფრთხალმა შივანი-
პალის მცირერიცხოვანმა მცხოვრებლებმა გადაჭრით უარი
განაცხადეს, წასულიყვნენ ძროხის ლეშის მოსატანად.

ამ დღიდან შავმა მოთარეშემ რეგულარულად დაიწყო
შივანიპალიდან ხარკის აღება შინაური ცხოველებით. ის კიდევ
რამდენჯერმე დაინახეს, და ახლა უკვე აღარავის ეპარებოდა
ეჭვი მისი არსებობის შესახებ. მაშინ გლეხებმა გადაწყვიტეს
შემდეგში უფრო ფრთხილად ყოფილიყვნენ. ჯოგს სოფლიდან
მეოთხედ მილზე შორს აღარ მირეკავდნენ საბალახოდ.

როდესაც ავაზამ იგრძნო, რომ კვების ეს წყარო მისთვის
მიუწვდომელი გახდა, მტაცებელმა გააფართოვა თავისი მოქ-
მედების არე და გეზი აიღო ანჩეტის, გულხატისა და აიურას
ჯოგებისაკენ, მან მსხვილი ვირიც კი გაიტაცა სოფელ სალი-
ვარამიდან, რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, მდებარეობდა
შივანიპალის ჩრდილოეთით ტყის მასივიდან საკმაო მან-
ძილზე.

დაახლოებით ამ დროს ვეწვიე შივანიპალს მეგობართან
ერთად. ჩვენ გავემგზავრეთ იქ კვირას, მეორე საუზმის შემდეგ,
რომ გაგვესეირნა ტყეში, და თუ მოვახერხებდით, მოგვეკ-
ლა სუფრისათვის ტყის მამლები ან წყვილი მწვანე მტრედი.
შავი ავაზას გამოჩენისა და თავდასხმის შესახებ ნაამბობმა
ძალიან დამაინტერესა. ადრე მხოლოდ ერთხელ მყავდა ნახული
შავი ავაზა ზოოპარკის კედლებს გარეთ, და გადავწყვიტე
მეცადა ამ იშვიათი ნადირის მოკვლა.

გლეხებს დავპირდი, ავაზას მიერ მოკლული ცხოველის
ღირებულებას აგინაზღაურებთ იმ შემთხვევაში, თუ ხელს არ

ახლებთ მას და მე მაცნობებთ-მეთქი. ამისათვის ავტობუს-
უნდა მისულიყვნენ ხოსურის ფერმამდე, სადაც იყო უახლოეს
საფოსტო განყოფილება, და გამოეგზავნათ ჩემთვის დეპეშა
ბანგალურში. ვთხოვე აგრეთვე ეცნობებინათ ამის შესახებ
სოფლის მცხოვრებთათვის, სადაც ავაზა თარეშობდა. ბოლოს,
რომ კიდევ უფრო მიმეზიდა და დამეინტერესებინა გლეხები,
დავპირდი — არა მარტო მოკლული ცხოველის ღირებულებას
აგინაზღაურებთ, არამედ ვინც ზუსტად შეასრულებს ჩემს მოთ-
ხოვნებს, ჯილდოსაც მიიღებთ ორმოცდაათი რუპიის ოდენო-
ბით-მეთქი.

შემდეგ რამდენიმე დღის განმავლობაში მზად მქონდა გაშ-
ლილი საწოლი — ის მაჰანის მაგივრობას მიწევდა — და სხვა
მოწყობილობა, რომ დეპეშის მიღებისთანავე გავსულიყავი
ბანგალურიდან. მაგრამ დეპეშა მივიღე ორი კვირის შემდეგ და
ისიც დაახლოებით დღის ოთხ საათზე. ხუთის თხუთმეტ წუთზე
უკვე გავუდექი გზას, მაგრამ შივანიპალამდე რომ მი-
ვაღწიე, შვიდს გადაცილებული იყო და უკვე საკვლებით ბნე-
ლოდა.

შივანიპალში ცხოვრობდა ვინმე რანგასვამი, რომელიც
წინათ რამდენჯერმე დამეხმარა ნადირობაში. სწორედ მან მაც-
ნობა ხოსურიდან, რომ იმ დღეს, როცა პირუტყვი საზღვარზე
იყო გარეკილი, ავაზა თავს დაესხა ჯოგს. მწყემსმა იცოდა ჩემი
დაპირება მოკლული ცხოველის საფასურის ანაზღაურებისა და
ჯილდოს მიცემის შესახებ, ამიტომ ხელი არ უხლია ლეშისა-
თვის, გაიქცა შივანიპალში და ახალი ამბავი გადასცა რანგას-
ვამს; ის თავის მხრივ გაეშურა დენკანიკოტში, რომ მოესწრო
პირველის თხუთმეტ წუთზე გამავალ ავტობუსისათვის და
პირველ საათზე ჩავიდა ხოსურში.

რანგასვამი და მწყემსი დავაჯილდოვე სიმარდისათვის,
დავფიქრდი, როგორ მოვქცეულიყავი: მეთვალთვალა და
ფარნის შუქზე მომეკლა ავაზა თავის ნადავლთან ახლავე, თუ
ღამე გამეთია შივანიპალში, რომ საღამოხანს ჩავსაფრებოდი
მას. პირველი გეგმა ძალიან გაბედული იყო: ნადავლთან მიახ-
ლოების მომენტში ავაზა შეიძლება თავს დამსხმოდა. მაგრამ
ვერ შევძელი საკმაოდ საფუძვლიანი მოსაზრების შერჩევა
იმის სასარგებლოდ, რომ კიდევ ერთი დღე დავრჩენილიყავი

სოფელში, სადაც არაფერი საქმე არ მქონდა გასაკეთებელი.

თავდასხმა მოხდა ნახევარ მილზე ნაკლებ მანძილზე შივანიპალიდან დასავლეთით, იქ, სადაც ციცაბო დაღმართი იწყებოდა სოფლიდან სამი მილის მოშორებით გამავალი მდინარის ხეობაში. მანძილის სიახლოვით მოტყუებულმა, მაინც გადავწყვიტე მეცადა ავაზას მოკვლა იმავე ღამით, თუ რანგასვამი და გლეხი გამომყვებოდნენ და მიჩვენებდნენ, სად ეგდო მოკლული ძროხის ლეში. შემდეგ ჩემი გამცილებლები იქნებოდნენ სმენა და ინტუიცია.

მწყემსი და რანგასვამი დაჟინებით მირჩევდნენ ხვალ საღამომდე დამეცადა, მაგრამ მე მაინც გადავწყვიტე მტაცებლის მოძებნა.

მოლაპარაკება რომ დავამთავრე, რვას ათი წუთი აკლდა და აღარ შეიძლებოდა არც ერთი წუთის დაკარგვა, რადგან ავაზა უკვე შეუდგებოდა ჭამას.

შენიღბვის მიზნით თოფს მივამაგრე შავად შეღებილი ელექტროფარანი და ჯიბეში მარაგად ჩავიდე სამი ბატარეა და ხუთი ვაზნა. ოთხი ვაზნით გავტენე თოფი: სამი იყო სავაზნე კოლოფში, ერთი ლულაში. თუმცა 405 ყალიბის ვინჩესტერის კოლოფი გამიზნულია ოთხი ვაზნისთვის, მაგრამ სწრაფად გატენის დროს ხშირად მტყუვნების თავიდან ასაცილებლად ვტენი სამი ვაზნით. ბოლოს ჩავიცვი კედები, რომლებითაც მსუბუქად და უხმოდ დავდიოდი, ხაკისფერის ნაცვლად ჩავიცვი შავი ხალათი, რომელშიც ჩვეულებრივ ვდარაჯობდი ხოლმე მხეცს მაჰანში.

რანგასვამმა და მწყემსმა მიმაცილეს ამომშრალ ნაკადულამდე. შემდეგ მწყემსმა ამიხსნა, რომ ნაკადულის კალაპოტი მიემართება ზუსტად დასავლეთისაკენ და იმ ადგილას, სადაც ავაზამ თავდასხმა ჩაიდინა, ნაკადული უხვევს ორ ადგილას. მან აგრეთვე თქვა, რომ ავაზამ ძროხის ლეში შეათრია ჯუნგლებში ორასი იარდის მანძილზე ჩრდილოეთით მეორე მოსახვევის ბოლოდან.

უნდა ვუმადლოდე ნაკადულის ორ მოსახვევს, რომლებმაც საშუალება მისცა ჩემს გამცილებლებს, მოეცათ ასეთი ზუსტი ახსნა-განმარტება. ვუბრძანე მათ დაბრუნებული-

ყვნენ, — ბოლოს და ბოლოს მე თვითონაც შემეძლო მეპოვნა გზა შივანიპალში დასაბრუნებლად და შევუდექი ჩემი ჩანაფიქრის განხორციელებას.

გადავწყვიტე, რომ უფრო აზრიანი იქნებოდა გავყოლოდი არა ნაკადულის ნაპირს, არამედ ამომშრალ კალაპოტს, სადაც უფრო ნაკლებად ისმის ხმაური, რომელიც შეიძლება ჩემდაუნებურად გამომეცა. გარდა ამისა, ნაკადულის კალაპოტში ჩემთვის უფრო ადვილი იყო საჭირო მიმართულებით გეზის დაჭერა ფარნის დაუხმარებლად, ურომლისოდაც შეუძლებელია მცენარეულობით დაფარულ ნაპირზე სიარული, მათ უფრო, რომ ღრუბლებმა დაფარეს ვარსკვლავები და გარშემო უკუნი სიბნელე სუფევდა.

ამრიგად, მეტად ფრთხილად გავყევი ნაკადულის კალაპოტს და მალე ვიგრძენი, რომ იგი ჯერ უხვევდა სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. რამდენიმე ხნის შემდეგ კალაპოტმა კვლავ მოუხვია ჩრდილოეთისკენ, შემდეგ გასწორდა და გაემართა თავდაპირველი მიმართულებით: ორი მოსახვევიდან მე პირველი უკვე გავლილი მქონდა.

მალე დაიწყო მეორე მოსახვევი, ახლა უკვე ჩრდილოეთის მიმართულებით. ვმოძრაობდი რაც შეიძლება ფრთხილად, ვცდილობდი ფეხი არ დამედგა ქვაზე ან ლოდზე. ძროხის ლეშამდე რჩებოდა დაახლოებით სამი იარდი, მაგრამ თუ ჩემს მიერ დევნილი მტაცებელი სადმე ახლოს იმყოფებოდა და არ იყო ნადავლის ჭამით გართული, მას შეეძლო ხმაურის გაგონება და მიიმალებოდა.

საბედნიეროდ, კალაპოტის ამ ნაწილში არ იყო ბუჩქები და ქვები, ასე რომ წინ მდუმარედ მივიწევდით. ცოტა ხნის შემდეგ კალაპოტმა სამხრეთისაკენ მოუხვია, რამდენიმე იარდის შემდეგ კი გასწორდა.

შევდექი. ავაზამ ამ ადგილას მოკლა ძროხა და აქედანვე შეათრია ჯუნგლებში, დაახლოებით ორას იარდზე ჩრდილოეთის მიმართულებით. ახლა მე უნდა დამეტოვებინა კალაპოტი და ბუჩქნარში შემეღწია.

ფეხის ცერებზე შემდგარი გავემართე ჩრდილოეთ ნაპირისაკენ, ფრთხილად დავდე თოფი მიწაზე და სმენად ვიქეცი.

გავიდა ხუთი წუთი, მაგრამ მყუდროებას არაფერი არ-

ღვევდა. შესაძლებელია ძროხის ლეში ძალზე ღრმად იყო შეთრეული ჯუნგლებში და ვერ შევძელი ჭამის დროს ავაზას პირის ხრამუნის გაგონება, თუ, რასაკვირველია, ის ნადავლის ახლოს იდგა. ხელებზე დანდობილი ჩუმად ავცოცდი ნაპირზე, შემდეგ ავიღე თოფი, ნელა, ძალიან ნელა დავიძარი წინ. ისე ბნელოდა, რომ თვალთან თითს ვერ მიიტანდი. ვიცოდი, საშიში არაფერია, ვინაიდან ავაზა არ იყო კაციჭამია და არც ადამიანებზე თავდასხმის მიდრეკილებას იჩენდა, მაგრამ ეს იყო მაინც ჩემი პირველი შეხვედრა შავ ავაზასთან, მე კი გაგონილი მქონდა, რომ ისინი განსაკუთრებით მძვინვარენი და აგრესიულნი არიან. გულახდილად უნდა ვაღიარო, რომ ძალიან ვღელავდი.

თითოეული დუიმის* გავლის შემდეგ ვჩერდებოდი და ყურს ვუგდებდი, ხომ არ ისმოდა ავაზას ჭამის ხმა, რადგან ამ ხმას ჩემთვის მეგზურობა უნდა გაეწია. წყვდიადში შეუძლებელი იყო რაიმეს გარჩევა, ფარნისათვის კი შემეძლო მიმემართა მარტოოდენ გასროლის წინ. ფარნის ოდნავი სუსტი ციმციმიც რომ შეემჩნია, ავაზა უმალვე გაიქცეოდა.

ასე განვაგრძობდი წინ სვლას და მეჩვენებოდა რომ უკვე დიდი ხანია, რაც მივდივარ. შესაძლებელია გავიარე სამოცდათხუთმეტი იარდი ან ცოტა მეტი, როცა წინიდან, ჩემგან ოდნავ მარჯვნივ, გაისმა რაღაც ხმა. ყური მივუგდე, მაგრამ ხმაური არ განმეორებულა.

ახლა მე მივიწევდი ხშირი მცენარეულობით დაფარულ ადგილზე, და მიუხედავად ყოველგვარი ცდისა, ვერასგზით ვერ შევძელი უხმაუროდ სიარული, ეს ხმაური რომ ადამიანის ნაბიჯების ხმას არ დამსგავსებოდა, მივდიოდი ასე: ავწევდი ფეხს, გადავიტანდი წინ, შემდეგ დავდგამდი მიწაზე და მსუბუქად გავსრიალდებოდი. ფეხი რომ დამედგა შხამიანი გველისათვის, რეზინის ფეხსაცმელი ვერ დაიცავდა ჩემს კოჭებს. ვცდილობდი ამაზე არ მეფიქრა, განვაგრძე გზა, შეძლებისდაგვარად ბუჩქებისა და შამბნარის შემოვლით, ამის წყალობით ცოტათი ავცდი საჭირო მიმართულებას.

ხანგამოშვებით შევდგებოდი და ყურს მივუგდებდი ხოლ-

---

* დუიმი=2,6 სანტიმეტრს.

მე, მაგრამ ირგვლივ სიჩუმე სუფევდა. მე უკვე გადავწყვიტე, რომ ორას იარდზე გაცილებით მეტი მქონდა გავლილი. ღრუბლებით დაფარული ცის ქვეშ ხეებსა და ბუჩქების გარშემო სიარულში უიმედოდ დავკარგე ყოველგვარი ორიენტირების უნარი, რომ ერთბაშად გაისმა მოგლეჯილი ხორცისა და ძვლების ხრამუნის დიდი ხნის ნანატრი ხმა.

ბედმა გამიღიმა: ავაზა ამ დროს იმყოფებოდა ძროხის ლეშის ახლო და, რაც მთავარია, მთელი ყურადღება ჭამაზე ჰქონდა გადატანილი. მხოლოდ ისღა დამრჩენოდა მივახლოვებოდი იმდენად, რომ ერთდროულად შემძლებოდა ფარნის ანთება და სროლა. სათქმელად ეს ადვილია გასაკეთებლად კი — რარიგ რთული.

ჯერ ერთი, ხმები აღწევდა ჩემგან ცოტა მარცხენა მხრიდან და უკნიდან, მაშასადამე, სიბნელეში მარჯვნივ გადავხრილვარ. შესაძლოა ადრე ვერ ვარჩევდი ამას იმიტომ, რომ ავაზა ის იყო დაბრუნდა თავის ნადავლთან. მაგრამ შესაძლოა ვარაუდი მეტად არა სასიამოვნო იყო, — მან გაიგონა ჩემი ფეხის ხმა და გაიტრუნა.

დაველოდე რამდენიმე წამს, რომ ზუსტად განმესაზღვრა, საიდან მოდიოდა ხმები. მეჩვენებოდა, რომ ავაზა იმყოფება ჩემგან ორმოცდაათი — ორი იარდის მანძილზე.

კვლავ დავიწყე ძალიან ნელა და ფრთხილად დაცურება იმ მიმართულებით, საიდანაც ხმაური ისმოდა.

თუ ავაზამ ნადავლი ბუჩქებში ან მის იქით წაათრია, მე ვერ შევძლებ სროლას. თუ ვესვრი და დავჭრი, იგი თავს დამესხმის და ყველა უპირატესობა მის მხარეზე აღმოჩნდება.

ვცდილობდი ჩემი თავის გამხნევებას და გულში ვიმეორებდი, რომ ეს ავაზა წინათ არასდროს არ დასხმია თავს ადამიანს, რომ ფარნის სინათლე დააფრთხობს მას და, შესაძლებელია, აიძულოს კიდეც სულ გაიქცეს.

მეტად ძნელია შემდგომი წუთების ზუსტად აწერა. გონება და გრძნობები უკიდურესობამდე მქონდა აღგზნებული, ასე რომ ავტომატურად ვუვლიდი გვერდს ყველა დაბრკოლებას — ხეებსა და ბუჩქებს. სანამ ავაზა „ვახშმობდა“, შემეძლო დარწმუნებული ვყოფილიყავი, რომ იგი ახლოს იმყოფება, ჭამითაა გართული და ვერ გრძნობს ჩემს მიახლოებას.

ვაგრამ თუ ხმები შეწყდებოდა, ეს კი მაჩვენებელი იქნებოდა იმისა, რომ ავაზამ ჩემი სუნი იკრა და შეწყვიტა ჭამა.

ხმები არ წყდებოდა და ამიტომ განვაგრძობდი მიპარვას, ყოველთვის, სანამ ნაბიჯს გადავდგამდი, ფეხის წვერით ვსინჯავდი მიწას. თუ ხმელ ფოთოლს ვიგრძნობდი, ხმაური რომ არ გამოეწვია მას, ფეხს სხვა ადგილას ვდგამდი. თვალებდაძაბული მივჩერებოდი სიბნელეს, ყურები გამახვილებული მქონდა, რომ ჭამის ხმა არ გამომპარვოდა.

ხმები მოულოდნელად შეწყდა, და შემაძრწუნებელი სიჩუმე ჩამოვარდა.

ავაზამ შეისვენა, თუ ჭამა დაამთავრა და წავიდა? შეიძლება ის სწორედ ახლა მიდის. ან გაიგონა ჩემი ნაბიჯების ხმა და ემზადება თავდასასხმელად. ამ აზრებმა ქარიშხალივით გამიელვა თავში და შევჩერდი.

რამდენიმე ხანს — არ ვიცი ზუსტად რამდენს — სრულიად გაუნძრევლად ვიდექი. მახსოვს, რომ ვფიქრობდი, რა გამეკეთებინა შემდეგში. განვაგრძო წინსვლა, ავაზა მიხვდება, რომ მე აქ ვარ. როგორც არ უნდა ეცადოს, ადამიანი ვერ შეძლებს მოძრაობას სიბნელეში ისე ჩუმად, რომ არ გაიგოროს ასეთი მახვილი სმენის მქონე ნადირმა. თანაც თუ უმოძრაოდ გავჩერდები, მაშინ შევძლებ შევიტყო ავაზას მოახლოება.

გადავწყვიტე, არ დავძრულიყავი ადგილიდან, შემდგომმა ამბებმა ცხადყო, რომ ჩემი გადაწყვეტილება სწორი იყო.

რამდენიმე წამის შემდეგ, მეტად დაძაბულმა, ყური მოვკარი სუსტ შრიალს. ის მიწყდა, შემდეგ კვლავ განმეორდა. კიდაც მოძრაობდა ჩემს წინ. მაგრამ ვინ? ასეთი განუწყვეტელი შრიალით მოძრაობს არა მარტო ბალახში მცოცავი გველი, არამედ მისაპარავად მუცელზე მხოხავი ავაზაც. სიმართლე გითხრათ, ცუდ ხასიათზე დავდექი.

ან იქნებ ეს ვირთხაა, ბაყაყია, ღამის ფრინველი, ანდა წვრილფეხა ცხოველი, რომლებიც მრავლად ბინადრობენ ჯუნგლებში? მაშინ ხმაური დრო და დრო ხომ უნდა შემწყდარიყო, და კვლავ განახლებულიყო, ახლა კი ჩემამდე აღწევდა შრიალი, რომელიც მოწმობდა ნელ, მაგრამ შეუჩერებელ ჰოძრაობას.

გაიარა კიდევ რამდენიმე წამმა, და სავსებით დავრწმუნდი, რომ ჩემსკენ მოცოცავს ავაზა. ერთბაშად შრიალი შეწყდა. შემდეგ ამას მოჰყვა კარგად ცნობილი სისინი, იმის მაგვარი, რომელსაც გამძვინვარებული კობრა გამოსცემს ხოლმე ჰაერის ამოსუნთქვის დროს. ავაზამ დაიწყო ღრენა. სულ მალე ის უფრო მკაფიოდ მოისმა და მოსალოდნელი იყო ღმუილად გადაქცეულიყო, შემდეგ კი დამესხმოდა თავზე; ხშირად გამიგონია ხმები ასეთი თანამიმდევრობით და ისიც ვიცოდი, რაც იყო მოსალოდნელი. სწრაფად მოვიგდე თოფი ბეჭზე და ჩავრთე ფარანი.

ჩასისხლიანებული ორი მოთეთრო თვალი დამაშტერდა, მაგრამ თვით ძხეცის გარჩევა ვერ შევძელი: ეს ხომ სიბნელეში უჩინარი შავი ავაზა იყო.

შესაძლებელია მას არ ჰქონდა ავი ზრახვები. მომეპარა მხოლოდ იმისათვის, რომ გაერკვია, ვინ დადის მისი ნადავლის მახლობლად. შეიცნო რა, რომ ხმაურს გამოსცემს მისთვის საძულველი ადამიანი, ავაზამ გადაწყვიტა შეტევაზე გადმოსვლა, გაქვავებული მისჩერებოდა იგი ჩემი ფარნის შუქს.

საკმაო დრო მქონდა, რომ ზუსტად ამომეღო მიზანში. ვესროლე. მაგრამ მის ნაცვლად, რომ დაცემულიყო ან ყოველ შემთხვევაში დაეწყო თავგანწირული ბრძოლა, ავაზა ხორხისმიერი ღმუილით გახტა გვერდზე. ან ავაცდინე, ანდა მხოლოდ დავჭერი ცხოველი.

შეუძლებელია ამეცდინა, მაგრამ ამას საბოლოოდ დღისით გამოვარკვევდი მხოლოდ. გამოვბრუნდი და უკან წავედი.

ამჯერად, ცხადია, ფარნით ვერ ვისარგებლებდი. მაგრამ მხარი მექცა. საათნახევარი ვიხეტიალე, რომ მოძენახა იმ ნაკადულის კალაპოტი, რომლითაც მოვედი.

ცა კვლავ ღრუბლებით იყო დაფარული, ერთი ვარსკვლავიც კი არ ჩანდა, რომ გამერკვია, საით იყო შივანიპალი. მაშინ მომაგონდა, რომ სოფლიდან დასავლეთით ეშვებოდა დაღმართი ხევში, რომელშიც ორი მდინარე მიედინებოდა. მაშასადამე, თუ მე წავიდოდი ოდნავ ამაღლებულ ფერდობით, უეჭველად სოფლის მახლობლად აღმოვჩნდებოდი.

შევუდექი აღმართს. მაგრამ შივანიპალში გვიანობამდე ვერ ჩავედი. მკითხველს თავი რომ არ შევაწყინო ზედმეტი წვრილმანებით, ვიტყვი მოკლედ — შუაღამეს გადაცილებული იყო, როცა მე გავედი, არა შივანიპალის, არამედ სალივარამისაკენ მიმავალ გზაზე. ახლა, რასაკვირველია, ვიცოდი — სად ვიმყოფებოდი, და ნახევარ საათში ჩავედი სოფელში.

მისვლისთანავე გავაღვიძე რანგასვამი და ვუამბე ყველაფერი. სხვა აღარაფერი დამრჩენოდა, გარდა დაწოლისა. მე უკვე ვთქვი, რომ შივანიპალი პატარა სოფელია, რანგასვამს ჰყავდა დიდი ოჯახი, და არ შეეძლო ჩემი მიწვევა ღამის გასათევად თავის ქოხში. ამიტომ დავწექი თივის ზვინში და რომ გავმთბარიყავი, გადავიფარე ნამიანი თივა.

თუ თქვენ ოდესმე მოისურვებთ ცოცხლად შეგჭამონ ბალახის პაწაწკინტელა ტკიპებმა, რომლებიც ფუთფუთებენ თივაში და მრავლად არიან გავრცელებული სამხრეთ ინდოეთის ტყიან ადგილებში, ღამე გაათიეთ შივანიპალში თივის ზვინში. ბალახის ტკიპა წვრილი მწერია, ჩვეულებრივ ქინძისთავის ოდენაა. მაგრამ სისხლით გამძღარი იბერება. ეს პაწაწკინტელა არსებანი უმადური ღორმუცელები არიან: ისინი არა მარტო წოვენ სისხლს, არამედ ტანზე პატარა ჭრილობებსაც ტოვებენ. რაც უფრო მეტად იფხანთ ამ ადგილებს, რომ თავი დააღწიოთ აუტანელ ქავილს, ჭრილობა მით უფრო დიდდება და ბოლოს გადაიქცევა ჩირქოვან იარად, რომელიც იფარება ყავისფერი ფუფხით. ეს კიდევ ცოტაა, თუ ამ მწერთაგან ბევრი გაგაბედნიერებთ დიდი ყურადღებით, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მუწუკებს გარდა, ციებ-ცხელებითაც დაგასაჩუქრებენ.

იმ წყეულ ღამეს თვალი არ მომიხუჭავს. თავიდან ტერფამდე მუწუკებით დაფარულმა, დაღლილმა და გაჯავრებულმა, განთიადს შევეგებე იმ მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ ღამე უბოროტეს მტერთან ბრძოლაში გავატარე.

სულიერი განწყობილების აღსადგენად, უპირველეს ყოვლისა, უნდა დამელია ცხელი ჩაი. გავეშურე რანგასვამის ქოხისაკენ, მაგრამ კარები დაკეტილი დამხვდა. როგორც ჩანს, სახლის ბინადართ ჯერ კიდევ ეძინათ. სასოწარკვეთილმა

კარზე დავაბრახუნე და დავიწყე ხმამაღლა ძახილი. რამდენიმე ხნის შემდეგ ქოხის შიგნით დაიწყო მოძრაობა. ბოლოს ურდული, რომლითაც კარი შიგნიდან ჰქონდათ ჩაკეტილი, გამოიწია და გამოჩნდა ნამძინარევი რანგასვამის გაბურძგვნილი თავი.

ვუთხარი, სწრაფად გაეჩაღებინა ცეცხლი. ეზოს მეორე მხარეს რანგასვამმა სამკუთხედად მიწაზე სამი ქვა დადო და ამ სამკუთხედის შიგნით საშინლად მხრჩოლავი ნედლი ფიჩხიდან და ჩალიდან კოცონი დაანთო. მე თან არ მქონდა წამოღებული წყლის ასადუღებელი ჭურჭელი და რანგასვამს ვთხოვე თიხის ქილა, რომელიც, მისი სიტყვით, სრულიად სუფთა იყო, თუმცა შესახედაობა ეჭვს მგვრიდა.

წყალი რომ ადუღდა, ჩავყარე მათარაში ჩაის ფოთლები, დავასხი მდუღარე, დავახურე და რამდენჯერმე შევანჯღრიე. ამასობაში გამოჩდნენ სხვა ქოხების ბინადარნიც. ერთმა შემომთავაზა ცოტა რძე, მეორე გამიმასპინძლდა პალმის შაქრით, რაც ძალიან მინდოდა, რადგან შაქარი სახლში დამრჩა. ჩავაგდე ჭიქაში შაქარი, დავასხი მათარიდან ნაყენი, დავუმატე რძე, და, გინდა მერწმუნეთ, გინდა არა — გამოვიდა რაღაც ჩაის მსგავსი ნარევი.

საუზმე შედგებოდა კვერცხებისაგან, რომლებიც ვიყიდე და კოცონზე მაგრად მოვხარშე. დაახლოებით დილის შვიდი საათისათვის ძალ-ღონე ცოტად თუ ბევრად აღვიდგინე და კვლავ გამეღვიძა ინტერესი გარემოსადმი, დავიწყე ფიქრი, როგორ მოვქცეოდი ავაზას.

მე ვთხოვე რანგასვამს, მოეძებნა მწყემსი, რათა, თუ ეს შესაძლებელია, შეეკრიბა კამეჩების ჯოგი და გაერეკა ხშირ ბუჩქნარში. კამეჩები დამეხმარებოდნენ ავაზას აღმოჩენაში, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ ავაზასთვის ტყვია არ ამიცდენია.

ამ საუბრის დამსწრენი მარწმუნებდნენ, შივანიპალში არ არის კამეჩებიო. არავის სურდა გაეწირა თავისი პირუტყვი. ამ დროს გამოჩნდა ჩემი გუშინდელი თანამგზავრი. მან მაცნობა, რომ სალივარამში მის მეგობარს აქვს ლულიდან გასატენი თოფი. მწყემსმა გადაწყვიტა, ეთხოვებინა იგი, რომ ჩემთან ერთად წამოსულიყო ავაზაზე სანადიროდ. ამიტომ უთენია

ადგა და გაემგზავრა სალივარამში. სამწუხაროდ, მეგობარი არ დახვდა სახლში და მწყემსი ხელცარიელი დაბრუნდა.

მადლობა გადავუხადე მწყემსს ჩემი დახმარების სურვილისათვის, მაგრამ გულში კიდევ უფრო მადლობელი ვიყავი ბედის, რომ მისმა ცდამ ფუჭად ჩაიარა: ვაღიარებ — ძალიან ვინერვიულებდი, რომ ჩემს უკან მომავალ მწყემს ჰქონდა ლულიდან გატენილი თოფი, რომელიც უწესივრო მოპყრობის შემთხვევაში ძალზე საშიშია ახლო მყოფთათვის.

კამეჩების საქმეში მარცხი რომ განვიცადე, ვცადე შივანიპალის ძაღლების პატრონები დამეთანხმებინა. კარგა ხნის ყოყმანისა და კამათის შემდეგ მომგვარეს ერთადერთი ძაღლი. ეს იყო ყურებდაჭრილი და დაგრეხილი გრძელკუდიანი ყავისფერი დიდი ძუკნა — სოფლის ერთ-ერთი ტიპიური ძაღლი „პარია“, რომელსაც გაჩენისთანავე ჭრიან ყურებს, რომ შიგ ტკიპები არ გაუჩნდეს. გლეხების აზრით, უფრო ადვილი და უბრალოა ძაღლებისათვის ყურების დაჭრა, ვიდრე დროგამოშვებით ტკიპების მოშორება.

საკვირველი დამთხვევაა, ძაღლს ერქვა კუში. ეს მაგონებდა კუშ-კუშ-კარიას, ჩემი ძველი მეგობრის პუჯარი* ბაირეს ძაღლს, იმ პუჯარი ბაირესი, რომელთან ერთად ბევრი მიხეტიალია ჯუნგლებში. არ ვიცი, სალემის ოლქის ტყიან ნაწილში იყო ეს სახელი პოპულარული, თუ ის წარმომდგარია შორისდებულიდან, რომლის მეშვეობით ძაღლებს არქმევენ ხოლმე სახელებს, — პირადად მე უკანასკნელისკენ ვიხრები. ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ კუში ზუსტად ისე იქცეოდა, როგორც მისი სეხნია.

ბოლოს რანგასვამის, მწყემსის, კუშისა და მისი პატრონის თანხლებით წავედი ავაზას საძებნელად.

მალე მივაღწიეთ ადგილს, სადაც წინა დღით თანამგზავრებმა დამტოვეს, შემდეგ ჩემს ნაკვალევზე გავყევით ნაკადულის კალაპოტს და გადავედით ჩრდილოეთ ნაპირზე.

აქედან ჩახმახზე შეყენებული თოფით სათავეში ჩავუდექი პატარა რაზმს; კუში მორბოდა ჩემთან და ისევ ბრუნდებოდა

---

* ბრაჰმანი-ქურუმი.

პატრონთან, რომელიც ჯგუფს ბოლოში მოჰყვებოდა, ჩემს უკან მოდიოდა რანგასვამი, მას მოსდევდა მწყემსი.

მწყემსს, რასაკვირველია, ახსოვდა, სად ეგდო ძროხის ლეში, მაგრამ მე მინდოდა მენახა ადგილი, სადაც ავაზას ვესროლე. ეს არ მოხერხდა. ვინც ნამყოფია ჯუნგლებში, იცის, რომ ბუჩქები, დღისით სრულიად პატარა, ღამე სიდიდითა და მოხაზულობით სულ სხვაგვარი გვეჩვენება, და ვერ დავადგინე, ვიყავი თუ არა აქ თორმეტი საათის წინ.

მაშინ ვუბრძანე მწყემსს, მივეყვანე ძროხის ლეშთან, მან ადვილად მიაგნო. ავაზას ნახევრად შეეჭამა ის, მაგრამ გაურკვეველი იყო, ჩემთან შეხვედრამდე მიერთვა, თუ ტყვიის აცდენის შემდეგ. ხდება, თუმცა ძალიან იშვიათად, რომ მტაცებლები დაჭრის ან სროლის შემდეგ უბრუნდებიან თავის ნადავლს.

ლეშთან მისვლისთანავე ვცადე დამედგინა, საიდან მოვდიოდი წინა ღამით. შემეძლო მხოლოდ მევარაუდა, თუ რამდენ ხანს მოცოცავდა ჩემკენ ავაზა. გამოცდილება მიკარნახებდა, რომ როცა პირველად გავიგონე ავაზას ჭამის ხმა, მისგან თხუტმეტიდან ორმოცდაათ იარდზე ვიქნებოდი.

გადავზომე ნაბიჯებით თხუთმეტი იარდი, და ერთ-ერთ გლეხს ვუბრძანე, მოეღუნა ტოტი, რომ აღენიშნა ადგილი, შემდეგ გადავთალე კიდევ ოცდათხუთმეტი იარდი და მეორე ტოტი მოვღუნე.

სადღაც ამ ორ ნიშანს შორის, დაახლოებით იმ მიმართულებით, საითაც მე მივდიოდი, უნდა დარჩენილიყო რაღაც ნაკვალევი. თუ ის არ იყო, მაშასადამე ავაცდინე.

უკვე დარწმუნებული ვიყავი, რომ თუ ავაზა დაჭრილია, მახლობლად არ იქნებოდა დამალული, რადგან გაიგონებდა თუ არა ჩვენი ფეხის ხმას, უთუოდ გასცემდა თავის თავს ღრენით ან შეეცდებოდა თავს დაგვსხმოდა.

მე ვუბრძანე ჩემს თანამგზავრებს გულდასმით გადაეჩხირკათ მიდამო სისხლიანი ნაკვალევის აღმოსაჩენად. კუშმა რაღაც იყნოსა, და მისმა პატრონმა თავისთან მიგვიხმო: ლიმონის ბალახის ფოთოლზე მოჩანდა შემხმარი სისხლის მოგრძო ლაქა. კარგ გუნებაზე დავდექი. ჩვენს წინ იყო იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ არ ამიცდენია ტყვია და დამიჭ-

რია ნადირი სხეულის ზედა ნაწილში. რადგან მე ვუმზერდი ფარნის სინათლის ამრეკლავ თვალებს შუა, ტყვია უნდა მოხვედროდა თავის ქალაში.

და აი აქ კუშმა გვიჩვენა, რისი უნარიც აქვს მას. ის არ იყო დაგეშილი, მაგრამ ჩანდა, რომ ინსტინქტით გრძნობდა, რასაც მოითხოვდნენ მისგან. რამდენიმე ხნის განმავლობაში აქეთ-იქით აწყდებოდა, ყნოსავდა ირგვლივ ყველაფერს, შემდეგ წკმუტუნით გავარდა წინ.

ჩვენ გავყევით მას და ფოთლებზე და ბალახის მაღალ ღეროებზე სისხლის ახალი ლაქები აღმოვაჩინეთ. სისხლი აჩნდა მიწასაც. მაშასადამე ჭრილობა არ იყო უბრალო განაკაწრი, და ცხოველი ალბათ, სისხლიდან იცლებოდა. სისხლი თითქმის ყველგან შემშრალიყო, გარდა ძალიან ჩრდილოვანი ადგილებისა, აქ იმდენად სველი იყო ის, რომ თითით შეიძლებოდა აგეხოცა. სისხლი არ იყო მუქი, როგორც არის ხოლმე ფილტვების დაზიანების დროს.

კუში გაიქცა დასავლეთის მიმართულებით. ის მირბოდა, როგორც ჩანდა, მდინარე ანეკალ ვანკას კალაპოტისაკენ მიმავალ ნაკვალევზე. ეს მდინარე ერთვის დოდა ხალას, რომელიც კანადის ენაზე ნიშნავს „დიდ ხახას“. ასეთი სახელწოდება იმიტომ მიიღო, რომ თავის დაკლაკნილ გზაზე მრავალი ნაკადულის წყალს ნთქავს. დოდა ხალა მიედინება სოფელ ანჩეტის მახლობლად, შემდეგ მკვეთრად უხვევს სამხრეთისაკენ, გვერდს უვლის გუნდალამს და ბოლოს ერთვის მდინარე კავერის.

მე კარგად ვიცნობდი დოდა ხალას რაიონს, დოდა ხალასი, რომელსაც შევარქვი „იდუმალი მდინარე“ იმის გამო, რომ მის ნაპირს იშვიათად სწვევია ვინმე მეტად ხანგრძლივი და ძნელად გადასალახავი გზის გამო. ამიტომ ადამიანის თვალსა და ხმას მოწყვეტილი დოდა ხალას ხეობა აღსავსეა მომხიბლავი მშვენიერებით. აქ ვიპოვნე გეოლოგებისათვის საინტერესო ქანები, მაგრამ ახლაც ვერ ვბედავ გამოვაქვეყნო ეს აღმოჩენა, რომ ერთმა ყველაზე ულამაზესმა კუთხემ სალემის ოლქის ჯუნგლებში არ დაკარგოს თავისი ხელშეუხებელი სილამაზე.

მაგრამ დავუბრუნდეთ იმ დილის ამბებს. ბუჩქნარი ძალიან ხშირი იყო, მაგრამ ვერაფერს ვნებდა კუშის მახვილ ყნოსვას.

უფრო ძნელი იყო ძაღლის გვერდით ყოფნა. მისი მოქნილი პატარა სხეული დაძვრებოდა ბუჩქებსა და ეკლიან ჩირგვნარს შორის. ხელ-ფეხი ძალზე დაგვეკაწრა და ძაღლი რომ მხედველობიდან არ დაგვკარგვოდა, ისე სწრაფად მივიწევდით წინ, რომ სიფრთხილის ზომებსაც კი ვიცავდით დაჭრილი ავაზა! თავდასხმის შემთხვევაში მაყვლის ბუჩქები და სხვა დაბრკოლებანი გვაფერხებდა, მაშინ კუში შორს მოგვიტოვებდა ხოლმე და სტვენით ვუხმობდით ძაღლს უკან, მაგრამ რამდენიმე წუთით უკან რომ დაბრუნდებოდა, ჩანდა, როგორ უჭირდა ნაკვალევის ხელახლა მოძებნა.

ბაწარი არ გვქონდა თან წამოღებული და მწყემსისაგან ვითხოვე დოლბანდი, მისი ერთი ბოლო კუშს ჩავაბი კისერში, მეორე კი გადავეცი პატრონს. მაგრამ დოლბანდი მოკლე იყო და ძაღლი რომ დაგვეკავებინა, პატრონს უხდებოდა წელში მოხრა, და როცა კუში წინ გავარდნას ლამობდა, დოლბანდი კისერში უჭერდა, სული ეგუბებოდა და ხრიალებდა.

ასე მივიწევდით წინ, სანამ არ მივაღწიეთ პლატოს ნაპირს, საიდანაც იწყებოდა ციცაბო ხრამი, ქვევით კი მაღალი ხეების წვეროებს შორის მოჩანდა მდინარე ანეკალვანკა; მზე ირეკლებოდა დაკლაკნილ ქვიშიან კალაპოტში წყლის ვერცხლისფერ ზედაპირზე. როგორც ყოველთვის, წლის ამ დროს მდინარე სამი მეოთხედითაა დაკლებული.

ცოტა რომ გავიარეთ, დავრწმუნდით, ჭრილობისაგან ღონემიხდილი ავაზა ბალახზე ბაბუკის ხის შტამბთან წოლილა და, ირგვლივ დაღვრილი სისხლის მიხედვით ჩანდა, რომ უბრალოდ კი არ ისვენებდა, არამედ ბორგავდა და მიწაზე გორაობდა ტკივილისაგან, კუში აქ შესდგა და გამოავლინა მეორე არაჩვეულებრივი თვისება — ალოკა სისხლი. სოფლის ძაღლებს ჩვეულებრივ ეშინიათ ავაზის, კუში კი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, განსაკუთრებული ცხოველი გახლდათ. ჩვენ მართლაც ბედი გვეწვია, რომ კუშის პატრონმა ნება დაგვრთო თან წამოგვეყვანა ძაღლი. უმრავლესობას გლეხებისა, რომლებიც უყოყმანოდ ჭრიან ლეკვებს ყურებს, სისასტიკედ მიაჩნიათ დაჭრილი მტაცებლის სადევნად ძაღლის გამოყენება. კუშის დაუფასებელი დახმარების გარეშე ვერასოდეს ვერ

შევძლებდით გავყოლოდით ხშირ ბუჩქნარში სისხლიან ნაკვალევს.

დავიწყეთ ხრამში ჩასვლა. მცენარეულობა აქ შეთხელებული იყო, მიწა კი გაშიშვლებული და ქვიანი. ყველგან დახვავებულ ქვის ლოდებს შორის ხარობდა გრძელფოთლიანი უხეში ლიმონის ბალახი.

მდინარის ნაპირები დაფარული იყო რიყის ქვით. ისინი ცხადყოფდნენ, თუ უწევდა წყლის დონეს მდინარეში წყალდიდობის დროს მუსონების პერიოდში.

მზეცის დევნა ნაკვალევზე ადვილი გახდა. კლდეების ფონზე გამოყოფილი ჟანგისფერ-მოყავისფერო წვეთები ცხადყოფდნენ, თუ სად გაიარა ცხოველმა. ავაზის დაკარგული სისხლის რაოდენობით თუ ვიმსჯელებდით, აშკარა გახლდათ, რომ ის უფრო სერიოზულადაა დაჭრილი, ვიდრე მე ვვარაუდობდი. როგორც ჩანდა, ტყვიამ დაუზიანა არტერია, თორემ სისხლის დენა, თუ სრულებით არ შეუწყდებოდა, შეუმცირდებოდა მაინც, რადგან კანქვეშა ქონი შეკუმშვის დროს ხურავს ნატყვიარს.

მივაღწიეთ მდინარის კალაპოტს, სადაც ჯერ კიდევ მიედინებოდა წყლის წვრილი ნაკადი. აქ ავაზა ალბათ განერთხო მიწაზე, რომ წყურვილი მოეკლა და დატოვა სისხლის წვეთების ორი მწკრივი. ამან ძალიან შემაფიქრიანა, რადგან მე ხომ ერთხელ ვესროლე მას?

სანამ მდინარის ფონზე გავიდოდა, ავაზას თათი დაედგა თავის სისხლზე, და ქვაზე გარკვევით აღბეჭდილიყო მზეცის საშუალო ზომის წინა თათი. წყალს ჩამოერეცხა სისხლი მზეცის თათიდან, მაგრამ მეორე ნაპირას ლოდებსა და რიყის ქვებზე ჩანდა შემშრალი სისხლის წვეთები.

მდინარეზე გადასვლისას ავაზამ შეიცვალა მიმართულება და დაახლოებით ორასი იარდის მანძილზე მდინარის პარალელურად მისი ნაპირების გასწვრივ მიდიოდა. შემდეგ გაუხვია მარცხნივ და შეუდგა ხრამის ფერდობზე ასვლას. ეტყობა, აქ ქვები და კლდეები დაიფარა მცენარეულობით და კვლავ მოგვიხდა ალაგ-ალაგ ბამბუკისა და ხეების შენაცვლებულ შამბნარსა და ეკლიან ბუჩქნარში გაღწევა.

ავაზა ხულ მაღლა-მაღლა მიიწევდა, მას კვალდაკვალ

მისდევდა კუშიც. ბოლოს გავედით დენკანიკოტიდან ანჩეტი-საკენ ტყის გადამკვეთ გზაზე, ცხრა მილის აღსანიშნავად ჩასმული ქვის პირდაპირ. ღამისა და დილის განმავლობაში ამ გზაზე გაიარა მრავალმა ფორანმა, და წამსვე ნაკვალევის სუნი გაქრა ყავისფერ მტვერში. მაგრამ კუშმა ადვილად იპოვა იგი გზის მეორე მხარეზე, და ჩვენც აჩქარებით მივყევით უკან.

ბალახი და ლელიანი თანდათან შეცვალა ეკლიანმა მცენარეებმა, უფრო მეტად კი ლანტანის შამბნარმა. იქ, სადაც ავაზა ბუჩქის ქვეშ გაძვრა, აღმოვჩნდით თითქმის გადაულახავი დაბრკოლების წინაშე. მისი შემოვლა შეუძლებელი იყო. სხვა გზა არ იყო, მუცელზე ხოხვით უნდა განგვეგრძო გზა.

ასეთ პირობებში თოფი ზედმეტ ბარგად გამიხდა სათრევი. ეკალნარი სახეს მიკაწრავდა, თმებს მგლეჯდა, ხელ-ფეხში მერჭობოდა, ტანსაცმელი შემომეფლითა. ყველაფერს ვწყევლიდი ქვეყანაზე. ჩემი ამხანაგები კიდევ უარეს მდგომარეობაში იყვნენ, რადგან მათ უფრო მსუბუქად ეცვათ. ან შესაძლოა მათი კანია ნაკლებ მგრძნობიარე — არ ვიცი. მაგრამ დარწმუნებული ვარ, იმ გამოთქმებისათვის, რომლებიც ყველა ჩვენგანს ეკერა პირზე, კონკურსი რომ გამოეცხადებინათ ქუჩურ ლანძღვა-გინებაზე, უთუოდ პირველ ჯილდოს ჩვენ მოვიპოვებდით. მხოლოდ კუში შემოგვცქეროდა აუღელვებლად და აშკარად უკმაყოფილოდ ჩვენი აუჩქარებლობისა და მოუქნელობის გამო.

ახლა უკვე ნათელი გახდა, რომ დაჭრილ ცხოველს გეზი აღებული ჰქონდა ბორცვისაკენ, რომელიც დაახლოებით ნახევარი მილით იყო დაშორებული მეშვიდე და მერვე მილის აღმნიშვნელ ხაზებს შორის დენკანიკოტა — ანჩეტის გზაზე მდებარე სოფელ კუნდოკატაიდან. ამ ბორცვის მწვერვალზე ბევრი გამოქვაბულია და მსხვილ ფუტკრებს, რომლებიც ბინადრობენ ჯუნგლების კლდოვან ნაწილში, მათი მოხრილი თაღები შეურჩევიათ თავისი ფიჭისათვის. მე არაერთხელ დამინახავს ისინი ანჩეტში მიმავალ გზაზე გავლის დროს.

ვგრძნობდი, რომ შავი ავაზის მოკვლის ძალზე პატარა იმედიღა მრჩებოდა. აქ მისი ძებნა ისევე ამაო იყო, როგორც ნემსისა თივის ზვინში. გარდა ამისა, თუ ავაზამ თავშესაფრად აირჩია გამოქვაბული, სადაც ფუტკრები ბინადრობენ, მაშინ

მას საიმედოდ დაცულ ადგილას მოუკალათებია, შეწუხებული ფუტკრები ძალზე მრისხანე მოწინააღმდეგენი არიან.

ბუჩქებს ვამტვრევდით და ისე მივიკვლევდით გზას. საუკუნეთა მანძილზე ზემოდან ჩამონადენი წვიმის წყლით გაპრიალებულ დამრეც ქვიან ფერდობზე ეკლიანი ბუჩქები ნაკლებად ხარობდა.

სუნს კუში მიყავდა პირქუშად გადმომზირალ ყველაზე ვეებერთელა ნაპრალისაკენ. ჩვენ ვხედავდით გამოქვაბულის თაღიდან გადმოკიდებულ ფუტკრების ექვსამდე ახალ ფიჭას და ალაგ-ალაგ ძველის ნარჩენებსაც.

რეზინისძირიანი ფეხსაცმლის წყალობით ადვილად ავცოცდი კლდის მოლიპულ ფერდობზე. ჩემ ფეხშიშველ ამხანაგებს ხომ უფრო არ გაჭირვებიათ. ისმოდა კუშის კლანჭების სუსტი ტკაცუნი, როცა ის ნავარდით გარბოდა ჩვენ წინ.

ჩვენ მივაღწიეთ გამოქვაბულის შესასვლელთან. აქ ყოველგვარ ხმას ფარავდა ზუზუნი მილიონი ფუტკრისა, რომლებიც წინ და უკან დაფრინავდნენ. გარდა ამისა, ისმოდა მუშა მწერების ფრთების დაუსრულებელი ხმაური. მწერებისა, რომელნიც ეზიდებოდნენ ჯუნგლებიდან ტყის ყვავილების ნექტარს, აგროვებდნენ ფიჭებში და კვლავ უკან მიფრინავდნენ.

პატარა არსებები თავისი საქმით იყვნენ გართული და არავითარ ყურადღებას არ გვაქცევდნენ, მაგრამ ვიცოდით— საკმარისი იყო მათი შეწუხება, რომ ასეთი მშვიდი და უვნებელი არსებანი თავს დაგვსხმოდნენ შავი ლავის ნაკადივით, და რამდენიმე წუთში სასიკვდილოდ დაეეკბინეთ.

გამოქვაბულის შესასვლელის წინ ვიდექით. ჯერ კიდევ შესამჩნევი, თუმცა ძალიან სუსტი სისხლიანი ნაკვალევი, პატარა ორი შემხმარი წვეთის სახით, მიგვითითებდა, რომ დაჭრილი ცხოველი შიგნით იყო შესული.

გამოქვაბულის შესასვლელი შედარებით დიდი იყო: დაახლოებით ოცი ფუტი სიგანე და ამდენივე სიმაღლე ექნებოდა. დღის სინათლე აღწევდა შიგნით რამდენიმე იარდზე, შემდეგ წყვდიადი სუფევდა. ჩემდა გასაოცებლად გამოქვაბულს ქვის მშრალი ფსკერი ჰქონდა. რა თქმა უნდა, უთუოდ, ამან მიიზიდა აკაზა და ფუტკრებიც, რომლებსაც არ უყვართ ნოტიო ადგილი.

მე ჩუმად ვუბრძანე ჩემს თანამგზავრს, დარჩენილიყვნენ გარეთ და აცოცებულიყვნენ ზევით ქვიან ფერდობზე, მე კი კუშთან ერთად შევედი გამოქვაბულში. გეგონებოდათ, კუში გრძნობდა მოსალოდნელ საფრთხეს. მას გამბედაობამ სრულიად უღალატა და, ჩემს ზურგს ამოფარებული, სულ უკან-უკან რჩებოდა.

ვიდრე შესასვლელი ხვრელიდან მკრთალ შუქზე შემეძლო რაიმეს გარჩევა, წინ მივიწევდი, გავიარე არა უმეტეს ოცდაათი ფუტისა და შევჩერდი. წინ წასვლა აღარ შემეძლო, რადგან ფარანი თან არ მქონდა წამოღებული.

ორი გამოსავალიღა დამრჩენოდა: ან დაჭრილი ცხოველი უნდა მეიძულებინა დაეტოვებინა გამოქვაბული, ან დავბრუნებულიყავი შივანიპალში ფარნისათვის, გამეფრთხილებინა ზევით შედარებით უშიშროებაში მყოფი ამხანაგები, რომ თვალი დაეჭირათ, ჩემს დაბრუნებამდე არ გამომძვრალიყო ავაზა გამოქვაბულიდან. ცხადია, გონივრული იყო ამერჩია მეორე მშვიდობიანი გზა, რომელიც უზრუნველყოფდა მეტი წარმატების შანსებს, მაგრამ მე უკვე არავითარი სურვილი არ მქონდა, კვლავ მევლო წინ და უკან...

დავუსტვინე და ხმამაღლა დავიყვირე. არავითარი პასუხი. კვლავ დავიყვირე. კუშმა, რომელიც აქამდე წკმუტუნებდა, ყეფა დაიწყო. კვლავ არავითარი გამოხმაურება. სიჩუმე იყო ჩვენი გულმოდგინების ერთადერთი ჯილდო.

იქნებ მოკვდა დაჭრილი ცხოველი? არა მგონია. არაფერი არ მიუთითებდა იმაზე, რომ მდინარე ანეკალ ვანკუზე გადასვლის შემდეგ ავაზა სადმე შეჩერდა. ანდა მიატოვა გამოქვაბული ჩვენს მისვლამდე? შესაძლებელია ეს ასეა, მაგრამ კვლავ არაფერი საბუთი გვქონდა, რომ გვეევარაუდა— ეს სწორედ ასე მოხდა.

ხელი მოვაფათურე გარშემო, რომ რაიმე მესროლა გამოქვაბულის სიღრმეში, ჩემ ფეხთან ახლოს დიდი ქვა ეგდო, ავწიე მარცხენა ხელით — ძალიან მძიმე მეჩვენა.

ქვას ვისვრი მარცხენა ხელით, თოფს კი მარჯვენა მხრიდან. ჩახმახი ფეხზე შევაყენე. მივადე მარჯვენა ხელი სასხლტეზე და მთელი ძალით გადავისროლე ქვა. ის გაქრა გამოქვაბულის სიბნელეში, გრიალით დავარდა ფსკერზე და გაგორდა.

უმალვე გაისმა კარგად ცნობილი, ხველების მსგავსი ხანგრძლივი ღრიალი და ავაზა შეტევაზე გადმოვიდა. რადგან ის შავი იყო, მხოლოდ მაშინ დავინახე, როცა სინათლეზე გამოჩნდა თოფის ლულიდან ორი თუ სამი იარდის მანძილზე. ვესროლე, მაგრამ მან მძაფრი ნახტომი გააკეთა, გეგონებოდათ, ინერციით განაგრძობს ჩემსკენ სრიალსო. კიდევ ვესროლე. სროლის ხმების გამოძახილი რამდენჯერმე განმეორდა.

და აქ ჯოჯოხეთი დატრიალდა. ფუტკრების ხმაურმა, რომელსაც შეუცნობლად აღვიქვამდი, როგორც ხმადაბალ გუგუნს, კრეშენდოს* მიაღწია. გამოქვაბულის შესასვლელში დღის სინათლეს გადაეფარა უთვალავი მოფუსფუსე შავი მასა. რამდენადაც გუგუნი ძლიერდებოდა, იმდენად მრავლდებოდა მათი რიცხვი. შავი ღრუბლები მოექანებოდნენ ჩემკენ. გეგონებოდათ, თვით ბუნებაც ამხედრებულაო ჩემს წინააღმდეგ. მე გავაბოროტე ფუტკრები. ავაზას აღარ დავეძებდი და გასასვლელისაკენ გავექანე.

ფუტკრები ზვავივით დამასკდნენ თავზე. მკბენდნენ ხელებზე, კისერზე, თავსა და სახეზე, მიძვრებოდნენ ქურთუკის შიგნით. ერთმა პერანგშიც კი მოახერხა შეძრომა და ზურგში მიკბინა.

ნაკბენები ძალზე მტკივნეული იყო.

მე დავგორდი კლდის ფერდობზე, რომელზეც ცოტა ხნის წინათ მივცოცავდით. თითქოს შორიდან მომესმა კუშის წკმუტუნი. დიდი სისწრაფით მივქროდი, მაგრამ ფრთოსან ჯალათებს თავი ვერ დავაღწიე, ისე ჩქარა მომდევდნენ. ჰაერი ავსილი იყო ფუტკრებით და დაუზოგავად მიტევდნენ. მახსოვს, გონებაში მათ ვადარებდი იაპონელ მფრინავებს, რომლებიც სიცოცხლესა და მანქანას სწირავდნენ მტრის გასანადგურებლად. ზუსტად ასე, ფუტკრები რომ მკბენდნენ, ამით თავის სიცოცხლეს სწირავდნენ. მათ ხომ დაკბილული აქვთ ნესტრის ბოლო, რომელსაც კბენის შემდეგ მწერი ვეღარ ამოაძრობს ხოლმე მტრის კანიდან. ნესტარი წყდება შხამიან პარკთან ერთად და ფუტკარი წამსვე იღუპება.

---

* კრეშენდო (cresendo-იტალ.). ხმის თანდათანობით გაძლიერება. (მთარგმნელი).

ფერდობის ძირამდე მივირბინე, ფუტკრები კვლავ დამტრიალებდნენ თავზე. სასოწარკვეთილი ლანტანის ხშირი ბუჩქის ქვეშ შევძვერი. მე ყოველთვის წყევლა-კრულვას ვუთვლიდი ამ ბუჩქებს, ისინი მიმაჩნდა ეშმაკის მახედ, რომელიც ადამიანსაც ვნებს და მცენარეებსაც, როდესაც იჭრება ყანებსა და ჯუნგლებში, გარდა ამისა, ხელს უშლის მონადირის უხმაუროდ სიარულს სამონადირეო ბილიკებზე. მაგრამ ამ წუთში ვლოცავდი ლანტანს: მან სიკვდილს გადამარჩინა. ფუტკრები ფრენის დროს ესხმიან თავს და იკბინებიან — ამით ისინი ჰგვანან მოპიკრე ბომბდამშენს. იმდენი მოსაზრება არა აქვთ, რომ დასხდნენ, მიცოცდნენ და ისე უკბინონ მტერს. ლანტანის გადახლართულმა ტოტებმა შეუშალეს ხელი და ფუტკრებმა ჩემამდე ვერ მოაღწიეს.

გაანჩხლებული ფუტკრების გუნდი განაგრძობდა გუგუნს ჩემ თავზე. ორ საათზე მეტი გავიდა, სანამ ზუზუნი შეწყდებოდა და კვლავ განაგრძობდნენ მუშაობას. ძალიან მეძინებოდა, ჩავთვლემდი კიდეც, რომ ტკივილებს მოეცა ამის საშუალება. მწვავედ ვგრძნობდი ტკივილს და ნაკბენების ადგილს კანი გამისივდა.

დღის სამი საათი იქნებოდა, ლანტანის ბუჩქიდან რომ გამოვძვერი, გზაზე დავეშვი და გავეშურე სოფელ კუნდუკოტაისკენ. იქ შევხვდი ჩემს თანამგზავრებს. ისინი თითქმის არ იყვნენ დაკბენილნი, ფუტკრებმა, როგორც ჩანს, შეუტიეს გაქცეულ მტრებს — მე და საწყალ კუშს. ძალზე დაშავებულმა კუშმაც მოირბინა სოფელში. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ფუტკრები არც ავაზას დატოვებდნენ უყურადღებოდ.

გავეშურეთ ჩემი მანქანისაკენ და წავედით დენკანიკოტში, სადაც იყო მუნიციპალური საავადმყოფო და ამბულატორია. უკვე საკმაოდ გვიან იყო, ექიმი რომ გავაღვიძეთ. მან მე და კუშს პინცეტით ამოგვიღო ტანში ჩარჩენილი ფუტკრის ნესტრები და წაგვისვა ნიშადურის სპირტი. გამოქვაბულის პატარა ბოროტ სულებს კუშისთვის ჩაეცათ ცხრამეტი, ჩემთვის კი ორმოცდაერთი ნესტარი.

ღამე დენკანიკოტის ტყის ბუნგალოში გავათიეთ. რკინის საწოლზე ლეიბები არ ეგო და მე სავარძელში მოწყობა ვამჯობინე. ჩემს თანამგზავრებს და კუშს აივანზე ეძინათ.

ნაკბენების გამო სიცხემ ამიწია და კანკალი დამაწყებინა. კისერზე, სახეზე და ხელებზე სიმსივნე არ ცხრებოდა. ერთ ფუტკარს ნესტარი მარცხენა თვალის ახლო ჩაეცა, თვალი გასივდა და ნაწილობრივ დაიხურა, კუშიც ასევე იტანჯებოდა. მესმოდა, როგორ საცოდავად წკმუტუნებდა.

დილის ათ საათზე დავბრუნდით უკან ცხრა მილის აღმნიშვნელ ქვასთან. იქედან წავედით ფეხით, ამჯერად მეორე გზით: პირუტყვის მიერ გატკეპნილი გზითა და სამონადირო ბილიკით, რომელზეც სიარული გაცილებით ადვილი იყო. გამოვედით შამბნარიდან იმ ადგილზე ქვევით, სადაც ქვის შვერილი იყო და რომლის ქვეშაც წინა დღეს ვიდექით.

ფუტკრები კვლავ შრომობდნენ თავის ფიჭებში. ყველგან სიწყნარე და სიმშვიდე სუფევდა.

დავტოვე გლეხები და კუშთან ერთად მეორედ ავცოცდი ფერდობზე. ფრთხილად მივუახლოვდი გამოქვაბულს, ვიცოდი, რომ ფუტკრები არაა საშიში, სანამ მათ კვლავ არ შეაწუხებ. რაც შეეხება ავაზას, თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემმა ორმა გუშინდელმა გასროლამ ბოლო მოუღო მას, და თუ არა, მაშინ ფუტკრებს უნდა დაეგვირგვინებინათ ეს საქმე.

და მართლაც: გამოქვაბულში შესასვლელიდან რამდენიმე ნაბიჯზე მორგვივით მოკუნტული მკვდარი და გაციებული შავი ავაზა ეგდო. კუში შედგა დაახლოებით ერთ იარდზე მისგან და დაიღრინა. ვშიშობდი, რომ ის დააფრთხობდა ფუტკრებს და კვლავ თავს დაგვატყდებოდა რისხვა, რომ დამეწყნარებინა ის, დრუნჩზე მივადე ხელი.

გამოვედი გამოქვაბულიდან, და ხელი დავუქნიე გლეხებს, რომ ზემოთ ამოსულიყვნენ. ყველამ ერთად ლეში ჩავათრიეთ ქვევით: მწყემსმა გამოჭრა კეტი და ლიანებით მაგრდ მივაბით ზედ ავაზის თათები. შემდეგ გავიდეთ ტვირთი მხრებზე და წავიღეთ მანქანისაკენ; მკვდარი ავაზა მანქანის ფრთასა და კაპოტს შუა ჩამოვკიდე.

დენკანიკოტის ბუნგალოში ავაზა გავატყავე. ვარდისფერი ხალები მკაფიოდ მოჩანდა შავი ბალნის ქვეშ. ტყავში ჩასობილი ფუტკრის ნესტრები მეტად ძნელი აღმოსაჩენი იყო, მაგრამ გლეხებს ვუბრძანე გულდასმით დაეთვალათ აღმოჩე-

ნილი ნესტრები. ამოვაძვრეთ ორას სამოცდაცამეტი ნესტარი, სინამდვილეში კი ის გაცილებით მეტი იყო.

გლეხებს დახმარებისათვის გასამრჯელო გადავუხადე და დავბრუნდი ბანგალურში, ერთიასად დაჯილდოებული გადატანილი ტანჯვისათვის, რადგან გავხდი ჩემს მიერ მოკლული ერთადერთი შავი ავაზის იშვიათი ქურქის და საოცრად ჭკვიანი ძაღლის კუშის მფლობელი. შვიდ რუპიად ვიყიდე ის.

კინაღამ დამავიწყდა: გახსოვთ, იქ სადაც ავაზა შეჩერდა მდინარე ანეკლ ვანკთან, სისხლის ლაქის ორი წყება შევამჩნიე. უფრო მსხვილი ლაქები მოწმობდა ძლიერ სისხლის დენას. ამან გამაოცა. რადგან მხოლოდ ერთხელ ვესროლე; შემდეგ ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა: ტყვია თვალებს შუა კი არ მოხვედრია, სადაც ვუმიზნებდი, არამედ შეეხო საფეთქელსა და ყურს და დაუზიანა საზარდულის არე. მეორე ჭრილობიდან სისხლით იცლებოდა, პირველი ჭრილობა კი მსუბუქი იყო. ალბათ როცა ვესროდი, ავაზა ნახტომისათვის ემზადებოდა და სხეული ოდნავ მოხრილი ჰქონდა.

გამოქვაბულში ჩემ მიერ ნასროლი ორი ტყვიიდან ავაზას ერთი გულში მოხვედროდა, მეორე კი ღია ხახაში და კისერში გასულიყო.



თავი მეხუთე

გველები და ჯუნგლების სხვა ბინადარნი

ინდოეთის ჯუნგლების ცხოველებზე დაწერილია საკმაოდ ბევრი წიგნი, რომლებიც დიდად საინტერესოა ყველასათვის, ვინც კი ტყის ცხოვრებითაა გატაცებული. მწერალმა-ფერმერებმა დანბარ-ბრენდერმა, ჩემპიონმა, გლესფორდმა, ბესტმა, კორბეტმა* და სხვა მრავალმა გზა გაუკაფეს სამონადირეო მოთხრობას ცხოველთა ჩვევებზე, რომლის შესწავლაც თვითონ შეძლეს. ნაწილი ამ მოთხრობებისა ნახევარი საუკუნის წინათაა დაწერილი, როცა ინდოეთის ჯუნგლები, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, სავსე იყო ნადირით, განსაკუთრებით კი მტაცებლებით. ეს ავტორები მანამდეც სახელმოხვეჭილნი იყვნენ, ბაგრამ მათი თხზულების უდავო ღირსებები მხოლოდ

---

* დასახელებული ავტორები არ იყვნენ პროფესიონალი ლიტერატორები. ისინი დიდხანს ცხოვრობდნენ ინდოეთის სასოფლო რაიონებში, სადაც ჰქონდათ ადგილმამული, და ამიტომ ანდერსონი მათ ფერმერებს უწოდებს.

ახლა ხდება აშკარა. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ რამდენადაც ინდოეთის შეურყვნელი ცხოვრება წარსულს ჩაბარდა, ამ შესანიშნავი ადამიანების ნაწარმოებებს სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭებათ, რადგან შთამომავლობას უნახავენ ცნობებს, რომლის შეძენა არავითარი ფულით არ შეიძლება.

ინდოეთის შიკარები, რომლებსაც თავდაპირველად მხოლოდ ნადავლი აინტერესებდათ, და ცნობილი თეთრკანიანი მონადირეებიც კი, აფრიკაში მხოლოდ გამდიდრების სურვილით რომ იყვნენ შეპყრობილნი, ბოლოს მაინც იმსჭვალებოდნენ ტყის ბინადართა სიყვარულით, ბინადართა, რომლებსაც ოდესღაც დევნიდნენ და ხოცავდნენ. მათგან უმრავლესობამ ხელი აიღო ნადირობაზე და მოეკიდა უფრო კეთილშობილურ და რთულ საქმეს — ბუნების შესწავლას და გარეული ცხოველების სურათების გადაღებას.

ძველად თვლიდნენ, რომ ჯუნგლებში ნადირობა დიდ საფრთხესთან არის დაკავშირებული. ვარაუდობდნენ, რომ მტაცებელი ნადირის გარდა, მონადირის სიცოცხლეს ემუქრება შხამიანი გველები, მორიელები, ობობები და სხვა საძაგელი არსებანი, რომ აღარაფერი ვთქვათ უკვე ჯუნგლებში გავრცელებულ დაავადებებზე — მალარიაზე, ტროპიკულ ციებ-ცხელებაზე და სხვა.

ნაგალითად, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მამაჩემი ჭონადირე იყო, ნადირობა ნილგირის მთის ძირას მდებარე ტყეებში, მაისურის სათავადოს შიმოგასა და კადურის ოლქების ჯუნგლებში ან წასვლა დასავლეთ გატებში გმირობად ითვლებოდა. მაშინ ფიქრობდნენ, რომ დილის ნისლი იწვევს ბრონქიტს, ფილტვების ანთებას და განსაკუთრებით მალარიას და რომ ჯუნგლების ცხოველები არაჩვეულებრივად მძვინვარე და გაბედული არიან.

ფერმერი მწერლები, პირიქით, გვარწმუნებენ, რომ გარეული ცხოველები სრულიადაც არ არიან სასტიკნი, რომ მათ ყველას ეშინია ადამიანისა. მეცნიერების მიერ დამტკიცებულია, რომ ინდოეთში არ არის შხამიანი ობობები, ხვლიკები და ბაყაყები, არსებობს მხოლოდ შხამიანი გველების მცირე ნაირსახეობა, და რომ ფილტვების ანთებით შეიძლება ავად

გახდომა ყველგან, ინდოეთის ყველაზე ცხელი და მშრალი რაიონის ქალაქებშიც კი. სერ რონალდ როსმა გამოიკვლია, რომ მალარიის ბაცილა ვრცელდება განსაკუთრებული სახის კოღოს მიერ და არა ტენიანი ნისლის ან ტყის ჰაერის შედეგად. ეს ბაცილები აღმოჩენილ იქნა არა მარტო ჯუნგლებში, არამედ ქვეყნის სხვა ნაწილებშიც. მალარიის კოღოები მრავლდებიან დამდგარ წყალში და ბინძურ წყალსატევებში, რომლითაც სავსეა დიდი ქალაქებიც კი. მალარიასთან ბრძოლის კამპანიამ და მთავრობის სხვა ღონისძიებებმა ხელი შეუწყვეს ამ ავადმყოფობის აღმოფხვრას, მედიცინამ გამონახა მის წინააღმდეგ სწრაფმოქმედი და თითქმის ყოველთვის ეფექტური წამლები, ასე რომ ის აღარ იწვევს კვლავინდებურად შიშს.

რაც შეეხება იმ საშიშროებას, რომელსაც წარმოადგენენ გარეული მხეცები და გველები, აქ საუკეთესო მასწავლებელია პირადი გამოცდილება. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ რამდენიმე იშვიათი გამონაკლისის გარდა, ადამიანი ტყის წიაღში უფრო ნაკლებ საშიშროებას განიცდის, ვიდრე ფეხით მოსიარულე ქალაქის ქუჩებში, სადაც ტრანსპორტის გაცხოველებული მოძრაობაა.

რასაკვირველია, ახალბედა მონადირე ზოგჯერ ჩაიდენს უგუნურ საქციელს და ხიფათს გადააწყდება, მაგრამ მხოლოდ თავისი გამოუცდელობისა და უვიცობის შედეგად. გამოცდილების მიღება კი, თუ სურვილი გაქვს, ძნელი არაა.

ინდოეთის ჯუნგლების მეფედ ვეფხვი ითვლება. ინდოეთში ლომები ბინადრობენ გუჯარათის ნახევარკუნძულ გურის რაიონის ტყეებში, სადაც მათ მზრუნველობით იცავენ. ვეფხვი დიდებული, ლამაზი და კეთილშობილი ცხოველია, მაგრამ არსებითად სიდიდით, ძალღონით და თანაც დაუოკებელი ტემპერამენტით ჯუნგლების მეფე, უდაოდ, მაინც სპილოა. ის გაცილებით უფრო საშიშია ვეფხვზე, და იმ ოლქის მკვიდრნი, სადაც ეს ორი ცხოველი ბინადრობს, ვეფხვს ეპყრობიან უფრო მოურიდებლად, თუ ის, რასაკვირველია, კაციჭამია არაა— გარეულ სპილოს კი — დიდი თავაზიანობით. თუ თქვენ მოგიხდებათ ადგილობრივ მცხოვრებთან ერთად ჯუნგლების ბილიკებზე გავლა და ამ დროს შეხვდებით ვეფხვს ან ავაზას, ის დაგანახვებთ მათ მიამიტი გულგრილობით, მაგრამ ყურს

მოკრავს თუ არა ტოტების მტვრევის ხმას, ის უმალვე შედგება, წარმოთქვამს მშობლიურ ენაზე ერთადერთ სიტყვას „სპილო“; განსაზღვრავს, საიდან მოდის ხმა და შეეცდება აირჩიოს უფრო შორი გზა იმ ადგილიდან, სადაც ცხოველი ბალახობს.

ეს სიფრთხილე საკუთარი და წინაპართა მიერ ჯუნგლებში ცხოვრების გამოცდილების შედეგია. იციან რა ამ ძლიერი ცხოველის ფიცხი ხასიათი, ინდოელები თავს არიდებენ ზედმეტ რისკს. მშვიდ მდგომარეობაში სპილოები ჩვეულებრივ უვნებელნი არიან, მაგრამ ისინი ადვილად აღიგზნებიან ხოლმე, ფრთხებიან და ღიზიანდებიან.

რაც უფრო მრავალრიცხოვანია ინდური სპილოების ჯოგი, მით უფრო ნაკლებ საშიშია ის. აღწერიდან ცნობილია, რომ აფრიკული სპილოები საჭიროების დროს მოქმედებენ კოლექტიურად, ცდილობენ მონადირეს მასიურად თავს დაესხან. ინდური სპილოები ასე არ იქცევიან, მაგრამ თითოეული მათგანი მრისხანე მოწინააღმდეგეს წარმოადგენს. განსაკუთრებით, თუ ეს მოხეტიალე სპილოა, რომელსაც უკვე შემთხვევა ჰქონდა, მოეკლა ადამიანი. ჯოგს მოწყვეტილი, ცალკე მობალახე „შეყვარებული“ სპილო მძუნაობის დროს, ანდა შვილებიანი დედალი სპილო მზადაა სიცოცხლე გასწიროს მათ დასაცავად. ხდება ისეც, რომ სპილო არ ეშვება და მისდევს ადამიანს ზოგჯერ მთელი მილის მანძილზე, ცხადია, თუ დევნილს ძალუძს ამ მანძილის გარბენა. როცა დაეწევა, სპილო ამ უბედურს ნაკუწ-ნაკუწ გლეჯს, ფეხებით თელავს, ან ხის შტამბს შეახეთქებს, ანდა მაღლა აისვრის ჰაერში.

ხშირად დღისით შამბნარში წყალსატევთან ჩასაფრებული, წყურვილის მოსაკლავად და საბანაოდ მოსული სპილოების გასაღიზიანებლად ვბაძავ ხოლმე ვეფხის ღრიალს ან ავაზის ღმუილს. ჩვეულებრივად პირველ შემთხვევაში სპილოები გულშემზარავად დაიღრიალებენ, ლეწენ ხის ტოტებს, ბუჩქებს და გაიფანტებიან. ძალიან საინტერესოა თვალყურის დევნება შვილებიანი დედა სპილოებისათვის: ისინი იჩქარიან, თითქოს უნდათ გაექცნენ მახლობლად ბუჩქებში მიმალულ ვეფხს, პირდაპირ მუცელქვეშ ამოდებული ხორთუმით მიჰყავთ პატარები. სპილო თუ მარტოა, „ვეფხის“ ხმის გაგონებაზე აუცილებლად გაშეშდება, მიაშვერს ყურებს იმ მხარეზე, საიდანაც ხმა

ესმის, ხორთუმით „მოსინჯავს“ ჰაერს და ცდილობს განსაზღვროს მტრის ადგილსამყოფელი. შემდეგ შემობრუნდება და დინჯად გაუჩინარდება ჯუნგლებში. ხანდახან სპილო იწყებს ადგილზე ტოკვას, თავსა და ხორთუმს გაშმაგებით აქნევს აქეთ-იქით, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ მაინც ტოვებს იქაურობას. მე არ მინახავს არც ერთი სპილო, ვეფხვის ღრიალი გაეგონოს და ადგილზე დარჩენილიყოს.

ავაზას ღრენა უფრო სხვანაირად მოქმედებს: მამალი სპილოები მზად არიან ბრძოლისათვის პატარების დასაცავად. მარტოხელა სპილო აუცილებლად შორდება ამ ადგილს, თუმცა არც ისე ჩქარობს. ერთხელ თუ ორჯერ დავინახე ავაზას ღმუილის შემდეგ სპილო ფეხსა და ხორთუმს როგორ სცემდა წყალზე და მერე განაგრძობდა სმას. მაგრამ ემჩნეოდა, აშკარად ღელავდა და თავს უზრუნველად მაინც ვერ გრძნობდა.

ეს თავშესაქცევი ექსპერიმენტები ცხადჰყოფენ, რომ მიუხედავად ვეება სიდიდისა და უდიდესი ძალისა, სპილო არც თუ ისე მამაცი ცხოველია. პირიქით, ის, უდავოდ, მშიშარა და მოკრძალებულია. რომელიღაც წიგნში წამიკითხავს, რომ სპილოს ისეთი ცვალი აქვს, შეუძლია გადიდებულად დაინახოს ის საგანი, რომელსაც მისჩერებია. ამის მიზეზიცაა, რომ სპილოს ეშინია ვეფხვების, ავაზების და აგრეთვე ადამიანებისა. არ შევცდები, თუ ვიტყვი, როგორც ყველა შფოთისთავი, ის ყოველთვის იყენებს თავისი მდგომარეობის უპირატესობას მხოლოდ მაშინ, როცა ხედავს, მტერი იჩენს სიმხდალეს. იმ არსებას კი, რომელსაც მედგარი წინააღმდეგობის გაწევა შეუძლია, სპილო იშვიათად ესხმის თავს.

როგორც ჩანს, სპილოებს თანდაყოლილი სიძულვილი აქვთ თეთრი საგნებისადმი. ამიტომ იმ რაიონებში, სადაც ბევრი სპილოა, გზის მოძრაობის მაჩვენებლები შეღებილია შავად; თეთრად შეღებილი რომ ყოფილიყო, სპილოები დაუყოვნებლივ ამოთხრიდნენ და შორს გადაისვრიდნენ. ტყეში გამგზავრებისას, სადაც სპილოები ბინადრობენ, გონივრული არ არის თეთრი ტანსაცმლის ჩაცმა.

ოდესღაც ხმარობდნენ კორპის თეთრ მუზარადს, რომელიც ირეკლავდა მზის სხივებს და იცავდა ადამიანს სიცხისაგან.

ერთი ჩემი ნაცნობი დაეხეტებოდა ჯუნგლებში ასეთი მუზარადით. ძნელი სათქმელია, რატომ ეხურა მუზარადი, რომელიც არა მარტო სპილოებს აღიზიანებს, არამედ ძალიან გამოირჩევა და ხელს უშლის მონადირეს ცხოველების შეუმჩნევლად დევნაში. ის და მეგზური შოლაგას ტომიდან მიდიოდნენ ბორცვის თხემზე და განაკაფზე ორასი იარდის მოშორებით დაინახეს მობალახე სპილო. სხვა პირობებში ძალიან ცუდი მხედველობის სპილო ვერ დაინახავდა ადამიანებს ასეთ მანძილზე. გარდა ამისა, ქარი ისე უბერავდა, რომ გეშსაც ვერ აიღებდა, მაგრამ თეთრი ქათქათა მუზარადი შეუძლებელია მას არ შეემჩნია ჯუნგლების მწვანე-ყავისფერ ფონზე. სპილომ დაიყვირა და გადავიდა შეტევაზე. მონადირემ და შოლაგამ მოკურცხლეს. საბედნიეროდ, შოლაგა გამოცდილი მეგზური იყო. არ მიატოვა „სახიბი“*, უკან მისდევდა და გზას უჩვენებდა. სპილო ეწეოდა მათ. მაშინ შოლაგამ გადაუსწრო მონადირეს, აართვა თავიდან მუზარადი, დააგდო მიწაზე და სახიბი თან გაიყოლია. როგორც კი სპილომ მიირბინა მუზარადამდე, დევნის ყოველგვარი ინტერესი დაეკარგა. უსიტყვოდაც გასაგებია, სპილომ რომ დაამუშავა მუზარადი, რად გადაიქცა ეს მშვენიერი თავსამკაული.

ცნობილია, რომ სპილოებს შორის ხდება ჩხუბი, რომელიც ხანგამოშვებით შეიძლება სამ დღემდე გაგრძელდეს. ჩხუბის საბაბია ზოგჯერ ჩათქვირებული „ქალბატონის“ წყალობა ან „შეყვარებული“ მამლის ჯოგიდან ვანდევნა, რომლის ყურადღება დედალი სპილოსადმი დიდ აღშფოთებას იწვევს. მაგრამ ხშირად შეჯახება ხდება იმის გამოც, რომ ძალ-ღონით აღსავსე. ახალგაზრდა მამალი სპილო ექიშპება ბელადს პირველობისათვის.

ასეთ ბრძოლებში მამალი სპილოები ეშვებით საშინლად ასახიჩრებენ ერთმანეთს. ზედმეტია იმაზე ლაპარაკიც კი, რომ ამ დროს და ბრძოლის შემდეგაც მეტოქენი ძალიან გაღიზიანებულ მდგომარეობაში არიან, და ვაი იმ ცოცხალ არსებას, რომელსაც ამ მომენტში ისინი თვალს დაადგამენ.

სალემის ოლქის სატყეოში მომუშავე ერთი ტყის მცველი

---

* ბატონი (ინდი).

დოდა ხალის ხეობაში თავს წაადგა ორ მოჩხუბარ სპილოს. და აქ მოხდა რაღაც საოცრება: მოქიშპეებმა დაივიწყეს მტრობა, ხმამაღლა დაიყვირეს და ორივენი დაეტაკნენ მას.

მე უკვე ყწერდი სხვა მოთხრობებში მოხეტიალე სპილოებზე, ამიტომ მათ შესახებ აღარაფერს ვიტყვი. მინდა მხოლოდ ვთქვა, რომ ამაზე უფრო საშინელი შეხვედრა ჯუნგლებში წარმუდგენელია. ის, ვინც ოდესმე გაიგონებს მძინვარებითა და სიძულვილით აღსავსე თავზარდამცემ ღრიალს, დაინახავს ბუჩქებსა და დაბალ ტყეში მისკენ გამოქანებულ ხორთუმმოხრილ, ყურებგაფოფრილ და კუდაწეულ ურჩხულს, ამ სანახაობას სიკვდილამდე ვერ დაივიწყებს.

ნილგირის მთის ძირში ერთმა მოხეტიალე სპილომ ჰაერში აისროლა ტყისმცველი. ჩამოვარდნის დროს ის ბამბუკის გადატეხილ შტამბს დაენარცხა და იქვე დალია სული.

წმინდა ბულის მიერ მოკლული სეგურელი მოხეტიალე სპილო შედარებით ტანმორჩილი, გონიერი და მძვინვარე ცხოველი იყო. მას შეეძლო მიპარვოდა ადამიანს ან, კლდეს და ბამბუკის ხეს ამოფარებული, ჩასაფრებოდა. ერთხელ მან სეგურის გზაზე დაიჭირა ქალი, ფეხებით გათელა, შემდეგ ააგლიჯა ფეხიდან ვერცხლის ბრასლეტი, ყელზე ასხმული ძეძეები და რამდენიმე იარდზე გადაისროლა.

მეორე ამბავი შეემთხვა ტყის დარაჯს ბილიგირირანგანის მთიან რაიონში, სადაც მრავალი სქელკანიანი ბინადრობს. იმ დროს აქ ბინადრობდა მოხეტიალე სპილო, რომელსაც დიდი ხანია ცუდი სახელი ჰქონდა გავარდნილი. მოხეტიალე შეხვდა ტყის დარაჯს და დაედევნა. მდინარის ფონზე გასვლისას საწყალს ფეხი გადაუბრუნდა. სპილო დაეწია მას და ნაკუწ-ნაკუწ აქცია. მთელი სამი დღე გვამთან ბობოქრობდა, აფერხებდა ტრანსპორტის მოძრაობას, სანამ არ ინება წასვლა და საშუალება მისცა ნათესავებს მოეკრიბათ ნეშტის ნარჩენები დასაწვავად.

ამავე რაიონში დათარეშობდა მეორე მოხეტიალე სპილო. ერთხელ მან გზიდან გადააგდო ხარებშებმული ფორანი. ეს სპილო მოკლა ფიტულების ცნობილმა გამტენმა მაისურელმა ვან ინგენმა.

ინდოეთის ჯუნგლების ყველაზე გულადი ცხოველი, რომ-

ლის სიმამაცისათვის დღემდე არავის შეუსხამს ხოტბა, უთუოდ, გარეული ტახია. ჯუნგლების სხვა ბინადართან შედარებით მის პატარა სხეულში უფრო მეტი გამბედაობა, თავხედობა, და მკვლელობის დაუოკებელი წყურვილია დაფარული, ვიდრე ჩემთვის ცნობილ სხვა ცხოველებში. დაჭრილი სპილოები, ბიზონები, აგრეთვე ვეფხვები ჯერ გაცლას ცდილობენ და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ესხმიან თავს. მაგრამ დასჭერით ბებერი გარეული ტახი, ის მოიკრებს უკანასკნელ ძალღონეს, დაგესხმით თავს და ისეთი თავგანწირული სიმამაცით შეგებრძოლებათ, როგორიც არც ერთ ულანს არ ჩაუდენია ბალაკლავასთან* მომხდარი შეტაკების დროს.

სპილოს შემდეგ, ინდოეთის ჯუნგლების უფრო საინტერესო ცხოველია ვეფხვი. პირადად მე სიმპათიით ვარ განწყობილი მისადმი. გარდა პერიოდულად შეხვედრილი კაციჭამიებისა, რომლებიც შიშის ზარს სცემენ მოსახლეობას ასეულ მილის მანძილზე, ვეფხვი სამართლიანად იმსახურებს „ჯენტლმენის“ სახელს.

ვეფხვზე ნადირობა სპორტის ყველაზე რთული სახეობაა. დაჭრილი ვეფხვის დევნა ძალიან საშიშია და მონადირისაგან მოითხოვს ჯუნგლების ზედმიწევნით ცოდნას. მაგრამ დაჭრილის ტყეში დატოვება და მისი სატანჯველში ჩაგდება კულქვაობაა არა მარტო ცხოველთა, არამედ მახლობლად მცხოვრებ ადამიანთა მიმართაც: ჭრილობას შეუძლია მტაცებელი კაციჭამიად აქციოს.

სიდიდით, ძალ-ღონითა და გამბედაობით ავაზა ვერ შეედრება ვეფხვს, მაგრამ ის ძალზე ვერაგი და დაუნდობელია. მე უკვე გიამბობთ, რომ ავაზები, მიუხედავად კაციჭამიობის მიდრეკილებისა, ჩვეულებრივ მათთვის დამახასიათებელ შიშს განიცდიან ადამიანების წინაშე. ისინი იშვიათად ესხმიან თავს პირდაპირ, თითქმის ყოველთვის შეუმჩნევლად ეპარებიან თავიანთ მსხვერპლს ზურგიდან და ამისათვის მოქმედებენ სიბნელეში.

ავაზას უყვარს პირის ჩაგემრიელება ძაღლის ხორცით.

---

* ქალაქი ყირიმში, სადაც 1854 წ. 13 ოქტომბერს ყირიმის ომის დროს მოხდა დიდი ბრძოლა.

ოდესღაც, კოიმბატურის ოლქის ქალაქ კოლეგალიდან თითქმის ერთ მილამდე დაშორებულ პატარა მაღლობზე, სადაც ტაძარია აღმართული, დაბინავდა წყვილი ავაზა, რომლებმაც სული გაუმწარეს მთის ძირში მცხოვრებ ამერიკელ მისიონერებს იმით, რომ მუსრი გაავლეს მათ ძაღლებს, როგორც კი ღირსპატივსაცემმა მამებმა ისინი გაიჩინეს. ბოლოს და ბოლოს ავაზები ისე გათავხედნენ, რომ ადგილობრივი პოლიციის უფროსმა ინსპექტორმა რამდენიმე ახალგაზრდის დახმარებით თავს იდო მათი მოსპობა. პირველ რიგში ცეცხლი წაუკიდეს ბალახს მტაცებელთა ბუნაგის ახლოს, მაგრამ რადგან ამან შედეგი არ გამოიღო, მაშინ დაიწყეს გამოქვაბულში ჩირაღდნების შეგდება. ავაზები გარეთ გამოცვივდნენ და შეტაკებისას ერთი ავაზა მოკლულ იქნა, ხოლო რამდენიმე ყმაწვილი დაიჭრა.

ინდოეთის ჯუნგლების სამხრეთ ნაწილის ტლანქი, ბეცი „დათუნია" ბოროტი, მაგრამ განსაკუთრებით ფიცხი არსებაა. ცოტა ხნის წინათ დათვების ოჯახმა — მამამ, დედამ და საკმაოდ მოზრდილმა ბელმა შეარჩიეს თავისი ბუნაგისათვის გამოქვაბული კლოზეპეტის მახლობლად, სადაც უკვე ავაზა ბინადრობდა. როცა ძუ ავაზა თავს დაესხა მომხდურებს, ბელმა უმალვე მოკურცხლა, მშობლებმა სცადეს წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ გააფთრებული ავაზის ბასრი კლანჭებით შეშინებულებმა მალე მოუსვეს. უფრო მეტიც, ოჯახის მამა ისეთი სისწრაფით გარბოდა, რომ თავი ვერ შეიკავა, ასი ფუტის სიმაღლის კლდიდან გადმოვარდა და წინა თათები მოიტეხა. მეორე დღეს გლეხებმა შუბებით მოუღეს მას ბოლო.

საკმარისია დათვმა გაიგონოს ან დაინახოს მოახლოებული ადამიანი, რომ მიუხედავად თავისი მოუქნელობისა, უმალვე მოკურცხლოს. თუ გასაქცევი გზა მოჭრილი აქვს, თქვენგან ყოველგვარი საბაბის გარეშე, წაქეზებული არა სიმამაცით, არამედ შიშით, გადმოდის შეტევაზე, და თანაც ცდილობს თავისი ბლაგვი ოთხდუიმიანი კლანჭებით მოწინააღმდეგეს სახეში სწვდეს. მე შევხვედრივარ ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომლებსაც განუცდიათ დათვების თავდასხმა: მართლაც, რომ საშინელი ჭრილობები ჰქონდათ მიყენებული და მთელი სიცოცხლის მანძილზე დასახიჩრებულნი იყვნენ.

დათვი, როცა ის ძირხვენებს თხრის ან თეთრი ჭიანჭველების ბუდეს ქექავს, რაღაცით ტაკიმასხარას წააგავს. ყველაზე ტკბილი ძირხვენებისა და პირის ჩასაგემრიელებელი ტერმიტების ძებნისას იგრიხება, იმანჭება, და უცნაურ პოზებს იღებს. ერთსა და იმავე დროს ისეთ ხმებს გამოსცემს, რომ თვითმფრინავის ვუგუნი, კრაზანების ბზუილი და საბერველის ქშენა გეგონებათ, თანაც ეს უკანასკნელი თითქოს ყველა ამის აკომპანემენტი იყოს. მრუდფეხას უყვარს ძილი თავისსავე ამოთხრილ დაბალ ორმოში, კლდეებს შუა, გამოქვაბულში ანდა ხშირ ბალახში ხეების ჩრდილქვეშ. მისი ხმამაღლა ხვრინვა დიდ მანძილზე ისმის. თუმცა ზოგჯერ ისე უშფოთველად ძინავს, რომ შეიძლება თავს წაადგე და უნებურად ფეხიც კი დაადგა. მაშინ შიშისაგან გაღვიძებული ცხოველი დაუყოვნებლივ გადმოდის შეტევაზე.

კაიბატურული შოლაგას ტომის ხალხი გაბედულად უსწორდება დათვებს. მათ სახელი გაითქვეს იმით, რომ მოკლეტარიანი ბასრი ნაჯახებით თავს უპობენ თათმოჩორთვილებს. დათვი ცდილობს სახეში მისწვდეს თავის მტერს და უკანა თათებზე დგება, ამ დროს თავს, კისერსა და მკერდს უშვერს ნაჯახს, რომელიც ღონიერ და გაბედულ მონადირეს უჭირავს ხელში. მონადირეს ფარის მაგივრობას უწევს შავი მატყლის პატარა საბანი, რომელსაც შოლაგას ტომის მკვიდრი ჩვეულებრივ მარცხენა ხელზე იხვევს.

ვეგეტარიანელი და მწერიჭამია დათვი არც ლეშს თაკილობს. ხშირად დამინახავს, როგორ პარავს ვეფხსა და ავაზას დამპალ ნადავლს.

ჯუნგლებში ყველაზე უფრო საშიშია შხამიანი გველები. მონათხრობი ამბების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომელთაც აქ ახალბედებს ყურებს უჭედავენ, ინდოეთის ტყეები სავსე უნდა იყოს ქვეწარმავლებით. სინამდვილეში კი ტყიან რაიონებში შედარებით ცოტა გველები ბინადრობენ. ისინი უფრო ეტანებიან სოფლების მახლობლად მდებარე ყანებს, სადაც მარცვლეული კულტურები ხარობს, აქვე სოროებში ბინადრობენ მილიონობით მინდვრის თაგვები, რომლებიც მარცვლეულით საზრდოობენ, თაგვებს კი ჭამენ გველები.

ინდოსტანის მთელ ნახევარკუნძულზე ბინადრობს შხამიანი

გველების მხოლოდ ხუთი სახეობა, რომელთა შხამიც ადამიანს ჰკლავს. ესენია: კობრა ანუ სათვალიანი გველი, გამადრიადა, რასელის ჭრელი გველი, ჭრელი ქერცლიანი გველი, ანუ პურსა და კარაიტი. მარჯნის გველიც შხამიანია, მაგრამ იმდენად ვიწრო ხახა აქვს, რომ არ შეუძლია ადამიანის კბენა. ჭრელი გველის ნაკბენიც იშვიათად იწვევს სიკვდილს, თანაც დაშავებული შოკით იღუპება. უმეტესი წილი ზღვის გველებისა ძალზე შხამიანებია: ზოგიერთი მათგანის შხამი თორმეტჯერ უფრო ძლიერია, ვიდრე სათვალიანი გველისა, მაგრამ ისინი მხოლოდ ზღვაში ბინადრობენ.

საერთოდ სხვადასხვა გველების შხამის შედარებითი სიძლიერე ასეთია: რასელის ჭრელი გველის შხამი დაახლოებით ორჯერ უფრო ძლიერია ქერცლიანი გველის შხამზე, ჭრელი გველის შხამი სამჯერ ძლიერია რასელის ჭრელი გველის შხამზე, კარაიტის შხამი კი თითქმის ორჯერ ძლიერია სათვალებიანი გველის შხამზე. სათვალებიანი გველის შხამთან შედარებით გამადრიადის შხამი უფრო სუსტია, მაგრამ, სამაგიეროდ, ეს ყველაზე დიდი შხამიანი გველია მსოფლიოში; სიგრძით ის თხუთმეტ ფუტს აღწევს და კბენის დროს ოთხჯერ მეტ შხამს ანთხევს, ვიდრე სათვალებიანის ჯირყვლები შეიცავს. ამიტომ გამადრიადის ნაკბენი სიკვდილს იწვევს სამგზის უფრო სწრაფად, ვიდრე კობრას ნაკბენი.

გამადრიადა მხოლოდ ბორცვიან ადგილებში გვხვდება, მარადმწვანე ტყეებს შორის, სადაც უხვი წვიმები იცის. ბინადრობს განსაკუთრებით ჯუნგლებში და შეძლებისდაგვარად ერიდება დასახლებულ ადგილებს. იკვებება სხვა გველებით, ამიტომ მისი ტყვეობაში შენახვა მეტად ძნელია. ცოტა ხნის წინათ მაისურის ზოოპარკში შიმშილით დაიღუპა ერთ-ერთი ასეთი გველი. მთელი წლის განმავლობაში მას სთავაზობდნენ სხვადასხვა უშხამო ქვეწარმავლებს, მაგრამ ის ჯიუტად პირს არ აკარებდა მათ. გამადრიადის სიკვდილმა ცხარე კამათი გამოიწვია მაისურის პრესაში, და ცალკე პიროვნებები რელიგიური მოტივებით გულისწყრომას გამოთქვამდნენ ზოოპარკის ადმინისტრაციის მოქმედების გამო.

გამადრიადა, როგორც უკვე ვთქვი, მსხვილი გველია, ჩვეულებრივ მომწვანო-ზეთისხილის ფერისა, თეთრი ზოლებით.

ბირმასა და მალაიაში მისი სახეობის მამლები თითქმის შავებია, თუმცა თეთრი ზოლები მათაც ემჩნევათ. გამადრიადას კისერი ნაკლებად აქვს განვითარებული სხეულის სიგრძესთან შედარებით. ვიდრე კობრას და მოკლებულია განთქმულ „სათვალეს“. გამადრიადა მეტად აგრესიულობით ხასიათდება და პირველი ესხმის თავს, განსაკუთრებით კვერცხების მცველი დედა. ეს აგრესიულობა მე არ შემიმჩნევია, თუმცა ორჯერ შევხვდი გამადრიადას. პირველად ეს მოხდა დაბა აგუმბის ახლოს დასავლეთ გატების ხეობის სიღრმეში ნაკადულთან. ბანგალურში ბაღისთვის ხისმაგვარ გვიმრის ძირებს ვთხრიდი და წყალში მცურავ წითელკუდიან იშვიათ თევზს დავეძებენე. მინდოდა ის აკვარიუმისათვის დამეჭირა. უეცრად შევამჩნიე, რომ გვიმრის ბუჩქნარიდან თავს ჰყოფს ხვლიკი— იგუანა. ახლოს მივედი, რომ უკეთ დამეთვალიერებინა, მაგრამ ხვლიკ იგუანას ნაცვლად გამადრიადას შევეჩეხე. ის ნაპირზე მთელი თავისი სიგრძით აღიმართა და ექვსი ფუტით მაღალი აღმოჩნდა ჩემზე. ქვეწარმავალი ცახცახებდა სიბრაზისაგან, შავი თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა, ჰაერს ხმაურით უშვებდა პირიდან. მე ჯოხიც კი არ მქონდა და ამიტომ გაშეშებულივით ვიდექი ერთ ადგილას. რამდენიმე წამის შემდეგ დაცხრა, ჰაერით გაბერილი ჩინჩახვი დაეჩუტა, და ჩემგან ხუთ ფუტზე ნაკადულში შესრიალდა. შუა ადგილას შედგა და მოიხედა, თითქოს ამოწმებდა, რისი გაკეთება მწადდა. მე კვლავინდებურად უძრავად ვიდექი. მაშინ მან განაგრძო გზა და მეორე ნაპირზე გვიმრებში გაუჩინარდა.

მეორე შემთხვევა მოხდა სანტავერის მახლობლად, ვეფხვებზე ნადირობისას ბაბა ბუდაის მაღლობზე. ხის ქვეშ ვიჯექი. უცებ ჩემ უკან გაისმა სიგნალის მაგვარი საოცარი სტვენა, რომლითაც მამალი ბიზონი აფრთხილებს დანარჩენებს საშიშროების მოახლოების შესახებ. მეგონა, საცაა ბიზონს დავინახავდი, მაგრამ მწვანიდან მის ნაცვლად გამოჩნდა გამადრიადა და ჩემს გვერდით შესრიალდა განაკაფში. ვეჭვობ, რომ ამჯერად გველმა დამინახა, რადგან გაუნძრევლად ვიჯექი და არც ერთი კუნთი არ შემთრთოლებია.

ბევრს ვუამბე ეს ორი შემთხვევა და ყველა მიმტკიცებდა, იმის წყალობით ხარ გადარჩენილი, რომ გაუნძრევლად იჯექიო.

შეიძლება ასეც იყოს. ერთი კი უეჭველია: მე უფრო გამიმართლა, ვიდრე რამდენიმე წლის წინათ აგუმბეში ზოოპარკისათვის წყვილი გამადრიადის დასაჭერად ჩამოსულ საწყალ უბედურ გერმანელ ზოოლოგს. პირველად მამალი გველი ადვილად დაიჭირა. ორი დღის შემდეგ, დედალის დაჭერას რომ ცდილობდა, გველმა უკბინა და ზოოლოგი იქვე ჯუნგლებში გარდაიცვალა.

ამასთან დაკავშირებით გამახსენდა გამოსვლა ერთი მოხეტიალე გველების შემლოცველი ქალისა, რომელიც შემთხვევით მყავდა ნახული მემიოში, ბირმაში. თუ მეხსიერება არ მღალატობს, ქალი ძალიან ლამაზი იყო. მან გამადრიადა კალათიდან ამოიყვანა და ცეკვავდა მის წინ, ვიდრე არ აღიმართა ის მიწიდან რამდენიმე ფუტის სიმაღლეზე ყელგაბერილი. მაშინ შემლოცველმა აკოცა მას პირზე. მოგვიანებით დავათვალიერე გველი და აღმოჩნდა, რომ მას შხამიანი ჯირყვლებიც ჰქონდა და კბილებიც. მაგრამ ის მამალი იყო, შემლოცველი კი, ვიმეორებ, ძალიან ლამაზი ქალი გახლდათ. შესაძლოა, სწორედ ამიტომ მოეპყრა ის ქალს ასე რაინდულად.

კობრა კარგადაა ცნობილი და არ მოითხოვს დაწვრილებით აღწერას. მიუხედავად გავრცელებული აზრისა, ის იშვიათად აღწევს ექვსი ფუტის სიგრძეს. ინდოეთში ბინადრობენ „ცალსათვალიანი“ კისერზე თეთრი ლაქით, შავი რგოლით გარშემოვლებული და „ორსათვალიანი“ კობრები, აგრეთვე ისეთი კობრები, რომელთაც ეს ნიშნები სრულიად არა აქვთ, თუმცა კისრები ასევე ძლიერ აქვთ განვითარებული. შეფერილობით კობრას ცნობა ძნელია, რადგან ის ყველა ფერისა და ელფერისაა, შეხვდებით კუპრივით შავსაც და თეთრსაც. თუმცა უმეტესად გავრცელებულია ნაცრისფერი და ყავისფერი კობრები.

კვერცხებიდან ახლად გამოჩეკილი კობრის წიწილების ნაკბენიც კი, რომელთაც ექვს დიუმზე მეტი სიგრძე არა აქვთ, მომაკვდინებელია. ყველაზე უფრო აგრესიულია კობრები თავისი არსებობის პირველ ორ წელიწადს. ასაკთან ერთად ისინი მშვიდნი ხდებიან, ძალიან ბებერი კობრები კი მხოლოდ მაშინ იკბინებიან, როცა მათ უშუალოდ საშიშროება ემუქრებათ. ამ

ასაკში შეიძლება მათი მოთვინიერება შხამიანი კბილებისა და ჯირყვლების ამოუცლელადაც.

კობრა დებს მტრედის კვერცხისოდენა თხუთმეტამდე რბილგარსიან კვერცხს პატარა ორმოში ან ნეშომპალას ქვეშ. გველის წიწილების წარმატებით გამოჩეკვისათვის აუცილებელია მზის სითბო — მაგრამ არა მზის გული — და მნიშვნელოვანი სინესტე რომ კვერცხები არ გაფუჭდეს.

გველ კარაიტის საშუალო სიგრძე დაახლოებით სამი ფუტია. წვრილ შავ სხეულზე გარდიგარდმო თეთრი ზოლები აქვს. სწრაფად მოძრაობს, ძალზე მშიშარა და ნერვიულია, ტყეობაში ჩვეულებრივ კვდება გაურკვეველი მიზეზების გამო ერთ ან ორ დღეში.

რასელის ჭრელი გველი მსხვილია, ხუთ ფუტზე ცოტა მეტი სიგრძისაა, ზურგის გასწვრივ ძეწკვივით სამ წყებად გასდევს მუქი ყავისფერი რომბისებრი ლაქები (ერთი ცენტრში და თითო-თითო გვერდებზე). ამიტომ მას ზოგჯერ „ძეწკვოვან გველს“ უწოდებენ.

ქერცლიანი ჭრელი გველი სიგრძით ძლივს აღწევს ორ ფუტამდე. მისი ყავისფერი სხეული თეთრი ზოლებითაა აჭრელებული. ის გამოირჩევა იმით, რომ ბრტყელი ზურგი ქერცლით აქვს დაფარული, გაღიზიანების დროს ის მორგვივით იგრაგნება და ამის გამო ქერცლი გამოსცემს მაღალ ღრჭიალა ხმას.

გამადრიადას, კობრასა და კარაიტს აქვს ორ-ორი უძრავი კბილი. პირველთა კბილები სიმაღლით ნახევარი დიუმია, მეორისა — ერთი მეოთხედი, ხოლო მესამისა — ერთი მერვედი. კბილებს უკანა მხარეზე აქვს სადინარები, რომლებშიც წვრილ ნაკადად გადის ჯირყვლების მიერ გამოყოფილი შხამი.

რასელის ჭრელ გველსა და ქერცლიან გველსაც აქვს ორ-ორი შხამიანი კბილი პირის უკანა ნაწილში. საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ ასწიონ და შემოაბრუნონ როგორც ღერძზე, ფესვის ირგვლივ. ასეთი აგებულების გამო მსხვერპლი ჯირყვლებიდან გამოყოფილ შხამის თითქმის მთელ დოზას იღებს. რასელის მსხვილი ჭრელი გველის შხამიანი კბილები სიგრძით დუიმს აღწევს და ხევს რბილი ტყავის ფეხსაცმელს, კრაგებს, შარვალს, მჭიდროდ ნაქსოვ მატყლის სქელ წინდებს.

დაახლოებით შეიძლება დავადგინოთ გველის კბენის შე-

დეგად ადამიანის სიკვდილის დრო, რადგან ის დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებაზე: ასაკზე, სხეულის აგებულებაზე, ჯანმრთელობაზე, დაზიანებულის ფიზიკურ მდგომარეობაზე, გველის სიდიდეზე, იმაზე, დაკბინა თუ არა მან მოკლე ხანში სხვა ცოცხალი არსება და ფაქტიურად რა რაოდენობის შხამი მოხვდა ადამიანის სისხლში.

გამადრიადას კბენის შემდეგ სიკვდილი დაახლოებით საათნახევარშია მოსალოდნელი: კარიატის — ორი-სამი საათის შემდეგ; კობრასი—ოთხი ექვსი საათის შემდეგ; რასელის ჭრელი გველისა — თოთხმეტი-ოცდათექვსმეტი საათის შემდეგ; ქერცლიანი ჭრელი გველისა — სამი-შვიდი დღის შემდეგ.

ინდოეთში ბინადრობს აგრეთვე დიდი რაოდენობით არაშხამიანი გველებიც, შესაძლოა ყველაზე საინტერესო მათგან იყოს თვრამეტი ფუტის სიგრძის პიტონი. მალაის ზოგიერთი ამ სახეობის წარმომადგენლის სიგრძე ოცდათხუთმეტ ფუტამდე აღწევს. პიტონი ახრჩობს მსხვერპლს—იმის მიხედვით, თუ რა სიდიდისაა იგი. ეს შეიძლება იყოს ვირთხა, ბაჭია, ღორი და დიდი ირემიც კი, რომელსაც გარს შემოეხვევა და შემდეგ ყლაპავს მთლიანად. მე წაკითხული მაქვს, რომ იაპონიის წინააღმდეგ ბირმის სამხედრო კომპანიის დროს შემთხვევით მოკლულ იქნა „ბადისებრი პიტონი“ (ასეთი სახელწოდება მიიღო მალაიაში ბინადარმა პიტონის ნაირსახეობამ, ის გვხვდება აგრეთვე ბირმაშიც), რომელსაც სიგრძე ორმოც ფუტზე მეტი ჰქონდა. სასიკვდილოდ განწირულმა ამოანთხია იაპონელი ჯარისკაცის სხეული მუზარადთან ერთად. არ შემიძლია ამ მოთხრობის უტყუარობა დავადასტურო, თუმცა ის პრესაში გამოქვეყნდა.

მცდარია აზრი, თითქოს პიტონი სანამ გადაყლაპავდეს თავის მსხვერპლს, ალორწოიანებდეს მას. მისი ყბები, როგორც ყველა მახრჩობელასი, არ არის ერთმანეთთან შეერთებული, ტყავი კი ძალიან ელასტიკური აქვს, ამიტომ მას შეუძლია გადაყლაპოს ისეთი ზომის ცხოველი, რომელიც მასზე გაცილებით დიდია.

არაშხამიან ქვეწარმავალთა შორის მიწის გველების მრავალი სახეობა არსებობს, რამდენიმე სახისაა ხის — წვრილი, ძალიან მოძრავი, წკეპლისმაგვარი გველები; ქვიშის მოზრდი-

ლი ჰიაყელას მსგავსი გველები და დიდი რაოდენობითაა მტკნარი წყლის გველები. ქვიშის გველის ერთ-ერთ ნაირსახეობას აქვს მოკლე კუდი, რომელიც თავს წააგავს და რამაც საფუძველი მისცა იმ რწმენის ფართოდ გავრცელებას, რომ ამ ქვეწარმავალს ორი თავი აქვს.

მე ყოველთვის მიყვარდა გველები და რვა წლიდან მყავდა ისინი თავშესაქცევად. ამიტომ სკოლაში რაღაც მაფრთხობელად ვიყავი ცნობილი განსაკუთრებით გოგონებისათვის, მაგდებდნენ კინოდან, საკვირაო სკოლიდან და ეკლესიიდანაც კი, იმიტომ, რომ ქვეწარმავლებს გავუშვებდი ხოლმე. „ანდერსონი გველების შემლოცველი“ — ასე შემრჩა ეს ზედმეტი სახელი, თუმცა აგერ უკვე ორმოცდარვა წლისა ვარ.

გველის შხამს ფართო გამოყენება აქვს მედიცინაში და დარწმუნებული ვარ, რომ ჯერ კიდევ მისი ყველა სამკურნალო თვისება არ არის აღმოჩენილი. ამ დარგში მუშაობა რთულდება ადამიანზე ექსპერიმენტირების საშიშროებით. ზოგიერთი გველის შხამი გამოიყენება მცირე რაოდენობით სისხლის ჩაქცევის დროს. დანტისტები და სხვა ექიმები იყენებენ მას სისხლის დენის შესაჩერებლად კბილის ამოღებისა და სხვა მსუბუქი ოპერაციების დროს, კობრას და კარაიტის შხამი მცირე დოზით ეფექტურ წამალს წარმოადგენს ეპილეფსიისა და სხვა ნერვული დაავადებებისას.

ბომბეიში ხავკინის სახელობის ინსტიტუტი ამზადებს ანტიტოქსიკურ შრატებს როგორც კომბინირებულს, ისე ნაკბენის საწინააღმდეგოდ. კომბინირებული შრატი უებარ საშუალებას წარმოადგენს იმ შემთხვევაში, როცა გამოურკვეველია, რა სახის გველის მიერ არის დაკბენილი ავადმყოფი. შრატის დასამზადებლად ცხენს კანქვეშ უშხაპუნებენ გველის შრატს, თანდათან ადიდებენ მის რაოდენობას, სანამ ცხენი არ გამოიმუშავებს სამ-ოთხჯერ მეტი სასიკვდილო დოზის გადატანის იმუნიტეტს. შემდეგ მას ვენიდან ართმევენ სისხლს, რომლიდანაც ბოლოს და ბოლოს მზადდება შხამის საწინააღმდეგო წამალი.

შრატის მომზადების წესების შესახებ გაგონილი მქონდა ჯერ კიდევ ბავშობისას, რამაც ძალიან დამაინტერესა და გადავწყვიტე თვითონ მესინჯა შრატის დამზადება. ვიშოვე ორი

ბებერი პონი და მაიმუნი—სად, აქამდე ვერ ვბედავ თქმას, — და ამ მიზნისთვის შეძენილი მცირე ზომის შპრიცი შევუშხაპუნე მათ კობრას შხამის თავდაპირველი დოზა. საუბედუროდ, იმდენი ცოდნა არ მქონდა, რომ განმესაზღვრა, რა ოდენობით უნდა შემეშვა შხამი და ამის გამო რამდენიმე საათის შემდეგ მომიხდა პონისა და მაიმუნის დამარხვა. მახსოვს მამა ძალიან გამიჯავრდა.

უკანასკნელი ომის დროს კარგ ფულს ვშოულობდი ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში გველის შხამის, განსაკუთრებით კობრას შხამის კრისტალების ექსპორტირებით. საშუალო კობრა ყოველ ოთხ ხუთ დღეში იმუშავებს დაახლოებით ერთ კუბიკურ სანტიმეტრ შხამს. დაკრისტალების შემდეგ იგი იწონის ერთ გრამს; მასში ვიღებდი დაახლოებით ერთნახევარ დოლარს, მყავდა ოცი კობრა, მაშასადამე, მათ შხამზე ყოველ ოთხ-ხუთ დღეში ვაკეთებდი ოცდაათ დოლარს, ანუ თვეში ას ოთხმოც დოლარს. არც ისე ცუდია, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ გველების შენახვა არაფერი არ მიჯდებოდა. ვკვებავდი მათ ათ დღეში ერთხელ ბაყაყებითა და ხვლიკებით, რომლებსაც ინდოელი ბიჭუნა იჭერდა. ის ღებულობდა ამ სამუშაოსათვის შვიდ რუპიას თვეში, ე. ი. დაახლოებით ათ შილინგს.

ქვეწარმავალს შხამი რომ ამოაცალო, უნდა სწვდე მას ქეჩოში და მჭიდროდ მიადგა პირზე რეზინის აპკით დაფარული მინის ფინჯანი. გველი კბენს რეზინს. ამ დროს შხამი გამოიყოფა ჯირკვლებიდან და იღვრება ფინჯანში. შხამის დაკარგვის ან რეზინის ზედაპირზე გაფანტვის თავიდან ასაცილებლად, რეზინი ძალიან თხელი უნდა იყოს, ხოლო გველმა მინაზე კბილი რომ არ მოიტეხოს, ფინჯნის ნაპირს გარშემო რამდენიმე წყებად შემოახვევენ საიზოლაციო ლენტს.

კობრა ბერავს ყელს, აიმართება თავისი სიგრძის თითქმის ერთ მესამედზე და გამოჰყოფს თავს. ამ დროს შედარებით ადვილია ორკაპა ჯოხის მოდება კისერზე, რომ გველს თავი მიწაზე დაადებინო და სწვდე უკნიდან. გაცილებით ძნელია საქმის დაჭერა რასელის ჭრელ გველთან, ქერცლიან ჭრელ გველთან და კარაიტთან; ისინი თავს მალავენ დაგრაგნილ სხეულში და თანაც კობრაზე ბევრად მკვირცხლები არიან. ამასთან ჭრელი

გველი გრძელი და მოძრავი კბილების გამო საშიში „კლიენტია“, რომელსაც განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეპყრათ.

კობრას მოთვინიერებაც ადვილია. მოხეტიალე შემლოცველის კალათში ჩასმულ კობრებს ამოცლილი აქვთ არა მარტო შხამიანი კბილები, არამედ ჯირკვლებიც, რის გამოც შხამის გამოყოფა წყდება და გველი სამუდამოდ უვნებელი ხდება. თუმცა კბილები მას დაახლოებით ერთ თვეში ამოსდის. რასელის ჭრელი გველისათვის შეუძლებელია შხამიანი ჯირკვლების ამოცლა: ისინი ძალიან ახლოს არიან განლაგებული ტვინთან. პირის ღრუში გამავალი დიდი არტერიის გვერდით. ამიტომ ამ სახის გველებს შემლოცველნი უკერავენ ქვედა და ზედა ტუჩებს, უტოვებენ შუაში ჭუჭრუტანას, რომელშიც კვირაში ერთხელ უდგამენ ძვლის მილაკს და ამის მეშვეობით კვებავენ ამ საწყლებს. ჩვეულებრივად საკვები შედგება შაქრისა და რძეში შერეული ღვინისა და კვერცხის გულისაგან. ასევე კვებავენ კობრებს, რომლებიც ტყვეობაში ხშირად უარს ამბობენ თავიანთ ბუნებრივ საჭმელზე.

იმის გამო, რომ გველი იშვიათად ღებულობს საჭმელს, მისი შენახვა არაა რთული საქმე, როგორც წესი, საკმარისია შვიდ-ათ დღეში ერთხელ მივცეთ ვირთხა, ბაყაყი, ხვლიკი ან ფრინველი. გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ პატარა გველები გაცილებით უფრო ღორმუცელებია მსხვილ გველებთან შედარებით. ყველაზე იშვიათად იკვებება პიტონი — ერთხელ ჭამა ყოფნის ორი კვირიდან ერთ თვემდე იმის მიხედვით, თუ რომელი ცხოველი გადასანსლა უკანასკნელად.

ყველა გველისათვის, როგორც შხამიანი ისე არაშხამიანებისთვის, დამახასიათებელია ერთი — გამადრიადის გარდა, ყველა მშიშარაა და გაურბის ადამიანს. გაიგონებენ თუ არა ადამიანის ფეხის ხმას, ცდილობენ უმალვე მიიმალონ. გველები იკბინებიან შიშისა და თავდაცვის გამო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ფეხს დაადგამენ. სხვათა შორის სასარგებლოა ვიცოდეთ, რომ გველებს არა აქვთ სმენის ორგანოები. მათთვის „გაგონება“ ნიშნავს სხეულით რხევის შეგრძნებას. ამიტომ ნაამბობი ფლეიტისა და სხვა ინსტრუმენტის ხმით კობრას „მოჯადოების“ შესახებ სრული მონაჭორია. მის ყურადღებას მუ-

სიკა კი არ იპყრობს, არამედ ინსტრუმენტზე დამკვრელი შემლოცველის ტანის, თავისა და ხელების რიტმული რხევა, სწორედ ის აიძულებს გველს იმოძრაოს მასთან შეწყობილად ერთი მხრიდან მეორე მხარეზე. ამიტომ უშედეგოა ინდოეთში ღამე ბილიკზე გავლისას ლაპარაკი, ყვირილი, სიმღერა ან სტვენა, რომ მიმალული გველი დააფრთხო. უფრო შედეგიანია მძიმე ფეხსაცმელები და მიწაზე ჯოხის კაკუნი.

წელიწადში გველები ორ-სამგზის იცვლიან კანს. კანის გამოცვლა ხდება, ასე ვთქვათ, წინდის ან ხელთათმანის წაძრობის მსგავსად; კანისაგან რომ განთავისუფლდეს, გველი ეხახუნება ან ოღროჩოღრო ზედაპირს ან რომელიმე საგანს გარს შემოეხვევა ხოლმე.

ინდოეთში გავრცელებული ზოგიერთი გველი კვერცხით მრავლდება, ზოგი ცოცხლად შობს. შხამის არსებობა არ მოქმედებს მშობიარობაზე. კობრა, მაგალითად, კვერცხებს დებს, რასელის ჭრელი გველი და პიტონი კი შობენ ცოცხალ წიწილებს.

კობრა ჩვეულებრივად ბინადრობს ადამიანის სადგომის მახლობლად; მისი აღმოჩენა შეიძლება მინდვრად ტერმიტებისა და მღრღნელების სოროებში. როგორი გასაოცარიც არ უნდა იყოს, იგი თავს არიდებს ტყეს. გამადრიადა კი, პირიქით, ჯუნგლებს ეტანება. რასელის ჭრელი გველი უფრო ხშირად გვხვდება ტყეში და ხშირ ბალახში, ვიდრე დასახლებული ადგილების მახლობლად, კარაიტი საერთოდ იშვიათი გველია. ქერცლიანი ჭრელი გველი ძირითადად მშრალ სილიან ადგილებშია.

ანტიტოქსინის ამპულების თან წაღება ჯუნგლებში მიზანშეუწონელია: საჭიროა მათი მაცივარში შენახვა. ერთადერთი უებარი საშუალება გველის კბენისას ესაა დაუყოვნებლივ ნაკბენი ადგილის ღრმად ჩაჭრა და რაც შეიძლება მეტი მოწამლული სისხლის გამოწოვა, რომელიც არაა საშიში სიცოცხლისათვის. კობრას შხამს ურევენ ფრინველების საკვებშიც, რათა მეტი გულადობა შემატონ მამლებს ბრძოლის დროს. ეს საყვარელი გასართობია ინდოეთის ზოგიერთ ნაწილში დასახლებული მუსულმანებისათვის, რომლებიც გამარჯვებულზე დიდ ფულად თანხებს აბანდებენ.

ნაკბენი ადგილის შეხვევა მოითხოვს დროსა და გარკვეულ

ცოდნას. სანამ მის გაკეთებას მოასწრებდეთ, შხამი სისხლში შედის. გარდა ამისა, ეს საშუალება მიუღებელია, თუ დაშავებული ტანზეა დაკბენილი.

მანგანუმმჟავას კალიუმი საკმაოდ ანეიტრალებს შხამის მოქმედებას, მაგრამ სანამ ნაკბენ ჭრილობას დააყრიდე კრისტალებს, საჭიროა საკმაოდ ჩასერვა, რომ ქსოვილში ღრმად შეაღწიოს. ამიტომ ჯუნგლებში გამგზავრებისას ყოველთვის თან ვატარებ ჯიბის ბასრ დანას.

მე ვიცი ადამიანი, ამასთან უნდა აღვნიშნო ბრაკონიერი, რომელსაც კობრამ უკბინა. მას ეყო ნებისყოფა ჭრილობაზე და მის გარშემო თოფის წამალი დაეყარა და მოეწვა. ამის შემდეგ დაკოჭლდა, მაგრამ არ დაღუპულა.

მეორე ჩემ ნაცნობს, გველების შემლოცველს კობრამ ცერზე უკბინა. მან ცერის მეორე სახსარზე დაიდო დანა, და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაჰკრა მძიმე ქვა. მთლიანი ამპუტაციისათვის დასჭირდა ქვის არაერთხელ დარტყმა. შემლოცველი კინაღამ სისხლისაგან დაიცალა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გადარჩა და დღესაც ცოცხალია.

მესამე შემთხვევის მოწმე მე თვითონ ვიყავი. ერთხელ მომიხდა ღამის გათევა მუტურეს ბუნგალოში. გარიჟრაჟზე გამაღვიძა უცნობმა კაცმა და მითხრა, ერთი საათის წინ კობრამ მიკბინაო.

მას ბამბუკი მოჰქონდა თურმე პენაგარამში. წინა დღეს დაენახა გზის განაპირას ველური სპილოების ჯოგი, ძალიან შეშინებოდა და დაბრუნებულყო სადგომში, სადაც ღამე გაეთია. დაახლოებით დილის ოთხ საათზე კვლავ გზას გაუდგა, მაგრამ ამჯერად ის მიყვებოდა ფორანს უკან, რომ მისთვის ადვილი ყოფილიყო გაქცევა, თუ სპილოებს კვლავ შეხვდებოდა. უცბად მეჯაგემ იგრძნო მწვავე ტკივილი, ძირს რომ დაიხედა, იხილა ტერფზე მიკრული გველი. შესაძლოა, მას ფორნის ბორბალმა გადაუარა. ფეხით გადააგდო გველი, რომელიც გვერდზე გასრიალდა და მიიმალა, მაგრამ გამობერილი ყელის მიხედვით მოასწრო შეემჩნია, რომ ის იყო კობრა. გაიარა ორი მილი ბუნგალომდე იმ იმედით, რომ იქ დახმარებას აღმოუჩენდნენ. მე დაუყოვნებლივ ღრმად ჩავჭერი ჭრილობა და ტყის მცველის დახმარებით ვატარებდი ამ უბედურს აივანზე,

რომ გული არ შეღონებოდა. მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ ყველა ჩემი ცდა ამარა. მეჯაგეს პირიდან დორბლი წამოუვიდა, თვალები გადაატრიალა, ალუღლუღდა და მთვრალივით დაბარბაცდა. მე შევძელი გამეგო მისგან პენაგარამიდან ერთი მილის მანძილზე მცხოვრები მისი ნათესავების სახელი და გვარი. მოულოდნელად სულთმობრძავმა ხელი ჩამავლო, გონება დაკარგა და ათის ნახევარზე გარდაიცვალა.

ტყის მცველი გავგზავნე, რომ ეცნობებინა ამბავი გარდაცვლილის ოჯახისა და პენაგარამას საპოლიციო ქვეგანყოფისათვის. დღის ორ საათზე ხარებშებმული ფორნით ჩამოვიდნენ ხმამაღლა მტირალი ნათესავები. მათ მოჰყვნენ პოლიციელებიც, რომლებსაც სურდათ გაეგოთ, რატომ არის ბუნგალოს იატაკზე დაღვრილი სისხლის წვეთები, რატომ ჩავჭერი ღრმად ჭრილობა და რატომ გარდაიცვალა დაზარალებული. დაბოლოს, გვამი დაასვენეს ფორანზე და საპოლიციო უბანში გაგზავნეს. მეც მომცეს წინადადება. გავყოლოდი, მაგრამ ცივი უარი ვუთხარი. მთავარმა კონსტებლმა, ცოტა დაფიქრების შემდეგ, ნება დამრთო დავრჩენილიყავი, ერთი პირობით, რომ არ მივატოვებდი ბუნგალოს, სანამ ცნობილი არ იქნებოდა გაკვეთის შედეგები. პასუხი მოვიდა სამი დღის შემდეგ — მეჯაგე გარდაიცვალა კობრას ნაკბენისაგანო. მეოთხე დღეს მაცნობეს, რომ მე თავისუფალი ვარ პოლიციის ზედამხედველობიდან.

მთელი ოცდაცხრამეტი წლის განმავლობაში საქმე მაქვს გველებთან და მხოლოდ ერთ ხელ ვარ დაკბენილი. ეს მოხდა 1939 წელს. მე ხელი ვტაცე კობრას, მაგრამ ის ხელიდან გამიხსნლტა და მიკბინა მარცხენა ხელის საჩვენებელ თითზე. საბედნიეროდ, ჩემი ფერმა ცხრა მილის მანძილზე იყო ბანგალურიდან და მანქანით მივედი საავადმყოფოში, სადაც სათანადოდ მიმკურნალეს. მაგრამ არასასიამოვნო განცდების გადატანა მომიხდა, არა კბენის გამო, არამედ ინექციისაგან. მესამე დღეს ნაწილობრივ წამერთვა ორივე ფეხი, თუმცა კალციისა და სხვა წამლების ნემსებმა ერთ დღეში ჩააქრო ეს მოვლენები.

დასასრულ მინდა გიამბოთ სამხრეთ ინდოეთში ფართოდ გავრცელებული გასაოცარი ცრუ რწმენის შესახებ, თითქოს

პოლრედიპალიანის სადგურის უფროსი, გვარად ნარასიახი არჩენდა გველის დაკბენილ ყველა ადამიანს, თუ მას ამის შესახებ დეპეშით აცნობებდნენ. ამ ცრუ რწმენას ისე ღრმად მოეკიდა ფეხი, რომ დეპეშები ნარასიახის სახელზე რიგგარეშე იგზავნებოდა. სარწმუნო წყაროებიდან გაგონილი მქონდა დაშავებულთა სასწაულებრივი განკურნების მრავალ შემთხვევაზე, და სამხრეთ ინდოეთში ახლაც ცხოვრობს ასობით ადამიანი, რომელთაც მან სიცოცხლე შეუნარჩუნა. მისი modus operandi შემდეგში მდგომარეობდა: ბატონი ნარასიახი, როგორც კი დეპეშას მიიღებდა, გაეშურებოდა ეზოში მდგარ ხისკენ, გამოაძრობდა ბარძაყზე შემოსახვევიდან ძაფს, მიაბამდა ხის ტოტზე და წარმოთქვამდა ლოცვას, რის შემდეგ უგზავნიდა პაციენტს დეპეშას იმის შესახებ, რომ მას შენარჩუნებული აქვს სიცოცხლე იმ პირობით, თუ ის უარს იტყოდა თამბაქოზე ალკოჰოლსა და ყავაზე. დაშავებული უეჭველად ცოცხალი რჩებოდა.

ვაი, რომ უზენაესმა თავისთან იხმო ბატონი ნარასიახი და ჩვენგან წავიდა. მაგრამ მას არასოდეს არ დაივიწყებენ. არ ვიცი საიდუმლოება მიწაში ჩაიტანა თუ არა, მაგრამ ვფიქრობ, ეს ასეა, რადგან აღარ გამიგია, რომ ვინმეს ნარასიახის მეთოდით მოერჩინოს ადამიანი გველის ნაკბენისაგან.



თავი მეექვსე

ჰაიდარაბადელი ჯალათი

ბრიტანეთის მმართველობის პერიოდში მაისურის სათავადოს ჩრდილოეთით მდებარეობდა ყოფილ მადრასის საპრეზიდენტოში შემავალი ბელარის, ანანტაპურამის, კარნულისა და ნანდიალის ოლქები. მათგან ჩრდილოეთით იყო ჰაიდარაბადის სათავადო — ჰაიდარაბადის ნიზამის სამფლობელო, ოდესღაც დელიში ყოვლისშემძლე მოგოლის იმპერატორის შთამომავალი ბრიტანეთის ხელისუფლების ერთგული მოკავშირე იყო.

ამჟამად ჰაიდარაბადის სათავადო აღარ არსებობს და ნიზამის ვრცელი მიწების ნაწილი, ანანტაპურამის, კარნულისა და ნანდიალის ოლქებით, შედის ანდხრა პრადეშის შტატის შემადგენლობაში, რომლის ტერიტორიაზე ცხოვრობს ტელუგუს ხალხი. ანდხრა-პრადეში ინდოეთის კავშირის მეორე შტატია სიდიდით და ჩამოუვარდება მხოლოდ მისგან ჩრდილოეთით მდებარე მადხია პრადეშის შტატს.

ამბავი, რომელსაც აქ მოგითხრობთ, ეხება იმ ძველ დროს, როცა ეს ოლქები მადრასის პროვინციაში შედიოდნენ.

ცუდი ჰავა ხელს უშლიდა მათ განვითარებას: წვიმები აქ იშვიათად მოდის და წელიწადში ათი თვის მანძილზე აუტანელი სიცხეა (დანარჩენ ორ თვეშიც მომქანცველი სიცხეა). ეს ოლქები მჭიდროდ არაა დასახლებული. ქალაქების — ანანტაპურამის, კარნულისა და ნანდიალის ამავე სახელწოდების ოლქების ცენტრებს გარდა, მოსახლეობა თავმოყრილია ერთიმეორისაგან დიდ მანძილზე გაფანტულ სოფლებში.

ბომბეიდან მადრასს მიმავალი რკინიგზა მთავარი სატრანსპორტო მაგისტრალია ამ მხარეში. გუნტაკალეში მისგან განშტოებულია სამი ვიწროლიანდაგიანი ხაზი: დასავლეთისაკენ, სამხრეთისაკენ ბანგალურის მიმართულებით, მაისურის სათავადოში და აღმოსავლეთის მიმართულებით დრონაჩელამსა და ნანადიალზე გავლით ბეზვადისკენ, იქიდან კი აღმოსავლეთ სანაპიროსკენ.

გუნტაკალს, დრონაჩელამსა და ნანდიალს იქით აღმოსავლეთ რკინიგზის ხაზის განშტოება გადის ტყით დაფარულ რაიონზე და ბეზვადამდე გაივლის ხუთ სადგურს: გაზულაპალს, ბასავაპურამს, ჩელამუს, ბოგარუსა და დიგუვამეტას.

ვიწროლიანდაგიან რკინიგზის ხაზზე ნელი მოძრაობაა და საფოსტო მატარებლის მემანქანეები ღამით ორთქლმავლის ფარების შუქზე ახლაც ხშირად ხედავენ ლიანდაგზე გადამავალ გარეულ ცხოველებს. იშვიათი არაა შემთხვევები, როცა მატარებელი დაეჯახება გარეულ ტახს ან ირემს ლიანდაგზე გადასვლისას.

ამ ხუთი სადგურიდან იმ ხანად ახლომდებარე ჯუნგლებში სოფლის ოღროჩოღრო ქვიანი გზებით და საცალფეხო ბილიკებით მივდიოდით. საავტომობილო გზატკეცილი ჯერ კიდევ არ იყო. ეს წარმოადგენდა ერთ-ერთ მთავარ პირობას, რომელიც ხელს უწყობდა ადგილობრივი ფაუნის შენარჩუნებას. ქვეყნის დანარჩენ მხარეში დაუღალავი, მაგრამ ავი ზრახვებით შთაგონებული მონადირეები, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ბრაკონიერები ღამღამობით ანადგურებდნენ ავტომანქანის ფარების თვალისმომჭრელ შუქში მოხვედრილ ცხოველებს. ამ „მონადირეებმა“ მეტწილად არც კი იცოდნენ, რომელ ცხოველს ესროდნენ თოფს. უაზრო და სასტიკმა განადგურებამ დიდი ზარალი მიაყენა ინდოეთის ფაუნას, რადგანაც ის ვრცე-

ლდება ჩვილებიან დედა ცხოველებზე. უამრავი მძიმედ დაჭრილი ცხოველი ხოხვით თავს აფარებს ჯუნგლებს, და მძიმე აგონიის შემდეგ ესალმება სიცოცხლეს სასიკვდილო ჭრილობებისაგან. თავის დროზე ბრიტანეთის ხელისუფალნი ცდილობდნენ ბრაკონიერობის წინააღმდეგ ბრძოლას. ახლა ანალოგიურ ღონისძიებებს მიმართავს ინდოეთის მთავრობა. აქამდე ამ ღონისძიებებს არავითარი ნაყოფი არ გამოუღია, და მეკობრეობა გრძელდება. იგი არ შეწყდება მანამ, ვიდრე მოსახლეობა არ შეიგნებს, რომ გარეული ცხოველები წარმოადგენს ეროვნულ სიმდიდრეს და არ შეწყვეტს მათ უთავბოლო განადგურებას ან სანამ გარეული მხეცები მთლიანად არ იქნება მოსპობილი.

გაზულაპალ-დიგუვამეტის რაიონში უკანასკნელ ხანამდე შეგეძლოთ ღამე გაგეთიათ ჯუნგლებში ისე, რომ არ გშინებოდათ ფარების სინათლისაგან დაბრმავების, ძრავის გამაყრუებელი გუგუნის, გასროლის ხმის ან სულთმობრძავი ცხოველის ღრიალის გაგონების.

აქ ცხოვრობს ტელუგუს ენაზე მოლაპარაკე ჩენჩუს ტომი. ამ ტომის ძირითად ტანსაცმელს წარმოადგენს დაფხრეწილი და ჭუჭყიანი ბარძაყებზე შემოსახვევი. მამაკაცები ატარებენ მშვილდსა და ისრებს, მორთულნი არიან მძივებითა და ფრთებით, ხოლო საზეიმო ვითარებაში თმებში იბნევენ ფარშევანგის ფრთებს.

მე არ ვცდილობ პროტესტი განვაცხადო ღამე ავტოთი ნადირობის წინააღმდეგ და არც ჩენჩუს ტომის ცხოვრების აღწერას ვაპირებ. უბრალოდ მინდა გიამბოთ კაციჭამია ვეფხვზე, რომელიც დროგამოშვებით მთელი ოთხი წლის მანძილზე თავზარს სცემდა ადგილობრივ ბინადართ.

დაიწყო იმით, რომ ვეფხვი ხოცავდა და ჭამდა ჩენჩუსა და ჰაიდარაბადის სათავადოს ტყეში მარტოდ მიმავალ მგზავრებს. დაახლოებით ნახევარი წლის შემდეგ გადაბარგდა სამხრეთისაკენ და თავისი მოსვლა გვამცნო იმით, რომ ჩელამიდან მოიტაცა გზის დარაჯი.

იმ ადგილებში უცვლელად ბინადრობდა მრავალი ვეფხვი, მაგრამ ბუნებრივი ნადავლის სიმრავლის გამო ისინი იშვიათად ესხმოდნენ თავს ადგილობრივ მოსახლეობას, ზოგჯერ ძროხას

თუ დაგლეჯდნენ მხოლოდ. ამიტომ, გზის დარაჯი რომ გაქრა, იფიქრეს. ალბათ შეჩვეული ადგილი მიატოვა იმ მიზეზით, რომელიც მხოლოდ თვითონ იცისო. რამდენიმე თვის შემდეგ კი, როცა ხან აქ და ხან იქ დაიწყო ადგილობრივი მცხოვრებლების უკვალოდ დაკარგვა, ეჭვი მიიტანეს კაციჭამია ვეფხვზე.

ვავიდა სამი თუ ოთხი თვე გზის დარაჯის დაკარგვის შემდეგ, სახამ ვეფხი გამოჩნდებოდა. ერთ საღამოს ორი მენახირე ტყის განაპირას მდებარე პატარა სოფელ ვადაპალში ბრუნდებოდა. სოფლამდე ნახევარი მილი იქნებოდა დარჩენილი, რომ წინ მიმავალმა თურმე შეამჩნია — მიწიდან საკმაოდ მაღლა გაკეთებული ბუდიდან ამოფრინდა ჭაობის ჭრელი ქათამი კოელი (მამალი კოელი კუპრივით შავია). ეს ფრინველი, როგორც ჩანს, ყველაზე მსხვილი წარმომადგენელია გუგულების ოჯახისა, რომელსაც მიეკუთვნება აგრეთვე ინდოეთის „უგუნური ფრინველი". როგორც ყველა ფრინველი, კოელიც არ იკეთებს ბუდეს. თავის კვერცხებს კი სხვა ფრინველების ბუდეში დებს*. წინ მიმავალმა მენახირემ გაახარა თავისი თანამგზავრი. რადგან იგი უფრო ახალგაზრდა იყო, დაიწყო ხეზე აცოცება და თითქმის მიზანს მიაღწია, რომ ქვევით გაისმა გულშემზარავი ყვირილი და დაინახა ვეფხვი, რომელიც ჯუნგლებში გარბოდა და პირში გაეჩარა მისი ამხანაგი; სასოწარკვეთილი მსხვერპლი შველას ითხოვდა.

ჩენჩუ საჩქაროდ აცოცდა ხის კენწეროზე. ამასობაში კი ვეფხვი თავის მსხვერპლიანად მხედველობიდან მიიმალა.

დაღამდა, მაგრამ ჩენჩუმ ვერ გაბედა ძირს ჩამოსვლა და ხეზე გაატარა თორმეტი საათი. სიცივისა და შიმშილისაგან აკანკალებული, ყოველ წუთს ვეფხის დაბრუნებას ელოდა. მეორე დღეს. როცა მზემ მაღლა აიწია, მან მორთო ყვირილი რაც ძალი და ღონე ჰქონდა. ქარი სოფლის მიმართულებით ქროდა, მისი ხმა გაიგონეს და გლეხების ჯგუფი წამოვიდა დასაზვერავად.

---

* რადგან კოელი ბუდიდან ამოფრინდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ მან ის-ის იყო იქ კვერცხი დადო. ჩენჩუს ტომელნი კოელის კვერცხებს უგემრიელეს საჭმელად თვლიან, მაგრამ კვერცხების აღმოჩენა ძნელია, ვინაიდან შესაძლოა ის ნებისმიერ ბუდეში იყოს დადებული.

ასე ამცნო კაციჭამიამ მოსახლეობას, რომ თავის ადგილსამყოფლად აირჩია ჩელამის რაიონი.

ვადაპალიდან ეს ახალი ამბავი აცნობეს ჩელამის სადგურის უფროსს, მან დეპეშა გაგზავნა ნანდიალში, და იქედან ცნობა გადაეცა პოლიციას, სატყეო სამმართველოს ხელისუფალთ და ოლქის კოლექტორს*, დაიწყო მითქმა-მოთქმა, გაიხსენეს რამდენიმე კაცისა და რკინიგზის დარაჯის იდუმალი გაქრობა და ამაში ბრალი დადეს კაციჭამიას. ჯუნგლებში კაციჭამია რომ გამოჩნდება ხოლმე, ტყის სამმართველო ჩვეულებრივად ულიცენზიო ნადირობის ნებას რთავს ახლომახლო მდებარე ტყეებში. ეს ზომა ამჯერადაც იქნა მიღებული, თუმცა სატყეო სამმართველოს განცხადებამ ვერ ჰპოვა მხურვალე გამოძახილი. ძალიან ცოტა მსურველი აღმოჩნდა, დადევნებოდა კაციჭამიას თითქმის სრულიად უგზო-უკვლო ადგილებში, სადაც თითოეული იარდი ფეხით უნდა გაევლოთ.

არა ერთმა და ორმა რკინიგზელმა სცადა კაციჭამიას მოკვლა. ისინი წინ და უკან დადიოდნენ დრეზინით გაზულაპალსა და ჩელამს შორის, როგორც ჩანს, იმ ვარაუდით, რომ წააწყდებოდნენ რკინიგზის ლიანდაგის გვერდით დაყუნტულ ვეფხს, თითქოსდა იმის მოლოდინში, რომ თოფით მოეკლათ, მაგრამ დახეთ კაციჭამიას — არ იჩენდა თავაზიანობას. მათ თვალითაც არ უხილავთ ვეფხვი. მიუხედავად იმისა, რომ ყოველ კვირაში სულ უფრო მეტი ადგილობრივი მცხოვრები უჩინარი ბოროტმოქმედის მსხვერპლი ხდებოდა, მარტო ორ დაკარგულს ეძებდნენ. ჯოხებით, ნაჯახებით, მშვილდისრით შეიარაღებულმა გლეხებმა შესძლეს მათი გაფანტული ნეშტის ნარჩენების აღმოჩენა. დანარჩენები უგზოუკვლოდ დაიკარგნენ: ძალიან ძნელი იყო ჯუნგლებში სიარული და გლეხებსაც არ სურდათ სიცოცხლის გაწირვა ნახევრადშეჭმული გვამისათვის.

ეს შეიძლება გულგრილობად ან გულქვაობად მოგეჩვენოთ, მაგრამ მკითხველს მოვაგონებ, რომ ამ ბეჩავ ხალხს იარაღი არ გააჩნდა და მომზადებული არ იყო კაციჭამიასთან საბრძოლველად. ხშირად ჯუნგლები ფარავდა უზარმაზარ სივრცეს, და მხო-

* ადმინისტრაციული ორგანოების მეთაური.

ლოდ რამდენიმე ბილიკს მივყავდით ტევრში რიყის ქვით სავსე ადგილებსა და შამბნარიან ხევში, რომლებიც ტყეს კვეთდნენ ყველა მიმართულებით. ყველამ იცოდა, რომ თუ კაციჭამია გაბედავს თავდასხმას საძებნელად წამოსულ ხალხზე, უკიდურეს შემთხვევაში ერთ-ერთი მაინც დაიღუპება, და თითოეულს ეშინოდა, რომ ეს ერთი მე ვიქნებიო. შეიძლება მათი გამტყუნება?

კაციჭამიას მსხვერპლთა რიცხვი რომ გაიზარდა, მან, როგორც ჩანს, რამდენიმე ხნით მიატოვა ეს მხარე, რადგან სამოითხი თვის განმავლობაში აქ მკვლელობები არ მომხდარა, თუმცა ისინი განახლდნენ მდინარე კრიშნას მახლობლად. მაშინ, და მხოლოდ მაშინ აშკარა გახდა, რომ კაციჭამია ხაიდარაბადიდან და კაციჭამია ჩელამიდან ერთი და იგივე ცხოველია.

ხაიდარაბადის სათავადოში მონადირეებისადმი მოწოდებას შეხვდნენ დიდი ენთუზიაზმით, და ერთი თუ ორი მუსულმანი ნავაბი* შეუდგა აქტიურ მოქმედებას ვეფხვების წინააღმდეგ. კაციჭამია იმდენად გათავხედდა, რომ სულ ახლოს, პატარა სოფელ მადიკონდას გვერდით მოკლა მგზავრი. ის გააგდეს, სანამ გვამის ჭამას შეუდგებოდა. ამის შესახებ აცნობეს ადგილობრივ ნავაბს, რომელიც დაბანაკდა სოფლიდან რამდენიმე მილის მოშორებით.

ნავაბი მყისვე გაეშურა მომხდარი ამბის ადგილზე და მიუსწრო, სანამ გვამს კრემაციისათვის წაიღებდნენ. მეზობელ ხეზე მოიწყო მაჰანი, რომ დალოდებოდა ვეფხვს თავის ნადავლთან. ნადირის მსხვერპლი უთვისტომო აღმოჩნდა; არ ჰყავდა ნათესავები, რომლებსაც შეეძლოთ მოეთხოვათ მისი გვამი, ასე რომ ეს შემთხვევა წარმოადგენდა კაციჭამიას მოკვლის ერთადერთ თავისებურ შესაძლებლობას.

ამაზე მეტად ნავაბს ბედი აღარ სწყალობდა.ვეფხვის დაბრუნებისთანავე მოულოდნელად ამოვარდა ქარიშხალი. ყოველ შემთხვევაში ასე ირწმუნებოდა ნავაბი. ასე იყო თუ ისე, მან ვერ მოახერხა ვეფხვის მოკვლა ადგილზე და დილის სინათლეზე აღმოაჩინეს რამდენიმე სისხლიანი ნაკვალევი, რომლებიც წვიმას ვერ გადაერეცხა. ნავაბი დაკმაყოფილდა იმით, რომ ვეფ-

---

* მსხვილი მიწათმფლობელი

ხვს მოარტყა, თუმცა ვერავინ ვერ შესძლო მეორე დღეს მტაცებლის ნაკვალევის გაყოლა და მისი ლეშის მოძებნა. მაგრამ ნავაბი და დანარჩენებიც დარწმუნებული იყვნენ, რომ კაციჭამია მკვდარია.

გავიდა კიდევ რამდენიმე კვირა. ერთ მშვენიერ დღეს, გაზულაპალის მახლობლად კაკბებსა და ტყის ყვინჩილებზე მონადირე ჩენჩუ სადილობისას სახლში არ დაბრუნებულა. ის აპირებდა წინა დღით ჯუნგლებში დაგებული კაკანათების გასინჯვას, და შინაურებს დაპირდა ჩვეულებრივ, სადილობისას სახლში ვიქნებიო. მაგრამ გავიდა დღე, დაბინდდა, ის მაინც არ ჩანდა. მის ცოლსა და ერთადერთ შვილს, უკვე ყმაწვილს, მოუსვენრობა დაეტყოთ. მათ, ცხადია, გაგონილი ჰქონდათ ჩელამის მიდამოებში მომხდარი მკვლელობის შესახებ, მაგრამ ეს იყო რამდენიმე თვის წინათ, მას შემდეგ ამბავი ყველამ მიივიწყა. ახლა კი, მარჩენალი რომ აღარ დაბრუნდა, ცოლ-შვილი ცუდმა წინათგრძნობამ შეიპყრო.

კაციჭამიების თავდასხმების შემთხვევათა შესწავლა გვარწმუნებს, რომ ეს ხდება ცოტად თუ ბევრად ერთიმეორის მსგავს პირობებში. „ბოროტმოქმედი“ მოულოდნელად გამოჩნდება ხოლმე უფრო ხშირად მას შემდეგ, რაც ჭრილობა ცხოველებზე ნადირობის საშუალებას არ აძლევს. ადამიანთა მკვლელობა ჯერ იშვიათია, თანდათან ხშირდება იმისდა მიხედვით, თუ როგორ რწმუნდება მტაცებელი თავის ძალასა და უპირატესობაში უმწეო მოსახლეობის მიმართ. ყველა კაციჭამიას, როგორც ვეფხვებს, ისე ავაზებს, უცნაური თანდაყოლილი ჩვევა აქვთ: მიუხედავად ადამიანთა მოდგმის მიმართ მზარდი სიძულვილისა, მათი არსება სიფრთხილითა და რაღაც ქვეცნობიერი მეექვსე გრძნობითაა გამსჭვალული, რომელსაც ზოგი მონადირე სიმხდალედ თვლის. ეს ცხოველები მსხვერპლს თავს ესხმიან ყოველთვის მოულოდნელად მაშინ, როცა ადამიანი მარტოა, ანდა როდესაც ის ადამიანთა მოძრავ მწკრივს უდგას თავში თუ ბოლოში. კაციჭამია იშვიათად ესხმის თავს ადამიანთა ჯგუფს. თუ გამიზნული მსხვერპლი წინააღმდეგობას უწევს და სიცოცხლისათვის იბრძვის, კაციჭამია ხშირად უკან იხევს და გარბის, თუმცა ეს ავაზას უფრო ეხება, ვიდრე ვეფხვს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს უკანასკნელი იმდენად ძლიერი

ცხოველია, მისი თავდასხმის შემდეგ მხოლოდ ცოტანი თუ გადაურჩებიან მის კლანჭებს და ბრუნდებიან სახლში, რომ უამბონ მომხდარი ამბის შესახებ. კაციჭამიების თანდაყოლილი სიფრთხილე თუ სიმხდალე — რაც გენებოთ ის უწოდეთ — უაღრესად ართულებს მათ დევნას. მოტყუების წარუმატებელი ცდები ცხოველს უფრო ფრთხილს ხდის, თითქოს ესმის, რომ ჯილდოა გამოცხადებული მისი განადგურებისათვის.

ნადირობის დროს კაციჭამია ვეფხვი განსაზღვრულ მარშრუტს იცავს ზოგჯერ რამდენიმე ასეული მილის ფარგლებში. ის ჩერდება სოფლებისა და დასახლებების მახლობლად ერთი ან ორი კვირით, შემდეგ კვლავ განაგრძობს გზას. ამის წყალობით ის არა მარტო გაუჩინარდება, როცა მის გარშემო ატმოსფერო მწვავდება, არამედ გადადის ახალ სავარგულებზე, ახალ სამოქმედო არეში, სადაც მისი მისვლა მოულოდნელია ეოსახლეობისათვის. როგორც კი მკვლელობები შეწყდება, გლეხები მათთვის ჩვეული გულუბრყვილობით რწმუნდებიან, რომ საშიშროებამ გაიარა, ავიწყდებათ სიფრთხილის დაცვა და როცა მტაცებელი ბოლოს და ბოლოს გამოჩნდება, ერთი მათგანი ადვილად უვარდება კლანჭებში. რადგანაც ვეფხვი წრიულად მოძრაობს, და ეს არის ვეებერთელა წრე, ის ერთი თუ ორი თვის ან მეტი ხნის შემდეგ — ეს დამოკიდებულია მისი მარშრუტის სიგრძეზე — აუცილებლად უბრუნდება ძველ ადგილს.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ ამავე წიგნში, თუ გაქვთ მოთმინება, გაგაჩნიათ საჭირო ინფორმაცია — მისი მიღება არც თუ ისე ადვილია — აგრეთვე ოლქის რუკა, რომელზეც აღნიშნულია მკვლელობების ადგილები და თარიღები, მაშინ შეიძლება არა მარტო ვეფხვის ნადირობის არის დადგენა, არამედ ამა თუ იმ ადგილას მისი დაბრუნების ვადის განსაზღვრაც ორი კვირის სიზუსტით. ეს არის ერთ-ერთი მთავარი მდგომარეობა, რომელიც მონადირეს ეხმარება კაციჭამიაზე ნადირობის სწორი გეგმის შედგენის საქმეში.

მე გიამბეთ „ჩელამელი კაციჭამიას“, ანუ, როგორც მას ხშირად უწოდებენ, „ჰაიდარაბადელი მკვლელის“ გამოჩენის ისტორია, რომელიც საკმაოდ გვიან აღვადგინე ცალკეული ფაქტებიდან. მეშინია, თავი არ შეგაწყინოთ გაზულაპალელი მონადირის მოკვლისა და ნაწილობრივ შეჭმის შემდეგ კაციჭამიას

მიერ შემდგომ ჩადენილ მკვლელობათა დაწვრილებით ჩამოთვლით. თითოეული ახალი შემთხვევა წინანდელს ჰგავდა.

ვეფხვი მუდამ იცვლიდა ადგილსამყოფელს, დაძრწოდა სამხრეთით ჩელამ-გაზულაპალსა და ჩრდილოეთით მდინარე კრიშნას შუა, რომელიც ჰაიდარაბადის სათავადოში მიედინება. საკმარისია თვალი გადაავლოთ რუკას, რომ მიხვდეთ, რარიგ დიდი იყო მისი მოქმედების არე. თანაც მას შემდეგ, რაც ის ნავაბმა მადიკონდთან დაჭრა, მან გაორმაგა და გაასამმაგა ჩვეული სიფრთხილე და მალე მოიპოვა „ნამდვილი ეშმაკის“, რაღაც ზებუნებრივი ბოროტი სულის რეპუტაცია. ახლა ის ცდილობდა მოკლული მსხვერპლისათვის ერთბაშად რაც შეიძლება მეტი ხორცი შემოეჭამა და მეორეჯერ ძალზე იშვიათად უბრუნდებოდა ნადავლს პირის ჩასაგემრიელებლად. ამან არა მარტო შექმნა მნიშვნელოვანი სიძნელეები მისი მდევარი მონადირეებისათვის, არამედ გაზარდა მსხვერპლთა რიცხვიც, რადგან შიმშილის მოსაკლავად ვეფხვს უფრო ხშირად უხდებოდა ნადავლზე ზრუნვა.

მისი სათარეშო არე ვრცელი და მიყრუებული იყო, მტაცებლური მოქმედება ვერ ჰპოვებდა ფართო საზოგადოებრიობის გამოხმაურებას და მხოლოდ ერთ-ერთ ადგილობრივ გაზეთში ქვეყნდებოდა მოკლე ცნობა გულგრილ მკითხველთა საყურადღებოდ, რომ კაციჭამიამ ერთხელ კიდევ აიღო ხარკი. ამგვარად, სამნახევარი წლის განმავლობაში კაციჭამიამ მოასწრო ოთხმოცამდე მკვლელობის ჩადენა. მხოლოდ მაშინ დარწმუნდნენ, თუ როგორ მრისხანე საფრთხედ გადაიქცა იგი.

ჩვენ ეს ციფრი შემაძრწუნებლად გვეჩვენება. მაგრამ ისეთი უზარმაზრი ქვეყნისათვის, როგორიცაა ინდოეთი, სადაც სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ამჟამადაც არ აღწევს ოცდაათ წელს, ხოლო წინათ კიდევ უფრო ნაკლებიც იყო, სადაც შიმშილი, წყალდიდობა და ავადმყოფობა ყოველ წლობით სპობს ათასობით სიცოცხლეს, სადაც ათასობით ადამიანი იღუპება გველის ნაკბენისაგან, სადაც შობადობა იმდენად მატულობს, რომ მიუხედავად ნაადრევი სიკვდილიანობისა, სერიოზულ პრობლემებს აყენებს, ვეფხვის მიერ მოკლული ოთხმოცი კაცი მხოლოდ წვეთია ზღვაში.

თანაც მსხვერპლთა რაოდენობამ ძიალწია ამ ციფრს ათას

სამასი დღის მანძილზე, ესე იგი, ვეფხვს უყვარდა, როგორც „გურმანს“ პირის ჩაგემრიელება მხოლოდ ადამიანის ხორცით. ეს იმას ნიშნავდა, რომ ის ნაირნაირი შინაური და გარეული ცხოველების ხორცით ამრავალფეროვანებდა თავის სუფრას და მონადირის მიერ შეთავაზებულ მისატყუარზედაც, ცხადია, უარს არ იტყოდა.

ხანგამოშვებით გაზეთებში ვკითხულობდი ცნობას ვეფხვის მიერ ჩადენილ მკვლელობათა შესახებ. სატყეო სამმართველომ გამომიგზავნა რამდენიმე ოფიციალური წერილი, წინადადებით, მეცადა კაციჭამიაზე ნადირობა, მაგრამ მათ თხოვნას ყურად არ ვიღებდი. დიდი ხნით სამუშაოდან მოწყვეტა არ შემეძლო და, გარდა ამისა, კაციჭამიაზე ნადირობის ადგილი ისე შორს მდებარეობდა ბანგალურიდან, რომ არ შემეძლო დროზე მიმესწრო იქ ვეფხვის გამოჩენის ან ადამიანის მოკვლის შესახებ ცნობის მიღების შემდეგ. ამავე დროს მე ყოველთვის მაინტერესებდა კაციჭამიასა და მოხეტიალე სპილოს ოინები. ამიტომ მოველაპარაკე მადრასის საპრეზიდენტოს, ჰაიდარაბადის სათავადოს სატყეო სამმართველოსა და პოლიციის ხელისუფალთ, რომ მათგან მივიღებდი ცნობებს ადამიანთა მოკვლის ადგილისა და თარიღის შესახებ და შევუდექი ამ ცნობების შეტანას რუკაზე. რუკის შემდგომმა შესწავლამ მიჩვენა, რომ მტაცებელი სამ თვეს ნადირობს გაზულაპალისა და ჩელამის რაიონში, შემდეგ გადადის ჩრდილოეთში და მომდევნო ოთხ თვეს ატარებს ჰაიდარაბადში, მერე ბრუნდება უკან. მანძილი გაზულაპალიდან ბასავაპურამამდე ექვსი მილია, ბასავაპურამიდან ჩელამამდე — ხუთი. ეს რაიონები არა მარტო ახლოა ბანგალურთან ჰაიდარაბადის შორეულ ოლქებზე, არამედ ფართობითაც მათზე მცირეა და ბანგალურს უერთდება რკინიგზის შტოთი. დაბოლოს, ეს რაიონები მჭიდროდაა დასახლებული, მაშასადამე, მათ შეეძლოთ უფრო სწრაფად აღმოეჩინათ ჩემთვის დახმარება და დროულად მოეწოდებინათ ცნობები მომხდარ „მკვლელობათა“ შესახებ, ვიდრე ჰაიდარაბადის ჯუნგლებში, სადაც მარტო უნდა მემოქმედა.

როგორც ხედავთ, იმედს არ ვკარგავდი, რომ ოდესმე შევეცდებოდი კაციჭამიას მიკვლევას, მაგრამ მან მაიძულა გადავსულიყავი გადამწყვეტ მოქმედებაზე. ერთხელ დილით

საზოგადოებრივ სამუშაოთა დეპარტამენტის ინსპექტორი დრეზინით გაემგზავრა ჩელამა-ბასავაპურამის ხაზის შესამოწმებლად. ინდოეთში დრეზინა წარმოადგენს ხის უბრალო ოთხბორბლიან პლატფორმას, მისი სიგრძე არა უმეტეს ექვსი ფუტია, ზედ ადგას გაურანდავი ფიცრებისაგან შეჭედილი სკამი. პლატფორმას ორი მედრეზინე მუშა მიაგორებდა. ისინი იმდენად გაწაფული იყვნენ, რომ ტერფებს ზუსტად რელსებზე აბიჯებდნენ, რათა შიშველი ფეხები ღორღზე არ დაედგათ, რაც მეტად მწვავე ტკივილებს აყენებდა. აღმართზე მუშები ნაბიჯით მიდიოდნენ. სწორ ადგილას დრეზინა სირბილით მიჰყავდათ საათში დაახლოებით რვა მილის სისწრაფით, ხოლო თავდაღმართში უკან შეახტებოდნენ ხოლმე პლატფორმას. ინსპექტორი ხელის მუხრუჭით არეგულირებდა სისწრაფეს. მატარებელი რომ უნდა გაეშვათ სადგურიდან, დრეზინას გადმოიღებდნენ რელსებიდან.

ამ დღეს დრეზინა მოძრაობდა ჭრილში, რომელიც ჰკვეთდა ამ ადგილის ამაღლებულ ნაწილს. ინსპექტორი დააწვა მუხრუჭებს, გააჩერა ურიკა და გადმოვიდა ძირს, რათა შეემოწმებინა ვაკისის ორივე მხარეზე წვიმის წყალსარინი თხრილები. ასაჩქარებელი არაფერი ჰქონდათ: მატარებლის მოსვლას ორი საათი უკლდა. ერთი მედრეზინე პლატფორმაზე წამოწვა და ჩათვლიმა, მეორე კი აცოცდა შვიდი ფუტის სიმაღლის მიწაყრილზე, მოიკალათა, ამოიღო „ბიდი“, ინდური იაფფასიანი სიგარეტი, რომელიც მზადდება დაუმუშავებელი თამბაქოსაგან და მისსავე ფოთოლშია გახვეული, მოუკიდა მას და სიამოვნებით გააბოლა.

ინსპექტორი სულ უფრო და უფრო შორდებოდა დრეზინას. მუშამ გადააგდო პირველი ბიდის ნამწვავი, ამოიღო მეორე, მოუკიდა, მაგრად მოსწია და გულგრილად გახედა თავის უფროსს. ის ამ დროს ლიანდაგზე გადადიოდა, რომ შეემოწმებინა თხრილი მეორე მხარეზე. გზიდან უკან მოიხედა და შეხედა დრეზინაზე დაძინებულ მუშას და მის ამხანაგს. რკინიგზის ლიანდაგს ორივე მხარეზე გასდევდა ჯუნგლები, რომლებიც დაახლოებით ორმოცდაათი იარდის მოშორებით იწყებოდა, აქა-იქ კი ცალკეული ბუჩქები ხარობდა მიწაყრილის მახლობლად. ინსპექტორმა ყურადღება მიაქცია თამბაქოს

მწეველი მუშის ზურგს უკან მაღალ ბუჩქს; მოეჩვენა, რომ ბუჩქიდან გამოჩნდა „რაღაც“ მოძრავი მრგვალი საგანი. მზის ათინათი ბუჩქის ფოთლებზე ურიცხვ ბრჭყვიალა წერტილებად ისახებოდა, ხოლო ბუჩქის ქვედა ნაწილი და ის „რაღაც“ ჩრდილში იყო მოქცეული. იდუმალი საგანი კვლავ შეირხა, და შეფიქრიანებულმა ინსპექტორმა დაუწყო თვალთვალი, რა უნდა ყოფილიყო ეს. შემდეგ საგანი თითქოს მიწას გაეკრა და სრულიად გაუჩინარდა.

ახლა ინსპექტორი ყურადღებით ათვალიერებდა მოპირდაპირე მხარეზე მდებარე თხრილს და მოძრავი საგანი გადაავიწყდა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე წამით. უეცრად გულშემზარავი ყვირილი მოესმა. რომ შემობრუნდა, დაინახა, როგორ ჩამოათრია ვიღაცამ მიწაყრილიდან მუშა, რომლის გოდება არემარეს აყრუებდა. ვერ გაეგო, რა მოხდა, ინსპექტორმა აირბინა ფერდობზე და დაინახა ჯუნგლებში მშვიდად მიმავალი ვეებერთელა ვეფხვი, რომლის პირიდან გადმოკიდებული იყო მუშა. ის საცოდავად იქნევდა ხელ-ფეხს.

ინსპექტორი იმდენად იყო შეძრწუნებული, რომ რამდენიმე წამს უძრავად იდგა ადგილზე მიჯაჭვულივით. გონს რომ მოვიდა, დაეშვა ქვევით ლიანდაგზე. მძინარე მუშას უკვე გაღვიძებოდა ამხანაგის ყვირილზე, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო, რა ხმაურმა გამოაღვიძა.

ინსპექტორმა, დრეზინას რომ გაუსწორდა, დაუყვირა მუშას:

— ვეფხვმა გაიტაცა რედი, სწრაფად უბიძგე დრეზინას.

მას აღარ დასჭირებია ბრძანების განმეორება. ორივემ მთელი ძალღონით უბიძგა ურიკას, სანამ არ მიაღწიეს დაღმართამდე, საიდანაც ინერციით განაგრძობდნენ სვლას.

ამ შემთხვევამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა, და საზოგადოების ყველა წრეში ინსპექტორს ტუქსავდნენ, იმის გამო, რომ მან განსაცდელში მიატოვა ადამიანი. რას არ უწოდებდნენ მას: მხდალს, მორალურ მკვლელს, გადაგვარებულს. საკითხავია, იმ ადამიანებიდან, რომლებიც ასე მკაცრად აკრიტიკებდნენ ინსპექტორს, მის ადგილას რამდენი მოიქცეოდა სხვანაირად. არ დაგავიწყდეთ, რომ მისთვის ეს ამბავი მოულოდნელი იყო და იარაღიც თან არ ჰქონდა.

გადავწყვიტე — დადგა-მეთქი კაციჭამიასათვის ანგარიშის გასწორების დღე. იმ ღამესვე ჩავჯექი მატარებელში და მეორე დღეს ავედი გაზულაპალში.

მეგონა, უფრო გონივრული იქნებოდა, დამეწყო მოქმედება ვეფხვის სამონადირო რაიონის საზღვრებიდან და გავდგომოდი გზას ბასავაპურამისა და ჩელამისაკენ. ამ რაიონის შუაადგილიდან რომ დამეწყო მოქმედება, დავკარგავდი მთელი ტერიტორიის თანმიმდევრულად მოჩხრეკის შესაძლებლობას და დამოკიდებული ვიქნებოდი მხოლოდ შემთხვევითობაზე. ადგილობრივ მცხოვრებთა დახმარება მჭირდებოდა, რადგან მხოლოდ ერთხელ ვიყავი აქ ნამყოფი და ცუდად ვიცნობდი ამ ადგილებს. ვიმედოვნებდი, მენახა კაციჭამიას მიერ მოკლული ფრინველებზე მონადირის ვაჟი.

როგორც კი მატარებელი გაშორდა გაზულაპალს, გავიცანი სადგურის უფროსი და რამდენიმე რკინიგზელი. მათ ჩემი ჩამოსვლის მიზანი რომ გაიგეს, მითხრეს, სიხარულით დაგეხმარებითო.

პირველად გაჭირვებულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი: ადგილობრივი მოსახლეობა ლაპარაკობდა ტელუგუს ენაზე, რომელზედაც მხოლოდ რამდენიმე სიტყვა მესმოდა. რკინიგზელთა უმრავლესობას ცოტა ესმოდა ტამილი და ჰინდი, მე კი გვარიანად ვლაპარაკობდი ამ ენებზე. სადგურის უფროსმა იცოდა ინგლისური და თავის თავზე აიღო თარჯიმნის როლი.

პირველ ყოვლისა ავუხსენი მათ, რომ ჩემთვის აუცილებელია დამატებითი ცნობები ამ ვეფხვზე, განსაკუთრებით მის გარეგნობასა და ჩვევებზე. რკინიგზელებმა მხოლოდ ის თქვეს, რომ ეს იყო ძალზე მსხვილი ვეფხვი, მაგრამ ვიღაცამ ვარაუდით მითხრა, — სოფელში მცხოვრებმა ტყის ორმა მცველმა უკეთ იცის და ამ საქმეში ისინი უფრო სასარგებლონი იქნებიანო.

ჩემი თხოვნით, მათ მოსაყვანად კაცი გაგზავნეს, და ოცი წუთის შემდეგ ისინიც გამოცხადდნენ. ერთ მათგანთან, მუსულმან ალი ბეგთან შემეძლო ჰინდის ენაზე ლაპარაკი, მეორე — ჩენჩუ სახელად კრიშნაპა — მხოლოდ ტელუგუს ენაზე ლაპარაკობდა. ხელით ვანიშნე, დამსხდარიყვნენ ვეებერ-

ოელა მანგოს ხის ჩრდილში, თვითონ გვერდით მივუჯექი და საქმეს შევუდექი.

კაციჭამიასთან ჩემი პარტია გამბიტით* დავიწყე, დავპირდი მნიშვნელოვან ჯილდოს იმას, ვინც პირველი მომაწვდიდა ცნობას და დამეხმარებოდა ვეფხვის მოძებნაში. ორივე ჯენტლმენმა ყურები ცქვიტა. ალი ბეგმა განაცხადა, რომ დამაყენებს ვეფხვის კვალზე, სიცოცხლის ფასადაც რომ დაუჯდეს ეს. ჩენჩუმ გადმომცა ალი ბეგის საშუალებით, რომ ისიც მზადაა დამეხმაროს, თუ ზუსტად ეცოდინება, სადაა ვეფხვი, რადგან არ უნდა სიცოცხლის გაწირვა.

სათანადოდ შევაფასე ეს გულწრფელი პასუხი, რადგან ჩენჩუს ტომის ყველა მკვიდრი ალალმართალი და პრაქტიკული ხალხია.

შევუდექი მათ გამოკითხვას. ისინი მიმტკიცებდნენ, რომ ნახული ჰყავდათ ვეფხვი. მას შემდეგ, რაც მკვლელობები დაიწყო, ისინი ვერ ბედავდნენ ჯუნგლებში მარტოდ ღრმად შეჭრას და ყოველთვის ერთად დადიოდნენ ნაჯახებით შეიარაღებულნი. გარდა ამისა, ცდილობდნენ ძალიან არ დაშორებოდნენ სოფელს. დაახლოებით ათი დღის წინათ ერთი მილის მანძილზე მათ ვეფხვი შეემჩნიათ. ვეფხვსაც თვალი მოეკრა მათთვის და წამსვე მოეკურცხლა ჯუნგლებისაკენ. ერთი თვით ადრე მათ ენახათ ვეფხვი წყალსატევთან დილის ცხრა საათზე. მათ დანახვაზე იგი კვლავ სწრაფად გაქცეულიყო. ხოლო ერთხელ — ეს იყო დაახლოებით ორი თვის წინათ — ისინი სოფლიდან მეოთხედი მილის მოშორებით შეხვედროდნენ ვეფხვს, რომელმაც რამდენიმე მშფოთვარე წუთი განაცდევინა. ის არამც თუ გაიქცა, როგორც სხვა ვეფხვები, არამედ, პირიქით, შემობრუნდა მათკენ, მოირკალა და ხმამაღლა დაიბრდღვინა. ტყის მცველები მზად იყვნენ გასაქცევად, მაგრამ კრიშნაპამ გადაუჩურჩულა ალი ბეგს, ერთხმად დაეყვირათ, ასეც მოიქცნენ. პასუხად ვეფხვმა ერთხელ კიდევ დაიღმუვლა, მაგრამ თავდასხმა ვერ გაბედა და გაშორდა, თან დროდა-

---

* დებიუტი ჭადრაკის თამაშში, რომელშიც თეთრები სწირავენ პაიკს ან მსუბუქ ფიგურას.

დრო ბრდღვინავდა და უკან იხედებოდა. ვეფხვი რომ მიიმალა, ტყის მცველებმა მოუსვეს სოფლისაკენ.

გულმა მიგრძნო: ოთხი თვე! დრო ემთხვეოდა რუკაზე გაკეთებულ გაანგარიშებას, მხეცის არაჩვეულებრივი ქცევა კი ადასტურებდა ჩემ მოსაზრებას. ტყისმცველებმა უეჭველად კაციჭამია ნახეს უკანასკნელად გაზულაპალში ჩასვლის დროს.

ორივე იმავე აზრისა იყო.

ყველაზე მეტად ის მახარებდა, რომ შევძელი დამედგინა ახალი ოთხთვიანი ციკლის დასაწყისი. ვეფხვმა მოკლა დრეზინის მუშა ჩელამსა და ბასავაპურამს შორის, და ის იყო კაციჭამიას უკანასკნელი მსხვერპლი. თუ ჩემი გაანგარიშებანი სწორია და ბედი მწყალობს, ვეფხვი ამ მომენტში უნდა იმყოფებოდეს სადღაც ბასავაპურამსა და გაზულაპალს შორის. მღელვარებამ შემიპყრო, ჩანდა, რომ წარმატებას მივაღწევდი.

შევუდექი ტყისმცველების დაწვრილებით გამოკითხვას იმ ვეფხვზე, რომელმაც მათ დაუღრინა. შეამჩნიეს თუ არა მას რაიმე განსაკუთრებული ნიშანი? ალი ბეგმა თქვა, რომ ეს არის ძალინ მსხვილი ვეფხვი. კრიშნაპას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ის ხვადია. გარდა ამისა, მას მოეჩვენა, რომ ცხოველის ტყავი უფრო ღია და მოყვითალო ფერისაა, ვიდრე ჩვეულებრივი ვეფხვისა.

— გაიხსენეთ, სახიბ,—ამიხსნა მან,—ჩვენ ძალიან შეშინებული ვიყავით და ველოდით, რომ ვეფხვი თავს დაგვესხმოდა. ასეთ მომენტში ვინ მიაქცევს ყურადღებას ასეთ წვრილმანს?

დავინტერესდი, ხომ არ იცნობდნენ ისინი ფრინველებზე მონადირის ვაჟიშვილს. ცხადია, იცნობდნენ. ის ცხოვრობდა ორიოდ მილზე სადგურიდან. მამის მიბაძვით მან დაიწყო ნადირობა ფრინველებზე, თუმცა სატყეოს წესები უკრძალავდა მახეების დაგებას დაცულ ტყეში. მამამისსაც ამის გამო დევნიდნენ. წინათ ტყისმცველები დროგამოშვებით ქრთამის სახით ღებულობდნენ ხან ხოხობს, ხან ტყის მამლების (ყვინჩილების) წყვილს სუფრისათვის, და ეს აიძულებდა მათ თვალი დაეხუჭათ მონადირის უკანონო მოქმედებაზე. ახლა კი ამ ძღვენის მიტანაც შეწყდა. მაგრამ შეიძლება ამაში ბრალი დავ-

დოთ ამ საწყალს? მას თავისი ოჯახის გამოკვებაც უჭირს, რადგან იცის, რომ ეს ეშმაკის კერძი ვეფხვი შეიძლება ყოველ ბუჩქს უკან იმალებოდეს.

გახარებული, რომ მოკავშირეები ვიშოვე, ავდექი, თოფი მხარზე გადავიკიდე, და ტყის მცველებს ვთხოვე მონადირის სახლამდე მივეცილებინე.

რკინიგზის ლიანდაგი გადავკვეთეთ და ბილიკით გავეშურეთ ტყეში. მეჩხერ ბუჩქნარს ხშირი ჯუნგლები მოსდევდა და ჩვენ შეგვეძლო მხოლოდ ერთიმეორის მიყოლებით სვლა: წინ კრიშნაპა მიდიოდა, შემდეგ ალი ბეგი და უკან მე მივყვებოდი. ყოველ შემთხვევისათვის თოფი გავტენე და ფეხზე შეყენებული მარჯვენა ხელით მიმქონდა. ვეფხვი ვერ გაბედავდა ჩვენზე თავდასხმას — ჩვენ ხომ სამნი ვიყავით, მაგრამ თუ გაბედავდა, საშიშროება მოგველოდა კრიშნაპას და მეშუაში მიმავალი ალი ბეგი სრულიად უზრუნველყოფილი იყო საფრთხისაგან.

როგორც მომეჩვენა, გავიარეთ არა ორი, არამედ სამი მილი. გადავკვეთეთ ქვიანი კალაპოტი, რომელშიც წვრილ ნაკადად მიედინებოდა ნაკადული, ავცოცდით პატარა ბორცვზე და მივადექით ქოხს. ღია კართან იჯდა ოცი წლის სიმპათიური ყმაწვილი და ბამბუკის ჯოხს თლიდა. მის ახლო, როგორც მე შევიცანი, ეწყო თითქმის უკვე გამზადებული კაკანათი ფრინველებისათვის.

მივუახლოვდით. ყმაწვილი ფეხზე წამოდგა და ზრდილობიანად მოგვესალმა. კრიშნაპამ ტელუგუს ენაზე გააცნო ჩემი თავი, ყმაწვილმა სასიამოვნო ხმით მიპასუხა. ალი ბეგმა შეიშნო თარჯიმნობა და მაცნობა, მონადირეს ბალას ეძახიანო. ქოხიდან თავი გამოყო დედაბერმა, როგორც ჩანდა, მონადირის დედამ და თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ახალგაზრდა ქალმა, მას ხელში ეჭირა სრულიად შიშველი ბავშვი, რომელიც სიამოვნებით წოვდა ძუძუს. ბავშვი ერთი წლისა იქნებოდა. ესენი უეჭველად ბალას ცოლ-შვილი იყო.

დავსხედით ბალახზე ქოხიდან რამდენიმე ფუტის მოშორებით; მე შევუდექი შეკითხვების მიცემას, ალი ბეგი კი თარგმნას. კრიშნაპა ხშირად ერეოდა ლაპარაკში, და აზუსტებდა იმას, რაც მთლად გასაგები არ იყო რომელიმე ჩვენგანისათ-

ვის. დიახ, ბალა, სიხარულით დაეხმარება თეთრ „დორაის"* კაციჭამიას მოკვლაში კაციჭამიასი, რომელმაც მამამისი დაგლიჯა. არა, ის არ აიღებს ფულს, ან სხვა რაიმე ჯილდოს, თორემ მამამისის სული გაწყრება. ის ხომ ერთადერთი შვილია და მამამისის სულს სურს, რომ მან თვითონ იძიოს შური მკვლელზე, ანდა უკიდურეს შემთხვევაში დაეხმაროს სხვას ამ საქმეში. დიახ, მას არაერთხელ უნახავს კაციჭამია საკუთარი თვალით. ერთხელ თურმე წყალზე მიდიოდა სწორედ იმ ნაკადულთან, რომელიც ის-ის იყო გადავლახეთ. სადილობის დრო იყო. ვედრო წყალში რომ ჩაუშვა, შემთხვევით მაღლა აიხედა და დაინახა ვეფხვი, რომელიც მოპირდაპირე ნაპირიდან ეპარებოდა. საბედნიეროდ, მან შეამჩნია მტაცებელი, როცა ის მისგან დაახლოებით ას იარდზე იყო. ბალამ დააგდო ვედრო და ტყვიასავით გავარდა ქოხისაკენ. რაც შეიძლებოდა, გაამაგრა შიგნიდან კარი, ეგონა, კაციჭამია თავს დაესხმოდა არამტკიცე ნაგებობას, მაგრამ ეს არ მოხდა. ღამით ხშირად გაისმოდა ვეფხვის ღრიალი: ის მოდიოდა ნაკადულთან წყურვილის მოსაკლავად. ეს იყო მსხვილი ხვადი, საკმაოდ მკრთალი ყვითელი ფერის ტყავით. სახიბს სურს იცოდეს, ხომ არა აქვს მას რაიმე განსაკუთრებული ნიშანი? ბალამ თვალები დახუჭა და ჩაფიქრდა, ბოლოს რომ გაახილა, მისი სახე იმედიანად გამოიყურებოდა. მას შეეძლო მხოლოდ ეთქვა, რომ ვეფხვს მკრთალ მოყვითალო-ყავისფერ ტყავზე ძალზე ვიწრო მუქი ზოლები გასდევდა. შეუძლია თუ არა ამას რაიმე დახმარების გაწევა ბატონისათვის? ბალას ბევრი ვეფხვი უნახავს, მაგრამ ასეთი ვიწრო ზოლებიანი არა.

როდის შეხვდა ის ვეფხვს უკანასკნელად? კვლავ პატარა პაუზა, სანამ ბალა პასუხს მოიფიქრებდა.

— დაახლოებით ოთხი თვის წინ.

ნახა თუ არა ამის შემდეგ სხვა ვეფხვი? ცხადია, ნახა, ორჯერ, მაგრამ ესენი იყვნენ ჩვეულებრივი ვეფხვები, და არა მამამისის მკვლელი. რა იცის? იმიტომ, რომ ისინი იყვნენ უფრო პატარა, მუქი ფერის და ადამიანის დანახვაზე გარბოდნენ.

შემდეგ ბალამ მაცნობა ისიც, რომლის გაგონებაზეც ასე

---

* სიტყვა — დორასაგან — ბატონი (ტ ე ლ ე გ უ).

ვოცნებობდი· ის ფიქრობს, რომ ვეფხვი კვლავ დაეხეტება ამ მიდამოებში; მართალია, მას არ გაუგონია ვეფხვის ხმა და არ უნახავს ის, მაგრამ ახლო აღმოაჩინა ნადირის მსხვილი ნაკვალევი. ასეთებს იგი ამჩნევდა წარსულში კაციჭამიას გამოჩენის დროს. ისინი მამამისის ნახევრადშეჭმული ნეშტის გარშემოც ნახა.

მე წამოვხტი და განვაცხადე, მინდა თვითონ დავათვალიერო ნაკვალევები-მეთქი. ბალამ ქალებს უბრძანა დაბრუნებამდე ქოხში ყოფილიყვნენ და მაგრად ჩაეკეტათ კარი; ჩვენ კი წაგვიყვანა ნაკადულთან. როცა იმ ადგილას მივედით, სადაც ჩვენ ის გადავკვეთეთ ქოხისაკენ მიმავლებმა, ის მიბრუნდა და დაყვა დინებას ქვემოთ. დაახლოებით სამი ფარლანგის შემდეგ ნაკადული უფრო უხვწყლიანი გახდა, მისი ქვიშიანი ნაპირები კი შევიწროვდა. გუშინწინ ღამით დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით ვეფხვს გაევლო. ნაკვალევი ისე დიდი იყო, რომ შორიდანაც გარკვევით ჩანდა.

ნაკვალევი უეჭველად ხვადს ეკუთვნოდა. ის კიდეც რომ გადიდებულიყო რბილ ქვიშაში, მისი დატოვება შეეძლო მხოლოდ არაჩვეულებრივად მსხვილ ვეფხვს.

დავბრუნდით ქოხთან, და ბალას ვურჩიე ოჯახის გაგზავნა სოფელ გაზულაპალში, ყოველ შემთხვევაში დროებით მაინც, სანამ მე აქ ვიქნებოდი. ეს გაათავისუფლებდა მას დროებით საზრუნავისაგან და უფრო დამშვიდებულად დამეხმარებოდა. საშინელება იყო იმის გაფიქრებაც კი, რომ შუაგულ ჯუნგლებში გადაკარგული ამ უბადრუკი ქოხის ბინადარნი — მოხუცი ქალი, ახალგაზდა ცოლი, ბავშვით და თვითონ ბალა — ცხოვრობენ მუდამ იმის შიშით, რომ რომელიმე მათგანი შეიძლება ვეფხვმა დაგლიჯოს. დღეს ომებისა და რევოლუციების ეპოქაში ვერავის გააკვირვებ საგმირო საქმეებით, რისთვისაც ადამიანებს ხოტბას ასხამენ და ორდენებით აჯილდოებენ. ზოგჯერ იმ აგენტებისა და მზვერავების დაღუპვის შესახებაც ვკითხულობთ, რომლებმაც თავისი სურვილით სიცოცხლე გასწირეს, სიკვდილს პირისპირ შეხვდნენ, მაგრამ მათი სიმამაცისთვის ხოტბა არავის შეუსხამს. მამაცთა გმირული ამბები უეჭველად ღრმად გვაღელვებს. მაგრამ იმ

დღეებში ჩემს აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა ამ ადამიანების მიმართ, რომლებიც მრავალი თვის მანძილზე გაბედულად ცხოვრობდნენ განმარტოებულ ქოხში, სადაც მათ კარებთან— სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით — ჩასაფრებული იყო მკვლელი, რომელმაც მარჩენალი და ოჯახის მეთაური უკვე მოინელა.

ქალები ყოყმანობდნენ, მაგრამ მე დაჟინებით მოვითხოვდი მათ წასვლას, კრიშნაპა და ალი ბეგიც მხარს მიჭერდნენ და ბოლოს დავითანხმეთ. დიდი დრო არ დაჭირვებიათ ღარიბული ბარგი-ბარხანის შესაგროვებლად. ბალამ და ქალებმა დაიდვეს თავზე თითო-თითო ფუთა, თანაც ახალგაზრდა ცოლს დამატებით მოყავდა კიდევ ძუძუმწოვარა ბავშვი და ერთიმეორის მიყოლებით სოფლისაკენ გავუდექით გზას.

იმ საღამოს სადგურის უფროსმა ბალასუბრამანიანმა შიმიწვია სადილად. ის ხორცს არ ჭამდა, და მისმა ცოლმა მთელი თავისი ოსტატობით მოამზადა ძალზე გემრიელი ვეგეტერიანული კერძი. საუცხოო იყო აგრეთვე დიდი ჯამით მორთმეული ხაჭოც. შემდეგ დავაყოლეთ დიდი ტოლჩებით ყავა. გადავწყვიტეთ ნასადილევს მოგვეწვია „თათბირი“ მოქმედების შემდგომი გეგმების შესადგენად და ბალასუბრამანიამმა წინადადება შემოიტანა თათბირი მოგვეწყო სადგურზე, სადაც დასწრება აუცილებელი იყო, რადგან ღამით გუნტაკალისკენ საფოსტო მატარებელს და ორ თუ სამ საბარგო შემადგენლობას უნდა გაევლო. ამგვარად, ჩვენ გავეშურეთ სადგურისაკენ და მოვთავსდით ღია ბაქანზე, მე და სადგურის უფროსი მერხზე ჩამოვსხედით, ტყის მცველებმა და ბალამ კი ჩვენ წინ მოიკალათეს.

ყველაზე გონივრულად მეეჩინე, ხვალვე მოგვეყვანა ორი ცოცხალი მისატყუარი; ერთი დაგვება იმ ადგილას, სადაც ვეფხვმა დაუღრინა ტყის მცველებს, მეორე კი ნაკადულის მახლობლად, შუა გზაზე ბალას ქოხსა და ქვიშიან ნაპირს შორის, სადაც ნაკვალევი ვნახეთ. ბალა და კრიშნაპა დარჩებიან მეთვალყურეებად და გვაცნობებენ, თუ მტაცებელი მოკლავს მისატყუარს, მე კი თარჯიმან ალი ბეგის თანხლებით გავემგზავრები ბასავაპურამსა და ჩელამში ცნობების შესა-

კრებად. თუ ერთ-ერთი მისატყუარი იქნა მოკლული, ბატონი, ბალასუბრამანიამი მიდებეშებს.

სადგურის უფროსი მეზობელი სადგურების კოლეგებს დაუკავშირდა და მოთხოვა მათ „ეხაბარი“ — ინფორმაცია. მათ უპასუხეს, — ახალი არაფერი ვიცით კაციჭამიას ადგილსამყოფელის შესახებ, მაგრამ ყველა ფრთხილადაა და ვერავინ ბედავს ღამით შინიდან გამოსვლასო. გარდა ამისა, ჩელამის სადგურის უფროსმა ურჩია ბალასუბრამანიამს, მიმართოს საზოგადოებრივ სამუშაოთა დეპარტამენტის ინსპექტორს, ნება დაროოს ისარგებლოს ჩელამამდის დრეზინით. ბალასუბრამანიამი არ დაელოდა ჩემს თხოვნას და დაუყოვნებლივ გავზავნა ნანდიალში სასწრაფო სამსახურებრივი დეპეშა. ძალიან მადლობელი ვიყავი რკინიგზელებისა, რომ ასე ცდილობდნენ ჩემთვის დახმარების გაწევას. მთელი ამ გაბედული წამოწყების მანძილზე ისინი აკეთებდნენ ყველაფერს, რაც მათ შეეძლოთ.

ამის შემდეგ საშუალება მივეცი სადგურის უფროსს თავისი საქმეებისათვის მიეხედა, მე კი ჩემი „საჭურველმტვირთველებით“ ჩავედი სოფელში. უკვე ღამე იყო, მაგრამ ჩვენ არ გვინდოდა საქმის სახვალიოდ გადადება, გავემართეთ პირუტყვის მეპატრონე გლეხის ქოხისაკენ; გავაღვიძეთ ის და ავუხსენით, რომ ორი მოზვერი გვჭირდებოდა მისატყუარისათვის.

ბანგალურის გარშემო მდებარე ჯუნგლებში და განსაკუთრებით მაისურის შტატში, ძნელი იყო ამ მიზნისათვის ცხოველის ყიდვა. დიდი ტაქტი იყო საჭირო, რადგან გლეხებს ბოროტებად მიაჩნდათ ვეფხვის ან ავაზის დასაგლეჯად ცოცხალი მისატყუარის დაბმა, თუნდაც იმ მიზნით, რომ ხალხის დამღუპველი მტაცებელი მიეკვლიათ. ზოგიერთი მეპატრონის დასარწმუნებლად საათები იყო საჭირო, გვიან ღამით კი ამის თხოვნას სხვა ვითარებაში ცივი უარით შეხვდებოდნენ. საბედნიეროდ, ამ რაიონის მცხოვრებნი ძალიან საღად უყურებდნენ არსებულ მდგომარეობას. როგორც კი გლეხი მიხვდა, თუ რისთვის მივედი, დაუყოვნებლივ დამთანხმდა და წინადადებაც კი მომცა თვითონვე შემერჩია პირუტყვი.

სახლის უკან პირუტყვის ბაკში ფარნის სინათლეზე შე-

ვარჩიე ორი მოზვერი. პატრონმა მოისურვა თითოეულში ოცდათხუთმეტი რუპია, რაც ინგლისურ ფულზე სამ გირვანქაზე ნაკლებია. ფული გადავუხადე, მადლობა მოვახსენე დახმარებისათვის და ვთხოვე, ცხოველები დილამდე თავისთან დაეტოვებინა, სანამ ჩემი თანამგზავრები არ მოიკითხავდნენ.

დავბრუნდით სადგურზე. სატვირთო მატარებელი უკვე ლიანდაგზე იდგა. ანგლო-ინდოელი მემანქანე ესაუბრებოდა ბალასუბრამანიამს მის ოთახში. ერთ ხელში თერმოსი ეჭირა, მეორეში — ტოლჩა. რომლითაც ყავას სვამდა, ოთახში შესვლისთანავე თავი გამაცნო ვილიამ როჯერსად, ყავა შემომოავაზა და მაცნობა, რომ მხოლოდ ოთხი დღის წინათ ენახა ვეფხვი ღამით, რომელმაც თურმე ნახტომებით გადაჭრა რკინიგზის ხაზი აქედან ერთ მილზე ნანდიალის მიმართულებით, მან ვერ შესძლო ამ მანძილზე კარგად დათვალიერება, მაგრამ ვეფხვი მოეჩვენა საკმაოდ დიდ ცხოველად. გარდა ამისა, მანვე გვაცნობა, რომ თუ მე მსურს კარგი ჩიტალის, სამბარისა და ტახის მოკვლა, ასეთები დიგუვამეტის მიდამოებში გაცილებით მეტია, ვიდრე ამ სადგურთანო.

მადლობა გადავუხადე მისტერ როჯერს ინფორმაციისათვის და დავსძინე, რომ ირემზე ნადირობის შესახებ მოვიფიქრებდი მას შემდეგ, როგორც კი ბოლოს მოვუღებდი ვეფხვს. მან ხელი ჩამომართვა და გაეშურა ორთქლმავლისაკენ. ერთი წუთის შემდეგ სიჩუმე დაარღვია გულშემზარავმა სტვენამ და, ხმამაღალი ქშენითა და ყღარუნით დაიძრა სატვირთო მატარებელი. მალე გზის მოსახვევში მიიმალა უკანასკნელი ვაგონის წითელი შუქი. სადგური კვლავ სიჩუმემ მოიცვა.

ამ დროს ნანდიალიდან მოვიდა საპასუხო დეპეშა: ინსპექტორი დრეზინით სარგებლობის ნებას გვრთავდა, სადგურის უფროსმა გააღო მოსაცდელი ოთახი, რომლის მთელ მოწყობილობას შეადგენდა მაგიდა, ორი სკამი და ძირგავარდნილი სავარძელი. ავანთე ჭერზე ჩამოსაკიდი ერთადერთი ლამპა. ბალამ შემოიტანა ჩემი თოფი, ლოგინი, მათარა და კალათა სურსათით. პირსაბანი ცარიელი იყო, ასე გვიან კი წყალზე ვინმეს გაგზავნა არ მინდოდა. გახარებულმა იმით, რომ ჭერქვეშ მაინც ვიმყოფებოდი, ჩავაქრე სინათლე და ჩავეშვი სავარძელში. ნახევრად ჩავეფალი ძირგავარდნილ ლელის სა-

ჯდომში. გავიხადე ფეხსაცმელი, მივეყრდნე სავარძლის ზურგს, ფრთხილად ავიტანე ფეხები, გრძელ შესადგამზე დავაწყე და უმალვე ჩამეძინა.

დაახლოებით ხუთის ნახევარზე გამაღვიძა მეორე სატვირთო მატარებელმა. კვლავ დავიძინე, ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ, როგორც მომეჩვენა, ოთახში შემოვიდა ბალა და ტმადაბლა დამიძახა. უკვე გათენებულიყო. ბალასუბრამანიამი სახლში წავიდა, რომ ერთი საათით მაინც დაეძინა. სანამ ბალა ფიჩხს მოაგროვებდა და ბაქნის ბოლოში კოცონს გააჩაღებდა სამფეხად დაწყობილ ქვებზე, ამოვიღე სამგზავრო პრიმუსი, ავანთე და შევწვი შაშხი. ის უკვე მზად იყო ძანამ, ვიდრე კოცონზე ჩაისათვის წყალი ადუღებას მოასწრებდა, შემდეგ პირსახოცით, კბილის ჯაგრისით, პასტით, საპნითა და ერთი ხელი საცვლით გავემართე ორთქლმავლის წყალსატუმბისაკენ: ნივთები მისგან ცოტა მოშორებით დავაწყე, გავიხადე და წელზე პირსახოცი შემოვიკარი. შემდეგ დავდექი ტყავის სახელურის ქვეშ და ცალი ხელით შემოვაბრუნე ონკანთან შეერთებული ბორბალი, რომელიც ათი ათასი გალონის ტევადობის რეზერვუარიდან წყალს აწვდიდა წყალსაცავს. თქეში დამეშვა თავზე და კინაღამ წამაქცია. მიუხედავად ამისა, კბილები რომ გავიწმინდე და ვიბანავე, უდიდესი სიამოვნება ვიგრძენი. ჯუნგლებში მაინცდამაინც თავს არ ვიწუხებ პირის მოპარსვით, მაგრამ ის კი აუცილებელია, რომ სუფთად და მხნედ გრძნობდე თავს. წელზე შემოკრული პირსახოცი ბარძაყებზე მთლიანად დამისველდა, მეორე არ გამაჩნდა, მაგრამ ამას არ ჰქონდა მნიშვნელობა. რადგან დილით არ ციოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ შემეძლო ტანთ ჩამეცვა.

ბალასთან რომ დავბრუნდი, კარდალში წყალი მხიარულად ჩუხჩუხებდა. ჩემი „ჩოტახაზრი“ (ინდოეთში ასე უწოდებენ თეთრკანიანების საუზმეს, სიტყვა „ჩოტა“ ჰინდის ენაზე ნიშნავს „პატარას“, „ხაზრი“ — ტრაპეზს) შედგებოდა ჩაის, შაშხისა და ბანგალურიდან ჩამოტანილი ჩაფატის* ნარჩენებისაგან, რომელიც ქვასავით გამხდარიყო.

---

* ინდური პური — ხმიადი ლავაში.

ნასაუზმევს ტყის მცველები დაბრუნდნენ სოფლიდან, სადაც ღამე გაათიეს და ოთხივენი გავეშურეთ მოზვრების მოსაყვანად, რომ დაგვება ისინი შერჩეულ ადგილებზე. თუ თქვენ არ დაგვიწყებიათ, პირველი მდებარეობდა ვიწრო განაკაფზე სოფლიდან ერთ მილზე, სადაც ტყის მცველებმა დაინახეს ვეფხვი, რომელმაც ასე დააფრთხო ისინი თავისი ქცევით. კრიშნაპამ ნაჯახით მოჭრა ტოტი, გასხიპა დაახლოებით სამი ფუტის სიგრძეზე და ერთი ბოლო წაუწვეტა. შემდეგ შევარჩიეთ ხე, რომელზეც მოხერხებული იქნებოდა მაჰანის მოწყობა, ცხადია იმ შემთხვევაში, თუ ვეფხვი მოისურვებდა მისატყუარის მოკვლას. მისგან თხუთმეტი იარდის მოშორებით მიწაში ჩავასვით პალო და ზედ მივაბით მოზვერი უკანა ფეხებით. შემდეგ დავბრუნდით სადგურზე, გადავკვეთეთ ლიანდაგი და გავიარეთ კიდევ სამი მილი ბალას ქოხის მახლობლად მოჩუხჩუხე ნაკადულისაკენ. ახალი ნაკვალევი არ გამოჩენილა, ამიტომ მეორე მოზვერი მივაბით ნაკადულის ნაპირზე — ორმოცდაათ იარდზე უფრო ნაკლებ მანძილზე იმ ადგილიდან, სადაც ამას წინათ ვეფხვმა დატოვა ნაკვალევი.

შუადღე ჯერ კიდევ არ იყო მოტანებული, რომ სადგურზე დავბრუნდით. სადგურის უფროსი დაჟინებით მეპატიჟებოდა საუზმეზე. რომ არ მეწყენინებინა ბალასუბრამანიამისათვის, ზრდილობიანად უარი ვუთხარი, რადგან ვგრძნობდი, რომ მისთვის, უმაღლესი კასტის წევრისათვის ოჯახში ჩემი ყოფნა სამძიმოა, თუმცა თავაზიანობის გულისთვის ამას არ ამჟღავნებდა. ტყის მცველთან ერთად წავედი სოფელში და ვისაუზმეთ სოფლის „სასტუმროში“, რომელიც ლერწმითა და მოთუთიებული თუნუქით დახურულ ერთოთახიან შენობაში იყო მოთავსებული. შემდეგ დავბრუნდით სადგურზე და სათანადო მითითებები მივეცით ტყისმცველთ, რომლებიც რჩებოდნენ მოზვრებისათვის საკვებისა და წყლის მისაცემად: თუ ერთ-ერთი მისატყუარი იქნებოდა მოკლული, ისინი უმალვე აცნობებდნენ სადგურის უფროსს, ბალასუბრამანიამმა კი იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო შემდეგ.

აქვე უნდა აღვნიშნო, რარიგ დიდად ვაფასებ ამ ჯენტლმენის მიერ გაწეულ დახმარებას. ხელის შეწყობა იმ საქმეში, რომელიც დაკავშირებულია მის კასტაში საღმრთოდ მიჩნეუ-

ლი ხარის ან ძროხის დაღუპვასთან, ეწინააღმდეგებოდა მის რელიგიურ რწმენას. მაგრამ მან უღალატა დიდად მნიშვნელოვანი მიზნისათვის ამ რწმენას და ყოველ ძალ-ღონეს ხმარობდა, შეემსუბუქებინა ჩემთვის ამ რთული ამოცანის შესრულება.

მატარებელი, რომლითაც ექვსი მილი უნდა გამევლო, ბასავაპურამში ჩავიდა სამის ნახევარზე. მემანქანემ ორთქლმავლით მგზავრობის ნება დამრთო, რათა კარგად დამენახა ჯუნგლები რკინიგზის ორივე მხარეზე, ალი ბეგი კი ჩაჯდა მესამე კლასის ვაგონში.

მატარებელმა ექვსი მილი ორმოცდახუთ წუთში გაიარა. ხშირ ჯუნგლებს რომ ვუყურებდი, ვგრძნობდი, როგორ მეკარგებოდა ნადირობის წარმატებით ჩატარების იმედი. ვეფხვს შეეძლო სადაც სურდა, იქ ყოფილიყო უღრანი ტყეებით დაფარულ ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე.

სადგური ბასავაპურამი არაფრით არ განსხვავდებოდა გაზულაპალისაგან. ორთქლმავლიდან რომ ჩამოვედი და მემანქანეს მადლობა გადავუხადე, თავში აზრმა გამიელვა — გაზულაპალში ორი მისატყუარის დაბმით ზედმეტი ოპტიმიზმი გამოვიჩინე: ხომ შეეძლო ვეფხვს ყოფილიყო ბასავაპურამში ანდა ჩელამში, ხუთი მილის მოშორებით აქედან.

ბასავაპურამის სადგურის უფროსი, კასტისგარეშე* მყოფი თამილი მასილამონი მთელი არსებით ცდილობდა ყოფილიყო ჩვენდამი გულითადად განწყობილი. პირველი მისასალმებელი სიტყვების შემდეგ თავი ისე ვიგრძენი, თითქოს სახლში ვიყავი. ის დაჟინებით მთხოვდა მგზავრების დასასვენებელ ოთახში მომეწყო მთავარი შტაბ-ბინა და მარწმუნებდა, რომ ვეფხვი უეჭველად იქნებოდა აღმოჩენილი ბასავაპურამში, რომელიც მისი მოქმედების არის ცენტრშია.

კვლავ დავიწყე რკინიგზელებისა და ტყის მცველ ტელუგას გამოკითხვა. ყველა მათგანს ენახა ვეფხვი და თითოეული მარწმუნებდა, რომ ის იყო კაციჭამია. მაგრამ არც ერთს არ შეუმჩნევია, სიდიდითა და ფერით თუ განსხვავდებოდა

---

* იმ კასტებზე მიუკუთვნებელი, რომლებიც ოთხი ტრადიციული „ვარნიდან" — წოდებიდანაა, სხვაგვარად — „ხელშეუხებელი".

თანამოძმეთაგან. ტყის მცველმა, რომელსაც კიტუს ეძახდნენ, გვიამბო, რომ რკინიგზის ჩრდილოეთით, სადგურიდან ერთი მილის სავალზე არის ტბა, სადაც ხშირად ვნახულობ წყლის დასალევად მოსული ვეფხვების ნაკვალევსო.

იმ საღამოსვე გავეშურეთ ტბისკენ. იქ შევამჩნიე ვეფხვის ძველი და მსხვილი ავაზას ახალი ნაკვალევი. უკანასკნელმა დამანაღვლიანა: ავაზა ხომ აუცილებლად შეჭამს მისატყუარს ვიდრე ვეფხვი გამოჩნდებოდეს. მისატყუარის ისეთ ადგილას დაბმა, სადაც ავაზა დადის, — იგივეა, რომ მას მოზვერი მიართვა.

ღამე გავათიე მგზავრების ოთახში, დილით კი მეზობელ სოფელში ვიყიდე ხბო და მივაბი განაკაფზე ტყიდან ნახევარი მილის მოშორებით. კიტუს ვუბრძანე, დილ-დილაობით საკვები და წყალი მიეცა მისთვის, და თუ მოკლავდა ნადირი, ეცნობებინა სადგურის უფროსისათვის.

მერე მთელი ხუთი მილი ჩელამამდე კვლავ ორთქლმავლით ვიარე. ინდოელმა მემანქანემ მაჩვენა ის ადგილი, საიდანაც ვეფხვმა გაიტაცა დრეზინის მუშა. იგი სადგურებს შორის თითქმის შუა გზაზე იყო.

ჩელამში ყველაფერი თავიდან განმეორდა: ჩემი ჩამოსვლის შესახებ წინასწარ გაფრთხილებული სადგურის უფროსი გამომეგება. მას მოეწვია ორი ადგილობრივი ტყის მცველი და ისინი უკვე მიცდიდნენ ბაქანზე.

უწინარეს ყოვლისა, მიამბეს, რომ ბასავაპურამზე გავლილი სატვირთო მატარებლის გამყოლის სიტყვით, დიგუვამეტის ახლო, ე.ი. ჩელამიდან თექვსმეტ მილზე ტყის მასივის აღმოსავლეთ განაპირას მოკლულ იქნა ქალი.

ამ ახალმა ამბავმა თავგზა ამიბნია. მან არა მარტო მნიშვნელოვნად გააფართოვა კაციჭამიას ძებნის არე, არამედ ჩაფუშა გულდასმით მოფიქრებული მისატყუარების განლაგების გეგმა. თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ კაციჭამია სადღაც გაზულაპალის მიდამოებშია, მან კი მკვლელობა ჩაიდინა დიგუვამეტში, აქედან ოცდაშვიდი მილის მანძილზე. თუმცა ოცდაშვიდი მილი ბოლოს და ბოლოს არცთუ ისე დიდი გზაა ვეფხვისათვის.

სადგურის უფროსს ვთხოვე შეემოწმებინა ეს ცნობა.

დიგუვამეტში დაადასტურეს, რომ წინა დღით დილაზე ტყის განაპირას მხოვის ყვავილების მოკრეფისას დაიკარგა ქალი ჩენჩუს ტომიდან, თანასოფლელთ ენახათ მისი მხოლოდ ნახევრად სავსე კალათი. დიგუვამეტის სადგურის უფროსი გვირჩევდა აუცილებლად დაგვება მისატყუარები დიგუვამეტსა და პატარა სადგურ ბოგადაში, რომელიც ჩელამსა და დიგუვამეტს შორის მდებარეობს.

კარგი ამბავია! რომ მიაკვლიო მოუხელთებელ ვეფხვს, დაგჭირდება რკინიგზის თითქმის ყველა სადგურზე მისატყუარის მიბმა.

თავს არ შეგაწყენთ იმ ამბის მოყოლით, თუ როგორ მივაბი მისატყუარი ჩელამში მეორე დილით. შეიძლება გაგიკვირდეთ, რატომ შემდეგი მატარებლით არ წავედი დიგუვამეტში. საქმე ისაა, რომ ქალის მოკვლის დღიდან უკვე გავიდა ორი დღე და ჩემ ჩასვლამდე ვეფხვი მთლიანად დაღრღნიდა ძვლებსაც კი, თუკი საერთოდ მათ ვიპოვიდი, ამიტომ გადავწყვიტე, რომ უფრო გონივრული იქნებოდა მისატყუარის დაბმა ჯერ ჩელამში.

უმალვე წავედი ბოგადაში და საღამოს დავაბი იქ კიდევ ერთი მისატყური, მეორე დღეს კი სატვირთო მატარებლით დიგუვამეტში ჩავედი და იქაც ორი ცხოველი დავაბი. ერთი მივაბი ტყის განაპირას, სადაც ვეფხვი თავს დაესხა ქალს და მეორე იმ ადგილას, სადაც განაკაფი კვეთს დიდ ნაკადულს და გზას, რომელზეც ხონჩის ხის გვერდით პირუტყვს მიერეკებოდნენ ჯუნგლებში. ადგილობრივმა ტყის მცველმა ჟოზეფმა — ინდოელმა ქრისტიანმა, გონიერმა და ბევრის მცოდნე ადამიანმა დამარწმუნა, რომ წინა წლებში ამ ხიდან არა ერთ ვეფხვს ჩასაფრებიან.

უკვე ხუთი დღე ვცხოვრობდი ამ მხარეში, მივაბი შვიდი მისატყუარი, დავხარჯე იმაზე მეტი ფული, რასაც ვვარაუდობდი, დავიქანცე უჩინარ კაციჭამიაზე დაუსრულებელი ამბის მოსმენით და ერთხელაც არ გამიგონია ვეფხვის ღმუილი ჯუნგლებში არაჩვეულებრივი სიჩუმე სუფევდა.

საღამოს ჟოზეფთან ერთად გავსწიე ტყისაკენ. ჟოზეფი, ისე, როგორც მე, არ იყო ვეგეტარიანელი, ამასთან ოჯახიც არ ჰყავდა და დამარწმუნა, რომ მე მას არ შევაწუხებდი.

გადავწყვიტე რამდენიმე დღე დიგუვამეტში გამეტარებინა და დასაძინებლად შევარჩიე მისი სახლის აივანი. ჟოზეფის მსახური, კალიკატიდან ჩამოყვანილი მალაიალი მათავისუფლებდა საჭმლის მომზადებაზე ზრუნვისაგან, რომელიც, მიუხედავად სიმცირისა, ყოველდღიურად ბევრ დროს მართმევდა. დიგუვამეტში დარჩენა ყველაზე მეტად იმან მაიძულა, რომ სწორედ აქ სამი დღის წინათ ვეფხვს მოეხდინა უკანასკნელი თავდასხმა. თქვენ, ალბათ, გაგიკვირდებათ, რატომ სერიოზულად არ შევეცადეთ მოგვენახა საწყალი ქალის ნეშტი. ჯერ ერთი, როგორც უკვე ვთქვით, ეს იყო უსარგებლო ცდა. მეორე, გარშემო მდებარე ჯუნგლები არაჩვეულებრივად მშრალი იყო, და თუმცა მისატყუარის დაბმის დროს გულდასმით ვათვალიერებდი, მაინც ვერ შევამჩნიე რაიმე ნაკვალევი, რომელიც მიგვითითებდა, თუ რომელი მიმართულებით წაიღო ვეფხვმა თავისი ნადავლი. ჩვენ გადავჩხრიკეთ ტყე ორას იარდზე მეტი რადიუსით და მისი ტანსაცმლის ნაფლეთიც კი ვერ ვიპოვეთ. თანაც არ მინდოდა ზედმეტი კვალი დამეტოვებინა ამ ადგილებში. ის ისედაც საკმაოდ გადაექექათ გლეხებს ქალის ძებნის დროს.

ამ ადგილას ჯუნგლები მეტად ლამაზია, ფრთოსანთა და ირმების სიუხვით ხომ მონადირეთათვის ნამდვილი სამოთხეა. რამდენჯერმე შეგვხვდა ტყის ველზე გრაციოზული ჩიტალის ჯოგი. გრძელი, მახვილი, ძვალივით გამხმარი, თესლისაგან დამძიმებული ბალახის ღეროები მიწაზე იხრებოდა. ეს მნიშვნელოვნად ადიდებდა თვალთახედვის არეს და გვიადვილებდა ხეების შტამბებს შორის ველების დანახვას. მშვენიერი რქებით შემკულ დიდებულ სამბარსაც კი წავაწყდით. რომელმაც ჩვენი მიახლოებისას ხმაურით მოკურცხლა. საღამოვდებოდა და ამ დროს სამბართან შეხვედრა მეტყველებდა ჯუნგლების ხელუხლებლობაზე, ბუნებრივი ნადავლის სიუხვეზე, რაც სულ მცირე იმედს იძლეოდა, რომ ვეფხვს სული წასძლევდა ერთ-ერთ ჩემს მისატყუარზე. მაგრამ ამ სიუხვეს, თითქოს უნდა გამოერიცხა ვეფხვის კაციჭამიად გახდომის შესაძლებლობა.

ალიბეგს ბილეთი ვუყიდე, დავავალე დაბრუნებულიყო გაზულაპალში და აღრე დავწექი დასაძინებლად. როგორც

იქნა, ალარ მაწუხებდა გამუდმებით მოძრავი მატარებლების ხმაური და ათსაათიანი ღრმა ძილის შემდეგ ავდექი წარმტაცი იმედებით აღსავსე. სანამ დასვენებით ვტკბებოდით, მსახურმა-მალაიალმა სასწაული მოახდინა. ჩვენ წინ იდგა ხოფერითა და ბრინჯი-პატით სავსე თეფშები და მაგარი ჩაი დოქით. პირველი კერძი მზადდება სუფთად დაფქვილი ბრინჯისაგან. მეორე — განსაკუთრებული ხარისხის ბრინჯისაგან. ამ საჭმელების სამშობლოა მადრასი. ჩანდა, ჩემი ახალი მეგობარი ჟოზეფი ამ ქალაქის მკვიდრი იყო წარმოშობით. საუზმე ძალიან გემრიელი მეჩვენა.

შემდეგ თავღია ფარეხში, რომელსაც კედლების ნაცვლად ჭილობები ჰქონდა, გადავივლე ცივი წყალი.

ჟოზეფი მზად იყო და მიცდიდა, სანამ ჩავიცვამდი. მისი ხელქვეითი ორი ტყისმცველის თანხლებით გავემგზავრე მისატყუარების შესამოწმებლად. ორივე მოზვერი ცოცხალი და უვნებელი დაგვხვდა.

დაგვრჩენოდა მხოლოდღა ლოდინი. ჯუნგლებში ხეტიალი ვეფხვის შეხვედრის მიზნით უაზრობა იყო, ვინაიდან კაციჭამიას მეტად ვრცელი მოქმედების არე ჰქონდა! ის შეიძლება ყოფილიყო ყველგან ერთმანეთისაგან ოცდაშვიდი მილით დაშორებულ დიგუვამეტსა და გაზულაპალს შორის. მაგრამ მე დიდი მოსამზადებელი სამუშაო ჩავატარე და ახლო მომავალში შემეძლო მისი ნაყოფით დავმტკბარიყავი.

და, აი ბოლოს მოვლენებმა იწყო გაშლა. დაახლოებით მეორე დილას ცხრა საათზე აზუზუნდა ტელეგრაფის აპარატის ზუმერი და ბასავაპურამის სადგურის უფროსმა მასილამონმა მაცნობა — გასულ ღამით ჩემი მისატყუარი მოეკლათ. სიხარული ნაადრევად ჩავთვალე. თუ გახსოვთ, ტბასთან აღმოვაჩინე ავაზას ახალი ნაკვალევი და მისატყუარი ამ ადგილიდან განზრახ მოშორებით დავაბი, რომ შეძლებისდაგვარად გადამერჩინა მტაცებლისაგან.

მასილამონს ვთხოვე ტყისმცველ კიტუსათვის დაევალებინა. გამოერკვია ვეფხვის მიერ იყო მისატყუარი მოკლული, თუ ავაზას მიერ. პასუხს არ დაუყოვნებია, რადგან კიტუ გვერდით ჰყავდა. ის ამტკიცებდა, რომ მოზვერი დაგლიჯა ავაზამ და მირჩევდა ჩავსულიყავი და მომეკლა ის, თორემ დანარჩენ მისატყუარებსაც ასეთივე ბედი ელოდა.

ეს გონივრული იყო. იმ დღეს სახალხო მატარებელი ბასავაპურამისაკენ არ მიდიოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ამ მიმართულებით დილის თერთმეტ საათზე გადიოდა სატვირთო მატარებელი. სადგურის უფროსმა გააჩერა ის და გამყოლთა ვაგონით ჩავედი ბასავაპურამამდე. ჟოზეფმა დაიჟინა, შენთან ერთად წამოვალო.

კიტუმ მიმაცილა მოკლულ მოზვერთან. მთელი ეს სანახაობა, კისერზე ეშვებით მიყენებული დაფლეთილი ჭრილობებიდან, გაფატრულ სტომაქამდე, სადაც ხორცი და წელები ერთმანეთში იყო არეული, აშკარად მოწმობდა, რომ აქ თარეშობდა ავაზა. მაშასადამე ღამე ის მაგრად გამძღარიყო და ვშიშობდი, რომ მალე აღარ დაბრუნდებოდა. კიტუმ მირჩია, მაჰანის ნაცვლად მისი თოკის საწოლით მესარგებლა და წავედით მის მოსატანად. დაახლოებით ორ საათში დავბრუნდით და საწოლი ხეზე მივამაგრეთ. ოთხი საათისათვის ყველაფერი მზად იყო.

შემდეგ გავემართეთ სადგურისაკენ, რომელიც ერთ მილზე მდებარეობდა, და სახელდახელოდ წავისაუზმეთ ბისკვიტებით, ჩაპადითა და ბანანებით. ჟოზეფმა მოისურვა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, ჩემთან ერთად წამოსულიყო და ექვსის ნახევარზე ჩვენ უკვე მაჰანში ვიყავით.

არ გასულა ოცი წუთიც კი, რომ მოულოდნელად რაღაც ფაჩუნი მომესმა. ავაზა იჯდა და ტკბებოდა თავისი ნადავლით, იმდენად ლამაზი მეჩვენა, ძლივს ვძლიე ცთუნებას, მეჩუქებინა მისთვის სიცოცხლე. მხოლოდ იმის შეგნებამ, რომ ის გაანადგურებდა ყველა მისატყუარს, მაიძულა მესროლა მარცხენა ბეჭს ქვევით დამიზნებული თოფი.

კიტუ და მასილამონი გაოცდნენ, რომ ასე მალე დავბრუნდით. როდესაც გაიგეს, თუ როგორ მოხდა ყველაფერი ეს, სადგურის უფროსმა მოკლული ცხოველის ტყავი მთხოვა. პეტრომაქსის ფარნის შუქზე ოთხი მუშის თანხლებით წავედით ლეშის მოსატანად. მასილამონი აღელვებული ადევნებდა თვალს, ჩემი მითითებით როგორ ატყავებდნენ ავაზას. მევასწავლე როგორ შეენახა ტყავი შაბიამნით მანამ, სანამ გაუგზავნიდა ბანგალურში ფიტულების დამტენს.

დილით ახალი მისატყუარი ვიყიდე. ეს მოზვერი მივაბით ტბასთან, სადაც ვეფხვის ძველი ნაკვალევი ვნახეთ.

ჟოზეფთან ერთად ვემზადებოდი დიგუვამეტში დასაბრუნებლად, მაგრამ სადგურზე მასილამონისაგან გავიგე, რომ მას ჩელამის სადგურის უფროსისგან დეპეშა მიეღო ღამით ვეფხვის მიერ ჩემი მისატყუარის დაგლეჯის შესახებ.

მატარებელი მხოლოდ ოთხი საათის შემდეგ გადიოდა და გადავწყვიტე, ჩელამამდე ხუთი მილი ფეხით გამევლო. ჟოზეფი არ იყო წინააღმდეგი და თორმეტის ნახევარზე უკვე იქ ვიყავით.

სადგურის უფროსი და ტყისმცველები ძალზე აღელვებულები დაგვხვდნენ. დილით მოზვრისათვის წყალი რომ მიეტანათ, ტყისმცველებს ენახათ მისი გვამის მხოლოდ ნარჩენები, რომლის ირგვლივ მიწაზე მკაფიოდ აჩნდა მსხვილი ვეფხვის ნაკვალევი. მათ მოჭრილი ტოტები მიეფარებინათ ლეშისათვის, რომ დაეცვათ სვავებისაგან და წამოსულან სადგურისაკენ, რომ გადმოეცათ ჩემთვის ახალი ამბავი.

ვცდილობდი, ჩემი შვიდივე მისატყუარი ხეების გვერდით დამეება. აქ უფრო მოსახერხებელი იყო მაჰანის მოწყობა, რამაც უკვე ხელი შემიწყო ჩავსაფრებოდი ავაზას.

ტყისმცველებმა თავს იდეს ჩარპაის შოვნა. ამასობაში სადგურის უფროსი, ჟოზეფი და მე წავედით სოფლის ერთადერთ სასადილოში. სადილობის დროს ჟოზეფმა სურვილი გამოთქვა, ამჯერადაც წამომყოლოდა თან. ძლივს, ისე რომ არ მეწყენინებინა, გადავათქმევინე ჩემთან წამოსვლის სურვილი. ერთი საქმეა ავაზის ჩასაფრება და სულ სხვაა — ვეფხვისა, მითუმეტეს, თუ ის კაციჭამიაა, რომელსაც ჩვენ ვეძებდით. ოდნავი ფაჩუნი ან გაუთვალისწინებელი მოძრაობა გასცემს ჩვენს იქ ყოფნას და დააფრთხობს მტაცებელს. მე უკვე მქონდა შემთხვევა, როდესაც მაჰანში ჯდომის დროს ამხანაგებმა უნებლიე ხმაურით ამდენი შრომა წყალში ჩაგვიყარეს. განსაკუთრებით ეს ხდება მაშინ, როცა ჩასაფრება მთელი ღამე გრძელდება, ადამიანი იქანცება და ნერვიულობას იწყებს. ყველა სიძნელის შემდეგ არ მინდოდა რისკზე წასვლა.

მოკლული მისატყუარი ტყის სიღრმეში ერთი საათის სა-

ვალზე იყო, სადგურიდან დაახლოებით სამ მილზე. ჩარპაი მოიტანეს ჯერ კიდევ ოთხის ნახევრამდე, მაგრამ გარემოს ხედი რომ არ შეცვლილიყო, შესანიღბავი ტოტები მოვჭერით და მოვზიდეთ მოშორებით მდგარ იმავე ჯიშის ხეებიდან (ეს იყო თამარჰინდი), რომელზეც მაჰანს ვიკეთებდით. ამიტომ ერთი საათი გავიდა, სანამ ხეზე მოვეწყობოდი.

ვიდრე ტყის მცველები და ჟოზეფი — ის დაბლა იდგა და ტოტებს აწვდიდა — გართული იყვნენ მაჰანის მოწყობით, მე დავათვალიერე მკვდარი მოზვერი და ვეფხვის ნაკვალევი. ნიადაგი ძალზე მაგარი იყო, ამის გამო მიწაზე ნაკვალევი ოდნავ ჩანდა და ვერც ერთზე თათის ბალიშის მკაფიო ანაბეჭდს ვერ გაარჩევდით. ეს იყო საკმაოდ მსხვილი ხვადი ვეფხვი, მაგრამ გადაჭრით არ შემეძლო მეთქვა, რომ ეს სწორედ ის ცხოველია, რომლის ნაკვალევიც ვნახე გაზულაპალში ბალას ქოხის ახლოს ნაკადულთან.

დაახლოებით ხუთის ნახევარზე ჩავჯექი მაჰანში. რამდენიმე წუთი დაგვჭირდა, რომ დაგვეწყო ნივთები: ჩაის და წყლის ბოთლები, სოფლის „სასტუმროში“ აღებული ვახშამი, ბანანის ფოთლებში შეხვეული სამი დიდი ჩაპატი, ფარანი და ვაზნები. წელიწადის ამ დროს ღამე თბილია, ამიტომ არ წამომიღია არც საბანი და არც პალტო. ბოლოს მივამაგრე თოფის ლულაზე ფარანი და რადგან ყველაფერი მზად იყო, ჟოზეფსა და ტყისმცველებს ვუთხარი თვითონ გავიგნებ-მეთქი გზას სადგურისაკენ. ისინი წავიდნენ. დაიწყო ჩემი ვახტი.

უკვე ბინდდებოდა, როცა ვიღაცის ყრუ ნაბიჯების ხმა გავიგონე. თამარჰინდის ფოთლები პაწაწინა და ნაზია, ძირს ჩამოცვენილი რბილ ნოხს წააგავს, რომელიც სიარულის დროს მსუბუქ, ოდნავ გასაგონ შრიალს გამოსცემს. ვინმეს მოახლოებას, ისეთი პატარა არსებისაც კი, როგორიცაა ვირთხა, ყველაზე კარგად გვაგებინებენ ტექტონის ხის ხმელი ფოთლები: ისინი იწყებენ შრიალს და ტკაცანს ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე მომსვლელს დავინახავდეთ.

მაგრამ ვიცოდი, რომ ეს ოდნავ გასაგონი ხმები გვაუწყებს ვეფხვის მოსვლას, და არ გამკვირვებია, როცა მაჰანიდან გადმოხრილმა ის პირდაპირ ჩემს ქვევით დავინახე.

რამდენიმე წამით ის გაქრა მხედველობიდან, მაგრამ მალე

გამოჩნდა და გაბედულად გაემართა მოკლული მოზვრისაკენ. რომელიც ახლო ეგდო ხესთან. ამიტომ ვხედავდი ვეფხვის მხოლოდ მარცხენა ფერდს, უკანა ფეხებს და კუდს. როგორც ცნობილია, სიბნელეში საგნები კარგავენ თავის მკაფიო მოხაზულობას და გაცილებით უფრო მსხვილი გვეჩვენება, ვიდრე სინამდვილეში. ამას დამიმოწმებს ყველა, ვინც ამ დროს ჯუნგლებში ან ინგლისის ტყეში ყოფილა. ჩემს ქვემოთ მყოფი ცხოველი არაჩვეულებრივად დიდი მეჩვენებოდა, მაგრამ ვერ ვარჩევდი ვერც მისი ტყავის ფერს და ვერც ზოლებს.

სიბნელეში რომ გარკვევით დამენახა თოფის სამიზნე, მარცხენა ხელის ცერი დავაჭირე ფარნის ჩამრთველს. სინათლის სხივი მოხვდა ვეფხვს მარცხენა ფერდზე და დაეცა მის წინ მოზვრის ლეშს. სწრაფად დამიზნების დროს შევამჩნიე, რომ ვეფხვი ვერ ხვდებოდა, საიდან მოდიოდა სინათლე. მან, როგორც ჩანს, იფიქრა, სინათლე მოკლული მისატყუარიდან მოდისო. ყოველ შემთხვევაში ის იდგა გაშეშებული და დაჰყურებდა მას.

დავუმიზნე მტაცებელს მარცხენა ბეჭის ცოტა ქვემოთ და ვესროლე. ვეფხვი ძირს დაემხო, შემდეგ მარჯვენა მხარეზე გადაბრუნდა და გამოუჩნდა თეთრი მუცელი და გულმკერდი. კვლავ ვესროლე და, განვაგრძობდი რა ფარნით განათებას, შევამჩნიე, რომ მხეცი უკვე სულთმობრძავი იყო.

ოცი წუთის განმავლობაში დროგამოშვებით ვაშუქებდი მას, მსურდა დავრწმუნებულიყავი, რომ ის ნამდვილად მკვდარია, შემდეგ ჩამოვედი და გულდასმით გავსინჯე ჩემი ნადავლი.

ეს იყო ჯანღონით სავსე მსხვილი ხვადი, მშვენიერი ვიწრო ზოლებიანი მუქი ქურქით. მაგრამ ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ეს არ იყო ბალას აღწერილი ვეფხვი. კაციჭამიაა თუ არა? თუ სხვა ვეფხვი მოვკალი? თუ ბალას მიერ ნახული ვეფხვი არ იყო კაციჭამია? ამ კითხვებმა თავში გრიგალივით გამიელვა, მაგრამ მათზე პასუხის გაცემა შეეძლო მხოლოდ დროს; ის გვიჩვენებს, იქნება თუ არა კიდევ ადამიანთა მსხვერპლი.

ფარნის მეშვეობით მოვძებნე დაკლაკნილი ბილიკი, რომელმაც ბოლოს სადგურთან მიმიყვანა. ცხრა საათი არ იყო. ჟოზეფს მოსაცდელ ოთახში ეძინა, ტყის მცველებს კი ჭილო-

ბებზე პირდაპირ ბაქანზე. გავაღვიძე ისინი და ვუამბე, როგორც იყო საქმე. ძნელია მათი სიხარულის აღწერა. ჟოზეფმა გულთბილად მომილოცა და ხელი ჩამომართვა.

მადლობა გადავუხადე მას და გავუზიარე ჩემი ეჭვები, მაგრამ ჟოზეფი და ტყისმცველები ოპტიმისტები იყვნენ. ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ კაციჭამია მოვკალი.

ამ დროს სადგურის უფროსი მოვიდა მატარებლის შესახვედრად. ახალი ამბავი რომ გაიგო, ძალზე გაეხარდა. ტყისმცველები წავიდნენ გლეხების მოსაყვანად, რომ ვეფხვის ლეში წამოეღოთ. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ მათ მოიყვანეს ათი კაცი, რომლებსაც თან წამოეღოთ ბამბუკის მსხვილი ჯოხები, ბაწრები და ორი ფარანი.

დაახლოებით ღამის პირველ საათზე ვეფხვი სადგურზე ჩამოვიტანეთ. ვუბრძანე, ლეში დაედოთ პლატფორმის ბოლოში რკინის მოაჯირის ახლო. ფარნებისა და ჩემი სათადარიგო ლამპის სინათლეზე, რომელიც ჟოზეფს ეჭირა, დავიწყე მოკლული ცხოველის გატყავება, რადგან გამოირკვა, რომ ტყისმცველებს ამის გაკეთება არ შეეძლოთ. ჩემი საქმით ვიყავი სავსებით გართული, როცა სადგურზე მატარებელი გაჩერდა.

ვინც შიგ იყო — მგზავრები, გამყოლები თუ მემანქანე. ყველა გამოეფინა ბაქანზე. უკეთ რომ დაენახათ, ჩემს გარშემო ვეებერთელა წრე შეკრეს. იმ ღამეს უდიდესი წარმატება მხვდა წილად. მატარებელი შეჩერდა სადგურზე განაწესზე თხუთმეტ წუთზე მეტ ხანს, მაგრამ რკინიგზელები ამას არაფრად აგდებდნენ. ინდოეთშიაც კი იშვიათად ნახავთ გვიან ღამით რკინიგზის ბაქანზე როგორ ატყავებენ ვეებერთელა ვეფხვს.

მეორე დღეს ვისვენებდი, სადგურის უფროსმა კი გადასცა ცნობა კაციჭამიას მოკვლის შესახებ მეზობელ სადგურებს. ყველა ზეიმობდა; მხოლოდ მე არ ვიყავი კმაყოფილი და გადავწყვიტე დავრჩენილიყავი კიდევ ერთი კვირა. უცნაური წინათგრძნობით ვიყავი შეპყრობილი, რომ კაციჭამია ცოცხალია და სულ მალე იჩენს თავს. ბანგალურში ჩასვლას, შემდეგ კვლავ ჩამოსვლას და ყველაფრის თავიდან დაწყებას ვამჯობინე ადგილზე დარჩენა. მით უმეტეს გათვალისწინებული

მქონდა აქ ერთი თვე გამეტარებინა და მისატყუარებიც უკვე დაბმული მყავდა.

გავიდა ოთხი დღე. მოულოდნელად გაზულაპალიდან მოვიდა ცნობა, რომ ვეფხვმა მოკლა ბალას ახალგაზრდა ცოლი.

მტაცებელი მოქმედებდა ზუსტად, თითქოსდა განრიგის მიხედვით.

ჟოზეფი იმ დროს უკვე დაბრუნდა დიგუვამეტში. ბალასუბრამანიამს დეპეშა გავუგზავნე, რომ დაეკავებინა სადგურზე ბალა, დავჯექი დრეზინაზე, რადგან მატარებელი მოგვიანებით გადიოდა და მუშების დახმარებით გავემგზავრე გაზულაპალში.

გზაში საათნახევარზე მეტი დავკარგე. ჩემს მოლოდინში ბალა იჯდა ბაქნის კუთხეში და ჩუმად ტიროდა. გვერდით იდგნენ დამწუხრებული ბალასუბრამანიამი, ალი ბეგი და კრიშნაპა.

ახალგაზრდა ჩენჩუმ ტრაგიკული ამბავი მოკლედ მოგვითხრო. გაეგო თუ არა, რომ ჩელამში მოვკალი კაციჭამია, იფიქრა, საშიშროებამ განვლოო და დაბრუნდა ოჯახით თავის ქოხში. მეორე დღეს, მისმა ცოლმა რომ გაიღვიძა, ბავშვი მასთან გადააწვინა და თვითონ გარეთ გავიდა. ერთი წუთის შემდეგ შემოესმა ქალის ჩუმი ყვირილი. მიხვდა, რომ რაღაც საშინელება მოხდა, დაავლო ნაჯახს ხელი და გარეთ გამოვარდა, მაგრამ იქ არავინ იყო.

ჯერ კიდევ კარგად არ იყო გათენებული და ბალამ ვერ შეძლო უბედურების რაიმე ნიშნების აღმოჩენა. მან მოუხმო ცოლს, მაგრამ პასუხი არ მიუღია. შეშლილივით გაიქცა ქოხის უკან, სადაც ცოლი ჩვეულებრივ დადიოდა. კვლავ ვერავინ ნახა.

ღამით დაცვარულ ბალახს ნამი ჯერაც არ შეშრობოდა, და როგორც კი ინათა, ბალამ გაარჩია მასზე ჯუნგლებისაკენ მიმავალი ორი ნაკვალევი. მიხვდა, რომ ის გავლებულია ორი მძიმე სხეულის — ვეფხვისა და მისი მსხვერპლის მიერ, რომელიც მას კბილებით მიჰქონდა.

და აქ ბალამ დიდი სიმამაცე და ძალზე გაუფრთხილებლობა გამოიჩინა: შეიარაღებული პატარა ნაჯახით, მარტო დაედევნა ნადირს.

ირიჟრაჟა და, რამდენიმე ფარლანგის გავლის შემდეგ აღმოაჩინა პირველი სისხლიანი ნაკვალევი იმ ადგილას, სადაც ვეფხვს დაეგდო თავისი ტვირთი დანამულ ბუჩქებს შორის, რომ უფრო მოხერხებულად ჩაევლო კბილები. ახლა კვალზე გაყოლა ადვილი იყო, და ბალა დაეწია ვეფხვს, როცა ის ბებერი (გამხმარი) ხის ქვეშ უნდა შედგომოდა ჭამას.

კაციჭამიამ დაინახა მონადირე და დაიღრინა. წამიც და ის თავს დაესხმოდა ბალას. მაგრამ დაგლეჯილი ცოლის დანახვაზე ბალა გამძვინვარდა. იგი რაღაც დემონური თავდავიწყებისა და სიმამაცის გრძნობამ შეიპყრო და, სიძულვილით ანთებულმა, ნაჯახით შეუტია ვეფხვს.

მე უკვე გიამბეთ, რომ კაციჭამიებს ახასიათებთ საოცარი სიმხდალე: ისინი იშვიათად გადადიან პირდაპირ შეტევაზე. იმ დილითაც კაციჭამიამ ჩელამიდან დაამტკიცა, რომ არც ის წარმოადგენს გამონაკლისს. ვეფხვი ყოყმანებდა, სანამ ახალგაზრდა ჩენჩუ არ აღმოჩნდა მის გვერდით, მაშინ კი იკადრა და მოკურცხლა.

საბედნიეროდ, ბალა გონს მოვიდა. რომ გაეგრძელებინა დევნა, კაციჭამია შიშს დაძლევდა, შეტევაზე გადმოვიდოდა და მოსპობდა მას. ბალამ ხელში აიტაცა ცოლის სხეული და გაიქცა ქოხისაკენ.

რომ მოვისმინე ეს უბრალო, ალალმართალი ისტორია, აღტაცებისა და სიამაყის გრძნობით განვიმსჭვალე. როგორი გმირი შვილები ჰყავს ინდოეთს ისეთ ტომებშიც კი, რომლებიც განკიცხულად ითვლებიან!

შინ ბალამ არ დაკარგა დრო ცრემლებისათვის. მან უკეთ გაამაგრა ქოხის კარები, სადაც ცოლის სხეული დაასვენა და დედასთან ერთად, რომელსაც ბავშვი მოჰყავდა, გამოეჩქარა სადგურისაკენ, რომ ჩემთვის ეცნობებინა.

ახალგაზრდა მონადირე მიყვებოდა თავის მწუხარებას და ჩუმად იმდუღრებოდა. მე არც კი მიცდია მენუგეშებინა ის. მისთვის საჭირო იყო გულის მოოხება ტირილით. ცრემლი მკურნალია ადამიანის დაკარგვით გამოწვეული საშინელი ნერვიული დაძაბულობის დროს, ბალას დაწყნარება კი ამაო იყო. მე სანუგეშო სიტყვები ვერ მოვნახე იმ საშინელი

უბედურების ჟამს, რომელიც თავს დაატყდა ჯერ კიდევ ახალგაზრდას ახლად დაწყებულ ცხოვრებაში.

მაგრამ ბალას დიდხანს არ უტირია. მიუხედავად იმისა, რომ მე ხელს არ ვუშლიდი გაექარვებინა დარდი და არც ვაჩქარებდი, ათი წუთის შემდეგ ის ადგა და განაცხადა, რომ მზადაა სამოქმედოდ.

მე უკვე მქონდა ღრმად მოფიქრებული გეგმა, მაგრამ ბალასაგან იგი მოითხოვდა უდიდეს მსხვერპლს და ვერ ვბედავდი ამის თქმას. შეიძლება იმის გამო, რომ ორივემ მრავალი წელი გავატარეთ ჯუნგლებში, ჩვენ გვაკავშირებდა აზრთა ერთიანობა და ამიტომ ბალამ უსიტყვოდ გამიგო. მან შემომხედა, ოდნავ დამიქნია თავი და ცრემლები ღაპაღუპით წამოუვიდა.

— ის იყო ჩემი ცოლი, — მითარგმნა მისი სიტყვები ალიბეგმა, — მე მიყვარდა ის, მაგრამ მოგცემ მის სხეულს მისატყუარისათვის, რომ სამაგიერო მივუზღო ჩემი საყვარელი ცოლისა და მამის მოკვლისათვის.

ბევრი ვილაპარაკეთ და საკმაო დროც დავკარგეთ. მზად ვიყავი შემესრულებინა როლი, რომელიც მომანდო ამ თავშდაბალმა, მაგრამ თავისი სულიერი თვისებით დიდბუნებოვანმა ადამიანმა. საჩქაროდ შევჭამე ბალასუმბრამანიამის მზრუნველი ცოლის მიერ ბრინჯისა და ბოსტნეულისაგან დამზადებული კარი. ავავსე ერთი მათარა ჩაით, მეორეც წყლით, ტყისმცველების, რომელთაც ჩარპაი მოჰქონდათ, და ბალას თანხლებით გავემართეთ მისი ქოხისაკენ.

მიცვალებული შემაძრწუნებელი სანახავი იყო. ბალამ ცოლს ბარძაყებზე მისი ერთადერთი სარი * გადააფარა. ნორჩ სახეზე საოცარი სიმშვიდის გამომეტყველება ჰქონდა. გამოგლეჯილ ფერდიდან ბინძურ იატაკზე სისხლის ნაკადი იღვრებოდა, მკერდიდან და ყელიდან წვეთ-წვეთად ჩამონადენი სისხლი კი მუქ კანზე შეხმობოდა. ერთ წუთს მოკრძალებით და მდუმარედ ვიდექით და დავყურებდით იმ ქალის დაგლეჯილ ნეშტს, რომელიც ჯერ კიდევ დილით ბედნიერი დედა

---

* ქალის ტრადიციული ტანსაცმელი ინდოეთში.

იყო. შემდეგ ბალას ვთხოვე მივეცილებინე იმ ადგილამდე, სადაც ვეფხვი დაინახა.

მზეს კარგა ხანია შეეშრო ცვარი, კაციჭამიას და მისი მსხვერპლის მიერ მოთელილი ბალახი გასწორებულიყო და ოდნავ მოხრილი, მსუბუქად ირხეოდა ნიავზე. სისხლიანმა ნაკვალევმა მალე მიგვიყვანა გამხმარ ხესთან, რომლის ქვეშაც ვეფხვი აპირებდა თავისი მსხვერპლის შეჭმას.

მდუმარენი ნელა მივიწევდით წინ და ვფხიზლობდით, თუმცა ოთხს არსებითად არავითარი საფრთხე არ მოგველოდა. ხის ძირთან შევჩერდით და დავათვალიერეთ მიწა. ამ ადგილას ის მყარი იყო და დაბალი ხმელი ბალახი ფარავდა. აქ არავითარი ნაკვალევის აღმოჩენა ან დანახვა არ შეეძლო კაცს.

გამახსენდა, რას ლაპარაკობდნენ კაციჭამიაზე: მას შემდეგ, რაც იგი დასჭრა ჰაიდარაბადის ნავაბმა, არასოდეს არ უბრუნდება ადამიანის ნეშტსო. დაუბრუნდება თუ არა ის ამჯერად? აქვს თუ არა აზრი საფარის მოწყობას? მაიმედებდა მხოლოდ ის, რომ ვეფხვი არ შედგომია ჭამას. მაგრამ მეორე მხრით ბალამ დააფრთხო იგი. ერთი სიტყვით, წარმატების შანსი ძალიან ცოტა იყო. მაგრამ სხვა რა გზა მქონდა, გადავწყვიტე ბედი მეცადა.

პირველ ყოვლისა საჭირო იყო მომეძებნა ხე, რომელზეც შეიძლებოდა ჩარპაის მიმაგრება.

ვეფხვს სატრაპეზოდ შეერჩია ხშირი ბუჩქნარითა და დაბალი ტყით დაფარული ადგილი. მახლობელ ხემდე, გამხმარი ხის ჩაუთვლელად, ასე ოცდაათიოდე იარდი იქნებოდა. უნდა ავსულიყავი ხის მაღალ კენწეროზე, რომ შესაძლებლობა მქონდა მომეხვედრებინა ტყვია ვეფხვისათვის. შესაძლოა, ის დაბრუნებულიყო მხოლოდ დაღამების ხანს და თუ დაბლა დავჯდებოდი, ფარნის შუქი მაყვლის ბუჩქნარში ვერ გააღწევდა.

ხესთან მივედი და დავათვალიერე იგი, მისი ზედა ტოტები ორი თითის სიმსხოც არ იქნებოდა. საეჭვო იყო, რომ მას გაეძლო ჩემი და ჩარპაის სიმძიმისათვის.

მეორე დიდი ხე ხარობდა ათი იარდის მოშორებით. ავცოცდი ზედ კენწეროზე, მაგრამ იქედან მხოლოდ გამხმარი ხის

შტამბის ნაწილს ვხედავდი. მაყვლიანი კი ფარავდა ძირს და ყველაფერს, რაც მის გვერდით იყო.

სად მოვწყობილიყავი?

დავბრუნდი თანამგზავრებთან და გამხმარ ხეს ირგვლივ შემოვუარე. თავის დროზე ის ყოფილა დიდი, შტამბის სიმსხო თორმეტიდან თხუთმეტ ფუტამდე აღწევდა. გაუგებარი იყო, რამ დაღუპა ხე — ავადმყოფობამ, პარაზიტებმა, თუ ფესვები მიწაშივე ჰქონდა შეჭმული. ასე იყო თუ ისე, ხე რამდენიმე წლის წინათ გამხმარიყო და ჩემ ზევით მოწმენდილ ცისკენ სრულიად შიშველი ტოტები გაეშვირა.

ძირს ტერმიტები უღრღნიდნენ და მალე დადგებოდა ჟამი, როცა ხანდაზმული ფესვები ვერ გაუძლებდა შტამბის სიმძიმეს, მიწაზე დაეცემოდა და აურაცხელი ჭიაღუისა და მწერების ლუკმა გახდებოდა.

ახლოს მივედი. ჩემი თავის სიმაღლეზე შტამბიდან გამოშვერილიყო სამი ტოტი, ხოლო ქვემოთ გამხმარი მიწის ზედაპირის ქვეშ უამრავი ტერმიტი ფუთფუთებდა. ფეხის წვერებზე დავდექი და დავინახე მათ მიერ გამოჭმული ხის ფუღურო.

ეს არ ემჩნეოდა გვერდიდან, განსაკუთრებით იმ ადგილიდან, სადაც მოკლული ქალის სხეული ესვენა.

ხელით მოვიხმე ინდიელები და ჩავჩურჩულე ალი ბეგს, რომ ეთხოვა ბალასთვის შეემოწმებინა, შემეძლო თუ არა მოწყობა ფუღუროიან შტამბში. შემდეგ ხის ფუღუროში ფარანი შევანათე და დავრწმუნდი, რომ შიგ არც გველი, არც მორიელი, არც ცხრაფეხა არ იყო დამალული. ბალა მარდად ჩაძვრა შიგ. ის ჩემზე ერთი ფუტით მაინც იქნებოდა დაბალი და უმალვე გაუჩინარდა ფუღუროში, მაგრამ სწრაფად ამოყო თავი და მაცნობა, — ფუღურო, ჩემთვისაც კი ვიწროა, ხოლო თქვენ სრულიად ვერ მოთავსდებითო. საჭირო იყო ფუღუროს გაფართოება.

აქვე შეეამჩნიე, რომ მეორე მხრიდან ტერმიტებს ხე უფრო მეტად გამოეხრათ.

ბალას დახმარებით, რომელიც შიგნიდან მოქმედებდა, შევუდექით დამპალი ხის ნაჭრების მოგლეჯას ფუღუროდან, და დროგამოშვებით გარედან ვცემდით კრიშნაპას ნაჯახს. მუშა-

ობის მეტი წილი ჩვენს ნაცვლად ტერმიტებს ჩაეტარებინათ. და თანდათანობით არა თუ გავაფართოვეთ ხვრელი, რომელშიც ბალა ჩაძვრა, არამედ გავხსენით ფუღუროს მოპირდაპირე მხარე ზემოდან მუხლების დონემდე; ამ მძიმე სამუშაომ წაგვართვა დაახლოებით ორი საათი, და ბოლოს შევძელი ფუღუროში ჩაძრომა და საკმაოდ თავისუფლად ვამოძრავებდი ხელებს.

მაგრამ ჩემს პოზიციას ჰქონდა მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი, უპირველეს ყოვლისა, ზურგით ვიდექი იმ ადგილისაკენ, სადაც ვეფხვმა დააგდო ქალი, და სადაც მოსალოდნელი იყო მისი დაბრუნება, თუკი საერთოდ დაბრუნდებოდა უკან. იმ მიმართულებით ყურებას ხის შტამბი მიშლიდა. მეორე მხრიდან ხვრელის გაკეთება ჩვენ არ შეგვეძლო, რადგან ამისათვის არც დრო გვყოფნიდა და არც ხმაურის ატეხვა გვინდოდა.

მოფიქრების შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ მოკლულის გვამი დაგვედო ცოტა მოშორებით იმ ადგილიდან, სადაც ის მიატოვა ვეფხვმა. თორემ სანამ შევიტყობდი მის მოსვლას, ვეფხვს შეეძლო ნადავლი გაეტაცა, ან შეეჭამა ჩემგან ხუთი იარდის მოშორებით და ვერაფერს ვერ გავაკეთებდი. რასაკვირველია, შემეძლო გამოვმძვრალიყავი საფარიდან და, შიპარვით შემომევლო ხისთვის. მაგრამ ეს იყო სარისკო საქმე. გარდა ამისა, სიბნელეში ფუღუროდან ამოსვლის დროს ხმაურს ავტეხდი და ეს აიძულებდა ვეფხვს გაქცეულიყო. ანდა — ეს ყველაზე მეტი საშინელება იქნებოდა — ხის შემოვლის დროს შეეძლო დამტაკებოდა. არასასიამოვნო პერსპექტივაა!

მეორე დიდი ნაკლი ის იყო, რომ მთელი ღამე ფეხზე უნდა ვმდგარიყავი. ქვევით ძალიან ვიწრო ფუღურო არ მაძლევდა ჩამუხლების საშუალებასაც კი.

შემდეგ ვეფხვი, სანამ გვამს მიუახლოვდებოდა და ადგილმდებარეობას დაზვერავდა, როგორც მოიქცეოდა ყველა გონიერი ნადირი, უმალვე დამინახავდა, როცა ჩვენ მიერ ამოჭრილი ხვრელის მოპირდაპირე მხარეზე აღმოჩნდებოდა. რა თქმა უნდა, ვბრძანებ შენიღბონ იგი ფოთლებითა და ხვი-

არა მცენარეებით, მაგრამ შევძლებდი კი ჯუნგლების ბინადარის მოტყუებას? ხომ არ შეეპვდება, რომ ჯერ კიდევ დილით სოფლიად შიშველ შტამბზე გაჩნდა ფოთლები და სხვა მცენარეულობა?

და თუ კობრამ, მორიელმა ან სხვა მხოხავმა ქვეწარმავალმაც აირჩია ეს ფუღურო თავშესაფარად გრილ ღამეში, მე აღმოვაჩენდი საშინელ მდგომარეობაში. საერთოდ შეიძლებოდა წამოვრილიყო იმდენი მოულოდნელი უსიამოვნებანი, რომ გადავწყვიტე მათზე არ მეფიქრა.

პალტო მიწაზე დავაფინე, ზედ დავყარე მთელი ნაგავი და გადავიტანეთ მოშორებით. ამის შემდეგ გავეშურეთ ქოხისაკენ და ბალამ გაბედულად შეიგდო მხარზე ცოლის გვამი. ნელი ნაბიჯით, ჩუმად დაებრუნდით ხესთან. ბალას ვთხოვე ცოლის სხეული ჩვენს მიერ გაკეთებული ხვრელიდან ცოტა მარცხნივ დაედო ისე, რომ ცქერის დროს ვეფხეს არ შევემჩნიე. ფუღუროში ძლივს მოვთავსდი თოფით; შევეამე ჩაპატი და დავლიე ჩაი, მათარა კი ალი ბეგს მივეცი.

ჩავძვერი ფუღუროში. ბალამ და კრიშნაპამ ხვრელს ტოტები მიაფარეს და ფოთლებითა და ხვიარა მცენარეებით შენიღბეს. ბალა რამდენიმე ნაბიჯით უკან იხევდა, რომ შეემოწმებინა, ხომ არ ვჩანდი გარედან. ხვრელის განივ ჩემი მკერდის სიმაღლეზე მან ჩაამაგრა დიდი ჯოხი, რომელზეც სროლის დროს შემეძლო თოფის დაყრდნობა. ვცადე უხმოდ თოფის აღმართვა; ძლივს ამოვაცოცე ზევით და ჯოხზე დავდე. ბალამ შენიღბა ხვართქლათი ჯოხი და ხის შტამბი ორივე მხრიდან. ბოლოს სამი ტოტის ძირში, რომლის ქვემოთ იყო ფუღურო, იმდენი ტოტები და ფოთლები მიამაგრეს, რომ ჩაკეტილი აღმოვჩნდი ჩემს თავშესაფარში.

ვიდრე წავიდოდა, ბალა გამოეთხოვა თავის მკვდარ ცოლს, დაუკოცნა ცივი შუბლი და ფეხის გულები. მერმე მუხლებზე დაიჩოქა, მიწაზე დაემხო და პატიებას თხოვდა მისი გაუბედურებული გვამის შებილწვისათვის.

როდესაც წამოდგა, თვალებზე ცრემლი აღარ ჰქონდა, სახე კი გაბედულ გამომეტყველებას გამოხატავდა. მან შემომხედა და ჩვენს შორის კვლავ წარმოიშვა ჯუნგლების მოყვარული ორი ადამიანის სულიერი კავშირი. მისი გამოხედვა ყოველ-

გვარ მჭევრმეტყველურ სიტყვაზე უკეთ ღაღადებდა: „ყველაფერი, რაც შემეძლო, გავაკეთე, საყვარელი ცოლის სხეულიც კი გავსწირე. დანარჩენი შენზეა დამოკიდებული“. ჩემ თავს სიტყვა მივეცი, რომ მის იმედებს გავამართლებდი.

ერთი წუთის შემდეგ ჩემი თანამგზავრები გაეშურენ ქოხისაკენ, მე კი მარტო დავრჩი.

ხუთს თხუთმეტი წუთი აკლდა. ბუჩქნარის ტოტებში შემოღწეული შუქი მუქ წითელ წინწკლებად ეფინებოდა სარის, რომელშიც ბალამ გაახვია მეუღლის გვამი. ჩამოშლილი თმები ლამაზად შემოხვეოდა მის მშვიდ სახეს, რომელიც ჩემსკენ ჰქონდა მოშვერილი. მიცვალებულს ერთი ხელი გულზე ესვენა. ალბათ იმ მდგომარეობაში, როგორც დაუჭდო ის დილით ქმარმა, როცა უსულო სხეული მოჰქონდა ქოხში; მეორე გაშვერილი ხელი გვერდით ედო.

ირგვლივ სრული სიწყნარე სუფევდა; მხოლოდ ნიავი დანავარდობდა ფოთლებსა და ბალახებზე, ათამაშებდა ქსოვილის ყურს და ნაზად არხევდა მკვდარი ქალის კუპრივით შავი თმის კულულს. არავითარი ხმაური, გარდა მაჯის საათის სუსტი ტიკ-ტიკისა და რაღაც ყრუ ბაგა-ბუგისა. უცბად ვერ მივხვდი, რომ ეს ჩემი გულისცემაა. ზურგით მიყრდნობილმა ფრთხილად, ნელ–ნელა გავჭიმე ფეხები. მათ ხომ მთელი ღამე უნდა გაეძლოთ ჩემი სხეულის სიმძიმისათვის, და ჩემს მხრივაც მზრუნველობისა და დახმარების აღმოჩენა იყო საჭირო.

ორმოცდა ხუთი წუთის შემდეგ ჯუნგლები გამოცოცხლდა—გაისმა დასაბუდებლად მიმავალი ფარშევანგებისა და ტყის მამლების ხმაური. ერთმა ნაცარა მამლაყინწამ ჩემ წინ მინდორზე ჩაიარა და გამომწვევად ყიყლიყო გასძახა მილეულ დღეს. „კუკ კი-ა კია კუკ-მ“, — ყიოდა ის. რამდენიმე წამის შემდეგ შორიდან მოისმა: „უხივ, კუკ კუკ-მ“. მამლაყინწამ ფრთები გაშალა და გაიხედა იმ მიმართულებით, საიდანაც პასუხი მიიღო. ქარმა დაბერა და შეარხია სარის კალთა. ფრთების მძიმე ქნევით მამლაყინწა გაფრინდა.

„მი-კაო მი-კაო“, — ისმოდა ფარშევანგების დაჟინებული ყვირილი და ერთიმეორის მიყოლებით ზევით აფრენილი დიდი ფრინველები გუნდებად სხდებოდნენ მოშორებული ხეე-

ბის ტოტებზე. დაგვიანებული პეპლები და ხოჭოები დაფარ-ფატებდნენ ჰაერში ან ბზუილით სხდებოდნენ ფოთლების ქვეშ და სხვა თავშესაფარში, რომლებიც ღამის გასათევად ჰქონდათ შერჩეული.

როგორც იცის ხოლმე ტროპიკებში, დღე მალე მიიწურა. ჩემმა ფრთოსანმა მეგობრებმა უეჭველად უკვე დაიბუდეს, თუ არა და მალე დაიბუდებენ. დაბნელებისთანავე ერთ იარ-დზე ჩემგან მოშორებით რაღაც მომრგვალო დაჯდა მიწაზე. ეს თხაწველიაა — ინდოეთის ჯუნგლების ღამის მაუწყე-ბელი.

„ჩუკ-ჩუკ-ჩუკუუ? — იმეორებდა ის. ხმელი ბალახის ფონ-ზე მისი ყავისფერი სხეული ქვას მოგაგონებდათ. მაგრამ აი, მან ლამაზად გაშალა ფრთები და გაფრინდა. „ჩიპ-ჩიპ-ჩიპ", — გაისმა ჩემს ზემოთ, ორი ღამურა სწრაფად უვლიდა წრეს ხის ირგვლივ, და ფრენის დროს იტაცებდა ნაადრევად გამომ-ძვრალ ღამის მწერებს ან დღის ხოჭოებს, რომლებსაც და-მალვა ვერ მოესწროთ.

მე წინათაც მრავალგზის მინახავს, როგორ იწურება დღე და მის ნაცვლად შემოდის ღამე, მაგრამ არასოდეს არ ვყო-ფილვარ ასეთ მდგომარეობაში.

სრულიად დაბნელდა, მხოლოდ ცოტახნით. აი, უკვე ცაზე აკიაფდნენ ვარსკვლავები და ჯუნგლებს ტყორცნეს მკრთალი ნათელი. ამ უმთვარო ღამეში ისინი ჩემთვის უნდა ყოფილიყ-ვნენ სინათლის ერთადერთი წყარო.

ქინქლებმა ვერ აღმომაჩინეს უცბად, მაგრამ როცა მათმა მზვერავებმა ჩემს თავშესაფარს მოაგნეს, სულ რამდენიმე წამი დასჭირდათ, რომ ამის შესახებ ეცნობებინათ მთავარ ბინაში. და მაშინ მოპიკრე ბომბდამშენის მთელი ესკად-რილია დამესხა თავს. ფუღურაში შემოფრენილი ჩემი სისხლის მსმელი გამბედავი მწერები რომ მომეტყუებინა, ქვედა ტუჩი გამოვიშვირე და სულის შებერვით ვიშორებდი სახიდან. ხელები კი შარვლის ჯიბეში ჩავიწყე.

გახდა რვა საათი. მე ხან ერთსა და ხან მეორე ფეხს ვწევ-დი ზევით და ვამოძრავებდი თითებს ტილოს ფეხსაცმელში, რომ გამეუმჯობესებინა სისხლის მიმოქცევა ტერფებში. მთე-ლი ღამე სატანჯველად გავწირე თავი, თუმცა ცნობილი იყო,

რომ ეს კაციჭამია არასდროს არ უბრუნდება მის მიერ მოკლული ადამიანის გვამს. მაგრამ თვალწინ წარმომიდგა ბალას ატირებული სახე და ჩემგან ასე ახლოს მყოფი მოკლული ქალის სახის გამომეტყველება, და მივხვდი, რომ სხვანაირად მოქცევა არ შემეძლო.

უეცრად ყურები ვცქვიტე, ნერვები უკიდურესობამდე მქონდა დაძაბული. ვერაფერს ვხედავდი, არც არაფერი მესმოდა, მაგრამ ჩემი სახელივით ზუსტად ვიცოდი, რომ კაციჭამია ჩემს გვერდითაა. ტანში გამაჟრჟოლა. რაღაც გამოურკვეველი, მიუწვდომელი წინათგრძნობა მაფრთხილებდა.

უეჭველად, ვეფხვი ახლოა!

სმენა დავძაბე, ვცდილობდი, რაიმე შრიალი მაინც გამეგონა, მაგრამ სრული სიჩუმე სუფევდა. არც ირემი და არც ჯუნგლების სხვა რომელიმე ცხოველი არ იძლეოდა ყვირილით ნიშანს მტაცებლის მოახლოების შესახებ.

სრული სიჩუმე და ის, რომ ვეფხვი არ ჩქარობდა გვამთან მისვლას, მხოლოდ ერთს ნიშნავდა — რომ ის რაღაცამ შეაშფოთა. რა იყო ეს — ბალასთან მისი შეტაკების დროს შთაგონებული შიშის შედეგი, თუ ხედავდა ან გრძნობდა რაიმეს მახლობლად? და რაც მთავარია, ხედავდა და გრძნობდა თუ არა ჩემ აქ ყოფნას?

უეცრად სიჩუმე, რომელიც საუკუნედ მეჩვენებოდა, დაარღვია ფშვინვამ და მიწაზე გათრეული სიმძიმით გამოწვეულმა ხმაურმა. ვეფხვმა უეჭველად გადაწყვიტა თავისი მსხვერპლის გატაცება. ერთი წუთიც და ხელიდან გამისხლტებოდა.

მე უკვე მზად ვიყავი უკუმეგდო სიფრთხილე, აშკარად ამომეღო თოფი, ამენთო ფარანი და გაბედულად მესროლა, მაგრამ ხმაური მოულოდნელად შეწყდა. ნუთუ ვეფხვმა გვამი გაიტაცა? და ამ დროს ხის მეორე მხრიდან გავიგონე ძვლების ხრამუნი.

ყველაფერი უბრალოდ მოხდა. ვეფხვმა რატომღაც გვამი სწორედ იმ ადგილზე გადაათრია, სადაც დილით მიატოვა. ალბათ იფიქრა, რომ მის მოსვლამდე ტურამ ან აფთარმა გადაათრია გვამი, ან შეიძლება ინსტინქტი კარნახობდა; ყოველ შემთხვევაში აშკარა იყო, რომ ის ვერაფერს ამჩნევდა, თორემ

ან ჩუმად გაშორდებოდა იქაურობას, ან დააჩქარებდა გვამის წაღებას.

თავისუფლად ამოვისუნთქე, მაგრამ მოულოდნელად თავში აზრმა გამიელვა: ახლა რომ თოფი ვესროლო, ანდა ამოვიდე საფარიდან და შემოვუარო ხეს. შავბნელი ფიქრი გულზე ლოდივით დამაწვა!

გახსოვთ ალბათ, რომ ბალამ და კრიშნაპამ ფოთლებითა და ხვართქლათი ამოხერგეს ფუღუროს შესავალი... პირველყოვლისა, უნდა მომეშორებინა ისინი. ამ დროს აუცილებლად ატყდებოდა ხმაური, თუნდაც სუსტი. თუ ის მიაღწევდა ვეფხვის ყურამდე, ის გაიქცეოდა, ან, რაც გაცილებით უფრო ცუდია — შემოუვლიდა ხეს, რომ შეეგრძნო ხმაურის მიზეზი და აღმოეჩინე, სანამ მე მოვემზადებოდი.

რჩებოდა ერთი გამოსავალი — მიმეცა ვეფხვისათვის ჭამით გართობის საშუალება. ასეც მოვიქეცი.

როცა ის ხორცს გლეჯდა, ძვლებს ღრღნიდა და ასრამუნებდა, მე ამ დროს ჩუმად ერთმანეთში ჩახლართულ ლიანებს და ჯოხებს ნელ-ნელა ვიღებდი და ფუღუროს ძირში ჩემს ფეხებთან ვაწყობდი. ამგვარად გავწმინდე გამოსასვლელი. შემდეგ ავწიე მარჯვენა ფეხი, და სისხლის ცირკულაცია რომ აღმედგინა, ერთი წუთით დავიჭირე ასეთ მდგომარეობაში, შემდეგ ფუღუროს მეორე მხარეზე ფრთხილად დავდგი. მერმე ცოტა შევიცადე. ძვლების ხრამუნი გრძელდებოდა. მაშინ წონასწორობის შესანარჩუნებლად ხელი ჩავჭიდე ხის შტამბს, და ძალიან ფრთხილად მარცხენა ფეხი მარჯვენას მივადგი.

რამდენიმე წამს კიდევ არ ვიყავი მზად სროლისათვის, და კაციჭამიას რომ შევემჩნიე, კარგი დღე არ დამადგებოდა. საბედნიეროდ, ვეფხვი ძალიან იყო ჭამით გართული. თითო დუიმით მივიწევდი წინ, კიდევ ერთი დუიმი და ვეფხვის წინ აღმოვჩნდებოდი. ამ დროს ვეფხვს დრუნჩი ხისკენ რომ ჰქონოდა მიმართული, უეჭველად დამინახავდა. მაგრამ მე კიდევ მქონდა შანსი — ცოტა ხანს კიდევ ვერ შევემჩნიე.

დადგა მოქმედების დრო, დაგვიანება აღარ შეიძლებოდა, ავწიე თოფი მაღლა, კონდახი მხარზე მივიბჯინე და ოდნავ წინ წავიწიე. შემდეგ ცოტა დავიგრძელე კისერი და შტამბიდან გავხედე, ჩემი თვალები მიჩვეულია გაფანტულ სინათლეს, და

კარგად დავინახე უფორმო მასაზე მთელი სიგრძით გაჭიმული ვეფხვი. ეს იყო ყველაფერი, რაც დარჩა ქალის გვამიდან. ვეფხვი ნახევრად შემობრუნებული იწვა ჩემკენ და გაჰყურებდა იმ მიმართულებით, საიდანაც საღამოს მოვიდა. ჩემ თოფზე სამიზნე არ ჩანდა, და რომ მესროლა, საჭირო იყო ფარნის ჩართვა.

ფრთხილად ავწიე მარცხენა ხელი, დავაყენე თოფი სასროლ მდგომარეობაში და ცერით სწრაფად მოვსინჯე ფარნის ჩამრთველი. რატომღაც შეიგრძნო ვეფხვმა, რომ მას საშიშროება ემუქრება. უკან მოიხედა, მაგრამ უმალვე სინათლის სხივი ეცა მოელვარე თვალებში. პირში ხორცის ნაჭრები ჰქონდა გამოჩრილი.

პირველი ტყვია ვეფხვს კისერში მოხვდა. როდესაც ის ახტა და გადატრიალდა, მე ელვისებური სისწრაფით დავახალე მეორე ტყვია და შემდეგ მესამე, ის გაშმაგებით იგრიხებოდა, მაგრამ ერთბაშად — აღარ გიამბობთ, თუ როგორ მოხდა ეს, — უცბად გაქრა.

პირველი და მომდევნო სროლის შემდეგ ის ტკივილისა და მძვინვარებისაგან ღმუოდა და სულთმობრძავი ბუჩქების ტოტებს ამტვრევდა, მაგრამ მეტად აღარ დამინახავს. კაციჭამია ჯუნგლებში მიიმალა.

სასწრაფოდ დავიმალე ხმელი ხის ფუღუროში და მინდოდა თოფის ცარიელი სავაზნე კოლოფი შემევსო, მაგრამ წამსვე გავიფიქრე, თუ ტყვია გაიჩხირებოდა, რაც ხშირად ხდება 405-ყალიბის ვინჩესტერის ხელახალი გატენის დროს და მე სრულიად უმწეო მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი. გადავწყვიტე, დავრჩენილიყავი ერთი ტყვიისამარა. თუმცა ჩემი თოფის სავაზნე კოლოფი იტევდა ხუთ ტყვიას, მაგრამ ჩვეულებრივ მტაცებელზე სანადიროდ წასვლისას ოთხი ვაზნით ვტენიდი ხოლმე. ეს იყო სიფრთხილის დამატებითი ღონისძიება გაჩხერის წინააღმდეგ.

ვეჭვობდი, სწორედ მოვიქეცი თუ არა, რომ კვლავ ფუღუროში ჩავძვერი. შეიძლება უფრო გონივრული ყოფილიყო, გარეთ დავრჩენილიყავი. მაშინ დავინახავდი ვეფხვს, თუ ის თავს დამესხმოდა. ახლა ბუჩქები მიშლიდა ხელს.

მაგრამ სინანული გვიან იყო. უძრავად ვიდექი. მთლიანად

ოფლში გახვითქულს თოფი ხელიდან მისხლტებოდა, ვგრძნობდი საშინელ სისუსტეს და თავის ტკივილს.

ვეფხვი კვლავ განაგრძობდა ღრიალს და ტოტების მტვრევას, მაგრამ ხმაური თანდათან შორიდან ისმოდა და ბოლოს სავსებით მიწყდა. მტაცებელი არ იყო მკვდარი. ყოველ შემთხვევაში, წავიდა. მე სიკვდილს გადავრჩი, და ბედს ვუმადლოდი ამისათვის. მასაქმა და თავი გაცილებით უკეთ ვიგრძენი.

საუბედუროდ, აღელვებულმა ვერ შევიტყე, რომელი მიმართულებით ისმოდა გადახვეწილი მხეცის ღრიალი, ასეთ სიბნელეში ბალას ქოხისკენ წასვლა თვითმკვლელობას ნიშნავდა. გზის გაკვლევა შეიძლებოდა მხოლოდ ფარნის საშუალებით, სინათლეში კი ვეფხვი დამინახავდა, თუ ის სადმე ახლომახლო იწვა ბუჩქებში.

ამგვარად, დაღლილობისგან მუხლმოკვეთილმა დარჩენილი ღამე ამ წყეულ ფუღუროში გავატარე. განთიადს სულიერად დაცემული განწყობილებით შევხვდი, თუმცა არც ერთ წუთს არ დამვიწყნია, რომ ბედმა გამიღიმა და ცოცხალი დავრჩი.

როგორც კი იმდენად ინათა, რომ შეიძლებოდა რაიმეს დანახვა, გამოვძვერი ფუღუროდან და სრულიად ქანცგაწყვეტილი მიწაზე დავეშვი. მდგარხართ ოდესმე მთელი ღამე ფეხზე თითქმის ცამეტი საათის განმავლობაში? თუ არა, მაშინ სცადეთ.

თხუთმეტ წუთს ვისვენებდი. შემდეგ წავედი დამეხედა იმისათვის, რისი ნახვაც ჯერ კიდევ შეიძლებოდა: სანამ ვეფხვი გართული იყო ქელეხით, მე კი გავათავისუფლებდი გამოსასვლელს ჯოხებისა და ფოთლებისაგან და ფუღუროდან ამოვძვრებოდი, გავიდა ათი — ან დიდი-დიდი თხუთმეტი წუთი. ამ ხნის განმავლობაში ვეფხვმა შესანსლა ქალის გვამის დიდი ნაწილი.

იქ, სადაც ვეფხვი სულთმობრძავი ბორგავდა, მიწა გადაქექილი იყო. აქედან მას უდიდესი ნახტომი გაეკეთებინა ორი იარდის მანძილზე მდებარე ბუჩქნარში. აქ ბუჩქები დამტვრეული, ფოთლები კი სისხლით მოსვრილი იყო. ამ ადგილიდან სისხლიანი ნაკვალევი მიდიოდა ჯუნგლებში. რამდენიმე იარდი გავიარე ნაკვალევზე და დავრწმუნდი, რომ მას

მივყავდი ჩრდილოეთისაკენ. მაშასადამე შემეძლო შედარებით მშვიდად დავბრუნებულიყავი ქოხში.

ასეც მოვიქეცი. აღმოჩნდა, რომ ბალას და ტყისმცველებს თეთრად გაეთენებინათ ღამე და სროლის ხმა რომ გაეგონათ, გარიჟრაჟზე წამოსულიყვნენ ჩემს შესახვედრად, მაგრამ მხოლოდ ერთი ფარლანგი ექნებოდათ გავლილი, რომ შედგნენ და მე დამელოდნენ. რასაკვირველია, ისინი, კიდევ განაგრძობდნენ გზას, მაგრამ ალი ბეგს გაეფრთხილებინა, რომ შესაძლებელია მან მხოლოდ დაჭრა ვეფხვი, და გაურკვეველია, სად იმალება მხეციო.

მე ვუამბე ყველაფერი, რაც ამ საშინელ ღამეს მოხდა. ჩემი საათი შვიდის ნახევარს უჩვენებდა. ვეფხვს, როგორც ჩანს, დაახლოებით საღამოს ცხრის ნახევარზე ვესროლე, ესე იგი ათი საათის წინათ. ვეფხვი ამასობაში უნდა მომკვდარიყო, ანდა სისხლისაგან დაცლილი სადმე უნდა წოლილიყო ცოცხალმკვდარი. მოთმინება აღარ მყოფნიდა, რაც შეიძლება სწრაფად მივყოლოდი სისხლიან ნაკვალევს.

ალი ბეგს იარაღი არ ჰქონდა, და ვურჩიე ქოხში დარჩენილიყო. მან მიპასუხა, რომ მარტო დარჩენის ეშინია და ამჯობინებს ჩვენთან წამოსვლას და ბედის გამოცდას. ამგვარად, ჩვენ დავბრუნდით გამხმარ ხესთან. მე გავაფრთხილე ბალა, რომ იძულებული ვიყავი მიმეცა ვეფხვისათვის ჭამის საშუალება, სანამ გამოსასვლელს გავათავისუფლებდი. ის დამეთანხმა, რომ ეს აუცილებელი იყო, მაგრამ საწყალი ქალის გვამის შესახედაობამ მთლად გაანადგურა ბალა. მწუხარებისაგან გულმოკლული ხმამაღლა ატირდა.

ბალას არასგზით არ უნდოდა წასვლა, სანამ გვამის ნარჩენების კრემაციას არ ჩაატარებდა. ბევრი ვცადეთ მე და ტყისმცველებმა, მოგვეხდინა ბალაზე გავლენა, მაგრამ მხოლოდ ალი ბეგმა შეძლო მისი დაყოლიება. მან პირდაპირ განუცხადა, რომ ჩვენ ყველას, და განსაკუთრებით კი ბალას, მოგველის დიდი უსიამოვნება ადგილობრივი პოლიციის მხრივ, თუ ბალა ჩაატარებს გვამის კრემაციას გამოკვლევამდე. მაშინ ჩვენ დავამტვრიეთ ტოტები და დავაფარეთ ნეშტს, რომ დაგვეცვა სვავებისაგან, რომლებიც დაუყოვნებლივ დააცხრებოდნენ გვამის ნარჩენებს.

იმედი გვქონდა, ვნახავდით ვეფხვს ცოცხალს ან მკვდარს. სადმე ახლოს, მალე დავბრუნდებოდით უკანვე და გავაკეთებდით საჭირო განცხადებას პოლიციაში.

მაგრამ ასე როდი მოხდა.

სისხლიან კვალს ბუჩქნარში მივყავდით. როგორც მე შევამჩნიე, ვეფხვი ორ ადგილას იყო დაჭრილი. ერთი ჭრილობა სხეულის ზედა ნაწილში ჰქონდა, მეორედან განუწყვეტლივ წვეთავდა სისხლი. ამ კვალზე მიყოლის დროს აღმოვაჩინე აპკის ნაჭერზე დალეკერტებული სისხლი, საიდანაც დავასკვენი, რომ ვეფხვისათვის ტყვია სტომაქში მომირტყამს.

პირველად ცხოველს დაუსვენია ორი ფარლანგის მოშორებით გამხმარი ხიდან. აქ მიწაზე დაყრილი სისხლიანი ხორცის ნაჭრები ცხადჰყოფდნენ, რომ ვეფხვს საშინელი გულისრევა ჰქონია და რომ ჩემი ვარაუდი სწორია.

ნახევარი მილის შემდეგ მან შეისვენა. ორი პატარა სისხლის გუბეც ადასტურებდა, რომ მას ორი ჭრილობა ჰქონდა. როგორც ჩანდა, კუჭში ჭრილობა უფრო სახიფათო იყო, რადგან იქედან უფრო მეტი სისხლი დიოდა.

მიუხედავად ამისა, ცხოველი განაგრძობდა სვლას. მკაფიო სისხლიანი ნაკვალევი თანდათან შეუმჩნეველი გახდა. შესაძლებელია, აპკი ან ქონი გადაეფარა ჭრილობას კუჭში, და შეწყდა სისხლის დენა.

მივადექით ნაკადულს, რომელიც ორ გორაკს შორის მიერაკრაკებდა. ამ ადგილას ვეფხვი ალბათ ჩაწვა წყალში, რომელსაც ჯერ კიდევ მოვარდისფრო ელფერი გადაჰკრავდა. მოპირდაპირე ნაპირზე მოჩანდა სისხლიანი ვიწრო ზოლი. აქ ვეფხვს იმდენი ებორიალა ძნელ გზაზე, რომ პირველად გარკვევით დავინახეთ თათების ანაბეჭდები, რომლებიც უეჭველად მსხვილ ხვადს ეკუთვნოდა.

ნაკვალევი გრძელდებოდა შემდეგაც, მაგრამ სისხლის წვეთები უკვე იშვიათად გვხვდებოდა. მე, სიმართლე რომ ვთქვა, გაოცებული ვიყავი. ჩემი მრავალი წლის გამოცდილებით, ვეფხვი უნდა დაცლილიყო სისხლისაგან. ამის ნაცვლად ის ჯიუტად მიიწევდა წინ და გეზი ჩრდილოეთისაკენ ჰქონდა აღებული. სისხლის წვეთები ახლა ძალზე იშვიათად გვხვდებოდა და სიარული გაგვიძნელდა. შევიჭერით ჯუნგლების

სიღრმეში, მეტად შორს, სადაც მხოლოდ აქა-იქ გვხვდებოდა ცხოველების მიერ გატკეპნილი ბილიკები. მთაგორიანი ადგილები დასერილი იყო ღრმა ხევებით, სადაც წვრილ ნაკადებად მიიკლაკნებოდა ნაკადულები. წყალი უხვად იყო, და როგორც ჩანს, ვეფხვი არა ერთხელ შეჩერდა წყურვილის მოსაკლავად. დიდი ხეები შეცვალა ხშირმა ბუჩქნარმა, რომელშიც ძირითადად ლანტანი და სხვა ეკლიანი მცენარეები ხარობდა.

დაახლოებით დღის პირველ საათზე წავაწყდით სისხლის უკანასკნელ წვეთს. შემოვიარეთ შემოგარენი, მაგრამ ეს იყო და ეს, მეტი ვერაფერი აღმოვაჩინეთ. კვალი დაიკარგა, დევნა შევწყვიტეთ.

მდუმარედ დავბრუნდით გაზულაპალში, თაკარა მზე აჭერდა. ძაღლივით დავიღალე, უმალვე ჩავეშვი მგზავრების მოსაცდელ ოთახში მდგარ სავარძელში და წამსვე ჩამეძინა.

მისტერ ბალასუბრამანიამმა დეპეშა გაგზავნა პოლიციაში, და მეორე დღეს ნანდიალიდან ამოვიდნენ პოლიციელები. ჩვენ მათთან ერთად გავეშურეთ გამხმარი ხისაკენ.

უბედური ქალის ნეშტს გახრწნა დაეწყო. სუნი ერთ ფარლანგზე იგრძნობოდა. ფოთლებს, რომლითაც დავფარეთ მისი გვამის ნარჩენები, ბუზების გუნდი დასეოდა. უმცროსი პოლიციელი მივიყვანე ხის ფუღუროსთან, სადაც წინა ღამით ვიმალებოდი, და ვუამბე მთელი ისტორია. ცამეტფურცლიანი აქტი დაიწერა, აქედან ექვსი ფურცელი დასჭირდა ჩემს ჩვენებას.

ბალამ ითხოვა ცოლის გვამის კრემაციის ნებართვა. ჩვენ მდუმარედ ვადევნებდით თვალს, ბალამ და ტყისმცველებმა მოაგროვეს ფიჩხი, დადეს ზედ ქალის ნეშტი, ზემოდან ხმელი ტოტები დააყარეს და დაანთეს დიდი კოცონი. ეს იყო უბრალო და სამწუხარო ცერემონია, ირგვლივ დამწვარი ხორცის სუნი იდგა. მე დავრჩი ბალას თანაგრძნობის გამო. პოლიციელი, რომელსაც გული ერეოდა, გადგა გვერდზე და ხეს მიეყრდნო.

მეორე დღეს ბალას თვალებში ვეღარ ვუყურებდი. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მოვატყუე. ახალგაზრდა კაცი მიხვდა. ის შემოვიდა ბალასუბრამანიამთან ერთად მგზავრების ოთახში, სადაც მე ვიჯექი, და თხოვა სადგურის უფროსს, გადაეთარგმნა მისი სიტყვები.

გადაეცით დორაის, არ იდარდოს, რომ მან ვერ მოჰკლა ვეფხვი. ვიცი, მან ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო. — სხვა ვერავინ და მეც კი, ვერ გავაკეთებდი მეტს.

ამაზე უკეთეს სიტყვებს ვერავინ მეტყოდა დასაწყნარებლად. გულზე მომეშვა და ბალასუბრამანიამს ვთხოვე მადლობა გადაეხადა ბალასთვის ამ სიტყვებისა და ჩემთვის გაწეული დახმარებისა და ყურადღების გამო.

გაზულაპალში კიდევ ერთი კვირა დავრჩი, მაგრამ ახალი არაფერი გამიგია. ავაზამ მოკლა დიგუვამეტში დაბმული ერთ-ერთი ჩემი მისატყუარი. გავეშურე იქ და, რომ დავრწმუნდი, ის მართლა ავაზას ნამოქმედარი იყო, მიუხედავად ჟოზეფის უკმაყოფილებისა, ნადირსავე დავუტოვე შეუჭმელი მისატყუარი.

კვირის ბოლოს გამოვემშვიდობე ჩემს ახალ მეგობრებს, რომლებიც მეხმარებოდნენ და ხელს მიწყობდნენ ჯუნგლებში ყოფნისას. მისატყუარად ნაყიდი მოზვრები დავურიგე ტყისმცველებს, დანარჩენი კი ბალას ვაჩუქე.

ბანგალურში რომ დავბრუნდი, სამი თვის შემდეგ ვეფხვმა მოკლა კაცი მდინარე კრიშნას მახლობლად, ჰაიდარაბადის საკუთრებაში. სამი თვის შემდეგ ბოგარიდან რამდენიმე მილზე მოკლულ იქნა კიდევ ერთი კაცი.

ამის შემდეგ მტაცებელი იშვიათად ხოცავდა ადამიანებს, მაგრამ მკვლელობა მაინც ხდებოდა.

გადარჩა თუ არა ჩემ მიერ დაჭრილი კაციჭამია? განაახლა თუ არა მან თავისი თავდასხმები? ანდა ამავე რაიონში შეიძლება მოქმედებდა ორი კაციჭამია, რომელთაგან ერთმა მოკლა დიგუვამეტში ყვავილების მკრეფავი ქალი, მეორემ კი — ბალას ცოლი? და თუ მართლაც სინამდვილეში კაციჭამია ორი იყო, მაშინ რომელმა მათგანმა იმსხვერპლა უკანასკნელად ადამიანები? თუ დამნაშავეა მესამე ვეფხვი, რომელიც ახლახან გახდა კაციჭამია?

არ შემიძლია ამ კითხვებზე პასუხის გაცემა, და ეს ზოგჯერ მაწუხებს. არაფერს დავიშურებდი, რომ ჭეშმარიტება დამედგინა.

თავი მეშვიდე

დიდი ბიზონი გედესალიდან

არ მინდა შემოგთავაზოთ ჩვეულებრივი სამონადირო მოთხრობა იმაზე, თუ როგორ მოვკალი ან დავჭერი დიდი ბიზონი. თუ თქვენ ფიქრობთ, რომ მოისმენთ რაღაც ამის მსგავსს, იმედგაცრუებული დარჩებით, ვინაიდან არასდროს არ მისვრია მისთვის ტყვია და არც ვაპირებ სროლას: მეტისმეტად მხიბლავს ეს ცხოველი.

დიდმა ბიზონმა, მამაცმა ბებერმა მებრძოლმა, პატიოსნად დაიმსახურა ჯოგის მბრძანებლისა და წინამძღოლის სახელი, ჯოგისა, რომელზეც ასე ერთგულად ზრუნავდა: რომ შეეძლოს ჩემი გაგება, მე მას ჩემს საამაყო მეგობრად ჩავთვლიდი.

გედესალი შოლაგას ტომით დასახლებული პატარა სოფელია „ბიზონების ზონის“ ცენტრალურ ნაწილში, როგორც მე ვუწოდე კოიმბატურის ოლქის ჩრდილოეთით მდებარე ტყიან რაიონს. დასავლეთიდან გედესალს ეფარება ბილიგირირანგანის მთები, რომლის ფერდობზე სალ კლდეებს ლამაზად ენაც-

ვლება მწვანე კორდები. აღმოსავლეთით გადაჭიმულია მეორე მთაგრეხილი, რომელიც სიმაღლითა და ზვიადობით ვერ შეედრება ბილიგირირანგანს. ეს დაბალი მთები მთლიანად ტყეს დაუფარავს, სადაც ჭარბობს ფინიკის ველური პალმები. მათ შორის ხარობს ათი ფუტი სიმაღლის „ვეფხვისბალახა". წლის შუა პერიოდში პალმებზე მწიფდება ყვითელი, გამოფიტული და სრულიად უგემური ფინიკი, რომელიც ფრინველებისა და მხეცების საყვარელი საჭმელია.

ადგილმდებარეობის ტოპოგრაფია, მცენარეულობისა და ფინიკების სიუხვე აქ იზიდავს ბიზონებს, სამბარებსა და დათვებს.

მთის ორ ქედს შუა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გადაჭიმულია დაბლობი, რომლის ერთ მხარეზე კოლეგალიდან დიმბუმისაკენ მიიკლაკნება ერთადართი გზა. ის გადის გედესალსა და ამავე სახელწოდების ბუნგალოს შორის.

ეს სახლი არაჩვეულებრივად დიდია სატყეოს ბუნგალოსათვის, აქვს მთელი რიგი მიდგმული ნაგებობანი, რომლებშიც ცხოვრობენ სატყეო სამმართველოს მუშები. სახლის ირგვლივ ვეებერთელა შემოღობილ ნაკვეთში დარგულია მთის მშვენიერი ყვავილები, რომელთა დიდრონი თანაყვავილედი თაიგულს მოგაგონებთ.

ბუნგალოდან სამხრეთით მდებარეობს ჭაობიანი დაბლობი, პატარა წყალსატევით, რომლის წყალობით იქ ქორფა მწვანე ბალახი ხარობს. დაბლობში ყოველთვის ბალახობს ხალებიანი ირმის ჯოგი. უკანასკნელად რომ ჩავედი ამ მხარეში, ჯოგს წინამძღოლობდა საუცხოო რქებიანი საკმაოდ მსხვილი ირემი. მის მუქ ყავისფერ, თითქმის შავ ზურგზე მკვეთრად გამოირჩეოდა თეთრი წინწკლები.

ვიმედოვნებ, რომ არც ერთი მონადირე, ადამიანი იქნება ის თუ მხეცი, არ მოკლავდა მას და იგი დღესაც დაეხეტება თავის „ჰარამხანით" გრილ ტენიან ხეობაში, ისეთივე ლაღი და ზვიადი, როგორიც ჯუნგლებია, რომელმაც მას ძუძუ აწოვა.

გზიდან აღმოსავლეთით პატარა მთები და დასავლეთით მთაგრეხილის ძირას მდებარე ღრმა ხეობა მრავალრიცხოვანი ბიზონის ჯოგის საძოვარს წარმოადგენს. ხეობაში მიედინება

საკმაოდ დიდი მდინარე, რომლის მასაზრდოებელი შენაკადები ალაგ-ალაგ კვეთენ გზას. ეს, ყველაზე ცხელ თვეებშიც კი დაუშრეტელი წყალსატევი, იზიდავს ცხოველებს.

ბიზონების ჯოგში ოცდან ორმოცამდე, და ზოგჯერ მეტი სულია. თითოეულში შედის ძროხები, ხბოები და ექვსი მოზრდილი ხარი. ყველაზე ძლიერი ხარი ბრძოლით მოიპოვებს ბოლმე წინამძღოლის უფლებას, სანამ მას არ დაძლევს უფრო ახალგაზრდა და ენერგიული ხარი, ანდა არ დაიღუპება ჯუნგლებში. ხდება ისეც, რომ წინამძღოლი სტოვებს ჯოგს და იწყებს განმარტოებულ არსებობას.

ბიზონები ავადდებიან ისეთი ავადმყოფობით, როგორიცაა ჭირი. ეს სენი მათგან ხშირად გადადის შინაურ პირუტყვზე, რომელსაც შოლაგას ტომი საბალახოდ მიდენის ჯუნგლებში. ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, თუ გედესალის ახლო წააწყდებით თურქულით დაავადებულ ბიზონს, ანდა სვავებს თუ გაჰყვებით და აღმოაჩენთ ამ საშინელი სენით დაღუპულ ცხოველის ლეშს.

დიდი ბიზონი, რომლის შესახებაც მინდა გიამბოთ, გახლდათ დაახლოებით ოცდაათი სულისაგან შემდგარი ჯოგის წინამძღოლი. ხშირად ვხვდებოდი მას დილაადრიან, როცა ცის ნამი ჯერ კიდევ ამომავალი მზის სხივებზე ელვარებდა ან საღამოს, დაახლოებით ექვსის ნახევარზე, გზის მახლობლად ოცდაცხრამეტი და ორმოცდაერთი მილის აღმნიშვნელ სასამნე ქვებს შორის. ადვილი საცნობი იყო ძლიერ დეფორმირებული შიგნით შებრუნებული მარცხენა რქით.

შესაძლოა, რომ სწორედ ამ ნაკლს უნდა უმადლოდეს ბებერი ბიზონი თავის დღეგრძელობას: მისი თავი დიდი ღირებულების ნადავლს არ წარმოადგენდა, თუმცა მარჯვენა რქა საუცხოო მოყვანილობისა ჰქონდა. მართალია, ზოგიერთ მონადირეს, ან იშვიათი ნივთების კოლექციონერს შეუძლია შეაფასოს ბებერი ბიზონის თავი როგორც იშვიათი ეგზემპლარი, მაგრამ, როგორც ჩანს, მას ბედი წყალობდა და ამდენხანს არ შეხვედრია უცნაურობათა ასეთ მოყვარულს.

ბრძოლებში დეფორმირებული რქა ფასდაუდებელ იარაღს წარმოადგენდა: მისი პატრონი იმავე უპირატესობით სარგებლობდა, როგორითაც მარტორქა — თუ ეს მითიური ცხოვე-

ლი ოდესმე არსებობდა, — და შეეძლო მოწინააღმდეგის გაფატვრა ან განგმირვა.

ხშირად ბნელ ღამეში კოლეგალიდან გზაზე გავლის დროს თავის გასართობად გზის ხან ერთ ნაპირს ვანათებდი ფარებით, ხან მეორე ნაპირს. ორ-თუ სამგზის შუქი აირეკლებოდა ხოლმე ბიზონის დიდრონ ცისფერ თვალებში. კარგად რომ დავაკვირდებოდი ვცნობდი ბებერ ხარს.

ეს ვეტერანი პირველად ვნახე რამდენიმე წლის წინ, როცა ბილიგირირანგანის დამრეც ფერდობზე დავეხეტებოდი. მთავარი შარაგზიდან დასავლეთით განშტოებული გზა ჩაუვლის გედესალს, გადაკვეთს ნაკადულს, ადის მთაგრეხილის ღრმულზე, სადაც უჩინარდება და მეორე მხრიდან ეშვება ხევში. ბოლოს გზას მივყევართ ცნობილი მონადირის, მსხვილ ცხოველებსა და ნადირობაზე საინტერესო წერილების ავტორის მორისის ჩინებულ ბუნგალოსკენ.

ღრმულიდან კარგა მოშორებით დგას ლიცენზიის მქონე მოსამსახურეთა და მონადირეთათვის სატყეოს მიერ ასაწყობ კონსტრუქციებისაგან აგებული სახლი. სახლში ინახებოდა ვენახის ლერწმისაგან მოწნული კიბე. ვიღაც კეთილ ადამიანს გაეკეთებინა ეს იმათთვის, ვისაც არ შეეძლო ხეებზე აცოცება და უმისოდ მაჰანში შესვლა.

იმ დილას სახლს ჩავუარე და მთის მწვერვალს ვუახლოვდებოდი, რომ ერთბაშად გავიგონე დარტყმის ხმა, გამძვინვარებული ქშენა, რასაც მოჰყვა მძიმე სხეულთა ზღართანი; ეს მოწმობდა იმას, რომ სადღაც მახლობლად ბიზონები ჩხუბობენ. მეც სასწრაფოდ გავეშურე იქით, ვცდილობდი შეუმჩნევლად მივახლოვებოდი.

მალე ქვევით, ხევში, ჩემგან დაახლოებით სამას იარდზე დავინახე ორი გამძვინვარებული ბიზონის სასტიკი ჭიდილი. თავებით ისე მაგრად დასჯახებოდნენ, რომ რქები ერთმანეთში ჰქონდათ გადახლართული, ცდილობდნენ ერთიმეორე გადაეჩეხათ. ფართოდ გადგმული, დაჭიმული ფეხები მეტყველებდა იმ ძალაზე, რომელსაც თითოეული მათგანი ხარჯავდა მტრის დასათრგუნავად. დროგამოშვებით ხან ერთი და ხან მეორე ცოტა ხნით ითავისუფლებდა თავსა და რქებს და სწრაფად

ურტყამდა მოწინააღმდეგეს. ვიდრე ის სამაგიერო დარტყმით უპასუხებდა, მათი რქები კვლავ გადაიხლართებოდნენ ხოლმე.

აი, მაშინ შევამჩნიე, რომ ერთ ბიზონს საოცარი ფორმა რქა აძლევს უპირატესობას მტერზე.

თავაწყვეტილი ბრძოლა კიდევ ოც წუთს გრძელდებოდა. შემდეგ მოჩხუბრები დაიქანცნენ და შეტევის ტემპი თანდათან შენელდა. ქშენა ხროტინით შეიცვალა, ცხოველების ფერდები ოფლითა და სისხლით დაიფარა, რაც ნათლად ჩანდა შორიდანაც. ხარებს პირიდან ქაფი მოდიოდათ და ტანზე ეშხეფებოდათ.

ბიზონების ბრძოლა არასდროს არ მენახა და ძალიან მინდოდა გამეგო, რით დამთავრდებოდა. საბედნიეროდ, ქარი ჩემსკენ ქროდა და მოწინააღმდეგენი ისე იბრძოდნენ, თითქოს მარტონი ყოფილიყვნენ.

ჩანდა, რომ უპირატესობა რქადაბრეცილი ხარის მხარეზე იყო. მისი მტერი სისხლისაგან იცლებოდა და უკან იწევდა.

მართალია, მან თვითონაც მიაყენა რამდენიმე საპასუხო დარტყმა, მაგრამ ცხადი იყო, რომ დეფორმირებული რქა უზრუნველყოფდა მისი მფლობელის უპირატესობას. ათი წუთიც და მძიმედ დაჭრილმა ცხოველმა წაიბორძიკა. რამდენჯერმე დაეცა მუხლებზე. მტერი განუწყვეტლივ სცემდა რქას სხეულში. ბოლოს ბიზონმა ველარ გაუძლო და ბარბაცით გაიქცა. მაგრამ გამარჯვებული არ ცხრებოდა. ვხედავდი, როგორ მისდევდა თავის მოწინააღმდეგეს და რქენდა, ვიდრე ორივენი ხევის გარშემო ატეხილ ჯუნგლებში არ მიიმალნენ.

ცნობისმოყვარეობამ მძლია და ბრძოლის ველისაკენ გავქანდი. ჩლიქებისაგან აჩიჩქნილი მიწა დაახლოებით ოცი იარდის მანძილზე სისხლისა და ქაფის ლაქებით იყო დაფარული.

საკმაოდ დიდი დრო გავიდა, სანამ დავინახავდი ჩემს ბიზონს. ეს მოხდა საღამოს ტბორის ახლო, რომელიც მეოთხედ მილზე მდებარეობს ორმოცდაერთი მილის აღმნიშვნელი სვეტიდან. ვეფხვს დაეგლიჯა გედესალის ჯოგიდან ორი ცხოველი. გლეხებმა მაცნობეს, რამდენჯერმე დავინახეთ ის საღამოს განაკაფზე ტბორის მახლობლადო.

დაახლოებით ხუთის ნახევრიდან დავეხეტებოდი წყალსატევის ნაპირზე. მინდოდა გამეგო, რომელი მხეცები მოდიოდნენ აქ. ნაკვალევის მიხედვით, აქ უნდა ყოფილიყვნენ ცოტა ხნის წინათ სპილო, ბიზონი, სამბარი, ხალებიანი ირემი და გარეული ღორები. ჩანდა, რამდენჯერმე ვეფხვიც მოვიდა. უკანასკნელად — სამი დღის წინათ ჩემს მისვლამდე. ბიზონის ნაკვალევი, როგორც ჩანს, ეკუთვნოდა დიდ ხარს, იმდენად მძიმეს, რომ ის თითქმის ერთი ფუტით ჩაფლულიყო ნაპირზე ჭანჭრობში. ნაკვალევი ბევრ ადგილას მოჩანდა — ეტყობა, ბიზონი აქაურობის ხშირი სტუმარი იყო. ამან გამაოცა: იქვე მახლობლად ხომ მდინარე ჩამოდიოდა, სადაც მას შეეძლო წყურვილის მოკვლა.

ჩემ თანხმლებ შოლაგას ვკითხე, ხომ არ იცი რაიმე ამ ცხოველის შესახებ-მეთქი. ვიცი, — მიპასუხა, — მეცა და სოფლის სხვა მცხოვრებლებსაც ბევრჯერ გვინახავს ბიზონი წინ გამოშვერილი წამახული მარცხენა რქითო... მეხსიერებაში უმალვე წარმომიდგა დაუვიწყარი ბრძოლის სურათი, რომლის მოწმეც მე გახლდით. გავიფიქრე და გადავწყვიტე, რომ ჩემ წინაა მაშინდელი გამარჯვებული ხარის ნაკვალევი, რადგან რქის ასეთი დეფორმაცია ძალზე იშვიათია.

შოლაგამ მითხრა, ბიზონი ხშირად მოდის ტბორთანო. მას თურმე ჯოგი ტბორის მახლობელ დაბლობში დაჰყავს საბალახოდ, სადაც არაჩვეულებრივი ქორფა ბალახი ხარობს. შოლაგამ შემომთავაზა, წავსულიყავი მასთან ერთად ტყეში სახეტიალოდ. თუ ბედმა გაგვიღიმა, შესაძლოა მარტო ბიზონს კი არა, ვეფხვსაც შევხვდეთო.

მაშინ მაინტერესებდა არა ბიზონი, არამედ ვეფხვი, და სწორედ ის მქონდა მხედველობაში, რომ დავთანხმდი. თანაც ბიზონთან მიპარვა ძნელია, ამ საქმის წარმატება დამოკიდებულია ქარის მიმართულებაზე, ადგილის რელიეფსა და ბუნებრივ საფარზე.

და აი გავუდექით სამონადირო ბილიკებს და პირუტყვის მიერ გატკეპნილ გზებს განაკაფზე... მახსოვს, ვიწრო ბილიკებზე მივდიოდით, როცა ჩვენგან ოცდაათ იარდზე გამოჩნდა თავი და მხრები ვეებერთელა ბიზონისა. ის გვათვალიერებდა

დიდსულოვნად, სრულიად უშიშრად. ეს იყო ძველი ნაცნობი რქადაბრეცილი მარტორქის მსგავსი ბიზონი.

იგი უშიშრად იდგა და გვიყურებდა. ჩვენ მივუახლოვდით კიდევ ათი იარდით. მხოლოდ მაშინ შებრუნდა, გაიშლიგინა ლელიანში და გაუჩინარდა.

ამის შემდეგ კვლავ რამდენჯერმე შევხვდი დიდ ბიზონს, მაგრამ ჩემი სიმპათია მან ერთი შემთხვევის გამო დაიმსახურა.

უცნობ მონადირე ბრაკონიერს ფური ბიზონი მოეკლა. გონს მოსვლაც ვერ მოესწრო, რომ ბიზონი დატაკებოდა და ფერდობიდან გადაეგდო მისი მანქანა, საბედნიეროდ, ბიზონმა თურმე არ გაიმეორა თავდასხმა, და ბრაკონიერი გადარჩა იმით, რომ მხოლოდ ფეხი დაიშავა და თოფი დაემსხვრა. მანქანაში გვერდით მჯდომმა ერთმა შოლაგამ კარგად დაინახა ცხოველის დეფორმირებული მარცხენა რქა.

ამ შემთხვევის შესახებ რამდენიმე თვის შემდეგ შევიტყვე და კმაყოფილი ვიყავი, რომ ბებერმა ბიზონმა ასე ღირსეულად გამოიჩინა თავი, ცხადია, თავისი ცხოველური ჭკუით დარწმუნებული იყო, რომ რაკი მანქანა გადააგდო, ამით მტერი საბოლოოდ გაანადგურა. ამ ადგილას რომ ფერდობი არ ყოფილიყო, ის ნამდვილად გააგრძელებდა შეტევებს, აღმოაჩენდა მანქანაში ხალხს და ყველას მოსპობდა.

1953 წლის ნოემბერში დიმბუმში მივდიოდი და გავიარე გედესალის ახლოს. გზიდან მოშორებით დავინახე მაღალი ფიგურა. ახლოს რომ მივედი, ვიცანი შოლაგა რაჩენი, რომელსაც ჩვეულებრივ ვქირაობდი ხოლმე როცა გედესალის ბუნგალოში ჩამოვდიოდი. მანქანა გავაჩერე და თამილურად მივესალმე, ვკითხე ახალი რა არის-მეთქი.

რაჩენმა მიამბო, რომ გუშინწინ ღამით სოფლის მცხოვრებლებს ვეფხვსა და რომელიღაც ცხოველს შორის ჯუნგლებში მომხდარი საშინელი ბრძოლის ხმები გაეგონათ. მძაფრი და ხანგრძლივი ბრძოლა — ის, როგორც ჩანდა, საათობით გრძელდებოდა — მოწმობდა, რომ ვეფხვის მტერი არ შეიძლებოდა ყოფილიყო გარეული ტახი — საშუალო ზომის ერთადერთი ცხოველი, რომელიც ბედავს ვეფხვთან ორთაბრძოლაში შებმას. ვარაუდით ეს უნდა ყოფილიყო სპილო... მაგრამ მა-

შინ უნდა გაეგონათ საყვირისებური ღრიალი, რომელსაც ის ბრძოლისა და გაჭირვების ჟამს გამოსცემს ხოლმე.

- გვიან ღამით ბრძოლის ხმები თანდათან მიწყდა, მაგრამ ვეფხვის ხმამაღალ ღრიალზე გლეხები მიხვდნენ, რომ ის მძიმედ იყო დაჭრილი.

დილით ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი სოფლის მცხოვრებლები წავიდნენ დასაზვერად და საშინელი ბრძოლის სურათს წააწყდნენ. ბუჩქები და წვრილი ხეები ძირფესვიანად იყო მოთხრილი და მიწაში ჩატკეპნილი.

- იქვე ეგდო ვეფხვის ლეში, მრავალ ადგილას გაფატრული რქებით და გათელილი ბიზონის ჩლიქებით. გლეხებმა დაუყოვნებლივ გაატყავეს ვეფხვი და წაიღეს სოფელში. -

მინდოდა თვითონ მენახა ბრძოლის ადგილი. რაჩენი მანქანაში ჩავისვი. ჯერ შევიარეთ გედესალში. ვეფხვის ტყავი მიწაში ჩასობილ პალოებზე გადაეჭიმათ გასაშრობად. ზედ უხვად ნაცარი მოეყარათ. ამ ერთადერთი საშუალებით ინახავს შოლაგას ტომი ტყავს, რადგან არ გააჩნიათ მარილი.

ვეფხვი საკმაოდ დიდი აღმოჩნდა. ტყავის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბიზონს მისთვის ღრმა ჭრილობები მიეყენებინა. მძლავრი რქებით იგი არა ნაკლებ ხუთ ადგილას იყო გაგლეჯილი. ერთ-ერთ დარტყმას ვეფხვისთვის გული გაეგმირა და ეს საბედისწერო აღმოჩნდა.

მე უფრო მეტად დამაინტერესა „ბრძოლის ველმა". გადმოვედი მანქანიდან და, გლეხებით გაშრშემორტყმული, გავეშურე ადგილისაკენ. სავალი დიდი არ იყო, ნახევარ მილზე მეტი არ იქნებოდა.

„ბრძოლის ველი" — ეს ყველაზე შესაფერი გამოთქმაა ამ ადგილის დასახასიათებლად, — თავისი შესახედაობით ადასტურებდა, რომ აქ ტიტანები შებმოდნენ ერთმანეთს. გათელილი ბუჩქები და ბალახი დალეკერტებული სისხლით იყო დაფარული. როგორც ჩანდა, ბიზონიც მძიმედ იყო დაჭრილი. და აი, თავში მომივიდა აზრი, გავყოლოდი მის ნაკვალევს, რომ მენახა სადმე ჯუნგლებში მომაკვდავი, ან უკვე მკვდარი. ასეთ მდგომარეობაში ის შორს ვერ წავიდოდა.

ბიზონს ფართო სისხლიანი ზოლი დაეტოვებინა. ამ ზოლზე გაყოლა ადვილად შეეძლო ახალბედა მონადირესაც კი. მაშასა-

დამე ის ბორცვიდან დაეშვა, მდინარისაკენ გაემართა და დარ-
წმუნებული ვიყავი, რომ ნაპირზე წავაწყდებოდი მის ლეშს.

გავსწიეთ, თავი არ შეგვიწუხებია სიჩუმის დაცვით. საათ-
ნახევარი ვიარეთ ასე, სანამ არ დავინახეთ ბიზონი. ის იდგა
წყალმარჩხობში და, ვეებერთელა ხეს მიყრდნობილი, ისვენე-
ბდა. დინების ხმაური ფარავდა ჩვენი ფეხის ხმას, და მოვას-
წარით დამალვა, ვიდრე ცხოველი თავს მოაბრუნებდა ჩვენ-
საკენ.

ეს იყო მრუდერქიანი დიდი ბიზონი გედესალიდან. გარ-
კვევით დავინახეთ ვეფხვის კბილებისა და ბრჭყალებისაგან
მიყენებული საშინელი ჭრილობები დრუნჩზე, კისერზე, ფერ-
დებსა და გავაზე. მას მუცელიც კი გაფატრული ჰქონდა და
იქედან რაღაც წითელი იყო გადმოკიდებული. ის ჩრდილში
იდგა და ვერ გავარჩიე შიგნეულობა იყო ეს თუ უბრალო
ტყავის ნაგლეჯი. მისი თვალები თუმცა ტანჯვას გამოხატავდა,
მაინც არ იყო ამღვრეული და მათში შიშის ნატამალსაც ვერ
დაინახავდით.

მინდოდა მომეკლა ბიზონი, რომ გამეთავისუფლებინა
ტანჯვისაგან, მაგრამ ხელი ვერ აღვმართე მასზე იმ ბრწყინ-
ვალე გამარჯვების შემდეგ, რომელიც ასეთი საშინელი
პრძოლით მოიპოვა. მაგრამ, რასაკვირველია, დარწმუნებული
ვიყავი, რომ მას ვეღარ შევხვდებოდი.

სულ ცოტა ხნის წინათ კვლავ ჩავედი გედესალში და
წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება და სიხარული, როცა ერთ საღა-
მოს დავინახე დიდი ბიზონი თავისი ჯოგით მის საყვარელ
ადგილას, ორმოცდაერთი მილის აღმოსავლეთ სამანის მახლობ-
ლად, სადაც ტბორის ირგვლივ მაღალი ქორფა ბალახი ხარობს.

დღეგრძელი იყოს ის, ჯუნგლების სახელოვანი შვილი.

თავი მეორე

გრძელფაფრიანი ვეფხვი ჩორდიდან

ეს არის მოთხრობა ძალზე მსხვილ ვეფხვზე, რომელიც თავზარს სცემდა იმ არემარეს, უფრო ზუსტად, იმ ადგილის მცხოვრებთ, სადაც ბინადრობდა. მეტად გაძნელდა მისი კვალის მიგნება და მოკვლა.

სამონადირო მოთხრობის ავტორი ჩვეულებრივ ცდილობს დააინტერესოს მკითხველი სიძნელეთა აღწერით, და ბოლოს ყოველივე ეს დევნილი მხეცის მოკვლით მთავრდება. ვშიშობ, მკითხველი არ გადავღალო, რადგან ბევრი გაცრუებული იმედის გამო ის დუმს. მაგრამ მარტოოდენ გამარჯვებათა აღწერა ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს კაციჭამიაზე ნადირობა—ვეფხვი იქნება ის, თუ ავაზა—ყოველთვის წარმატებით მთავრდებოდეს, თითქოს სრულიადაც არ იყოს ძნელი და მოითხოვდეს შედარებით მცირე დროს—სულ ცოტა, რამდენიმე დღეს.

სინამდვილეში ეს ასე როდია. წარუმატებლობა ძალიან ხშირია. მონადირე განუზომელ მორალურ და ფიზიკურ ძალას ხარჯავს, მხეცის დევნა კი ხშირად თვეობით და წლობით გრძელდება. ზოგჯერ მოკვლა მაინც არ ხერხდება.

მინდა გიამბოთ ერთ ნადირობაზე, რომელიც ხუთ ხანგრძლივ და მომქანცველ წელიწადს გრძელდებოდა, თუმცა, რასაკვირველია, ამ ხნის მანძილზე მხეცს ეძებდნენ შიგადაშიგ შესვენებებით. ჩემ გარდა, ამ ცხოველის მიკვლევას ცდილობდნენ სხვა მონადირეებიც ბანგალურიდან და ბომბეიდან, რომ არაფერი ვთქვათ ადგილობრივ ნებროთებზე*. და ამ ხუთი წლის მანძილზე ჩვენი გულმოდგინეობა მუდამ წარუმატებლობით მთავრდებოდა.

ამ ვეფხვს გრძელფაფრიანი შეარქვეს იმიტომ, რომ არაჩვეულებრივი საუცხოო ბალანი წრიულად უფარავდა ყელსა და ქვედა ყბას. მეტად ხშირი ბალნის გამო მისი თავი იმდენად დიდი გეჩვენებოდათ , რომ ვეფხვის მნახველი ადამიანები, როცა სურდათ მისი გამოსახვა, ხელებს განზე შლიდნენ. თუმცა ის ადამიანები, რომლებიც შეხვედროდნენ ვეფხვს და შეეძლოთ რაიმე ეამბათ მის შესახებ, მეტად ცოტანი იყვნენ ცოცხლები.

თავდაპირველად ის, როგორც ჩანს, ბინადრობდა სოფელ ჩორდის მიდამოებში. პირველად იქ ნახეს, სადაც პირველად მოკლა ადამიანი.

ჩორდი პატარა სოფელია ჯუნგლებში, მდებარეობს გზასთან, დაახლოებით ოთხ მილზე დაბლა ქუმსიდან, რომელიც თექვსმეტი მილითაა დაშორებული შიმოგადან, იმავე სახელწოდების ოლქის ცენტრიდან მაისურის შტატში. შიმოგადან ბანგალურამდე ას სამოცდათორმეტი მილია.

ჩორდიდან ცხრა მილის მოშორებით ბანგალურის გზაზე გაშენებულია სოფელი ანანტაპურამი, ხოლო მისგან თერთმეტ მილზე მდებარეობს ქალაქი საგარი. შემდეგ გზა უკან მოიტოვებს სოფელ ტალგუპუს და აღწევს გორსოპის ანუ ჯოგის ცნობილ წყალვარდნილამდე, სადაც მდინარე შირვატი ოთხ ნაკადად ვარდება ცხრაას ორმოცდაათი ფუტის სიმაღლიდან. ეს დაუვიწყარი სანახაობა აღტაცებისა და მოწიწების გრძნობას იწვევს ყველაზე გულქვა ადამიანებშიც კი.

წყალვარდნილების მწვერვალთან მოგზაურთათვის აგებუ-

---

* ბიბლიური მამაცი მონადირის სახელია, რომელიც ზოგად სახელად იქცა.

ლია ორი ბუნგალო. ის, რომელიც მდინარე შირავატის ნაპირზეა, შედის მაისურის შტატში და მაისურის სახელწოდებაც მიიღო. მოპირდაპირე ნაპირზე მდებარე მეორე ბუნგალო, რომელიც ბომბეის შტატში შედის, მისივე სახელწოდებით მონათლეს. ეს არის ძველი, განმარტოებული სახლი, სადაც იშვიათად ცხოვრობს ვინმე და სწორედ ამიტომ ვანიჭებ მას უპირატესობას.

ვეფხვის პირველ თავდასხმებს, უთუოდ, უსწრებდა ცხოველის კაციჭამიად გადაქცევის ხელშემწყობი მოვლენები. ჩაკურატებული ჯოგი, რომელიც ბალახობდა შიმოგის დაცული ტყეების ტერიტორიაზე, მიზეზი გახლდათ იმისა, რომ ვეფხვმა თავი დაანება ჯუნგლებში თავის ბუნებრივ ნადავლზე ნადირობას. ძროხები ბევრი იყო, მათთან მიპარვა უფრო ადვილი იყო, ვიდრე გარეულ ცხოველებთან, და ვეფხვი თანდათან გახდა მწყემსების საშიში მტერი ჩორდის მიდამოებში.

თავდასხმები და მკვლელობა ერთიმეორეს მისდევდა, სანამ ბოლოს პირუტყვის პატრონებმა არ გადაწყვიტეს ზომების მიღება. ერთ ყოჩაღ გლეხს ტყეში ნახირი წაესხა საძოვარზე, თან წაეღო ფილთა თოფი, თუმცა სატყეო წესების თანახმად მას ეკრძალებოდა ტყეში ცეცხლმსროლელი იარაღის წაღება, თუ კი სპეციალური ლიცენზია არ ჰქონდა ნადირობაზე მიცემული.

თითქოს ჯიბრზე, იმ დღეს გრძელფაფრიანმა ვეფხვმა თავდასასხმელად სწორედ ეს ჯოგი აირჩია, ხეს ამოფარებულმა გლეხმა ესროლა თოფი და მსხვილი საფანტით მძიმედ დასჭრა მხეცი მარჯვენა ფერდში. რამდენიმე ხნით ვეფხვი გაქრა ჩორდის მიდამოებიდან, და პირუტყვის პატრონები მადლობელი იყვნენ გლეხისა, რომ მან იხსნა ისინი განსაცდელისაგან.

მაგრამ გრძელფაფრიანი ვეფხვი მალე გამოჩნდა ბუჩქნართან ჯუნგლებში ანანტაპურამის საზღვართან. ფერდში მიყენებული ჭრილობა ხელს არ უშლიდა და კვლავინდებურად ნადირობდა დაცულ ზონაში მობალახე პირუტყვზე.

გლეხებმა კვლავ გადაწყვიტეს თავი დაეხსნათ შეუპოვარი მტაცებლისაგან. დაუდარაჯდნენ მაშინ, როცა ის უახლოვდებოდა დღისით მოკლული ძროხის ლეშს და დაჭრეს მეორედ, ამჯერად მარჯვენა წინა თათში.

მეორე ტყვიამ ვეფხვს ძვალი დაუმსხვრია. ის მორჩა, მაგრამ დასახიჩრებული თათი დაუმოკლდა. ვეფხვს უკვე აღარ შეეძლო შეუმჩნევლად და ჩუმად მიპარვოდა ცხოველს, წაექცია მიწაზე და გადაემსხვრია მისთვის კისერი, ან შეეჩერებინა დაჭერილი ნადავლი. შინაური ცხოველებიც კი გრძნობდნენ ვეფხვის მიახლოებას და გარბოდნენ. თუ თავს დაესხმოდა ჰათ, ისინი ძირს აგდებდნენ.

ვეფხვი შეაწუხა შიმშილმა, ფერდები ჩაუვარდა. და დიდი, გრძელფაფრიანი ვეფხვი იძულებული გახდა ვირთხებზე ენადირა, მაგრამ ზოგჯერ ისინიც ცარიელზე ტოვებდნენ მას.

მხოლოდ გუბის ბაყაყები, ჯავშნიანი კიბორჩხალები და ადამიანები ვერ მოძრაობდნენ ისე სწრაფად, რომ თავი დაეღწიათ ვეფხვისაგან. აუტანელმა მდგომარეობამ აიძულა ვეფხვი ეღალატა თავისი ჩვევებისათვის და დაეწყო ადამიანის ხორცით კვება.

ვეფხვის შესახებ ცნობებს თანდათან ვაგროვებდი, მისი ჭრილობის ხასიათი კი გამოვიცანი რამდენიმე წლის შემდეგ, როცა მტაცებელი მოვკალი და ლეში დავათვალიერე.

ერთხელ ანანტაპურამში ავტობუსიდან ჩამოვიდა კაცი და ჯუნგლებზე გავლით გაეშურა პატარა სოფელში, რომელიც ვაჩერებიდან სამ მილზე მდებარეობს. შიმოგაში წასვლის წინ ცოლს უბრძანა—ხვალისთვის დროულად მოამზადე სადილი. რადგან შუადღისას აუცილებლად დავბრუნდებიო. საჭმელი მზად იყო, მაგრამ ის არ მოვიდა. ცოლი არ შეწუხებულა, რადგან იცოდა, რომ ინდოეთში, და განსაკუთრებით პატარა ქალაქებში, საქმეებს სწრაფად ვერ აგვარებს კაცი. აღმოსავლეთში დროს დიდად არ აფასებენ, ან თუ აფასებენ, ძალიან უმნიშვნელოდ.

იგი არ დაბრუნებულა არც საღამოს და არც მეორე დღეს. მესამე დღეს უფროსი შვილი გაემგზავრა შიმოგაში იმის შესატყობად, თუ რამ დააყოვნა მამამისი. გამოირკვა, რომ ის სამი დღის წინათ წამოსულიყო სახლში.

ამ ამბავს კვლავ არავინ შეუშფოთებია. ნათესავებმა გადაწყვიტეს, რომ ოჯახის უფროსი წასულია უფრო დიდ ადმინისტრაციულ ცენტრში, საგარში. მაგრამ გავიდა კიდევ ხუთი დღე. კვლავ არავითარი ცნობები არ იყო, მხოლოდ მაშინ ასტეხა

ოჯახმა განგაში. პოლიციამ დაიწყო ძებნა, და გზისპირას ბუჩქებში იპოვეს ცალი ფეხსაცმელი.

ნათესავებმა იცნეს დაკარგულის ფეხსაცმელი და ამან ეჭვი აღძრა, რომ მას თავს დაესხნენ ყაჩაღები. პოლიციის უბანში დაკითხეს რამდენიმე საეჭვო პირს, მაგრამ მათ დაამტკიცეს, რომ არავითარი ბრალი არ მიუძღოდათ ამ საქმეში.

პოლიცია გულმოდგინედ შეუდგა ძებნას. აღმოაჩინეს ტანსაცმლის ნაფლეთები, სისხლის შემხმარი ლაქები ხის ტოტებზე, ბუჩქებზე და ამომშრალი კალაპოტის გასწვრივ ვეფხვის ნაკვალევი. მაგრამ ეს ნაკვალევი ამ არემარეში იშვიათი არ იყო და ადამიანის გაქრობის საიდუმლოება კვლავ საიდუმლოდ დარჩა.

ოთხი დღის წინ — ღამით ქუმსიდან ველოსიპედისტი მიდიოდა. ჩორდიდან ნახევარ მილზე გზას ჰკვეთდა მდინარე, რომელზეც გადებული იყო კირქვისაგან გაკეთებული მოაჯირებიანი ხიდი. ხიდზე გავლისას ველოსიპედისტმა ძირს გადაიხედა და დაინახა ვეფხვი, რომელიც წყალს სვამდა. ის ისეთ მანძილზე იყო ცხოველიდან, რომ საფრთხე არ მოელოდა, ამიტომ დაამუხრუჭა ველოსიპედი, ფეხით მოაჯირს მიებჯინა და დაუწყო თვალთვალი ვეფხვს.

ვეფხვმა დალია წყალი, შემობრუნდა და დაიწყო ნაპირზე ამოსვლა. კიდევ რამდენიმე წუთი და ის გაუჩინარდებოდა ჯაგნარში. მაშინ ველოსიპედისტმა ხუმრობით წამოიყვირა „შუ — შუ". ვეფხვი შედგა, მიმოიხედა და გაჯავრებულმა დაიღრინა.

ველოსიპედისტმა სწრაფად ჩამოდგა ფეხი მოაჯირიდან და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოკურცხლა ჩორდისაკენ. იქ მან აცნობა მეგობრებს, რომ შეხვდა საშინელ ვეფხვს, რომელიც ცდილობდა დასხმოდა თავს, და რომ ის მხოლოდ სასწაულით გადარჩა.

ერთი თვის შემდეგ მომხდარი პირველი მკვლელობა ეჭვს არ იწვევდა, თუ ვის მიერ იყო ჩადენილი ეს დანაშაული. ერთხელ დილაადრიან ქალმა სოფელ ტუპურიდან, რომელიც ჩორდსა და ანანტაპურამს შორის მდებარეობს, გადაწყვიტა კამეჩის დაბანა და მასთან ერთად ჩავიდა ნაკადულში, რომელიც სოფლის ახლო მიედინებოდა. ნაპირზე ჩამოჯდა და უყურებდა წყალში ყელამდე ჩამდგარ კამეჩს. გვერდით მეორე გლეხის

ქალმა წყალი აიღო და სახლისკენ მიმავალი გამოესაუბრა მეზობელს ორიოდე სიტყვით. ასი იარდიც არ ექნებოდა გავლილი, რომ გაიგონა გულგამგმირავი ყვირილი, და, შემობრუნებულმა დაინახა ვეფხვი, რომელსაც პირი ჩაევლო და ისე მიჰყავდა ცოტა ხნის წინათ მისი თანამოსაუბრე ქალი.

ვეფხვი მსხვერპლიანად მიიმალა ჯუნგლებში, ქალმა კი ვედრო დააგდო და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოკურცხლა სოფლისაკენ.

ამას მოჰყვა ადამიანთა ხშირი მკვლელობები. ბიუროკრატიული მანქანა ნელა მეშაობს, და დაცული ტყის ზონაში დიდხანს არ დაგვრთეს კაციჭამიაზე ნადირობის ნება. მაგრამ ამ შემთხვევის შემდეგ მასში მონაწილეობის მსურველთა რიცხვი განუწყვიტლივ იზრდებოდა. მათ შორის საპატიო ადგილი ეკავა ბომბეის* საპრეზიდენტოს. თუმცა რარიგ არ ეცადნენ, ყველაფერი ამაო გამოდგა. ვეფხვი ახლოს არ ეკარებოდა მისატყუარად გამოყენებულ ძროხებსა და კამეჩებს. ადამიანთა მკვლელობები კი გრძელდებოდა.

ჩემმა მეგობარმა ჯეკ ჰოგტონმა, რომელსაც ექვსი ფუტისა და ოთხი დუიმის სიმაღლის გამო „აყლაყუდას" უწოდებდნენ, გადაწყვიტა, ბედი ეცადა და მთხოვა, თან წავყოლოდი. თუ არ ვცდები, ეს იყო დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, რაც ვეფხვი გადაიქცა კაციჭამიად.

არ მახსოვს რატომ, პირველ ყოვლისა, ალბათ იმიტომ, რომ მე უკვე ვისარგებლე კუთვნილი შვებულებით და შემეძლო მხოლოდ ერთი კვირით გავყოლოდი ჯეკს. 1931 წლის ფორდის მოდელის მანქანით გავუდექით გზას, უკან კი ბანგალურში მატარებლით უნდა დავბრუნებულიყავი, რადგან ჯეკი ერთი თვით უნდა დარჩენილიყო ჯუნგლებში.

შიმოგაში შევჩერდით ნახევარი დღით, რომ ოლქის სატყეო სამმართველოში გამოგვერკვია იმ ადგილების, სახელწოდება, სადაც ადამიანებზე მოხდა თავდასხმები და დაგვედგინა თარიღები. ამ ცნობების დახმარებით ჩვენ ვვარაუდობდით დაგვედგინა ვეფხვის შემდგომი თავდასხმის ადგილი. როგორც ზემოთ

---

* კოლონიურ ინდოეთში ასე ეწოდებოდა ბენგალის, ბომბეისა და მადრასის სამ მთავარ პროვინციას.

აღვნიშნეთ, კაციჭამია ვეფხვი ჩვეულებისამებრ მიჰყვება განსაზღვრულ მარშრუტს.

რუკის შესწავლის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ვეფხვი მოქმედებდა გზიდან რამდენიმე მილის მოშორებით, ქალაქ ქუმსისა და მდინარე შირავატის მოპირდაპირე ნაპირს შორის. სადაც ბომბეის ბუნგალო მდებარეობდა.

ხშირი ტყით დაფარულ ამ რაიონში ბევრი სოფელია, რომლის მცხოვრებლები თითქმის მხოლოდ მეცხოველეობას მისდევენ. მტაცებლები აქ ყოველთვის ხოცავდნენ შინაურ ცხოველებს დიდი რაოდენობით, ამიტომ ძნელი დასადგენი იყო, ნადირობდა თუ არა ჩვენი ვეფხვი შინაურ ცხოველებზე. ჩვენ თითქმის დარწმუნებული ვიყავით, რომ ადამიანთა მკვლელობა ძალიან იშვიათად ხდებოდა, ვეფხვი ვერ იარსებებდა მარტოოდენ ადამიანის ხორცით. თუმცა ადგილობრივი მცხოვრებლები გვარწმუნებდნენ, კაციჭამია შინაურ ცხოველებს არ ეტანებაო.

აყლაყუდა გაჩერდა პატარა ბუნგალოში ტუპურიდან ნახევარი მილის მოშორებით. ეს იყო ლამაზი, კოპწია სახლი ჯუნგლებში, დაახლოებით ორასი იარდის მანძილზე გზიდან. ირგვლივ ატეხილი ტყე სავსე იყო გარეული ცხოველებით, განსაკუთრებით ხალებიანი ირმებით. იმ წელს ზოგიერთ ხარს შესანიშნავი რქები ჰქონდა, ჩვენ ბედმა გაგვიღიმა და შევხვდით რამდენიმე საუცხოო ეგზემპლარს.

აყლაყუდამ იყიდა მისატყუარი ცხოველები: ორი ზაქი და ძალზე ბებერი ხარი. ერთი ზაქი დავაბით მდინარის ახლოს, სადაც ვეფხვი ნახა ველოსიპედისტმა, ბებერი ხარი მივაბით ნაკადულთან, საიდანაც ვეფხვმა გაიტაცა ტუპურელი ქალი, ხოლო მეორე ზაქი წავიყვანეთ ბილიკზე ანანტაპურამის მახლობლად, რომელზეც უნდა გაეევლო სახლში მიმავალ უკვალოდ დაკარგულ გლეხს.

ამ სამზადისის დამთავრების შემდეგ გავემგზავრეთ მანქანით ჯოგის წყალვარდნილისაკენ და იქაც შევიძინეთ ორი კამეჩი, ერთი მივაბით დაახლოებით ნახევარ მილზე ბომბეის ბუნგალოდან, მეორე კი მდინარე შირავატის სამხრეთ ნაპირზე მაისურისა და ბომბეის ბუნგალოს შორის, ბორნის გაჩერებას-

თან. მდინარეზე გადასასვლელი დაახლოებით ერთი მილის მოშორებით იყო წყალვარდნილის ზემოთ.

ამგვარად, აყლაყუდამ იყიდა ხუთი მისატყუარი, და მახსოვს, ისინი მამასისხლად დაუჯდა. ჩვენ ვიკრიბებოდით ღამის გასათევად ხან ტუპურისა და ხან ბომბეის ბუნგალოსთან, რომ ყოველ დილას შეგვემოწმებინა სხვა მისატყუარი.

ყველა მკვლელობის თარიღის დადგენით (სულ მსუბუქერპლი იყო ცხრა), მივედი იმ დასკვნამდე, რომ ვეფხვი უნდა ყოფილიყო საგარსა და ანანტაპურამს შორის. მესამე დღეს მეც შევიძინე კამეჩი და მივაბი ამ ორ სოფელს შორის მდებარე შუა გზაზე, ფარლანგის დაშორებით მთავარი გზიდან.

ამ დღეს ღამე გავათიეთ ჯოგის წყალვარდნილთან, დილაადრიან დავათვალიერეთ მახლობლად მიბმული მისატყუარები და რადგან ორივე ცოცხალი დაგვხვდა, გავემართეთ ტუპურში. გზაში გადავწყვიტეთ გვენახა კამეჩი, რომელიც მე მივაბი წინა დღით. ის ვეფხვს მოეკლა.

რადგანაც ეს მისატყუარი ჩემი იყო, აყლაყუდამ ნამდვილ მონადირესავით დაიჟინა, სწორედ შენ უნდა სცადო ვეფხვის მოკვლაო. მე კი ვიცოდი, თუ ნადირობის როგორი მოყვარულია ის, ამიტომ არ დავთანხმდი. ჩვენ შორის ატყდა დავა, რომელიც ბოლოს და ბოლოს მონეტის ზევით აგდებით გადავჭერით. მოიგო აყლაყუდამ.

ის აცოცდა ხეზე და, როგორც იქნა ჩამოჯდა ტოტებზე. მე კი წავედი ტუპურის ბუნგალოში მაჰანისათვის. ეს იყო ბამბუკის უბრალო კვადრატული ჩარჩო, რომლის თითოეული მხარე დაახლოებით ოთხ ფუტამდე იქნებოდა და გამობმული ჰქონდა ფართო ნაკარული ლენტი*. მას კუთხეებში მიბმული ჰქონდა მსხვილი თოკისგან გაკეთებული რგოლები, რომლითაც მაჰანს ჰკიდებდნენ ხეზე. ტუპურიდან ჩამოვიყვანე სამი გლეხი, რომ დამხმარებოდნენ ხეზე მაჰანის მიმაგრებაში.

სანამ ისინი მაჰანის გარშემო ფუსფუსებდნენ, აყლაყუდას ჩასთვლიმა მანქანის უკანა საჯდომზე, ოთხ საათზე გავაღვიძე და იგი აცოცდა მაჰანში „პაწაწინა ბილით“, როგორც ის სიყვარულით ეძახდა თავის კოხტა რვამილიმეტრიან მაუზერის

---

* ფეხზე შემოსახვევი მიხაკისფერი ლენტი.

სისტემის თოფს, რომელიც ნიშანს არ აცდენდა. წარმატება ვუსურვე და წავიყვანე გლეხები ტუპურში, მე კი ღამის გასათევად ანანტაპურამში წავედი; იქიდან ახლო იყო მაჰანი, სადაც აყლაყუდა იჯდა. განთიადზე მივადექი ამ ადგილს და დავიყვირე. ეს იმას ნიშნავდა, რომ ყველაფერი რიგზეა.

გადმოვედი მანქანიდან და გავემართე აყლაყუდასაკენ, მაგრამ შუა გზაზე შევხვდით ერთმანეთს. მან მაცნობა, რომ მოკლა ვეფხვი, რომელიც დაბნელებისთანავე დაბრუნებულიყო.

მე ძალიან გამეხარდა აყლაყუდას წარმატება, თვითონ ხომ სიხარულისაგან ადგილს ვერ პოულობდა. გავსწიეთ ნადავლის სანახავად. ეს იყო ლამაზი მსხვილი ხვადი, რომლის მშვენიერ ტყავს გარკვევით აჩნდა ზოლები.

უმალვე თვალში მეცა, რომ ეს ჩვეულებრივი ვეფხვია, გრძელი ფაფრის გარეშე, რომელიც მთავრობის ოფიციალური ცნობით, კაციჭამიას განმასხვავებელი ნიშანი იყო. წარმატებით გაბრუებული აყლაყუდა ამას ვერ ამჩნევდა. მე კი არ მეყო გამბედაობა, მეთქვა მისთვის სიმართლე.

დიდი გაჭირვებით ჩავდეთ ვეფხვის ლეში მანქანაში. ანანტაპურამზე გავლის დროს აყლაყუდა შეჩერდა და გამოიტანა თავისი ნადავლი მოქალაქეთა საჩვენებლად და სწორედ აქ უმტყუნა ბედმა.

გაისმა შეძახილები:

— ჰო მაგრამ, ეს ხომ კაციჭამია არაა?

— როგორ თუ არ არის კაციჭამია? ! — აღშფოთდა აყლაყუდა. — აბა, ვინაა? ანდა რატომ გგონიათ, რომ კაციაჭამია არაა?

— სადა აქვს მას ფაფარი?

— ფაფარი? — თავდაპირველად აყლაყუდამ ვერაფერი გაიგო, შემდეგ მის თვალებში თითქოს რაღაც აზრმა გაიელვა. მან საყვედურით შემომხედა და თქვა, — ფაფარი სრულებით დამავიწყდა. როგორც ჩანს, სხვა ვეფხვი მომიკლავს: მაგრამ შენ ხომ იცოდი ამის შესახებ?

— დიახ, ვიცოდი აყლაყუდა. მაგრამ შენ ისე აღფრთოვანებული იყავი, რომ ვერ გაგიცრუე იმედი. პირველ რიგში მე ყურადღება მივაქციე იმას, რომ ამ ვეფხვს არა აქვს ფაფარი, შენ კი, რასაკვირველია, სხვა გზა არ გქონდა, უნდა მოგეკლა.

რომ ჩემს სიტყვებს მეტი დამაჯერებლობა ჰქონოდა, მყისვე დავუმატე:

— გარდა ამისა, ის სიბნელეში იდგა და ფარნის შუქზე არ შეგეძლო დაგენახა, ჰქონდა თუ არა ფაფარი. ყოველ შემთხვევაში ეს არის შესანიშნავი ეგზემპლარი, ასეთი ნადავლით შეიძლება იამაყო. გულს ნუ გაიტეხ მოხუცო.

მაგრამ აყლაყუდას დაწყნარება არც ისე იოლი იყო. ისეთ სადარდებელში ჩავარდა, რომ როცა ჩავედით ტუპურში. არავითარი ინტერესი არ გამოუჩენია ვეფხვის გატყავების დროს. ამაოდ ვცდილობდი მიმექცია აყლაყუდას ყურადღება ვეებერთელა ეშვებზე, ბრჭყალებსა და მშვენიერ მუქ ტყავზე. სავარძელში უხალისოდ ჩამჯდარი ერთსა და იმავეს იმეორებდა:

— მცოდნოდა, რომ ეს კაციჭამია არ იყო, არ ვესროდი საწყალ ცხოველს ტყვიას.

დღე იწურებოდა და საღამოს მოახლოებასთან ერთად უფრო და უფრო დანაღვლიანდა. ბოლოს მითხრა, თუ დილამდე არც ერთი მისატყუარი არ იქნა მოკლული, ბანგალურში დავბრუნდებიო.

მეორე დღეს ოდნავ ინათა თუ არა, ჩვენ უკვე ფეხზე ვიყავით. ტუპურის გარშემო დაბმული სამივე მისატყუარი ხელუხლებელი დაგვხვდა, და, შეთანხმების თანახმად, დავუბრუნეთ ისინი პატრონებს მეოთხედ ფასად. შემდეგ წავედით ჯოგის წყალვარდნილზე; იქაც ორივე კამეჩი ცოცხალი დაგვხვდა. ისინიც დავუბრუნეთ პატრონებს და დღის ბოლოს უკვე მივქროდით ბანგალურისაკენ.

დიდხანს ვეფხვზე ახალი არაფერი ისმოდა. ერთ წელზე მეტი გავიდა და გაზეთებში დაიბეჭდა ცნობა, რომ ქალაქ ქუმსის ახლოს, თითქმის გზის განაპირას, ვეფხვს დაეგლიჯა მენახშირე.

მე ვთხოვე შიმოგის ოლქის ტყისმცველს ტელეგრაფით ეცნობებინა შემდგომში მკვლელობათა შესახებ.

მაისურის შტატისა და ჩიტურის ოლქის დასავლეთ ნაწილისაგან განსხვავებით, შიმოგის ოლქში ტყე ენაცვლება მრავალხარისხოვან სოფლებს, რომელთა შორისაც გადაჭიმულია ძირითადად ბრინჯის ნათესები. იქ ტრანსპორტისა და ქვეითად

მოსიარულეთა უფრო გაცხოველებული მოძრაობაა, რაც ძალიან აძნელებდა ვეფხვის დევნას.

რა გასაოცარიც არ უნდა იყოს, შიმოგის ჯუნგლებში არ ცხოვრობენ ადგილობრივი ტომები. აქ მუშაობენ მხოლოდ ინდოეთის დასავლეთ სანაპიროდან მოსული კული-მალაიელები და რომლებიც ძალიან გვანან თავის დასავლელ თანამოძმეებს. ლამბანი ქალები ინდოეთის ძირითადი მოსახლეობისაგან გამოირჩევიან უფრო ღია ფერის სახის კანით და საუცხოო ტანსაცმლით. ისინი იცვამენ არა სარის, არამედ ფართო ქვედა კაბას, ორი ნაჭრისაგან შეკერილ ტანზე გამოყვანილ ჟაკეტებს და თავსა და მხრებზე წამოსასხამ შალს. ამ მორთულობას ავსებს ძვლის დიდი სამაჯურები, გულქანდები და ბეჭდები ცხვირზე, ყურებზე, ფეხებსა და ხელებზე.

ლამბანი მამაკაცები ქალებზე უფრო შავგვრემანები არიან, და როგორც ინდოეთის ბევრი სხვა მცხოვრები, ატარებენ დოლბანდს, ბარძაყებზე შემოსახვევს, ან მოკლე შარვლებს პერანგით. მუხლები და წვივები შიშველი აქვთ, ეკლებისაგან დასაცავად ფეხებზე აცვიათ უხეში სანდალიები.

სამხრეთ ინდოეთის ბოშა მამაკაცებსა და ქალებს შორის საერთოდ არავითარი გარეგნული მსგავსება არ არსებობს: უმეტესი ნაწილი ქალებისა ლამაზი და მომხიბვლელნი არიან, მამაკაცები კი — უხეშნი და ულამაზონი.

როგორც წესი, ლამბანები მომთაბარენი არიან, არ უყვართ ცხოვრება სოფლებში და ბინავდებიან გაშლილ ადგილას ჩალის მომცრო ფაცხებში.

ლამბანთა შორის ბევრი ლოთობს. ისინი ხდიან არაყს ბაბულის ხის ქერქისაგან, ბრინჯისაგან, ბანანისაგან, პალმის შაქრისა და აგრეთვე ჯამუნის ხის ნაყოფისაგან.

ამ ტომის ხალხი, განსაკუთრებით ქალები, მუშაობენ ყავისა და ფორთოხლების პლანტაციებში მაისურის დასავლეთ ნაწილში. მათ გარდა, აქ ქირაობენ მალაიელებს და დასავლეთ სანაპიროდან მოპლებს*, მაგრამ ისინი, როგორც მუშები, უვარგისნი არიან. მჭიდროდ არიან დაკავშირებული თავის

* ასე უწოდებენ კერალის შტატში დასახლებულ მალაიელებს, ადგილობრივ მუსულმანებს.

მშობლიურ სადგომებთან, რომლებიც ქოქოსის პალმებს, ჭაობებსა და მდინარეთა შორის აქვთ აგებული. სამრეწველო საწარმოთა უქონლობა აიძულებს მათ გამოვიდნენ საშოვარზე, მაგრამ დააგროვებენ თუ არა მცირე თანხას (ლამბანებისაგან განსხვავებით ისინი ძალიან მომჭირნენი არიან), უმალვე ბრუნდებიან საშშობლოში, რომ რამდენიმე თვე უსაქმურობასა და განცხრომაში გაატარონ.

მე ეს მაღელვებდა მხოლოდ ერთი მხრით: ხელი რომ მომეკიდა ვეფხვის დევნისათვის, მარტოოდენ ჩემი თავის იმედი უნდა მქონოდა. ჯუნგლების ცოდნასა და მხეცის დევნის საკითხში ლამბანის შედარება არ შეიძლებოდა ისეთ ადგილობრივ მცხოვრებლებთან, როგორიცაა პუჯარები, შოლაგა, კარუმბა და ჩენჩუ.

ერთი თვის შემდეგ შიმოგის ოლქის ტყისმცველისაგან მივიღე პასუხი: ქუმსსა და ჩორდს შორის გზის განაპირას ტექტონის ხის ფოთლების კრეფის დროს ვეფხვს ქალი მოეკლა.

ამ დიდი და გამძლე ფოთლებიდან აკეთებენ ჯამებს, რომლითაც ინდოეთის დუქნებში მოაქვთ საჭმელი, კერძოდ, ბრინჯი. ამისათვის ოთხი-ხუთი ფოთლის ნაპირებს ერთმანეთს აკერებენ ნემსით ან უფრო ხშირად ტყისცოცხას ჩხირით ამაგრებენ. მაისურის შტატის მრავალ სასადილოში ასიათასობით მოთხოვნილებაა ასეთ ჯამებზე და მათი დამზადება საწარმოს თავისებურ ხელოსნურ დარგს წარმოადგენს იქ, სადაც უხვად ხარობს ტექტონის ხეები. სატყეო სამმართველოები ყიდიან მენარდეებზე ფოთლების მოკრეფის უფლებებს, ქირაობენ მკრეფავებს და უპირატესობას ქალებს ანიჭებენ, რადგან მათ უფრო ნაკლებ გასამრჯელოს უხდიან, ვიდრე მამაკაცებს.

და ის უბედური ქალი, რომელიც ვეფხვმა დაგლიჯა, ფოთლების ერთ-ერთი მკრეფავი იყო. იქვე იყვნენ იმავე საქმით გართული მისი მეგობარი ქალები. დაინახეს, რომ ბუჩქებიდან გამოხტა ვეფხვი, დასტაცა ქალს პირი და გაიტაცა, ქალებმა მოკურცხლეს ქუმსისაკენ. შეიკრიბა მაძიებელი პარტია, რომელმაც აღმოაჩინა ნახევრად შეჭმული ქალის ნეშტი. თავისი გრძელი არზის ბოლოს ოლქის მეტყევე იმედს გამოთქვამდა, რომ მე წავიდოდი ქუმსში და შევეცდებოდი კაციჭამიას მოკვლას.

ვეფხვის მოქმედების არე, ისევე როგორც სხვა გარემოებანი, მარწმუნებდა, რომ ამ ეტაპზე ვეფხვის დევნა თითქმის შეუძლებელია. თანაც ამისათვის საჭირო იყო რამდენიმე კვირა, თუ თვე არა, მე კი არ შემეძლო მევარაუდა ასეთი გრძელვადიანი შვებულება.

მაშინ გადავწყვიტე მიმეწერა დიპლომატიური პასუხი. ოლქის მეტყევეს გადავუხადე გულითადი მადლობა, და მივახვედრე, რომ ვეფხვზე ნადირობა მოითხოვს ბევრ დროს, რომელიც მე არ გამაჩნია, ვურჩიე, სატყეო სამმართველოს საპოლიციო უბნების საშუალებით გაეფრთხილებინა მცხოვრებლები, მორიდებოდნენ კაციჭამიას. ემოგზაურათ დღისით და ისიც გზებზე, ევლოთ ჯგუფებად და რომ კულებს დროებით შეეწყვიტათ მუშაობა. ადამიანზე ხელახალი თავდასხმის შემთხვევაში, ვურჩევდი მოკლულის ნათესავებს ხელი არ ეხლოთ გვამისათვის და დეპეშით ეცნობებინათ ჩემთვის. გარდა ამისა, სატყეო სამმართველოს წინადადება მივეცი, შეეძინა მისატყუარისათვის რამდენიმე კამეჩი და დაება ერთიმეორისაგან მოშორებით ვეფხვის მოქმედების ადგილზე. მე კი აღვუთქვი, რომ ჩავიდოდი დეპეშის მიღებისთანავე, თუკი მაცნობებდნენ ახალი მსხვერპლის შესახებ — ცხოველი იქნებოდა ის თუ ადამიანი, იმ პირობით, თუ არ წაიღებდნენ იმ ადგილიდან, სადაც ის მტაცებელმა დატოვა.

პასუხი მესამე დღეს მივიღე. ოლქის მეტყევე სინანულს გამოთქვამდა, რომ მე ვერ ჩავდიოდი. ცხადია, ის ვერ იქნებოდა თავდები, რომ ამ ვეებერთელა ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა გლეხი დაიცავდა სიფრთხილეს. გარდა ამისა, ეშვობდა, რომ მსხვერპლის ნათესავები დათანხმდებოდნენ, ჯუნგლებში დაეტოვებინათ ახლობელი ადამიანის გვამი. დაბოლოს, იმასაც მაცნობებდა, რომ სატყეო წესდებაში არაა გათვალისწინებული მისატყუარისათვის კამეჩების ყიდვის ხარჯებიო.

ვიცოდი, რომ ასეთ პასუხს მივიღებდი. პირველი წერილიდან ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მის ავტორს წარმოდგენა არა აქვს კაციჭამიაზე ნადირობის სიძნელეებზე და მინდოდა შემეგნებინებინა, რომ ასეთ პირობებში ვეფხვის დევნა იგივეა, რაც თივის ზვინში ჩავარდნილი ნემსის ძებნა.

რამდენიმე კვირა მშვიდად გავიდა, და უცბად კაციჭამიამ კვლავ თავზარი დაგვცა, ამჯერად ორმაგი მკვლელობა ჩაიდინა. ჩორდსა და ტუპურს შორის კარადიბეტის ნაკრძალის სასაზღვრო გზაზე, სადაც ვეფხვებზე ნადირობა აკრძალულია, ის თავს დაესხა ტყის მჩეხავს შვილთან ერთად, მოხუცი მოკლა. შვილი კი გაიტაცა. ოლქის მეტყევე მთხოვდა, დაუყოვნებლივ ჩავსულიყავი.

დილაადრიან შევაგროვე ჯუნგლებში ათი დღისათვის საჭირო მოწყობილობა—მეტი ხნით დარჩენა არ შემეძლო, და გავედი ბანგალურიდან. გზის დიდი ნაწილის შეკეთება წარმოებდა და ორი საათი მოვანდომე შიმოგამდე მისვლას, სადაც ცოტახნით შევჩერდი, რომ მადლობა გადამეხადა ოლქის მეტყევისათვის, რომელმაც დროულად მაცნობა.

ის ძალიან თავაზიანად შემხვდა და გადმომცა ორი წერილი ქუმსისა და ჩორდის უბნის მეტყევეებისათვის გადასაცემად. ერთში ის ითხოვდა, დამხმარებოდნენ მისატყუარი ცხოველების ყიდვაში, მეორეში კი უბრძანებდა, შევეშვით თოფით კარადიბეტის ნაკრძალში.

ერთხელ კიდევ გადავუხადე მადლობა, და დავძარი მანქანა ჩორდისაკენ. იქაურმა მეტყევემ უმალვე ბრძანა მოეხმოთ ტყის მჩეხავები, რომლებიც კაციჭამიას უკანასკნელი თავდასხმის მოწმენი იყვნენ.

ისინი მოვიდნენ რამდენიმე წუთის შემდეგ და მიამბეს შემდეგი ისტორია:

შიმოგელ მენარდეს ტყის გაჩეხის ნებართვა ეყიდა ტუპურიდან ერთი მილის მოშორებით, დაექირავებინა ისინი და ტყისმჭრელი, რომელსაც ახლდა ჩვიდმეტი წლის ვაჟიშვილი. ყველანი შიმოგაში ცხოვრობდნენ, მაგრამ ტყის გაჩეხვისას გადაწყვიტეს დროებით ჩორდში დაბინავება.

ორი წლის წინათ ისინი ამდგარან და წასულან სამუშაოზე. გასავლელი ჰქონდათ სამი მილი. კარადიბეტის ნაკრძალთან გავლის დროს, რომელიც მათგან მარჯვნივ მდებარეობდა, ჭაბუკმა სთხოვა მამას, „პანის“ ღეჭვის ნება დაერთო.

მოთხრობიდან ცოტას გადავუხვევ, რომ აგიხსნათ რა არის „პანი“. ეს რის საღეჭი პილპილის, მცოცავი ბუჩქნარის ერთ-ერთი სახეობის, გულის მოყვანილობის გრძელი ფოთოლი,

რომელშიც ახვევენ ცოტა კირს „სუპარის“ — კაკლის სამ-ოთხ ნაჭერთან, ზოგჯერ კი ქოქოსის კაკალს შაქართან ერთად. კირი და „სუპარი“ იწვევს ნერწყვის უხვად გამოყოფას. „პანი“ ძალიან პოპულარულია მოსახლეობის ყველა ფენაში, განსაკუთრებით კი მუშებში. ინდოელები მუშაობის დროს ღეჭავენ ბეტელს, ხშირად აფურთხებენ წითლად შეღებილ ნერწყვს, რომელიც ყველგან „სისხლის“ ლაქებს ტოვებს. მათ დანახვაზე ინდოეთში პირველად ჩასული ევროპელები შეძრწუნებულნი იყვნენ, რადგან ეს ტუბერკულოზით მასობრივი დაავადება ეგონათ.

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს მოთხრობას. მამა შედგა, რომ ბარძაყებზე შემოსახვევის კუთხიდან ამოეღო ფოლი. ტყის დანარჩენი მჩეხავები დაწინაურდნენ. უცბად იმათ გაიგონეს ღრენა, მოიხედეს და რას ხედავენ — ყმაწვილი მიწაზეა წაქცეული და ზედ ვეფხვი აზის, დაბნეული მამა კი ხელგაშვერილი დგას.

ისინი გმირული ამბის მოწმენი გახდნენ. შვილის გადასარჩენად მამამ თავი გასწირა. ცდილობდა რა ვეფხვის გაგდებას, მოხუცი ხმამაღალი ყვირილითა და ხელების ქნევით წინ გაექანა.

ვეფხვმა წამით პირი უშვა ყმაწვილს, ეცა მამას და გააფთრებით დაუწყო ყელისა და გულ-მკერდის გლეჯა. სისხლმა შადრევანივით გადმოხეთქა. მაშინ ვეფხვმა მიატოვა მამა და კვლავ დაეტაკა შვილს, რომელიც გაშეშებული მიჩერებოდა მამის დაღუპვას.

ტყის მჩეხავებმა მოკურცხლეს, მთელი გზა ტუპურამდე სულმოუთქმელად ირბინეს, ერთხელაც არ მოუხედავთ უკან, რომ დაენახათ, რა მოუვიდა მათ ამხანაგებს. ტუპურში იარაღი არავის არ აღმოაჩნდა, და გლეხები ახლა შიმოგაში გაიქცნენ, რომ ეცნობებინათ პოლიციისათვის მომხდარი ამბავი.

გზაში ისინი შეხვდნენ ჩორდში ქვიშისათვის მიმავალ საბარგო მანქანას. გლეხებმა გააჩერეს ის და თხოვეს, დაბრუნებულიყო უკან და ჩაეყვანა ისინი შიმოგაში. მძღოლმა, იშვიათმა გამბედავმა ვაჟკაცმა, ანდა ყოველ შემთხვევაში თავის ასეთად გამოჩენის მსურველმა, აღუთქვა გლეხებს, რომ მიიყვანდა მათ „ფანტასტიკური“ შემთხვევის ადგილზე. იქ კი

თვითონვე გადაწყვეტდნენ, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ შემდეგში. ვილაცამ იკითხა:

— მერე ვეფხვი? შენ ხომ ღია მანქანა გაქვს. ძარას რომ შემოახტეს და მოკლას ვინმე?

— ჩემო ძმაო, — გაბედულად თქვა მძღოლმა, — მე თქვენთან ვარ და ნურავის და ნურაფრის ნუ გეშინიათ. ნუთუ მე გულზე ხელდაკრეფილი დავუწყებ ლოდინს, სანამ ვეფხვი მანქანას შემოახტებოდეს? მყისვე მისკენ დავძრავ მანქანას.

ამ სიტყვებით გამხნევებული გლეხები ჩასხდნენ მანქანაში და მალე ნაკრძალთან მივიდნენ. მძღოლი, რომელსაც მთელი ეს ისტორია თავიდან ბოლომდე მოგონილი ეგონა, გულწრფელად გაოცდა, როცა დაინახა სისხლში მოსვრილი მკვდარი მოხუცი.

შვილის კვალი კი არ ჩანდა.

მძღოლს თვითდარწმუნებულობა გაუქრა და შეჩერდა, რომ მანქანაში ტყის მჩეხავის გვამი ჩაესვენებინათ. შემდეგ ის მთელი სისწრაფით გაიქანა შიმოგაში, სადაც გლეხებმა დაწვრილებით აცნობეს პოლიციას და სატყეო სამმართველოს. ფორმალობისათვის ტყის მჩეხავის გვამი გაკვეთეს და იმავე საღამოს ნათესავებს მისცეს.

მეორე დღეს შემთხვევის ადგილზე მოვიდნენ პოლიციელები ყმაწვილის მოსაძებნად. დამსწრეთა მტკიცებით, ნაკვალევი გარკვევით ჩანდა, მაგრამ პოლიციელთაგან არავინ იცოდა, როგორ მიჰყოლოდა ნაკვალევს. საღამოსვე დაბრუნდნენ შიმოგაში და აცნობეს, რომ მათ ვერ შეძლეს დაზარალებულის ნეშტის აღმოჩენა.

ეს იყო სულ, რაც იცოდნენ ტყის მჩეხავებმა კაციჭამიას უკანასკნელი „გმირობის“ შესახებ.

მეტყველ ყავით გამიმასპინძლდა და ყველა ერთად გავეშურეთ ვეფხვის თავდასხმის ადგილისაკენ.

მე ადრეც მივლია ამ გზით. ეს იყო მეორე შემთხვევა, რომ ჩემ მიერ დევნილმა ვეფხვმა თავი შეაფარა კარადიბეტის ნაკრძალს. პირველად სოფელ გაუჯას მიდამოებში დაჭრილმა კაციჭამიამ მიაშურა ნაკრძალს, მაგრამ, საბედნიეროდ, იგი მანამ მოვკალი, სანამ საზღვარს გადალახავდა.

ტყისმცველი უკვე ნამყოფი იყო აქ და მაჩვენა ის ადგილი,

სადაც ვეფხვი თავს დაესხა ტყის მჩეხავს. ამ ადგილას დიდი მოძრაობა იყო და ავტობუსების, საბარგო მანქანებისა და ხარებშებმული ფორნების ბორბლებს სულ წარეხოცათ სისხლის ნაკვალევი.

ნაკრძალი იწყებოდა ტექტონის ჭალიდან რამდენიმე იარდის მოშორებით. თხუთმეტი-ოცი წლის წინათ მწკრივად დარგული ხეები ახლა სიმაღლით 20 ფუტს აღწევდა. ნარგავების ხშირი მასივი ნაკრძალის სიღრმეში იჭრებოდა დაახლოებით ორ ფარლანგამდე და შემდეგ მას ცვლიდა ბუნებრივი ჯუნგლები.

თუ მხეცი დაჭრილი არაა და არ ტოვებს შესამჩნევ სისხლიან ნაკვალევს, მისი დევნა ტექტონის ჭალაში შეუძლებელია. ძირს ჩამოცვენილი ხმელი ფოთლები სქელი ნოხივით ფარავს მიწას, რომელზეც ნაკვალევი არ აღიბეჭდება. კაციჭამიას მიერ გატაცებულ ყმაწვილს, როგორც ჩანს, არ ჰქონდა ძლიერი სისხლის დენა ჭრილობიდან. გულმოდგინე ძებნის შემდეგ აღმოვაჩინეთ ტექტონის ხეების ფოთლებზე შემხმარი სისხლის მხოლოდ სამი ლაქა.

ვიცოდი, რომ ნაკრძალი გადაჭიმულია ჩრდილოეთისაკენ მდინარემდე და სოფელ გაუჯის ამილიგოლასთან შემაერთებელ სასოფლო შარამდე. აქ ის თავდება, თუმცა ჯუნგლები კვლავ გრძელდება. რადგანაც მივიღე სპეციალური ნებართვა ნაკრძალის ტერიტორიაზე, როგორც გამონაკლისი, კაციჭამიას მოკვლის შესახებ, ამიტომ გონივრულად მიმაჩნდა, ოთხი მისატყუარი დამება ნაკრძალის საზღვრებთან; ერთი კი — ცენტრში.

გასული წლების გამოცდილებით ვიცოდი, რომ ამ მხარეში მეტად ძნელია ხუთი სული პირუტყვის ერთბაშად ყიდვა. ამიტომ მეტყევეებს ვთხოვე დამხმარებოდნენ ამ საქმეში. მათ დამაიმედეს, რომ მისატყუარებს ადგილზე მიიყვანდნენ. სანამ ეს საუბარი მიმდინარეობდა, ჩემს თანამგზავრებს აშკარად შევამჩნიე, რომ ღელავდნენ. უკვე ექვსი საათი იყო და საღამოს ჩრდილები თანდათან მუქდებოდნენ. ფრთხილად, ერთად მივიწევდით ტექტონის ხეების ხშირ ჭალაში გზაზე დაყენებულ მანქანებისკენ.

მეორე დღისთვის საჭირო ხუთი ცხოველი მხოლოდ

პირველის ნახევარზე მოიყვანეს. ნახევარი დღე დაიკარგა. ამის გამო მზის ჩასვლამდე მხოლოდ სამი მისატყუარი დავაბით, დანარჩენები კი დანიშნულ ადგილებზე მხოლოდ მეორე დღის გარიჟრაჟზე მივრეკეთ.

დაახლოებით ნაშუადღევის სამის ნახევარზე ჩორდის ახლო ყანაში მომუშავე გლეხებმა მაცნობეს, რომ გასულ ღამეს მოკლულ იქნა ზაქი, რომელიც ჩვენ მივაბით იმ ადგილის ახლოს, სადაც კაციჭამია თავს დაესხა ტყის მჩეხავებს. გლეხებისათვის ამის შესახებ უცნობებიათ ტყის მცველებს. მათ არ იცოდნენ, რომელი გზით წამოვედით და ამიტომ თხოვეს ყველა შემხვედრს გადმოეცათ ჩვენთვის ახალი ამბავი.

გავეშურეთ ჩორდში, იქ რომ მივედით, მეტყევე უხეშად ლანძღავდა მცველებს, რომ მათ დროზე ვერ მოგვძებნეს. თუმცა ამის გამო მათთვის ბრალის დადება არ შეიძლებოდა. ჩვენ მთელი დღე გადავდიოდით ერთი ადგილიდან მეორეზე, და, ჩემი აზრით, ძალზე გონივრულად მოიქცნენ, რომ ჩორდში დარჩნენ და გვაწვდიდნენ ცნობებს მახლობლად გავლილი ხალხის მეშვეობით. თუ ვიჩქარებდით, მაჰანის გაკეთებას მოვასწრებდით.

დაახლოებით ოთხის ნახევარზე ჩემი სტუდენტი უკვე იდგა გზაზე ტექტონის ჭალის პირდაპირ. სამი წუთი გავიდა, სანამ დასაკეც ჩარპაის ამოვიღებდით მანქანის საბარგედან. მე ის სულ ცოტა ხნის წინათ გავაკეთე, ჩვეულებრივისგან განსხვავებით დავამოკლე თითქმის ორჯერ, რის შედეგად მისი წაღება უფრო გაგვიადვილდა.

ახალ ნარგავებში იყო რამდენიმე ბებერი და მაღალი ტექტონის ხე და ერთი მათგანის ძირში დაბმული გვყავდა კამეჩი.

ამ დაწყევლილ ხეზე ძალიან ძნელი იყო ასვლა. შტამპები სავსებით გლუვი ჰქონდა, პირველი ტოტები თორმეტი ფუტის სიმაღლეზე ეწყებოდა და მე კი ვერასოდეს ვერ ავდიოდი ვერტიკალურ ჭოკებზე.

შევადექი ტყისმჭრელს ბეჭებზე, ხოლო დანარჩენი მონდომებით მეხმარებოდნენ, სანამ არ ჩავეჭიდე პირველ ტოტს და არ ავიტანე ტანი. ტექტონის ხის ფოთლები ისე დიდია,

რომ მაჰანის დაფარვა არ იყო ძნელი, და რადგან გარშემო ტექტონის ხეები ხარობდა, ჩვენი შენიღბვა ეხამებოდა მათ კენწეროებს. განშტოება, რომელზეც მაჰანი გავიკეთე, სიმაღლით ოც ფუტზე მეტი იყო.

ვეფხვს უკვე შეეჭამა ნახევარი მოზვერი, ხოლო რაც მორჩენოდა, საკმარისი იყო, რომ დავლოდებოდით ჯალათის განმეორებით მობრძანებას.

დაახლოებით საღამოს ხუთ საათზე ჩემი თანამგზავრები წავიდნენ. კიდევ ოცი წუთი დასჭირდებოდათ იმისათვის, რომ მანქანა გვერდზე მიეყენებინათ და ვეფხვისათვის ეზა გაეთავისუფლებინათ, თუ ინებებდა ამ მხრიდან გამოჩენას. თუმცა მოსალოდნელია სრულიადაც არ მოსულიყო.

მაგრამ ვეფხვი მოვიდა. როცა სავსებით დაღამდა, ხალებიანმა ირმებმა გვამცნეს მისი მობრძანება. ეს პოპულარობა-ან, პირიქით, არაპოპულარობა — ტყის მშვიდობიან ბინადართა შორის, ძალიან შემაშფოთებელი უნდა ყოფილიყო მტაცებლისათვის. ამ შემთხვევაში დარწმუნებული ვარ, რომ იგი ამას სრულიად უადგილოდ თვლიდა.

ვეფხვი მოძრაობდა ყოველგვარი სიფრთხილის გარეშე. და შესმოდა მის თათებს ქვეშ ხმელი ფოთლების შრიალი, ჯერ კიდევ მანამ, სანამ ნადავლთან მივიდოდა.

მივმართე მისკენ ფარნის შუქი. მან პირდაპირ სახეში შემომხედა. სამი წამი საკმარისი იყო იმისათვის, რომ კარგად შემემჩნია, მტაცებელს არ ქონდა „ფაფარი", მაგრამ სხვა გზა არ იყო და ვეფხვი დაეცა ტყვიით გულგანვმირული.

შევიცადე თხუთმეტი წუთი დასარწმუნებლად, რომ ის მკვდარია. ვეფხვი არ ინძრეოდა, და ჩამოვედი ხიდან. მიწამდე შვიდი თუ რვა ფუტი იქნებოდა და რომ ჩამოიხტი. მიწაზე მაგრად დავარდნამ ყველაზე არასასიამოვნო მოგონებანი დამიტოვა. ლეშთან მისვლისა და გულდასმით დათვალიერების შემდეგ შევიგინე. როგორც ვვარაუდობდი, ეს არ იყო კაცი-ჭამია. მას კისრის გარშემო არ ჰქონდა ბალნის რგოლი. ჯალათი კვლავ ხელიდან გამისხლტა, უდანაშაულო ცხოველი კი ვიმსხვერპლე.

მეორე დღეს, ვეფხვი რომ გავატყავეთ, მეტყველებმა შეადგინეს ოფიციალური ანგარიში იმის შესახებ, რომ მე მოვკალი

მტაცებელი, რომელსაც არ ჰქონდა ფაფარი, და მაშასადამე, შესაძლებელია, სრულიადაც არ იყო კაციჭამია, მაშინ როდესაც ჩემს ხელთ არსებულ საბუთში ნება მეძლეოდა კარადიბეტის ნაკრძალის ტერიტორიაზე მენადირა მხოლოდ კაციჭამიაზე.

ჩემი შვებულების დამთავრებამდე ვეფხვი არ გაჰკარებია არც ერთ მისატყუარს. შიმოგის ოლქის მეტყევემ ოფიციალური ახსნა-განმარტება მომთხოვა, იმის შესახებ, თუ რატომ მოვკალი ნაკრძალში არაკაციჭამია ვეფხვი.

მთელი სიცოცხლე ინდოეთში გავატარე და ყველა სახელმწიფო მოხელისათვის დამახასიათებელ ასეთ ბიუროკრატიზმს არ გავუოცებივარ. პასუხად სინანულის წერილი დავწერე, რომ ოლქის ტყისმცველი შეცდომაში შეიყვანეს და ვამტკიცებდი, რომ მოცემული ნებართვის თანახმად ნაკრძალში მოვკალი კაციჭამია.

და რატომაც არა? ყველა კმაყოფილი დარჩა. დეკორუმი დაცულ იქნა, ყველა დაინტერესებულმა მხარემ ზუსტად და მონდომებით შეასრულა თავისი ვალი.

დრო იყო დავბრუნებულიყავი ბანგალურში. მადლობა გადავუხადე მეტყევეებს დახმარებისათვის, დარჩენილი ოთხი მისატყუარი ყოფილ მეპატრონეებს დავუბრუნე მეოთხედზე ნაკლებ ფასად და სახლში გავემგზავრე. გზად შიმოგაში შევჩერდი, რომ მადლობა მეთქვა ოლქის მეტყევისათვის. მან ბოდიში მომიხადა იმის გამო, რომ იძულებული გახდა, მოეთხოვა ჩემგან ახსნა-განმარტება და მითხრა, შენს პასუხს ძალიან გონივრულად ვთვლიო.

გავიდა ერთი წელი, მოხუცი ტყის მჩეხავისა და მისი შვილის დაღუპვის შემდეგ ახალი მსხვერპლი არ ყოფილა. ყველამ იფიქრა, რომ გრძელფაფრიანი ვეფხვი ვიღაცის ფანტაზიის ნაყოფი იყო და რომ მე მართლა მოვკალი კაციჭამია. თავადაც ასე ვფიქრობდი, სანამ ეს ილუზიები არ გაქრა.

ვეფხვმა კვლავ მოკლა კაცი ქალაქ საღარის განაპირას, რომელიც, როგორც უკვე ვთქვი, მდებარეობს ჯოგის წყალვარდნილებამდე ქუმსსა და ანანტაპურამს შორის. ორი კვირის შემდეგ მან დაგლიჯა ანანტაპურამის მცხოვრები. ერთი თვის

მერე კი სიცოცხლეს გამოასალმა ტაგარტელი გლეხი და გაუჯელი გლეხის ქალი. ორივე ეს სოფელი ანანტაპურამიდან ათ მილზე მდებარეობს. აგვისტოს დასაწყისში მან დღისით გაიტაცა ბიჭი, რომელიც ქუმსის განაპირას გზის ახლოს ნახირს მწყემსავდა.

კაციჭამია საიდანღაც დაბრუნდა მას მერე, რაც მოხუცი ტყის მჩეხავისა და მისი შვილის მოკვლის შემდეგ იყო გადაკარგული, და მტკიცედ შეუდგა ადამიანების ხოცვას. თუ ეს იყო მეორე კაციჭამია, წინამორბედზე უფრო სწრაფადმოქმედი?

ძლივს ავიღე ერთი კვირის შვებულება და წავედი ქუმსში. შიმოგის ოლქის ახალმა მეტყევემ წარმატება მისურვა. მე ვკითხე მას, ქუმსში და ჩორდში არიან თუ არა ის მეტყევეები, რომლებსაც ერთი წლის წინათ ვხვდებოდი-მეთქი. გამეხარდა, დადებითი პასუხი რომ მივიღე.

ჩვენ შევხვდით ერთმანეთს როგორც ძველი მეგობრები. მეტყევეები თვლიდნენ, რომ გასულ წელს მე ნამდვილად მოვკალი კაციჭამია, ახლა კი სხვა მტაცებელი მოქმედებდა. აბა მაშ სად უნდა ყოფილიყო ამდენ ხანს კაციჭამია? ცნობილია, რომ მტაცებლები არასდროს არ ამბობენ უარს ადამიანის ხორცზე. მაშასადამე, სადაც არ უნდა ეხეტიალა ვეფხვს, მას რამდენიმე კაცი მაინც უნდა დაეგლიჯა და ეს კი ცნობილი გახდებოდა.

მათი მტკიცება ძალიან გონივრული ჩანდა, და მიუხედავად იმისა, რომ ეჭვი მეპარებოდა, მაინც დამარწმუნეს.

დავიწყეთ ფიქრი იმაზე, როგორ გვემოქმედა შემდეგში. ვეფხვი თავს ესხმოდა ხალხს საღარში, ანანტაპურამში, ტაგარტში, გაუჯსა და ახლა ქუმსშიაც. ეს იყო იგივე ოლქი, რომელშიც რამდენიმე წლის წინათ მოქმედებდა გრძელფაფრიანად წოდებული კაციჭამია, თუ საერთოდ ასეთი არსებობდა. სად დაგვება მისატყუარები? საიდან დაგვეწყო? ვერ გადაგვეწყვიტა.

მეორე დღეს ეს კითხვები თავისთავად გადაიჭრა. ვეფხვმა გაიტაცა პატარა მწყემსი ამლიგოლაში, რომელიც თუ არ დაგვიწყებიათ, მდებარეობს კარადიბეტის ნაკრძალის ჩრდილოეთის საზღვრის აღმოსავლეთ ნაწილში, ე. ი. ნაკრძალის ტერი-

ტორიის მიერ შექმნილ არასწორი მართკუთხედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში.

შევიტყვეთ თუ არა ამის შესახებ, მეტყველებთან ერთად გავემგზავრეთ დღის სამ საათზე ამლიგოლაში. მის ღირსშესანიშნაობას წარმოადგენდა საუცხოო პატარა მდინარე, რომელიც კარადიბეტის ჩრდილოეთ საზღვრად ითვლება და ერთვის დიდ გუბურას დაახლოებით ბუნგალოდან ერთ მილზე. ბიჭი ნახირს აძოვებდა გუბურის ნაპირზე. ვეფხვი მიუახლოვდა პატარა მდინარის კალაპოტიდან და დაახლოებით დილის ცხრა საათზე თავს დაესხა მწყემსს. მოკლა ის და იმავე გზით თავის მსხვერპლიანად ჯუნგლებში გაუჩინარდა.

მაჩვენეს ვეფხვისა და ბიჭის გათრეული ფეხების ნაკვალევი. სისხლის ლაქები თითქმის არ იყო.

ადგილის დათვალიერება რომ დავამთავრეთ, უკვე ძალიან ბნელოდა და აღარ შეიძლებოდა მწყემსის გვამის ძებნა. მწყინდა, რომ ასე გვიან გავიგე მწყემსის მკვლელობის შესახებ და ვწყევლიდი ჩემს უბედობას. ძალიან ვცდილობდით ჩქარა მიგვეღწია ამლიგოლამდე, მაგრამ სოფლის ცუდი გზა არ გვაძლევდა სწრაფი სიარულის საშუალებას. აი იმ საღამოს რომ მენახა ბიჭის ნეშტი, მაშინ მის მახლობლად დავუდარაჯდებოდი ვეფხვს.

მეტყველები მოეწყვნენ ბუნგალოს ერთ ოთახში, მე კი — მეორეში.

ნაშუაღამევი გადასული იქნებოდა, რომ გაისმა ვეფხვის ღრიალი. გეგონებოდათ ის ერთი მილის მანძილზე იყო ჩვენგან. მეტყველებმაც გაიგონეს ღრიალი. ეგონათ, რომ მე მეძინა, და დამიკაკუნეს კარებზე, რომელიც იმათი ოთახიდან ჩემსაში გამოდიოდა.

გავაღე გრძელ ვიწრო აივანზე გამავალი კარი. ჯუნგლები მთვარის შუქით იყო განათებული. მხოლოდ ტროპიკებში შეიძლება შეიგრძნოთ ტყეში მთვარიანი ღამის ენით გამოუთქმელი მომხიბვლელობა. სანამ ამ წარმტაცი სანახობით ვტკბებოდი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ვეფხვმა კვლავ დაიღრიალა, ამჯერად გაცილებით უფრო ახლოს. მივხვდი, რომ ცხოველი მოძრაობს პატარა მდინარის გასწვრივ, ბუნ-

გალოდან რამდენიმე იარდის მოშორებით და ერთი-ორი წუთის შემდეგ გაივლის ახლოს. კაციჭამიაა თუ არა ეს?

გადავწყვიტე, მეცადა ბედი.

ორი წუთი დამჭირდა თოფის ლულაზე ფარნის მისამაგრებლად. აბაზანის ოთახის გავლით სახლის უკანა მხრიდან გადმოვხტი, გავძვერი ნორჩი ხეების თხელ მესერში და ფერდობზე დავეშვი პატარა მდინარისაკენ.

ვხედავდი, მთვარის შუქზე როგორ ლივლივებდა წყლის ზედაპირი, თუმცა ხეების ქვეშ, სადაც ვიდექი, ძალიან ბნელოდა. როგორც უკვე ვამბობდი, პატარა მდინარე კარადიბეტის ნაკრძალის ჩრდილოეთ საზღვარს ქმნიდა, და მისი მოპირდაპირე ნაპირი გადიოდა ნაკრძალის ტერიტორიაზე. ვეფხვმა კვლავ დაიღრიალა. ის სწრაფად მიახლოვდებოდა და ამჯერად უკვე მეოთხედ მილზე იყო ჩემგან დაშორებული. ჩასაფრებას თუ ვაპირებდი, უნდა ავჩქარებულიყავი.

აღგზნებული თვალებით ვიყურებოდი აქეთ-იქით, სად დავმალულიყავი. ნაპირიდან დაახლოებით ორი ფუტის მოშორებით, სადაც ვიდექი, წყალში ხარობდა ლერწამი. ვიცოდი, რომ მდინარე ღრმა არ იყო, სწრაფად ჩავირბინე ნაპირი, უხმოდ ჩავედი მდინარეში, ვცდილობდი წყალი არ ამეშხაპუნებინა. ჩავცუცქდი და ლელიანში დავიმალე. ორი თუ სამი წუთი სამარისებური სიჩუმე სუფევდა. ნაპირზე მდგარი ხეებიდან დაშვებულ ვეებერთელა ჩრდილებს იქით ვერაფერს ვხედავდი.

ნაპირზე, სადაც ვიდექი, კვლავ მოისმა ღრიალი — ვეფხვი ახლოს მიდიოდა.

„ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი“ — დავითვალე და ვეფხვს მივეცი გავლის საშუალება, რომ ის ჩემს ზევით არ აღმოჩენილიყო, როცა შუქს მივანათებდი. აი, დავაჭირე თითი ფარნის ღილაკს... მხეცის ზოლებიანი სხეული თხუთმეტიოდე იარდით თუ იქნებოდა ჩემგან დაშორებული.

ის შედგა და შემოტრიალდა. ახლა ვეფხვი ჩემკენ იყო მობრუნებული მარჯვენა ფერდით, და იძულებული გავხდი, მესროლა ბეჭის ქვევით, ის ახტა და გულაღმა დაეცა. ვესროლე მეორეჯერ, მესამეჯერაც.

ამ დროს ის მიხვდა, სად ვიმალებოდი, წამოდგა და დაქა-

ნებულ ნაპირზე სრიალით ჩამოცურდა ჩემკენ, ძეოთხე ტყვ-
ით თავის ქალა გავუპე იმ დროს, როცა ჩვენ ხუთი იარდით
თუ ვიქნებოდით ერთმანეთისაგან დაშორებული.

მოგვიანებით, როცა მას ვათვალიერებდი, გამაოცა მისი
კისრის გარშემო წამოზრდილმა ხშირმა ბალანმა, რომელიც
ნამდვილი ფაფრის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ჯუნგლების ზოგიერთი საიდუმლოება არასდროს არ იქნება
ამოცნობილი, ამასთან ერთად ისიც, თუ რატომ ჰქონდა ამ
ვეფხვს ფაფარი.

თავი მეცხრე

კაციჭამია პეგეპალაიამიდან

ამ თავში საუბარი გვექნება კაციჭამია ვეფხვზე, რომელიც ახლაც, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, შეიძლება ცოცხალია. ოფიციალური მონაცემებით, მან მოკლა თორმეტი კაცი, თუმცა ამბობენ, მის მსხვერპლთა არაოფიციალური სია ოცდაჩვიდმეტ მამაკაცს, ქალსა და ბავშვს ითვლისო. ამათგან დაახლოებით ნახევარი მართლა მოკლა და ნაწილობრივ ან მთლიანად შეჭამა მტაცებელმა. დანარჩენები კი მხოლოდ დაასახიჩრა. ხელისუფლებმა მარტო დაღუპულები აღრიცხეს და ამიტომ ოფიციალურსა და არაოფიციალურ მონაცემებს შორის განსხვავებაა.

ვფიქრობ, ამ თავის გმირი იგივე ცხოველია, რომელიც აღვწერე მეორე წიგნში შეტანილ მოთხრობაში „რაჯნაგარელი ჯალათი“. როცა ამ ვეფხვზე პირველად ვწერდი, მას ბუნაგი კოომბატურის ოლქის ჩრდილოეთით მდებარე ბუჩქნარიან ჯუნგლებში ჰქონდა. იქიდან სოფელი რაჯნაგარი ახლოსაა, და რადგან მტაცებლის თავდასხმისაგან პირველად ამ სოფლის მწყემსები დაზარალდნენ, იგი ცნობილ იქნა, როგორც ვეფხვი

რაჯნაგარიდან. მას ახასიათებდა ერთი თავისებურება: გამოხტებოდა თავშესაფრიდან, საშინლად დაასახიჩრებდა მწყემსს ბრჭყალებით და აუცილებლად გაიტაცებდა ცხოველს ჯოგიდან. არასდროს არ შეუმჩნევიათ, რომ მას დაეგლიჯოს ვინმე. რომელსაც კი თავს დასხმია. ერთი თუ ორი კაცი უკვალოდ დაიკარგა და ეგონათ, რომ ისინი ვეფხვმა შეჭამა, მაგრამ ამის დამამტკიცებელი საბუთები არ არსებობდა. ცნობილი იყო მხოლოდ, რომ ვეფხვი გლეჯდა ადამიანებს მარტოოდენ ბრჭყალებით და ეშვებს არ ხმარობდა.

ამან წარმოშვა შეხედულება, თითქოს ვეფხვი ოდესღაც დაჭრილი იყო დრუნჩში ან ყბაში. მაგრამ მწყემსის დასახიჩრების შემდეგ მტაცებელი ენერგიულად შეუდგა მოკლული ცხოველის ჭამას. მაშასადამე, მას მშვენივრად შეეძლო კბენაცა და ღრღნაც. არაჩვეულებრივი მოვლენა მაინც ვერ ახსნეს, თუმცა წამოყენებული იყო მრავალი მახვილგონივრული ვარაუდი.

მე გიამბეთ, თუ როგორ ვცდილობდი ამ ვეფხვის მოკვლას და როგორი წარუმატებლობა მხვდა წილად. მისი მოკვლა ყოვლად შეუძლებელი იყო. ბოლოს და ბოლოს დავბრუნდი შინ ბანგალურში. რაჯნაგარელმა ჯალათმა ჩვენი შეხვედრების პირველი რაუნდი გამარჯვებით დაამთავრა. მაგრამ იმედს არ ვკარგავდი, რომ მომეცემოდა საშუალება მეორე რაუნდის დაწყებისა, რომელიც ჩემი წარმატებით დამთავრდებოდა.

მრავალი წერილი მივიღე დაინტერესებულ მეგობართა და კეთილმსურველთაგან იმის გამო, გავაგრძელებდი თუ არა მოთხრობას. ერთმა ნაცნობმა ჯო კირნეიმ ტელეგრამაც კი გამომიგზავნა ლოს-ანჟელოსიდან. მაცნობებდა, რომ ელოდა ამ ვეფხვთან დაკავშირებული შემდგომი თავგადასავლის აღწერას.

მაგრამ არ შემეძლო დამეკმაყოფილებინა მათი ცნობისმოყვარეობა, რადგან რაჯნაგარელმა ჯალათმა შეწყვიტა ხალხის დასახიჩრება და მალე გუჩინარდა. თავს ვარწმუნებდით, რომ მან ხასიათი შეიცვალა ანდა გადაწყვიტა, მომავალ წელს ახლებურად დაეწყო ცხოვრება. შესაძლოა, გადაიკარგა ჯუნგლებს დაშორებულ რაიონებში ან დაიღუპა კიდეც... გავიდა ხანი და რაჯნაგარელმა მწყემსებმა კვლავ დაიწყეს მათი სოფ-

ლის გარშემო მდებარე ჩირგვნარში ნახირის გადენა. საღამოს დაღლილი, მაგრამ უვნებელნი ბრუნდებოდნენ.

გავიდა დაახლოებით ცხრა თვე, ყველგან სრული სიწყნარე სუფევდა. ერთ საღამოს, როცა მზე ბილიგირირანგანის მთაგრეხილს მიეფარა და პეგეპალაიამის მთის ამოსავლეთით, დიმბუმიდან კოლეგალში მიმავალ გზიდან ორი მილის მოშორებით ჯუნგლებს შორის გაწმენდილ ნაწვეთზე მდებარე სოფელ პეგეპალაიამში ქოხების კედლების გრძელი ჩრდილები დაეშვა, ტყის ბილიკზე გამოჩნდა ჯოგი. მას მწყემსი და მისი დამხმარე მოყვებოდა.

ადგილი დაღარული იყო ხშირი ტყით დაფარული ხევებით. წვიმების დროს ამ ხევში წყლის ნაკადები მოჩხრიალებდა, მაგრამ დამათრობელი სუნით გაჟღენთილ იმ საღამოს ხევი სრულიად ამომშრალი იყო. ფრთოსანთა ჟღურტული და ფრთების ფათქუნი მშვიდობისა და სიწყნარის განწყობილებას ქმნიდა.

ჯოგი ერთ-ერთ ასეთ ხევზე გადიოდა. მწყემსი უკვე ხევის ფსკერზე იყო, როცა ფიქრებში წასულმა დამხმარე მწყემსმა ფერდობზე ჩასვლა იწყო, გზაში მას უნდა გაევლო ახლად ამოყრილი ბამბუკის რაყა; ხეები ირგვლივ მაღალ ბალახში იყო ჩაფლული. ნახირმა გვერდი აუარა ამ დაბრკოლებას.

უეცრად უკნიდან მოესმა ყრუ ხმაური. მას მოჰყვა მძიმე ამოსუნთქვის ხმა. მწყემსმა მოიხედა, მაგრამ გზაზე, რომელიც ბამბუკის ხეებს გარს უვლიდა, არავინ ჩანდა. მან განაგრძო გზა. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ბიჭი დაეწეოდა.

აი გამოჩნდა პეგეპალაიამიც. მწყემსმა ერთხელ კიდევ მოიხედა უკან, მაგრამ კვლავ ვერ დაინახა ბიჭი. „ვენკატ, ვენკატ“, — მოუხმო მან. არავინ უპასუხა. მწყემსმა კვლავ დაუძახა, და ისევ არავინ გამოეხმაურა. ნახირი ზანტად მიიზლაზნებოდა სოფლისაკენ, მწყემსს არ უნდოდა მათი უყურადღებოდ მიტოვება და უკან მიჰყვა.

უამრავ მიზეზს შეეძლო ბიჭუნას შეფერხება, და თავდაპირველად არავინ არ შეუწუხებია მის არყოფნას, მაგრამ რომ გავიდა ერთი საათი, ორი, ის კი არ ჩანდა. მაშინ მწყემსს გაახსენდა, რომ პირველად იგი მოისაკლისა გზაზე ბამბუკის ხეების მახლობლად, ხმამაღალი სუნთქვა რომ გაიგონა. იქნებ

ბიჭს გველმა უკბინა? არც უფიქრია, რომ ის შეიძლებოდა კაციჭამიას მსხვერპლი გამხდარიყო. პეგეპალაიამის მიდამოებში აქამდე არ სმენიათ ასეთი საშიშროების შესახებ.

მწყემსი გაეშურა ბამბუკის ხეებისაკენ. მათ რომ ჩაუარა, დაინახა გამხმარ მიწაზე თავისი ფეხისა და პირუტყვის ჩლიქების კვალის ზემოდან ვეფხვის თათების ანაბეჭდი, ხანმოკლე შეჯახებისა და ბიჭუნას ნათრევი სხეულის ნაკვალევი.

ასე გაჩნდა კაციჭამია პიგეპალაიამიდან.

ამის შემდეგ ყოველი მხრიდან მოდიოდა ცნობები ადამიანებზე თავდასხმის შესახებ; სამხრეთ-დასავლეთიდან, პეგეპალაიამიდან ოცდაათ მილზე მდებარე ტალვადიდან და ტალაიმალაიდან; აღმოსავლეთით — კავერის ნაპირზე მდებარე ალამბადიდან; ჩრდილოეთით კოლეგალიდან ექვსი მილის მანძილზე მდებარე სოფლიდან. უკანასკნელი თავდასხმა გამოირჩეოდა განსაკუთრებული თავხედობით: დაახლოებით დილის თერთმეტის ნახევარზე, როცა მზე მაგრად აცხუნებდა, ვეფხვმა ყანიდან გაიტაცა თხუთმეტი წლის ბიჭი.

საინტერესო ამბები ცნობილი გახდა მას შემდეგ, როცა კაციჭამია ახლად დაესხა თავს დაახლოებით სამ მილზე იმ ხევიდან, საიდანაც პეგეპალაიამელი მწყემსის დამხმარე ბიჭი გაიტაცა.

სამი გლეხი მიდიოდა სოფლის შარაზე, რომლითაც მანამდე ტყიდან ბამბუკს ეზიდებოდნენ. კაციჭამიას შიშით ბამბუკის გაკაფვა მთლიანად შეწყდა. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად დადიოდა ჯუნგლებში, ისიც მხოლოდ აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში და ყოველთვის დღისით. ამ სამს გადაუდებელი საქმე ჰქონდა. გამოვიდნენ ისინი ნასადილევს შინიდან და ოთხის ნახევარზე ვარაუდობდნენ უკანვე დაბრუნებას. მათ თითქმის საქმე მოათავეს, რომ მოულოდნელად გზაზე გამოხტა ვეფხვი. ისინი თავზარდაცემულნი შედგნენ. ვეფხვი, უკანა თათებზე შემდგარი, ეცა პირველ გლეხს და წინა თათების ბრჭყალებით სახეში ჩააფრინდა. მისი თანამგზავრები გაიქცნენ მახლობელ ხისაკენ და აცოცდნენ ზედ. გლეხმა, რომელსაც თავს დაესხა მტაცებელი, იშვიათი გულადობა გამოიჩინა და ალალბედად დაარტყა ვეფხვს დრუნჩზე დანა, რომელსაც ყველა შოლოგა თან ატარებს ჯაგნარში გზის გასაკაფად.

მხეცი არ ელოდა დარტყმას და ტკივილისაგან დაიღრიალა მაგრამ, როგორც ჩანს, ყველა კაციჭამიას დამახასიათებელი სიმხდალის გამო, თავი მიანება მსხვერპლს და ბუჩქნარში მიიმალა.

ამ ხნის განმავლობაში გლეხებმა მოასწრეს და ხის ზედა ტოტებზე ავიდნენ. იქიდან შეიძრწუნებულნი თვალს ადევნებდნენ ძირს მომხდარ სცენას. დასახიჩრებულს სისხლი თქრიალით გადმოდიოდა ღრმა ჭრილობებიდან და სახესა და გულზე ეღვრებოდა. ის მიწაზე იჯდა, როგორც ჩანს, გარინდებულ მდგომარეობაში.

— ძმაო, — მოუხმობდნენ მას გლეხები, — ამოდი მალე ხეზე. დაბლა დარჩენა საშიშია. კაციჭამია შეიძლება დაბრუნდეს.

დაჭრილმა დაუჯერა მათ, ძლივს წამოდგა, მოიხსნა დოლბანდი და დაიწყო სისხლის მოწმენდა. გლეხებმა კვლავ მოუხმეს, და ის უკვე მობრუნდა, რომ ხისკენ წასულიყო, მაგრამ ბედმა სხვაგვარად განსაჯა — დღენი მისი დათვლილი იყო. ვეფხვს წუთიერი სიმხდალე შეეცვალა მძვინვარებით, რომელიც, შესაძლოა, მიყენებული ჭრილობის ტკივილით იყო გამოწვეული. ერთი ნახტომით ის გაჩნდა ამ უბედურის ახლო და ამჯერად წინა თათების მძლავრი დარტყმით კისერი გადაუმტვრია. როგორც კი წაიქცა, ვეფხვმა დასტაცა პირი და გლეხების თვალწინ ნადავლი ჯუნგლებში გაიტაცა.

ამ შემთხვევის შემდეგ მალე ჩავედი პეგეპალაიამში და ვესაუბრე ამ ამბის ორთავე მხილველს, მათ იგივე მიამბეს სიტყვა-სიტყვით. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ვეფხვი ძირითადად მოქმედებდა ბრჭყალებით და არა ეშვებით. გამახსენდა მოუხელთებელი რაჯნაგარელი ჯალათი. შეიძლება დროთა ვითარებაში ის უფრო გულადი გახდა, მიეჩვია ადამიანის ხორცს და სახელი გაითქვა, როგორც პეგეპალაიამელმა კაციჭამიამ? რასაც გლეხები მიამბობდნენ, ადასტურებდა ასეთ შესაძლებლობას.

ბევრი ჯაფა დამჭირდა, რომ მომეკრიბა ცნობები ვეფხვზე, არა მარტო პეგეპალაიამში, არამედ მახლობელ სოფლებშიც, სადაც მტაცებელი თავს ესხმოდა ადამიანებს.

მისი მსხვერპლის რამდენიმე გვამი აღმოაჩინეს მანამ,

სანამ ვეფხვი მოასწრებდა მთლიანად მათ შეჭმას. გვამზე შერჩენილი იყო ბრჭყალებისა და კბილების ნაკვალევი. იმის საბოლოო დამამტკიცებელი საბუთი, რომ ეს ვეფხვი კლავდა მხოლოდ ბრჭყალებით, არ არსებობდა.

პირველად პეგეპალაიამში დავყავი ერთი კვირა, ამ ხნის განმავლობაში კაციჭამია არ მიკარებია ჩემ მიერ მიბმულ არც ერთ მისატყუარს. ვერაფერი ახალი ვერ გავიგე მასზე. სამსახური მელოდა, შვებულების გასაგრძელებლად არავითარი მიზეზი არ მქონდა და ბანგალურში დავბრუნდი.

მალე ჩემი წასვლის შემდეგ კაციჭამიამ კვლავ იმსხვერპლა ადამიანი — დღისით გაშლილ მინდორში კოლეგალიდან ექვსი მილის დაშორებით თავს დაესხა ბიჭს. ამჯერად, დაიმედებულმა, რომ ჩემზე მეტად გაუღიმებდა ბედი, ვეფხვის დევნა თავს იდო ჩემმა შვილმა დონალდმა.

ორთავეს ძალიან გვსურდა გაგვეგო, ხომ არ იყო კაციჭამია ის რაჯნაგარელი ჯალათი, რომელზეც ზემოთ გიამბეთ. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, როგორც ჩანს, შეუძლებელია, გარდა იმისა, თუ დონალდი შეძლებს ვეფხვის საოცარი ჩვევის, უპირატესად ბრჭყალებით მოქმედების მიზეზის გარკვევას. თუ დონალდს ბედმა გაუღიმა, ის უთუოდ ამოხსნის ჯუნგლების ერთ-ერთ მეტად საინტერესო საიდუმლოებას.

საკმარისია გავიხსენო ის, რომ ვეღარ დავინახო ჩემ წინ დაწყობილი ფურცლები, ჩემ წარმოსახვაში აგიზგიზდება ბანაკში დანთებული კოცონის ალი, ვხედავ წყვდიადში გაფანტული ნაპერწკლების კორიანტელს, კვამლის რგოლებს, წვრილ ხვეულებად მაღლა, მაღლა რომ მიიმართებიან.

ღამე ნათელი და კაშკაშაა, ცა მოჭედილია აურაცხელი ვარსკვლავებით.

ანთებული კოცონის მოციმციმე შუქი დაახლოებით თხუთმეტი იარდის რადიუსზე ანათებს სივრცეს. მის მიღმა კვლავ წყვდიადია, — დაძაბული, უკუნი, მდუმარე—ჯუნგლების ღამის წყვდიადი.

ტკბილად ვწევ ჩიბუხს და ვუშვებ კვამლის რგოლებს, — ის ერწყმის კოცონის კვამლს და ქრება ალის მოციმციმე სინათლეში, ალისა, რომელიც აფრქვევს სასიამოვნო, თუმცა ოდნავ მცხუნვარე სითბოს.

მხოლოდ ცეცხლში შეკეთებული ხმელი ტოტების ტკაცა-ტკუცი არღვევს ირგვლივ ჩამოღვარულ სიჩუმეს.

და სადღაც შორს, ბორცვებს იქით გაისმის: „უუნ-უუნ! აუნგხ! აუნგხ!“ ეს ვეფხვი ღმუის.

ეს წინადაც ხშირად მსმენია, მაგრამ ყოველთვის უფრო და უფრო მეტი მღელვარებით ვუგდებ ყურს ამ საშინელ და მასთან ერთად მელოდიურ ხმებს.

„უგხა-უგხ! უგხ! აუნგხ-ხ! აუუნგხ! უუნ—უუნ!“ ვეფხვი სულ უფრო და უფრო გვიახლოვდება.

და მე მსურს კვლავ ვიფიქრო, რომ ეს პეგეპალაიამელი კაციჭამიას ხმაა.

ჯიე ჯოტოლეული

ტაქრის ვეფხვი

ტაძრის ვეფხვი

I

ის, ვისაც არასდროს არ უცხოვრია ჰიმალაებში, ვერ წარმოიდგენს, თუ რა დიდ გავლენას ახდენს ცრუმორწმუნეობა ამ მცირედ დასახლებული რაიონის მოსახლეობაზე. მაგრამ სხვადასხვა სარწმუნოება, რომლებსაც ბარისა და მთისწინეთის განათლებული მკვიდრნი აღიარებენ, ოდნავ თუ განსხვავდება უბრალო უბირი მთიელების ცრუმორწმუნეობისაგან. არსებითად განსხვავება იმდენად მცირეა, რომ ძნელი გადასაწყვეტია, სად თავდება რწმენა და სად იწყება ცრუმორწმუნეობა. ამიტომ მკითხველს ვთხოვ, თუ მას აღეძრება სურვილი დასცინოს ამ ამბის მონაწილეთა გულუბრყვილობას, რომელზეც მსურს გიამბოთ, მოთმინება იქონიოს და სცადოს დაადგინოს, განსხვავდება თუ არა რითიმე ჩემ მიერ აღწერილი ცრუმორწმუნეობა იმ რელიგიის დოგმებისაგან, რომელზეც იგი აღიზარდა.

მაშ ასე, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მე და რობერტ ბელეარსი კუმაონის* შიდა რაიონებში ვნადირობდით,

---

* კუმაონი — ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთში მთიანი ოლქი (უთარ პრადეშის შტატი) — (აქ და შემდეგაც შენიშვნები რედაქტორისაა).

სექტემბრის საღამოს ბანაკი ტრისულის* ძირას გავშალეთ, სწორედ იმ ადგილას, სადაც, როგორც გვაცნობეს, ყოველ წელს ამ მთის სულს მსხვერპლად სწირავენ რვაას თხას. ჩვენ თან გვახლდა თხუთმეტი მთიელი. წინათ არასდროს არ მქონია საქმე ასეთ ხალისიან და თავისი მოვალეობის გულმოდგინედ შემსრულებელ ხალხთან. ერთ მათგანს, გარხვალელ ბალა სინგხს, უკვე რამდენიმე წელია ვიცნობდი, იგი თან მახლდა ბევრ ექსპედიციაში. განსაკუთრებით ამაყობდა იმით, რომ ნადირობის დროს ჩემი ბარგიდან ყველაზე მძიმე ფუთა მიჰქონდა, წინ მიაბიჯებდა და სიმღერით ამხნევებდა დანარჩენთ. საღამოთი შესვენებისას, ვიდრე დასაძინებლად გაიკრიფებოდა, ჩვენი ხალხი მუდამ კოცონთან მღეროდა. იმ პირველ საღამოს ტრისულის მთის ძირას ისინი ჩვეულებრივზე მეტ ხანს ისხდნენ. ჩვენამდე აღწევდა სიმღერა, ტაში, ყვირილი და კონსერვის ცარიელ ქილებზე ბრახაბრუხი.

წინასწარ გადავწყვიტეთ ამ ადგილზე გავჩერებულიყავით და გარეულ თხებზე წაგვენადირა, ამიტომ ძალიან გავოცდით, როცა დილას სასაუზმოდ დავსხედით, დავინახეთ, რომ ჩვენი ხალხი კარვის ასაღებად ემზადებოდა. შეკითხვაზე, რა ამბავია-მეთქი, გვიპასუხეს, ეს ნაკვეთი უვარგისია ბანაკისათვის, ნესტიანია, სასმელი წყალი არ ვარგა, სათბობი ძნელი საშოვარია და, ბოლოს, აქედან ორ მილზე უკეთესი ადგილიაო.

წინადღით ჩემი ბარგი ექვს გარხვალელს მოჰქონდა. თვალში მეცა, რომ ნივთები ხუთ ნაჭრად შეეკრათ, ხოლო ბალა სინგხს მხრებსა და თავზე საბანი წამოეხურა და კოცონთან განმარტოებით იჯდა. საუზმის შემდეგ მასთან მივედი. დანარჩენებმა მუშაობა შეწყვიტეს და დაძაბული ყურადღებით გვადევნებდნენ თვალს. ბალა სინგხმა დაინახა, რომ მისკენ მივდიოდი, მაგრამ არც კი ცდილა მომსალმებოდა (რაც მას არ სჩვეოდა) და ჩემს ყველა კითხვაზე მხოლოდ მპასუხობდა. ავად ვარო. იმ დღეს ორი მილი ისე გავიარეთ, რომ კრინტი არ დაგვიძრავს. ბალა სინგხი უკან მოგვდევდა, მთვარე-

---

* მთა (7239 მეტრი ზღვის დონიდან) 110 კილომეტრზე ჩრდილოეთით კუმაონის დედაქალაქ ნაინი ტალიდან.

ულივით მოძრაობდა და ნარკოტიკით გაბრუებულ ადამიანს ჰგავდა.

ბალა სინგხის მდგომარეობამ დაანაღვლიანა დანარჩენი თოთხმეტი კაცი: ისინი აღარ მუშაობდნენ ჩვეული აღფრთოვანებით, სახეებზე დაძაბულობა და შიში აღბეჭდოდათ. სანამ კარავს ვდგამდით, რომელშიც მე და რობერტი ვცხოვრობდით, გვერდზე გაეიხმე ჩემი მსახური მოტი სინგხი — მას უკვე 25 წელიწადია ვიცნობდი — და მოვთხოვე, მიამბე, რა დაემართა ბალა სინგხს-მეთქი. მოტი დიდხანს არიდებდა თავს პასუხის მოცემას. რაღაცას მიედ-მოედებოდა, მაგრამ ბოლოს ძლივს გამოვტეხე:

— გუშინ საღამოს, როცა კოცონთან ვისხედით და ვმღეროდით, — თქვა მოტი სინგხმა, —ტრისულის სული ჩაუძვრა პირში ბალა სინგხს და გადაყლაპა. ყველამ ყვირილი ატეხა და დასცხო თუნუქებს, რომ სული განგვედევნა, მაგრამ ვერ მოვახერხეთ და ახლა უკვე არაფრის გაკეთება აღარ შეიძლება.

ბალა სინგხი გვერდით იჯდა, თავზე ისევ საბანი ეხურა. მას არ გაუგონია ჩემი ლაპარაკი მოტი სინგხთან, ამიტომ მივედი მასთან და ვთხოვე, მიამბე, გუშინ საღამოს რა დაგემართა-მეთქი. ბალა სინგხი ერთ წუთს სასოწარკვეთილი თვალებით მომაჩერდა, შემდეგ უიმედოდ თქვა:

— ზედმეტია, საიბ, იმაზე ლაპარაკი, თუ რა მოხდა გუშინ საღამოს, არ დამიჯერებთ.

— განა ოდესმე არ მჯეროდა თქვენი? — ვკითხე მე.

— არა. — მიპასუხა მან, — თქვენ ყოველთვის გჯეროდათ ჩემი, მაგრამ ამას ვერ გამიგებთ.

— გაგიგებ თუ არა, სულ ერთია, მინდა, რომ მიამბო, რა მოხდა.

ხანგრძლივი დუმილის შემდეგ ბალა სინგხმა მიპასუხა:

— კარგი, საიბ, გეტყვი. თქვენ იცით, რომ ჩვენებურ მთიულურ სიმღერებს ჩვეულებრივ ერთი კაცი იწყებს, ხოლო ყველა დანარჩენი სიმღერას აიტაცებს და გუნდად მღერის. და აი გუშინ საღამოს, როცა სიმღერა დავიწყე, ტრისულის სული პირში ჩამიხტა და, თუმცა ბევრს ვეცადე უკან ამომეგდო, მაგრამ ყელიდან კუჭში ჩაძვრა. კოცონი გიზგიზებდა

და ყველამ დაინახა, თუ როგორ ვებრძოდი სულს; დანარჩენებიც ცდილობდნენ გამოედევნათ იგი, ყვიროდნენ და თუნუქის ჭურჭელს სცემდნენ, მაგრამ სულმა არ მოისურვა წასვლა.

— ახლა სად არის სული? — ვკითხე მე.

სინგხმა ხელი მუცელზე დაიდო და დარწმუნებით თქვა:

— აქ, საიბ, ვგრძნობ, როგორ ტრიალებს იგი.

რობერტმა მთელი დღე ბანაკის დასავლეთ მხარეზე მდებარე ადგილის დათვალიერებას მოანდომა და ერთი თხარი* მოკლა. ნასადილევს გვიან ღამემდე ვისხედით და მდგომარეობაზე ვმსჯელობდით. მრავალი თვის განმავლობაში ვადგენდით გეგმებს და ამ ნადირობაზე ოცნებით ვსულდგმულობდით. რობერტი შვიდ, მე კი ათ დღეს მივდიოდით ფეხით ცუდი გზებით სანადირო ადგილისაკენ და აქ მოსვლის პირველ საღამოსვე ბალა სინგხმა გადაყლაპა ტრისულის სული. მნიშვნელობა ჰქონდა არა იმას, თუ რას ვფიქრობდით მე და რობერტი ამის თაობაზე, არამედ მნიშვნელოვანი იყო სხვა რამ. ჩვენს თანამგზავრებს სწამდათ, სული ნამდვილად ბალა სინგხის კუჭშიაო, ამიტომ ისინი გაურბოდნენ მას. ცხადია, ასეთ პირობებში ნადირობა შეუძლებელი იყო. ამიტომ რობერტი, მართალია მეტად უხალისოდ, დათანხმდა, რომ ბალა სინგხთან ერთად დავბრუნებულიყავი ნაინი ტალში. მეორე დილას ჩავალაგე ბარგი, რობერტთან ერთად ვისაუზმე და ნაინი ტალში დავბრუნდი. წინ ათი დღის სავალი გზა გვედო.

ვიდრე ნაინი ტალს დატოვებდა, ოცდაათი წლის ბალა სინგხი ხალისიანი, ჯანღონით სავსე კაცი იყო. ახლა უკან ბრუნდებოდა მდუმარე, თვალებჩამქრალი და მისი შესახედაობა მეტყველებდა, რომ სრულიად დაეკარგა სიცოცხლის ინტერესი. ჩემი დები — ერთი მათგანი სამედიცინო დახმარების მისიის თანამშრომელი იყო — მისთვის აკეთებდნენ ყველაფერს, რაც შეეძლოთ. ბალა სინგხს ნახულობდნენ შორიდან მოსული და მახლობლად მცხოვრები მეგობრები, მაგრამ იგი გულგრილად იჯდა თავისი სახლის კართან და მხოლოდ მაშინ ლაპარაკობდა, როცა პირადად მიმართავდნენ. ჩემი თხოვნით ის ნახა ნაინი ტალის ოლქის ექიმმა პოლკოვნიკმა

* თ ხ ა რ ი — მთის თხა.

კუკმა, დიდად გამოცდილმა და ჩვენი ოჯახის კარგმა მეგობარმა. გულდასმით და ხანგრძლივი გასინჯვის შემდეგ მან განაცხადა, ბალა სინგხი ფიზიკურად სრულიად ჯანმრთელია, მისი ასეთი აშკარა დეპრესიის მიზეზის დადგენა კი არ შემიძლიაო.

რამდენიმე დღის შემდეგ ასეთი აზრი დამებადა. იმ დროს ნაინი ტალში იმყოფებოდა ცნობილი ინდოელი ექიმი. გავიფიქრე, თუ დავიყოლიე იგი ბალა სინგხი გასინჯოს, მხოლოდ მერე ვუამბობ, რაც მოხდა, ვთხოვ შთააგონოს „ავადმყოფს", რომ კუჭში არავითარი სული არ ჩასძრომია-მეთქი. ამით ექიმი გაჭირვებაში დაგვეხმარებოდა. ეს მით უფრო შესაძლებლად მიმაჩნდა, რომ ექიმს არა მარტო სწამდა ინდუიზმი, არამედ თვითონაც მთიელი იყო. ჩემი ვარაუდი არ გამართლდა. როგორც კი „ავადმყოფი" ექიმმა დაინახა, უმალვე რაღაც არასასიკეთომ დააეჭვა. ხოლო როცა თავისი მაცდური კითხვები მისცა ბალა სინგხს და შეიტყო, კუჭში ტრისულის სული ჰყოლიაო, სწრაფად უკან დაიხია, მომიბრუნდა და მითხრა:

— ძალიან ვნანობ, რომ კაცი გამომიგზავნეთ. მე არაფრის გაკეთება არ შემიძლია.

ნაინი ტალში მაშინ ორი კაცი იყო იმ სოფლიდან, სადაც ბალა სინგხი ცხოვრობდა. მეორე დღესვე კაცი გავუგზავნე. მათ იცოდნენ მომხდარი ამბის შესახებ, რადგან რამდენჯერმე ინახულეს ბალა სინგხი. მათ ჩემი თხოვნა შეისმინეს და დათანხმდნენ შინ წაეყვანათ იგი. მივეცი საკმაო ფული და მეორე დღეს სამივე რვა დღის სავალ გზას დაადგნენ. სამი კვირის შემდეგ, ბალა სინგხის თანამემამულენი დაბრუნდნენ და მიამბეს, რაც მოხდა.

ბალა სინგხი სოფელში მშვიდობით ჩავიდა. იმავე საღამოს მის სახლში ნათესავ-მეგობრები შეიკრიბნენ; მან განუცხადა, სულს განთავისუფლება და ტრისულში დაბრუნება სურსო. ამიტომ მე, ბალა სინგხს, ისღა დამრჩენია, რომ მოვკვდეო.

— და აი, ბალა სინგხი დაწვა და მოკვდა. მეორე დღეს იგი დავწვით, — დაასრულეს მათ თავისი თხრობა.

დარწმუნებული ვარ, რომ ცრუმორწმუნეობა სულიერი ავადმყოფობაა, რომელიც აავადებს ერთს ან რამდენიმე

ადამიანს, ხოლო დანარჩენთ ხელუხლებლად ტოვებს. ამიტომ ჩემ დამსახურებად არ მიმაჩნია, მაღლა ჰიმალაებში ცხოვრების დროს რომ არ „გადამედო“ ცრუმორწმუნოების ის საშინელი ნაირსახეობა, რომლის მსხვერპლიც ბალა სინგხი გახდა. ვამბობ, ცრუმორწმუნე არა ვარ-მეთქი, მაგრამ მაინც არ შემიძლია ავხსნა, თუ რატომ განვიცდიდი მარცხს ვეფხვზე ჩემთვის მეტად საინტერესო და ჭეშმარიტი სიამოვნების მომგვრელი ნადირობის დროს, რომლის მოყოლაზეც ახლა გადავდივარ.

2

ძნელი დასაჯერებელია, რომ ვინც დაბიდხურში ყოფილა, დაავიწყდეს „რესტ-ჰაუზის“* მოედნიდან გაშლილი საუცხოო ხედი. ამ პატარა სამოთახიანი სახლის აივნიდან, რომელიც მთის მწვერვალთან, ალბათ, ბუნების მოტრფიალე ადამიანს აუშენებია, ფერდობი დამრეცად ეშვება მდინარე პანარის ხეობისაკენ. ხეობის იქით შორს ზემოთ უზარმაზარი მთაგრეხილები აზიდულან, მათი კონტურები მარადიულ თოვლში იკარგება, რომელიც თვითმფრინავის გამოჩენამდე გადაულახავი ზღუდე იყო ინდოეთსა და მის ჩრდილოეთელ მეზობლებს შორის.

კუმაონის ადმინისტრაციულ ცენტრ ნაინი ტალიდან ლოხარგხატში აღმოსავლეთის საზღვარზე ამ რაიონის შორეულ ადგილში საჩალვადრო გზა მიდის. იგი დაბიდხურზე გადის, მისი განშტოება კი დაბიდხურს ალმორთან** აკავშირებს. როცა ამ მეორე გზის მახლობლად ვნადირობდი პანარის კაციჭამია ჯიქზე, რის შესახებაც ქვემოთ გიამბობთ, — ალმორში მიმავალმა გზების ზედამხედველმა მითხრა, დაბიდხურში ვეფხმა კაცი მოკლაო. მეც იქ გავემგზავრე.

დასავლეთიდან დაბიდხურისაკენ მიმავალი გზის მონაკვეთი ყველაზე უფრო ციცაბოა კუმაონში. ეტყობა, ადამიანმა,

---

* „რ ე ს ტ ჰ ა უ ზ ი“ — სახელი ჩამოსულთათვის.

** ა ლ მ ო რ ი — მთიანი რაიონი ინდოეთის შტატ უთარ პრადეშში.

რომელიც მას გეგმავდა. მიზნად დაისახა ისეთი საშუალება გამოენახა, რომ მოკლე გზით მისულიყო მწვერვალამდე, და კიდეც მიაღწია ამას: გზა რვა ათასი ფუტის* სიმაღლეზეა, არსად არ უხვევს, პირდაპირ მთის ფერდობზე გადის. აპრილის ცხელი შუადღე იყო. მას შემდეგ, რაც გაჭირვებით გავიარე ეს გზა, „რესტ-ჰაუზის“ აივანზე ვიჯექი, ჩაის ვსვამდი და თვალწარმტაცი ხედებით ვტკბებოდი. ჩემთან მოვიდა მღვდელი დაბიდხურიდან. მე და ეს ჩია მოხუცი ორი წლის წინათ დავმეგობრდით, როცა ჩამპავატის კაციჭამია ვეფხვზე ვნადირობდი. უზარმაზარი კლდის უბეში მიმალულმა პატარა ტაძარმა, — მე ვერ ვბედავ რაიმე აზრი გამოვთქვა იმის შესახებ, თუ როგორ გაჩნდა ეს ტაძარი ასეთ უჩვეულო ადგილას, — სადაც იგი ღვთისმსახურებას ასრულებდა, დაბიდხური სამლოცველო ადგილად აქცია. დილას, ტაძარს რომ ჩავუარე, ტრადიციული შესაწირავი მივართვი; მოხუცმა მღვდელმა თავის დაქნევით გადამიხადა მადლობა. როცა ღვთისმსახურება დასრულდა, მან „რესტ-ჰაუზიდან“ ტაძრისაკენ მიმავალი გზა გადაჭრა, ჩემ მიერ შეთავაზებული სიგარეტი აიღო და, კედელს მიყრდნობილმა, იატაკზე მოიკალათა. მღვდელი ჩინებული მოსაუბრე იყო, ბევრი თავისუფალი დრო ჰქონდა, და რადგან იმ დღის საქმე უკვე მოვათავე, გვიან საღამომდე შევრჩით საუბარს.

მისგან შევიტყვე, რომ გზების ზედამხედველმა შეცდომაში შემიყვანა, როცა მითხრა, წუხელ დაბიდხურში ჯიქმა კაცი მოკლაო. მწყემსი თურმე ალმორიდან დაბიდხურის სამხრეთით მდებარე სოფელში მიდიოდა და იმ ღამეს მღვდელთან შეჩერებულიყო, ნავახშმევს, მასპინძლის რჩევის მიუხედავად, ტაძრის ახლოს მოედანზე დაძინება მოესურვებინა. დაახლოებით შუაღამისას, როცა კლდის ჩრდილი ტაძარზე ჩამოწვა, მწყემსს მიეპარა კაციჭამია, ბარძაყში სტაცა პირი და სცადა მოედნიდან ჩამოეთრია. მწყემსმა გაიღვიძა, ყვირილით დაავლო ხელი ჩამქრალი ცეცხლიდან მუგუზალს და ჯიქი გააგდო. მწყემსის ყვირილზე მოიჭრენ მღვდელი და კიდევ რამდანიმე კაცი. შეერთებული ძალით მათ გააგდეს მხეცი. ჭრი-

---

* ფუტი უდრის 30,5 სმ.

ლობები საშიში არ აღმოჩნდა, და მას შემდეგ, რაც ბანიამ *, რომელსაც დუქანი ტაძრის გვერდით ჰქონდა, ჭრილობები შეუხვია, მწყემსმა გზა განაგრძო.

მღვდლის რჩევით გადავწყვიტე დაბიდხურში დავრჩენილიყავი. ტაძარსა და ბანიას დუქანში ყოველდღე მოდის ხალხი ახლო სოფლებიდან. ისინი, ცხადია, ხმას გაავრცელებენ ჩემი ჩამოსვლის შესახებ, და რადგან ეცოდინებათ, სად შეიძლება ჩემი ნახვა, უმალვე გავიგებ კაციჭამიას ყოველი ახალი მსხვერპლის შესახებ ამ რაიონში. როცა მღვდელი წასასვლელად მოემზადა, ვკითხე, შემიძლია თუ არა ვინადირო ამ ადგილებში, რადგან ჩემ ხალხს კარგა ხანია ხორცი არ უჭამია, დაბიდხურში კი ვერსად ვიყიდი-მეთქი.

— რა თქმა უნდა, მომიგო მან, — აქ არის ტაძრის ვეფხვი.

ჩემს შენიშვნაზე, რომ ამ ვეფხვის მოკვლის მცირედი სურვილიც კი არა მაქვს, მან სიცილით მიპასუხა:

— მე წინააღმდეგი არ ვიქნები, საიბ, თუ ეცდებით მოკლათ იგი, მაგრამ ვერც თქვენ და ვერც სხვა ვინმე ვერასოდეს ვერ მოახერხებს ამას.

ასე შევიტყვე დაბიდხურის ტაძრის ვეფხის შესახებ, რომელთანაც დაკავშირებულია ერთ-ერთი ყველაზე მღელვარე განცდები ჩემს სამონადირო პრაქტიკაში.

3

დაბიდხურში ჩასვლის შემდეგ მეორე დღეს დილაადრიან დავეშვი ლოჰარგხატის გზაზე, იმედი მქონდა, ვიპოვიდი კაციჭამიას კვალს ან გავიგებდი რამეს მის შესახებ გზის მახლობლად განლაგებულ სოფლებში, რადგან ვარაუდობდნენ, მწყემსზე თავდასხმის შემდეგ იგი ლოჰარგხატისაკენ წავიდაო. „რესტ-ჰაუზში“ საუზმეზე დაგვიანებით მივედი. დავინახე, ვიღაც კაცი ჩემს მსახურს ესაუბრებოდა. ამ კაცმა თქვა, მღვდლისაგან გავიგე, რომ თქვენ გსურთ ინადიროთ, და მე შემიძლია გიჩვენოთ ჯარაო — ვეებერთელა რქიანი სამხა-

* მოვაჭრე ჩრდილოეთ ინდოეთში გავრცელებული ინდუსების კასტიდან.

რის * ადგილობრივი სახელწოდება. მთის სამბხარს ზოგჯერ მართლაც მშვენიერი რქები აქვს. ამას წინათ ერთი სამბხარი მოკლეს კუმაონში, მისი რქები 47 დუიმს** აღწევდა. რადგან ასეთი დიდი ცხოველის ხორცი ეყოფოდა არა მარტო ჩემს ხალხს, არამედ დაბიდხურის მთელ მკვიდრთაც, ვუპასუხე, საუზმის შემდეგ მზად ვარ შენთან წამოვიდე-მეთქი.

რამდენიმე თვის წინათ ცოტა ხნით კალკუტაში გავემგზავრე და ერთ დილას მენტონის იარაღის მაღაზიაში შევედი. ვიტრინაში მინის ქვეშ, კართან ახლოს, შაშხანა იდო. მას რომ ვათვალიერებდი, მომიახლოვდა მმართველი, ჩემი ძველი მეგობარი, და მითხრა, ეს 275-ყალიბიანი შაშხანა, უესტლი რიჩარდსი, ახალი მოდელია მთაში ნადირობისათვის განკუთვნილი, და მის დამამზადებელთ ერთი სული აქვთ, ვიდრე ინდოეთის ბაზარზე გაიტანენო. შაშხანა საუცხოო იყო და მმართველმა ადვილად დამიყოლია შემეძინა იმ პირობით, რომ, თუ არ გამომადგებოდა, შემეძლო უკან დამებრუნებინა. ამგვარად, იმ საღამოს სოფლელ მეგობართან ერთად სანადიროდ გავეშურე „მუხის ტოტებისმაგვარ რქებიან“ ჯარაოზე და თან ჩემი ახალი შაშხანა წავიღე.

დაბიდხურიდან სამხრეთით მთა უფრო ციცაბოა. ამ მიმართულებით მუხებისა და ბუჩქნარის შამბნარში დაახლოებით ორი მილი*** გავიარეთ და ბალახით დაფარულ ზეგანზე გავედით, საიდანაც ხეობის მშვენიერი ხედი იშლებოდა. ჩემმა მეგზურმა ხეობის მარცხენა მხარეს ჯუნგლებით გარშემორტყმულ ხშირი ბალახით დაფარულ პატარა ნაკვეთზე მიმითითა და მითხრა, დილა-საღამოს ჯარაო აქ მოდის საძოვრადო. ჩემი ახალი შაშხანა ნიშანში ხვდებოდა ხუთასი იარდის**** მანძილზე. რადგან ბილიკიდან მინდვრამდე, სადაც ჩვეულებრივ ცხოველები ბალახობდნენ, სულ ბევრი სამასი იარდი იქნებოდა, გადავწყვიტე ბილიკზე ჩავსულიყავი და იქ მელოდნა. სანამ გასროლის საშუალება მომეცემოდა.

საუბრის დროს შევნიშნე, რომ ძარცხნივ თავს დაგვტრია-

---

* ს ა მ ბ ხ ა რ ი — მთის დიდი ირემი.

** დ უ ი მ ი უდრის 2,54 სმ.

*** ინგლისური მილი უდრის 1,61 კილომეტრს

**** იარდი უდრის 0,91 მეტრს.

ლებენ სვავები. როცა ჩემს თანამგზავრს დავანახე ისინი, მან მიპასუხა, ბორცვს იქითა მხარეს პატარა სოფელი მდებარეობს და, ჩემი ვარაუდით, სვავებს რომელიღაც შინაური ცხოველის ლეში აინტერესებთო.

— მალე შევიტყობთ, რამ მიიზიდა ფრინველები, — თქვა მან, — ჩვენი გზა ამ სოფელზე გადის.

„სოფელი" სულ ლერწმის ერთი ქოხისა და საქონლის გომურისაგან შედგებოდა. ტერასებად განლაგებული ერთი აკრი * ყანებიდან მოსავალი ახალი აღებული იყო. ქოხისა და გომურიდან ათი ფუტი სიგანის წვიმის წყლის არხით გამოყოფილ ერთ ყანაში სვავები ხორცის უკანასკნელ ნაფლეთებს აგლეჯდნენ რომელიღაც მსხვილი ცხოველის ჩონჩხს. როცა მივუახლოვდით, ქოხიდან გამოვიდა კაცი, მოგვესალმა და მკითხა, საიდან ხარ და როდის ჩამოხვედიო. მე ვუპასუხე, გუშინ ჩამოვედი დაბიდხურში ნაინი ტალადან კაციჭამია ჯიქის მოსაკლავად-მეთქი. მან სინანული გამოთქვა, რომ ადრე არ იცოდა ჩემი ჩამოსვლის შესახებ: „მაშინ თქვენ მოკლავდით ვეფხვს, რომელმაც ძროხა დამიგლიჯა". შემდეგ მაცნობა, იმ ადგილას, სადაც ახლა ჩონჩხს სვავები ესევიან, გუშინ საღამოს დავაბი თხუთმეტი სულისაგან შემდგარი ჯოგი ყანის გასანოყიერებლად, მაგრამ ღამით ვეფხვი მოვარდა და ერთ-ერთი ძროხა მომიკლაო. გლეხს იარაღი არ ჰქონდა, მახლობლადაც არავინ იყო, რომ მიემართა მოეკლა ვეფხვი, და ამიტომ იგი წავიდა იმ კაცთან, რომელიც ტყავის დამზადებას აწარმოებდა მათ რაიონში. ჩვენს მისვლამდე ორი საათით ადრე მენარდემ გაატყავა ძროხა და ახლა სვავები შესდგომოდნენ თავის საქმეს. როცა გლეხს ვკითხე, იცოდი თუ არა, რომ ამ მიდამოებში ვეფხვი ბინადრობდა, და თუ იცოდი, რატომ დააბი პირუტყვი ყანაში-მეთქი, მისმა პასუხმა გამაოცა: თურმე დაბიდხურის მთაში მუდამ ბინადრობდა ვეფხვი, მაგრამ წუხანდლამდე არასოდეს დაუგლეჯია შინაური ცხოველები.

წასასვლელად რომ მოვემზადე, გლეხმა მკითხა, საით მიეშურებიო. მე ავუხსენი, მინდა ჯარაოზე ვინადირო ხეობის

* აკრი უდრის 0,41 ჰექტარს.

ბოლოში-მეთქი. მან ხვეწნა დამიწყო ჯარაოზე ნადირობა გადამეედო და ვეფხვი მომეკლა.

— მე ცოტა მიწა მაქვს და ისიც, როგორც ხედავთ, ცუდია, — თქვა მან, — თუ ვეფხვი ძროხებს დამიგლეჯს, რაღა გვასაზრდოებს, ოჯახი შიმშილით ამომიწყდება.

ჩვენს ლაპარაკში სახლს მოუახლოვდა ქალი, თავზე წყლის კოკა ედგა, მას კვალდაკვალ მოჰყვა ორი ბავშვი: გოგონას ნორჩი ბალახი ამოეჩარა იღლიაში, ბიჭუნა კი ერთ კონა ფიჩხს მიათრევდა. ეს ოთხნი ცხოვრობდნენ ერთი აკრი მწირი მიწის მოსავლითა და რამდენიმე პინტა* რძით — მთებში ძროხები ცოტა რძეს იძლევიან — რომელსაც ისინი დაბიდ-ხურში ბანიაზე ყიდდნენ. და საკვირველი არაა, გლეხს რომ ასე უნდოდა ვეფხვი მომეკლა.

სვავებმა თითქმის შესანსლეს ძროხის ლეში, მაგრამ ამას არ ჰქონდა მნიშვნელობა. ყანის ახლოს არ იყო დასამალავი ადგილი, სადაც შეიძლებოდა ვეფხვი ჩაწოლილიყო, მაშ საიდან გაიგებდა, სვავებმა რა უყვეს მის ნადავლს. და რადგან გუშინ ღამ ყანაში არავინ შეუშალა ხელი, უნდა გვევარაუდა, რომ იგი თავის მსხვერპლს დაუბრუნდებოდა. ჩვენ გამყოლს, ისევე როგორც გლეხს, გულით სწადდა ჯერ ვეფხვი მომეკლა. ორივეს ვთხოვე წყნარად დამსხდარიყვნენ და ვცადე გამომერკვია, რა მიმართულებით წავიდა ვეფხვი. რადგან ყანის ახლო არ აღმოჩნდა ჩასასაფრებლად გამოსადეგი ხე, განვიზრახე უკან ხუტორთან დაბრუნებისას გზაში გამომეჭირა მხეცი. პირუტყვის მიერ გატკეპნილი ბილიკები ბორცვს გარდიგარდმო გასდევდნენ. მაგრამ მიწა ძალიან გამაგრებული იყო და ვეფხვის ნაკვალევი არ ემჩნეოდა, ამიტომ ორჯერ შემოვუარე ხუტორს და სარუეს დათვალიერება დავიწყე. აქ რბილ ნესტიან ნიადაგზე დიდი ხვადი ვეფხვის თათების ანაბეჭდები აღმოვაჩინე. ნაკვალევი ადასტურებდა, რომ, როცა წყურვილი მოიკლა, იგი ზევით გაჰყვა სარუეს. ყველა საფუძველი გვქონდა გვევარაუდნა, რომ ის ამავე გზით დაბრუნდებოდა. ხოლო სარუეს მეორე მხარეზე, სადაც ქოხი იყო, მისგან ოცდაათი იარდის მოშორებით იდგა ველური მცოცავი ვარდით შემოხ-

---

* პინტა უდრის 0,57 ლიტრს.

ვეული მრუდი და დაბალი მუხა. შაშხანა მიწაზე დავდე, სარუ-ეს ნაპირიდან გადმოხრილ ხეზე ავედი და დავრწმუნდი, რომ შემეძლო კარგად მოვწყობილიყავი მის კენწეროზე.

ქოხთან დაბრუნებისას მომლოდინე მამაკაცებს ვუთხარი, „რესტ-ჰაუზში" 500-ყალიბიანი სწრაფმსროლი მძიმე ორლულიანი თოფის მოსატანად წავალ-მეთქი. ჩემმა გამყოლმა უმალვე მიხსნა ამ გაჭირვებისაგან. მას საჭირო მითითებები მივეცი და თავად იქვე გლეხის გვერდით ქოხის ზღურბლზე ჩამოვჯექი, რომ მომესმინა ამბავი ღარიბი, მაგრამ უშიშარი ადამიანის ბრძოლისა ბუნებასა და გარეულ მხეცებთან. ‘ან მიამბო, რაოდენ ძნელია თავზე ჩალის სახურავის შენარჩუნებაც კი. როცა ვკითხე, რატომ არ ტოვებ ამ მიგდებულ კუთხეს და სხვა ადგილას არ მოეწყობი-მეთქი, მან უბრალოდ მიპასუხა: „ჩემი სახლი აქ არის".

მზე ჩადიოდა, როცა ბორცვიდან ქოხისაკენ მომავალი ორი კაცი დავინახე. არც ერთ მათგანს არ ჰქონდა ორლულიანი თოფი. ბალა სინგხს — გარხვალის ერთ-ერთ საუკეთესო ადამიანს, რომლის ტრაგიკულ სიკვდილზე ზემოთ გიამბეთ — ხელში მხოლოდ ფარანი ეჭირა. ჩვენთან რომ მოვიდა, მითხრა ორლულიანი თოფი ვერ მოვიტანე, რადგან ვაზნები შენს ჩემოდანში იყო ჩაკეტილი, გასაღები კი არ გაგიტანებიაო. რა გაეწყობა, ვეფხვი ახალი შაშხანით უნდა მომეკლა — ამისთანა დროს მის მოსანათლავად ვერც იფიქრებდა კაცი.

ვიდრე საფარში მოვეწყობოდი, ქოხის პატრონი გავაფრთხილე, ნადირობა წარმატებით მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაივლის, თუ შენი შვილები — რვა წლის გოგონა და ექვსი წლის ბიჭი — არ იცელქებენ, ცოლი კი ვახშამის გაკეთებას არ შეუდგება მანამდე, სანამ ან ვეფხვს არ მოვკლავ, ან არ დავრწმუნდები, რომ ამაოა მისი ლოდინი. ბალა სინგხ‘ს თვალყური უნდა დაეჭირა, რომ ქოხის ბინადართ არ ეხმაურათ, როცა დავუსტვენდი, ფარანი აენთო და ჩემს შემდგომ განკარგულებებს დალოდებოდა.

მთებს იქით ჩაქრა ჩამავალი მზის ნათება, ხეობაში მიწყდა ფრინველთა საღამოს გალობა. ბინდი ჩამოწვა. ჩემ ზევით ბორცვზე რქოსანმა ბუმ დაიყრანტალა. ჩვეულებრივ მთვარის ამოსვლამდე რამდენიმე ხანს საკმაოდ ბნელა. ახლაც სწორედ

ასეთი დრო დადგა. ქოხში ისეთი სიჩუმე ჩამოწვა, თითქოს იქ ყველა ამოწყვეტილაო. ხელს ვუჭერდი შაშხანას და დაძაბული გავყურებდი ხის ქვეშ სიბნელეს, ვეფხვმა გვერდით ჩამიარა. გავიგონე, როგორ გაბრაზდა, როცა ნადავლთან მივიდა და დაინახა სვავებს არაფერი დაეტოვებინათ. იგი ყრუ ღმუილით სწყევლიდა სვავებს. თუმცა ისინი რამდენიმე საათის წინათ გაფრინდნენ, მაგრამ მათ მიერ წაბილწულ მიწას მუშკის სუნი ასდიოდა. ორ, სამ, შესაძლოა, ოთხ წუთს ღმუოდა იგი, მერე კი სიჩუმე ჩამოვარდა. განათდა. კიდევ რამდენიმე წუთი გავიდა, ბორცვის ფხაზე მთვარე შემოჯდა და შემოგარენს ნათელი მოჰფინა. მთვარის სინათლეზე თეთრად ქათქათებდა სვავების მიერ შემოღრღნილი ძვლები, მაგრამ ვეფხვი არსად ჩანდა. მღელვარებისაგან გამშრალ ტუჩებზე ენა მოვისვი და ნელა დავუსტვინე. ბალა სინგხი მზად იყო და გავიგონე, როგორ სთხოვა ქოხის პატრონს კერიდან ცეცხლი მიეწოდებინა. ლერწმის კედლის ჭუჭრუტანიდან სუსტმა შუქმა გამოანათა, რომელიც უფრო აკაშკაშდა, როცა ფარანი აანთეს. შემდეგ სინათლემ გადაინაცვლა და ბალა სინგხმა კარი გააღო, ზღურბლზე შეჩერდა და ჩემს განკარგულებას უცადა. გარდა ხმადაბალი სტვენისა, კრინტიც არ დამიძრავს, არ გამიკეთებია არავითარი მოძრაობა იმ მომენტიდან, რაც ხეზე ავედი, და როცა ძირს გადავიხედე, ვეფხვი დავინახე. იგი მთვარის კაშკაშა სინათლეზე ჩემ ქვემოთ იდგა და მარჯვენა მხრიდან მისჩერებოდა ბალა სინგხს. თოფის ლულიდან ვეფხვის თავამდე სულ ბევრი ხუთი ფუტი იყო და ვიფიქრე, სროლით ბალანს შევუტრუსავ-მეთქი. თოფის ნიშანი სწორედ ცხოველის გულის დონეზე მქონდა დაყენებული — ვიცოდი, რომ მას უმალვე სიკვდილი ელოდა, — და მსუბუქად დავაჭირე სასხლეტს. ჩახმახი დაეშვა, მაგრამ გასროლა არ მოჰყოლია.

ღმერთო დიდებულო, რა დაუდევრობაა ჩემი მხრივ! ძალიან კარგად მახსოვდა, რომ, როცა ხეზე მოვეწყვე, ვაზნების კოლოფში ხუთვაზნიანი მჭიდე ჩავდე, მაგრამ, როგორც ჩანს, საკეტმა ვაზნა სავაზნეში არ მიიტანა, მე კი ეს მხედველობიდან გამომრჩა. შაშხანა ძველი და ნახმარი რომ ყოფილიყო, შესაძლოა, თავად გამოესწორებინა შეცდომა, მაგრამ შაშხანა ახალი იყო. როცა საკეტი უკან დავწიე, ლითონის მძაფრი

ტკაცანი გაისმა. ვეფხვი ერთი ნახტომით აღმოჩნდა თხრილის ნაპირას და თვალს მიეფარა. შემოვბრუნდი, რომ შემეხედა, თუ როგორ იმოქმედა ამან ბალა სინგხზე, და დავინახე — მან უკან დაიხია, ქოხში შევიდა და კარი მიიხურა.

რაღა საჭირო იყო სიჩუმის დაცვა. მოვიხმე ბალა სინგხი, იგი ხიდან ჩამოსვლაში დამეხმარა. საკეტი დავწიე, რომ შაშხანა დამეცალა, და დავინახე: ვაზნის გამომგდები საკეტის ბოლოზე ვაზნას აკავებს. მაშასადამე, შაშხანა გატენილი იყო, დამცავი კი მოხსნილი. მაშ რატომ არ გავარდა, როცა სასხლეტი მოვწიე? მიზეზი მოგვიანებით შევიტყვე. როცა მმართველი მენტონთან შაშხანას მიჩვენებდა, მან განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, რომ თოფს ორმაგი სასხლეტი ჰქონდა. წინათ არასოდეს მქონია საქმე ამგვარ ეგრეთწოდებულ გაუმჯობესებულ შაშხანასთან, და არ ვიცოდი, რომ მსხლეტ კავზე პირველი დაჭერის შემდეგ, როცა საკეტი აიწევა, საჭიროა მეორედ დაჭერა, რათა დამრტყმელი გაათავისუფლო. როცა ბალა სინგხს ჩემი მარცხის მიზეზი ავუხსენი, მან თავის გამტყუნება დაიწყო. „მე რომ თქვენი ორლულიანი თოფი და ჩემოდანი მომეტანა, — ეს არ მოხდებოდაო“. იმ მომენტში მეც ასე მეგონა, მაგრამ რაც დრო გადიოდა, მით უფრო ნაკლებად მჯეროდა. რომ იმ ღამეს მოვკლავდი ვეფხვს თუნდაც ორლულიანი თოფით.

4

მეორე დილას კვლავ წავედი კაციჭამიაზე ახალი ამბების შასატყობად. „რესტ-ჰაუზში“ რომ დავბრუნდი, ვიღაც აღელვებული კაცი შემხვდა და მაცნობა, ვეფხვმა ეს-ეს არის ჩემი ძროხა მოკლაო. ეს კაცი პირუტყვს იმავე ხეობის მეორე ბოლოში აძოვებდა, სადაც წუხელ საფარში ვიჯექი. უეცრად გამოჩნდა ვეფხვი და მოკლა წაბლა ძროხა, რომელსაც სულ რამდენიმე დღის წინათ მოეგო ხბო.

— ახლა, — თქვა მან, ხბო დაიღუპება, რადგან არც ერთი ჩემი ძროხა არ იწველის.

გუშინ საღამოს ვეფხვს ბედი ეწია, მაგრამ შეუძლებელია, რომ მას მუდამ სწყალობდეს ბედი. ძროხის მოკვლა მას საკუ-

თარ სიცოცხლედ უნდა დაუჯდეს, რადგან მთაში პირუტყვი მცირეა და მეწველი ძროხის დაღუპვა დიდი უბედურებაა ღარიბი კაცისათვის. გლეხს თავისი მცირე ჯოგის დარდი არ ჰქონდა, რომელიც დამფრთხალიყო და სოფელში გაქცეულიყო, ამიტომ დაზარალებული ხალისით დათანხმდა დაეცადა, სანამ ვისადილებდი. დღის პირველ საათზე გზას გავუდექით, ის წინ მიდიოდა, მე უკან მივდევდი, კიდევ ორი კაცი მოგვყვებოდა, რომლებსაც მოჰქონდათ ყველაფერი, რაც მაჰანის* ასაგებად იყო საჭირო.

გაშლილი ნაკვეთიდან ბორცვის ფერდობზე გლეხმა დამანახვა ადგილი, სადაც ეს ამბავი მოხდა. მისი პირუტყვი თურმე ბალახით დაფარულ პატარა მინდორზე ძოვდა, ბორცვის წვერიდან მეოთხედი მილის მანძილზე. როცა ხეობის მხრიდან ვეფხვი გამოჩნდა და ძროხას ეცა, დანარჩენი ცხოველები დაფრთხნენ და გაიქცნენ სოფლისაკენ, რომელიც ბორცვის მეორე მხარეს მდებარეობდა. ჩვენი უმოკლესი გზა ხევზე გადიოდა, შემდეგ ზევით, ფერდობებზე, მიიმართებოდა. მაგრამ, ვეფხვი რომ არ დაგვეფრთხო, ხევს ზემოდან მოვუარეთ და იმ ადგილს მივუახლოვდით, სადაც მოკლული ძროხა ეგდო. ბორცვის თხემსა და იმ ნაკვეთს შორის, სადაც პირუტყვი ძოვდა, საკმაოდ მეჩხერი ტყე იყო. გაქცეული ცხოველების ნაკვალევი ღრმად აღბეჭდილიყო რბილ თიხნარ ნიადაგზე. და ამიტ ადვილად შეიძლებოდა გვეპოვა მკვლელობის ადგილი. დავინახეთ დატბორილი სისხლი: აქედან იწყებოდა ნათრევი ლეშის ნაკვალევი. ნაკვალევი გასდევდა ფერდობს ორასი იარდის მანძილზე ხშირი ტყით დაფარულ ხრამამდე, რომელშიც პატარა ნაკადული მიედინებოდა. სწორედ ამ ხრამის ზევით გაიტაცა ვეფხვმა თავისი მსხვერპლი.

ვეფხვმა მოკლა ძროხა დილის ათ საათზე გაშლილ ადგილას და, ბუნებრივია, მისი პირველი საზრუნავი იყო დაემალა მსხვერპლი ცნობისმოყვარეთა თვალისაგან. მან იცოდა მყუდრო ადგილი ხრამში და ძროხა იქ წაიღო. ნადავლი რომ დამალა, როგორც თათების ანაბეჭდი გვიჩვენებდა, ვეფხვი იმავე ხრამით

---

* ხეზე მოწყობილი საფარი, საიდანაც მონადირეები ესვრიან მისატყუართან მისულ მხეცს.

ხევში დაეშვა. იმ ადგილებში, სადაც ხალხი ან პირუტყვი დადის, ვერ განსაზღვრავ, სად ჩაწვება ვეფხვი, რადგან ჩქამიც საკმარისია, რომ მან ადგილი გადაინაცვლოს. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ვეფხვის ნაკვალევი ქვემოთ ხრამისაკენ მიდიოდა, ჩვენ ძალიან ფრთხილად მივიწევდით წინ ზევით ათრეული ლეშის ნაკვალევზე.

ძირს, თხემიდან ორას იარდზე, წვიმის წყლებს დიდი ორმო ამოეთხარათ. აქ ხევი იწყებოდა. ორმო მრავალი წლის წინათ გაჩნდა და თითქმის დაიფარა ათი-თორმეტი ფუტი სიმაღლის ახალგაზრდა მუხებითა და კოპიტით. თხემის ახლო ნაპირი თხუთმეტი ფუტი სიღრმის ხრამს წარმოადგენდა. ძროხას მივაგენით მოტიტვლებულ პატარა ნაკვეთზე, ხრამსა და ახალგაზრდა ხეებს შორის. კარგად გავიგე პატრონის მწუხარება, როცა თვალცრემლიანმა მითხრა, ეს მშვენიერი ცხოველი ჩემი მარჩენალი იყო და განსაკუთრებით მიყვარდაო. ვეფხვს პირი არ დაეკარებინა ნადავლისათვის და აქ მოიტანა, როგორც ჩანს, იმისათვის, რომ მოგვიანებით მშვიდად შეეჭამა.

ახლა ჩასასაფრებელი ადგილი უნდა შემერჩია. ხევის ორივე ნაპირზე რამდენიმე დიდი მუხა იდგა. მაგრამ ვერც ერთიდან ვერ დავინახავდი ძროხას, ამ ხეებზე ასვლაც შეუძლებელი იყო. ქვემოთ, ხრამის მარცხენა ნაპირზე, მოკლული ცხოველიდან ოცდაათ იარდზე, მაგარი პატარა ეკლიანი ჭყორი იდგა, რომელსაც ტოტები შტამბისაკენ სწორკუთხედად წაზრდოდა. მიწიდან ექვსი ფუტის სიმაღლეზე საკმაოდ მაგარი ორი როკი იყო, შეიძლებოდა ერთზე დავმჯდარიყავი, მეორეზე კი ფეხები მიმებჯინა, სამივე თანამგზავრი ენერგიულ პროტესტს აცხადებდნენ იმის წინააღმდეგ, რომ მიწიდან ასე ახლო დამეკავებინა ადგილი, მაგრამ გარშემო არსად იყო შესაფერი ხე და ამაზე შევჩერდი. ხალხი გავგზავნე იმ ქოხში, სადაც გუშინ ვიყავი, და ვუთხარი, დამლოდებოდნენ, ვიდრე არ დავუძახებდი ან თვითონ არ მივიდოდი მათთან. ხევიდან ქოხამდე ნახევარი მილი იყო. იქიდან ისინი ვერ შეძლებდნენ ვერც ჩემი და ვერც იმ ადგილის დანახვას, სადაც ძროხა ეგდო, მე კი ჭყორიდან ვხედავდი ქოხს.

ჩემი თანამგზავრები დღის ოთხ საათზე წავიდნენ. ხეზე

მოვეწყვე და ხანგრძლივი ლოდინისათვის მოვემზადე. ჩე ბორცვის დასავლეთ ფერდობზე იდგა, ხოლო ვეფხვი მზის ჩასვლამდე არ გამოვიდოდა თავისი საფარიდან. მარცხნივ, ფოთლებში, ორმოცდაათი იარდის მანძილზე, კარგად ჩანდა დაქანებული ხევი, ზედ დავყურებდი მის შიდა ნაწილს, რომლის სიღრმე ათ, განი კი თორმეტ ფუტს უდრიდა. ზემოთ ბორცვის უტყეო, მთის ქანებიანი ფერდობი ჩანდა. მარჯვნივ, თხემამდე, იშლებოდა შემოგარენი, მაგრამ მოკლულ ცხოველს ხშირი ხეები ფარავდა. უკან, თითქმის ჩემს ხემდე, ახალგაზრდა ბამბუკის—რინგალის—ხშირი ამონაყარი მოსდებოდა, რომელიც კიდევ უფრო ფარავდა ძროხას. ნადავლი რომ დამალა ორმოში, ვეფხვი ხევში ქვევით დაეშვა. ვვარაუდობდი, იგი იმავე გზით დაბრუნდება-მეთქი, ამიტომ მთელი ყურადღება ხრამს მივაპყარი: ვეფხვისათვის იმ მომენტში უნდა მესროლა, როცა ჩემ მიმართ აღმოჩნდებოდა მართი კუთხით. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ასეთ მოკლე მანძილზე პირველივე გასროლით მოვკლავდი, მაგრამ ყოველ შემთხვევისათვის, — შესაძლოა, მეორედ სროლა დამჭირვებოდა — ორივე ჩახმახი შევაყენე.

ჯუნგლების იმ ადგილებში ბინადრობდნენ სამბხარები, კარკერები*, ლანგურები**, მრავალი ხოხობი, კაჭკაჭი, შაშვი და ჩხიკვი. ყველა ისინი განგაშს ატეხენ ხოლმე კატისებრთა ოჯახის წარმომადგენლის დანახვაზე. ამიტომ ვფიქრობდი, ვეფხვის გამოჩენის დროს აუცილებლად მრავალ გაფრთხილებას მივიღებ-მეთქი, მაგრამ შევცდი. ერთი საგანგაშო ყვირილიც არ გამიგონია, თუმცა უცებ მომესმა, ვეფხვი ძროხას უახლოვდებოდა. როგორც ჩანს, როცა ხრამში წყურვილის მოსაკლავად დაეშვა, მან რინგალის შამბნარს შემოუარა, და ისე მიადგა ნადავლს, რომ ჩემ ახლოს არ გაუვლია. ამას მაინცდამაინც არ შევუშფოთებივარ, რადგან დღისით ნადავლთან ვეფხვი ვერ გრძნობს თავს მშვიდად და დარწმუნებული ვიყავი, რომ ადრე თუ გვიან იგი ღია ადგილას გამოჩნდებოდა.

ვეფხვი გლეჯდა ხორცის დიდ ნაჭრებს და ჭამდა. დაახლო-

---

* კ ა რ კ ე რ ი — ირმის სახეობა.

** ლ ა ნ გ უ რ ი — ჰიმალაის მთების ძირში ბინადარი მაიმუნი.

ებით თხუთმეტი წუთი გავიდა, როცა ჰიმალაის ვეებერთელა შავი დათვი შევნიშნე. ის გამოჩნდა მარცხნივ ბორცვის თხემზე და ისე მედიდურად მოაბიჯებდა, თითქოს მისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენი დრო დასჭირდებოდა ერთი ადგილიდან მეორემდე მისვლას. უცებ დათვი შედგა, ბორცვის ფერდობს გადახედა და მიწაზე გაგორდა. ერთი-ორი წუთის შემდეგ თავი ასწია, ჰაერი შეისუნთქა და კვლავ გაგორდა. მთაში ქარი დღისით ყოველთვის ფერდობის აღმა ქრის და დათვმა ვეფხვის სუნთან შერეული ხორცისა და სისხლის სუნი იყნოსა. ჩემი იქ ყოფნა მას არ უგვრძნია, რადგან მოკლული ცხოველის მარჯვნივ ვიმყოფებოდი. მალე იგი მოხრილ თათებზე შედგა. მიწას გაეკრა და ვეფხვთან მიპარვა დაიწყო.

არაერთხელ მინახავს, როგორ ეპარებიან ცხოველები მსხვერპლს, მაგრამ ამ დათვის ფერდობზე დაშვება ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო. მას ორასი იარდი უნდა გაევლო, და თუმცა იგი არ იყო გაჩენილი იმისათვის, რომ ვეფხვის ან ჯიქის მსგავსად ფეხაკრეფით ემოძრავა, ეს მანძილი გველივით უხმაუროდ გაიარა. რაც უფრო უახლოვდებოდა, მით უფრო ფრთხილობდა. ორმოში ჩასვლამდე რამდენიმე ფუტი — მე პხოლოდ ორმოს ზედა ნაპირს ვხედავდი — იგი მუცლით გახოხდა. იხელთა დრო, როცა ვეფხვი მეტისმეტად გაერთო ჭამაში, ორმოს პირთან ნელა ასწია თავი, ჩაიხედა შიგ და მერე ნელა დასწია თავი. ძალიან ავღელდი, მთლად ვცახცახებდი და პირი გამიშრა.

ორჯერ ვნახე, როგორ მიჰქონდათ ჰიმალაის დათვებს ვეფხვის მიერ მოკლული ცხოველები. ორივე შემთხვევაში ვეფხვები ახლოს არსად ჩანდნენ. ორჯერ ვნახე, როგორ მიდიოდნენ ნადავლის ჭამის დროს ჯიქებთან დათვები, გააგდებდნენ მათ და იტაცებდნენ ნადავლს. მაგრამ ამ შემთხვევაში მსხვილი ხვადი ვეფხვი თავისი მსხვერპლის გვერდით იყო, ის არ ეკუთვნოდა იმ მხეცთა რიცხვს, რომელთა გაგდება იოლად შეიძლებოდა. ნუთუ ეს დათვი იმდენად სულელი იქნებოდა, რომ შეეცდებოდა ნადავლი წაერთმია ჯუნგლების მეფისათვის. დათვი კი სწორედ ამას აპირებდა. შესაფერისი მომენტიც მიეცა, როცა ვეფხვმა ძვალს დაუწყო ღრღნა. არ ვიცი, უცდიდა თუ არა დათვი სწორედ ამ წუთს, მაგრამ მაშინ, როცა ვეფხვი ძვალს ღრღნიდა, დათვი ორმოს ნაპირისაკენ გადაიზნიქა, თათები

აიკრიფა და ღრიალით დაეშვა ქვევით. მას, როგორც ჩანს, სურდა ვეფხვის დაფრთხობა, მაგრამ შედეგი სხვანაირი აღმოჩნდა. ვეფხვი გაბრაზდა და უფრო ძლიერი ღმუილით უპასუხა.

ორი სხვადასხვა ჯიშის მხეცის შებმა, როცა ბრძოლის მიზანი დამარცხებულის სიცოცხლე კი არ არის, არამედ თვითონ ბრძოლაა, ფრიად იშვიათი მოვლენაა. ეს ჩემთვის ცნობილი მეორე შემთხვევა იყო. ბრძოლა არ დამინახავს, მაგრამ ყველაფერი გავიგონე. ორმოში შემაძრწუნებელი ბრძოლის ხმაური იდგა, და ბედს მადლობას ვწირავდი, რომ ბრძოლა წარმოებდა ორ თანაბარუნარიან მოწინააღმდეგეს შორის, რომელთაც შეუძლიათ თავის დაცვა, და არა სამს შორის, რომელთაგან ერთ-ერთი შეიძლება მე ვყოფილიყავი. დრო შეჩერდება ხოლმე, როცა გული ბუდიდან ამოვარდნას ლამობს და სისხლი დუღს. შეჯახება სამ წუთს გრძელდებოდა, შეიძლება მეტსაც. ბოლოს ვეფხვმა ბრძოლა შეწყვიტა და ღია ადგილისაკენ მოკურცხლა, მას ფეხდაფეხ მისდევდა ღრიალით დათვი. სწორედ მაშინ, როცა ვეფხვს მარცხენა ბეჭში ვუმიზნებდი, იგი მკვეთრად მობრუნდა მარცხნივ, გადაევლო ოცფუტიან ხრამს და მიწაზე ჩემს ფეხებს ქვემოთ დაეშვა. ვეფხვი ჯერ კიდევ ჰაერში იყო, რომ შაშხანის ლულა დავუშვი და ვესროლე მას, როგორც მომეჩვენა, პირდაპირ ზურგში. ჩემს გასროლას ვეფხვი უკან ტაფობში რინგალის მტვრევითა და გაბრაზებული ღრენით გამოეხმაურა, რომელიც კიდევ რამდენიმე წამს მესმოდა. შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა. ალბათ, ტყვია გულში მოხვდა და ვეფხვი წაიქცა, გადავწყვიტე მე.

500-ყალიბიანი გაუმჯობესებული და მძიმე ტყვიის მსროლელი შაშხანა ყოველთვის დიდ ხმაურს გამოსცემს, აქ ხევში კი ზარბაზანივით დაიგრიალა. თუმცა ამ გრიალს არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია გაოგნებულ დათვზე. იგი კვალდაკვალ მოსდევდა ვეფხვს და ხევს კი არ გადაახტა, არამედ ქარიშხალივით ჩაეშვა ხევში და პირდაპირ ჩემ წინ ამოხტა. მე არ მინდოდა მომეკლა ცხოველი, რომელმაც იმდენი ვაჟკაცობა გამოიჩინა, რომ ვეფხვს გამოგლიჯა ნადავლი, მაგრამ სიგიჟე იქნებოდა, ახლოს მომეშვა ეს გამძვინვარებული მხეცი. ამიტომ, როცა დათვი ჩემგან რამდენიმე ფუტის მანძილზე აღმოჩნდა, მარცხენა ლულიდან დავახალე ტყვია ფართო შუბლში.

მან დაიწყო ნელ-ნელა ხოხვა მუცელზე, სანამ უკანა თათებით არ მიებჯინა ხევის მოპირდაპირე ნაპირს.

ჯერ კიდევ ერთი წუთის წინ ჯუნგლები გააფრთებული ბრძოლისა და შაშხანის გრიალისაგან ზანზარებდნენ, ახლა კი სიჩუმე ჩამოვარდა. როცა გული საგულეს ჩამიდგა, მომაგონდა, რომ ამ დროს სიგარეტი დამაწყნარებლად მოქმედებს ადამიანზე. შაშხანა მუხლებზე დავიდე და ორივე ხელი ჯიბეებში ჩავიყავი პორტსიგარსა და ასანთის ამოსაღებად. ამ დროს ჩემგან მარჯვნივ რაღაც მოძრაობა შევნიშნე. თავი მივიბრუნე და დავინახე, რომ ვეფხვი აუჩქარებლად კვეთს იმ ღია ადგილს, რომელზეც ორი წუთის წინ დაოთხილი მიქროდა. მას თვალი მოკლული მტრისაკენ ეჭირა.

ვიცი, რომ ამ ამბის წაკითხვის შემდეგ მონადირენი ბრალს დამდებენ, სროლა არ სცოდნია და მეტისმეტად დაუდევარი ყოფილაო. ხელმოცარული სროლის გამო არაფერი მეთქმის თავის გასამართლებლად, მაგრამ თავს არ ვცნობ დამნაშავედ დაუდევრობაში. როცა ვეფხვს ვესროლე, ჩემი ვარაუდით ზურგში, დარწმუნებული ვიყავი, სასიკვდილოდ დავჭერიმეთქი: გაბრაზებული ღმუილი, გააფთრებული ნახტომი ტაფობში და ამასთანავე მოულოდნელი სიჩუმე მხეცის დაღუპვის საკმაო დამამტკიცებელი საბუთი გახლდათ. მეორე სროლით სული გავაფრთხობინე დათვს. ამიტომ სანამ ხეზე ვიჯექი, არ იყო საჭირო შაშხანაში ვაზნები ჩამეწყო, ვიდრე მაის მუხლებზე დავიდებდი.

ცოცხალი და უვნებელი ვეფხვის გამოჩენამ გამოაცა და ერთი-ორი წამი დამაკარგვინა, მაგრამ შემდეგ სწრაფად ვმოქმედებდი. მართალია, შაშხანას ჩაკეტილი ჩახმახი ჰქონდა, რომელიც ორი მომჭერით დამაგრებული იყო დამცველზე, რაც აყოვნებდა ხელახლა გატენას. გარდა ამისა, სათადარიგო ვაზნები შარვლის ჯიბეში მქონდა, საიდანაც მათი ამოღება ადვილია, როცა ფეხზე დგახარ, და არც ისე იოლია ამის გაკეთება, როცა წვრილ ტოტზე ხარ ჩამომჯდარი. გრძნობდა ვეფხვი, რომ დათვი მკვდარი იყო, თუ მხოლოდ იმიტომ არ აშორებდა თვალს, რომ უნდოდა აეცდინა გვერდიდან თავდასხმა, არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში ის განაგრძობდა სირბილს ციცაბო ფერდობზე მშვიდი ნავარდით. სანამ ის დიდი კლდის მახლობლად

ჩემგან ორმოცი იარდის მოშორებით გარბოდა, მხოლოდ ერთი ლულის გატენა მოვასწარი, შაშხანა ავწიე და ვესროლე. ვეფხვი უკანა თათებზე შედგა, შეირხა და მძიმედ დაეცა გვერდზე, მერე წამოხტა, აიშვირა კუდი და გაქრა ბორცვის შვერილის უკან. ნიკელის გარსში მოქცეული ტყვია რბილი თავითა და ფოლადის გულით მოხვდა კლდეს ვეფხვის თავიდან რამდენიმე დიუმის მანძილზე, რამაც მას წონასწორობა დააკარგვინა, მაგრამ მხეცისათვის არავითარი ზიანი არ მიუყენებია.

მშვიდად მოვწიე სიგარეტი, ჭყორიდან ჩამოვედი და დათვის სანახავად წავედი; ის უფრო დიდი აღმოჩნდა, ვიდრე მეგონა. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო ბრძოლა, რომელიც მან თავს მოახვია მოწინააღმდეგეს. მრავალი ღრმა ჭრილობიდან კისერზე და ხშირი ბალნის ქვეშ სისხლი წვეთავდა, თავზე კი რამდენიმე ადგილას ძვლამდე კანი ჰქონდა გაგლეჯილი. ეს ჭრილობები თავისთავად არაფერს წარმოადგენდა ისეთი ღონიერი მხეცისათვის, როგორიც დათვია, მაგრამ ცხვირში მოხვედრამ ის საშინლად გაამძვინვარა. ყველა ხვადს გააცოფებდა ასეთი დარტყმა. დათვს არათუ დაარტყეს ამ სათუთ ადგილას, არამედ კიდევაც შეურაცხყვეს იგი: ვეფხვმა მას შუაზე გაუგლიჯა დრუნჩი, რაც სრულიად საკმაო საფუძველი იყო, რომ არ მიექცია ყურადღება მძიმე შაშხანის სროლის ხმისათვის, სიძულვილით ანთებულიყო და მტერს დასდევნებოდა.

დაღამებამდე ცოტა დრო რჩებოდა, ამიტომ აღარ დამიძახია ხალხისათვის, რომ დათვი გაეტყავებინათ. გადავწყვიტე თვითონ წავსულიყავი მათთან. ვიდრე დაბნელდებოდა, „რესტჰაუზში“ უნდა მომესწრო მისვლა: ამ ადგილებში ხომ კაციჭამია ბინადრობდა. ქოხის ახლო, გარდა ჩემი მხლებლებისა, ათიოდე გლეხიც იყო. ყველა ისინი დაძაბული გამოჰყურებდნენ ხეობას და როცა მათ შორის გამოვჩნდი, გაოცებისაგან ენა ჩაუვარდათ.

პირველმა ენა ამოიდგა ბალა სინგხმა. მას რომ მოვუსმინე, მივხვდი, რატომ მიყურებდნენ შეკრებილნი ისე, თითქოს საიქიოდან დაბრუნებულიყავი.

— ჩვენ გირჩევდით არ ჩამომჯდარიყავით ტოტზე ასე ახლოს მიწიდან, — თქვა ბალა სინგხმა, — როცა თქვენი პირვე-

ლი ყვირილი, შემდეგ კი ვეფხვის ღრიალი გავიგონეთ, ვიფიქრეთ, მხეცმა ხიდან ჩამოგათრიათ და მას სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდით. მალე ვეფხვი გაჩუმდა, თქვენ კი ყვირილს განაგრძობდით, ჩვენ გვეგონა, ის მიგათრევდა. მოგვიანებით ორჯერ გავიგონეთ თქვენი თოფის ხმა, შემდეგ კიდევ ერთხელ მოგვესმა გასროლა და ვერასგზით ვერ მივხვედრილიყავით, როგორ ახერხებდა სროლას კაცი, რომელსაც ვეფხვი მიათრევდა. დავიწყეთ მსჯელობა, როგორ მოვქცეულიყავით. და აი უეცრად თქვენ გამოჩნდით. ისე დავიბენით, რომ კრინტი ვეღარ დავძარით. თუ ხალხი ყურს უგდებს იქიდან მომავალ ხმებს, სადაც მონადირეა ჩასაფრებული ვეფხვის მოლოდინში, ნერვული დაძაბულობის გამო, ადვილი შესაძლებელია, დათვის ღმუილი ადამიანის ყვირილად მოეჩვენოთ, რადგანაც ეს ხმები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს, დიდ მანძილზე კი საერთოდ ვერც გაარჩევს კაცი.

სანამ შეკრებილთ ვუამბობდი იმ ბრძოლაზე, რომლის ხმაც მათ გაიგონეს, და მოკლულ დათვზე, ამასობაში ბალა სინგხმა ჩაი მომიმზადა.

დათვის ქონი ძვირი ღირს, როგორც რევმატიზმის წამალი, და ძალიან გავახარე ჩემი მსმენელები, როცა ვუთხარი, ქონი არ მინდა და შეგიძლიათ გაინაწილოთ-მეთქი. მეორე დილას დათვის გასატყავებლად წავედი. თან ბლომად მახლდა ხალხი. მათ ერთი სული ჰქონდათ თავისი წილი ქონი მიეღოთ და ენახათ მხეცი, რომელიც ვეფხვს შეება. არასოდეს არ მქონია შემთხვევა გამეზომოს ან ამეწონოს დათვები, თუმცა ისინი ხშირად შემხვედრიან, მაგრამ ეს უეჭველად ყველაზე დიდი და მსუქანი იყო ჰიმალაის იმ დათვებს შორის, რომლებიც ოდესმე მინახავს. როცა ქონი და, რაც მთავარია, ხორცის ნაჭრები გავანაწილეთ, ბედნიერი ხალხი დაბიდხურში გაეშურა. მათ შორის ყველაზე ბედნიერი მაინც ბალა სინგხი იყო, ყველას შურდა, რომ მას ზურგზე მოეგდო ჩემგან მიღებული დათვის ტყავი.

ვეფხვი არ დაბრუნებულა დარჩენილი ნადავლის მისართმევად და საღამოსათვის სვავებმა პირწმინდად მოასუფთავეს ძროხისა და დათვის ძვლები.

მსუქანი დათვის გატყავება ძალიან ბინძური სამუშაოა. ამ საქმეს რომ მოვრჩი, ძლივს მივათრევდი ფეხებს „რესტ-ჰაუზი-

საკენ", — ცხელი აბაზანა უნდა მიმეღო და დავნაყრებულიყავი. გზაზე აღელვებული მეტყევე შემხვდა. წინა ღამეს ის შორს მდებარე ნაკვეთს ათვალიერებდა და დღეს დილით დაბიდხურში დაბრუნებისას, ბანიას დუქანში შეეტყო, რომ მე დათვი მოვკალი. მეტყევეს აუცილებლად ჭირდებოდა დათვის ქონი რევმატიზმით დაავადებული მამისათვის. ის ჩქარობდა, ცოტა მაინც ეშოვნა ეს უებარი წამალი, და ამ დროს დაინახა დამფრთხალი ნახირი, მენახირეს ეთქვა ვეფხვმა შენი ერთ-ერთი ძროხა მოკლაო. მეტყევემ დაახლოებით იცოდა, სად ძოვდა ეს ნახირი, როცა მას თავს დაესხა ვეფხვი, ამიტომ (მაშინ როცა ბალა სინგხი და დანარჩენები გზას განაგრძობდნენ დაბიდხურისკენ) ჩვენ მოკლული ძროხის საძებრად გავეშურეთ. გორაკების ფერდობებზე ორ მილზე მეტი გავიარეთ და პატარა ხეობაში გამოვედით. მეტყევე ვარაუდობდა, რომ მოკლული ძროხა სწორედ ამ ადგილას იქნებოდა.

რამდენიმე დღის წინ ალმორში წარმოებდა გურკხების* ჯარების კონტინგენტთა ჩამოწერილი ტანსაცმლის გაყიდვა. ჩემმა თანამგზავრმა იქ ერთი წყვილი სამხედრო ფეხსაცმელი შეიძინა, რომელიც მას ძალიან დიდი მოუვიდა; ამიტომ სიარული უჭირდა და მძიმედ მიაბიჯებდა, სანამ ხეობას არ მივადექით. იქ ფეხსაცმელი გავახდევინე და რომ დავინახე, რა მდგომარეობაში ჰქონდა ფეხები, გამაჟრჟოლა. წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება, კაცმა, რომელმაც მთელი ცხოვრება ფეხშიშველმა გაატარა, მხოლოდ თავმომწონების გულისათვის თავი ასეთ სატანჯველში ჩაიგდოს.

— დიდი ფეხსაცმელები იმიტომ ვიყიდე, — განმიმარტა მან, — რომ, ვფიქრობდი დროთა განმავლობაში დაპატარავდებიან.

ნავის მსგავსი ხუთიოდე აკრი სიდიდის ხეობა შორი-შორ დარგულ ვეებერთელა მუხების მშვენიერ პარკს მაგონებდა. ფერდობი, საიდანაც ხეობას მივადექით, დაქანებული იყო და ზედ მხოლოდ ბალახი იზრდებოდა. მოპირდაპირე მხრიდან თხელი ბუჩქნარით დაფარული ბორცვი საკმაოდ ციცაბო

---

* გ ურ კ ხ ე ბ ი — კოლონიური არმიის ჯარისკაცები, ძირითადად ნეპალის მთის რაიონებში შეკრებილი.

გახლდათ. რამდენიმე წუთს ვიდექი, ყურადღებით ვსწავლობდი მხედველობის არეში მოქცეულ მიწის თითოეულ მტკაველს და, რადგან საეჭვო ვერაფერი აღმოვაჩინე, ხეობაში ჩავედი. ჩუმად მომყვებოდა ფეხშიშველი მეტყევე. ხეობის ფსკერზე საკმაოდ დიდ ფართობზე მოქუჩებული ჩამოცვენილი ფოთლებისა და ფიჩხის ვეებერთელა გროვა დავინახე. თუმცა ძროხის ლეში არ ჩანდა, მაგრამ ვიცოდი, რომ ამ გროვის ქვეშ დამალავდა ვეფხვი თავის მსხვერპლს. მე ძალიან წინდაუხედავად მოვიქეცი, რომ ამის შესახებ არ გავაფრთხილე მეტყევე, რომელმაც, როგორც მოგვიანებით გამოტყდა, არ იცოდა, რომ ვეფხვს ჩვეულება აქვს ნადავლი დამალოს. თუ ვეფხვი მალავს მოკლულ ცხოველს, ეს ნიშნავს, რომ იგი მსხვერპლის მახლობლად ჩაწვება, მაგრამ დაუდევრობა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს იგი ყოველთვის ასე იქცევა. ამიტომ თუმცა გულდასმით დავათვალიერე მიწა, მაგრამ, ვიდრე ხეობაში ჩავიდოდი, შევდექი და კიდევ ერთხელ მივიხედ-მოვიხედე.

ფოთლებისა და ტოტების გროვის მახლობლად ორმოცდახუთგრადუსიანი კუთხით ბორცვი ამაღლებულიყო, ორმოცი იარდის ზევით ფერდობებზე კი რამდენიმე ბუჩქი ხარობდა. როცა თვალი მოვავლე ამ ბუჩქებს, ვეფხვი დავინახე, იგი ჩემკენ ზურგით შემობრუნდა. მე ვხედავდი მისი თავისა და სხეულის ნაწილს ფერდამდე. თავში სროლაზე ფიქრიც ზედმეტი იყო, სხვა ადგილას დაჭრა კი სასურველ შედეგს არ მომცემდა. ჩემს განკარგულებაში იყო ნახევარი დღე და მთელი საღამო, ამიტომ გადავწყვიტე დავმჯდარიყავი და მომეცადა, ვიდრე სასროლად მოხერხებული მომენტი დადგებოდა. ადრე თუ გვიან ვეფხვი ხომ უნდა ამდგარიყო. როგორც კი ეს გადაწყვეტილება მივიღე, მარცხნივ ოდნავ შესამჩნევ მოძრაობას მოვკარი თვალი, მივიბრუნე თავი და ძუ დათვი დავინახე. იგი ფეხაკრეფით ეპარებოდა ძროხას; თან ახლდა ორი მოზრდილი ბელი. დათვმა, ცხადია, იცოდა, რომ ვეფხვმა მოკლა ძროხა, და მისცა დრო დაწინაურებულიყო, — რაც მე თვითონაც არა ერთხელ გამიკეთებია, — ახლა დასაზვერად მიდიოდა. სხვანაირად შეუძლებელი იყო: განსაკუთრებული მიზეზების გარეშე ძუ დათვი დღისით არ დასეირნობს. მოკლული

ცხოველიდან რამდენიმე ნაბიჯზე რომ არ ვმდგარიყავი, ან ხეობის განაპირას ვყოფილიყავი, მეტად საინტერესო სანახაობის მოწმე გავხდებოდი. ნახავდა თუ არა ძროხას, რაც დათვისათვის ძნელი არ იყო,—მათ შესანიშნავი ყნოსვა აქვთ,—ბელებთან ერთად დათვი დაიწყებდა დაფარებული ფოთლებისა და ტოტების გაქექვას. ეს გამოაღვიძებდა ვეფხვს და უბრძოლველად არ დაუთმობდა თავის ნადავლს. მართლაც რომ ღირდა ასეთი ბრძოლის ყურება.

ამ ხნის განმავლობაში მეტყევე წყნარად იდგა ჩემ უკან და ვერაფერს ხედავდა. ხოლო როცა დათვები შეამჩნია, იყვირა:

— შეხედეთ, საიბ, დათვები!

ვეფხვი იმწამსვე წამოხტა და მოკურცხლა. დაახლოებით ოცი იარდი მას ღია ადგილზე უნდა გაერბინა. დავუმიზნე და თითი სასხლეტს დავაჭირე; მეტყევემ იფიქრა, რომ ვუმიზნებდი არა იქ, სადაც საჭირო იყო, ხელი მაჯაში მტაცა და ტყვია მოხვდა ხეს რამდენიმე იარდზე იმ ადგილიდან, სადაც ვიდექი. გულისწყრომას სიკეთე არასოდეს არ მოჰყოლია და მით უფრო ჯუნგლებში. მეტყევემ არ იცოდა, რა იმალებოდა ფოთლების გროვაში, ვეფხვი არ დაუნახავს და ეგონა, მიაპყრობდა რა ჩემს ყურადღებას საშინელ დათვებზე, სიკვდილს გადამარჩენდა, ამიტომ აღარაფერი მითქვამს მისთვის. სროლით დამფრთხალი დათვები გაშორდნენ იქაურობას, ხოლო ჩემი აღელვებული თანამგზავრი ჩამაცივდა: „ესროლეთ, ესროლეთო“.

დაბიდხურში დაბრუნებისას მეტყევე თავჩაქინდრული მომჩანჩალებდა უკან. მისი გუნება რომ შემეცვალა, ვკითხე, ხომ არ იცი, სად შეიძლება გხორალის * მოკვლა, ჩემ მხლებლებს ხორცი ჯერ კიდევ ვერ ვუშოვე-მეთქი. მან არათუ იცოდა ასეთი ადგილი, რამედ, თავისი კოპებისა და განცდების მიუხედავად, იკისრა მივეცილებინე იქამდე. ჩაის შემდეგ ორი კაცის თანხლებით, რომლებიც, როგორც მეტყევემ თქვა, „ნადავლის“ საზიდად დამჭირდებოდნენ, გხორალზე სანადიროდ გავემგზავრეთ.

„რესტ-ჰაუზის“ ვერანდიდან ბორცვი მკვეთრად ეშვება ქვემოთ. მეტყევეს მივყავდით მასზე რამდენიმე ასეული იარ-

---

* გ ხ ო რ ა ლ ი — მთის გარეული თხის ერთ-ერთი სახესხვაობა.

დის მანძილზე, სანამ არ გავედით გხორალების მიერ გატკეპნილ ბილიკზე. მერე მე დავწინაურდი, მარჯვნივ გავუხვიე და დაახლოებით ნახევარი მილის გავლის შემდეგ ღრმა ხევის ნაპირას აღმოვჩნდი. გავხედე მის მოპირდაპირე მხარეს, დავინახე გხორალი. ის კლდის შვერილზე იდგა და გასცქეროდა სივრცეს, როგორც ამას ჩვეულებრივ აკეთებს ყველა გარეული თხა, ქვის თხის მარკორისა და თხარის ჩათვლით. ცხოველის თეთრად დაწიწკნული კისერის მიხედვით დავასკვენი, რომ ის ვაცი იყო. მანძილი ორას იარდზე მეტი იყო. ბოლოს მომეცა შემთხვევა არათუ ხორცი მეშოვნა ჩემი ხალხისათვის, არამედ ახალი შაშხანის ნიშანში მოხვედრის სიზუსტეც გამომეცადა. მიწაზე დავწექი, სამიზნე ორას იარდზე დავაყენე, კარგად დავუმიზნე და ვესროლე. გხორალი ადგილზევე დაეცა. ეს იყო არაჩვეულებრივი წარმატება იმიტომ, რომ პირდაპირ მის ქვემოთ ხრამი იწყებოდა. მალე კვლავ ერთი გხორალი გამოჩნდა ციკნით, რომელიც მანამდე არ დამინახავს. ერთ ხახს შედგა, რამდენჯერმე ჩვენკენ გამოიხედა და ბორცვს უკან მიიმალა.

სანამ მე და მეტყეევე თამბაქოს ვწევდით, ჩემი ორი მხლებელი მოკლული გხორალისაკენ გაეშურა. მეტყეევე ძალიან დანაღვლიანდა, დათვის ქონი რომ ვერ იშოვა, მაგრამ როცა თხის ხორცის ნაჭერსა და ტყავს დავპირდი, სიხარულით ცას ეწია, და გადაწყვიტა ტყავი გადაეკრა სკამზე, რომელზეც იჯდა ხოლმე მისი რევმატიზმებით დაავადებული მოხუცი მამა და მზეზე თბებოდა.

5

მეორე დღეს დილაადრიან კვლავ ხეობაში ჩავედი და დავრწმუნდი, რომ ჩემი ვარაუდი სწორი იყო: ვეფხვი თავის ნადავლს არ დაბრუნებია, დათვები კი ისევ მოსულიყვნენ. ძროხისგან ძვლებიღა დაეტოვებინათ, და მე რომ მივედი, მარტოხელა სვავი მათი ჯიჯგნით იყო გართული.

ჯერ კიდევ ადრე იყო, ამიტომ ბორცვის ფერდობზე ავედი იმ მიმართულებით, საითაც წინადღეს წავიდა ვეფხვი, მწვერვალი გადავლახე, ლოჰარგხატის გზაზე დავეშვი და კაციჭამია ჯიქის ნაკვალევი დავზვერე. დღისით „რესტ-ჰაუზში“ დაბრუნებისას შევიტყვე, რომ ვეფხვს კიდევ ერთი ძროხა დაეგლიჯა.

ეს ამბავი მაცნობა ერთმა საზრიანმა ახალგაზრდა კაცმა, რომელიც ალმორს მიემგზავრებოდა სასამართლოში და ამიტომ ვერ მიმიყვანდა იმ ადგილამდე, სადაც ვეფხვს ძროხა მოეკლა. მან მხოლოდ ნახშირით მომიხაზა აივნის იატაკზე ადგილმდებარეობის გეგმა. ნაჩქარევად ვჭამე პირველი და მეორე საუზმე და მოკლული ძროხის საძებნელად გავწიე. თუ ახალგაზრდა კაცის ნახაზი სწორი იყო, ძროხა ხუთი მილის მოშორებით უნდა ყოფილიყო იმ ადგილიდან, სადაც წინა დღეს ვეფხვს ვესროლე. იქ გავარკვიე, რომ ვეფხვი თავს დასხმოდა პატარა ნახირს, რომელიც ხეობაში გამდინარე ნაკადულის ახლო ბალახობდა, და, თუ რბილ ნიადაგზე აღბეჭდილი ნაკვალევის მიხედვით ვიმსჯელებდით, მხეცი გაჭირვებით მოერია შერჩეულ მსხვერპლს. ექვსას-შვიდასი გირვანქა ღონიერი ცხოველის მოკვლა იოლი საქმე როდია, და ასეთი მკვლელობის შემდეგ ვეფხვი ჩვეულებისამებრ ისვენებს. ამჯერად კი, როგორც სისხლის კვალი მოწმობდა, მხეცმა დაუყოვნებლივ წაათრია ძროხა ნაკადულის ნაპირიდან ბორცვის ძირას ხშირ ჯუნგლებში.

წინა დღით ვეფხვმა თავისი მსხვერპლი იქ დამალა, სადაც მოკლა, დღეს კი აშკარად ცდილობდა ნადავლი რაც შეიძლება შორს წაეღო. ორი მილი კვალდაკვალ გავყევი ზევით ციცაბო ფერდობზე ხშირ ტყეში. მთის მწვერვალიდან რამდენიმე ასეული იარდის მოშორებით ძროხის უკანა ფეხი ორი ახალგაზრდა მუხის ტოტებში გაჩხერილიყო. ვეფხვმა ძროხა ალბათ მთელი ძალით მოქაჩა, მოაგლიჯა ფეხი, დატოვა იგი და ნადავლი გაიტაცა. ადგილი, სადაც ვეფხვს ძროხა მიეთრია, სწორი იყო, ზედ იდგა ერთი-ორი ფუტის სიმსხო ახალგაზრდა მუხები. ხეებს ქვეშ არ იყო არც ბუჩქები და არც სხვა რაიმე მცენარეულობა, და ვეფხვმა ნადავლი ისე დააგდო, რომ არც უცდია მისი დამალვა.

ანათრევის ნაკვალევს ნელა მივყვებოდი, მხოლოდ შაშხანა და რამდენიმე ვაზნა მიმქონდა, მაგრამ, როცა მწვერვალზე ავედი, პერანგი მაინც გამიოფლიანდა და პირი გამიშრა. ამიტომ წარმოვიდგინე, რა აუტანელ წყურვილს განიცდიდა ვეფხვი და როგორ ილტვოდა წყალი დაელია. წყურვილი რომ მომეკლა, წყაროს მოსაძებნად გავეშურე, იქ, შესაძლოა, ვეფხვიც მენახა. მარჯვნივ ნახევარი მილის მანძილზე იყო ხევი, სადაც

დათვი მოვკალი, იქ ნაკადული მოჩუხჩუხებდა. მარცხნივ უფრო ახლო მეორე ხევი იყო და გადავწყვიტე ჯერ იქ ჩავსულიყავი.

ხევში ერთი მილი გავიარე და იმ ადგილზე მივედი, სადაც მისი ციცაბო, თიხნარი ნაპირები თითქმის ერთდებოდა. დიდ კლდეს შემოვუარე და პირდაპირ ჩემ წინ ოცი იარდის მანძილზე ვეფხვი დავინახე. მას ეძინა სილის ვიწრო ზოლზე, რომელიც პატარა გუბურასა და ხევის მაჯვენა მხარეს შორის მდებარეობდა. აქედან ხევი მკვეთრად უხვევდა მარჯვნივ, ამიტომ არ შემეძლო ვეფხვის მთელი სხეული დამენახა. ის იწვა მარცხენა მხარეზე, ზურგით გუბისაკენ, და მხოლოდ მის კუდსა და უკანა თათების ნაწილს ვხედავდი. ჩემსა და ვეფხვს შორის კამეჩების საკვებად გამხმარი რტოების ვებერთელა გროვა იყო, რომელიც ცოტა ხნის წინათ ხევის ნაპირზე გადმოწეული ხეებიდან მოესხიპათ. ამ დაბრკოლებას ისევე ვერ გავივლიდი უხმაუროდ, როგორც ხრამში ჩამოშვავებულ ნაპირებს. ისღა დამრჩენოდა დავმჯდარიყავი და მელოდა, სანამ ვეფხვი თვითონ მომცემდა სროლის შესაძლებლობას.

უდიდესი დაძაბულობის შემდეგ, წყურვილი რომ მოიკლა, ვეფხვს მაგრად ჩაეძინა და ნახევარი საათის განმავლობაში უძრავად იწვა. მერე მარჯვენა გვერდზე გადაბრუნდა და კვლავ გამოაჩინა თათების ნაწილი. რამდენიმე წუთს ასეთ მდგომარეობაში იყო, შემდეგ ადგა და ხევის მოსახვევში გაუჩინარდა. სასხლეტისათვის თითი არ მომიცილებია, ველოდებოდი, როდის გამოჩნდებოდა იგი, — ნადავლი ჩემ უკან ბორცვზე ჰქონდა დაგდებული. დრო გადიოდა. სადღაც ბორცვს ქვემოთ ისტერიული კივილით ჩაიქროლა კარკერმა, ცოტა ხნის შემდეგ სამბხარმა დაიყვირა. ვეფხვი მაინც არ მოდიოდა. ვერ მივხვდი რატომ. დღეს მან ხომ საკმაოდ იშრომა; ჩემს სუნს ვერ იკრავდა, — ვეფხვებს ყნოსვის უნარი არ გააჩნიათ. მაგრამ ეს არ მადარდებდა. ვეფხვი აუცილებლად დაუბრუნდებოდა თავის ნადავლს, რომელსაც ასეთი შეუპოვრობით მიათრევდა ბორცვის მწვერვალზე. წყალი გუბურაში, საიდანაც ვეფხვმა დალია, ყინულივით ცივი აღმოჩნდა. წყურვილის მოკვლის შემდეგ, ბოლოს, შემეძლო სიამოვნებით გამებოლებინა თამბაქო.

ᲘᲖᲔ ᲣᲙᲕᲔ ჩადიოდა, როცა მუხაზე მოხერხებულად მოვეწყვე მოკლული ძროხიდან ათი იარდის დაშორებით—ჩრდილო აღმოსავლეთით. ვვარაუდობდი, ვეფხვი დასავლეთის მხრიდან მოვა-მეთქი და არ მინდოდა ნადავლი პირდაპირ ჩვენ შორის ყოფილიყო, რადგან ვეფხვებს მახვილი მხედველობა აქვთ. ხიდან კარგად ჩანდა ხეობა, მის იქით კი ბორცვები. როცა ცეცხლოვანი ბურთი მიწის პირს შეეხო, ხეობაში ჩემ ქვემოთ სამბხარმა დაიყვირა. ვეფხვი თავის ნადავლს უბრუნდებოდა. დაბნელებამდე კიდევ ცოტაოდენი დრო რჩებოდა, მაშასადამე, იგი მოასწრებდა დაბინდებამდე მოსვლას და მე შევძლებდი ზუსტად ამომეღო მიზანში.

აგიზგიზებული ბურთი ჰორიზონტის ხაზს უკან მიიმალა, მოწითალო ათინათი გაქრა, ბინდმა ადგილი დაუთმო წყვდიადს და ჯუნგლებში ყველაფერი მიწყნარდა. მთვარე ჯერ არ ამოსულიყო, მაგრამ ვარსკვლავთა სინათლე—მსოფლიოში არსადაა ისეთი კაშკაშა ვარსკვლავები, როგორც ჰიმალაებში — ხელს მიწყობდა კარგად გამერჩია თეთრი ძროხა. თუ ვეფხვი მოვიდოდა და უკანა ფეხიდან დაუწყებდა ძროხას ჭამას — ის ჩემკენ თავით იწვა, — ვეფხვს ვერ დავინახავდი. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა მესროლა, თუ ძროხის ზემოთ დავუმიზნებდი. მაშინ ჩემი [illegible] ვეფხვისთვის ტყვია მომეხვედრებინა, ასი შესაძლებელ[illegible] ორმოცდაათს უდრიდა. მაგრამ მე ხომ საქმე [illegible] არა კაციჭამიასთან, რომელსაც ყოველგვარ მდგომარეობაში უნდა ესროლო, არამედ ტაძრის ვეფხვთან. იგი არ ერჩოდა ადამიანებს და არასოდეს არ სჩადიოდა ჯუნგლების კანონის წინააღმდეგ რაიმე დანაშაულს, თუმცა ოთხი დღის განმავლობაში ოთხი ძროხა იმსხვერპლა. ის რომ მომეკლა სამსახურს გავუწევდი იმათ, ვინც მისი მტაცებლობის გამო დაზარალდა, მაგრამ სიბნელეში თითქმის ალალბედზე სროლით მხოლოდ მისი დაჭრა შეიძლებოდა. და მაშინ ის დიდხანს დაიტანჯებოდა, ხოლო თუ ჭრილობებისაგან არ განიკურნებოდა, კაციჭამიად გადაიქცეოდა, რაც ყოვლად დაუშვებელი იყო.

აღმოსავლეთით განათდა. მიწაზე ხეთა გაურკვეველი ჩრდილები გაწვნენ. მალე მთვარეც ამოვიდა და ღია ნაკვეთები გაანათა. გამოჩნდა ვეფხვი. იგი არ დამინახავს, მაგრამ ვი-

ცოდი, რომ მოვიდა, რადგან მთელი ჩემი არსებით ვიგრძენი მისი იქ ყოფნა. იქნებ თავის მსხვერპლის მახლობლად იყო მიმალული და ბორცვის განაპირას ოდნავ თავწამოწეული მითვალთვალებდა? არა, ეს შეუძლებელი იყო, იმიტომ, რომ იმ დროიდან, რაც ხეზე მოვეწყვე, თითქოს მის ნაწილად გადავიქეცი, ვეფხვები კი აქეთ-იქით არ დადიან ჯუნგლებში და არ ათვალიერებენ თითოეულ ხეს. მიუხედავად ამისა, ვეფხვი აქ იყო და მომჩერებოდა.

საკმაოდ ინათა. შემეძლო ყველაფერი კარგად დამენახა და ჩემ წინ მდებარე ადგილის ყურადღებით თვალიერება დავიწყე. შემდეგ თავი მარჯვნივ მივიბრუნე, რომ უკან გამეხედა, და ვეფხვი დავინახე. იგი უკანა თათებზე იჯდა მთვარის სხივებით მოფენილ მინდორზე. წინ ნადავლი ედო, თავი ზევით აეწია და მომჩერებოდა. როცა დაინახა, რომ შევამჩნიე, ყურები გალურსა, მაგრამ მე არ გავნძრეულვარ და მისი ყურები პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნდნენ. ვეფხვი თითქოს ამბობდა: „აი, ხომ დამინახე, რას აპირებ გააკეთო? მე კი თითქმის არაფრის გაკეთება არ შემეძლო. რომ მესროლა, უნდა შემოვბრუნებულიყავი, ეს კი ვეფხვს დააფრთხობდა, რომელიც თხუთმეტი ფუტის მანძილიდან მითვალთვალებდა. ისღა დამრჩენოდა მარცხენა ბეჭიდან მესროლა, [illegible] ვცადე. შაშხანა მუხლებზე მედო ლულით მარცხენა [illegible] ავიღე თოფი და მარჯვნივ შემობრუნება დავიწყე, ვეფხვმა თავი დახარა და კვლავ ყურები გალურსა. ასეთ მდგომარეობაში ის მანამდე დარჩა, სანამ გაუნძრევლად ვიყავი, მაგრამ როგორც კი შაშხანა ოდნავ მაღლა ავწიე, მხეცი წამოხტა და ჩრდილში გაუჩინარდა.

რა გაეწყობა, ვეფხვმა მეორე რაუნდშიც გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა. სანამ ხეზე ვიჯექი, იგი არ დაბრუნდებოდა, მაგრამ თუ წავიდოდი, იქნებ დაბრუნებულიყო და ნადავლი სხვაგან წაეღო. რადგან მთლიანად ვერ შეჭამდა ძროხას, შესაძლებლობა მომეცემოდა მეორე დღეს ჩავსაფრებოდი.

დრო იყო მეფიქრა იმაზე, თუ სად გამეთია ღამე. დღის განმავლობაში ოცი მილი გავიარე და „რესტ-ჰაუზამდე“ კიდევ რვა მილის გავლა, და ისიც ტყეში, კარგს არაფერს მიქადდა. სხვა ადგილას ორას-სამას იარდზე დავტოვებდი მოკლულ

ცხოველს და მშვიდად დავიძინებდი მიწაზე. მაგრამ აქ ღამღამობით კაციჭამია ჯიქის საბრძანებელი გახლდათ. ჯერ კიდევ საღამოს, ხეზე რომ ვიჯექი, შორიდან მომესმა ზანზალაკების წკარუნი. ეს ხმა რომელიღაც სოფლიდან ან პირუტყვის ბაკიდან აღწევდა. მაშინვე ზუსტად განვსაზღვრე მისი მიმართულება და იქით გავეშურე. ჰიმალაებში პირუტყვს ბაგაზე კი არ აბამენ, არამედ მათთვის ჯუნგლებში საძოვრების ახლოს აწყობენ საზოგადოებრივ ბაკებს. ხმამ, რომელიც პირველად მომესმა, ერთ-ერთ ბაკთან მიმიყვანა. იგი მაგარი მესერით შემოღობილ ფარდულს წარმოადგენდა, სადაც ეტეოდა დაახლოებით ასი სული პირუტყვი. ბაკი ჯუნგლების სიღრმეში მდებარეობდა და დაუცავი იყო, რაც ადასტურებდა მთიელთა პატიოსნებას და იმასაც, რომ დაბიდხურის რაიონში ვეფხვები წინათ არ ეტანებოდნენ შინაურ პირუტყვს.

ღამე ჯუნგლებში ყველა ცხოველი განსაკუთრებით დაძაბულ მდგომარეობაშია. და, თუ მსურდა ღამე ამ ბაკის ბინადართა ჭერქვეშ გამეთენებინა, საჭირო იყო სრულიად გამეფანტა მათი ბუნებრივი ეჭვი. სოფელ კალადხუნგის ბინადართ, სადაც ვცხოვრობ, ცხრაასამდე ძროხა და კამეჩი ჰყავთ. ბავშვობიდან მიხდებოდა საქმე მქონოდა პირუტყვთან. ამიტომ ვიცოდი, როგორ უნდა მოვპყრობოდი მათ. ძალიან ნელა მივიწევდი, ცხოველებს ვუალერსებდი და ამასობაში მივუახლოვდი ფარდულს, ჩამოვჯექი, ზურგით ღობეს მივეყრდნე და გავაბოლე. ჩემ ახლოს რამდენიმე ძროხა იდგა; ერთი მათგანი ღობეს მოადგა, თავი მესერში გამოყო და სველი ენით კეფაზე ლოკვა დამიწყო—ეს ქცევა მეგობრული იყო, მაგრამ არცთუ ისე სასიამოვნო, რადგან რვა ათასი ფუტის სიმაღლეზე ცივი ღამეები იცის. სიგარა მოვწიე, თოფი გამოვცალე, ჩალა დავაფარე და მესერზე გადავძვერი.

როცა პირუტყვის ბაკში ათევ ღამეს, გულმოდგინედ უნდა შეარჩიო დასაწოლი ადგილი, რადგან, თუ განგაში ატყდა და დაფეთებული ცხოველები აქეთ-იქით მიაწყდნენ, მიწაზე წოლა სახიფათოა. ფარდულის თითქმის შუაგულში ერთ-ერთ ძირითად ბოძთან, — რომელზეც უკიდურეს შემთხვევაში შემეძლო ავცოცებულიყავი, — თავისუფალი პატარა ადგილი აღმოჩნდა. დაწოლილ ცხოველებს გადავაბიჯე, ფეხზე მდგომთ თა-

ვები მივუბრუნე, რომ გამეგო, მივაღწიე თუ არა შერჩეულ ადგილს, და ორ მძინარე ძროხას შორის მოვეწყვე. ღამემ მშვიდად ჩაიარა და ბოძზე აცოცება არ დამჭირვებია. ძროხების სითბო მეც გადმომეცა, ჯანსაღი ცხოველების თაფლოვანი სურნელება ისეთი სასიამოვნო იყო, რომ სულ მალე ძილმა მომიტაცა და ყველაფერს შევურიგდი კაციჭამია ჯიქის ჩათვლით.

მეორე დილით, მზე ის-ის იყო იწვერებოდა, როცა ხმები მომესმა, თვალები გავახილე და დავინახე სამი კაცი, მათ საწველელები ეჭირათ და მესერის ჭუჭრუტანიდან მათვალიერებდნენ. როცა გაოცებულნი გონს მოვიდნენ, თბილი რძით გამიმასპინძლდნენ. ეს სწორედ მისწრება იყო, რადგან გუშინდელს აქეთ არაფერი მეჭამა, მხოლოდ წყალი მოვსვი იმ გუბურიდან, რომლიდანაც ვეფხვმა დალია. მე უარი ვუთხარი მათთან ერთად სოფელში წასვლაზე, მადლობა გადავუხადე გამასპინძლებისა და თავშესაფარისათვის და, სანამ დასაბანად და დასანაყრებლად „რესტ-ჰაუზში" დავბრუნდებოდი, წავედი მენახა. სად წაიღო ვეფხვმა თავისი ნადავლი. გამიკვირდა — ნადავლი იქვე დამხვდა. სვავებისა და არწივებისაგან რომ გადამერჩინა, ნადავლს ხის რტოები დავაფარე და მხოლოდ ამის შემდეგ წავედი „რესტ-ჰაუზში".

ჩემი აზრით, ქვეყნად არ მოიძებნებიან მსახურნი, რომლებიც ისეთი მოთმინებით იტანენ თავიანთი ბატონების ახირებულ ხასიათს, როგორც ინდოეთში. როცა ოცდაოთხი საათის შემდეგ „რესტ-ჰაუზში" დავბრუნდი, არავის გამოუხატავს გაკვირვება და ერთი შეკითხვაც არ მოუციათ. იქ ცხელი აბაზანა და სუფთა საცვლები მელოდა. ცოტა ხნის შემდეგ უკვე შვრიის ფაფას, ერბოკვერცხს, ცხელ ჩაპატს *, მოხუცი მღვდლის მორთმეულ თაფლსა და ჩაის შევექცეოდი. ნასაუზმევს აივნის ახლოს მოლზე დავჯექი, რომ მშვენიერი ხედის მზერით დავმტკბარიყავი და მომავალი მოქმედების გეგმებზე მეფიქრა. საკუთარი სახლი ნაინი ტალში ერთადერთი მიზნით დავტოვე — მომეკლა პანარის კაციჭამია ჯიქი. მაგრამ იმ ღამის შემდეგ, რაც ამ მტაცებელმა სცადა ტაძრის ახლო მოედნიდან მწყემსი ჩამოეთრია, მის შესახებ აღარაფერი ისმოდა. მღვდელი, ბანია

ჩ ა პ ა ტ ი — ლავაში.

და ახლო და შორი სოფლების მკვიდრნი, რომელთაც კაციჭამიას შესახებ გამოვკითხე, ამბობდნენ, დროდადრო იგი დიდი ხნით გადაიკარგება ხოლმე, თითქოს მიწამ უყო პირიო. ყველა იმ აზრისა იყო, რომ დადგა ერთი ასეთი პერიოდთაგანი, მაგრამ ვერავინ მითხრა, დიდხანს გაგრძელდებოდა თუ არა იგი. კაციჭამია უზარმაზარ ტერიტორიაზე მოქმედებდა, სადაც, ალბათ, ორი ათეული ჯიქიც ბინადრობდა. ამ არემარეში მოძებნო და მოსპო მხეცი, რომელმაც დროებით შესწყვიტა ადამიანის მოკვლა, ჩემთვის უიმედო წამოწყება იყო.

კაციჭამიას მოკვლა ვერ მოვახერხე და შემდგომი ჩემი დარჩენა დაბიდხურში უაზრო იყო. მართალია, გადარჩა ტაძრის ვეფხვი, მაგრამ თავი ვალდებულად არ მიმაჩნდა გამენადგურებინა ეს ვეფხვი და ღრმად ვიყავი დარწმუნებული, ასე დაჟინებით რომ არ ჩავდგომოდი კვალში, იგი გაცილებით ნაკლებ საქონელს დახოცავდა. ძნელი სათქმელია, რატომ დაიწყო შინაური პირუტყვის ხოცვა ხვადმა ვეფხვმა დაბიდხურში ჩემი ჩამოსვლის დღეს. შეწყვიტდა თუ არა იგი ჩემი წასვლის შემდეგ, დრო გვიჩვენებდა. ყოველ შემთხვევაში მე ყოველი ღონე ვიხმარე იმისათვის, მომეკლა კაციჭამია და, რამდენადაც ჩემი ქისა საშუალებას მაძლევდა, ავანაზღაურე ის ზარალი, რაც მან ხალხს მიაყენა. მის გამო მრავალი მღელვარე წუთი განვიცადე. ნადირობა ძალიან საინტერესო გახლდათ. ამიტომ გული არ დამწყვეტია, რომ იგი გამარჯვებული გამოვიდა იმ მიმზიდველი ბრძოლიდან, რომელსაც ბოლო ოთხ დღეს ვეწეოდით. ამ ოთხმა დღემ შეიწირა მთელი ჩემი ძალ-ღონე და ახლა გადავწყვიტე მანამდე დამესვენა, სანამ ხვალ დილაადრიანად უკან ნაინი ტალში გავემგზავრებოდი. ის-ის იყო მივიღე ეს გადაწყვეტილება, რომ ჩემ უკან ვიღაცამ თქვა:

— გამარჯობათ, საიბ. მოვედი გითხრათ, რომ ვეფხვმა ძროხა მომიკლა.

ამგვარად, კიდევ ერთი შესაძლებლობა მომეცა ვეფხვის მოკვლა მეცადა, მაგრამ ბოლოს მოვუღებდი თუ არა ბას, ჩემი გეგმა — წავსულიყავი მეორე დღეს — უცვლელი დარჩა.

6

ხალხისა და დათვების ჩარევით გაღიზიანებულმა ვეფხვმა სხვა ადგილას გადაინაცვლა და უკანასკნელი მსხვერპლი დაბიდხურის მთის აღმოსავლეთ ფერდობზე მოკლა, რამდენიმე

ბილის მოშორებით იქიდან, სადაც წუხელ ჩავუსაფრდი მას. თხელი ბუჩქნარითა და განმარტოებული ხეებით დაფარული ეს ბორცვებიანი ადგილი იდეალურია მთის კაკბებისათვის, ვეფხვის აღმოჩენა კი ყველაზე ნაკლებ სავარაუდო იყო აქ.

მთის ფერდობს ირიბად კვეთავდა პატარა ღარტაფი, რომელშიც ხშირი წვრილიანი ნაკვეთები ცვლიდნენ დაბალი ბალახით დაფარულ მდელოებს. ვეფხვმა ძროხა ერთ-ერთი ასეთი მდელოს პირას დაგლიჯა, შემდეგ რამდენიმე იარდზე გაათრია ბუჩქების მიმართულებით და ღია ადგილას დააგდო. მდელოს მეორე მხარეს ქვევით ფერდობზე დიდი მუხა იდგა. ეს იყო ერთადერთი ხე ასი იარდის რადიუსზე. გადავწყვიტე ამ მუხაზე ჩავსაფრებოდი ვეფხვს.

სანამ ჩემი ხალხი წყალს მიდუღებდა, ვცადე გამომერკვია, შეიძლებოდა თუ არა ვეფხვის მოკვლა ხეზე აუსვლელად. დარწმუნებული ვიყავი, რომ იგი სადღაც ღარტაფში იწვა. მაგრამ, მიუხედავად გულმოდგინე ძებნისა, მისი იქ ყოფნის ვერავითარი ნიშანი ვერ აღმოვაჩინე.

ხე, რომელზეც მოწყობას ვაპირებდი, მდელოს მხარეზე იხრებოდა. მას ტოტებს ხშირად აჭრიდნენ, ამიტომ მრავალი ახალი ყლორტი ჰქონდა, და მათზე ადვილად შეიძლებოდა ასვლა, მაგრამ ამავე დროს ისინი ხელს მიშლიდნენ ზემოდან შტამბი დამენახა. მიწიდან ოცი ფუტის სიმაღლეზე ხეს ჰქონდა მდელოზე გადმოწოლილი ერთადერთი დიდი როკი, რომელიც ჩასასაფრებლად ხელსაყრელი იყო, მაგრამ ადვილად ვერ მივაღწევდი მას და არც დასაჯდომად გახლდათ მოსახერხებელი. თუმცა იქამდე მისვლა მეტად ძნელი იყო. დღის ოთხ საათზე ხალხი ბორცვის ზემოთ მდებარე სოფელში გავგზავნე და ვუბრძანე იქ მოეცადათ ჩემთვის, რადგან მზის ჩასვლის შემდეგ აღარ ვაპირებდი საფარში დარჩენას.

როგორც აღვნიშნე, მოკლული ცხოველი ღია ადგილას, ხიდან ათი იარდის, ხოლო ხშირი ბუჩქნარიდან ერთი იარდის მოშორებით ეგდო. უკვე ერთ საათს ვიჯექი ხეზე და ჩემ მარჯვნივ ჟოლის ბუჩქზე კენკვით გართულ წითელთავა ბულბულებს ვაკვირდებოდი. ძროხისაკენ გავიხედე და დავინახე, ბუჩქიდან ვეფხვს გამოეყო თავი. როგორც ჩანს, იგი იწვა, რადგან თავი თითქმის მიწაზე ედო, მე მომჩერებოდა. მალე ვეფხვმა

ჯერ წინა თათი გამოსწია, შემდეგ მეორე, და ძალიან ზანტად, ისე რომ მიწიდან მუცელი არ მოუცილებია, ნადავლს მისწვდა. რამდენიმე წუთს გაუნძრევლად იწვა და კვლავ არ მაშორებდა თვალს, ლაშები ძროხის კუდს შეახო, მოკვნიტა, გვერდზე გადადო და ჭამას შეუდგა. მას შემდეგ, რაც სამი დღის წინათ დათვს შეება, არაფერი ეჭამა. ძალიან მშიერი იყო და ახლა ხარბად გლეჯდა ძროხის უკანა ფეხის რბილ ნაჭრებს. იგი მაგონებდა კაცს, რომელიც მადიანად ჭამს გაუფცქვნელ ვაშლს.

შაშხანა მუხლებზე მედო ლულით იმ მხარისაკენ, სადაც ვეფხვი იმყოფებოდა. საჭირო იყო მხოლოდ მხარზე მიმედო იგი. ამის გაკეთება კი იმ შემთხვევაში შემეძლო, თუ ვეფხვი ერთ წუთს მაინც მომაშორებდა თვალს. მაგრამ იგი გრძნობდა საფრთხეს და თვალს არ მაშორებდა, თან ნელა, მაგრამ შეუჩერებლად განაგრძობდა ჭამას. როცა მან თხუთმეტი-ოცი გირვანქა ხორცი შეჭამა, ბულბულებმა ჟოლოს ბუჩქი მიატოვეს და ახლადმოფრენილ ორ შავკისერა ჩხიკვთან ერთად ვეფხვის უკან ტოტებზე არაჩვეულებრივი ხმაური ატეხეს, გადაეწყვიტე, მოქმედების დრო დადგა-მეთქი. შაშხანა ძალიან ნელა რომ ამეწია, შესაძლოა ვეფხვი ვერ შეამჩნევდა ამას, მაგრამ ვერ მოვასწარი ექვს დიუმზე აწევა, რომ ვეფხვი, თითქოს მძლავრ ზამბარას დაეთრიოს, ბუჩქებში გაქრა. შაშხანა მხარზე ჩქონდა მიდებული და, იდაყვებით მუხლებზე დაყრდნობილი, ველოდი, როდის გამოყოფდა მხეცი კვლავ თავს, რადგან ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ეს მალე მოხდებოდა. გავიდა ცოტა ხანი და ვეფხვის ხმა გავიგონე. მან ბუჩქებს შემოუარა, ხეს უკანიდან მიუახლოვდა, იქ, სადაც მოზარდი ყლორტების ხშირი ამონაყარი არ მაძლევდა მისი დანახვის საშუალებას, შტამბს დაუწყო ფხაჭნა. კმაყოფილი წყნარად ბრდღვინავდა და რამდენჯერმე ძლიერად გაჰკრა კლანჭები ხეს. მე ტოტზე ვიჯექი და სიცილით ვიგუდებოდი.

ვიცოდი, რომ ყვავებსა და მაიმუნებს იუმორის გრძნობა ახასიათებთ, მაგრამ ამ დღემდე არ მიფიქრია, თუ იგი ვეფხვებსაც ჰქონდათ. მართლაც, არ მეგონა, რომ ზოგჯერ შეიძლება მხეცსაც სწყალობდეს ბედი, და ასეთ თავხედობას გამოიჩენდა, როგორც ეს გააკეთა თავის გვარში ამ ერთადერთმა ვეფხვმა.

ხუთი დღის განმავლობაში ხუთი ძროხა მოკლა, თანაც ოთხი მათგანი — დღისით-მზისით. ამ ხუთ დღეში რვაჯერ დავინახე იგი და ოთხჯერ ვესროლე. და ახლა, როცა ნახევარი საათის განმავლობაში გაძღა ჩემი იძულებითი უმოქმედობის გამო, ის ფხაჭნიდა ხეს, რომელზედაც ვიჯექი, და კმაყოფილი ბრდღვინვით გამოხატავდა ჩემდამი ზიზღს.

როცა ვეფხვზე ჩამოვარდა სიტყვა, მოხუცმა მღვდელმა მითხრა:

— საიბ, მე წინააღმდეგი არა ვარ სცადოთ ამ ვეფხვის მოკვლა, მაგრამ არც თქვენ და არც სხვა ვინმეს არ ძალუძს ამის გაკეთება.

და აი, ვეფხვმაც თავისებურად დაადასტურა მღვდლის სიტყვები. რა გაეწყობა, ამ ამაღელვებელ თამაშში, რომელსაც ორივენი ვეწეოდით ისე, რომ ერთმანეთისათვის ზიანი არ მიგვიყენებია უკანასკნელი სვლა ეკუთვნის მას. მაგრამ მე აღარ ვაპირებდი კვლავ სიამოვნება მიმენიჭებინა მისთვის, რომ მას ბოლოს ეცინა. შაშხანა დავუშვი, ხელისგულები რუპორად მივიდე პირზე, და როცა ვეფხვმა თავი გაანება ხის ჯიჯგნას, რაც ძალი და ღონე მქონდა ვიყვირე. ყვირილმა ექოდ გადიგრიალა ბორცვებზე და ვეფხვმა ქვევით ფერდობზე მოკურცხლა, ჩემი ხალხი კი სირბილით მოვარდა სოფლიდან.

— დავინახეთ, ვეფხვმა როგორ ასწია კუდი და გაიქცა, — მითხრეს მათ. შეხედეთ, რა უქნა ხეს.

მეორე დილას დავემშვიდობე დაბიდხურელ მეგობრებს და დავპირდი, დავბრუნდები, როგორც კი კაციჭამია კვლავ გამოჩნდება-მეთქი.

უკანასკნელ წლებში კაციჭამიებზე ნადირობისას არაერთგზის ვყოფილვარ დაბიდხურში, მაგრამ არ გამიგონია ვინმეს მოეკლას ტაძრის ვეფხვი. ალბათ ამ ძველმა მებრძოლმა, როგორც ვალმოხდილმა ჯარისკაცმა, როცა ჟამი დაუდგა, მშვიდად დაასრულა თავისი სიცოცხლე.

კაციჭამია მუკტესარიდან

ნაინი ტალიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით თვრამეტი მილის შანძილზე არის მთა, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ თორმეტ-თხუთმეტ მილზეა გადაჭიმული. მისი სიმაღლე რვა ათასი ფუტია. დასავლეთით ამ მთის კიდური ფრიალოდაა აღმართული. მის ძირში მუკტესარის სამეცნიერო-კვლევითი ვეტერინარული ინსტიტუტი მდებარეობს, სადაც ამზადებენ ვაქცინებსა და სხვადასხვა პრეპარატს ინდოეთში შინაური პირუტყვის დაავადების წინააღმდეგ საბრძოლველად. ლაბორატორიები და საცხოვრებელი ბინები ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის მოთავსებულია მთის ჩრდილოეთ მხარეზე, საიდანაც ჰიმალაების თოვლიანი მთაგრეხილის ერთ-ერთი ულამაზესი სანახაობა იშლება. ეს მთები, ისევე როგორც ინდოეთის ვაკობ ნაწილს შორის მდებარე ბორცვები, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ვიემართება. აქედან კარ-

გად მოჩანს არა მარტო ჩრდილოეთით აზიდული თოვლიანი მწვერვალები, არამედ აღმოსავლეთითა და დასავლეთით მდებარე ბორცვები და ხეობები. ადამიანები, რომლებსაც მუკტესარში უცხოვრიათ, ამტკიცებენ, ეს ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია კუშაონში და ჰავის მხრივ ეს კუთხე უბადლოაო.

ძუ ვეფხვი მუკტესარის ღირსებებს ისევე დიდად აფასებდა, როგორც ადამიანები, და ინსტიტუტის პატარა დასახლების მისადგომებთან მდებარე ვრცელ ტყეში დაიდო ბინა. აქ ის ბედნიერად ცხოვრობდა და სამბხარებზე, კარკერებსა და გარეულ ღორებზე ნადირობდა, ვიდრე საბედისწეროდ მაჩვზღარბს არ წააწყდა. მოხდა შეტაკება, რის გამოც დაკარგა თვალი, ცხრა დიუმის სიგრძის ორმოცდაათამდე ეკალი შეერჭო წინამხარსა და მარჯვენა წინა თათის ბალიშში. რამდენიმე ეკალი ძვალს მოხვდა, ლათინური ასო V-ს მსგავსად მოიხარა. თანაც წვერო და გადატეხილი ბოლოები თითქმის დაემთხვა ერთმანეთს. იქ, სადაც ძუ ვეფხვი კბილებით ეკლების ამოღებას ცდილობდა, ჩირქგროვები წარმოექმნა. ერთხელ, როცა იგი ხშირ ბალახში იწვა და ჭრილობებს ილოკავდა, ვიღაც ქალი მოვიდა ამ ნაკვეთზე, რომ პირუტყვის საკვებად ბალახი მოეთიბა. თავდაპირველად ძუ ვეფხვი მას ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ როცა მის გვერდით აღმოჩნდა, მხეცმა თავზე დაჰკრა თათი და ქალა დაუმსხვრია. ქალი მაშინვე გარდაიცვალა; მეორე დღეს გვამი იპოვეს და ნახეს, რომ მას ჯერ კიდევ ცალ ხელში ნამგალი ჩაებღუჯა, მეორეში კი ერთი კონა ბალახი ეჭირა. ძუ ვეფხვი ისე გაშორდა, რომ გვამისათვის პირი არ დაუკარებია. კოჭლობით გაიარა დაახლოებით ერთი მილი და წაქცეულ ხესთან ორმოში დაიმალა. ორი დღის შემდეგ აქ მოვიდა კაცი, რომ ეს ხე შეშად დაეჩეხა. ვეფხვმა ისიც მოკლა, ამასთან კლანჭებით ზურგი გაუფატრა. შიშველ ტანზე სისხლი თქრიალით გადმოდიოდა. ალბათ, მხეცს პირველად ინსტინქტმა უკარნახა, რომ მის წინაშე ისეთი რაღაც იყო, რითაც შეეძლო შიმშილი მოეკლა. ყოველ შემთხვევაში, სანამ წავიდოდა, ძუ ვეფხვმა მოკლულის ზურგის პატარა ნაჭერი შეჭამა. ერთი დღის შემდეგ მან განზრახ მოკლა მესამე კაცი, თუმცა ამ უკანასკნელს ამის საბაბი არ მიუცია. ამ დროიდან იგი ნამდვილი კაციჭამია გახდა.

მე ძუ ვეფხვის შესახებ შევიტყვე მალე მის შემდეგ, რაც მან ადამიანების ხოცვა დაიწყო, მაგრამ მუკტესარში იყვნენ მონადირეები, რომელთაც სწყუროდათ თვითონ მოესპოთ ძუ ვეფხვი,—იგი მათ ცხვირწინ მოქმედებდა,—ამიტომ ვიფიქრე, გარეშესათვის უხერხულია მათ საქმეში ჩარევა-მეთქი. მაგრამ როცა მხეცმა ოცდაოთხი ადამიანი იმსხვერპლა და დაბებისა და მეზობელი სოფლების მკვიდრნი საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ, ხოლო ინსტიტუტში მუშაობა შეფერხდა, ინსტიტუტის დირექტორმა მიმართა ხელისუფალთ, დასახმარებლად მოვეწვიე.

ჩემ წინაშე ძნელი ამოცანა იდგა. კაციჭამიებთან ბრძოლის ძალიან მცირე გამოცდილება მქონდა, გარდა ამისა, სრულიად არ ვიცნობდი იმ ტერიტორიას, რომელზედაც ძუ ვეფხვი დათარეშობდა, და ვერ წარმომედგინა, სად უნდა მეძებნა იგი.

ნაინი ტალიდან შუადღის ხანს გამოვედი მსახურისა და ორი კაცის თანხლებით, რომლებსაც საწოლი და ჩემოდანი მოჰქონდათ. რამგარხის საფოსტო ბუნგალომდე ათი მილი გავიარე, იქ ღამის გასათევად შევჩერდი. ამ ბუნგალოს კხანსამა (მზარეული, ჭურჭლის მრეცხავი და მსახური) ჩემი ძველი მეგობარი იყო. როცა შეიტყო, თუ რატომ მივდიოდი მუკტესარში, მან გამაფრთხილა, გზის ორი უკანასკნელი მილი განსაკუთრებით საშიშია, რადგან ამ მონაკვეთზე ძუ ვეფხმა ცოტა ხნის წინათ რამდენიმე კაცი მოკლაო.

მეორე დილას ჩემს მხლებლებს ვუბრძანე ბარგი შეეკრათ და გამომყოლოდნენ, თავად კი 500-ყალიბიანი მძიმე ტყვიების სასროლი ორლულიანი თოფით შევიარაღდი და ბუნგალოდან წავედი. ჯერ კიდევ ძალიან ადრე იყო და როცა გზაჯვარედინს მივაღწიე, — ერთი მათგანი ნაინი ტალსა და ალმორისაკენ მიემართებოდა, ხოლო მეორე მუკტესარში. ოდნავ ინათა. აქედან კაციჭამიას საბრძანებელი იწყებოდა. ამიტომ ძალიან ფრთხილად უნდა გვევლო. დასაწყისში გზა ნარინჯისფერი შროშანებით დაფარულ ვაკეზე გადიოდა (შროშანას თესლი მრგვალი და მაგარია, ლულიდან გასატენ თოფებში შეიძლება საფანტის ნაცვლად გამოიყენოს კაცმა), შემდეგ ზევით, ციცაბო ფერდობზე, მიიკლაკნებოდა. ამ ბორცვზე პირველად ავდიოდი, და ძალიან დამაინტერესა გამოქვაბულებმა, რო-

მელნიც გზაზე აზიდულ კლდეებში ქვიშაქვისაგან წარმოიშ-ვნენ. წარმოვიდგინე, რა უჩვეულო და მრავალნაირი ხმები გაისმის, ალბათ, ამ გამოქვაბულში ქარიშხლის დროს, ეს გამოქვაბულები ხომ სხვადასხვა სიდიდისაა: ზოგი სულ პატა-რაა, ზოგი, როგორც ჩანს, ქანის სიღრმეშია შეჭრილი.

იმ ადგილას, სადაც გზა ბორცვზე გადის, პატარა სწორი ჭოედანია; მის ბოლოში მოთავსებულია მუკტესარის საფოს-ტო კანტორა და პატარა ბაზარი. ამ დილაადრიან ფოსტა ჯერ კიდევ დაკეტილი იყო, მაგრამ ერთ-ერთი დუქანი უკვე ვაჭ-რობდა. მედუქნემ ხალისით ამიხსნა, როგორ მომეძებნა საფოსტო ბუნგალო, რომელიც, მისი სიტყვით ბორცვის ჩრდი-ლოეთ მხარეზე დაახლოებით ნახევარი მილის მანძილზე მდე-ბარეობდა. მუკტესარში ორი საფოსტო ბუნგალოა — ერთი მთავრობის მოხელეთათვის, მეორე — ყველა დანარჩენთათვის. ეს მე არ ვიცოდი, კეთილისმოსურნე მედუქნემ კი, შესაძლოა, ჩემი დიდი ქუდის გამო თანამდებობის პირად მიმიჩნია, და მთავრობის მოხელეთა ბუნგალოში გამგზავნა. ამის შედეგად კხანსამამ და მე იქ მყოფ მოხელეთა უკმაყოფილება დავიმსა-ხურეთ: კხანსამამ იმით, რომ საუზმე მომართვა, მე კი იმით, რომ ვჭამე. იმ მომენტში მე აინუნშიაც არ ჩამიგდია ეს, მოგვიანებით კი ვიზრუნე იმისათვის, რომ კხანსამა არავითარ შემთხვევაში არ დაეჩაგრათ ჩემი შეცდომის გამო.

ვიდრე საუზმის მოლოდინში საუცხოო თოვლიანი მწვერვა-ლების ხილვით ვტკბებოდი, ჩემ ახლოს ჩაიარა საომარი შაშხანებით შეიარაღებულმა, თორმეტი ევროპელისაგან შემ-დგარმა ჯგუფმა. რამდენიმე წუთის შემდეგ მათ მიჰყვა სერჟანტი და ორი ჯარისკაცი დროშებითა და სასროლო სამიზნეებით. გულკეთილმა სერჟანტმა მაცნობა, ახლახან ჩავლილი ხალხი პოლიგონზე მიეშურება და ჯგუფად იმიტომ მიდის რომ კაციჭამია ჯიქისა ეშინიათო. მისგან შევიტყვე, რომ წინა დღით ინსტიტუტის მეთაურს მიეღო მთავრობის დეპეშა მუკტესარში ჩემი გამომგზავრების შესახებ. სერჟანტ-მა იმედი გამოთქვა, თქვენ შეძლებთ კაციჭამიას მოკვლასო, და დასძინა, მდგომარეობა დაბაში აუტანელი გახდა. დღისითაც კი ვერავინ ბედავს მარტო გამოვიდეს ქუჩაში, ხოლო დაბინდების შემდეგ ხალხი იძულებულია კარჩაკეტილში იჯდესო. ძუ ვეფხ-

ვის მოკვლის მრავალი ცდა უშედეგო აღმოჩნდა. ის ერთხელაც არ დაბრუნებულა თავის მსხვერპლთან, რომლის მახლობლად უსაფრდებოდნენ.

ჩინებული საუზმის შემდეგ კხანსამას ვთხოვე, როცა ჩემი მხლებლები მოვიდოდნენ, ეცნობებინა მათთვის, რომ მე კაციჭამიაზე ცნობების შესაგროვებლად წავედი, და არ ვიცოდი, როდის დავბრუნდებოდი. თან წავიღე შაშხანა; ჯერ ფოსტაში შევიარე დედისთვის დეპეშის გასაგზავნად მუკტესარში მშვიდობით ჩამოსვლის შესახებ.

ხეობებით, ხშირი ბუჩქნარითა და გაფანტული ხეებით დაფარული მუკტესარის ბორცვის სამხრეთი ფერდობი ფოსტის წინ მოედანსა და ბაზართან ციცაბოდ ეშვება ძირს. ამ მოედნის პირას ვიდექი, დავყურებდი ხეობასა და მის იქით გადაშლილ რამგარხის ბორცვების ტყიან ფერდობებს, როცა ჩემთან ფოსტის უფროსი და რამდენიმე მედუქნე მოვიდა. რადგან გუშინ მიღებულმა მთავრობის დეპეშამ ფოსტის უფროსის ხელში გაიარა, ჩემი ხელმოწერა რომ ნახა ბლანკზე, რომელიც ის-ის იყო გადავეცი, მან დაასკვნა, რომ მე ვარ ის პიროვნება, რომელზეც ლაპარაკი იყო დეპეშაში. ამიტომ იგი მეგობრებთან ერთად მოვიდა, რათა დახმარება შემოეთავაზებინა. ამან ძალზე გამახარა: მათ ყველაზე მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ ენახათ და ესაუბრათ ყველასთან, ვინც მუკტესარში ჩამოდიოდა, და რადგან კაციჭამია ყოველგვარი საუბრის მთავარი თემა იყო, თუნდაც ორი კაცის შეხვედრის დროს, მათ შეეძლოთ ძალიან ძვირფასი ინფორმაცია მოეწოდებინათ ჩემთვის. ინდოეთში სოფელ ადგილას მცხოვრებთათვის ფოსტასა და ბანიას დუქანს ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ქალაქელთათვის სამიკიტნოებსა და კლუბებს. მაშასადამე, თუ რაიმე ცნობები სჭირდება, სწორედ აქ უნდა მივიდეს კაცი.

ბორცვის ნაოჭში, დაახლოებით ორი მილის მანძილზე მარცხნივ და ათასი ფუტით ძირს ფერდობებზე, დამუშავებული მიწის ნაკვეთი დავინახე. როგორც მითხრეს, ეს ბადრი საჰის ვაშლის ბაღი იყო. რამდენიმე თვის წინათ ჩემი ძველი მეგობრის შვილი, ბადრი, ნაინი ტალში მეწვია და შემომთავაზა გავჩერებულიყავი ჩამოსულთათვის განკუთვნილ მის სახლში, ამასთან დამპირდა, კაციჭამიას მოკვლაში დაგეხმარებიო. მა-

შინ, ზემოაღნიშნული მიზეზის გამო, უარი ვთქვი მის წინადადებაზე. ახლა კი, როცა მუკტესარში ხელისუფალთა თხოვნით ჩამოვედი, გადავწყვიტე მესარგებლა ბადრის წინადადებით, მით უფრო, რომ, როგორც ჩემმა თანამოსაუბრეებმა მაცნობეს, უკანასკნელი კაცი ძუ ვეფხვმა მისი ბაღის ქვემოთ მდებარე ხეობაში მოკლა.

ფოსტის უფროსსა და მედუქნეს მადლობა გადავუხადე, ვუთხარი, შემდგომაც ვიმედოვნებ კაციჭამიას შესახებ თქვენგან ცნობების მიღებას-მეთქი, და დხარიის გზას დავუყევი. დღე მხოლოდ იწყებოდა, და ვიდრე ბადრის ვინახულებდით, კიდევ მოვასწრებდი აღმოსავლეთით ბორცვის ფერდობზე განლაგებული რამდენიმე სოფლის შემოვლას. როცა, ჩემი ანგარიშით, დაახლოებით ექვსი მილი გავიარე, — აქ საგზაო ბოძები არ იყო, — ორი სოფელი მოვიარე, უკან გამოვბრუნდი და შუაგზაზე დავეწიე შავ ხართან უმწეოდ მებრძოლ რვა წლის გოგონას. ხარი მუკტესარის მიმართულებით უნდა წაეყვანა, ის კი მოპირდაპირე მხარეს იწევდა. მე იმ დროს მივედი, როცა მათ შორის სრული უთანხმოება სუფევდა: არც ერთს არ სურდა დაეთმო. მაგრამ ხარი ბებერი, წყნარი პირუტყვი აღმოჩნდა, და როცა გოგონა კისერზე მობმული თოკით წინ გაუძღვა, მე კი უკნიდან მივერეკებოდი, იგი არავითარ წინააღმდეგობას აღარ გვიწევდა. ცოტა რომ გავიარეთ, გოგონას ვკითხე:

— ჩვენ ხომ სხვისი კალვა არ მიგვყავს?

მე გავიგონე, რომ იგი ცხოველს ამ სახელს ეძახდა.

— აა-რა, — მიპასუხა მან აღშფოთებით, და თაფლისფერი დიდრონი თვალებით შემომხედა.

— მაშ ვისია? — განვაგრძობდი მე.

— მამაჩემის, — მომიგო მან.

— მერე სად მიგყავს?

— ბიძასთან.

— რად უნდა ბიძაშენს კალვა?

— მინდვრის მოსახნავად.

— კალვა მარტო ხომ ვერ მოხნავს მინდორს?

— რა თქმა უნდა, ვერა, — მიპასუხა მან.

— ბიძაშენს მარტო ერთი ხარი ჰყავს? — არ ვეშვებოდი მე.

— ჰო, — მითხრა მან, — ახლა ერთი ხარი ჰყავს, მაგრამ ჰყავდა ორი.

— მეორე რაღა იქნა? — ვკითხე მე და ვივარაუდე, იგი, ალბათ, ვალებში გაყიდეს-მეთქი.

— ის გუშინ მოკლა ვეფხვმა, — მიპასუხა გოგონამ.

ეს კი ცხელ-ცხელი ამბავია! სანამ მის სიტყვებს ვუფიქრდებოდი, გზას განვაგრძობდით ჩუმად. გოგონა წარამარა შემობრუნდებოდა და შემომხედავდა ხოლმე. გამბედაობა მოიკრიბა და მკითხა:

— თქვენ ვეფხვის მოსაკლავად ჩამოხვედით?

— დიახ, — ვუთხარი მე, — ჩამოვედი, რომ ვეფხვის მოკვლა ვცადო.

— მაშ რატომღა მიდიხართ იმ ადგილიდან, სადაც ხარი გდია?

— იმიტომ, რომ კალვა ბიძაშენს უნდა მივუყვანოთ.

პასუხმა, ეტყობა, დააკმაყოფილა გოგონა, და განვაგრძეთ გზა. ძალიან მნიშვნელოვანი ცნობები მივიღე, მაგრამ მინდოდა უფრო მეტი მცოდნოდა, და მალე ახალი კითხვა მივეცი:

— ნუთუ შენ არ იცი, რომ ეს ვეფხვი კაციჭამიაა?

— რა თქმა უნდა, ვიცი. მან შეჭამა კუნტხის მამა, ბიშონ სინგხის დედა და სხვა მრავალი ადამიანი.

— მაშ რატომ თვითონ მამაშენი არ წამოვიდა და შენ გამოგგზავნა კალვასთან?

— მას ციება აქვს.

— ძმები არა გყავს?

— არა. მყავდა ერთი ძმა, მაგრამ იგი დიდი ხანია მოკვდა.

— დედა?

— დედა მყავს. ის სადილს ამზადებს.

— და?

— და არა მყავს.

ასე ხვდა წილად ამ პატარა გოგონას მეტისმეტად საშიში ამოცანა — ხარი ბიძასთან წაეყვანა იმ გზით, რომელზეც მოზრდილნიც კი მხოლოდ დიდ ჯგუფებად ბედავდნენ სია-

რულს, და სადაც, ამ გოგონას გარდა, ოთხი საათის განმავლობაში ერთი ცოცხალი არსებაც არ გაჭაჭანებულა.

მივაღწიეთ ბილიკს და გოგონამ გადაუხვია მასზე, ხარი გაჰყვა გოგონას, მე კი მათ. მალე გამოჩნდა ყანა, რომლის ნაპირას პატარა სახლი იდგა. როცა სახლს მივუახლოვდით, გოგონამ დაიძახა, კალვა მოვიყვანეო.

— კარგი, პუტლი*, — უპასუხა სახლიდან მამაკაცმა, — ბოძზე მიაბი და შინ შემოდი. მე საჭმელს ვჭამ.

კალვა ბოძზე დავაბით და კვლავ გზაზე გავედით. როცა ჩამოშორდა კალვას, ასე ვთქვათ, ჩვენს დამაკავშირებელ რგოლს, პუტლიმ დაიმორცხვა და არაფრის გულისათვის არ სურდა ჩემ გვერდით ევლო. ამიტომ მომიხდა დავწეოდი და მისი სიარულისათვის ნაბიჯი ამეწყო. რამდენიმე ხანს ჩუმად მივდიოდით, შემდეგ ვთქვი:

— მე მინდა ის ვეფხვი მოვკლა, რომელმაც ბიძაშენის ხარი დაგლიჯა, მაგრამ არ ვიცი, რა ადგილასაა ეს ხარი. შეგიძლია მაჩვენო.

— დიახ. რა თქმა უნდა, — თქვა მან აღტაცებით.

— შენ ნახე მოკლული ხარი?

— არა, მაგრამ ძიას ნაამბობიდან ვიცი, სადა გდია იგი.

— ახლოა გზიდან?

— არ ვიცი.

— ხარი მარტო იყო, როცა მას დაესხა ვეფხვი?

— არა, სოფლის ნახირთან ერთად.

— ვეფხვმა იგი დილას მოკლა თუ საღამოს?

— დილას, როცა ნახირი საბალახოდ მიდიოდა.

გოგონას ველაპარაკებოდი და თან ფხიზლად ვადევნებდი თვალს ვიწრო გზის ორივე მხარეს: მარცხნივ მას ზოლად გასდევდა ხშირი ტყე, მარჯვნივ — არა ნაკლებად ხშირი ბუჩქნარი. დაახლოებით ერთი მილი გავიარეთ, როცა დავინახეთ პირუტყვის მიერ გატკეპნილი ბილიკი, რომელიც ჯუნგლებში მიდიოდა. გოგონა შედგა და თქვა, ხარი, ბიძაჩემის სიტყვით, ვეფხვმა სწორედ ამ ბილიკზე მოკლაო. ახლა ვიცოდი ყველაფერი, რაც აუცილებელი იყო, რომ მოკლული ცხოველი

---

* პუტლი — დედოფალა.

მეპოვა. გოგონა სახლამდე მივაცილე, და ბილიკზე დავბრუნდი. ის ჰკვეთდა ხეობას; დაახლოებით მილის მეოთხედი რომ გავიარე, აღმოვაჩინე ადგილი, საიდანაც დამფრთხალი ნახირი გაიქცა. გადავედი ბილიკიდან და მის პარალელურად ჯუნგლებში წავედი. ძალიან მალე წავაწყდი ნათრევის კვალს, რომელიც ხეობაში მიდიოდა. რამდენიმე ასეული იარდის შემდეგ ვიპოვნე ხარი. ის ღრმა ხევის დასაწყისიდან ორმოცი ფუტის მანძილზე ეგდო. ძუ ვეფხვს მხოლოდ მისი უკანა ფეხის ნაწილი შეეჭამა. ხარსა და ხევს შორის იდგა ველური ვარდით შემოხვეული გამხმარი ხე. ეს გახლდათ ერთადერთი ჩასასაფრებლად ვარგისი ხე. მოსალოდნელი იყო უმთვარო ღამე, და თუ ძუ ვეფხვი დაბნელების შემდეგ მოვიდოდა,— რაშიც ეჭვი არ მეპარებოდა, — რაც უფრო ახლოს აღმოვჩნდები ნადავლთან, მხეცის მოკვლის მით უფრო მეტი შანსი მექნებოდა.

ნაშუადღევის ორი საათი შესრულდა — სწორედ კარგი დრო იყო ბადრისთან შემევლო და მეთხოვნა ჭიქა ჩაი, რაც ძალიან მინდოდა ხანგრძლივი სიარულის შემდეგ: რამგარხი ხომ დილის ოთხ საათზე დავტოვე. გზა ბადრის ბაღისაკენ იქ იწყებოდა, სადაც პირუტყვის მიერ გატკეპნილი ბილიკი დხარის გზას უერთდებოდა და ერთი მილის მანძილზე, ბორცვის ციცაბო ფერდობის გასწვრივ, ხშირ ბუჩქნარში გადიოდა. ბადრი ჩამოსულთათვის განკუთვნილ თავისი სახლის მახლობლად ვნახე; ის დაზიანებული ვაშლის ხეს უვლიდა. ჩემი მისვლის მიზანი რომ შეიტყო, სახლში მიმიწვია, რომელიც ბაღის ზემოთ პატარა ბორცვზე ედგა. აივანზე დავსხედით და სანამ მსახური ჩაისა და საჭმელს მიმზადებდა, ბადრის ეუამბე მუკტესარში ჩემი ჩამოსვლის მიზნისა და იმ მოკლული ხარის შესახებ, რომლის პოვნაში გოგონა დამეხმარა. როცა ბადრის ვკითხე, რატომ არ აცნობეს მონადირეებს მუკტესარში ამ მსხვერპლის შესახებ-მეთქი, მან მიპასუხა, რადგან ამ მონადირეების ვეფხვის მოკვლის ყოველი ცდა მარცხით მთავრდებოდა, გლეხებს მათი აღარ სჯერათ და ახალი მსხვერპლის შესახებაც არავის არაფერს აცნობებენო. მონადირეთა მარცხი ბადრიმ ჩასაფრებისათვის გულმოდგინე მზადებით ახსნა: მოკლული ცხოველის მახლობლად კაფავ-

დნენ ჩირგვნარსა და დაბალ ხეებს, შემდეგ აგებდნენ ვეებერთელა მაჰანს და შიგ ერთად რამდენიმე კაცი სხდებოდა. ამიტომ გასაკვირი როდია, რომ ვეფხვი თავის ნადავლს აღარ უბრუნდებოდა.

ბადრი ამტკიცებდა, მუკტესარის რაიონში მხოლოდ ერთი ვეფხვი ბინადრობს და იგი წინა მარჯვენა თათით კოჭლობსო. მხოლოდ არ იცოდა კოჭლობის მიზეზი და არც ის, ხვადი იყო იგი თუ ძუ.

აივანზე ჩვენს ახლოს იწვა ერდელ-ტერიერი. მან უცბად გადაიხედა ბაღში და დაიღრინა. გადავიხედეთ ჩვენც და დიდი ლანგური დავინახეთ; იგი მიწაზე იჯდა, ვაშლის ტოტი მოეწია და მკვახე ნაყოფს ჭამდა. ბადრიმ ხელი სტაცა აივნის მოაჯირზე მიყუდებულ ფილთა თოფს, მეოთხე ნომერი საფანტით გატენა და ესროლა. მხეცამდე ძალიან დიდი მანძილი იყო და საფანტი კიდევაც რომ მოხვედროდა ლანგურს, ზიანს ვერ მიაყენებდა, მაგრამ სროლამ აიძულა ის ზევით ფერდობისაკენ მოეკურცხლა; ძაღლი უკან დაედევნა. ვშიშობდი რაიმე ხიფათს არ გადაყროდა ძაღლი, და ბადრის ვთხოვე დაებრუნებინა უკან, მაგრამ მან მიპასუხა, საშიში არაფერია, იგი მუდამ ასე დასდევს ამ ლანგურს, რომელიც ახალგაზრდა ხეხილს აფუჭებსო. ძაღლი თითქმის დაეწია ლანგურს; როცა მათ შორის სულ რამდენიმე იარდი დარჩა, ლანგური სწრაფად შემობრუნდა. ტერიერს ყურში ჩააფრინდა და თავზე კანის ნაჭერი მოაგლიჯა. ჭრილობა სერიოზული აღმოჩნდა. სანამ ძაღლს ვუვლიდით, ამასობაში ჩაი და პური* მომიტანეს.

მე ვუამბე ბადრის, რომელი ხე ავირჩიე ჩასასაფრებლად, და როცა წასვლა დავაპირე, მან დაჟინებით მოითხოვა, რომ გამაცილებდა ორი კაცის თანხლებით, რომლებიც წამოიღებდნენ ყველაფერს, რაც საჭიროა პატარა მაჰანის მოსაწყობად. ერთ წელიწადზე მეტ ხანს ცხოვრობდნენ ისინი კაციჭამიას ეშვებისა და თათების სასიკვდილო მუქარის ქვეშ და მის მიმართ არავითარი ილუზიები არ ჰქონდათ, ამიტომ, როცა დაინახეს, მოკლული ხარის ახლოს შესაფერი ხე არ იდგა.

---

* პ უ რ ი — ზეთში შემწვარი უფუარი პური.

დაკინებით მირჩიეს უარი მეთქვა იმ ღამეს ჩასაფრებაზე, მარწმუნებდნენ, ვეფხვი თავის ნადავლს სხვა ადგილას გადაათრევს და შემდეგ ღამეს შეგიძლია უფრო საიმედოდ მოეწყოო. ასეც მოვიქცეოდი, რომ ვეფხვი კაციჭამია არ ყოფილიყო. მაგრამ ის კაციჭამია იყო და არ მსურდა, თუნდაც ეს ჩემთვის საბედისწეროდ დამთავრებულიყო, ხელიდან გამეშვა შემთხვევა, რომელიც მეორე დღეს, შესაძლოა, აღარ მქონოდა. ამ ტყეში დათვები ბინადრობდნენ, ჰიმალაის დათვები კი უპატივცემულოდ ეპყრობიან ვეფხვებს და უყოყმანოდ ითვისებენ მათს ნადავლს. ამიტომ თუ ერთი მათგანიც კი ხარის სუნს იკრავდა, უნდა გამოვთხოვებოდი კაციჭამიას მოკვლის იმედს. ველური ვარდით შემოხვეულ ხეზე ასვლა გმირობაა. როცა ზედ იმდენად მოხერხებულად მოვეწყვე, რამდენადაც ამის საშუალებას მაძლევდა ეკლები, შაშხანა მომაწოდეს, ბადრი თავისი კაცებით წავიდა და დამპირდა, მეორე დღეს დილაადრიანად დავბრუნდებიო.

პირით ბორცვისაკენ მოვეწყვე, ზურგით კი ხევისაკენ. ყოველი ცხოველი, რომელიც ფერდობზე დაეშვებოდა, აშკარად დამინახავდა, მაგრამ ვვარაუდობდი, ვეფხვი ქვევიდან გამოჩნდება და, სანამ ნადავლთან არ მივა, ვერ შემამჩნევს-მეთქი. თეთრი ხარი ეგდო მარჯვენა გვერდზე ფეხებით ჩემკენ, დაახლოებით თხუთმეტი ფუტის მანძილზე. ხეზე დღის ოთხ საათზე ავცოცდი, ერთი საათის შემდეგ ხევის პირას, ორასი იარდის მოშორებით. ქვევით კარკერმა დაიყვირა; ვეფხვი გამოჩნდა, კარკერმა შეამჩნია იგი და აურზაური ატეხა. კარკერის ყვირილი კარგად ისმოდა, შემდეგ თანდათან მინელდა, ბოლოს ბორცვის შვერილის იქით სავსებით მიწყდა. ეს ნიშნავდა, რომ ვეფხვი ჩაწვა, როცა თავისი ნადავლი დაინახა. ბადრიმ რომ მიამბო მსხვერპლის ახლოს ვეფხვის მოკვლის ხელმოცარული ცდების შესახებ, მე გავითვალისწინე, რაც მოხდებოდა. ვეფხვი დაწვება, სმენად გადაიქცევა, ოთხ თვალს გამოისხამს, სანამ არ დარწმუნდება, რომ მის ნადავლთან არ არის ადამიანი, და მხოლოდ ამის შემდეგ მივა მასთან. დრო გადიოდა, ბინდი ჩამოწვა; საგნების მოხაზულობა გაბუნდოვანდა, შემდეგ კი სრულიად გაქრა. თეთრი ხარი ჯერ კიდევ მოჩანდა, რომ სადღაც ხევში გაიტკაცუნა ტოტმა და

ვიგრძენი — ფეხაკრეფით ვეფხვი მიახლოვდებოდა. ნაბიჯების ხმა ჩემ ახლოს მიწყდა, ერთ-ორ წუთს სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, შემდეგ გავიგონე, როგორ დაწვა ვეფხვი ხმელ ნეშოზე ჩემი ხის ძირას.

მზის ჩასვლისას ღრუბლები ჩამოწვა და ახლა ვარსკვლავები დაფარა. ირგვლივ კუპრივით შავი ღამე ჩამოდგა. როცა ვეფხვი ბოლოს ადგა და ნადავლისაკენ გაემართა, რაც შემეძლო დავძაბე მხედველობა, მაგრამ ვერც თეთრი ხარი, მით უმეტეს ვერც ვეფხვი ვერ დავინახე. ვეფხვი ნადავლთან მივიდა და მას სულის ბერვა დაუწყო. ჰიმალაებში, განსაკუთრებით ზაფხულობით, ცხოველების ლეშს უამრავი კრაზანა ესევა, რომელთა უმეტესი ნაწილი დაბნელებისთანავე უკან მიფრინავს, ზოგი კი ისეა დაბერილი ხარბად შესმული სისხლით, რომ ფრენა აღარ შეუძლია და ადგილზე რჩება. შესაძლოა, ვეფხვის მწარე გამოცდილება ჰქონდა და ახლა, ვიდრე ჭამას შეუდგებოდა, შებერვით აცილებდა ლეშს მიკრულ მწერებს. ჩემთვის აზრი არ ჰქონდა აჩქარებით სროლას: რა ახლოსაც უნდა ყოფილიყო ვეფხვი, ის ვერ დამინახავდა, თუ მის ყურადღებას რაიმე მოძრაობით ან ხმაურით არ მივიპყრობდი. უმთვარო ღამეში საკმაოდ კარგად ვხედავ ვარსკვლავების სინათლეზე, მაგრამ იმ ღამეს არც ვარსკვლავები ციმციმებდნენ, არც ელავდა. თუმცა ვიცოდი, ვეფხვი ჩემკენ გვერდით იწვა ნადავლის მარჯვენა მხარეზე, რადგან მას არ გაუნძრევია ლეში, სანამ ჭამას დაიწყებდა.

რადგანაც უკვე არა ერთხელ სცადეს ვეფხვის მოკვლა, პირველოდი, რომ იგი დაღამებამდე მოვიდოდა. გადავწყვიტე მესარგებლა ვარსკვლავების სინათლით, დამემიზნებინა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა, მერე შაშხანის ლულა ისე გადამეწია, რომ ტყვიას ხარიდან ერთი ან ორი ფუტით მარჯვნივ გაევლო. მაგრამ ვარსკვლავები ღრუბლებმა დაფარეს, ვერაფერს ვხედავდი და მხოლოდ ჩემი ყურების იმედზე უნდა ვყოფილიყავი — იმ დროს საუცხოო სმენა მქონდა. შაშხანა ავწიე და მუხლებზე იდაყვებით დაყრდნობილმა გულმოდგინედ დავუმიზნე ხმის მიმართულებით, რომელსაც ვეფხვი გამოსცემდა, და ვცადე შაშხანა არ შემერხია, ისე მოვაბრუნე

თოფი ხმის მიმართულებით. დავუმიზნე ცოტა უფრო ზევით, ვიდრე საჭირო იყო, ამიტომ შაშხანა ოდნავ დავუშვი, თავი კვლავ მივიბრუნე და სმენად ვიქეცი. ეს რამდენჯერმე გავიმეორე და როცა დავრწმუნდი, რომ ზუსტად ხმის მიმართულებით ვუმიზნებდი, შაშხანის ლულა ოდნავ მარჯვნივ მივწიე და სასხლეტი მოვწიე. ვეფხვი ორი ნახტომით მივარდა ოცფუტიანი ხევის კიდესთან, სადაც პატარა სწორი ნაკვეთი იყო, მის უკან ციცაბო ალმართი იწყებოდა. მესმოდა როგორ აშრიალებდა ვეფხვი გამხმარ ფოთლებს ამ ნაკვეთზე, შემდეგ ყველაფერი მიწყნარდა. შესაძლოა, ჩამოვარდნილი სიჩუმე იმასაც ნიშნავდა, რომ ვეფხვი მოკვდა, და იმასაც, რომ იგი არც დაჭრილია. სამ-ოთხ წუთს თოფი მხარზე მქონდა მიდებული და დაძაბული ვუსმენდი. ჩქამიც არსაიდან ისმოდა და შაშხანა დავუშვი. ამ მოძრაობაზე ხრამის მაღალი ნაპირიდან ღმუილი მოისმა — მაშასადამე, ვეფხვი უვნებელი იყო და მხედავდა.

ტოტი, რომელზეც დავჯექი, მიწიდან ათი ფუტის სიმაღლეზე იყო, მაგრამ ჩემი ტანის სიმძიმით ძირს დაიწია და მანძილი მიწამდე რვა ფუტამდე შემცირდა; ფეხები კი კიდევ უფრო დაბლა მქონდა ჩამოშვებული და ეს მაშინ, როცა ჩემგან სულ რაღაც ოცი იარდის მოშორებით ზევით ფერდობზე მრისხანედ ღმუოდა კაციჭამია ვეფხვი.

ვეფხვის სიახლოვე დღისითაც, თუ ის არ გხედავს, გულს აგიფანცქალებს, ხოლო ღამით და ისიც ბნელში, როცა ჩვეულებრივი ვეფხვი კი არა — კაციჭამია გითვალთვალებს, გული ბუდიდან ლამობს ამოვარდნას. დარწმუნებული ვარ, რომ თუ ვეფხვს არ გააღიზიანებენ, იგი მხოლოდ იმიტომ დაგესხმის თავს, რომ შიმშილი მოიკლას. ვეფხვი, რომელსაც მე ვუთვალთვალებდი, საჭმლით ორი-სამი დღე იყო უზრუნველყოფილი, მაშასადამე, მას არ უნდა დავეგლიჯე. მიუხედავად ამისა ვშიშობდი, ეს ვეფხვი, შესაძლოა, გამონაკლისი იყოს-მეთქი. თუმცა ვღელავდი, მაგრამ ვიცოდი, ვიდრე ხეზე ვიჯდებოდი, საფრთხე არ მემუქრებოდა, მაგრამ თუ დავიძინებდი, დავკარგავდი წონასწორობას და ძირს ჩამოვვარდებოდი. არაფერი მაბრკოლებდა, რომ გულიანად მომეწია სიგარეტი, და პორტსიგარი ამოვიღე. როგორც კი გავკარი ასანთი, ვეფხ-

ვი ხევის ნაპირიდან გადახტა, მაგრამ მალე დაბრუნდა და კვლავ დაიღრიალა. სამი სიგარეტი მოვწიე, ის კი მაინც არ მიდიოდა, ამასობაში წვიმა წამოვიდა. ჯერ რამდენიმე მსხვილი წვეთი ჩამოვარდა, შემდეგ ძლიერი თავსხმა დაიწყო. დილით რამგარხიდან გამოსვლისას შილიფად ჩავიცვი. ჩემ ზევით ხეზე ერთი ფოთოლიც არ იყო. ამიტომ რამდენიმე წუთის შემდეგ მთლად გავილუმპე. წვიმის დაწყებიდანვე ვეფხვი სწრაფად დაიმალა სადღაც ხის ან კლდის ქვეშ. წვიმა ღამის თერთმეტ საათზე დაიწყო, გადაიღო ოთხ საათზე და ცა მოიწმინდა. ჩემდა საუბედუროდ, ქარი ამოვარდა, და თუ ადრე მხოლოდ მციოდა, ახლა პირდაპირ ვიყინებოდი. როცა რევმატიზმის შეტევა მეწყება ხოლმე, ბევრ ამის მსგავს ღამეს ვიგონებ და მიხარია, რომ ასე იოლად გადავრჩი.

როგორც კი მზე ამოიწვერა, მოვიდა ბადრი, ჩემი კეთილი მეგობარი, ერთი კაცის თანხლებით. ამ უკანასკნელს მოჰქონდა ქეთლი ცხელი ჩაით; მათ გამომართვეს შაშხანა, შემდეგ ხელი შემაშველეს. როცა ხიდან ჩამოვცოცდი, ფეხები დაბუჟებული მქონდა. ამიტომ მიწაზე დავწექი და ჩაის სმა დავიწყე, ისინი კი ფეხებს მიზელდნენ, რომ სისხლის მიმოქცევა აღედგინათ. როცა ფეხზე ადგომა შევძელი, ბადრიმ გაგზავნა კაცი სახლში ცეცხლის დასანთებად.

მანამდე არასოდეს არ მქონია შემთხვევა სმენის მიხედვით დამემიზნებინა, და გამეხარდა, რომ ტყვია სულ რამდენიმე დუიმით ასცდა ვეფხვის თავს, დამიზნების კუთხე მართი იყო, მაგრამ შაშხანის ლულა საკმაოდ არ გადავწიე მარჯვნივ, ამიტომ ტყვია მოხვდა ხარს ექვს დუიმზე იმ ადგილიდან, სადაც ვეფხვის თავი იყო.

ცხელმა ჩაიმ და ჩქარმა სიარულმა კარგ გუნებაზე დამაყენა და ბადრის ბაღისაკენ სიარულში მხოლოდ სველი ტანსაცმელი და ცარიელი კუჭი მიშლიდა ხელს. გზა წითელ თიხნარზე მიდიოდა, წვიმის შემდეგ ძალიან გალიპული იყო და სამი წყვილი ნაკვალევი აჩნდა: ბადრისა და მისი თანამგზავრის — გზის ზემოთ და ერთი კაცის ნაკვალევი სააქეთო მიმართულებით. ორმოცდაათი იარდის მანძილზე სველ თიხნარზე მხოლოდ სამი წყვილი ნაკვალევი მოჩანდა, ხოლო გზის მოსახვევთან ზემოდან გადმოხტა ძუ ვეფხვი და კვალდაკვალ გაჰყვა ბადრის

მსახურს. მისი ნაკვალევი და ძუ ვეფხვის თათების ანაბეჭდი გვიჩვენებდნენ, რომ ორივე სწრაფად მიდიოდნენ. არც ბადრის და არც მე იმ მომენტში არავითარი ღონისძიების მიღება არ შეგვეძლო. კაცი ჩვენზე ოცი წუთით ადრე წავიდა, და თუ მან ვერ მოასწრო ბოლომდე მშვიდობით მისვლა, არავითარი დახმარება მას აღარ დასჭირდებოდა. შავ ფიქრებში წასულებმა ნაბიჯს ავუჩქარეთ, რამდენადაც ამის საშუალებას მოლიპული გზა გვაძლევდა, და შვებით მხოლოდ მაშინ ამოვისუნთქეთ, როცა ბილიკს მივაღწიეთ, საიდანაც დავინახეთ ბაღი და შიგ მომუშავე ხალხი. ამ ადგილს აღმოვაჩინეთ, რომ ძუ ვეფხვი ქვევით გზაზე დაშვებულიყო, კაცს კი ბაღისკენ გაეხვია, მოგვიანებით გამოირკვა, რომ მან არც იცოდა, თუ ვეფხვი ასე ახლოს იყო მისგან.

სანამ ჩემი ტანსაცმელი გაჩაღებული კერის წინ შრებოდა, ბადრის იმ ჯუნგლების შესახებ გამოვიკითხე, სადაც ძუ ვეფხვი მიიმალა. მან მიამბო, ბილიკი, რომლითაც კაციჭამია წავიდა, ტყით დაფარულ ღრმა ხევში მიემართება. ეს ხევი კი ძალიან ციცაბო ბორცვის ფერდობზე ერთი-ორი ძილის მანძილზეა გადაჭიმულიო; მარჯვნივ ამ ხევს ეკვრის მეორე. იქ, სადაც ისინი ერთდებიან, ნაკადული მიედინება, მის ახლოს კი გაშლილი მოედანია, საიდანაც კარგად მოჩანს გამოსასვლელი ორივე ხევიდანო. ბადრის აზრით, ძუ ვეფხვი ერთ დღეს მაინც იწვებოდა ხევში, ეს ადგილი ყოველმხრივ იდეალურია მოსამწყვდევად, ამიტომ გადავწყვიტეთ გვეცადა ამ ხევის გამოყენება ძუ ვეფხვთან ანგარიშის გასასწორებლად, თუ მოვახერხებდით საკმაო ოდენობით ხალხის თავმოყრას. ბადრიმ მოუხმო თავის უფროს მებაღეს გოვინდ სინგხს და მას ჩვენი გეგმა გავაცანით. გოვინდ სინგხმა გვთხოვა შუადღემდე მაცალეთ, რომ ოცდაათი კაცი მარეკებად გამოვყო, ჯერ კი უნდა შევასრულო ბატონის განკარგულება ხუთი მაუნდი (410 გირვანქა) მუხუდოს აღების შესახებო. ვაშლის ბაღს გარდა, ბადრის ჰქონდა დიდი ბოსტანი. წინა საღამოს ძიიღო დეპეშა, ერთი გირვანქა ხარისხიანი მუხუდოს ფასმა ნაინი ტალის ბაზარზე ოთხ ანამდე* აიწიაო. ბადრის არ სურდა ხელიდან გაეშვა საქონლის კარგ ფასში გაყიდვის შესაძლებ-

* ანა — ინდოეთის წვრილი ფული, უდრის რუპიის $^1/_{16}$.

ლობა, ამიტომ მთელი ხალხი მუხუდოს აღებაზე იყო დაკავებული, რომ საღამოს პონით მუხუდო ნაინი ტალის დილის ბაზარზე გაეგზავნა.

შაშხანა გავწმინდე, ბაღში გავისეირნე, შემდეგ ბადრისთან ერთად ვისაუზმე — განზრახულ ალყასთან დაკავშირებით საუზმე ერთი საათით ადრე მოგვიტანეს — შუადღის ხანს კი გოვინდმა დაპირებული ხალხი მოიყვანა. რადგან ბადრის თვალყური უნდა ედევნებინა მუხუდოს ამღებთათვის, გადაწყვიტა დარჩენილიყო, გოვინდი კი მე გამომაყოლა. გოვინდი და დანარჩენი ოცდაათი კაცი ადგილობრივი მცხოვრებნი იყვნენ და კარგად ესმოდათ, თუ რაოდენ საშიში იყო კაციჭამია ვეფხვი. მიუხედავად ამისა, როცა ავუხსენი, რა უნდა გაეკეთებინათ, მათ ერთსულოვნად განაცხადეს, შენს ყველა მითითებას შევასრულებთო. შევთანხმდით, რომ მე ჯერ დავათვალიერებდი ხევს და შევეცდებოდი მომენახა ძუ ვეფხვი; თუ ვერ მოვახერხებდი მის მოკვლას, ნაკადულის ახლოს ღია მოედანზე მოვეწყობოდი. ამისათვის ერთი საათი მჭირდებოდა. ამასობაში გოვინდს ხალხი ორ ჯგუფად უნდა გაეყო, ერთს თვითონ უხელმძღვანელებდა, მეორისათვის საიმედო კაცს შეარჩევდა. ერთი საათის შემდეგ ბადრი გაისროდა. ამ ნიშანზე ორივე ჯგუფი ყვირილით, ტაშის ცემით და ქვების სროლით ხევის მოპირდაპირე მხარეებიდან დაიძვროდა. თითქოს ყველაფერი ასე უბრალოდ მოეწყო. მაგრამ საკუთარი თვალით არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ეს საქმე წარმატებით დაგვირგვინდებოდა, რადგან არა ერთხელ მინახავს მზეცების მორეკის ცდას წარმატება არ მოჰყოლია.

მცირე მანძილი გავიარე იმ გზაზე, რომლითაც დილით ძუ ვეფხვი გაემართა, და აღმოვაჩინე, რომ ბილიკი ხშირი ბუჩქნარის უსიერ სივრცეში იკარგებოდა. ძლივს გავაღწიე რამდენიმე იარდი სიღრმეში და დავინახე, ბორცვის ფერდობი ღრმა ხრამებით იყო დასერილი. როცა ერთ-ერთი მათგანის ნაპირზე ჩავედი, მეგონა ეს სწორედ იმ ხევის მარჯვენა მხარეა, სადაც ვეფხვი უნდა მოაგდონ-მეთქი, და გავედი მეორე ხრამთან, რომლის ძირში რამდენიმე ხრამი ერთდებოდა და ნაკადული მიედინებოდა. სანამ თვალით ვეძებდი ქვევით ღია ნაკვეთს. სადაც ვეფხვის მოგდების დროს უნდა ვყოფილიყავი, ჩემი

ყურადღება სადღაც ახლოს ბუზების ბზუილმა მიიპყრო. ყური მივუგდე, საიდან მოდიოდა ხმა, და ძროხის ლეში დავინახე. ერთი კვირის წინათ მოკლული ცხოველის ყელზე ნიშანი იმას მოწმობდა, რომ იგი ვეფხვმა მოკლა. მას თითქმის მთლიანად შეეჭამა ძროხა, მხოლოდ წინა ფეხების, კისრისა და თავის ნაწილიღა დარჩენოდა. ძროხის ჩონჩხი ხრამის ნაპირთან მივათრიე და ქვევით გადავაგდე. ის ჩაგორდა ას იარდზე და პატარა ღრმულში წყაროს მახლობლად ჩავარდა. თხემის მარცხნივ ამ ღრმულიდან სამას იარდზე დავინახე ღია მოედანი. ადგილი სრულიადაც არ იყო ისეთი, როგორიც მე წარმომედგინა. არსაიდან არ შეიძლებოდა იმ ბორცვის ფერდობზე თვალყურის დევნება, რომელიც ძუ ვეფხვის მოსაგდებად იყო გათვალისწინებული, და შესაძლოა, ძუ ვეფხვი მოულოდნელად გამოჩენილიყო. მაგრამ რაიმეს შეცვლა გვიან იყო, რადგან ბადრიმ უკვე გაისროლა, მაშასადამე, მოგდება დაიწყო. მალე შორიდან ხალხის ყვირილი მოისმა, ერთ ხანს მომეჩვენა, თითქოს ისინი მიახლოვდებოდნენ, მაგრამ ყვირილი თანდათან შესუსტდა და ბოლოს მთლად მიწყდა სადღაც სხვა მხარეს. ერთი საათის შემდეგ კვლავ გავიგონე მარეკების ხმა: ისინი ჩამოდიოდნენ ბორცვიდან ჩემ მარჯვნივ. როცა ერთ სიმაღლეზე ამოვჩნდით, დავუძახე, მოგდება შეწყვიტეთ და თავი მოიყარეთ-მეთქი. ალყის ჩაშლისათვის ბრალს ვერავის დავდებდი. ადგილმდებარეობის შეუსწავლელად, წინასწარი მომზადების გარეშე და ამ საქმის უცოდინარი ერთი მუჭა ხალხით ვცდილობდით ხშირი შამბნარით დაფარულ თვალუწვდენ სივრცეში გაღწევას, — ასეთი ამოცანა ასი გამოცდილი მარეკისათვისაც კი ძნელი შესასრულებელი იქნებოდა.

მარეკები ბუჩქნარში გასვლის დროს ძალიან გაწვალდნენ, ახლა ისინი ჯგუფებად ისხდნენ მიწაზე, წევდნენ ჩემ მიერ მიწოდებულ სიგარებს და ფეხებიდან ეკლებს იძრობდნენ. მე და გოვინდი ერთად ვიდექით და ვმსჯელობდით მის წინადადებაზე მუკტესარის და გარშემო მდებარე სოფლებიდ მცხოვრები ყველა მამაკაცის მონაწილეობით ხვალ კიდევ ერთი მორეკვა განგვეხორციელებინა. გოვინდს უეცრად სიტყვა გაუწყდა და დადუმდა. ჩემ უკან რაღაცამ მიიპყრო

მისი ყურადღება: თვალები დაუვიწროვდა, სახეზე მეტისმეტი გაოცება აღებეჭდა. სწრაფად შემოვბრუნდი და დავინახე, ნაკადულის გაღმა ბორცვის ფერდობთან მიტოვებულ ყანაში მშვიდად მოდიოდა ძუ ვეფხვი. იგი ჩვენკენ მოდიოდა, მანძილი ჩვენ შორის ოთხასი იარდი იქნებოდა.

თუ ფიქრობთ ტყეში ვეფხვი მოკლათ ან ფოტოსურათი გადაუღოთ მას, იმ მომენტში, როცა ცხოველი უკვე გიახლოვდებათ, აუცილებლად შიში შეგიპყრობთ — რაიმემ არ შემიშალოს ხელიო. ერთხელ ბორცვის ფერდობზე ვიჯექი და ვეფხვის მოლოდინში ნადირთა ბილიკს ვადევნებდი თვალს. ბილიკი მიდიოდა წმინდა სამლოცველოსკენ, რომელსაც ბარამ-კა-თხანი* ეწოდება. ბარამი ჯუნგლების ღმერთია. იგი იცავს ხალხს და თავის სამყოფელში არავის არ აძლევს ცხოველების მოკვლის უფლებას. ტყე, რომლის შუაგულშია სამლოცველო, ძალიან მდიდარია ნადირით და ახლომახლო მცხოვრები ბრაკონერების საყვარელ სანადირო ადგილს წარმოადგენს. აქ იყრიან თავს სპორტსმენი მონადირეები ინდოეთის ყველა კუთხიდან, თუმცა არასოდეს მსმენია, რომ სამლოცველოს ახლოს რაიმე ცხოველი მოეკლათ. ამიტომ როცა განვიზრახე იმ დღეს ვეფხვის მოკვლა, რომელიც კამეჩების სახით ამ რაიონის სოფლებიდან „ხარკს კრებდა", ღმერთი ბარამის სამლოცველოდან ერთი მილის მოშორებით შევარჩიე ბუჩქი. დღის ოთხ საათზე ბუჩქის უკან მოვეწყვე, ერთი საათის შემდეგ გაისმა სამბხარის ხმა იმ მიმართულებით, საიდანაც ვეფხვს ველოდი. მალე ჩემ ახლოს დაიყვირა კრაკერმა — ვეფხვი იმ ბილიკზე მოდიოდა, სადაც ჩასაფრებელი ვიყავი. ამ ადგილას მეჩხერი ჯუნგლებია, უპირატესად ორი-სამი ფუტის სიმსხო ახალგაზრდა ხეები ხარობს. მსხვილი ხვადი ვეფხვი ჯერ კიდევ ორასი იარდის მანძილზე შევნიშნე. იგი აუჩქარებლად მოდიოდა როცა ჩვენ შორის მანძილი ას იარდამდე შემცირდა, რაღაც სტვენისმაგვარი ხმა გაისმა. ავიხედე მაღლა და დავინახე, ერთმა ხემ, რომლის ტოტები გადახლართვოდა გვერდით მდგარი ხის ტოტებს, ძალიან ნელა

---

* თ ხ ა ნ ი — ადგილი, ტაძარი, სამლოცველო.

ძირს იწყო დახრა, ვიდრე ვარჯით არ წამოედო იმავე ჯიშისა და სიმაღლის ხეს. რამდენიმე წუთით მეორე ხემ შეაჩერა პირველი, შემდეგ ორივე ოცდაათ გრადუსამდე დაიხარა და უფრო დაბალ მესამე ხეს მოედო. ერთ-ორ წამს ხეები ამ მდგომარეობაში იდგა, შემდეგ სამივე წაიქცა. მივჩერებოდი ხეებს, რომლებიც ჩემგან სულ რამდენიმე იარდზე იყვნენ, და თვალს არ ვაშორებდი ვეფხვსაც. როგორც კი ფოთლების არაჩვეულებრივი შრიალი გაისმა ვეფხვი შედგა, ხეების ხმაურით წაქცევას კი სულაც არ შეუშფოთებია იგი: გაბრუნდა და იმ მიმართულებით წავიდა, საიდანაც მოვიდა. მთელ ამ ამბავს რაღაც ფანტასტიკური ელფერი დაჰკრავდა: წაიქცა ახალგაზრდა, მაგარი ხეები; წვიმები, რომლებსაც შეეძლო გამოეთხარა მათთვის ფესვები, ბოლო ხანებში არ მოსულა. ტყეში სიოც კი არ იძვროდა; ბოლოს, ხეები დაეცა სამლოცველოსაკენ მიმავალი ბილიკის გარდიგარდმო და სწორედ იმ დროს, როცა ვეფხვს გასავლელი ჰქონდა სულ რამდენიმე იარდი, და სიცოცხლეს გამოესალმებოდა.

კიდევ უფრო ადვილად დაკარგავ სროლის შესაძლებლობას, თუ ცხოველი, რომელზეც ნადირობ, ბინადრობს დასახლებულ ადგილას, სადაც ხალხი ერთი სოფლიდან მეორეში დადის, მიდის ბაზარზე ან ბრუნდება უკან, ვაშლის ბაღებიდან თოფის სროლით აფრთხობს ლანგურებს და ა. შ.

ძუ ვეფხვს წყარომდე კიდევ სამასი იარდი უნდა გაეელო, აქედან — ორასი ღია ადგილზე, სადაც ერთი ხე ან ბუჩქიც არ იყო. მისი გზა მიემართებოდა კუთხით ჩვენკენ, და მას შეეძლო ყოველი ჩვენი მოძრაობა შეემჩნია, ამიტომ გატრუნულნი თვალს ვადევნებდით მას. არც ერთი ძუ ვეფხვი არ მოძრაობდა ასე ნელა. მუკტესარის მკვიდრნი მას კოჭლს უწოდებდნენ. მაგრამ მე ვერ შევნიშნე კოჭლობის რაიმე ნიშანი. ვუყურებდი მას და გადავწყვიტე დამეცადა მანამდე, სანამ ბუჩქნარს შეერეოდა, შემდეგ წინ გავქცეულიყავი და მისი მოკვლა მეცადა ან ნაკადულზე გადასვლამდე, ან ამის შემდეგ. ჩემსა და იმ ადგილს შორის, სადაც ძუ ვეფხვი მიდიოდა, საკმაო მცენარეულობა რომ ყოფილიყო, დაუყოვნებლივ გავსწევდი მის შესახვედრად და შევეცდებოდი მომესპო ღია ადგილას,

ხოლო მარცხის შემთხვევაში — ნაკადულთან მაინც. მაგრამ, სამწუხაროდ, ადგილი შეუმჩნევლად მოძრაობის საშუალებას არ იძლეოდა და იძულებული ვიყავი დავლოდებოდი. როგორც კი ძუ ვეფხვი თვალს მიეფარა, ხალხს ვუბრძანე ჩემ დაბრუნებამდე ჩუმად ყოფილიყვნენ და არ ემოძრავათ და ბორცვის ფერდობისაკენ გავიქეცი. ბორცვი ძალიან ციცაბო იყო; ბორცვის ჰორიზონტალურად გადარბენისას ზემოთ და ქვემოთ გაბარდულ ვეებერთელა ვარდის ბუჩქს წავაწყდი. ბუჩქის შუაში იყო რაღაც გვირაბის მაგვარი; როცა დავიღუნე, რომ შიგ შემძვრალიყავი, ქუდი გადამივარდა, ხოლო გვირაბის ბოლოში უცებ წელში რომ გავიმართე, თავში ეკლები შემერჭო და კინაღამ დავეცი. ველურ ვარდს მოღუნული და ძალიან მაგარი ეკლები აქვს, და რადგან ერთბაშად შეჩერება ვერ შევძელი, რამდენიმე ეკალი გადატყდა და თავში ჩამრჩა, — როცა შინ მოვედი, ჩემმა დამ მეგიმ თავის კანი ძვლამდე გამიჭრა და დიდი გაჭირვებით ამომიღო ისინი. სისხლი ღვარად ჩამომდიოდა სახეზე, მაგრამ სირბილს განვაგრძობდი, სანამ ის ღარტაფი არ გამოჩნდა, რომელშიც ძროხის ლეშის ნარჩენები ჩავყარე. ღარტაფი სიგრძით დაახლოებით ორმოცი, სიგანით ოცდაათი იარდი იქნებოდა. მისი შედარებით მაღალი ნაწილი, სადაც ძროხის ლეში ეგდო, აგრეთვე შორი ნაპირი და ზევით ბორცვის ფერდობი ხშირ ბუჩქნარს დაეფარა; ტაფობის ქვედა ნაწილსა და ნაპირზე, სადაც მე ჩავსაფრდი, მცენარეულობა ხარობდა. ტაფობის ნაპირზე დავინახე და გავიგონე ძვლების ხრაშუნი: ძუ ვეფხვი იქ ჩემზე ადრე ჩასულიყო და, ძველი ნადავლი რომ ნახა, ცდილობდა წუხანდელი დანაკარგი აენაზღაურებინა. თუ ძუ ვეფხვი ძროხის ლეშს მცირეოდენი ნარჩენების შეჭმის შემდეგ ღია ადგილზე გამოვიდოდა, შემეძლო მესროლა მისთვის, მაგრამ თუ ზევით ბორცვისა და ტაფობის შორი ნაპირისაკენ გაეშურებოდა, ვეღარ დავინახავდი. ხშირ შამბნარში, სადაც ის იმყოფებოდა, ჩემკენ და ჩემგან მარცხნივ ერთ იარდზე საცალფეხო ბილიკი გადიოდა; მის უკან, აგრეთვე ერთი იარდის მანძილზე ნაკადულისაკენ, ორმოცი ფუტი სიღრმე ხრამი იწყებოდა. ვიფიქრე, ბორცვზე მოდებულ ბუჩქნარში ქვას ვისვრი და ვეფხვს ვაიძულებ იქიდან ღია ნაკვეთზე გამოვიდეს-მეთქი, რომ შრიალი მომესმა. შემოვბრუ-

ნდი და დავინახე გოვინდი ჩემი ქუდით ხელში. იმ დროს ინდოეთში არც ერთი ევროპელი არ დადიოდა თავშიშველი; გოვინდს ჩემი ქუდი ვარდის ბუჩქის ქვეშ ეპოვა და მოპიტანა. ბორცვის ფერდობის მახლობლად პატარა ნაპრალი იყო. თითი ტუჩებთან მივიტანე, ვანიშნე ხმა არ ამოეღო, და გოვინდი ნაპრალში შევაგდე. ჩაცუცქული, მუხლებზე ნიკაპდაყრდნობილი, ქუდით ხელში, იგი მეტად საცოდავად გამოიყურებოდა, ვინაიდან მისგან სულ რაღაც რამდენიმე იარდის მოშორებით ძუ ვეფხვი ძვლებს ახრამუნებდა. როცა ტაფობის ნაპირთან დავბრუნდი, ვეფხვმა ჭამა შეწყვიტა — ან შემამჩნია, ან, შესაძლოა, ლეში უგემური ეჩვენა. ერთ წუთს ტაფობიდან ჩქამიც არ ისმოდა. შემდეგ დავინახე ძუ ვეფხვი, ის ტაფობის მოპირდაპირე მხარეზე მდებარე ბორცვისაკენ მიემართებოდა. იქ, სადაც იგი მიდიოდა, ექვს-ექვსი დუიმის სიმსხო ალვის ხეები იდგა. მათ იქით ძუ ვეფხვი თითქმის არ ჩანდა. იმ იმედით, რომ ჩემი ტყვია ასცდებოდა ხეს და თვითონ მონახავდა ძუ ვეფხვს, გადმოვიღე შაშხანა და ალალბედზე ვისროლე. ძუ ვეფხვი მკვეთრად შემობრუნდა, ტაფობის ნაპირიდან გადმოხტა და ბილიკით ჩემკენ ჯიქურ წამოვიდა. მაშინ არ ვიცოდი, რომ ტყვია მოხვდა ხეს მისი თავის ახლოს და რომ ვეფხვი ცალთვალა იყო, ამიტომ დაფეთებული მხეცის სწრაფვა განრიდებოდა საშიშროებას — მას არ შეეძლო განესაზღვრა, საიდან გაისმა თოფის ხმა, — ჩემზე თავდასხმის განზრახვად მივიჩნიე. მეგონა, დაჭრილი და გამძვინვარებული ძუ ვეფხვი პირდაპირ ჩემკენ მოექანებოდა. იგი ორი იარდის მანძილზე მოვუშვი, წინ გადვიხარე და უანასკნელი ვაზნა დავახალე. ტყვია ძუ ვეფხვს ბეჭსა და კისერს შუა მოხვდა. ეს იყო უდიდესი წარმატება: 500-ყალიბიანი მძიმე შაშხანით გასროლილმა ტყვიამ არ მისცა ძუ ვეფხვს საუშალება დარტყმა მოეყენებინა ჩემთვის, მძაფრი ნახტომის ინერციის ძალამ იგი ორმოცდაათი ფუტის სიღრმის ხრამში გადაისროლა, საიდანაც ნაკადულში ჩავარდა. ნაბიჯი ხრამისაკენ გადავდგი და ძირს გადავიხედე: ძუ ვეფხვი მთელი ტანით წყალში ჩაიძირა, თათები კი ჰაერში ჰქონდა აშვერილი; ნაკადული სწრაფად წითლდებოდა.

გოვინდი კვლავ თავშესაფარში იჯდა. ვანიშნე ჩემთან

მოსულიყო. ძუ ვეფხვი რომ დაინახა, გადასძახა ხალხს, რომელიც თხემზე მელოდა:

— ვეფხვი მოკლულია! ვეფხვი მოკლულია!

ჰაერი ჩვენი მარეკების ყვირილმა შესძრა. შეძახილები რომ გაიგონა, ბადრიმ ხელი სტაცა საფანტიან თოფს და ათჯერ ზედიზედ ისროლა. სროლის ხმამ მუკტესარს და მის ირგლივ მდებარე სოფლებს მიაღწია. მალე ნაკადულთან ყოველი მხრიდან ხალხმა იწყო დენა. ვიღაცამ ძუ ვეფხვი სწრაფად ამოათრია ნაკადულიდან, მას კოჭებზე მოაბეს თოკი და ზეიმით წაიღეს ბადრის ბაღისაკენ. აქ მიწაზე გაშლილ ჩალაზე დადეს, რომ ყველას დაენახა; მე სახლში ჩაის დასალევად წავედი. ერთი საათის შემდეგ ფარნების შუქზე თავმოყრილი ხალხის თანდასწრებით, რომელთა შორის რამდენიმე მუკტესარელი მონადირეც იყო, ძუ ვეფხვი გავატყავე და სწორედ აქ აღმოვაჩინე, რომ იგი ცალთვალა იყო: წინა ბეჭსა და მარჯვენა წინა თათის ბალიშში მაჩვზღარბის ორმოცამდე ეკალი შერჭობოდა. საღამოს ათი საათისათვის ბადრიმ თავაზიანად მთხოვა მასთან გამეთია ღამე. მადლობა გადავუხადე და შინ წამსვლელ ხალხთან და ორ ჩემ დამხმარესთან ერთად, რომელთაც ტყავი მიჰქონდათ, მუკტესარისკენ გავწიე. ფოსტის წინ მოედანზე გავშალეთ ტყავი, რომ ფოსტის უფროსი მეგობრებითურთ დამტკბარიყო მისი ხილვით. შუაღამისას მდაბიოთათვის განკუთვნილ საფოსტო ბუნგალოში მივედი, რომ რამდენიმე საათს მაინც დამეძინა. ოთხი საათის შემდეგ კვლავ ფეხზე ვიდექი, ხოლო შუადღის ხანს, სამი დღის არყოფნის შემდეგ ჩემ სახლში — ნაინი ტალში დავბრუნდი.

კაციჭამიას მოსპობამ ულრმესი კმაყოფილების გრძნობა მომანიჭა, კმაყოფილება იმის გამო, რომ აუცილებელი საქმე გაკეთდა, რომ დამარცხებულია ღირსეული მოწინააღმდეგე და ისიც მის მშობლიურ სტიქიაში. მაგრამ ყველაზე დიდი სიხარულით ამავსო იმის შეგნებამ, რომ ახლა პატარა მამაც გოგონას შეეძლო მშვიდად ევლო თავისი მშობლიური მიწის პატარა ნაკვეთზე.

პანარის კაციჭამია

1

კაციჭამია ჯიქზე, რომელიც შიშის ზარს სცემდა ალმორის ოლქის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე სოფლების მცხოვრებთ, გავიგე 1907 წელს, როცა ჩამპავატის ვეფხვზე ვნადირობდი. ჯიქს რამდენიმე სახელი ერქვა, მას მიაწერდნენ ოთხასი ადამიანის მოკვლას, მის შესახებ შეკითხვები შედიოდა თემთა პალატაში. იგი პანარის კაციჭამიას სახელით იყო ცნობილი და მეც ასევე ვუწოდებ მას ჩემს მოთხრობაში.

1905 წლამდე მთავრობის ანგარიშებში არავითარი ცნობები არ მოიპოვება კაციჭამიებზე, ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩამპავატის ვეფხვსა და პანარის ჯიქამდე კუმაონში კაციჭამიები არ ყოფილან. ამ ორი კაციჭამიას გამოჩენამ, რომლებმაც პროვინციის ტერიტორიაზე 836 კაცი იმსხვერპლეს, ხელისუფალნი მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. მათ არ გააჩნდათ მტაცებლებთან ბრძოლის არავითარი საშუალება და ამიტომ იძულებული გახდნენ დასახმარებლად მონადირე სპორტსმენებისათვის მიემართათ. სამწუხაროდ, იმხანად ძალიან ცოტანი მისდევდნენ ნადირობას კუმაონში ვეფხვებსა და ჯიქებზე, რაც — სამართლიანად თუ უსამართლოდ — ისევე

საშიშად მიაჩნდათ, როგორც რამდენიმე წლის წინათ ვილსონის მიერ ევერესტის დაპყრობის ცდა. მაშინ კაციჭამიებზე მე ისევე ცოტა რამ ვიცოდი, როგორც ვილსონმა ევერესტზე, და ის ამბავი, რომ ჩემი წამოწყება წარმატებით დამთავრდა, ვილსონმა კი მარცხი განიცადა, წმინდა შემთხვევითობაა.

როცა ჩამპავატის ვეფხვის მოკვლის შემდეგ ნაინი ტალში დაბრუნდი, მთავრობამ მომმართა თხოვნით — მომესპო პანარის ჯიქი. რადგან ძალიან ბევრი სამუშაო მქონდა, რამდენიმე კვირა გავიდა, სანამ თავისუფალ დროს მოვიხელთებდი, რომ კლავ წავსულიყავი სანადიროდ. როცა წასასვლელად ვემზადებოდი ალმორის ოლქის შორეულ რაიონში, სადაც ჯიქი მძვინვარებდა, გადმომცეს ნაინი ტალის კომისრის ბერტაუდის დაჟინებითი თხოვნა — დავხმარებოდი კაციჭამია ჯიქის მიერ შეძრწუნებულ მუკტესარის მცხოვრებთ. კაციჭამია ვეფხვის მოკვლის შემდეგ, რაზეც ზემოთ გიამბეთ, პანარის ჯიქზე სანადიროდ გავემგზავრე.

წინათ არასოდეს ვყოფილვარ ამ ვრცელ მხარეში, სადაც ჯიქი მბრძანებლობდა, ამიტომ გავეშურე ალმორზე გავლით, იმ იმედით, რომ კომისარ სტიფისაგან რაც შეიძლება მეტ ცნობებს მივიღებდი მის შესახებ. სტიფმა თავაზიანად მიმიპატიჟა საუზმეზე, მომამარაგა რუკებით და გამოთხოვებისას ცოტა არ იყოს შემაცბუნა მისმა შეკითხვამ: იცით თუ არა, რა საფრთხეში იგდებთ თავს და დაწერილი გავქთ თუ არა ანდერძიო.

რუკების მიხედვით, ჩემთვის საჭირო ადგილამდე შემეძლო მისვლა პანვანაულადან პიტხორაგარხზე გავლით და ლამგარიდან დაბიდხურისკენ მიმავალი გზით. მე უკანასკნელი ავირჩიე მეორე საუზმის შემდეგ, მიუხედავად ანდერძის შეხსენებისა, კარგ გუნებაზე დავდექი და ერთი მსახურისა და ოთხი მებარგულის თანხლებით გზას გავუდექი. მე და ჩემმა თანამგზავრებმა იმ დღეს გავაკეთეთ მძიმე თოთხმეტმილიანი გადასვლა ხაირნიდან, მაგრამ ახალგაზრდები, ღონიერნი და გამოწრთობილნი ვიყავით და შეგვეძლო დაღამებამდე კიდევ ამდენივე გაგვევლო.

მთვარე ამოდიოდა, როცა პატარა განცალკევებულად მდგარ შენობას მივაღწიეთ. კედლებზე ნაჯღაბნები და ირგვლივ

მოფანტული ქაღალდის ნაგლეჯები იმას ადასტურებდა, რომ ეს სკოლის შენობა იყო. სკოლის კარები დაკეტილი აღმოჩნდა და გადავწყვიტეთ ღამე ეზოში გაგვეთია. ეს იყო სრულიად უსაშიშო, ვინაიდან კაციჭამიას საბრძანებლიდან ჯერ შორს ვიმყოფებოდით. პატარა ეზო გზას ეკვროდა: სამი მხრიდან ორი ფუტის სიმაღლის კედელი ჰქონდა შემოვლებული, მეოთხედან კი სკოლის შენობა.

სკოლის უკან ჯუნგლებში საკმაოდ იშოვებოდა სათბობი, და მალე ჩემმა მებარგულებმა ეზოს კუთხეში კოცონი აანთეს, მსახური კი სადილის მომზადებას შეუდგა. დაკეტილ კარს ზურგით მივეყრდენი და თამბაქო გავაბოლე. მსახურმა ცხვრის ფეხი დადო დაბალ კედელზე, რომლის იქით გზა გადიოდა, და ცეცხლის შესაკეთებლად შემობრუნდა. უეცრად კედელზე, ცხვრის ფეხის გვერდით, ჯიქის თავი გამოჩნდა, მე მოჯადოებულივით ვიჯექი და თვალს ვადევნებდი — ჯიქი ჩემ პირდაპირ იყო. როგორც კი მსახური გვერდზე გადგა, ჯიქმა დასტაცა პირი ხორცს, გზას გადაევლო და ჯუნგლებში მიიმალა. ხორცი ქაღალდის დიდ ფურცელზე იდო: ჩემმა მსახურმა ქაღალდის შრიალი რომ გაიგონა, იფიქრა: ხორცი ძაღლმა მოიტაცაო, და ყვირილით დაედევნა; მაგრამ შემდეგ მოისაზრა, რომ საქმე ჰქონდა არა ძაღლთან, არამედ ჯიქთან, სწრაფად შემობრუნდა და კიდევ უფრო სწრაფად გამოიქცა უკან. აღმოსავლეთში ყველა ევროპელი სავსებით ნორმალურად არ მიაჩნიათ, არა მარტო იმ მიზეზის გამო, რომ ისინი დადიან პაპანაქება სიცხეში, და, ვშიშობ, ჩემმა კეთილმა მსახურმა, როცა დამინახა ვიცინოდი, უმალვე გაიფიქრა, ეს უფრო არანორმალური ყოფილა, ვიდრე მისი რასის დანარჩენი ხალხიო, — და ძალზე დამწუხრებულმა თქვა:

— ჯიქმა ჩვენი სადილი გაიტაცა და მე მეტი აღარაფერი მაქვს.

თუმცა, მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მალე ისეთი სუფრა გაშალა, რომელსაც ისე მადიანად შევექეცი, როგორც ალბათ, მშიერი ჯიქი საუცხოო ცხვრის ბარკალს.

მეორე დღეს ადრიანად გავუდექი გზას, საუზმისათვის ლამგარში შევჩერდით, ხოლო საღამოს დოლის საფოსტო ბუნგალოს მივაღწიეთ, საიდანაც კაციჭამიას საბრძანებელი

იწყებოდა. მეორე დღეს ჩემი თანამგზავრები ბუნგალოში დავტოვე და ჯიქის შესახებ ცნობების შესაკრებად წავედი. რამდენიმე სოფელი შემოვიარე, ყურადღებით ვათვალიერებდი ყოველ ბილიკს, რომ ჯიქის ნაკვალევი მეპოვნა, და გვიან საღამოს ერთ განმარტოებულ ფერმასთან გავედი. ფერმა წარმოადგენდა შიფერით დახურულ ქვის შენობას, რომელსაც რამდენიმე აკრი დამუშავებული მიწა ერტყა, ფერმას გარშემო ხშირი ბარდნარი ჰქონდა შემოვლებული. სახლისაკენ მიმავალ ბილიკზე დიდი ხვადი ჯიქის თათების ნაკვალევი აღმოვაჩინე.

სახლს რომ მივუახლოვდი, ვიწრო აივანზე კაცი გამოჩნდა. იგი ხისსაფეხურებიან კიბეზე დაეშვა და ჩემ შესახვედრად გამოემართა. ეს იყო ოცდაორი წლის ახალგაზრდა; სახეზე დიდი მწუხარების კვალი აჩნდა. თურმე წუხელ როცა მას და მის ცოლს ეძინათ იატაკზე ერთადერთ ოთახში, რომლის კარი ღია დაეტოვებინათ, — აპრილი იდგა და ძალიან ცხელოდა,— აივანზე კაციჭამია აცოცდა, ქალს ყელში სწვდა და წაათრია. მან ყრუდ წამოიყვირა და ქმარს ჩასჭიდა ხელი. ახალგაზრდა კაცი უმალვე მიხვდა, რაც მოხდა, ერთი ხელით მეუღლის ხელი დაიჭირა, მეორეთი კარის ამყოლს მიაწვა, გამოგლიჯა ცოლი ჯიქს და კარი მიხურა. დარჩენილი ღამე მათ შიშის კანკალით გაატარეს ოთახის კუთხეში, და ყურს უგდებდნენ, როგორ ცდილობდა ჯიქი კარი ჩამოეგლიჯა. სიცხისა და შეხუთული ჰაერის გამო ქალს ჭრილობები დაუჩირქდა და დილით ტანჯვისა და შიშისაგან გონება დაკარგა.

მთელი დღე ახალგაზრდა კაცმა ცოლის ახლოს მჯდომარემ გაატარა: ეშინოდა მისი მარტოდ დატოვება, — ხომ შეიძლებოდა ჯიქი დაბრუნებულიყო და მოეტაცა, თავადაც ისე იყო შეშინებული, ვერ აიძულა თავისი თავი ჯუნგლებში ერთი მილი გაევლო და მეზობელთან მისულიყო. უკვე საღამოვდებოდა. უბედურს კიდევ ერთი საშინელი ღამე მოელოდა, როცა დაინახა, თუ როგორ მივაშურე მის სახლს. მისი ნაამბობი რომ მოვისმინე, აღარ გამკვირვებია, რომ ის თვალცრემლიანი გამოვარდა გარეთ ჩემ შესახვედრად.

უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი. მანამდე მე არ მიმიმართავს მთავრობისთვის შუამდგომლობით — უზრუნველეყო ხალხი პირველი დახმარების საშუალებებით იმ რაიონებში,

სადაც კაციჭამია თარეშობდა. ალმორზე ახლოს არავითარი მედიკამენტების შოვნა არ შეიძლებოდა, ალმორამდე კი ოცდახუთი მილი იყო. ქალისათვის რომ დახმარება აღმოეჩინათ, თვითონ უნდა წავსულიყავი ქალაქში, ეს კი მისი ქმრის გაგიჟებას ნიშნავდა: მან იმდენი გადაიტანა, რამდენის ატანაც შეუძლია ადამიანს, და კიდევ ერთი ღამე დარჩენა ამ ოთახში, სადაც, შესაძლოა, ჯიქს შეღწევა კვლავ ეცადა, ამ კაცს უეჭველად ჭკუაზე შეშლიდა.

ახალგაზრდა კაცის ცოლი — იგი თვრამეტი წლისა იქნებოდა — გულაღმა იწვა, როცა ჯიქი ყელში სწვდა. იმ მომენტში, როცა ქმარმა მიიზიდა იგი თავისკენ, ჯიქმა, რათა შეენარჩუნებინა ნადავლი, წინა თათის ბრჭყალები მკერდში ჩაასო. ამის შედეგად ქალს მკერდზე ოთხი ღრმა ჭრილობა აღმოაჩნდა. დახუთულ, უფანჯრო პატარა ოთახში, სადაც ბუზების გუნდი ირეოდა, ქალს ყელსა და მკერდზე ჭრილობები ძალიან დაუჩირქდა, და თითქმის აღარ გვქონდა მისი გადარჩენის იმედი, მიუხედავად იმისა, აღმოუჩენდნენ თუ არ აღმოუჩენდნენ სამედიცინო დახმარებას. ამიტომ გადავწყვიტე არსად წავსულიყავი და ღამე მასთან გამეტარებინა. იმედი მაქვს, რომ ამ მოთხრობის არც ერთი მკითხველი არასოდეს არ იხილავს ტანჯვას ცოცხალი არსებისა — ადამიანი იქნება ის თუ ცხოველი, — რომელიც უბედური შემთხვევის გამო ვეფხვის ან ჯიქის კლანჭებში მოხვედრილა და თანაც ისე, რომ არ ჰქონდეს სხვა საშუალება, გარდა ტყვიისა ამ უბედურს შეუმსუბუქოს ან სრულიად შეუწყვიტოს ტანჯვა.

თხუთმეტი ფუტი სიგრძისა და ოთხი ფუტი სიგანის აივანი მთელ სახლს გასდევდა, ორივე ბოლო გადაღობილი ჰქონდა და იქიდან ეზოში ჩადიოდა კიბე, რომლის პირდაპირ სახლში შესასვლელი ერთადერთი კარი იყო დატანებული, აივნის ქვეშ კი შეშა ინახებოდა.

ახალგაზრდა კაცმა მთხოვა დავრჩენილიყავი ოთახში მათთან ერთად, მაგრამ უარი ვუთხარი. გადავალაგეთ შეშა და აივნის ქვეშ გავათავისუფლეთ ადგილი, სადაც ზურგით კედელზე მიყუდებულს შემეძლო ჯდომა. ახლოვდებოდა ღამე. იქვე წყაროზე ხელ-პირი დავიბანე, დავლიე წყალი და მოვეწყვე ჩემს კუთხეში, ყმაწვილკაცს კი ვურჩიე ცოლთან

წასულიყო და ოთახის კარი ღია დაეტოვებინა. კიბეზე ასვლისას მან მითხრა:

— ჯიქმა რომ მოგკლათ, საიბ, მაშინ რაღა ვქნა?

— დახურეთ კარი და დილამდის მოითმინეთ, — მივუგე მე.

მთვარის გავსება ორი ღამის წინ დასრულდა. ახლა მთვარის ამოსვლამდე სიბნელის მოკლე პერიოდი დგებოდა. დროის ეს შუალედი მაწუხებდა. თუ ჯიქი კარს გათენებამდე ფხაჭნიდა, როგორც ახალგაზრდა კაცი ამბობდა, მაშასადამე, ის შორს არ იქნებოდა წასული, შესაძლოა, ახლა სადმე ბუჩქებში იმალებოდა და მითვალთვალებდა. გავიდა დაახლოებით ნახევარი საათი. ვიჯექი და დაძაბული ჩავჩერებოდი სიბნელეს, მოუთმენლად ველოდებოდი აღმოსავლეთით ბორცვების თავზე მთვარის გამოჩენას. უცბად შეშფოთებულმა ტურამ დაიჩხავლა, ის მთელი ძალით ჩხაოდა და მისი ხმა შორს სწვდებოდა. ტურა არ დაცხრება მანამდე, სანამ საშიშროება არ გაივლის. როცა ჯიქი ნადირობს ან გადამალულ ნადავლს ეპარება, იგი ძალიან ნელა მოძრაობს. მაშასადამე, გარკვეული დრო უნდა გასულიყო, სანამ იგი — თუ ეს ის კაციჭამია იყო — ჩვენ შორის არსებულ მანძილს გაივლიდა. მთვარეს კიდევაც რომ დაეგვიანა, სულ ერთია საკმაო სინათლე იქნებოდა და შევძლებდი მესროლა. ცოტა დავმშვიდდი და თავისუფლად ამოვისუნთქე.

ნელა გადიოდა წუთები. ტურა გაჩუმდა. მთვარე ამოვიდა და ჩემ წინ გადაშლილ სივრცეს კაშკაშა შუქი მოჰფინა. ისეთი სიჩუმე იდგა, რომ მესმოდა, როგორ თავგანწირვით იბრძოდა საწყალი ქალი ჰაერის ჩასუნთქვისათვის; გეგონებოდათ, მთელ ქვეყანაზე მხოლოდ ეს ხმა ისმისო. წუთები საათებად იქცნენ, მთვარე დასავლეთისკენ გადაიხარა და სახლის ჩრდილი მიწის იმ ზოლს დეცა, რომელსაც მე ვუთვალთვალებდი. დადგა დროის მეორე საშიში შუალედი, ვინაიდან, ჯიქს რომ დავენახე, იგი, ამ ცხოველებისათვის დამახასიათებელი მოთმინებით, დამელოდებოდა, ვიდრე გრძელი და ხშირი ჩრდილები არ დაეხმარებოდნენ შეუმჩნევლად წამომპარებოდა. მაგრამ არაფერი არ მომხდარა. მზემ ბოლოს გააშუქა ცის ის ნაწილი, სადაც თორმეტი საათის

წინათ მთვარე ამოდიოდა, გათავდა ერთ-ერთი უგრძესი ღამეთაგანი, რომელიც საფარში ჩამომჯდარმა უძილოდ გავატარე.

სახლის პატრონს მაგრად ეძინა წინა უძილო ღამის შემდეგ და მხოლოდ მაშინ ადგა, როცა ჩემი კუთხე დავტოვე და დაბუჟებულ სხეულს ვიზელდი: მხოლოდ იმან, ვისაც საათები მაგარ მიწაზე დამჯდარს უძრავად გაუტარებია, იცის, თუ შემდეგ როგორ გტკივა ძვლები. ოცდაოთხი საათის განმავლობაში არაფერი მეჭამა, გარდა ტყის ჟოლოს რამდენიმე ნაყოფისა, და რადგან შემდგომ ჩემი ფერმაში დარჩენა უმიზნო იყო, დავემშვიდობე პატრონს და ფერმიდან რვა მილის მანძილზე მდებარე დოლში გავემგზავრე. ვვარაუდობდი, რომ იქ ჩემ მსახურებს მივუსწრებ და ერთ-ერთ მათგანს ახალგაზრდა ქალის დასახმარებლად გავგზავნიმეთქი. სულ რამდენიმე მილი გავიარე, და მათ შევხდი. ჩემი ხანგრძლივი არყოფნით შეწუხებულებს ბარგი შეეკრათ, ანგარიში გაესწორებინათ საფოსტო ბუნგალოს პატრონისათვის და ჩემს საძებნელად წამოსულიყვნენ. სანამ ჩვენ ვსაუბრობდით, ღონიერ ტიბეტურ ცხენზე ამხედრებული მოვიდა გზათა ზედამხედველი, რომელიც მოხსენიებული მყავს მოთხრობაში „ტაძრის ვეფხვი". იგი ალმორში მიდიოდა და სიამოვნებით იკისრა სტიფისთვის ჩემი წერილი გადაეცა. წერილის მიღებისთანავე სტიფმა გაგზავნა ფერმაში ფერშალი, მაგრამ ქალს იგი აღარ ესაჭიროებოდა.

გზათა ზედამხედველმა მაცნობა, ჯიქმა კაცი მოკლაო. ეს მაიძულა დაბიდხურში წავსულიყავი, სადაც წილად ხვდა ნადირობასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და ამაღელვებელი განცდა. შემდეგ, როცა დაბიდხურის ტაძრის მოხუც მღვდელს ვკითხე, ხომ არ სარგებლობს კაციჭამია თქვენი ტაძრის ისეთივე საიმედო მფარველობით, როგორც ვეფხვი, რომლის მოკვლა მე ვერ შევძელი-მეთქი, მან მიპასუხა:

— არა, არა, საიბ. ამ ეშმაკმა ბევრი ხალხი დახოცა-ისინი ჩემ ტაძარში დადიოდნენ, და, როცა მის მოსაკლავად დაბრუნდებით, როგორც შემპირდებით, დღე და ღამე თქვენი წარმატებისათვის ვილოცებ.

2

როგორი ბედნიერიც უნდა იყოს ჩვენი ცხოვრება, მასში ყოველთვის არის პერიოდები, რომლებსაც განსაკუთრებული სიამოვნებით ვიგონებთ. ჩემთვის ასეთი იყო 1910 წელი. იმ წელიწადს მოვკალი ორი კაციჭამია — მუკტესარის ვეფხვი და პანარის ჯიქი — და ჩემთვის ამ ორ უდიდეს მოვლენათა შუალედში მე და ჩემმა ხალხმა მოკამეხ გხატში უმაგალითო რეკორდი დავამყარეთ, — ერთ სამუშაო დღეში ხელით დავტვირთეთ 55 ტონა ბარგი.

პანარის ჯიქის მოკვლა პირველად ვცადე 1910 წლის აპრილში და მხოლოდ იმავე წლის სექტემბერში მომეცა საშუალება გამომენახა დრო მეორე ცდისათვის. არ ვიცი, რამდენი ადამიანის სიცოცხლე დაღუპა მტაცებელმა აპრილიდან სექტემბრამდე, რადგან ამის შესახებ მთავრობა ცნობებს არ აქვეყნებდა, ინდოეთის პრესაში კი, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, დაბეჭდილი იყო მხოლოდ ამასთან დაკავშირებით გაკეთებული შეკითხვები თემთა პალატაში. ამბობდნენ, პანარის ჯიქმა ოთხასი კაცი გაანადგურაო, შაგრამ მასზე უფრო ცოტა რამ იყო ცნობილი, ვიდრე რუდრაპრაიაგის ჯიქზე, რომელმაც სულ ას ოცდახუთი კაცი მოკლა და მიუხედავად ამისა ინდოეთის ყველა გაზეთის სათაურებში იხსენიებოდა. ეს მხოლოდ იმით შეიძლება ავხსნათ, რომ პანარის კაციჭამია მიყრუებულ, ხალხმრავალი გზების ადგილებიდან მოშორებით დათარეშობდა, რუდრაპრაიაგის ჯიქი კი მბრძანებლობდა ტერიტორიაზე, რომელზეც ყოველწლიურად სხვადასხვა წოდების სამოცი ათასი მ[illegible] ველი მიმოდიოდა, და თითოეული მათგანის სიცოცხ[illegible] საფრთხე ემუქრებოდა. მლოცველებმა და მთავრობის მიერ გამოშვებულმა ყოველდღიურმა ბიულეტენებმა რუდრაპრაიაგის ჯიქი უფრო ცნობილი გახადეს, თუმცა მან ხალხს ნაკლები უბედურება მიაყენა, ვიდრე პანარის კაციჭამიამ.

10 სექტემბერს მსახურისა და ოთხი მებარგულის თანხლებით გავედი ნაინი ტალიდან, რომ მეორედ მეცადა პანარის ჯიქის მოკვლა. როცა დილის ოთხ საათზე სახლიდან გამოვედით, ცა ღრუბლებით იყო დაფარული. ძლივს მოვასწარით რამდენიმე კილომეტრის გავლა, რომ კოკისპირული

წვიმა დაიწყო. მთელი დღე გადაუღებლივ წვიმდა, ოცდარვა მილი გავიარეთ და ალმორში გალუმპულები ჩავედით, ღამე სტიფთან უნდა გამეთია, მაგრამ ბარგში არც ერთი ნივთი არ აღმოჩნდა მშრალი და არაფრის გამოცვლა არ შეიძლებოდა; ბოდიში მოვიხადე და საფოსტო ბუნგალოში დავრჩი.

ჩვენ გარდა, სხვა მოგზაურები იქ არ დაგვხვდნენ, და ბუნგალოს უფროსმა თავაზიანად დამითმო ორი ოთახი ბუხრით. დილამდე ნივთები გაშრა და შეგვეძლო გზა განგვეგრძო.

განზრახული მქონდა ალმორიდან იმავე გზით წავსულიყავი, რომლითაც აპრილში დავიწყე ჯიქზე ნადირობა იმ სახლიდან, სადაც ჭრილობებისაგან ახალგაზრდა ქალი გარდაიცვალა. მაგრამ სანამ ვსაუზმობდი, გამოცხადდა კალატოზი, სახელად პანვა, რომელიც ჩემთვის ნაინი ტალში რაღაც წვრილმან სამუშაოებს ასრულებდა. სახლი პანარის დაბლობში ედგა. როცა ჩემი მხლებლებისაგან გაიგო, რომ იქ კაციჭამიაზე სანადიროდ მივემგზავრებოდი, მთხოვა თქვენთან ერთად წამოვალ, რადგან სახლში დაბრუნება მინდა და მარტო მგზავრობისა მეშინიაო. პანვა ადგილმდებარეობას იცნობდა და შისი რჩევით მარშრუტი შევცვალე: სკოლის ახლოს მიმავალ დაბიდხურის გზის ნაცვლად, სადაც ჯიქმა ჩემი სადილი მიირთვა, პითხორაგარხისაკენ მიმავალი გზით გავეშურეთ. პანვა ნაულის საფოსტო ბუნგალოში ღამე გავათიეთ, დილაადრიანად გავემგზავრეთ და პითხორაგარხის გზაზე კიდევ რამდენიმე მილის გავლის შემდეგ მარჯვნივ გადავუხვიეთ. ახლა იმ ტერიტორიაზე ვიმყოფებოდით, სადაც კაციჭამია მბრძანებლობდა, სოფლებს შორის კი სხვა გზა არ იყო გარდა საცალფეო ბილიკებისა.

წინ ნელა მივიწევდით, რადგან სოფლები შორი-შორს იყვნენ გაფანტულნი ასობით კვადრატული მილის სივრცეზე და თითოეულ მათგანში უნდა შეგვევლო, ვინაიდან არ ვიცოდით ჯიქის ზუსტი ადგილსამყოფელი. სალანისა და რანგოტის რაიონების გამოკვლევის შემდეგ, მეოთხე დღეს გვიან საღამოს, ჩაკატში ჩავედი, სადაც მამასახლისმა მაცნობა, რამდენიმე დღის წინათ სოფელ სანოულში, მდინარე პანარის გაღმა ნაპირზე, ჯიქმა კაცი მოკლაო. მდინარე პანარი წვიმების შემდეგ ადიდდა და მამასახლისი მირჩევდა ღამე სოფელში

გამეთია, შემპირდა მეორე დღეს მეგზურის თანხლებას, რომელიც მიჩვენებდა ერთადერთ უსაფრთხო გადასასვლელ ადგილს: მდინარეზე ხიდები არ იყო.

ჩვენი საუბარი მამასახლისთან ორსართულიანი სახლების მშენებლობის გრძელი რიგის მახლობლად მიმდინარეობდა. როცა, მისი რჩევით, გადავწყვიტე ღამის გასათევად სოფელში დავრჩენილიყავი, მან მითხრა, შენთვის და შენი ადამიანებისათვის ზედა სართულში ორ ოთახს გავათავისუფლებო. მაგრამ შევნიშნე, რომ ქვედა სართულის განაპირა ოთახი არ იყო დაკავებული, და ვთხოვე იგი ჩემთვის დაეთმო, ჩემი მხლებლები კი ერთ-ერთ ზედა ოთახში მოეთავსებინა. ბინას, რომელიც ჩემთვის ავირჩიე, კარი არ ჰქონდა, მაგრამ ეს არ იყო არსებითი, იმიტომ რომ უკანასკნელი მკვლელობა მოხდა გალმა ნაპირზე, და ვიცოდი, კაციჭამია ვერ გაბედავდა ადიდებულ მდინარეზე გადმოსვლას.

ოთახში არ იყო არავითარი ავეჯი. ჩემმა თანამგზავრებმა იქიდან ჩალა და ძონძები გამოხვეტეს, ამასთან ჩიოდნენ, ამ ოთახის უკანასკნელი მდგმური, ეტყობა, ძალიან ბინძური კაცი ყოფილაო. მათ სოხანეზე ქვეშაგები გაშალეს და საწოლი მომიმზადეს. ვჭამე მსახურის მომზადებული სადილი და მალე დავიძინე, რადგან იმ დღეს თორმეტსაათიანი გრძელი გზა მქონდა გავლილი. მეორე დილას, როგორც კი მზე ამოვიდა და ოთახი სინათლით აავსო, რაღაც ჩუმმა ხმამ გამაღვიძა. თვალი გავახილე და დავინახე ჩემ საწოლთან ორმოცდაათი წლის კეთროვანი კაცი იჯდა. როცა შემამჩნია, რომ გავიღვიძე, უბედურმა მითხრა, იმედია კარგად გეძინათო. შემდეგ მან მიამბო, ორი დღით მეზობელ სოფელში მეგობრების სანახავად ვიყავი წასული; როცა დავბრუნდი და გნახე ჩემს ოთახში გეძინა, გიცდიდი, როდის გაიღვიძებდიო.

კეთრი ყველაზე საშინელი გადამდები სენია აღმოსავლეთში, ძალიან გავრცელებულია კუმაონსა და განსაკუთრებით ალმორის ოლქში, აქ ფატალისტი ხალხია და ეს დაავადება ღვთის მიერ ზოვლენილ სასჯელად მიაჩნიათ. ამიტომ კეთროვანებს განცალკევებულ სადგომებში არ ათავსებენ და არც ზომებს იღებენ გადადების წინააღმდეგ. ამიტომ მამასახლისმა საჭიროდ არ მიიჩნია გავეფრთხილებინე, რომ ჩემ

მიერ შერჩეულ ოთახში მთელი რიგი წლების მანძილზე კეთროვანი ცხოვრობდა. იმ დილას სწრაფად ჩავიცვი და, როგორც კი ჩვენი მეგზური გამოჩნდა, სოფელი დავტოვეთ.

მე ხშირად მიხდებოდა კუმაონში ყოფნა და ყოველთვის შეშინოდა კეთრით დაავადებისა, მაგრამ არასოდეს არ განმიცდია ისეთი შიში ამ სენის გამო, როგორც ამ უბედურის ოთახში ღამის გათევის შემდეგ. ვუბრძანე წყაროსთან შეჩერებულიყვნენ. მსახურმა მომიმზადა საუზმე, ჩემი ხალხი დანაყრდა. შემდეგ მათ ვთხოვე ქვეშაგები გაერეცხათ და მზეზე ლოგინი გაეფინათ, მე კი კარბოლის საპონი ამოვიღე და მაღალი კლდეებით შემორტყმულ წყალსატევისაკენ დავეშვი. ტანსაცმელი გავიხადე, გავრეცხე და ქვებზე გადავფინე. დარჩენილი საპნით ისე გულმოდგინედ დავიბანე ტანი, როგორც მანამდე არასოდეს დამიბანია. ორი საათის შემდეგ მგლის მადა გამეხსნა და ბინაში დავბრუნდი. „მკაცრი“ დამუშავების შემდეგ ტანსაცმელი დაიჭმუჭნა, სამაგიეროდ თავს კვლავ სუფთად ვგრძნობდი.

ჩვენი გამყოლი დაბალი კაცი იყო (დაახლოებით ოთხი ფუტი და ექვსი დუიმი), დიდ თავზე ზვინივით თმა ედგა და მოკლეფეხებიანი ტანი კასრს მოგაგონებდათ. მეტად სიტყვაძვირი გახლდათ. ჩემს შეკითხვაზე, წინ კიდევ ძნელი აღმართია თუ არა-მეთქი? მან მოკლედ მომიჭრა — „არა“ და წაგვიყვანა ქვევით ძალიან ციცაბო ბორცვისაკენ. იმის ნაცვლად, რომ როგორც ვიმედოვნებდი, ხეობიდან გავსულიყავით მდინარესთან. მას არაფერი უთქვამს და უკან არც მოუხედავს, ისე გადასჭრა გაშლილი სივრცე და ხეობის მოპირდაპირე მხარეზე ამართულ ბორცვს მიაშურა. ეს ბორცვი ციცაბოა და ხშირი ეკლიანი ბუჩქნარითაა მოდებული, ამასთან დაფარულია ფხვიერი ხრეშით, რაც კიდევ უფრო აძნელებდა ასვლას. მზე უკვე თავზე გვადგა და უმოწყალოდ გვაცხუნებდა. ამიტომ, მწვერვალს რომ მივაღწიეთ, ოფლი წურწურით ჩამოგვდიოდა. ჩვენს გამყოლს, ფეხები, როგორც ჩანს, მთებზე ასასვლელად ჰქონდა გამობმული, და ოდნავი დაღლილობაც არ ემჩნეოდა.

მწვერვალიდან კიდევ ორი მაღალი ბორცვი დავინახეთ, რომლებიც, გამყოლის სიტყვით, უნდა გადაგველახა, სანამ

მდინარეს მივაღწევდით. ოჯახისათვის წამოღებული საჩუქ-
რების ფუთა და მძიმე მუქი ფერის პალტო პანვამ გამყოლს
გადასცა და უთხრა, რადგან გვაიძულებ კუმაონის ყველა
ბორცვზე ავიდეთ, ამიერიდან ეს ტვირთი შენვე ატარეო.
გამყოლმა თხის მატყლისაგან დაგრეხილ ბაწარს, რომელიც
ტანზე ჰქონდა შემოხვეული, მოგლიჯა ნაწყვეტი, პალტო
დაკეცა და ზურგზე მოიკიდა. ორჯერ ჩავეშვით და ავედით
ბორცვებზე, სანამ, დაბოლოს, შორს ღრმა ხეობაში არ
დავინახეთ მდინარე. აქამდე უგზოუკვლო ადგილებში მივ-
დიოდით, ერთი სოფელიც არ შეგვხვედრია, და ახლა ვიწრო
ბილიკზე გამოვედით. რაც უფრო ვუახლოვდებოდით მდინა-
რეს, მით უფრო მეტად ვღელავდი. ბილიკი ჩვენსა და
მოპირდაპირე ნაპირზე მოწმობდა, რომ აქ იყო ფონი, მაგრამ
მდინარე ადიდდა და მისი გადალახვა მეტად საშიში იყო.
მაგრამ გამყოლმა დაგვარწმუნა, საშიში არაფერიაო, გავიხა-
დეთ ფეხსაცმელები და წინდები და პანვასთან ხელიხელჩა-
კიდებული ჩავედით წყალში. მდინარეს ორმოც იარდამდე
განი ჰქონდა და როცა მის ძლიერ მოციმციმე ზედაპირს
დავჩერებოდი, გავიფიქრე, ქვიანი ფსკერი ექნება-მეთქი.
ჩემი ვარაუდი დადასტურდა, როცა ფეხის თითები რამდენ-
ჯერმე მწარედ ვიტკინე ქვაზე. ფრთხილად მივაბიჯებდით,
რომ დინებას არ გავეტაცეთ, და ასე გავედით გაღმა
ნაპირზე.

ჩვენი გამყოლი მდინარეში ჩავიდა და კვალდაკვალ მოგვ-
ყვა. მოვიხედე და დავინახე, რომ იგი გასაჭირში იყო. წყალი
მუხლს ზევით გვწვდებოდა, მას კი — წელამდე. როცა ყვე-
ლაზე მშფოთვარე ადგილს მიაღწია, არ შებრუნდა ზურგით
დინებისაკენ, რომ ცხრაფეხასავით გვერდით ემოძრავა. ამის
შედეგად დინებამ წააქცია და წყალში ჩაყურყუმალავდა. მე
ფეხშიშველი ვიყავი და არ შემეძლო წვეტიან ქვებზე ფეხის
დადგმა, მაგრამ პანვამ — მისთვის წვეტიანი ქვა არავითარ
დაბრკოლებას არ წარმოადგენდა — თავისი ფუთა გადააგდო
და თავქუდმოგლეჯილი დაეშვა ნაპირზე იმ ადგილისაკენ, სა-
დაც ორმოცდაათი იარდით დინების ქვევით მდინარეში შეჭ-
რილი დიდი კლდის შვერილის ახლოს შმაგი ჩქერი იწყებოდა.
პანვამ მიირბინა სველსა და მოლიპულ კლდესთან, დაწვა ზედ

და, როცა გამყოლი მის ახლოს წყალმა ჩამოატარა, ხელი სტაცა გრძელ თმაში და დიდი ვაივაგლახით აათრია კლდეზე. ისინი მოვიდნენ ჩემთან — გამყოლი გალუმპულ ვირთხას ჰგავდა, — და მე შევაქე პანვა კეთილშობილური და მამაცური საქციელისათვის: მან სიცოცხლე გასწირა, რათა ეს დაგვაჯული გადაერჩინა. განცვიფრებულმა პანვამ გადმომხედა და მითხრა:

— მე მაგის გადარჩენა კი არ მინდოდა, არამედ ჩემი ახალი პალტოსი, რომელიც ზურგზე ჰქონდა მიბმული.

ტრაგედია თავიდან ავიცილეთ, მას შემდეგ, რაც დანარჩენნი ხელიხელჩაკიდებულნი მშვიდობით გადმოვიდნენ მდინარეზე, გადავწყვიტე იმ დღეს გზა აღარ განგვეგრძო და აქვე ნაპირზე გაგვეთია ღამე. პანვას სოფელი აქედან ხუთი მილის მანძილზე, მდინარის აღმა მდებარეობდა, ის წავიდა და თან წაიყვანა გამყოლი, რომელმაც ვეღარ გაბედა მდინარეზე მეორეჯერ გადასულიყო.

3

მეორე დილას სანოულის საძებნელად გავეშურეთ, სადაც ჯიქმა თავისი უკანასკნელი მსხვერპლი მოკლა. იმავე დღეს, გვიან საღამოს, ფართოდ გაშლილ ხეობას მივადექით, და რადგან მახლობლად არსად ჩანდა სადგომი, გადავწყვიტეთ ღია ცის ქვეშ გაგვეთია ღამე. ჩვენ ვიმყოფებოდით კაციჭამიას სამფლობელოს შუაგულში და ღამე მოუსვენრად გავატარეთ ცივსა და ტენიან მიწაზე. მეორე დღეს შუადღის ხანს სანოულს მივაღწიეთ. ამ პატარა სოფლის მცხოვრებლებს ძალიან გაეხარდათ ჩვენი მისვლა და ხალისით მისცეს ჩემ ხალხს ოთახი, ხოლო მე — ლერწმით დახურული შეუღობავი ფიცარნაგი.

სოფელი ბორცვის ფერდობზე იყო გაშენებული. მის ქვემოთ ხეობაში ტერასებად განლაგებული ყანებიდან ცოტა ხნის წინათ აეღოთ ბრინჯი. ხეობის მოპირდაპირე ბოლოში ამართული იყო მეორე ბორცვი, რომლის დაქანებული ფერდობის ძირას, ყანებიდან ასი იარდის მოშორებით, ოცი აკრის ფართობზე ხშირი ბუჩქნარი ხარობდა. ბუჩქნარის ზემოთ,

თითქმის მთის მწვერვალზე, მდებარეობდა სოფელი, მარჯვნივ შვერილზე მეორე სოფელი იყო, მარცხნივ, სადაც ყანები თავდებოდა, ხეობას ბალახით დაფარული ციცაბო ბორცვი კეტავდა, ამრიგად, ბუჩქნარს სამი მხრიდან ეკვროდა ყანები, ერთ მხარეზე კი — ღია ნაკვეთი.

ვიდრე საუზმეს ამზადებდნენ, გლეხებს ვესაუბრებოდი. მარტის მეორე და აპრილის პირველი ნახევრის მანძილზე კაციჭამიამ ამ რაიონში ოთხი კაცი მოკლა. პირველი მკვლელობა ბორცვის შვერილზე მდებარე სოფელში მოხდა, მეორე და მესამე — მის მწვერვალთან გაშენებულ სოფელში, უკანასკნელი კი სანოულში. ჯიქმა ოთხივე მოკლა ღამით და გაიტაცა ხუთას იარდზე ბუჩქნარის სიღრმეში, სადაც მშვიდად და აუჩქარებლად შეჭამა: ამ სოფლის მცხოვრებლებს არ ჰქონდათ იარაღი და დაღუპულთა გვამები შიშით ვერ წამოეღოთ. უკანასკნელი მკვლელობა ექვსი დღის წინათ მოხდა და ჩემ თანამოსაუბრეებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ კაციჭამია კვლავ ბუჩქნარში იმყოფებოდა.

იმ დღეს ორი ციკანი ვიყიდე იმ სოფელში, რომელიც დილაადრიან გამოვიარეთ, და ერთი მათგანი საღამოს ბუჩქნარის პირას დავაბი, რათა შეგვემოწმებინა, მართალნი იყვნენ თუ არა გლეხები, რომლებიც ამტკიცებდნენ, ჯიქი ჯერ კიდევ იქ არისო. ციკნის ახლოს საფარი არ მოვაწყვე, რადგან ახლომახლო შესაფერი ხე ვერ ვიპოვე; გარდა ამისა, ცა ღრუბლებმა დაფარა და მოსალოდნელი იყო წვიმა. ჩემს განკარგულებაში არსებული ფიცარნაგი ყოველი მხრიდან ღია იყო, ამიტომ მის ახლოს დავაბი მეორე ციკანი იმ იმედით, რომ, თუ ჯიქი ღამით სოფელს ეწვია, ციკნის ნაზ ხორცს ადამიანის მაგარ ხორცს ამჯობინებს-მეთქი. გვიან ღამემდის ყურს ვუგდებდი, თუ როგორ ეხმიანებოდნენ ერთმანეთს ციკნები და დავრწმუნდი, ახლომახლო ჯიქი არსად იყო, თუმცა შეიძლებოდა დაბრუნებულიყო. მიუხედავად ამისა, უკეთესი შედეგის მოლოდინით დაიმედებულმა დავიძინე.

ღამით ოდნავ წამოწვიმა, და როცა მოწმენდილ ცაზე მზე ამოვიდა, ფოთლებსა და ბალახზე ცვარის წვეთები აციმციმდა, ხოლო ფრინველები მხიარული გალობით მიესალმნენ ახალ დღეს. ფიცარნაგთან მიბმული ციკანი კმაყოფილი გამომეტ-

ყველებით წიწკნიდა ფოთლებს, ბუჩქს და დროდადრო კიკინებდა. ხეობის გაღმა მყოფი ციკანი კი დუმდა. მსახურს დავუძახე, საუზმე არ გამიცივდეს-მეთქი, და იმ ადგილისაკენ გავეშურე, სადაც პატარა ციკანი მივაბი. იქ აღმოვაჩინე, რომ ჯერ კიდევ მანამდე, სანამ წვიმა დაიწყებოდა, ჯიქს მოეკლა იგი, მოეგლიჯა თოკი და წაეთრია. ანათრევის ნაკვალევი წვიმას ჩაერეცხა, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან მსხვერპლის წაღება ჯიქს მხოლოდ ბუჩქნარში შეეძლო.

ნადავლის ახლო მყოფ ვეფხვთან ან ჯიქთან მიპარვა უაღრესად საინტერესოა, მაგრამ ამის გაკეთება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ გარემოებანი გიწყობს ხელს და წარმატების იმედი გაქვს. მე კი ძალიან ხშირი შამბნარი ხელს მიშლიდა ჩუმად მივახლოვებოდი ჯიქს. სოფელში დაბრუნებისას ვი-საუზმე და მოვიწვიე გლეხები, რომ დაწვრილებით გამომეკითხა გარშემო მდებარე მიდამოების შესახებ. უნდა მენახა მოკლული ციკანი და გადამეწყვიტა ღირდა, თუ არა საფარის მოწყობა; ამის გაკეთება ჯიქის ჩუმად შეუძლებელი იყო. გლეხების მეოხებით მინდოდა გამეგო, იყო თუ არა მახლობლად სხვა სამალავი, სადაც მას შეეძლო თავი შეეფარებინა, როცა დავაფრთხობდი. მიპასუხეს, უახლოესი დასამალი ადგილი ორი მილის მანძილზეა და ჯიქს იქ მოხვედრა მხოლოდ დახნულ ფართო ყანაზე გავლის შემდეგ შეუძლიაო.

დღისით კვლავ ბუჩქნარისაკენ გავეშურე და ას იარდზე იმ ადგილიდან, სადაც დაბმული იყო ციკანი, მხოლოდ ნარჩენები ვიპოვე: ჩლიქები, რქები და კუჭის ნაწილი. მე არ ვშიშობდი, რომ ჯიქი დღისით წავა თავშესაფარიდან ორ მილზე ჯუნგლებში და ორი საათის განმავლობაში ვცდილობდი მივპაროდი მას. ბულბულები, დრონგოები,* შაშვები და ბებლერები** მეხმარებოდნენ ამ საქმეში და მაცნობებდნენ მხეცის თითოეულ მოძრაობას. ყოველ შემთხვევაში თუ ვინმეს წინაშე წამოიჭრება კითხვა, რატომ არ შევკრიბე სამი სოფლის გლეხები, არ გამოვდენე ჯიქი ღია ადგილას, სადაც შემეძლო

---

* დ რ ო ნ გ ო — ჩვენი ყვავის მსგავსი მწერიჭამია ფრინველია.
** ბ ე ბ ლ ე რ ი — მწერიჭამია წვრილი ფრინველი.

მისი მოკვლა, ვიტყვი, რომ ამით მომრეკების სიცოცხლეს საფრთხეში ჩავაგდებდი. როგორც კი ჯიქი მიხვდებოდა, რომ მას ღია ადგილას ერეკებიან, ის გაექანებოდა უკან და პირველსავე შემხვედრს დაესხმოდა თავს.

ჯიქის მოკვლის უშედეგო ცდის შემდეგ სოფელში დაბრუნებისთანავე ხელი დამრია სასტიკმა ციებ-ცხელებამ და მთელი დღე-ღამის განმავლობაში უგრძნობლად ვიწექი ფარდულში. მეორე საღამოს შეტევა გამინელდა და შევძელი ნადირობის გაგრძელება. წინა ღამეს ჩემმა თანამგზავრებმა საკუთარი ინიციატივით მიაბეს მეორე ციკანი იქ, სადაც მოკლულ იქნა პირველი, მაგრამ ჯიქს მისთვის პირი არ დაუკარებია. ეს კარგი ნიშანი იყო: მაშასადამე, ახლა მხეცი მშიერია. საღამოს იმედით აღსავსე წავედი სანადიროდ.

ბუჩქნარის მახლობლად ას იარდზე იმ ადგილიდან, სადაც ორი ღამის წინ ჯიქმა ციკანი მოკლა, ბებერი მუხა შევნიშნე. ის იდგა მაღლობზე ტერასებად განლაგებულ ორ ყანას შორის და რამდენადმე დახრილიყო კუთხით ბორცვის ფერდობისკენ, რაც საშუალებას მაძლევდა ზედ კაუჩუკის ლანჩებიანი ფეხსაცმლით ავცოცებულიყავი. მიწიდან თხუთმეტი ფუტის დაშორებით, ყანის თავში დიდი და საკმაოდ მსხვილი ტოტი გადმოშვერილიყო. ფუღუროიანი და დამპალი ტოტი ჩასასაფრებლად მოუხერხებელიც და საშიშიც იყო. მაგრამ მაინც გადავწყვიტე გამებედა და მესარგებლა მით, რადგან უფრო შესაფერ ტოტს მუხაზე ვერ ვხედავდი, ხოლო სხვა ხეები ირგვლივ რამდენიმე ას იარდზე არ ჩანდა.

ბუჩქნარში აღმოჩენილი თათების ანაბეჭდებისა და იმ თათების ანაბეჭდების მსგავსების მიხედვით, რომლებიც აპრილში ვნახე ფერმის კენ ზიმავალ ბილიკზე, სადაც ჯიქმა ახალგაზრდა ქალი იმსხვერპლა, უნდა მეფიქრა, რომ საქმე პანარის კაციჭამიასთან მქონდა. ჩემს ხალხს ვუბრძანე კვრინჩხის გრძელი რტოები მოეჭრათ და როცა ხეზე მოვეწყე, შტამბს ზურგით მივეყრდენი და ტოტების გასწვრივ ფეხები გავშალე, ვთხოვე კონებად შეეკრათ რტოები და მაგარი თოკით მიებათ შტამბზე. დარწმუნებული ვარ, რომ სიცოცხლეს იმათ უნდა ვუმადლოდე, ვინც ეს პატარა დავალება ასე მოხერხებულად და კეთილსინდისიერად შეასრულა.

ათიდან ოც ფუტამდე სიგრძის რამდენიმე რტო შტამბის ორივე მხარეზე იყო გამოშვერილი, და რადგან არ მქონდა რაიმე ხელისმოსაკიდი, რომ წონასწორობა დამეცვა, ისინი ჩემკენ მოვწიე და მაგრად ამოვიდე იღლიებში. ხუთი საათისათვის მთელი სამზადისი დამთავრდა; ტოტზე ვიჯექი, ყელს მაღლა აწეული ქურთუკის საყელო მიფარავდა, ხოლო რბილი ქუდი კეფაზე მქონდა ჩამოფხატული, რათა კისერი დამეცვა. ციკანი ჩემგან ოცდაათი იარდის მოშორებით მიწაში ჩარჭობილ პალოზე მიაბეს, ჩემი მხლებლები ყანაში ისხდნენ, პაპიროსს ეწეოდნენ და ხმამაღლა მასალაათობდნენ.

ამ მომენტამდე ბუჩქნარში სიჩუმე სუფევდა, შემდეგ ბებლერმა ყურთასმენის წამღებად იყვირა, ერთი-ორი წუთის შემდეგ რამდენიმე თეთრგულა შაშვის აღელვებული ჭახჭახი გაისმა. ეს ორი სახეობის ფრინველი ყველაზე საიმედო მაცნეა მთიან ადგილებში, ამიტომ, გავიგონე თუ არა მათი ხმა, ჩემ ხალხს სოფელში დაბრუნების ნიშანი მივეცი. მათ ძალიან გაეხარდათ და სწრაფად გაშორდნენ იქაურობას, თან განაგრძობდნენ ხმამაღლა ლაპარაკს. მალე მათი წასვლის შემდეგ ციკანმა დაიკიკინა, მაგრამ შემდეგ ნახევარი საათის განმავლობაში ყველაფერი მიწყნარდა. მზე ბორცვის მწვერვალს ეფარებოდა, როცა ჩემ ზევით ხეზე შემომჯდარი ორი დრონგო აფრინდა და მორთო ჭახჭახი, რათა რომელიღაც ცხოველის ყურადღება მიეპყრო. ციკანი, რომელიც აქამდე კიკინებდა და სოფლისკენ იყურებოდა, ახლა ჩემკენ შემობრუნდა და დადუმდა. როგორც ჩანს, იგი დაინტერესდა რომელიღაც ცხოველის მოძრაობით. ეს ცხოველი მხოლოდ ჯიქი შეიძლებოდა ყოფილიყო.

მთვარე მესამე ფაზაში შევიდა და მის ამოსვლამდე რამდენიმე საათს სიბნელეში უნდა ვყოფილიყავი. ვითვალისწინებდი, რომ ჯიქი დაბნელების შემდეგ გამოჩნდებოდა და მსხვილი ფინთიხის 12-ყალიბიანი ორლულიანი თოფით აღვიჭურვე: მეტი შანსებია მოარტყა ცხოველს, სავაზნე კოლოფში თუ რვა ასეთი ვაზნა გაქვს, ვიდრე ერთი ტყვია. იმხანად, რომლის შესახებაც ვწერ, ინდოეთში ღამე სანადიროდ არ იყენებდხენ ისეთ დამხმარე საშუალებებს, როგორიცაა ელექტრონის ფარნები და გადასატანი ლამპები. ერთადერთი, რისი გამოყენე-

ბაც შეიძლებოდა სამიზნო ორიენტირად, — ეს იყო ორლულიანი თოფის ლულაზე შემოხვეული თეთრი ქსოვილის ნაჭერი.

დრო გადიოდა და ყველაფერი უცვლელი რჩებოდა. უცებ ვიგრძენი, უკან ვიღაცამ ნელა მოსწია ტოტი, რომელიც კვლავინდებურად იღლიაში მქონდა ამოჩრილი. მე ვლოცავდი ჩემს წინდახედულებას, იმიტომ რომ სულ ერთია, მაინც ვერ შევძლებდი შემობრუნებას და თავის დაცვას, ხოლო საყელო და ქუდი აბა რას მიშველიდა. აღარ ვეჭვობდი, რომ საქმე მქონდა კაციჭამიასთან, და თანაც ძალიან გაბედულთან. როცა პირველი ცდის შემდეგ, დარწმუნდა, კვრინჩხის ტოტებით შეკრულ ხეზე ასვლა შეუძლებელიაო, ჯიქი კბილებით ჩააფრინდა კვრინჩხის ტოტების მსხვილ ბოლოებს და დაუწყო გაშმაგებით გამოძრობა. ცაში სინათლის უკანასკნელი შუქი ჩაქრა, და ღამის წყვდიადში ადამიანებზე თავდამსხმელ ჯიქს სანატრელი დრო დაუდგა, მე კი მეტად არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, რადგან სიბნელეში ადამიანი ყველაზე უსუსური არსებაა და ვაჟკაცობა თოვლივით დნება, — ღამით ოთხასი კაცის მკვლელ ჯიქს სრულიად არ ეშინოდა ჩემი. ის გლეჯდა რტოებს და თან ისე ღმუოდა, რომ მისი ხმა სოფლამდე აღწევდა, სადაც ხალხი, როგორც მოგვიანებით შევიტყვე, შეძრწუნებული უგდებდა ყურს. მისი ღმუილი, როგორც შემდეგ მიამბეს, შიშის ზარს სცემდა მათ, მე კი ასე თუ ისე კარგ გუნებაზე მაყენებდა, რადგან საშუალებას მაძლევდა განმესაზღვრა, სად იყო ჯიქი და რას აკეთებდა. მისი დუმილი კი თავზარს მცემდა, რადგან არ ვიცოდი, რა მოხდებოდა შემდეგ წუთს. რამდენჯერმე კინაღამ ჩამოვვარდი, იმის გამო, რომ ჯიქი ხან გაშმაგებით აწყდებოდა და ხან მოულოდნელად უშვებდა ეშვებს ტოტებს. საკმარისი იყო ამომხტარიყო და შემხებოდა, რომ მიწაზე ჩამოვვარდებოდი, — მე ხომ ფაქტიურად არავითარი საყრდენი არ გამაჩნდა.

ერთი ასეთი ნერვების მომშლელი მყუდროების შემდეგ ჯიქი ციკანს დააცხრა. იმ იმედით, რომ მტაცებელი სრულ დაბნელებამდე გამოჩნდებოდა და კიდევ შევძლებდი მესროლა, ციკანი ხიდან ოცდაათ იარდზე მივაბი, რათა ჯიქი მომე-

კლა მანამ, სანამ მისატყუარს მიაღწევდა. მაგრამ სიბნელეში არ შემეძლო ციკნის გადარჩენა: მიუხედავად მისი თეთრი ბალნის ფერისა, ბუნდოვანი ლაქის გარდა ვერაფერს ვხედავდი. იძულებული ვიყავი მომეცადა, ვიდრე წინააღმდეგობას შეწყვეტდა. შემდეგ დავუმიზნე იქ, სადაც, ჩემი ვარაუდით, ჯიქი იმყოფებოდა, და სასხლეტი მოვწიე. გასროლის პასუხად მრისხანე ღმუილი გაისმა. ბნელში ნათელმა წერტილმა იელვა და ჯიქი სადღაც ყანის ქვემოთ ტერასებში გაქრა. ათთხუთმეტ წუთს მოუსვენრად ვუგდებდი ყურს, მაინტერესებდა, წავიდა თუ არა კაციჭამია. შემდეგ გაისმა ჩემი ხალხის ხმები: მეკითხებოდნენ, შეგვიძლია თუ არა შენთან მოსვლაო. ახლა ამის გაკეთება მათ თავისუფლად შეეძლოთ, თუ ზემოთ მდებარე ყანებს გამოჰყვებოდნენ. მე დავუძახე ფიჭვის ჩირაღდნები აენთოთ და ჩემი მითითებები შეესრულებინათ. ეს ფიჭვის ფისიანი კვარის ჩირაღდნები, სიგრძით თორმეტიდან თვრამეტ დიუმამდე, კაშკაშა შუქით იწვიან და განათების ერთადერთ იმ სახეს წარმოადგენენ, რომელიც იციან კუმაონის მიყრუებულ სოფლებში.

არაჩვეულებრივი ხმაურისა და აურზაურის შემდეგ ოცამდე კაცი ჩირაღდნებით ხელში სოფლიდან გამოვიდა. ჩემი მითითების მიხედვით, მათ ზედა ყანებს შემოუარეს და ჩემს ხეს უკნიდან მოუახლოვდნენ. ჯიქმა ისე მაგრად დაჭიმა კვრინჩხის ტოტებზე შემოკრული თოკის ნასკვი, რომ საჭირო გახდა მისი გაჭრა. როცა კვრინჩხის კონები მომაშორეს, სოფლელები ხეზე ამოცოცდნენ და ძირს ჩამოსვლაში დამეხმარნენ, რადგან უხერხული ჯდომისაგან ფეხები დამეკრუნჩხა.

ოცი ჩირაღდნის ალმა გაანათა ყანა, სადაც მოკლული ციკანი ეგდო, ხოლო მის იქით ყველაფერი წყვდიადით იყო მოცული. კაცებს სიგარეტები ჩამოვურიგე და ვუთხარი, ჯიქი დავჭერი, მაგრამ მძიმედაა დაჭრილი თუ არა, არ ვიცი, მის ძებნას ხვალ შეუდგები, ახლა კი ყველანი სოფელში დაბრუნდითო-მეთქი. ისინი იმედგაცრუებულნი დარჩნენ.

— თუ თქვენ ჯიქი დასჭერით, ის უკვე მკვდარი იქნება.

— ჩვენ ბევრნი ვართ, თქვენ კი შეიარაღებული, ამიტომ საშიშიც არაფერია.

— მოდი მინდვრის ბოლომდე მაინც გავიდეთ და ვნახოთ, ჯიქს სისხლიანი კვალი ხომ არ დაუტოვებია.

მას შემდეგ, რაც ჯიქის დაუყოვნებლივ მოძებნის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა ყველა მოსაზრება ამოწურულ იქნა, ჩემი მოსაზრების წინააღმდეგ, დავეთანხმე ტერასის ნაპირამდე და ქვემოთ მდებარე მინდვრის დასათვალიერებლად გავყოლოდი.

ერთი პირობით დავუთმე მათ: ჩემ უკან გაშლით წამოსულიყვნენ, ჩირაღდნები მაღლა დაეჭირათ და, თუ ჯიქი თავს დამესხმოდა, არ გაქცეულიყვნენ და სიბნელეში არ მივეტოვებინე. ისინი ხალისით დამპირდნენ ამას, და, როცა ახალი კვარებით ჩირაღდნები ააკაშკაშეს, წინ გავწიეთ: მე გავუძეხი, ისინი კი ხუთი იარდის მოშორებით მომდევდნენ უკან.

ოცდაათი იარდი იყო ციკნამდე და კიდევ ოცი — ყანის ბოლომდე. ჩვენ ძალიან ნელა, ჩუმად მივდიოდით წინ. როცა ციკნამდე მივედით — სისხლიანი ნაკვალევის ძებნა აღარ იყო საჭირო — ქვემოთ მინდვრის შორეული ნაპირი დავინახეთ, რომელიც სულ მეტად იშლებოდა ჩვენ თვალწინ, აი, გაუნათებელი დარჩა მხოლოდ ვიწრო ზოლი. უეცრად ჯიქმა მრისხანედ დაიღმუილა, სიბნელიდან გამოხტა და ჩვენ წინ აღიმართა.

არის რაღაც მეტისმეტად შემზარავი თავდამსხმელ ჯიქის ღმუილში. მე შემთხვევა მქონდა მენახა, თუ როგორ შეუდრეკლად იდგა ვეფხვის წინაშე სპილოების მწკრივი, ჯიქის დანახვაზე კი პანიკურად მოკურცხლეს მათ. ამიტომ არ გამკვირვებია, როცა ჩემმა უიარაღო თანაშემწეებმა ერთბაშად იბრუნეს პირი და კისრისტეხით გაიქცნენ. საბედნიეროდ, თავზარდაცემული ხალხი გაქცევისას ერთმანეთს ეჯახებოდა და ჩირაღდნებიდან, რომლებიც მათ მაგრად არ ეკავათ ხელში, ნაპერწკლები ცვიოდა, ზოგი მათგანი ციმციმს განაგრძობდა მიწაზე. და შევძელი ჯიქისათვის დამეხალა მკერდში ერთი ფინდიხი.

სროლის ხმა რომ გაიგონეს, ადამიანები შედგნენ და ჩემამდე მოაღწია ერთი მათგანის სიტყვებმა:

— არა, ის არ გაგვიჯავრდება, მან იცის, რომ ამ ეშმაკის კერძმა წაგვართვა ვაჟკაცობა.

დიახ, მე ვიცოდი, რომ კაციჭამიას შიში კაცს ართმევს ვაჟკაცობას, თვითონ მე ხომ განვიცადე ეს, როცა ხეზე ვიჯექი. მათ ადგილას რომ ვყოფილიყავი, პირველი მე გავიქ-

ცეოდი. მაშასადამე, გულმოსასვლელი არაფერი მქონდა. სანამ განგებ ვათვალიერებდი ჯიქს, რომ მათთვის მიმეცა დრო სირცხვილნაჭამნი გონს მოსულიყვნენ, თითო-თითოდ იწყეს მოსვლა. ბოლოს ყველა შეიკრიბა, და თავი არ ამიწევია, ისე ვკითხე:

— ბამბუკის ჭოკები და თოკი წამოიღეთ, რომ ჯიქი სოფელში მივიტანოთ?

— დიახ, ერთხმად მიპასუხეს მათ, — ხესთან დავტოვეთ.

— მოიტანეთ, — ვუთხარი მე, — მინდა სოფელში დავბრუნდე და ცხელი ჩაი დავლიო.

ჩრდილოეთიდან ამოვარდნილმა ცივმა ქარმა ციებ-ცხელების შეტევები განმიახლა და ვიგრძენი, რომ უდიდესი მღელვარების შემდეგ ფეხზე ძლივს ვიდექი.

იმ ღამიდან მოყოლებული სანოულის მცხოვრებლებს მშვიდად ეძინათ.

კაციჭამია ჩუკადან

1

ჩუკა, რომლიდანაც წარმოდგა სახელწოდება კაციჭამია ვეფხვისა ლადხიის ხეობიდან, — მდინარე სარდასა და ლადხიას შესართავის ახლომდებარე ათკომლიანი პატარა სოფელია.

სოფლის ჩრდილო-დასავლეთით იწყება ბილიკი, მეოთხედი მილის მანძილზე. იგი გადამწვარი ტყის გასწვრივ გადის, შემდეგ ორად იყოფა: ერთი პირდაპირ მთის თხემისკენ მიდის, სოფელ თხაკში, მეორე — ირიბად ფერდობზე და შემდეგ, ბორცვზე გავლით, სოფელ კატეკინდრისაკენ მიემართება.

1936 წლის ზამთარში ამ ბილიკზე კაცი ორ ხარს მიერეკებოდა. როცა ჩუკას მიუახლოვდა, გადამწვარი ტყის ახლოს მოულოდნელად ვეფხვი გამოჩნდა. ვაჟკაცურად ჩადგა გლეხი ვეფხვსა და ხარებს შუა; ყვირილითა და ჯოხის ქნევით იგი ცდილობდა მხეცის გაგდებას. ადამიანის ჩარევით ისარგებლეს

ხარებმა და სოფლისაკენ მოკუ<ცხლეს, ხოლო პირში ჩალა-
გამოვლებულმა ვეფხვმა ყურადღება ადამიანზე გადაიტანა.
მხეცის მრისხანე გამომეტყველებით შეშინებულმა კაცმა გაქ-
ცევა დააპირა, მაგრამ, როგორც კი მიბრუნდა, ვეფხვი ზედ
შეახტა. კაცს მხარზე ხის კავი გაედო, ზურგზე კი ჩანთა
სურსათ-საბოლოოგით. სანამ ვეფხვი კლანჭებით გლეჯდა და
ღრღნიდა კავსა და ჩანთას, კაცმა დააგდო ბარგი და ყვირი-
ლით, თავქუდმოგლეჯილი სოფელში გაიქცა. ყვირილი რომ
გაიგონეს, ნათესავები და მეგობრები სწრაფად გაეშურნენ
დაზარალებულის გადასარჩენად. ვეფხვმა კლანჭებით გაუფა-
ტრა მთელი მკლავი მხრიდან მაჯამდე.

რამდენიმე კვირის შემდეგ ორი კაცი ტანაკპურის ბაზრო-
ბიდან ბრუნდებოდა. კოტეკინდრისაკენ ციცაბო აღმართს
რომ შეუდგნენ, მათ დაინახეს: ზევით ორმოცდაათ იარდზე
ბილიკი გადაჭრა ვეფხვმა. რამდენიმე წუთს შეიცადეს, რომ
მხეცი იქაურობას გასცლოდა, და ყვირილით გაიქცნენ სოფ-
ლისკენ. მაგრამ ვეფხვი არ წასულა და როცა გაქცეული წინა
კაცი გაუსწორდა მას, ვეფხვი შეახტა. ამ კაცს თავზე ერთი
ტომარა გური* ედო, ისე რომ ტომრის ნახევარი ზურგზე ეკი-
და. ვეფხვი კბილებით ჩააფრინდა ტომარას და ქვევით ბორ-
ცვის ფერდობზე ჩაათრია, კაცისათვის კი არავითარი ზიანი არ
მიუყენებია. გაურკვეველია, რას ფიქრობდა ვეფხვი მიტაცე-
ბულ ნადავლზე — კავსა და ტომარა გურაზე, მაგრამ, როგორც
ჩანს, არ ეპიტნავა, და ამის შემდეგ თავდასხმა ისეთ ადამია-
ნებზე დაიწყო, რომლებსაც არც კავი ჰქონდათ და არც ტომ-
რები ეკიდათ.

ჩუკის ზევით სამი ათასი ფუტის სიმაღლეზე მდებარე
სოფელ თხაკში მთის სოფლის კვალობაზე საკმაოდ ბევრი
მცხოვრებია. ჩანდის რაჯებმა, რომლებიც კუმაონს გურკხების
შემოსევამდე მართავდნენ, ერთგულებისათვის ჯილდოდ თხა-
კის მიწები მის ახლანდელ მეპატრონეთა წინაპრებს უბოძეს
და ისინი შთამომავლობით პურნაგირის ტაძრების მცველად
დანიშნეს. ნაყოფიერმა მიწებმა და მნიშვნელოვანმა შემოსა-

* გ უ რ ი — შაქრის ლერწმიდან დამზადებული ინდური შაქარი.

ვალმა ტაძრებიდან თხაკის მცხოვრებლებს საშუალება მისცეს კარგი სახლები აეგოთ და პირუტყვის დიდი ჯოგები გაეჩინათ.

ერთხელ, 1937 წლის ივნისის დამდეგს, შვიდი კაცი და ორი თოთხმეტი წლის ბიჭი პირუტყვს აძოვებდა თხაკის დასავლეთით ორას იარდზე. დილის ათ საათზე რამდენიმე ცხოველი ჩამორჩა ჯოგს და ჯუნგლებში შევიდა. ერთ-ერთი ბიჭი გაგზავნეს მათ მოსარეკად. ექვსი საათის შემდეგ კაცები, რომლებმაც დღის მცხუნვარე ნაწილი ძილში გაატარეს, გააღვიძა კარკერის ყვირილმა, რომელიც ჯუნგლების ნაპირიდან ისმოდა, სადაც მთელი ჯოგი შესულიყო. კაცებმა მეორე ბიჭიც ცხოველების მოსარეკად გაგზავნეს. შევიდა თუ არა ის ჯუნგლებში, იქიდან დამფრთხალი პირუტყვი გამოიქცა, და ვიდრე ცხოველები სოფლისაკენ მიმავალ გზაზე ხევს გადაჭრიდნენ, შვიდი კაცის თვალწინ ვეფხვი ერთ-ერთ ძროხას შეახტა და მოკლა. პირუტყვის ბღავილმა და ხალხის ყვირილმა სოფლის მცხოვრებთა ყურადღება მიიპყრო და მალე ხევის თავზე გლეხებმა მოიყარეს თავი. მათ შორის იყო მეორე ბიჭის დედა, ქვრივი. მან გაიგონა, რომ გლეხები მის შვილს ეძახდნენ, და მაშინვე მათთან მიირბინა ამბის გასაგებად. როცა შეიტყო, ჯუნგლებში პირუტყვის მოსარეკად წასული ბიჭი უკან არ დაბრუნებულაო, მის საძებნელად გაიქცა, მოვიდნენ პირველი ბიჭის მშობლებიც და ისიც იკითხეს. მხოლოდ მაშინ გაახსენდა შვიდივეს, რომ იგი დილის ათი საათიდან აღარ ენახათ.

ამასობაში ხევში მოკლული ძროხის ახლო შეკრებილი მრავალი ადამიანის თანხლებით უბედურებისაგან გაგიჟებული დედა ჯუნგლებში გაიქცა და თავისი შვილი იმ ადგილას ნახა, სადაც იგი ვეფხვს მოეკლა. მეზობელი ბუჩქის ძირას პირველი ბიჭის მშობლებმა შვილის დაგლეჯილი სხეული იპოვეს. მის გვერდით მკვდარი ხბო ეგდო. სოფლის მცხოვრებთა ნალაპარაკევიდან ამ დღეს მომხდარი ტრაგიკული ამბების შესახებ დაეასკვენი, რომ ვეფხვი ჯუნგლებში იყო და ხედავდა მინდორზე მობალახე ჯოგს. როცა ყველას შეუმჩნევლად ხბო ტევრში შეეხეტა, ვეფხვმა მოკლა იგი, ვიდრე მის გათრევას მოასწრებდა, გამოჩნდა ბიჭი, რომელიც ცნობისმოყვარეობით თუ შემთხვევით ხბოს მიუახლოვდა. ვეფხვმა ისიც მოკლა.

შემდეგ ბუჩქებში გაიტაცა და იქ შეჭამა თავისი ნადავლის ნაწილი. დღის ოთხ საათამდე ვეფხვი, როგორც ჩანს, თავისი მსხვერპლის ახლოს იწვა, ვიდრე კარკერმა არ შეამჩნია ან არ იგრძნო მისი სუნი, როცა განაკაფის პირას პატარა წყალსატევთან მიდიოდა. კარკერის ყვირილმა გააღვიძა ხალხი. როცა გაიგეს, ჯოგი ჯუნგლებში წავიდაო, მის მოსარეკად მეორე ბიჭი გაგზავნეს. თავისდა საუბედუროდ, მან პირდაპირ იმ ადგილს მიაშურა, სადაც ვეფხვი მოკალათებულიყო.

მეორე ბიჭზე თავდასხმა, ალბათ, მთელი ჯოგის თვალწინ მოხდა და ბიჭს ცხოველები მიეშველნენ. მე მინახავს, რომ ასე მოქცეულან ძროხები და ფურკამეჩები. ვეფხვი გააგდეს ბიჭის გვამიდან და სოფელს მიაშურეს. მხეცი, გახელებული, რომ ნადავლი გააგდებინეს და ამასთან, შესაძლოა, უხეშადაც მოექცნენ, გაქცეულ ჯოგს დაედევნა და ჯავრი იყარა მის კლანჭებში ჩავარდნილ პირველ ცხოველზე. ჯოგს რომ პირდაპირ სოფლისაკენ არ ექნა პირი, იგი მხოლოდ ამ მკვლელობით არ დაკმაყოფილდებოდა. ერთხელ მე გახლდით მოწმე, რომ ასეთივე გარემოებაში გახელებულმა ვეფხვმა გაანადგურა მის წინააღმდეგ თავგანწირვით მებრძოლი ხუთი კამეჩისაგან შემდგარი ჯოგი. ვეფხვმა ჯერ ერთი კამეჩი მოკლა, მაშინ ოთხი ,ეთილშობილი ცხოველი ეკვეთა მტერს და იბრძოლეს მანამდე, სანამ ყველა არ დაიხოცა. როგორც ჩანს, ვეფხვი მძიმედ დაშავდა. ბრძოლის ველიდან რომ გამოვიდა, მან სისხლიანი ნაკვალევი დატოვა.

ერთ დღეს ორი ადამიანისა და ორი ცხოველის მკვლელობა, რაც, ერთი შეხედვით, უაზრობად მოეჩვენება კაცს, დარწმუნებული ვარ, გამოიწვია იმან, რომ ვეფხვს ხელი შეუშალეს შეეჭამა პირველი მსხვერპლი. ამ ამბავმა დიდად შეაშფოთა ნაინი ტალისა და ალმორის ოლქებში მცხოვრებნი. ყოველგვარი ღონისძიება მიიღეს, რათა ვეფხვი გაენადგურებინათ. რამდენჯერმე ჩაუსაფრდნენ მას მოკლული ცხოველების მახლობლად და ხალხს მთელი ღამეების განმავლობაში არ ეძინა, ისხდნენ მაჰანებში, ორჯერ მოახერხეს ვეფხვის დაჭრა, სამწუხაროდ, საფანტით, და იგი ხალხის განადგურებას განაგრძობდა. კაციჭამიამ იმსხვერპლა კიდევ ერთი, ისევ იმ უბედურ სოფელ თხაკის მცხოვრები.

მაღლა ფერდობზე, სოფელ თხაკიდან ორას იარდზე, იყო ნაყანევი და ორი ბიჭი, ათი და თორმეტი წლის ობოლი ძმები, ნაწვერალზე რამდენიმე ძროხას აძოვებდა. ბავშვები შუა ყანაში ისხდნენ: ასე უფრო ნაკლები საფრთხე ელოდათ. ყანის შორი ნაპირი მეჩხერი ბუჩქნარით იყო შემორტყმული, იქიდან ათას ფუტზე ციცაბოდ აწვდილიყო ბორცვის ფერდობი, საიდანაც ბიჭები ყველა მხრიდან კარგად ჩანდნენ. შუადღეს ერთი ძროხა ბუჩქებისკენ წავიდა. ორივე ძმა გაჰყვა მას, რომ ყანაში დაებრუნებინათ. უფროსი ოდნავ წინ მიდიოდა; როცა იგი ბუჩქნარს გაუსწორდა, ნადავლის მოლოდინში იქ მიმალული ვეფხვი ეცა და წაათრია. უმცროსი გაიქცა სოფელში, მიირბინა შეჯგუფულ კაცებთან და ტირილით დაეცა მათ ფეხთით. ბოლოს, როცა შეძლო ენა მოებრუნებინა, თქვა, დიდმა ეღალმა ცხოველმა — მას მანამდე არასოდეს ენახა ვეფხვი — მოიტაცა ჩემი ძმაო. ხალხი მალე შეიკრიბა და საძებნელად გაემართა. მათ გამოიჩინეს დიდი ვაჟკაცობა: სოფლის აღმოსავლეთით სუვარ გადხის ხევში სისხლიან ნაკვალევზე ხშირ ტყეში ერთი მილი გაიარეს. ღამდებოდა და ისინი სოფელში დაბრუნდნენ. მთელ მეორე დღეს მახლობელი სოფლების გლეხების დახმარებით განაგრძობდნენ ძებნას, მაგრამ წითელი ქუდისა და დაგლეჯილი სისხლიანი ტანსაცმლის გარდა ვერაფერი ნახეს. ეს იყო ჩუკის კაციჭამიას უკანასკნელი მსხვერპლი.

მე ვფიქრობ, რომ ადამიანის ვაჟკაცობის ჯეროვნად შეფასება შეიძლება მხოლოდ საშიშროების ჟამს, რადგან მხოლოდ მაშინ გამოვლინდება ხოლმე იგი ნამდვილად. მათ, ვისაც არასოდეს უცხოვრიათ იმ ადგილებში, სადაც კაციჭამია ბინადრობს, შეუძლიათ იფიქრონ, რომ არაფერია ვაჟკაცური არც იმ დედის ქცევაში, რომელიც შვილის საძებნელად მიდის ხშირ ჯუნგლებში, თუმცა იცის, რომ იქ გააფთრებული ვეფხვია, არც ორი პატარა მწყემსის ქცევაში, ერთმანეთს რომ შიშით ჩაჰკვრიან, არც იმ ადამიანების საქციელში, რომლებიც უიარაღოდ მიდიან კაციჭამიას სისხლიან კვალზე დაკარგული ბავშვის საძებრად. მაგრამ ყველამ, ვინც მსგავს რაინონებში ყოფილა, იცის, რომ ასეთი ქცევისათვის საჭიროა უბადლო ვაჟკაცობა და იგი უდიდეს აღტაცებას იმსახურებს.

ჩუკის კაციჭამიამ მოშალა ცხოვრება ლადხიის ხეობაში, ამიტომ, მალე მას შემდეგ, რაც იბოტსონი ნაინი ტალის, ალმორისა და გარხვალის ოლქების კომისრის თანაშემწედ დანიშნეს, ჩვენ მთელი ძალები გავაერთიანეთ იმისათვის, რომ ეს რაიონი საშინელი უბედურებისაგან ვეხსნა.

1937 წლის ცხელი აპრილის შუადღის ხანს იბოტსონი, მისი ცოლი ჯინი და მე ავტობუსიდან ბარამდეოს ზევით მდებარე ბუმში ჩავედით. ნაინი ტალიდან დილაადრიან გამოვედით, გამოვიარეთ ქალდვანი, ტანაკპური და ბუმში მოძალებული სიცხის ჟამს მივედით თავიდან ფეხებამდე მტვერში ამოგანგლულები და მთლად დალურჯებულნი. ჩაი დავლიეთ მდინარე სარდას ნაპირას რბილ სილაზე დასვენების დროს და კვლავ კარგ გუნებაზე დავდექით. ცოტა ხანს ვისეირნეთ მდინარის გასწვრივ, შემდეგ გავეშურეთ თხული გადხში, სადაც ჩვენთვის კარვები მოემზადებინათ.

მეორე დილით ნასაუზმევს კალადხუნგისაკენ დავიძარით. მანძილი თხული გადხიდან კალადხუნგამდე — თუ პირდაპირ მდინარე სარდას ხეობით წახვალთ — რვა მილია, პურნაგირიდან — თოთხმეტი. მე და იბოტსონები წავედით ხეობით, ხოლო ჩვენი მსახურები და მებარგულები — პურნაგირის გზით. ხეობა გაჭიმულია ოთხ მილზე; ადრე აქ გადიოდა ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა, რომელიც კლდეებში ჯ. ვ. კოლიერმა გაიყვანა მილიონი კუბური ფუტი სალის* გადასატანად. ეს ხეტყე ნეპალის დარბარმა** ინდოეთის მთავრობას აჩუქა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა დიდი ხანია გაანადგურა მეწყერმა და წყალდიდობამ და ამ ოთხი მილის სავალ გზაზე ცოცვა კლდეებზე გვიხდებოდა, მშვიდობიანად გავიარეთ ხეობა და იმ ადგილას, სადაც ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა მდინარის პირას აზიდულ დიდ კლდესთან ტყეს უდგებოდა, ორი თევზი დავიჭირეთ.

---

* ს ა ლ ი — ხის ჯიში, რომლის მერქანი სიმაგრით ლითონს არ ჩამოუვარდება.

** დ ა რ ბ ა რ ი — მეფის კარი.

ამ რაიონის ყველა პატვარისა* და მეტყევეს ნაბრძანები ჰქონდა კალადხუნგზე შეგხვედროდნენ და ეცნობებინათ ახალი ამბები ვეფხვის შესახებ. ბუნგალოში გვიცდიდა ოთხი კაცი სასიამოვნო ცნობებით: ამ უკანასკნელ რამდენიმე დღეში ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა, ვარაუდობდნენ, რომ ვეფხვი სოფელ თხაკის მიდამოებში იმყოფებოდა, სადაც სამი დღის წინათ ხბო მოკლა.

კალადხუნგი დამრეცი, კონუსისმაგვარი ფორმის ნახევარკუნძულია, სიგრძით დაახლოებით ოთხი და სიგანით ერთი მილი, სამი მხრიდან მას გარს უვლის მდინარე სარდა, მეოთხე მხრიდან შემორტყმულია ხუთასი ფუტის სიმაღლის მთაგრეხილით. ბუნგალო, სამოთახიანი სახლი დიდი აივნით, დგას მაღლა ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში და აღმოსავლეთისკენაა მიმართული. როცა შორეული ბორცვების თავზე ამოდის მზე და ნისლი იფანტება, აივნიდან იშლება არაჩვეულებრივად მომხიბლავი ხედი. წინ, მდინარის გაღმა, ნეპალში, ღრმად შეჭრილი ფართო ხეობაა, რომელშიც მიიკლაკნება მდინარე ზურმუხტოვანი ნაპირებით, ხეობის ორივე მხარეს გადაჭიმულია ხშირი ტყით დაფარული ბორცვები. გარშემო არსად ჩანს საცხოვრებელი ბინები, ბუნგალომდე აღწევს ვეფხვის ბრდღვინვა და სხვა ცხოველების ყვირილი, რაც იმას მოწმობს, რომ ხეობაში ბლომადაა ნადირი. სწორედ ამ ხეობაში მოჭრა კოლიერმა მილიონი კუბური ფუტი ტყე.

მთელი დღე კალადხუნგში გავატარეთ. ვიდრე ჩვენი ხალხი ბანაკს აწყობდა ჩუკაში, იბოტსონები თევზაობდნენ, მე კი, გაწამებული წინაღამით ციების შეტევის შემდეგ, ნაპირზე ვიჯექი და თვალყურს ვადევნებდი მათ. იბოტსონები ოსტატები არიან ანკესით თევზის ჭერაში, მათ დუიმიანი ნემსკავებით მოჩხრიკეს მდინარე, მოყოლებული ბუნგალოს ქვემოთ ჩქერიდან ნახევარკუნძულის ბოლო წერტილამდე, ესე იგი ხუთას იარდზე, მაგრამ ერთი თევზიც ვერ დაიჭირეს. ხეობაში

---

* პ ა ტ ვ ა რ ი — მოხელე — პატის სათავეში მდგომი, პ ა ტ ი — რამოდენიმე სოფლის გამაერთიანებელი ადმინისტრაციული ერთეული. პატვარის მოვალეობაში შედის აგრეთვე შხამიანი გველების და კაციჭამია ვეფხვების მსხვერპლთა აღრიცხვა.

ნეპალის მხარეზე მიედინება პატარა მდინარე, რომელიც მდინარე სარდას სწორედ ნახევარკუნძულის ბოლო წერტილს პირდაპირ ერთვის. ამ ადგილას სარდა ფართოვდება, იკლებს და შემდეგ ორასი იარდის მანძილზე, თითქმის დიდ წყალსატევამდე, ქვიან კალაპოტში მიედინება. ზემოთ მდინარის ამ ნაწილის ბოლოში, ნაპირიდან კარგა მოშორებით, იბიმ პირველი თევზი დაიჭირა, რვა გირვანქა იქნებოდა. იბის დიდი ჯაფა დასჭირდა, ვიდრე წყლიდან ფრთხილად ამოიღებდა თავის მსუბუქ სათევზაო ხელსაწყოს.

ყველა გატაცებული მეთევზე სიამოვნებას გრძნობს, როცა თვალს ადევნებს მეორე მეთევზეს. თევზაობა ხომ სპორტის ერთ-ერთი საუკეთესო სახეობაა. რაც შემეხება მე, ვამჯობინებ ვუყურო სხვას, ვიდრე თვითონ ვითევზაო, განსაკუთრებით, თუ თევზი კარგად ეგება ანკესზე, მეთევზეს კი ფეხქვეშ მტკიცე დასაყრდენი არა აქვს როგორც, მაგალითად, ამ შემთხვევაში, და თუ დინება საკმაოდ სწრაფია. მალე მას შემდეგ, რაც იბიმ თევზი დაიჭირა, ჯინის ანკესზეც თევზი წამოეგო. ქალი თევზაობდა ჩქერში, ნაპირიდან ოცდაათი იარდის მოშორებით. ჯინის კოჭზე სულ ასი იარდი ანკესის მკედი ჰქონდა, და შიშობდა, თევზს წყალსატევისაკენ არ გაეწია და არ გაეწყვიტა იგი, ამიტომ ჯინი უკან-უკან წამოვიდა და თევზს ნაპირისაკენ ეწეოდა. მაგრამ ფეხი მოუცურდა და ერთ წუთს წყლის ზედაპირზე მხოლოდ მისი ფეხის თითები და ანკესის ბოლო მოჩანდა. ბუნებრივია, ფიქრობთ, რომ დამავიწყდა ციების შეტევა და გადავხტი წყალში მის გადასარჩენად! სრულიადაც არა! ნაპირზე ვიჯექი და ვიცინოდი, იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში იბოტსონებისათვის დახმარების აღმოჩენა ისეთივე ფუჭი შრომა იყო, როგორც წყლიდან წავის ამოყვანა იმის შიშით, რომ იგი არ დაიღრჩოს. დიდხანს მედგარი ბრძოლის შემდეგ ჯინი ფეხზე დადგა, გამოვიდა ნაპირზე და ის-ის იყო მოკლა თავისი ექვსგირვანქიანი თევზი, რომ მდინარეში ანკესთან ერთად იბიც გაუჩინარდა. იგი ცდილობდა შორს ესროლა ანკესი, წონასწორობა დაკარგა და წყალში ჩავარდა.

წყალსატევის გაღმა, ქვემოთ მდინარე მარჯვნივ უხვევს. ნეპალის მხარეზე ამ მოსახვევთან წინათ უზარმაზარი ხე იდგა. მის ზედა ტოტებზე წლიდან წლობამდე ბუდეს იკეთებდნენ

წყვილი თევზიჭერია ფრინველები. ხე მათთვის იდეალური სახლი იყო. მისი კენწეროდან მდინარე შორს მოჩანდა, ხოლო სწორკუთხედად გაზრდილი ვეებერთელა ტოტები თავისებური მაგიდის მაგივრობას უწევდა, რომელზეც ფრინველებს შეეძლოთ თავისი სრიალა ნავლი ეჭამათ. მაგრამ შარშან მუსონების დროს წყალდიდობამ ნაპირი ჩარეცხა და ბებერი ხე გაქრა, ხოლო თევზიჭერიას ოჯახმა ახალი ბუდე ნაპირიდან ასი იარდის მოშორებით, ტყის პირას მდგარ მაღალ ხეზე გაიკეთა.

მდინარის ეს ნაწილი, როგორც ჩანს, ფრინველებისათვის თევზაობის საყვარელი ადგილი იყო, და ვიდრე დედალი ბუდეში იჯდა, მამალი განუწყვეტლივ იბოტსინებს დასტრიალებდა თავს. ბოლოს ეს უსარგებლო ფრენა მობეზრდა და წყალდაღმა დინებას გაჰყვა, სადაც წყლიდან ამოშვერილი პატარა კლდეები მდინარიდან გამოყოფდნენ მომცრო ფშანს. როგორც ჩანს, შიგ თევზი ცურავდა: ფრინველი კეცავდა ფრთებს, მკვეთრად ბრუნდებოდა და ბარე ათჯერ მაინც ქვასავით დაეშვა ძირს. ზედ წყლის ზედაპირზე შლიდა ფრთებს, იქნევდა ბოლოს, რომ ხელახლა აეღო სიმაღლე შემდეგი იერიშისათვის, ბოლოს, მოთმინება დაუფასდა. წინდაუხედავი თევზი წყლის ზედაპირზე ამოცურდა, ფრინველმა ელვის სისწრაფით ჩაიქროლა მათ შორის არსებული მანძილი — ასი იარდი — და ღრმად ჩაყვინთა. თევზიჭერიამ ნემსებივით მახვილი და ფოლადივით მაგარი ბრჭყალები სტაცა ნადავლს, მაგრამ, ეტყობა, იგი უფრო მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე ვარაუდობდა. გააფთრებით აფართხუნებდა ფრთებს და ცდილობდა თევზიანად ჰაერში აჭრილიყო, მაგრამ წყალში ვარდებოდა. ვფიქრობ, თევზიჭერია ბოლოსდაბოლოს გააგდებდა თავის ნადავლს, რომ ამ კრიტიკულ მომენტში მას ქარი არ დახმარებოდა. როგორც კი თევზიჭერიამ იგრძნო ჰაერის მძლავრი ნაკადის დენა, უკანასკნელი ძალღონე მოიკრიბა და თევზი წყლიდან ამოათრია. ჰაერის დინებამ ის ბუდის მოპირდაპირე მხარეს გაიტაცა და, რადგან ქარის წინააღმდეგ საფრენად თევზიჭერიას ძალა არ ყოფნიდა, ნაპირთან ამართული დიდი, ბრტყელი კლდისკენ წავიდა.

მაგრამ თურმე მარტო მე როდი ვადევნებდი თვალს თევზიჭერიას. ის იყო კლდეზე დაეშვა, რომ მდინარეში ნეპალის

მხარეზე თეთრეულის მრეცხავმა ქალმა რაღაც დაიყვირა და იმწამსვე მაღალ ნაპირზე ბიჭი გამოჩნდა. მან ბილიკი აირბინა. მოუსმინა ქალს და სანაპიროზე მოფანტულ ლოდებზე კისრის ტეხით გაიქცა. თევზიჭერიას არც უცდია ნადავლის წაღება. ჰაერში ასული, ის მხოლოდ დასტრიალებდა თავზე ბიჭს, რომელსაც თევზი ეჭირა და ქალს აჩვენებდა; თევზი ოთხი გირვანქა იქნებოდა.

შემდეგ თევზიჭერია თვალს მოეფარა. უკვე საუზმე მოვათავეთ, რომ იგი კვლავ გამოჩნდა. საკმაოდ დიდხანს ერთსა და იმავე სიმაღლეზე ფრინავდა. შემდეგ მობრუნდა ორმოცდაათ ფუტზე დაეშვა, კიდევ ერთხელ შემობრუნდა და ჩაყვინთა წყალში. ამჯერად მისი ნადავლი თევზი, ალბათ, ორი გირვანქა იქნებოდა. მსუბუქად ასწია მან იგი წყლიდან, ტორპედისებურად დაიჭირა ბრჭყალებში, რომ ჰაერის წინააღმდეგობა შეემცირებინა, და ბუდისაკენ გაუხვია. მაგრამ თევზიჭერიას იმ დღეს ბედი არ სწყალობდა. ნახევარი გზის გავლაც ვერ მოასწრო, რომ უკან გამოჩნდა არწივი, რომელიც წონითა და სიდიდით ორჯერ აღემატებოდა მას. შეამჩნია თუ არა არწივი, თევზიჭერიამ გეზი ოდნავ მარჯვნივ აიღო და ტყისაკენ გაფრინდა იმ განზრახვით, რომ თავი დაეღწია მდევნელისაგან. მაგრამ არწივი ეშმაკობას მიუხვდა, გულისწყრომით დაჰყივლა და კიდევ უფრო სწრაფად გაფრინდა. სულ რაღაც ოცი იარდიღა უნდა ეფრინა და თევზიჭერია გადარჩებოდა, მაგრამ რისკი მეტად დიდი იყო. ფრინველმა ბრჭყალებიდან ნადავლი გაუშვა, დროზე აიჭრა ზევით. არწივმა იქვე დაიტაცა თევზი, ნარნარად შემობრუნდა და გაეშურა ქვევით მდინარეზე, იქ, საიდანაც გამოჩნდა. თუმცა სხვისი დოვლათის მიტაცება არ დასცალდა. ორი ყვავი თევზიჭერიას ნასუფრალით რომ იკვებებოდა, აფრინდა და დაედევნა მას. თავი რომ დაეღწია მათგან, არწივმაც ტყისკენ იბრუნა პირი. ტყისპირას ყვავები ჩამოშორდნენ. როგორც კი არწივი გაუჩინარდა, თითქოს ციდან ჩამოცვივდნენო, ორმა არწივმა არაჩვეულებრივი სისწრაფით მიაშურა იმავე მხარეს. სამწუხაროდ, აღარ დამინახავს, როგორ დასრულდა ეს ამბავი. ვიდრე ნაპირზე ვიჯექი, არც ერთი ფრინველი არ აფრენილა ტყის თავზე: პირველი არწივი, ჩანს, დიდხანს არ უშვებდა ნადავლს.

მხოლოდ ერთხელ გავხდი უფრო საინტერესო დევნის მოწმე. შავ კაკბებზე ვნადირობდით. ერთ მწკრივად ბალახში თვრამეტი სპილო მიმყავდა. ნადირობის მონაწილე თხუთმეტი კაცი ხედავდა, როგორ მოკლა შევარდენმა ჩვენგან ორ ნაბიჯზე ბუჩქნარის ჩეკანი*, მერე, ისე რომ ერთხელაც არ შეჰხებია მიწას, ჯერ წითელთავა სონღულის** ბრჭყალებში მოხვდა, შემდეგ ბზიკიჭამიასი და ბოლოს საპსანისა***, რომელმაც გადაყლაპა იგი. თუ ამ მოთხრობას წაიკითხავს რომელიმე მონადირეთაგანი, ვინც თებერვლის იმ დილას ჩემთან ერთად იყო, შესაძლოა, გაახსენდეს ეს შემთხვევა, რუდრაპურ მაიდანზე რომ მოხდა.

მეორე დილას ადრე ვისაუზმეთ და კალადხუნგიდან ხუთი მილის მანძილზე მდებარე ჩუკაში წავედით. დასრულდა ეროერთი იმ შესანიშნავი დღეთაგანი, რომლებიც დიდხანს რჩება ხოლმე მეთევზის მეხსიერებაში. მზე საამოდ ათბობდა არემარეს, ჩრდილოეთიდან გრილი ნიავი ქროდა, მდინარეში უამრავი მსხვილი თევზი ცურავდა და თითქოს იხვეწებოდნენ, დაგვიჭირეთო, თევზაობის დროს ბევრი ამაღელვებელი ბრძოლა მოხდა, და ყველა მათგანი ჩვენ როდი მოვიგეთ. მაგრამ დღის ბოლოსათვის იმდენი თევზი დავიჭირეთ, რომ საკმარისი იყო ოცდაათი კაცისაგან შემდგარი ბანაკი დაგვეპურებინა.

3

კაციჭამიას მოსპობის საქმეში რომ დამხმარებოდნენ და შემდგომში თავიდან აგვეცილებინა ადამიანის მსხვერპლი, ტანაკპურიდან მისატყუარისათვის ექვსი მოზვერი გამოგვიგზავნეს. ჩუკაში ჩასვლისას შევიტყვეთ, რომ სამი ღამის განმავლობაში მოზვრებს სოფლის განაპირას აბამდნენ, და თუმცა ზოგიერთი მოზვრის ახლოს ვეფხვის თათების ანაბეჭდები აღმოაჩინეს, კაციჭამიას არც ერთისათვის პირი არ დაუკარე-

---

* ბ უ ჩ ქ ნ ა რ ი ს ჩ ე კ ა ნ ი—პატარა ბეღურასოდენა მგალობელი ჩიტი.

** წ ი თ ე ლ თ ა ვ ა ს ო ნ ღ უ ლ ი — მსხვილი შევარდენი.

*** ს ა პ ს ა ნ ი, ანუ მ ო ხ ე ტ ი ა ლ ე შ ე ვ ა რ დ ე ნ ი, — ყველაზე მსხვილი ფრინველი შევარდენისებრთა ოჯახიდან.

ბია. შემდეგი ოთხი დღის განმავლობაში ყოველ დილას ვნახულობდით მოზვრებს, დღისით ვეძებდით ვეფხვს, საღამოობით კი ვაცილებდით ხალხს, რომელიც მოდიოდა, რათა ღამით კამეჩები დაებათ. მეხუთე დღეს დილაადრიან აღმოვაჩინეთ, რომ ვეფხვს მოეკლა და წაეთრია მოზვერი, დაბმული ჯუნგლებთან, სოფელ თხაკის მახლობლად, სადაც ორი ბიჭი დაიღუპა. ჩვენი მოლოდინის წინააღმდეგ, ვეფხვმა ნადავლი ჯუნგლებში კი არა, ღია ადგილზე გავლით კლდოვან ბექობზე წაათრია. იგი ასე, ალბათ, იმიტომ მოიქცა, რომ არ გაკარებოდა იმ ნაკვეთს, სადაც მას ორჯერ ესროლეს მაჰანიდან და, შესაძლოა, დაჭრეს კიდეც. ვეფხვი თავისი ნადავლით შორს არ წასულა: მოზვერის რქები კლდეებს შორის გაიხირა, და, რადგან ვერ მოახერხა მათი გამოთრევა, ვეფხვმა იქვე შეჭამა რამდენიმე გირვანქა მოზვრის ბარკლის ხორცი და იქაურობას გასცილდა. დავიწყეთ მხეცის ნაკვალევის ძებნა, გვინდოდა გამოგვერკვია, რომელ მხარეს წავიდა იგი, და ვნახეთ მისი თათების ანაბეჭდი მოზვრების ნაწოლ ადგილას შუაგზაზე ჯუნგლების მიმართულებით. ნაკვალევი ცხადყოფდა. რომ მოზვერი მსხვილმა ხვადმა ვეფხვმა მოკლა.

არ ვიცი, რა საფუძველზე, ოლქის ხელისუფალთ მიაჩნდათ, რომ კაციჭამია ძუ ვეფხვი იყო. როცა გლეხებს ვაჩვენეთ ნაკვალევი მოზვერის ნაწოლზე, მათ თქვეს, ვერ ვერკვევიო და არც ის ვიცით, კაციჭამია ვეფხვი ძუა თუ ხვადიო. იმას კი დანამდვილებით ადასტურებდენ, მას ეშვი აქვს მოტეხილიო. კაციჭამია ვეფხვის ყველა მსხვერპლს, სოფლის ახლოს მოკლულ როგრც ადამიანებს, ისე ცხოველებს, ეტყობოდათ, რომ ვეფხვი ერთი კბილით ვერ იკბინებოდა, კანს გლეჯდა მხოლოდ.

ბექობის წვერზე, მოკლული მოზვრიდან ოცი იარდის მოშორებით, განმარტოებული ხე იდგა. ცხოველი კლდეებს შუა ვიწრო გასასვლელიდან ამოვათრიეთ, შემდეგ გავგზავნეთ კაცი იმ რტოების მოსამტვრევად, რომლებიც ხელს შეუშლიდა ერთადერთი საფრად გამოსადეგი ტოტიდან თვალი გკედევნებინა მოზვრისათვის. ხე კარგად ჩანდა ჯუნგლებიდან, და თუმცა კაცი დავალების შესრულებისას ძალიან ფრთხილად მოქმედებდა, ვფიქრობ, ვეფხვმა მაინც შენიშნა იგი.

დილის თერთმეტ საათზე ხალხი სოფელში წავიდა სასადილოდ, მე და იბი კი ბუჩქებქვეშ დავიმალეთ. ჩვენ ვლაპარაკობდით და ვთვლემდით, ვთვლემდით და კვლავ ვლაპარაკობდით, სანამ დიდი სიცხის შემდეგ ოდნავ არ აგრილდა. სამის ნახევარზე გადავწყვიტეთ წაგვეხემსა. უეცრად ჯუნგლების განაპირას, სადაც მოკლული მოზვერი იყო, შეშფოთებულად ახმიანდნენ კალიჯები*. გაიგონეს თუ არა მათი ყივილი, ხალხი დაბრუნდა სოფლიდან, იბი და მისი ერთგული შემ სინგხი ჯუნგლებში წავიდნენ, რათა ვეფხვის ყურადღება მიეპყროთ, მე კი ამასობაში ჩუმად ავცოცდი ხეზე. რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა უკვე ტოტებზე მოვეწყვე, იბი და შემ სინგხი ჯუნგლებიდან გამოვიდნენ და ჩუკაში ჩვენი ბანაკისაკენ გაემართნენ. ორი ჩემი თანაშემწე სოფელ თხაკში დარჩა.

იბის წასვლის შემდეგ კვლავ ახმიანდნენ კალიჯიები, მათ აჰყვა კარკერი. სადღაც ახლოს დაეხეტებოდა ვეფხვი, მაგრამ ის არ მიუახლოვდებოდა თავის ნადავლს ღია ადგილას, სანამ მზე არ ჩავიდოდა და სოფელი არ დაიძინებდა. კარკერი თხუთმეტ წუთს ყვიროდა და გაჩუმდა. იმ მომენტიდან მზის ჩასვლამდე მხოლოდ ფრინველთა ჩვეულებრივი ჟივილხივილი ისმოდა. არაფერი არ მოწმობდა, რომ ვეფხვი სადმე ახლომახლო იმალებოდა.

როცა ნეპალის მთებს უკან, მდინარე სარდას გაღმა ნაპირზე, ჩამავალი მზის მოწითალო ათინათი ჩაქრა და სოფელი მიწყნარდა, იმ მხრიდან, სადაც ჩვეულებრივ კამეჩები იწვნენ, კვლავ მოაღწია კარკერის ყვირილმა, ვეფხვი თავის ნადავლს იმავე გზით უბრუნდებოდა, რომლითაც წავიდა. გვერდითი ტოტი შაშხანის მშვენიერი დასაყრდენი აღმოჩნდა და ვეფხვის მოახლოებისას ერთადერთ მოძრაობის გაკეთებაღა დამჭირდებოდა — თავი კონდახზე დამეხარა. წუთი წუთს მისდევდა, ვეფხვი კი არ ჩანდა. საათნახევრის შემდეგ ორას იარდზე ზევით მთის ფერდობზე უცბად შეშფოთებულად იყვირა კარკერმა, და, თუ ადრე მიმაჩნდა, რომ ვეფხვის მოკვლის ათი შანსი მქონდა ერთის წინააღმდეგ, ახლა დამრჩა მხოლოდ ერთი შანსი ათასიდან. ეჭვი აღარ მეპარებოდა, რომ

---

* კ ა ლ ი ჯ ი — ვერცხლისფერი ხოხობის ადგილობრივი სახელწოდება.

ვეფხვმა დაინახა, როგორ ამტვრევდნენ ტოტებს; მზის ჩასვლის შემდეგ იგი მიეპარა ხეს, დამინახა და წავიდა. იმ წუთიდან ხან კარკერისა და ხან სამბხარის ყვირილი ისმოდა, მაგრამ სულ უფრო შორი მანძილიდან. შუაღამისას მშფოთვარე ყვირილი სრულიად მიწყდა. დადგა ბუნების მიერ დაწესებული ღამის მყუდროების პერიოდი, როცა ბრძოლა წყდება და ჯუნგლების ბინადართ შეუძლიათ მშვიდად იძინონ. ის, ვისაც ინდოეთის ჯუნგლებში ღამე გაუთევია, აღნიშნავს ამ პერიოდს, რომელიც წელიწადის დროისა და მთვარის ფაზის მიხედვით, როგორც წესი, შუაღამიდან დილის ოთხ საათამდე გრძელდება. ამ საათებში მტაცებლები ღრმა ძილს ეძლევიან, და ისინი, ვინც მათი განუწყვეტელი შიშის ქვეშ ცხოვრობენ, დამშვიდებულნი არიან. ცხადია, რომ ხორცის მჭამელთ ამ ხნის განმავლობაში სძინავთ, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ბუნებამ ეს რამდენიმე საათი იმ ცხოველთათვის გამოჰყო, რომელთა სიცოცხლე მუდმივ განსაცდელშია, რათა ცოტა ხანს მაინც დაისვენონ.

ის-ის იყო დღე დაიწყო, ძლივს გავმართე დაბუჟებული სახსრები, ჩამოვედი ხიდან, ბუჩქიდან გამოვიღე იბის მიერ საგულდაგულოდ ჩაფლული თერმოსი და სიამოვნებით მოვსვი ჩემთვის აგრერიგად საჭირო ჩაი. მალე ჩემი ხალხიც მოვიდა. სანამ ტოტებით ვფარავდით მოზვერს, რომ სვავებისაგან დაგვეცვა, ჩვენგან ნახევარი მილის მოშორებით გორაზე სამჯერ დაიღრინა ვეფხვმა. როცა ბანაკისაკენ მიმავალმა გზად გავიარე თხაკი, მოხუცები შემომეგებნენ და მთხოვეს სულით არ დაცემულიყავი წუხანდელი მარცხის გამო. მათ მითხრეს, ვარსკვლავებზე ვიმკითხავეთ, ვილოცეთ და თუ ვეფხვი დღეს არ დაიღუპება, ხვალ ან ზეგ მაინც აუცილებლად მოკვდებაო.

ცხელმა აბაზანამ და ნოყიერმა საუზმემ ჯანზე მომიყვანა. დღის პირველ საათზე კვლავ სოფელ თხაკის ციცაბო ბორცვზე ავედი. იქ მაცნობეს, სოფლის თავს აღმართულ ბორცვზე რამდენჯერმე ყვიროდა სამბხარიო. ბანაკიდან იმ განზრახვით გამოვედი, რომ ჩავსაფრებულიყავი და მისატყუარად ერთ-ერთი ცოცხალი მოზვერი გამომეყენებინა, და, რომ ვეფხვისათვის ამაოდ არ მეცადა ერთ ადგილას, მაშინ როცა ის თავის ნადავლს სხვაგან შეექცეოდა, მოზვრის ახლოს, სადაც წუხანდელი

ღამე გავატარე, რამდენიმე გაზეთი გავშალე. ჯუნგლებში გადიოდა ბილიკი, რომელზეც მუდამ პირუტყვს მიერეკებოდნენ. გლეხების სიტყვით, სწორედ ამ ბილიკზე ყვიროდა სამბხარი. ბილიკის გვერდით ერთ-ერთ ხევზე დავამაგრე ბაწრისაგან გაკეთებული დასაჯდომი, ფესვზე კი მოზვერი მივაბი. დღის სამ საათზე ხეზე ავცოცდი. ერთი საათის შემდეგ ხეობის ბოლოდან, ჩემგან ათასი იარდის მოშორებით, კარკერის ყვირილი მომესმა, მერე კი ვეფხვის ბრდღვინვა. მოზვერის წინ ერთი დიდი იღლია მწვანე ბალახი ეყარა და მოზვერი მთელი ღამე გაუთავებლად აჟღარუნებდა კისერზე შებმულ ზანზალაკს, მაგრამ მან მაინც ვერ მიიპყრო ვეფხვის ყურადღება. გარიჟრაჟზე მოვიდა ჩემი ხალხი და მიამბო, წუხელი ღრმა ხევში, სადაც ბიჭის წითელი ქუდი და დაგლეჯილი ტანსაცმელი იპოვეს, კარკერისა და სამბხარის ყვირილი ისმოდაო; გლეხების თხოვნით ამ ხევის ქვემო განაპირზე ერთი მოზვერი დავაბით.

ჩუკადან დაბრუნებისას შევიტყვე, იბი ბანაკიდან ჯერ კიდევ გათენებამდე წასულიყო. წინა დღით ცნობილი გახდა, რომ რვა მილის ზემოთ ლადხიის ხეობაში ვეფხვმა ხარი მოკლა. იბიმ მთელი ღამე საფარში გაატარა, მაგრამ ვეფხვი არ უნახავს და მხოლოდ მეორე დღეს გვიან საღამოს დაბრუნდა ბანაკში.

4

დილით, ცოცხალი მოზვრის ახლოს ღამისთევის შემდეგ, როცა მე და ჯინი ვსაუბრობდით, ჩემი ხალხი მოვიდა. მათ ხუთ სხვადასხვა ადგილას დააბეს მოზვრები, და თქვეს, მოზვერი, რომელიც ხევის ქვემო ნაპირთან ება, სადაც წუხელ სამბხარი და ყარკერი ყვიროდა, დაიკარგაო. სანამ ჩვენ ვლაპარაკობდით, ჩუკაში ჩამოვიდა ოლქის სატყეო მოსამსახურე მაკდონალდი, რომელიც იმ დღეს კალადხუნგიდან გადმოვიდა. მან მაცნობა, ხევის ქვემო ნაპირთან, სადაც ჩემი ვარაუდით მოზვერი ება, ვეფხვის ნაკვალევი შევნიშნეო. მისი სიტყვებით, ნაკვალევი ჰგავდა იმას, რომელიც მან თხაკის ახლოს ნახა, როცა ადრე ჩამოვიდა კაციჭამიას მოსაკლავად.

საუზმის შემდეგ ჯინი და მაკი ქვევით მდინარეზე სათევ-

ზაოდ გაეშურნენ, მე და შემ სინგხი კი იმის გამოსარკვევად წავედით, თუ რა დაემართა მოზვერს. გარდა თოკის ნაგლეჯისა და ვეფხვის ნაკვალევისა, არაფერი არ მიუთითებდა იმაზე, რომ მოზვერი მოკლული იყო. ყურადღებით დავაკვირდი და აღმოვაჩინე ადგილი, სადაც მას რქით ეჩიჩქნა მიწა. აქედან იწყებოდა მკაფიოდ გასარჩევი სისხლიანი კვალი. ვეფხვს ან გზა აებნა, ან კვალის დაფარვა სურდა. ეს კია, რომ ძნელად სასვლელ ადგილებში მოზვერი რამდენიმე მილი ათრია და თავის ნადავლიანად იმავე ხევში დაბრუნდა, საიდანაც დაიწყო თავისი გზა. აქ ხევი ათ ფუტამდე ვიწროვდებოდა და, სავსებით შესაძლებელია, რომ ვეფხვი ნადავლიანად ჩაწვა შიგ. რადგანაც ვემზადებოდი მთელი ღამე საფარში გამეტარებინა, გადავწყვიტე მივსულიყავი მეთევზეებთან და მათთან ერთად მესადილა.

ნასადილევს მე და შემ სინგხი უკან დავბრუნდით. ჩვენთან ერთად იყო კიდევ სამი კაცი იმ შემთხვევისათვის, თუ ვიპოვიდი მოკლულ მოზვერს და საფარში დავრჩებოდი: შემ სინგხისათვის ბანაკში მარტო დაბრუნება სახიფათო იყო. მე დავწინაურდი და, როგორც კი ხევს მივუახლოვდი, ვეფხვის ღმუილი მომესმა. იმ ადგილას ხევის ნაპირი ძალიან დაქანებული და ლოდებით სავსე იყო. ვეფხვი ხშირი ბუჩქნარის უკან, ჩემგან ოც იარდზე, ღმუოდა. ჯუნგლებში არაფერია ისეთი საშინალი, როგორც ახლო მყოფი უჩინარი ვეფხვის ღმუილი. იგი აფრთხილებს დაუპატიჟებელ სტუმრებს, რომ ნაბიჯი არ გადადგან წინ. გზის განგრძობა ვიწრო გასასვლელით, როცა ვეფხვს ხელსაყრელი პოზიცია ეკავა, უაზრობა იქნებოდა, და ხალხს წასვლის ნიშანი მივეცი. რამდენიმე წუთს შევიცადე, სანამ ისინი იქაურობას მოშორდებოდნენ, და დავიწყე ნელ-ნელა უკან დახევა. ეს ერთადერთი საიმედო საშუალებაა თავი აარიდო არასასურველ შეჯახებას ყოველ ცხოველთან. როგორც კი სამშვიდობოზე გავედი, დავუსტვინე, ხალხი შეჩერდა და ასი იარდით დაბლა ხევში შევუერთდი მათ. ახლა ზუსტად ვიცოდი, სად იმყოფებოდა ვეფხვი და ვიმედოვნებდი, რომ დავამარცხებდი მას, ამიტომ ხალხს ვუბრძანე მეთევზეებთან დაბრუნებულიყვნენ. მაგრამ მათ ვერ გაბედეს ამის გაკეთება: აშკარა იყო, რომ ვეფხვი, რომლის

ბრდღვინვა ის-ის იყო გავიგონეთ, კაციჭამიაა, და ამიტომ ამჯობინეს ჩემი შაშხანის მფარველობაში დარჩენილიყვნენ. ბანაკში მათ გაცილებას ესაჭიროებოდა არა ნაკლები ორი საათისა. რადგან ჩვენ ვიმყოფებოდით სალის ტყეში და ირგვლივ ერთი ხეც კი არ იყო ისეთი, რომელზეც შეიძლებოდა აცოცება, იძულებული გავხდი მათთვის ნება დამერთო დარჩენილიყვნენ.

ციცაბო ფერდობზე ავედით, ხევიდან ორასი იარდი გავიარეთ და გადავუხვიეთ მარცხნივ. ნაბიჯით კიდევ ორასი იარდი გადავზომე, კვლავ მარცხნივ მოვუხვიეთ და გამოვედით ხევთან ასი იარდით მაღლა იმ ადგილიდან, სადაც ვეფხვი იყო. ახლა პოზიციური უპირატესობა ჩვენ მხარეზე იყო. ვიცოდი, რომ ვეფხვი ქვევით, ხევში, არ ჩამოვიდოდა, იმიტომ რომ სულ რამდენიმე წუთის წინ იქ ხალხი დაინახა. იგი არც ზევით წავიდოდა, რადგან ამ შემთხვევაში გვერდს ვერ აგვივლიდა ჩვენ. მოვეწყვეთ ოცდაათი ფუტის სიმაღლის ხევის თავზე, სადაც არ იყო ბუჩქნარი და ვეფხვს ერთადერთი გამოსავალი რჩებოდა — მოპირდაპირე ბორცვის ფერდობით წასულიყო. ათ წუთს ხევის პირას ვიჯექი და ყურადღებით ვათვალიერებდი ჩვენ წინ მდებარე არემარეს. შემდეგ დავიხიეთ რამდენიმე ნაბიჯით, გავიარეთ ოცდაათი იარდი მარცხნივ და ისევ დავსხედით. ამ დროს ჩემ გვერდით მყოფმა კაცმა მეორე მხარეს მიგვითითა და ჩაიჩურჩულა: „ვეფხვი". მე ვერაფერი დავინახე, ამიტომ ვთხოვე დაწვრილებით ეამბნა, თუ რა დაინახა. აღმოჩნდა, რომ მან შეამჩნია, როგორ შეარხია ვეფხვმა ყურები. ორმოცდაათი იარდის მანძილზე ვეფხვის ყურები ცუდი ორიენტირია, და რადგან გარშემო ყველაფერს ხმელი ფოთლები ეფინა, ვერ შევამჩნიე მხეცი. ხალხის სუნთქვაზე ვგრძნობდი, ისინი ძალიან ღელავდნენ. მალე ერთი მათგანი ადგა, რომ კარგად დაეთვალიერებინა მხეცი. ვეფხვი იმწამსვე წამოხტა და ზევით ფერდობზე გაიქცა. როგორც კი მისი თავი გამოჩნდა ბუჩქიდან, ვესროლე. შემდეგ გამოირკვა, რომ ტყვია შეეხო კისერზე ბალანს და კლდეს მოხვდა. ნამსხვრევებმა აიძულეს ის მაღლა ამხტარიყო. დაცემისას ვეფხვი გაბარდულ მხოხავ მცენარეში გაიხლართა, საიდანაც დიდი ვაივაგლახით გამოიხსნა თავი. დავინახეთ, როგორ ფართხალე-

ბდა, და გადავწყვიტეთ მისი აღსასრული დადგაო. მაგრამ როცა ვეფხვი მაინც ადგა და გაიქცა, იძულებული ვიყავი დავთანხმებოდი შემ სინგხს, რომ იგი დაჭრილიც არ იყო. ხევი გადავჭერი და ვიპოვე ტყვიისგან ჩამოჭრილი გრძელი ბალნის ბღუჯა, კლდიდან მომსხვრეული ნატეხები, დაგლეჯილი მცენარე, მაგრამ ერთი წვეთი სისხლიც კი ვერ აღმოვაჩინე.

თუმცა, შესაძლოა, მე ვცდებოდი; სისხლიდენა ყოველთვის დაჭრისთანავე როდი ეწყება ცხოველს. უნდა მომეძებნა მოკლული მოზვერი, და მაშინ მეორე დღეს გავიგებდი, დავჭერი თუ არა ვეფხვი. მაგრამ მისი პოვნა არც ისე იოლი იყო. ჩვენ ორგზის შემოვიარეთ მთელი უბანი, სანამ აღმოვაჩენდით მოზვერს ოთხი ფუტის სიღრმის წყლით სავსე ორმოში, სადაც ვეფხვს დაემალა იგი, როგორც ჩანს, იმისათვის, რათა ბზიკებისა და ხორციჭამია ბუზებისაგან დაეფარა. სამი კაცი მეთევზეებთან გავგზავნე, — ახლა ეს საფრთხეს აღარ წარმოადგენდა — მე და შემ სინგხი დავიმალეთ მოკლული მოზვრის ახლოს და ჯუნგლებში ატეხილ ხმას მივუგდეთ ყური. რაკი ვერაფერი საინტერესო ვერ გავიგონეთ, ერთი საათის შემდეგ ბანაკში დავბრუნდით. დილაადრიან მე და მაკი გავეშურეთ ხევში, სადაც გამოვარკვიეთ, რომ ვეფხვს თავისი ნადავლი წუმპედან ამოეღო, გვერდზე გაეთრია, შეეჭამა და მხოლოდ თავი და ჩლიქები დაეტოვებინა. ვეფხვის ნაწოლს სისხლის ნაკვალევი არ ემჩნეოდა. ეს იმას ადასტურებდა, რომ იგი არ იყო დაჭრილი.

როცა ბანაკში დავბრუნდით, გვითხრეს მდინარე ლადხიას გაღმა განიერ ხევში მოკლული ძროხა გდიაო; ხალხს ენახა იგი და რტოებით დაეფარა. იბი ჯერ არ დაბრუნებულიყო ზევით მდინარე ლადხიაზე რვა მილის მანძილზე მდებარე სოფლიდან და მეორე საუზმის შემდეგ მე და მაკი ძროხის სანახავად წავედით. გლეხებმა იგი შუადღის ხანს დამალეს. მალე მოვიდა ვეფხვი, მიყარ-მოყარა რტოები და ნადავლი ისე გაიტაცა, რომ ნათრევის კვალიც არ დაუტოვებია. აქ ტყეში მხოლოდ სალის ხეები ხარობს, ბუჩქები არ არის და ჩვენ მთელი საათი დაგვჭირდა, რომ გვეპოვნა გამხმარი ფოთლების ვეებერთელა გროვის ქვეშ დამალული ძროხა. მაკმა გამოიჩინა

დიდი გულმოდგინება, უახლოეს ხეზე მაჰანი გამიკეთა. მე კი ამასობაში რამდენიმე სიგარეტი მოვწიე და მისი წყლით სავსე მათარა გამოვცალე: ტემპერატურა ჩრდილში ფარენგეიტით * 100° აღწევდა, შემდეგ მაკი ხეზე ასვლაში დამეხმარა და ბანაკში დაბრუნდა. ერთი საათი არ გასულა, რომ გავიგონე: ციცაბო ბორცვიდან ხევს უკან ქვა ჩამოგორდა, შემდეგ დავინახე ძუ ვეფხვი ორი ბოკვრით. ეტყობა, ბოკვრები პირველად მიჰყავდა დედას ნადავლთან და უაღრესად საინტერესო სანახავი იყო, რა გულმოდგინედ ცდილობდა ჩაეგონებინა მათთვის, თუ როგორი საშიშროება იმალებოდა იმაში, რასაც ისინი აკეთებდნენ, და როგორი სიფრთხილე მართებდათ ასეთ შემთხვევაში. ბოკვრების ქცევაც არა ნაკლებ საინტერესო გახლდათ. ისინი მხოლოდ დედის ნაკვალევზე მიდიოდნენ და ერთხელაც არ უცდიათ ერთმანეთისათვის გაესწროთ; გვერდს უვლიდნენ ყოველ დაბრკოლებას, რომელსაც გვერდს უვლიდა ძუ ვეფხვი, როგორი უმნიშვნელოც უნდა ყოფილიყო ის, და გაირინდებოდნენ ყოველთვის, როგორც კი რამდენიმე იარდის გავლის შემდეგ დედა შეჩერდებოდა და სმენად იქცეოდა. მიწა დაეფარა აბედივით გამხმარ დიდ ფოთლებს, რომლებზეც შეუძლებელი იყო უხმაუროდ მოძრაობა. მიუხედავად ამისა, ბოკვრები ისე სწევდნენ და ადგამდნენ თათებს, რომ ჩამიჩუმიც არ ისმოდა.

ძუ ვეფხვმა გაიარა ხევი, — მას ბოკვრები ერთი ნაბიჯითაც არ მოსცილებიან, — მოაშურა ჩემს ხეს, შემოუარა ირგვლივ და ისე დაწვა მიწაზე, რომ ნადავლი მის წინ ოცდაათ იარდზე აღმოჩნდა. ეს ნამდვილად ბოკვრებისათვის მიცემული სიგნალი იყო და ისინიც იქით გაეშურნენ, სადაც ძუ ვეფხვი მზერით ანიშნებდა. უეჭველია, დედამ როგორღაც აცნობა ბოკვრებს, რომ აქ მათთვის საჭმელი იყო, მაგრამ მე არ ვიცი, როგორ გააკეთა მან ეს. ბოკვრები წინანდებურად ფრთხილად შეუდგნენ ძებნას, და მთელი თავისი გამომეტყველებით გვიჩვენებდნენ, რომ ეძებდნენ რაღაცას სრულიად გარკვეულად. მე ყოველთვის ვამტკიცებდი, რომ ვეფხვებს არ გააჩნიათ ყნოსვა, და ბოკვრების ქცევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ჩემი

* დაახლოებით +43° C.

სიმართლე. თუმცა ძროხის მოკვლის ამბავი ჩვენ მხოლოდ ამ დილით გავიგეთ, სინამდვილეში ეს წინა დღით მომხდარიყო და, ვიდრე ლეშს დამალავდა, ძუ ვეფხვს მისი დიდი ნაწილი შეეჭამა. როგორც უკვე ვთქვი, საშინლად ცხელოდა, და სწორედ სუნი დაგვეხმარა მე და მაკს აღმოგვეჩინა ცხოველის ლეში. ორი მშიერი ბოკვერი კი წინ და უკან დაძრწოდა და ნადავლიდან ერთი იარდის მოშორებით ათჯერ მაინც გაიარეს, მაგრამ ვერ იპოვეს იგი. მხოლოდ ნადავლზე დასეული ხორცის ბუზების მეოხებით მიაგნეს ბოლოს. ლეშის ნარჩენები ფოთლებიდან რომ გამოათრიეს, ბოკვრები ერთმანეთის გვერდით დახსდნენ და ჭამას შეუდგნენ. ძუ ვეფხვი თვალყურს ადევნებდა ბოკვრებს არა ნაკლები ყურადღებით, ვიდრე მე, და მხოლოდ ერთხელ, როცა ნადავლის საძებნელად ძალიან შორს წავიდნენ, ძუ ვეფხვი გაეხმაურა თავის ბოკვრებს. ნადავლი იპოვნეს თუ არა, დედა გადაბრუნდა ზურგზე და დაიძინა.

სანამ ვუმზერდი, როგორ შეექცეოდნენ ბოკვრები, გამახსენდა ერთი სცენა ტრისულის მთასთან. ეს ამბავი რამდენიმე წლის წინათ მოხდა. ბორცვის თხემზე ვიწექი და საველე დურბინდით მოპირდაპირე მხარეზე აღმართულ ციცაბო კლდეს გავყურებდი. იმედი მქონდა, რომ დავინახავდი თხას— ყველაზე უფრო გაბედულ ჰიმალაის თხას. ვიწრო შვერილზე, მთის ძირსა და მწვერვალს შუაში, თხა და ციკანი შევნიშნე. მათ ეძინათ. მალე დედა ადგა, გაიზმორა, ციკანი უმალვე მივარდა და წოვა დაუწყო, ერთი-ორი წუთის შემდეგ თხამ ციკანი ჩამოიშორა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, გამოზომა და ჩახტა კიდევ უფრო ვიწრო შვერილზე, რომელიც თორმეტი-თხუთმეტი ფუტით დაბლა იყო. მარტოდ დარჩენილი ციკანი კლდეზე აწრიალდა. წამდაუწუმ ჩერდებოდა, უყურებდა დედას, მაგრამ ვერ ბედავდა დადევნებოდა მას — შვერილის ქვეშ რამდენიმე დუიმის მოშორებით ღრმა უფსკრული იყო. მე მათგან ძალიან შორს ვიყავით და არ მესმოდა, იყოლიებდა დედა შვილს გადამხტარიყო თუ არა, მაგრამ იმის მიხედვით, თუ როგორ ეჭირა თავი, ვფიქრობ, რომ იყოლიებდა. ციკანი ძალიან ღელავდა, დედა, კი, ეტყობა, შიშობდა, რაიმე სისულელე არ ჩაიდინოსო, და გადაწყვიტა მასთან დაბრუნებუ-

ლიყო. ავიდა ნაპრალზე, რომელიც შორიდან პატარა ბზარს ჰგავდა გადმოკიდულ კლდეში. დაბრუნდა თუ არა, მაშინვე დაწვა. ალბათ, იმიტომ, რომ მოწოვების საშუალება არ მიეცა. მალე ადგა, ცოტა მოაწოვა და ზუსტად გაანგარიშებული მოძრაობით კვლავ დაბლა ჩახტა. ციკანი ისევ აწრიალდა. ნახევარი საათის განმავლობაში ეს განმეორდა შვიდჯერ, სანამ ბოლოს ბედს მინდობილმა ციკანმა არ გაბედა გადამხტარიყო. მან მშვიდობით მიაღწია შვერილს და ჯილდოდ დედამ მიუშვა — ნებაზე ესვა რძე. გაკვეთილი დამთავრდა. ინსტინქტი დიდ როლს ასრულებს, მაგრამ მხოლოდ დედის უსაზღვრო მოთმინება და შვილის უსიტყვო მორჩილება აძლევს შთამომავლობას საშუალებას მოწიფულობას მიაღწიოს. ძალიან ვნანობ, რომ ვერ მოვახერხე სხვადასხვა ცხოველის სურათი გადამეღო იმ დროს, როცა ისინი იწყებენ თავიანთი შვილების აღზრდას, რადგან ჯუნგლებში ამაზე საინტერესო არაფერია.

როცა ბოკვრები გაძღენ და დედასთან დაბრუნდნენ, ძუ ვეფხვმა დაიწყო მათი გასუფთავება, გადააბრუნ-გადმოაბრუნა და გაულოკა სისხლი, რომლითაც ისინი ჭამის დროს დაისვარნენ. ეს რომ მოათავა, და დარწმუნდა, ბოკვრები გავასუფთავეო, ძუ ვეფხვმა ისინი მდინარე ლადხიას თხელი ფონით გადაიყვანა: მდინარის ამ მხარეზე არ იყო შესაფერისი საფარი და ნადავლიდანაც აღარაფერი დარჩა.

მაშინ არ ვიცოდი, — და რომ მცოდნოდა კიდევაც, ეს არაფერს შეცვლიდა, — რომ ძუ ვეფხვი, რომელსაც ასეთი ინტერესით ვადევნებდი თვალყურს იმ დღეს, შემდგომში, ცეცხლმსროლელი იარაღით დაჭრის შედეგად კაციჭამია გახდებოდა და შიშის ზარს დასცემდა ყველას, ვინც ცხოვრობდა ან მუშაობდა ლადხიას ხეობაში და მის ახლომდებარე სოფლებში.

5

სოფელ თხაკთან მოკლული მოზვერი, რომლის ახლოსაც წინა ღამეს ჩავსაფრდი, სვავებს დაუტოვეს საჯიჯგნად ხეობის ზედა ბოლოში სოფლის დასავლეთით, წინა მსხვერპლიდან ორას იარდზე კი მეორე დააბეს. სამი დღის შემდეგ თხაკის მამასახლისმა მაცნობა, ვეფხვმა ის მოზვერიც მოკლა და გაიტაცაო.

სწრაფად შევიკრიბეთ და შუადღისას მე და იბიმ მთის აღმართი საჩქაროდ ავიარეთ და ადგილზე მივედით. ვეფხვს მოზვერი მოეკლა, გაეწყვიტა ძალიან მაგარი თოკი და ნადავლიანად პირდაპირ ხეობაში წასულიყო. სურსათის საზიდად ორი კაცი წავიყვანეთ. მათ ვუბრძანე ჩვენთან რაც შეიძლება ახლო ევლოთ, და ნაკვალევს გავყევით. მალე აშკარა გახდა, რომ ვეფხვი განსაზღვრულ ადგილას გაეშურა. ორი მილის მანძილზე მოგვიხდა ჭინჭრის, ჟოლოს ბარდნარსა და ხშირ ბუჩქნარში სიარული, ციცაბო დაღმართებზე დაშვება, წაქცეული ხეების ზემოთ ან ქვეშ ძვრომა და კლდეებზე აცოცება. ბოლოს ქოლგის მსგავს ბზის ხესთან მივედით, რომლის ქვეშ პატარა ღრმულში ნადავლი აღმოვაჩინეთ. ჩვენ შეგვაშფოთა იმ გარემოებამ, რომ თუმცა ვეფხვს მოზვერი წინაღამეს მოეკლა, მისთვის პირი არ დაეკარებინა. მაგრამ ვეფხვის მისწრაფება — ნადავლი სწორედ იმ ადგილას მოეთრია — იმას მოწმობდა, რომ თუ არაფერი შეუშლიდა ხელს, იგი უეჭველად დაბრუნდებოდა. მოზვრის ყელზე ვეფხვის ნაკბილარების მიხედვით განვსაზღვრეთ, რომ ეს სწორედ ის კაციჭამია იყო, რომელსაც დავეძებდი.

მას შემდეგ, რაც სოფელ თხაკის აღმართი სწრაფად ავიარეთ, იქიდან კი ხშირი ტყით დაფარულ ძნელად სავალ თავქვეზე დავეშვით, ოფლად გაღვრილებმა გადავწყვიტეთ დავმსხდარიყავით, ცოტა ხანს შეგვესვენა და გვეჭამა. ვჭამდი საჭმელს, ვსვამდი ძალიან ბევრ ჩაის, თან ვათვალიერებდი ჩასასაფრებელ გამოსადეგ ხეს, რომელზეც, თუ საჭირო იქნებოდა, შევძლებდი ღამეც გამეტარებინა. ხევის განაპირას ბორცვის ფერდობთან 45° კუთხით ვეებერთელა ფიკუსი იდგა. მას ღრმად გაედგა ფესვები ამ ტყის ერთ-ერთი უზარმაზარი ხის დამპალი შტამბის ნაწილში, საიდანაც ახალგაზრდა ამონაყარის მთელი წყება დაძრულიყო. ბუმბერაზმა ხემ მათ სიცოცხლე მიანიჭა, თვითონ კი დაიღუპა. ამონაყარმა ერთიმეორეში იწყო შეზრდა და წარმოშვა პარაზიტი ხის შტამბი. მიწიდან ათი ფუტის სიმაღლეზე, სადაც ახალგაზრდა ამონაყარის მწკრივი თავდებოდა, გამხმარი ხის კუნძი დარჩენილიყო. გადავწყვიტე მასზე მოვწყობილიყავი.

მას შემდეგ, რაც დავნაყრდით და თითო-თითო სიგარეტი

მოვწიეთ, იბიმ ჩვენი ხალხი სამოცი იარდით გვერდზე გადაიყვანა, უბრძანა ხეზე აცოცებულიყვნენ, დაერხიათ ტოტები და ისე მოქცეულიყვნენ, თითქოს ისინი მაჰანს აგებდნენ, რომ ამით მიეპყროთ ვეფხვის ყურადღება, თუ იგი სადმე მახლობლად იწვა და გვითვალთვალებდა. ამავე დროს ვცდილობდი რაც შეიძლება ნაკლებად მეხმაურა, ისე ავედი ფიკუსზე. შტამბი, რომელიც შევარჩიე, მოღრეცილი და ხმელი ფოთლებით დაფარული იყო. მე რომ მისი გასუფთავება დამეწყო, ვეფხვი შემამჩნევდა, ამიტომ პირდაპირ ფოთლებზე დავჯექი იმ იმედით, რომ ფუღურეიან ხეში არ იქნებოდა გველი, ნეშოში კი მორიელი. რომ არ ჩამოვვარდნილიყავი, ფეხები წვრილ ტოტებს შუა შევყავი. როცა საბოლოოდ მოვეწყე, ხალხი ხიდან ჩამოვიდა და ხმამაღალი ბაასით იბისთან ერთად წავიდა.

ჩემს ქვემოთ ათი ფუტის მანძილზე მოედანი იყო. მისი სიგრძე ოცი ფუტი იქნებოდა, სიგანე — ათი ფუტი. მოედნის იქით მაღალი ბალახითა და ხშირი ბუჩქნარით დაფარული ბორცვი იწყებოდა, საიდანაც ნაკადულის ჩუხჩუხი ისმოდა. ვეფხვმა აქ საუცხოო ადგილი ჰპოვა თავშესაფრად.

იბის წასვლის შემდეგ თხუთმეტი წუთიც არ ვასულა, რომ შორს ხეობის ბოლოში მაიმუნმა დაიყვირა და ჯუნგლების ბინადარნი გააფრთხილა ვეფხვის იქ ყოფნის შესახებ. რადგან მან არ ასტეხა განგაში, როცა ნათრევის კვალს მოვყვებოდით, ცხადი იყო, რომ ჩვენი მიახლოებისას ვეფხვი თავის ადგილას იყო. მალე მან გადაწყვიტა გამოერკვია, რა ხმები გაისმოდა მისი ნადავლის ახლოს (ჩვეულებისამებრ ასე იქცევიან ვეფხვები). შესაძლოა, ვეფხვი სადმე იქვე იწვა, თუმცა განგაშის ამტეხი მაიმუნი ჩემგან მილის მეოთხედზე იმყოფებოდა — ბუნებამ მაიმუნი იშვიათი მხედველობით დააჯილდოვა.

მოკლული მოზვერი ჩემ მარცხნივ ეგდო. მაიმუნმა მოასწრო რვაჯერ დაყვირება, როცა ჩემ ზურგს უკან მდებარე ბორცვის ფერდობზე ხმელმა რტომ გაიტკაცუნა. თავი მარჯვნივ მოვაბრუნე, ჩემ ზემოთ აღმართულ ამონაყრის მწკრივში გავიხედე და დავინახე ვეფხვი. ის ჩემგან ორმოც იარდზე იდგა და ჩემი ხისკენ იყურებოდა. რამდენიმე წუთს არ განძრეულა, მხოლოდ მზერა გადაჰქონდა იმ ხეზე, რომელზეც

ჩვენი ხალხი აცოცდა. ბოლოს გადაწყვიტა ჩემკენ წამოსულიყო და ფერდობს შეუდგა. ვერც ერთი ადამიანი ვერ შეძლებდა ამ ციცაბო აღმართზე ასვლას ხელების დაუხმარებლად და უხმაუროდ, მაგრამ ვეფხვმა ეს იოლად გააკეთა. იგი ფრთხილად მიიპარებოდა მოედნისაკენ და სულ უფრო მჭიდროდ ეკვროდა მუცლით მიწას. მოედნის ნაპირზე მან ნელა ასწია თავი და ყურადღებით შეათვალიერა ხე, რომელზეც ჩვენი ხალხი ავიდა. როცა დარწმუნდა, რომ მასზე არავინ იყო, მოედანზე გადახტა და თვალს მიეფარა. ვვარაუდობდი, ნადავლთან მივა და ჩემგან მარცხნივ გამოჩნდება-მეთქი. მაგრამ როცა ხმელი ნეშოს შრიალი გავიგონე, მივხვდი: ვეფხვმა ჩემი ხის ქვეშ მოიკალათა.

შემდეგ თხუთმეტ წუთს არ გავნძრეულვარ და არც ვეფხვს ამოუღია ხმა. თავი მარჯვნივ მივიბრუნე, კისერი წავიგრძელე და ამონაყრიდან მისი თავი დავინახე. მე რომ ცრემლი გადმომვარდნოდა, იგი ნამდვილად ცხვირზე დაეცემოდა მას. ნიკაპი მიწაზე დაედო, თვალები დაეხუჭა. უცებ თვალები დაახამხამა, რომ ბუზები გაერეკა, კვლავ დახუჭა და დაიძინა. თოფი მარცხნივ მივიბრუნე. ამ მხარეზე არ იყო არც ახალგაზრდა ამონაყარი და არც ისეთი რტოები, რომლებზეც შემძლებოდა დაყრდნობა.

შექმნილი მდგომარეობა კარგად უნდა ამეწონ-დამეწონა. ხის სიმსხო, რომელსაც ზურგით მივეყრდენი, სამი ფუტი იქნებოდა და სავსებით მფარავდა, ისე რომ ვეფხვი ვერ დამინახავდა. თუ არაფერი აწუხებს, იგი უეჭველად თავისი ნადავლისაკენ გაემართება. საქმე ისაა, როდის გააკეთებს ამას. ცხელი დღე იყო, ჩემი ხის მუქ ჩრდილში ვეფხვი იწვა და თანაც ხეობაში გრილი ქარი ქროდა. ამიტომ მას შეეძლო ძალიან დიდხანს სძინებოდა და ნადავლთან დაღამებამდე არ მისულიყო, და სროლის შესაძლებლობა არ მქონოდა. მაშასადამე, ვეფხვის გამოძინებას ვერ მოვუცდიდი. გარდა ამისა იწურებოდა დრო, რომელიც მე და იბიმ გამოვძებნეთ ამ ნადირობისათვის, რომლის წარმატებით დამთავრებასთან მრავალი ადამიანის სიცოცხლე იყო დაკავშირებული; მეორე ასეთი შემთხვევა იქნებ აღარც მომცემოდა. ერთი სიტყვით, ვეფხვთან დაუყოვნებლივ უნდა გამესწორებინა ანგარიში.

შემეძლო შაშხანის ლულა ამონაყრებს შორის მარჯვენა მხრიდან გამეყო, მაგრამ ლულას იმდენად ვერ დავუშვებდი, რომ ნიშანში ვეფხვის თავი ამომეღო. იოლად ავიდოდი უფრო მაღლა და ამონაყრის ზემოდან ვესროდი, მაგრამ ეს უხმაუროდ არ მოხერხდებოდა. ხმელი ფოთლები, რომელზეც ვიჯექი, ჩემი სიმძიმისაგან განთავისუფლების შემდეგ აშრიალდებოდა. ჩემგან სულ ათიოდე ფუტის მანძილზე კი იმყოფებოდა ჯუნგლების ბინადართა შორის ყველაზე მახვილი სმენის მქონე მხეცი. ამგვარად, თავში სროლა შეუძლებელი იყო.

როცა ორივე ხელით შაშხანა მეჭირა და კისერს მარცხნივ ვჭიმავდი, თითქმის ვეფხვის მთელ კუდსა და უკანა თათის ნაწილს ვხედავდი. აღმოჩნდა, რომ თუ ამონაყარს მარჯვენა ხელით ჩავეჭიდებოდი და წინ გადავიხრებოდი, ვეფხვის სხეულის მესამედს დავინახავდი. ასეთ მდგომარეობაში კიდევაც რომ დამეცვა წონასწორობა, თუ ხელს არ ჩავავლებდი ამონაყარს, მაინც ვერ მოვახერხებდი მძიმედ დამეჭრა იგი. ფიქრი ცხოველის და ისიც მძინარის დასახიჩრებაზე მხოლოდ იმიტომ, რომ მას მოსწონს ნაირნაირი საჭმელი, ჩემთვის საძულველი იყო. მაგრამ, როცა საქმე ეხებოდა კაციჭამიას, გრძნობებს ვერ ავყვებოდი. მრავალი დღე ვეძებდი შემთხვევას ამ ვეფხვის მოსაკლავად, რომ ადამიანები დაღუპვისაგან მეხსნა, და ახლა უფლება არ მქონდა უგულვებელმეყო ასეთი მომენტი მხოლოდ იმიტომ, რომ მისთვის ჯერ ხერხემალი უნდა გადამემსხვრია. მაშ ასე, ვეფხვის ბედი გადაწყვეტილი იყო, თუმცა მისი მოკვლის მეთოდი სულსა და გულს არ უდგებოდა. ჩანაფიქრი რაც შეიძლება სწრაფად უნდა განმეხორციელებინა, რადგან მსხვერპლის გადატანისას ვეფხვმა ორი მილი სიგრძის ნაკვალევი დატოვა და რომელიმე მშიერ დათვს შეეძლო ნადავლს წაწყდომოდა, ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო მისი გამოჩენა და ყველაფერი ჩაიშლებოდა. დავიკავე საჭირო მდგომარეობა, ნელა გავშალე ამონაყარზე ჩაჭიდებული თითები, შემდეგ ორივე ხელით ავიღე შაშხანა, დავუმიზნე და ვესროლე. როცა ჩემი 450/400-ყალიბიანი სწრაფმსროლელი შაშხანის სასხლეტს ვაწვებოდი, მისი კონდახი ცისაკენ იყო აშვერილი, მზერა კი სამიზნე ჩარჩოს მივაპყარი. უკუდარტყმისას ხელი მეტკინა, მაგრამ თითები

და მაჯა არ დამზიანებია; როცა ვეფხვი სხეულის წინა ნაწილით ავარდა და დაიწყო ზურგით დაცურება ბორცვზე, სწრაფად შემოვბრუნდი და მეორე ლულიდან ტყვია გულში დავახალე. თავს არ ვიგრძნობდი საშინელ მკვლელად, რომ პირველი გასროლის შემდეგ ვეფხვს ღმუილი და ბორგვა დაეწყო, მაგრამ, როგორც კეთილშობილ ცხოველს შეჰფერის, მას ხმა არ ამოუღია, და მეორე გასროლის შემდეგ მოკვდა.

როცა იბი მიდიოდა, მას განზრახული ჰქონდა ჩასაფრებულიყო სოფელ თხაკთან, ოთხი დღის წინათ მოკლული მოზვრის ახლოს, — სვავებმა მას რატომღაც პირი არ დააკარეს. იბი ვარაუდობდა, თუ ვეფხვმა დაინახა, როგორ ავცოცდი ფიკუსზე, ამ ნადავლს აღარ მიეკარება, ძველს დაუბრუნდებოდა და იქ მოვკლავო. თოფის ზედიზედ ორი გასროლა რომ გაიგონა, იბი ჩემკენ გამოეშურა, იფიქრა დახმარება დამჭირდებოდა. ერთმანეთს ფიკუსიდან ნახევარ მილზე შევხვდით და ერთად წავედით ვეფხვის სანახავად. ეს იყო სულ ცოტა ცხრა ფუტისა და ექვსი დუიმი სიგრძის დიდი, ლამაზი, ჯანსაღი ხვადი. მარჯვენა ქვედა დიდი კბილი მართლაც მოტეხილი ჰქონდა; მოგვიანებით ვეფხვის სხეულის სხვადასხვა ნაწილში რამდენიმე საფანტი ვიპოვე.

ვეფხვი ძალიან მძიმე აღმოჩნდა და ჩვენ ორმა ვერ შევძელით მისი ბანაკში მიტანა. ამიტომ ბალახები, რტოები, ნაფოტები დავაყარეთ, ზედ ლოდები დავაწყეთ, რომ დათვებისაგან დაგვეცვა, და წავედით. ცნობა იმის შესახებ, რომ კაციჭამია მოკლეს, ღამით ელვის სისწრაფით მოედო მთელ ახლო-მახლო სოფლებს, და მეორე დილას, როცა ვეფხვი გასატყავებლად ფიკუსის ხესთან გადმოვიტანეთ, ჩვენ გარშემო თავი მოიყარა ასზე მეტმა კაცმა და ბავშვმა, რომელთაც სურდათ ენახათ ვეფხვი. მათ შორის იყო ჩუკელი კაციჭამიას უკანასკნელი მსხვერპლის ძმა, ათი წლის ბიჭუნა.

ტალადეშის კაციჭამია

1

ჰიმალაის მთისწინეთზე ვერ ნახავთ ბანაკისათვის იმაზე უფრო ლამაზ ადგილს, ვიდრე ბინდუკხერის მახლობელ ტყეშია, „ცეცხლმოდებულ“ ხეებს შორის, განსაკუთრებით მათი ყვავილობის დროს. წარმოიდგინეთ ნარინჯისფერ ყვავილნარში ჩაფლული თეთრი კარვები; წითლად და ოქროსფრად შებუიბვლილი ურიცხვი ფრინველი — გრძელბოლოიანი თუთიყუშები ვარდისფერი თავებით, ოქროსფერი მოლაღურები, ღია ყვითელზურგიანი კოდალები, ქოჩორა დრონგოები, რომლებიც ხიდან ხეზე დაფრინავენ, ტოტებს არხევენ და ძირს დაცვენილი ყვავილებით მიწას ღია ნარინჯისფერ ხალიჩას ამსგავსებენ. უკანა პლანზე ხშირი ტყით დაფარული ბორცვე-

ბია, მის ზემოთ ერთმანეთზე მთათა თხემები მიჯრილან, უფრო მაღლა კი მუდმივი თოვლით დაფარული ჰიმალაის მწვერვალებია. წარმოიდგინეთ ყოველივე ეს, და თვალწინ დაგიდგებათ ჩვენი ბანაკი ბინდუკხერში, როგორიც ის გახლდათ 1929 წლის თებერვლის დილით.

ბინდუკხერი ადგილის სახელწოდებაა, სადაც, ჩვეულებრივ, ბანაკებს აწყობენ ხოლმე. ეს ადგილი სიგრძით თორმეტი, სიგანით ათი მილია და ბალახით დაფარული ვრცელი ვაკის ნაპირზე მდებარეობს. როცა კუმაონის ადმინისტრაციას სერ ჰენრი რამსეი მეთაურობდა, მაშინ მთელ ამ მიწას ამუშავებდნენ; ხოლო იმ დროისთვის, რომელსაც ჩემი მოთხრობა ეხება, აქ მხოლოდ სამი პატარა სოფელიღა დარჩა. თვითეულ მათგანს რამდენიმე აკრი სახნავი მიწა ჰქონდა. სახნავი ადგილები გაფანტული იყო მდინარის ნაპირების გასწვრივ, მდინარისა, რომელიც მდორედ მიიკლაკნება დაბლობზე. ჩვენს მისვლამდე რამდენიმე კვირით ადრე ვაკეზე ბალახი გადატრუსულიყო. მხოლოდ ნოტიო ადგილებში მოჩანდა მწვანე კუნძულები. სწორედ აქ ვვარაუდობდით ნადირის პოვნას, რისთვისაც ბინდუკხერში ერთი კვირით ჩამოვედი. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში არა ერთხელ მინადირია ამ ადგილებში და აქ მიწის თითოეულ მტკაველს ვიცნობდი, ამიტომ ნადირობის ხელმძღვანელობა მე დამავალეს.

ტერაიების* დაბლობებში გარეულ ფრინველთა ხოცვა, როცა კარგად გაწვრთნილი სპილოს ზურგზე ზიხარ, ნადირობის ერთ-ერთი სასიამოვნო სახეობაა. როგორ ხანგრძლივაც უნდა გაგრძელდეს ნადირობა, თითოეული წამი საინტერესოა, აღსავსეა მღელვარებითა და განცდებით. გარდა სხვადასხვა სახეობის ფრინველისა, იღბლიან დღეებში ჩვენ გვქონდა შემთხვევები მოგვეკლა თვრამეტი სახეობის ფრინველი და ცხოველი, მოყოლებული მწყერითა და ჩიბუხათი, გათავებული ჯიქითა და ჭაობის ირმით. ირგვლივ ხედავთ ფრთოსანთა მთელ სამყაროს, რომელსაც ქვეითად ნადირობის დროს ვერ ამჩნევთ.

თებერვლის იმ დილას — ჩვენი ნადირობის პირველ დღეს

---

* ტ ე რ ა ი — ჰიმალაის მთისწინეთის ვიწრო ვაკობი ნაწილი.

ბანაკში ცხრა მონადირე და ხუთი მეთვალყურე ვიყავით. საუზმის შემდეგ სპილოებზე ავედით და გავამწკრივეთ ისინი. მე მწკრივის ცენტრში დავიკავე ადგილი. სამხრეთისკენ დავიძარით. მარჯვენა მხრიდან ორმოცდაათ იარდზე მწკრივს მიუძღოდა მონადირე, რომელსაც ტყისაკენ გზა უნდა გადაეღობა ჩვენი მიახლოების დროს ბალახიდან აფრენილი ფრინველისათვის. სხვადასხვა სახეობის ფრინველებზე ნადირობის დროს თუ თქვენ გექნებათ საშუალება შეარჩიოთ ადგილი მწკრივში, აირჩიეთ გვერდითი მხარე, მხოლოდ იმ პირობით, რომ კარგად უნდა ისროდეთ როგორც გლუვლულიანი თოფით, ისე შაშხანით. სპილოების მიერ აფრენილი ფრინველი ნაპირს ეტანება. მაგრამ ძალიან ძნელია ფრინველს ან ცხოველს მოახვედრო მას შემდეგ, რაც მას სხვებმა ესროლეს.

ჯუნგლების სურნელით გაჟღენთილი ღილის სუფთა ჰაერი შამპანურივით გცემთ თავში. ასევე მოქმედებს ის ფრინველებზეც.

ამის შედეგად მონადირეებსა და ფრინველებს მიდრეკილება აქვთ გამოიჩინონ ზედმეტი სიფიცხე. მეტისმეტად სულსწრაფი მონადირე, მით უმეტეს, თუ ის ესვრის მფრთხალ ფრინველს, ვერასოდეს ვერ გაავსებს ჩანთას ნანადირევით. ამიტომ ნადირობის პირველი წუთები კარგ ამინდშიც კი ისევე უშედეგოა, როგორც ნადირობის დასასრული, როცა კუნთები და თვალები გადაღლილია ზედმეტი დაძაბულობისაგან. იმ დღეს ფრინველი ძალზე ბევრი იყო, და მას შემდეგ, რაც მონადირეთა სულწასულობა დაცხრა, საქმე უკეთესად წარიმართა. ტყის ნაპირზე პირველი გავლის დროს ჩვენ მოვკალით ხუთი ფარშევანგი, სამი გარეული წითელი ქათამი, ათი შავი და ოთხი ნაცარა კაკაბი, ორი ბუჩქნარის მწყერი და სამი კურდღელი, მაგრამ ხელიდან გაგვისხლტა კარგი სამბხარი, რომელიც ტყეში მანამდე მიიმალა, სანამ რომელიმე ჩვენგანი მის ნიშანში ამოღებას მოასწრებდა.

იმ ადგილას, სადაც ტყე, თითქოს გრძელი ენაა, რამდენიმე ასეულ იარდზე დაბლობშია შემოჭრილი, ვუბრძანე შევჩერებულიყავით. ეს ტყე განთქმულია იმით, რომ აქ წელიწადის ყოველ დროს მრავალი ფარშევანგი და გარეული ქათამი იცის. მაგრამ ეს ტყე დასერილია წყლის ღვარებით წარ-

მოქმნილი ღრმა ხევებით; ეს ხელს გვიშლიდა სწორი მწყობრით გვეევლო და ამიტომ გადავწყვიტე ამ ტყეში არ შევსულიყავი, მით უფრო, რომ თან ერთი გამოუცდელი მონადირე გვახლდა — იმ დილას მან პირველად გაისროლა სპილოს ზურგიდან. აქ რამდენიმე წლის წინათ უინდხემთან ერთად ვნადირობდი ვეფხვზე და პირველად დავინახე ღია მოწითალო ღამურა. ეს ლამაზი არსებანი ერთი ადგილიდან მეორეზე გადაფრენისას საუცხოო პეპლებს წააგავან და, რამდენადაც ვიცი, მხოლოდ ხშირ მაღალ ბალახში გვხვდებიან.

მას შემდეგ, რაც სპილოები შედგნენ, ისინი მოვაბრუნე და გავუყენე გზას აღმოსავლეთისაკენ. როცა უკანასკნელმა სპილომ გაიარა ის ნაკვეთი, სადაც ცოტა ხნის წინათ აგვიფრინდა ფრინველი, კვლავ შევაჩერე ისინი და ჩრდილოეთისაკენ შემოვაბრუნე. შორს აზიდულიყო ჰიმალაი, ხოლო პირდაპირ ჩვენ წინ ჰაერში ეკიდა მზისგან გაჩახჩახებული თეთრი ღრუბელი, რომელიც ისე სქელი ჩანდა, რომ ზედ შეეძლოთ თავისუფლად ეცეკვათ ანგელოზებს.

ჩვიდმეტი სპილოს მწკრივის სიგრძე დამოკიდებულია ადგილმდებარეობაზე, სადაც ნადირობა წარმოებს. იქ, სადაც ხშირი ბალახია, მწკრივს ას იარდამდე ვამცირებდი, ხოლო ნაკვეთზე, სადაც თხელი ბალახი იყო, მწკრივს ორჯერ ვზრდიდი. გავიარეთ დაახლოებით ერთი მილი ჩრდილოეთისაკენ, კიდევ ოცდაათი ფრინველი და ჯიქი მოვკალით, უცებ ჩვენ წინ მიწის ბუ აფრინდა. რამდენიმე თოფი გავარდა, ვიდრე მონადირეები მოისაზრებდნენ, თუ რა ფრინველი იყო ის. მიწის ბუ სიდიდით ორჯერ დიდია კაკაბზე. ჩვეულებრივ ბუზე უფრო გრძელი ფეხი აქვს და ფრენის დროს თეთრად მოჩანს. ბინადრობს ქვეწარმავლების ან მაჩვზღარბის მიერ მიტოვებულ სოროებში. სპილოების მიახლოებისას ისინი, ჩვეულებრივ, გადაფრინდებიან ხოლმე წინ ორმოცდაათი-ასი იარდის მანძილზე. დაფრინავენ დაბლა, მიწის ზედაპირთან ახლო და სხდებიან. მე მგონია, ისინი ამას იმიტომ აკეთებენ, რომ დაელოდონ, სანამ სპილოები გასცილდებიან მათ სოროებს, რადგან მწკრივის მეორედ მიახლოების დროს ბუები უსათუოდ უკან ბრუნდებიან. მაგრამ ჩვენ მიერ იმ დილით აფრენილი ბუ სულ სხვანაირად მოიქცა. გაფრინდა წინ ორმოცდაათი

თუ სამოცი იარდის მანძილზე, ერთბაშად დაიწყო მცირე წრეებად სიმაღლის აღება. მიზეზი გამოირკვა ერთი წუთის შემდეგ, როცა ტყის მარცხენა მხრიდან სწრაფად მფრინავი შევარდენი გამოჩნდა. ბუს აღარ შეეძლო თავი შეეფარებინა სოროში და ახლა თავგანწირვით იბრძოდა, რომ შევარდენზე მაღლა ყოფილიყო. ფრთების ხშირი ქნევით ის მაღლა ავარდა. ამასობაში შევარდენი ფართოდ გაშლილი ფრთებით წყნარად გარს უვლიდა თავის მსხვერპლს და დინჯად იღებდა სიმაღლეს. ჩვენ თვალს არ ვაშორებდით ამ საინტერესო სცენას და შევწყვიტე ნადირობა.

ძნელია სიმაღლე განსაზღვრო, თუ მას არ შეადარებ რამეს. ორივე ფრინველი დაახლოებით ათასი ფუტის სიმაღლეზე იყო, როცა ბუმ რომელიც ისევ წრიულად ფრინავდა, დაიწყო თანდათანობით მიახლოება თეთრ ღრუბელთან. მეჩვენებოდა, თითქოს ანგელოზებმა შეწყვიტეს ცეკვა, რომ დახმარებოდნენ — უკანასკნელი ღონე მოეკრიბა და მათ ღრუბლებში მიმალულიყო. შევარდენი მიუხვდა ბუს განზრახვას, შეავიწროვა ფრენის წრე, დაიწყო სწრაფად მაღლა ასვლა. მოასწრებს ბუ ღრუბლებში თავის შეფარებას, თუ შევარდნის მიახლოება აიძულებს მას დააკარგვინოს ნებისყოფა, ქვასავით დაეშვას ძირს, რომ ამაო დაძაბულობის შედეგად მიაღწიოს დედამიწას და თავშესაფარი ჰპოვოს სოროში?

ნადირობის ზოგიერთმა მონაწილემ საველე დურბინდს სტაცა ხელი. მწკრივში სხვადასხვა ენაზე გაისმა აღელვებული შეძახილები:

— ვერ მოასწრებს!

— მოასწრებს, მოასწრებს!

— უკვე სულ ახლოა!

— შეხედე, შეხედე, შევარდენი ეწევა!

და უცბად ღრუბლების ფონზე მხოლოდ ერთი ფრინველი დარჩა. ყოჩაღ! აი, რა ყოჩაღი ყოფილა! ბუმ გაიმარჯვა. სანამ ხალხი ქუდებს იქნევდა და ტაშს უკრავდა, შევარდენი ფრთაგაშლილი მოხდენილად შემობრუნდა და ნელა დაეშვა იმ ხეზე, რომლიდანაც აფრინდა.

წინასწარ ვერასოდეს ვერ გამოიცნობ, როგორ გამოეხმაურება ადამიანი ამა თუ იმ მოვლენას. იმ დილით ნადირობის

მონაწილეებმა თვალი არ დაუხმარებიათ, ისე მოკლეს ორმოცდათოთხმეტი ფრინველი და ოთხი ცხოველი — მეტს დახოცავდნენ, რომ ყოველი გასროლა მიზანს მოხვედროდა. ახლა კი ყველა მონადირე და სპილოების გამრეკიც აღტაცებულნი იყვნენ, რომ მიწის ბუ შევარდენის ბრჭყალებში არ ჩავარდა.

დაბლობის ჩრდილოეთ ბოლოს სპილოები კვლავ სამხრეთისკენ შემოვაბრუნე, რომ ისინი იმ ნაკადულის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ გამეტარებინა, რომელიც სამი სოფლის ყანებს რწყავს. აქ ნესტიან ნიადაგზე ხშირი ბალახი იზრდებოდა და ყველას შაშხანები მომზადებული ჰქონდა, რადგან ამ რაიონში ჭაობის ბევრი ირმები ბინადრობდა და ჯიქებიც გვხვდებოდა.

როცა დაახლოებით ერთი მილი გავიარეთ და მოვკალით კიდევ ხუთი ფარშევანგი, ოთხი მამალი სავათი (დედლებზე ნადირობა აკრძალული იყო), სამი ჩიბუხა და ერთი ჭაობის ლამაზრქებიანი ირემი, ჩემ უკან სპილოზე მჯდომმა მეთვალყურემ „შემთხვევით“ გაისროლა მძიმე სწრაფმსროლელი შაშხანა. თოფის წამლის გაზმა შემიტრუსა მარცხენა ყური და დამიზიანა ყურის დაფის აპკი. ამ თებერვლის დღის დანარჩენი ნაწილი ჩემთვის ტანჯვად გადაიქცა. ბოლოს, თეთრად გათენებული ღამის შემდეგ, როცა ბანაკს ჯერ კიდევ ეძინა, მოვიმიზეზე, სახლში სასწრაფო სამუშაო მაქვს-მეთქი და გარიჟრაჟზე ოცდახუთმილიანი გზით კალადხუ'გში ფეხით წავედი.

კალადხუნგში ექიმმა, უნარიანმა ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც ახლა ხანს მიეღო სამედიცინო განათლება, დამიდასტურა შიში, დაადგინა, რომ დაფის აპკი გამისკდა. ერთი თვის შემდეგ გადავედით საზაფხულო სახლში ნაინი ტალში. რამსეის სახელობის საავადმყოფოში ოლქის ექიმმა პოლკოვნიკმა ბარბერმა ვამისინჯა ყური და იგივე დიაგნოზი დასვა. მალე გამომივიდა ჩირქოვანი მუწუკი. ეს ჩემზე ნაკლებად როდი აწუხებდა ჩემ ორ დას, მაგრამ რადგან საავადმყოფოში მეტს ველარაფერს გამიკეთებდნენ, გადავწყვიტე, მიუხედავად დების სურვილისა და პოლკოვნიკ ბარბერის რჩევისა, გავმგზავრებულიყავი.

ეს უბედური შემთხვევა გავიხსენე არა იმისათვის, რომ მკითხველის თანაგრძნობა გამომეწვია, არამედ იმიტომ, რომ პირდაპირი კავშირი აქვს ტალადეშის კაციჭამიას ამბავთან, რაზეც მინდა ახლა გიამბოთ.

2

1929 წელს ალმორისა და ნაინი ტალის კომისრებად იყვნენ ბილ ბეინესი და ჰემ ვივიანი. ორივე ოლქის მოსახლეობა გაწამებული იყო კაციჭამიებისაგან: პირველი — ტალადეშის. მეორე ჩოუგარხის კაციჭამია ვეფხვისაგან.

ვივიანს დავპირდი, ვეფხვს ჯერ შენს ოლქში მოვსპობ-მეთქი, მაგრამ ვინაიდან იმ თვეებში ის ნაკლებ აქტივობას იჩენდა, ვიდრე ბეინესის ოლქის ვეფხვი, ვივიანის თანხმობით გადავწყვიტე ჯერ ბოლო მომეღო ტალადეშელი ვეფხვისათვის. ვიმედოვნებდი ეს ნადირობა დამეხმარებოდა ავადმყოფობის გადატანასა და ნაწილობრივი სმენის დაკარგვით გამოწვეულ ჩემს ახალ მდგომარეობასთან შეგუებაში. მაშ ასე, მე ტალადეშში გავემგზავრე.

მე მანამდე არ დავიწყე ტალადეშის ვეფხვზე მოთხრობის წერა, ვიდრე არ დავამთავრე წიგნი „ჯუნგლების ბატონ-პატრონი". ამ მოთხრობის გამოქვეყნება მანამდე, სანამ მკითხველი გაეცნობა წიგნს და გაიგებს იქიდან, თუ რა ვისწავლე ბავშვობისა და ყმაწვილობის წლებში (მაგალითად, როგორ მევლო ჯუნგლებში, როგორ მესარგებლა იარაღით) — ნიშნავდა ჩემ მიერ მოთხრობილი ამბები საეჭვო გამეხადა იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ამ დროს კუმაონში არ ყოფილან. ხოლო მას შემდეგ, რაც ჩემი ანდრინდელი მოთხრობები მკითხველმა სრული ნდობით მიიღო, არ მსურდა მათ ჩემდამი ნდობა დაეკარგათ.

მალე დავამთავრე სამზადისი და 4 აპრილს დავტოვე ნაინი ტალი ექვსი გარხვალელის თანხლებით. მათ შორის იყვნენ მადხო სინგხი, მზარეული ელახაი და ბრაჰმანი განგა რამა, რომელიც სხვადასხვა სამუშაოს ასრულებდა და ძალიან სურდა ჩვენთან წამოსვლა. კატხგოდამდე თოთხმეტი მილი გავიარეთ, საღამოს მატარებელში ჩავსხედით, ბარეილსა და

პილიბჰიტზე გავლით მეორე დღის შუადღის ხანს ტანაკპურში ჩავედით. იქ შემხვდა პეშკარი და მაცნობა, გუშინ ტალადეშის კაციჰამიამ ბიჭი მოკლაო. მისგანვე შევიტყვე, რომ ბეინესის განკარგულებით ტალადეშში ჩამპავატზე გავლით გაგზავნეს ორი მოზვერი, რომლებიც ვეფხვის მისატყუებლად იყო განკუთვნილი. მას შემდეგ, რაც ჩემმა თანამგზავრებმა საჭმელი მოამზადეს და ისაუზმეს, მე კი საფოსტო ბუნგალოში შევნაყრდი, კარგი განწყობილებით გავემგზავრეთ კალადხუნგში (არ აგერიოთ კალადხუნგიში), და ვვარაუდობდი საღამომდე ოცდაოთხი მილი გაგვევლო.

პირველი ოცი მთელი — ბარამდეოზე გავლით პურგაგირის წმინდა მთის ძირამდე — გზა თითქმის მთლიანად ტყეში გადის. მთის ძირთან გზა თავდება და კალადხუნგში მისვლა ორი გზით შეიძლება. ერთი უფრო გრძელი—ციცაბო ბილიკით შეგიძლია ახვიდე მთის მარცხენა ფერდობზე პურნაგირის ტაძრებამდე, გადალახო ქედის განშტოება და კალადხუნგთან დაეშვა. მეორე — უნდა გაიარო ერთი მილიონი კუბური ფუტი სალის ხის გადასატანად გაყვანილ კოლიერის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის გასწვრივ. რაზეოაც უკვე ზიმოო გიამბეთ. წინათ მდინარე სარდის ხეობაში გამავალი ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის ნაწილი ნიაღვარმა ჩამორეცხა, კლდოვანი მთის ფერდობზე გაჭრილი მონაკვეთი კი შემონახულია. ეს გადასვლა ძალიან ძნელი იყო ექვსი მძიმედ დატვირთული გარხვალელისათვის, და დაღამებამდე მხოლოდ ნახევარი ხეობის გავლა შევძელით. მოსალოდნელი ზვავის ჩამოწოლის გამო დასასვენებელი ადგილის მონახვა არცთუ ისე ადვილი აღმოჩნდა. ბოლოს ვიწრო შვერილზე გადმოკიდებული კლდის ქვეშ მოვეწყეთ, რომელიც მთიდან ჩამოცვენილი ქვებისაგან გვიცავდა. გადავწყვიტეთ ღამე აქ გაგვეტარებინა. ნასადილევს, სანამ ჩემი თანამგზავრები საჭმელს იმზადებდნენ, ნაფოტებითა და ძელის ნამტვრევებით ცეცხლი დავანთე, გავიხადე და სამგზავრო საწოლში დავწექი. ეს იყო ერთადერთი საბანაკო მოწყობილობის საგანი, გარდა კარავისა და ტაშტისა, რომლებიც თან მქონდა წამოღებული.

განვლილი დღე ცხელი იყო; ტანაკპურში მატარებლიდან რომ ჩამოვედით, დაახლოებით თექვსმეტი მილი გავიარეთ. სა-

ამო დაქანცულობას ვგრძნობდი, ნასადილევს ტკბილად ვაბოლებდი სიგარეტს, რომ უცბად მდინარის გაღმა სამი კაშკაშა წერტილი დავინახე. ნეპალში ყოველ წელს იწვის ტყეები, ამასთან ხანძარი იწყება აპრილში, და მე გადავწყვიტე, ხეობაში ამოვარდნილმა ქარმა ნაკვერჩხლები გააღვივა-მეთქი. ვიდრე მშვიდად ვადევნებდი თვალს სამ წერტილს, ცოტა ზევით კიდევ ორი წერტილი გამოჩნდა. მალე ერთმა მათგანმა, მარცხენამ, ნელა იწყო დაშვება ქვემოთ და იმ თავდაპირველი სამიდან შუა წერტილს შეუერთდა. ჩემთვის ნათელი გახდა, რომ შევცდი, როცა ეს ჩირაღდნები ხანძრის ალად მივიჩნიე. ყველა ისინი ერთნაირი სიდიდისა იყო — დაახლოებით ორი ფუტი დიამეტრი ჰქონდათ და თანაბრად ანათებდნენ, უალოდ და უკვამლოდ. ცოტა ხნის შემდეგ, როცა მათმა რაოდენობამ იმატა — ერთნი გამოჩნდნენ მარცხნივ, მეორენი მაღლა ფერდობზე, — ეს უჩვეულო ამბავი თავისთავად აიხსნა: როგორც ჩანს, ვიღაც მდიდარმა ნადირობის დროს ძვირფასი ნივთი დაჰკარგა და ახლა ხალხი ფარნებით გაგზავნა მის საძებნელად. ცხადია, რომ ეს ახსნა უჩვეულოა, მაგრამ მარად თოვლიანი მთების მწვერვალებიდან წამოსული მდინარის მეორე ნაპირზე განა ცოტა რამ ხდება ისეთი, რაც ჩვენი შეხედულებით საოცრებაა?

ჩემი თანამგზავრებიც დაინტერესდნენ ჩირაღდნებით. მდინარე ჩუმად მოედინებოდა, წყნარი ღამე იყო. მე ვკითხე მათ, ხომ არ გაგიგონიათ ხმები ან რაიმე ხმაური-მეთქი — ხეობის მეორე ნაპირამდე ას ორმოცდაათი იარდი მაინც იქნებოდა. მათ მიპასუხეს, არაფერი გვსმენიაო. თავის ტეხა იმის გამოსაცნობად, თუ რა ხდებოდა მოპირდაპირე ბორცვზე, უნაყოფო იყო. ყველანი დავიღალენით დაძაბული დღის შემდეგ და მალე ბანაკი ძილს მიეცა.

ღამით კლდიდან ერთხელ გადმოგვძახა შეშფოთებულმა გხორალმა, მოგვიანებით ჯიქის ღმუილი მოგვესმა.

წინ გრძელი გზა გვედო, მთაზე ძნელად სავალი აღმართებით, და ჯერ კიდევ საღამოს გავაფრთხილე ჩემი მხლებლები, ბანაკიდან დილაადრიანად გავალთ-მეთქი. როგორც კი აღმოსავლეთით ირიჟრაჟა, ცხელი ჩაი მომიტანეს. სამგზავროდ მზადება დიდ დროს არ მოითხოვს, როცა სულ რამდენიმე ქვაბისა

და ტაფის ჩალაგება, შეფუთვა და სამგზავრო საწოლის დაკეცვაა საჭირო. მას შემდეგ, რაც მზარეული და მებარგულე გარხვალელები დაწალიკებით დაეშვნენ თხის ბილიკით ღრმა ხევში, რომელზეც კოლიერის დროინდელი რკინის ხიდი იყო გადებული, კიდევ ერთხელ შეეხედე ბორცვს, სადაც წუხელ ცეცხლი დავინახეთ. მზე უკვე ამოდიოდა და შორეული საგნები კარგად ჩანდა. ყურადღებით შევათვალიერე ამ ადგილის თითოეული ფუტი ბორცვის მწვერვალიდან მოყოლებული წყლამდე და წყლიდან მწვერვალამდე. ჯერ თვალით ვაკვირდებოდი, შემდეგ საველე დურბინდით. ადამიანის არავითარი კვალი არ ჩანდა, არც ჩემი თავდაპირველი ვარაუდი გამოდგა სწორი: ალის რაიმე ნიშნები მე არ აღმომიჩენია. ერთი თვალის გადავლებით აშკარა გახდა, რომ მცენარეულობას აქ უკანასკნელი წლის მანძილზე ხანძარი არ შეხებოდა. ბორცვი ქვიანი იყო და მხოლოდ რამდენიმე მჭკნარი ხე და ბუჩქი იზრდებოდა იმ ადგილებში, სადაც შეეძლოთ ფესვი გაედგათ რომელიმე ნაპრალსა ან ნაბზარში. იქ, სადაც გუშინ ჩირაღდნები ანათებდა, კლდე აზიდულიყო და ზედ ადამიანი ვერ ავიდოდა, თუ ზემოდან თოკით არ ჩაუშვებდნენ...

ცხრა დღეში ჩემი მისია შევასრულე და ღამის გასათევად კალადხუნგში გავჩერდი. კუმაონში ცოტაა ისეთი ადგილი, რომლებსაც ბუნების სილამაზისა და თევზაობის მოყვარული შეადარებდა კალადხუნგს. კოლიერის მიერ იმ ხანებში აშენებულ ბუნგალოსთან, — როცა ნეპალიდან ინდოეთში ხე-ტყე გაჰქონდათ, — დაქანებული დიდი ტერასებით მდინარე სარდისკენ ეშვება. ამ ტერასებს ოდესღაც ამუშავებდნენ, ახლა კი მთლად ბალახით არის მოდებული. დილა-საღამოს აქ ბალახობენ სამბხარები და ჩიტალები*, ბუნგალოს უკან მშვენიერ ტყეებში ჯიქები და ვეფხვები ბინადრობენ, არის მრავალი ფრინველი, ფარშევანგების, გარეული ქათმებისა და ხოხობი კალიჯების ჩათვლით. დიდი წყნარი წყალსატევები და ბუნგალოს ოდნავ ქვემოთ სარდას სწრაფი ჩქერები საუკეთესო ადგილებია სათევზაოდ როგორც მსხვილი მისატყუარიანი სპინინგით, ისე ანკესით

---

* ჩ ი ტ ა ლ ი — ხალებაანი ირემი.

როცა კალადხუნგი დავტოვეთ, განგა რამი მთის ბილიკით პურნაგირში წავიდა, დანარჩენები, მდინარე სარდას ხეობაზე გავლით, უფრო მოკლე გზით გაეშურნენ. განგა რამს ათი მილით ჩვენზე მეტი უნდა გაევლო, რომ ჩვენი შესაწირავი პურნაგირის სალოცავის საკურთხეველზე მიეტანა. წასვლის წინ დავავალე მას ბარემ გაეგო ადგილობრივი მღვდლებისაგან ცეცხლის შესახებ, რომელიც ტალადეშის გზაზე დავინახეთ. იგი იმ საღამოსვე შემოგვიერთდა ტანაკპურში და გადმომცა თავისი საკუთარი დაკვირვებანი და ყველაფერი, რაც მღვდლებისაგან შეიტყო.

პურნაგირის სამლოცველოსკენ, — სადაც ყოველდღე ათიათასობით მლოცველი მიედინება ქალღმერთის ბჰაგვატის თაყვანისაცემად, ორი გზა მიდის. ერთი ბარამდეოდან, მეორე კალადხუნგიდან. ორივე გზა ერთმანეთს გადაკვეთავს მთის ჩრდილოეთ ფერდობზე თხმემის მახლობლად; ამ ადგილას არის ერთ-ერთი აკლდამა, რომელიც ნაკლებად წმიდად მიაჩნიათ. უფრო წმიდა აკლდამა მარცხნივ უფრო მაღლა მდებარეობს. ამ „წმიდათა წმიდამდე“ მიღწევა შეიძლება მხოლოდ ციცაბო კლდის ვიწრო ნაპრალზე გავლით. ნერვული ხალხი, ბავშვები და მოხუცნი მთიელებს ზურგზე მოკიდებული გოდრებით გადაჰყავთ. მიაჩნიათ, რომ ამ აკლდამამდე მიღწევა მხოლოდ იმათ შეუძლიათ, ვისაც ქალღმერთი სწყალობს, დანარჩენებმა თავისი შესაწირავი ქვევით უნდა დატოვონ.

ზევით ღვთისმომსახურება იწყება მზის ამოსვლისას და მთავრდება შუადღის ხანს. ამის შემდეგ არც ერთ ადამიანს არა აქვს უფლება ქვედა აკლდამას გასცდეს, ზედა აკლდამას გვერდით ასი ფუტი სიმაღლის წვეტიანი მწვერვალია. მასზე ასვლა აკრძალულია ქალღმერთის მიერ. უხსოვარ დროში, ვიღაც თავის მოძმეებზე უფრო პატივმოყვარე სადხუ* ამ მწვერვალზე ასულა, რომ ქალღმერთს გასტოლებოდა. განრისხებულ ქალღმერთს სადხუ მთის მწვერვალიდან თოვლში დაბადებულ მდინარის გაღმა მდებარე ბორცვზე უსვრია. აი, სწორედ იქ, პურნაგირიდან სამუდამოდ განდევნილი საგხუ ეკვეთრება ორი ათასი ფუტის სიმაღლეზე მდგომ ქალღმერთს და მის პატივ-

---

* სადხუ — განდეგილი.

საცემად ანთებს ცეცხლს, რომელიც მხოლოდ განსაზღვრულ დღეებში ჩანს (ჩვენ ის 5 აპრილს დავინახეთ), და მისი შემჩნევა მხოლოდ რჩეულთ შეუძლიათ. ამ პატივის ღირსი ჩემი ხალხი იმიტომ გახდა, რომ ვემზადებოდით დახმარება აღმოგვეჩინა მთიელებისათვის, რომელთაც ქალღმერთი მფარველობს.

პურნაგირში შეკრებილი ეს ცნობები განგა რამმა გამიზიარა, სანამ ტანაკპურის სადგურზე მატარებელს ველოდით. რამდემინე კვირის შემდეგ პურნაგირის მღვდელმთავარი მესტუმრა. ის მოვიდა ჩემს მიერ პურნაგირის ჩირაღდნების შესახებ ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნებულ წერილთან დაკავშირებით, რომ მოელოცა ჩემთვის, როგორც ერთადერთი ევროპელისათვის, რომელიც ღირსი გახდა მათი ხილვისა. სტატიაში აღვწერე ეს ამბავი ჩირაღდნების შესახებ და დავძინე, რომ თუ მკითხველები უარყოფენ ჩემ მიერ მოყვანილ ახსნას და მოისურვებდნენ საკუთარი მოსაზრებები წამოაყენონ, უნდა გაითვალისწინონ შემდეგი: ჩირაღდნები არ გამოჩენილა ერთდროულიდ; ყველა ისინი ერთი ზომის იყო. ქარი მათზე არავითარ ზემოქმედებას არ ახდენდა; ისინი ადგილს ინაცვლებდნენ.

მღვდელმთავარმა ხაზგასმით აღნიშნა, ჩირაღდნების გამოჩენა დადგენილი ფაქტია, რომლის უარყოფა შეუძლებელიაო (ამაში დავეთანხმე, ვინაიდან თავად დავინახე ჩირაღდნები), და დაუმატა, სხვა ახსნა, გარდა იმისა, რომელიც თქვენ მოიყვანეთ, შეუძლებელიაო.

მეორე წელს მდინარე სარდაზე სათევზაოდ წავედი სერ მალკოლმთან (ლორდ ჰეილისთან) ერთად. იგი მაშინ შეერთებული პროვინციების გუბერნატორი იყო. სერ მალკოლმს წაეკითხა ჩემი სტატია და, ხევს რომ მივუახლოვდით, მთხოვა მეჩვენებინა ის ადგილი, სადაც ჩირაღდნები დავინახე. თან გვახლდა ოთხი მეთევზე. ისინი ჰაერით სავსე ტყავის ტომრებს მართავდნენ, ჩვენ ზედ ვისხედით და ასე მივცურავდით მდინარეზე ერთი სადგომი ადგილიდან მეორემდე. ცოტა ხნის წინათ ეს ადამიანები სხვა ოც მუშასთან ერთად ერთი მენარდისათვის კუმაონისა და ნეპალის ტყეებიდან ბარამდეოში აცურებდნენ ფიჭვის მორებს. ეს სამუშაო ძნელი და მეტად სახიფათოა, დიდ სიმამაცესა და მდინარის ყველა კაპრიზის კარგ ცოდნას მოითხოვს.

ნაპირზე შვერილის ქვეშ, რომელიც კოლიერმა აფეთქების საშუალებით გაანგრია კლდეში, სადაც მე და ჩემმა ხალხმა გავატარეთ ღამე. ტალადეშისკენ მიმავალ გზაზე, არის სილის პატარა ზოლი. ჩემი თხოვნით მეთევზეებმა აქ მიაყენეს გაბერილი ტომრები და ნაპირზე გადმოვსხედით. მას შემდეგ, რაც სერ მალკოლმს ვაჩვენე, თუ სად გამოჩნდნენ ჩირაღდნები და როგორ ინაცვლებდნენ ადგილს, მან თქვა, შესაძლოა, ჩვენმა მეგზურებმა იციან რამე, რომ ცოტაოდენი შუქი მაინც მოჰფინონ ამ მოვლენასო. მალკოლმმა მიმართა მათ (მან იცოდა, როგორ მისდგომოდა ინდოელებს, რომ საჭირო ცნობა მიეღო, თანაც შესანიშნავად ლაპარაკობდა მათს ენაზე), და გამოარკვია, რომ მეთევზეები ცხოვრობენ კანგრის ხეობაში, სადაც თითოეულს აქვს ცოტაოდენი სახნავი მიწა, მაგრამ არ ყოფნით თავის დასარჩენად. ლუკმაპურის საშოვნელად ისინი თხაკურ დან სინგხ ბისტისათვის ხე-ტყეს აცურებენ მდინარე სარდაზე. ბარამდეომდე ისინი იცნობენ მდინარის თითოეულ ფუტს, რადგან მრავალგზის ასულან და დაშვებულან მასზე. მათ კარგად იციან ხევიც. მდინარის ამ ნაწილში ხომ ყურეებია, სადაც იხირება დაცურებული ხე-ტყე, რაც მუდამ მრავალ საზრუნავს უჩენს მათ. მაგრამ არაფერი გასაოცარი და არავითარი ჩირაღდნები იქ არასოდეს არ დაუნახავთ მათ.

როცა სერ მალკოლმმა მეთევზეებთან ლაპარაკი დაამთავრა და ჩემკენ მობრუნდა, ვთხოვე კიდევ ერთი შეკითხვა მიეცა მათთვის: მდინარეზე მთელი წლების მუშაობის მანძილზე ერთხელ მაინც გაუტარებიათ თუ არა ღამე ამ ხევში. პასუხად გაისმა კატეგორიული „არა!". უფრო მეტიც, მათ არასოდეს არ გაუგონიათ, რომ ხევში ვინმეს გაეთიოს ღამე. ამას იმითი ხსნიდნენ, რომ იქ ბოროტი სულები ბინადრობენო.

ჩვენ ზემოთ ორი ათასი ფუტის სიმაღლის ციცაბო კლდეში ორმოცდაათ იარდზე გადაჭიმულია ფეხშიშველა თაყვანისმცემელთა მრავალი თაობის მიერ მოტკეპნილ-გაპრიალებული სწორი ვიწრო ნაპრალი. მიუხედავად მღვდლების მიერ მლოცველთა სიცოცხლის დასაცავად მიღებული ზომებისა, ამ უბანზე მრავალი უბედური შემთხვევა ხდებოდა, სანამ მაჰარაჯა მაისორამ არ გამოყო თანხები ფოლადის ტროსის შე-

საძენად, რომელიც კლდის გასწვრივ ქვედა აკლდამიდან ზედა აკლდამამდე გააბეს.

აშკარა იყო, რომ ამ კლდის ძირას სრულიად თავისუფლად შეეძლოთ დაბინავება მლოცველთ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ბოროტ სულებს.

3

დავუბრუნდეთ მოთხრობას.

როცა იმ კლდის დასათვალიერებლად შევჩერდი, სადაც წინა ღამით ჩირაღდნები ენთო, ჩემთან განგა რამიც დარჩა. მას ჩემი ფოტოაპარატი მოჰქონდა. როგორც კუმაონის ყველა მცხოვრები, განგა რამი ძალიან სწრაფად დადიოდა, და ორი მილის გავლის შემდეგ ჩვენს მზარეულსა და გარხვალელებს დავეწიეთ. ექვს საათს შეუჩერებლად მივდიოდით ხან ხშირ ტყეში, ხან მდინარე სარდას ნაპირზე. ჩვენი გზა კალადხუნგასა და ჩუკაზე გავლით მიემართებოდა მთის ძირისაკენ, რომლის მოპირდაპირე ფერდობზე ჩვენი მოგზაურობის საბოლოო მიზანი — ტალადეშის კაციჭამიას საბრძანებელი იყო. მთის ძირას ორ საათს დავისვენეთ, რომ საჭმელი გვეჭამა, სანამ ოთხი ათასი ფუტი სიმაღლის მწვერვალზე ავიდოდით.

შუადღის ხანს, როცა მცხუნვარე აპრილის მზე წვავდა ყველაფერს და თავის შეფარება არსად შეგვეძლო, დავიწყეთ მომქანცველი ასვლა ერთ-ერთ ყველაზე უფრო ციცაბო მთაზე, რომლის მსგავსი მე და ჩემ ხალხს არასოდეს გადაგველახა. ეგრეთწოდებული გზა წარმოადგენდა ქვიან ბილიკს, რომელიც ისარივით მიდიოდა მწვერვალისაკენ. მრავალჯერ შევისვენეთ და მზის ჩასვლისას პატარა სოფელს მივაღწიეთ, საიდანაც მთის თხემამდე სულ ბევრი ათასი ფუტი რჩებოდა. ჩუკაში გაგვაფრთხილეს, რომ სოფელში შესვლისაგან თავი შეგვეკავებინა, რადგან ეს იყო მთის სამხრეთ ფერდობზე ერთადერთი დასახლებული პუნქტი, და კაციჭამია აქ ხშირი სტუმარი გახლდათ. კაციჭამიას რომ თავი გავანებოთ, წინსვლის თავი აღარ მქონდა და ბილიკიდან რამდენიმე ასეული მეტრის მოშორებით მდებარე სოფლისაკენ გავემართეთ. ორი ოჯახი — მთელი მისი მოსახლეობა — დიდი სიხარულით შეგ-

ვხვდა და დასვენებისა და დანაყრების შემდეგ ჩემი თანამგზავრები გამოკეტილ ბინაში მოათავსეს, მე კი მოვეწყე გასაშლელ საწოლზე ხის ქვეშ, რომელსაც ახლო ჩაუდიოდა პაწაწინა წყარო. ჩემს „კომპანიას“ თოფი და ფარანი შეადგენდა.

იმ საღამოს, ლოგინში რომ ვიწექი, საკმაო დრო მქონდა კარგად გავრკვეულიყავი შექმნილ მდგომარეობაში, ბილ ბეინესმა სოფლის მამასახლისს უბრძანა ჩემს მისვლამდე ხელი არ ეხლოთ ვეფხვის მიერ მოკლული ადამიანებისა და ცხოველებისათვის. ბიჭი, რომელზეც ტანაპკურის პეშკარი მელაპარაკა, ორი დღის მოკლული იყო. ტანაპკურში ჩამოვედით თუ არა მატარებლიდან, ვისწრაფოდით რაც შეიძლება მალე მივსულიყავით მკვლელობის ადგილას: ვიცოდი, ჩვენს მისვლამდე ვეფხვს შეეძლო მოესწრო თავისი მსხვერპლის შეჭმა, მაგრამ უფრო მოსალოდნელი იყო, რომ, თუ მას არ დააფრთხობდნენ, იგი აქ ერთ-ორ დღეს კიდევ დარჩებოდა. ამიტომ დილაადრიან, როცა სადგომს ვტოვებდით, იმედი მქონდა, რომ დროზე მოვასწრებდით დანიშნულ ადგილზე მისვლას და ერთი მოზვერის დაბმას მისატყუებლად. მაგრამ მთაზე ასვლამ მთლად მოგვასავათა. მართალია, სამწუხარო იყო, რომ დღე დავკარგეთ, მაგრამ იმედი მქონდა, ვეფხვი ძალიან შორს არ წავა-მეთქი. ხელს ის გარემოებაც გვიშლიდა, რომ კუმაონის ამ ნაწილს არ ვიცნობდი. უკვე რვა წლის მანძილზე ვეფხვი თავს ესხმოდა ხალხს და ამ ხნის განმავლობაში 150 კაცი იმსხვერპლა, მაშასადამე, ყველა საფუძველი მქონდა მევარაუდა, რომ ის ძალიან დიდ ტერიტორიაზე მოქმედებდა. ახლა თუ ვეფხვს მხედველობიდან დავკარგავდით, შესაძლოა კვირას გაევლო, ვიდრე კვლავ ვიპოვიდით მას. თუმცა ჯერ უნაყოფო იყო ღელვა იმაზე, თუ როგორ მოიქცა ან როგორ მოიქცეოდა ვეფხვი, და მეც მშვიდად დავიძინე.

მეორე დილას განზრახული გვქონდა ადრიანად გავდგომოდით გზას. ჯერ კიდევ სრულიად ბნელოდა, როცა გამეღვიძა იმის გამო, რომ ღამით ჩამქრალი ფარანი განგა რამმა აანთო. სანამ საუზმე მზადდებოდა, მოვასწარი პირის დაბანა წყაროზე, ხოლო როცა მზემ სხივი ჰკრა ნეპალის მთების წვერს, გავწმინდე და დავზეთე ჩემი რიგბის სისტემის 275-ყალიბიანი მაუზერი, ჩავაწყვე საკაზნე კოლოფში ხუთი ვაზნა

და მზად ვიყავი სამგზავროდ. კაციჭამია ვეფხვის გამო კავშირი სოფლებთან გაწყვეტილი იყო, ამიტომ ჩვენს პატარა სოფელში არაფერი სმენიათ ვეფხვის უკანასკნელი მსხვერპლის შესახებ და არ იცოდნენ, რა მიმართულებით და რა მანძილზე უნდა წავსულიყავით. რადგან წარმოდგენა არ მქონდა, კვლავ როდის ექნებოდათ ჩემს თანამგზავრებს ჭამის საშუალება, ვუბრძანე კარგად დანაყრებულიყვნენ და გამომყოლოდნენ უკან, ერთმანეთის მხარდამხარ ევლოთ და, თუ დასვენებას მოისურვებდნენ, ღია ადგილი შეერჩიათ.

გამოვედით ბილიკზე, რომელზეც გუშინ ასეთი გაჭირვებით ავდიოდით, და ცოტა ხნით შევდექი, რომ დავმტკბარიყავი ჩემ წინ გადაშლილი ხედით. სარდას ხეობას ჩრდილი ეფინა. მდინარეს, რომელიც ბორცვებს შორის მიიკლაკნებოდა. ტანაპკურამდე ნისლი ებურა, ტანაპკურთან ის იფანტებოდა და შემდგომ ჰორიზონტამდე მდინარე ვერცხლის ლენტივით ბზინავდა. ნაწილობრივ ნისლით დაფარულ ჩუკას ჩრდილი ადგა, მაგრამ გავარჩიე ფერდობზე ზევით თხაკამდე დაკლაკნილი ბილიკი, რომლის თითოეული ფუტის შესწავლა ათი წლის შემდეგ მომიხდა, როცა თხაკის კაციჭამიაზე ვნადირობდი. პურნაგირის მწვერვალი და სოფელი თხაკი, რომელიც ჩანდის დინასტიის კუმაონის რაჯებმა ასეული წლების წინათ უბოძეს პურნაგირის სალოცავის მღვდლებს, დილის მზის სხივებში ბანაობდნენ.

ოცდახუთმა წელმა განელო მას შემდეგ, რაც მე ვტკბებოდი ამ ხედით ტალადეშში მგზავრობისას. ბევრი რამ მოხდა ამ ხნის მანძილზე, მაგრამ დრო ვერ წაშლის გონებაში ღრმად აღბეჭდილ მოვლენათა კვალს, და ის ხუთი დღე, რომელთა განმავლობაში ტალადეშის კაციჭამია ვეფხვზე ვნადირობდი, ახლაც ისევე ცოცხლობს ხსოვნაში, როგორც მრავალი წლის წინათ.

ბორცვს გავცდი თუ არა, დავინახე, რომ ჩემი ბილიკი უერთდება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმავალ საკმაოდ კარგ, ექვსი ფუტის სიგანის ტყის გზას. გარშემო სოფლები არ ჩანდა და ჩემ წინაშე წამოიჭრა საკითხი — საით წავსულიყავი? აღმოსავლეთისაკენ მიმავალი გზა მიზანს ამაცილებ-

და მდინარე სარდამდე, ამიტომ გადავწყვიტე ჯერ მაინც ამ გზით წავსულიყავი.

საშუალება რომ მქონოდა თავისუფლად შემერჩია ადგილი და დრო გასასეირნებლად, უთუოდ ვამჯობინებდი ჰიმალაებში ტყიანი ბორცვის ჩრდილოეთ ფერდობს და ადრიან დილას აპრილის დასაწყისში. აპრილში ბუნება მთელი თავისი მშვენებით წარმოგიდგება. ხეები იცვლიან ზამთრის სამოსელს, იმოსებიან ნორჩი ფოთლებით, რომელთაც მწვანე და ბრინჯაოს ელფერი დაჰკრავთ; პირველ ყვავილებს — იას, ბაიას და იელს — მოგვიანებით მოჰყვება ფურისულები, დელფინიუმები და ჯადვარები; მთისწინეთში გამოსაზამთრებლად გადაფრენილი ნიწკანები, შაშვები, ბებლერები და სხვა ფრინველები უბრუნდებიან თავის ბუდეებს, ერთმანეთს ექიშპებიან და გალობენ საზეიმო სატრფიალო სიმღერებს. რა სჯობს უდარდელად ხეტიალს ტყეში, სადაც არაფერი გემუქრება და სადაც ყველაფერი, რასაც ხედავთ და რაც გესმით, უდიდეს სიამოვნებას განიჭებთ. მაგრამ როცა ასეთ ტყეში კაციჭამია ბინადრობს, უდარდელობა უკიდურესი დაძაბულობით იცვლება.

საშიშროება ნადირობას მატებს არა მარტო მიმზიდველობას, არამედ ამახვილებს ყურადღების დაძაბვის უნარს იმაზე, რაც უნდა დაინახო და გაიგონო ჯუნგლებში. როცა საშიშროებას გრძნობ და მომზადებული ხარ მისთვის, ის არავითარ შემთხვევაში არ ამცირებს მიღებულ კმაყოფილებას. იები არ ჰკარგავენ თავის სილამაზეს იმის გამო, რომ მახლობელი კლდის უკან, შესაძლოა, დაიმალა მშიერი ვეფხვი; ხოლო მუხის კენწეროდან წამოსული მერცხლის ჭიკჭიკი ნაკლებად სასიამოვნო როდია, თუ მის ძირში ბებლერი ჯუნგლების ბინადართ აფრთხილებს, საშიშროება გელითო.

ზოგიერთ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულისათვის, შესაძლოა, უცნობი იყოს შიში, მაგრამ მე არ ვეკუთვნი მათ რიცხვს და ახლა, მას შემდეგ, რაც ჩემი ცხოვრების მთელ მანძილზე საქმე მქონდა ჯუნგლების ბინადრებთან, — არანაკლებად მეშინია მტაცებლის კბილებისა და კლანჭებისა, ვიდრე იმ დღეს, როცა ვეფხვმა პირველად მაიძულა გავქცეულიყავი ჯუნგლებიდან, სადაც მას ძილი დავუფრთხე. მაგრამ ახ-

ლა მაქვს გამოცდილება, რომელიც მაკლდა სიჭაბუკეში, და ეს მეხმარება შიშთან ბრძოლაში. თუ წინათ ყველგან საფრთხე მელანდებოდა, მაშინებდა ყოველი ხმა, ახლა ვიცი, რა არის ნამდვილი შიში, რომელ ხმებს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება და რომელი უნდა უგულვებელყო. თუ წინათ დარწმუნებული არ ვიყავი, მოვარტყამდი თუ არა მიზანს, ახლა ვიცი, რომ ტყვია წავა იქით, სადაც საჭიროა. გამოცდილება ბადებს საკუთარი თავის რწმენას და თუ ერთ-ერთი მათგანი არ გაგაჩნია, მაშინ მარტოხელა ფეხით ნადირობა კაციჭამიაზე გადაიქცევა მეტად არასასიამოვნო თვითმკვლელობის საშუალებად.

ტყის გზა, რომელზეც იმ აპრილის დილას მივდიოდი, ჰკვეთდა ადგილს, სადაც კაციჭამია თარეშობდა. კლანჭების ნაკვალევი მოწმობდა, რომ ვეფხვი ამ გზით ხშირად სარგებლობდა. მაგრამ კვალი იმდენად ძველი იყო, რომ თათების ანაბეჭდი კარგად ვერ გავარჩიე. აჩნდა ჯიქის, სამბხარის, დათვის, კარკერისა და ტახის მრავალი ნაკვალევი. დიდი ნაირსახეობით გამოირჩეოდა ფრინველთა სამყაროც. უხვად იყო ყვავილებიც, მათ შორის მშვენიერი პეპლების მსგავსი ჯადვარები. ეს ჯადვარები შადრევანივით ეშვებოდნენ ხეებიდან, მთლად ფარავდნენ ტოტებს და შტამბებს, რომლებშიც გამჯდარი ჰქონდათ ფესვები. ჯადვარებით დაფარულ ერთ-ერთ ასეთ ხეზე ჰიმალაის შავ დათვს მოეწყო საუცხოო ბუნაგი, ეს იყო ყველაზე შესანიშნავი ბუნაგი, მათ შორის, რომელიც ოდესმე მინახავს. ვეებერთელა მუხა თოვლის სიმძიმეს თუ დიდ ქარიშხალს მიწიდან ორმოც ფუტის სიმაღლეზე გადაეტეხა. გადატეხილ ადგილას, შტამბისკენ მართი კუთხით მკლავის სიმსხო ტოტები წაპოზრდოდა; გადატეხილი ადგილი ხავსს დაეფარა და ჯადვარებს შიგ ფესვები გაედგათ. სწორედ აქ, ყვავილებს შორის, სადაც მოტეხილ შტამბს მიკვროდნენ მოღუნული ტოტები, დათვს ბუნაგი მოეწყო. დათვები ჩვეულებრივად ბუნაგისათვის იყენებდნენ ისეთი ჯიშის ხეებს, რომლის ტოტები მოღუნვისას არ ტყდება. ამ ბუნაგში დათვები ოჯახს არ ეკიდებიან. ისინი გვხვდებან ორი ათასიდან რვა ათასამდე ფუტ სიმაღლეზე. უფრო დაბალ ადგილებში—სადაც დათვები ზამთრობით ჩამოდიან, რომ გარეული

ღოღნოშოთი და თაფლით იკვებოს, ასეთი ბუნაგები იცავს მათ ჭიანჭველებისა და ბუზებისაგან, ხოლო უფრო მაღალ ადგილებში წყნარად თბებიან ხოლმე მზეზე.

თუ გზა მიმზიდველია, ვერ გრძნობ დაღლილობას. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ტყე გათავდა და ბალახით დაფარულ ბორცვის თხემზე აღმოვჩნდი, საიდანაც სოფელი დავინახე. ჩემი მიახლოება შეამჩნია ხალხმა — ახლა გაშლილ ადგილზე მივდიოდი, — და მთელი მოსახლეობა ჩემს შესახვედრად გამოეფინა. მე ხშირად ვეკითხები ჩემს თავს, ნუთუ შესაძლებელია სადმე ქვეყანაზე რაიმე საქმისათვის მიყრუებული სოფლის კუთხეში ჩასულ უცხოელს იმედი ჰქონდეს ისეთი გულითადი მიღებისა, როგორსაც ის უეჭველად შეხვდება კუმაონში. სავსებით შესაძლებელია, რომ მე ვიყავი პირველი ევროპელი, რომელიც გამცილებლის გარეშე, ქვეითად ვუახლოვდებოდი ამ სოფელს, და მიუხედავად ამისა, როცა შეკრებილ ხალხთან მივედი, დავინახე, ჩემთვის ხალიჩა დაეგოთ და ზედ ლერწმის ტაბურეტი დაედგათ. ვერ ვოვასწარი დაჯდომა, რომ რძით სავსე სპილენძის ჭურჭელი მომაწოდეს. მთელი სიცოცხლის მანძილზე, მთიელებთან ურთიერთობისას შევისწავლე კუმაონის სხვადასხვა დიალექტის გაგება, და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ავითვისე მთის მცხოვრებთა აზრის მსვლელობის მიხვედრა. რადგან თან მქონდა შაშხანა, თავისთავად იგულისხმებოდა, ჩამოვედი, რომ ისინი კაციჭამიასაგან მეხსნა. მაგრამ ბალეხები დააფიქრა ასე ადრიანად ქვეითად ჩემმა გამოჩენამ: მახლობელი ბუნგალო, სადაც შემეძლო გამეთია ღამე, სოფლიდან ოცდაათ მილზე იყო.

სანამ რძეს ვსვამდი, წრეში ჩამორიგებულმა ერთმა კოლოფმა სიგარეტმა სოფლის მცხოვრებლებს ენა ამოუღგა. მრავალ შეკითხვაზე ვუპასუხე, თავად დავიწყე გამოკითხვა, და შევიტყვე, რომ ამ სოფელს ტამალი ჰქვია, და რომ მრავალი წელია, რაც იგი კაციჭამიას თავდასხმებისაგან იტანჯება. ზოგნი ამტკიცებდნენ, კაციჭამია ამ ადგილებში რვა წლის წინათ გამოჩნდაო, სხვები ამბობდნენ, ათი წლის წინათო, მაგრამ ყველანი ერთ აზრს ადგნენ, რომ ის გამოჩნდა იმ წელიწადს, როცა ბაჩი სინგხი შეშას აპობდა და ნაჯახით ფე-

ხის თითები წაიკრა, ხოლო ოცდაათ რუპიად ღირებული დან სინგხის შავი ხარი კლდეზე გადაიჩეხა. ტამალში კაციჭამიას უკანასკნელი მსხვერპლი იყო კუნდანის დედა. ვეფხვმა იგი მოკლა გასული თვის მეოცე დღეს, როცა სხვა ქალებთან ერთად მუშაობდა სოფლის ქვემოთ მდებარე ყანაში. არავინ იცოდა, ეს კაციჭამია ხვადი იყო თუ ძუ, მაგრამ ყველა თვლიდა მას მსხვილ ნადირად. სოფლის მცხოვრებლებს იმდენად ეშინოდათ ვეფხვისა, რომ მიატოვეს შორს მდებარე ყანების დამუშავება და სურსათ-სანოვაგისათვის ტანაკპურში სიარული. გლეხებმა თქვეს, კაციჭამია დიდი ხნით არასოდეს არ წასულა ტამალიდანო, ამიტომ, მათთან რომ დავრჩენილიყავი, რასაც ისინი ძალიან მთხოვდნენ, მისი მოკვლის მეტი შესაძლებლობა მექნებოდა აქ, ვიდრე ტალადეშის სხვა რომელიმე ადგილას.

ძნელია კაციჭამიას სამოწყალოდ დატოვო ხალხი, რომელიც შენზე ამყარებს მთელ იმედებს, მაგრამ მე უნდა წავსულიყავი, და როცა ავუხსენი ამის მიზეზი, მათ კარგად გამიგეს. აღვუთქვი, პირველი შესაძლებლობისთანავე ტამალში დავბრუნდები-მეთქი, და იმ სოფლის საძებნელად წავედი, სადაც უკანასკნელი მკელელობა მოხდა.

ტამალისაკენ მიმავალმა ტყის გზისა და ბილიკის შეერთების ადგილას დავდე ნიშანი, რომელიც ჩემს ხალხს უჩვენებდა, რომ აღმოსავლეთისაკენ წავედი. ახლა ეს ნიშანი გადავაადგილე, და, ჩემი ხალხი რომ არ შემცდარიყო, გზასთან დამატებით კიდევ ერთი ნიშანი დავდე. მთებში ყველა ადგილობრივი მცხოვრები იცნობს ორივე ნიშანს, და, თუმცა არ გამიფრთხილებია ჩემი ხალხი, ამ ნიშნებს ვიხმარ-მეთქი, მაგრამ ვიცოდი, ისინი მიხვდებოდნენ, ვინ დატოვა ისინი. პირველი ნიშანია გზის შუაში დადებული პატარა ტოტი. იგი წვერით იმ მხრისაკენ არის მიმართული, საითაც უნდა გაეშუროს კვალდაკვალ მიმავალი კაცი. ტოტი რომ არ გაინძრეს, მასზე ქვას ან ხის ნაჭერს დებენ. მეორე ნიშანი წარმოადგენს ასო „X"-ის მსგავსად შეერთებულ ორ ტოტს.

დასავლეთისაკენ გზა თითქმის აღმართ-დაღმართის გარეშე ვეებერთელა მუხების ტყეში მიდიოდა, და იმ სიმაღლე გვიმრებში იყო ჩაფლული, რომ მუხლებამდე მწვდებოდა. ხეებს

ᲨᲝᲠᲘᲡ მომხიბლავი ხედი გადაიშალა: შორს, აღმოსავლეთითა და დასავლეთით გადაჭიმული თოვლიანი მთაგრეხილის ფონზე, ჩანდა ერთმანეთზე შემდგარი ბორცვები.

4

დაახლოებით ოთხი მილის მანძილზე გზა დასავლეთისაკენ მიდიოდა, შემდეგ ჩრდილოეთისაკენ უხვევდა და ხეობის ნაწილს კვეთდა. ხელმარცხნივ აზიდულიყო ხშირი მუხის ტყით დაფარული ბორცვი. აქედან საათავეს იღებდა ანკარა ნაკადული, რომელიც ხეობაში მიედინებოდა. ქვებზე ვაბიჯებდი და ისე გადავლახე ნაკადული, პატარა მაღლობი ავიარე და გაშლილ ადგილზე გავედი. მის შორეულ ბოლოში მდებარეობდა სოფელი.

ამ დროს შემნიშნა წყალზე მიმავალმა რამდენიმე ქალიშვილმა და აღელვებულებმა იყვირეს: „საიბი მოვიდა! მოვიდა საიბი!“ ეს ძახილი კარი-კარ გადადიოდა, და, ვიდრე სოფელში მივიდოდი, გარს შემომეხვივნენ აღგზნებული მამაკაცები, ქალები და ბავშვები.

მამასახლისისაგან შევიტყვე, რომ სოფელს ტალაკოტი ერქვა. ორი დღის წინათ (5 აპრილს) ჩამპავატიდან აქ ჩემ შესახვედრად ჩამოსულიყო პატვარი, რომელსაც ყველასათვის ეცნობებინა, კაციჭამიას მოსაკლავად ნაინი ტალიდან საიბი მოდისო. მალე პატვარის ჩამოსვლის შემდეგ კაციჭამიას მათი სოფლიდან ქალი მოეკლა, მაგრამ, ალმორის კომისრის ბრძანების თანახმად, გვამებისთვის ხელი არ ეხლოთ. ჩემი ჩამოსვლის მოლოდინში მსხვერპლის საძებნელად დღეს დილით გაეგზავნათ მამაკაცების ჯგუფი. სანამ მამასახლისი ამ ამბავს მაცნობდა, მოკლული ქალის საძებრად წასული ოცდაათი კაცი დაბრუნდა. მათ მიამბეს, დავათვალიერეთ ის ადგილი, სადაც ვეფხვმა თავისი მსხვერპლი დაგლიჯა, მაგრამ ვერაფერი ვნახეთ, გარდა ქალის კბილებისაო. ტანსაცმელიც კი გამქრალიყო. როცა ვკითხე, მკვლელობა სად მოხდა-მეთქი, კაცებთან ერთად გვამის საძებრად ნამყოფმა მოკლულის შვილმა, ჩვიდმეტი წლის ყმაწვილმა მითხრა, თუ გამომყვები სოფლის ბოლოს, იმ ადგილს გაჩვენებო. ის წინ გამიძღვა, მე მას მივყევი, უკან კი ტალაკოტის მთელი მოსახლეობა მოგვდევდა. გავიარეთ სოფელი,

გავედით ბორცვებს შორის დაახლოებით ორმოცდაათი იარდის სიგრძის ვიწრო ღრმულში. ღრმულიდან ორი ხეობა მიემართებოდა. ერთი, ჩვენგან მარცხნივ, გადაჭიმული იყო დასავლეთისაკენ, მდინარე ლადხიამდე, მეორე, მარჯვნივ ათი-თხუთმეტი მილის მანძილზე ციცაბოდ ეშვებოდა მდინარე კალისკენ. ყმაწვილი ღრმულთან შეჩერდა და პირი იბრუნა მარჯვნივ ხევისაკენ, რომლის ჩრდილო მხარეს დაბალი ბალახი და ალაგ-ალაგ ბუჩქები ფარავდა, სამხრეთით კი ჯუნგლების ხშირი ბუჩქნარი მოდებულიყო. ახალგაზრდამ ხეობის ჩრდილოეთ ნაწილში დამანახვა ერთ-ერთი ბუჩქი და მითხრა, დედაჩემი ვეფხვმა ამ ბუჩქის მახლობლად მოკლა, როცა რამდენიმე სხვა ქალთან ერთად ბალახს თიბავდაო. ეს ბუჩქი იდგა რვაასი-ათასი იარდის მოშორებით და ათასი-ათას ხუთასი იარდის ქვემოთ ბორცვზე. შემდეგ მან ხევში დამანახვა მუხა, რომლის შტოები ლანგურებს მოემტვრიათ. ამ მუხის ქვეშ ნახეს დედაჩემის კბილები. ძებნის დროს ვეფხვი არ უნახავთ, ხოლო როცა ბორცვიდან ეშვებოდნენ, მათ ყურამდე მოაღწია ჯერ გხორალის და ცოტა გვიან კი ლანგურის ყვირილმა.

მაშასადამე, ყვიროდნენ გხორალი და ლანგური. გხორალი ხანდახან კაცის დანახვაზე ყვირის, ლანგური კი — არასოდეს. ვეფხვის დანახვაზე კი ორივენი ყვირიან. შესაძლოა, ვეფხვი შეჩერდა მკვლელობის ადგილას, შემდეგ, ხალხის მიერ შეშფოთებული, წავიდა და იგი ჯერ გხორალმა შენიშნა, მერე ლანგურმა. სანამ ამაზე ვფიქრობდი და გონებაში ჩემ წინ გაღაშლილი ადგილის რუკას ვადგენდი, მოვიდა პატვარი, რომელიც ჩემი სოფელში მოსვლის დროს სადილობდა. შეკითხვაზე, თუ სად არის ჩემი თხოვნით ბეინესის მიერ გამოგზავნილი ორი ზაქი-მეთქი, მან მიპასუხა, ჩამპავატიდან მომყავდა, მაგრამ სხვა სოფელში დავტოვე, ტალაკოტიდან ათი მილის მოშორებითო. იქ 4 აპრილს მთელი სოფლის თვალწინ კაციჭამიამ მოკლა ბიჭი. რადგან არავინ იყო ვეფხვთან შემბრძოლებელი, მცხოვრებლებმა წაიღეს ბავშვის გვამი და ყოველივე აცნობეს ჩამპავატში, საიდანაც მე გამომიგზავნეს დეპეშა ტანაკპურში. პატვარის განკარგულებით ბავშვის გვამი დაეწვათ.

ჩემი ხალხი ჯერ კიდევ არ მოსულიყო იმ სოფლიდან, სადაც ღამე გავათიეთ, ამიტომ მამასახლისს ვუბრძანე ჩემთვის

კარავი ნაკადულის ახლოს. გაშლილ ადგილას დაედგა, მე კი გადავწყვიტე ხეობაში ჩავსულიყავი ადგილის დასათვალიერებლად, სადაც კაციჭამიამ თავისი მსხვერპლი შეჭამა. მინდოდა დამედგინა, ძუ ვეფხვი იყო თუ ხვადი, და, თუ ძუ იყო — ჰყავდა თუ არა ბოკვრები. როგორც უკვე აღვნიშნე, კუმაონის ამ ნაწილს არ ვიცნობდი. მამასახლისს ვკითხე, ხომ არ შეგიძლია მიმასწავლო ხეობაში უფრო მოხერხებული ჩასასვლელი გზა-მეთქი. ყმაწვილი, რომელმაც ღრმულთან მიმიყვანა, წინ წამოდგა და მგზნებარედ მითხრა: „მე წამოვალ თქვენთან, საიბ, და გიჩვენებთ გზას“.

ყოველთვის მაოცებდა იმ ადამიანების მამაცობა, რომლებიც იმ რაიონებში ცხოვრობდნენ, სადაც მძვინვარებენ კაციჭამიები, და აღტაცებული ვიყავი იმ ნდობით, რომელსაც იჩენდნენ ისინი სრულიად უცნობი ადამიანებისადმი. დუნგარ სინგხი — ასე ერქვა ყმაწვილს — ასეთი ვაჟკაცობისა და ნდობის მაგალითი იყო. მთელი წლობით ცხოვრობდა ის კაციჭამიას შიშის ქვეშ; სულ ერთი საათის წინათ ნახა თავისი საბრალო დედის გვამი და, მიუხედავად ამისა, მარტოხელა, უიარაღოდ, მზად იყო გაჰყოლოდა სრულიად უცნობ კაცს იქ, სადაც, გხორალისა და ლანგურის შეშფოთებული ყვირილის მიხედვით, მკვლელი მიიმალა. მართალია, დუნგარ სინგხი სულ ახლახან იყო იმ ადგილას, მაგრამ მაშინ ის ოცდაათ თანასოფლელს ახლდა.

ღრმულიდან ძირს ჩასვლა ციცაბო დაღმართზე შეუძლებელი იყო, ამიტომ დუნგარ სინგხმა უკან წამიყვანა სოფელზე გავლით თხის ბილიკისაკენ. სანამ თხელ ბუჩქნარში მივდიოდით, დუნგარს ვუთხარი, ცუდად მესმის-მეთქი, და გავაფრთხილე, თუ დაგჭირდება ჩემი ყურადღება მიიპყრო, შეჩერდი და ხელით მანიშნე, ხოლო თუ რაიმე გექნება სათქმელი, მოდი და მარჯვენა ყურში ჩამჩურჩულე-მეთქი. ოთხას იარდამდე რომ გავიარეთ, დუნგარ სინგხი უეცრად გაჩერდა და უკან მიიხედა. მეც მოვბრუნდი და დავინახე, ჩვენ უკან მთის ფერდობიდან სწრაფად ეშვებოდა პატვარი და ვიღაც კაცი ფილთა თოფით. ვიფიქრე, რაღაც მნიშვნელოვანი უნდა მაცნობონ-მეთქი, და შევჩერდი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ პატვარიმ თავის საჭურველმტვირთველთან ერთად მოისურვა თან მხლებოდა. უხა-

ლისოდ დავთანხმდი, რადგან პატვარისა და მის თანამგზავრს მძიმე ფეხსაცმელები ეცვათ და ვერ შეძლებდნენ ჯუნგლებში უხმაუროდ სიარულს.

ხშირ ბუჩქნარში კიდევ ოთხასი იარდი გავიარეთ და პატარა გაშიშვლებულ მოედანზე გავედით. აქ თხის ბილიკი ორად იყოფოდა — მარცხნივ ღრმა ხევთან მიდიოდა, მარჯვნივ გარს უვლიდა ბორცვს. დუნგარ სინგხი გზაჯვარედინზე შეჩერდა, ხევზე მიმითითა და წაიჩურჩულა, ავერ იქ, ქვევით, შეჭამაო. არ მინდოდა უხეშფეხსაცმელიან ადამიანებს ევლოთ იქ, სადაც კაციჭამიას თათების ანაბეჭდები უნდა მეძებნა. დუნგარ სინგხს ვუთხარი, მე ხევში მარტო ჩავალ, შენ კი ამ კაცებთან ერთად მოედანზე დარჩი-მეთქი. ის-ის იყო გავჩუმდი, რომ დუნგარ სინგხი სწრაფად შემობრუნდა და ზევით ბორცვისაკენ გაიხედა. მეც მას მივბაძე და ღრმულზე, იმ ადგილას, სადაც ცოტა ხნის წინ ვიდექით, ხალხი დავინახე. დუნგარ სინგხმა ხელით მანიშნა, გაჩუმდიო, ხელისგული ყურთან მიიდო და სმენად გადაიქცა. ბოლოს, როცა ცნობა მოისმინა, მომიბრუნდა და ჩაიჩურჩულა:

— ჩემი ძმა მთხოვს გადმოგცეთ, რომ ქვევით მიტოვებულ ყანაში ჟღალი რაღაც წევს მზეზე.

მზით განათებულ ყოფილი სახნავი მიწის ნაკვეთზე ხალხმა რაღაც ჟღალი საგანი შენიშნა. ეს ან ხმელი გვიმრის ბუჩქი იყო, ან კარკერი, ანდა ახალგაზრდა სამბხარი, მაგრამ, შესაძლოა, ვეფხვიც. ასეა თუ ისე ბედნიერი შემთხვევა მომეცა და ვცდილობდი ხელიდან არ გამეშვა. დუნგარ სინგხს მივეცი ჩემი შაშხანა, პატვარი და მისი თანამგზავრი იქვე მახლობლად მდგარ ზღმარტლთან მივიყვანე. შემდეგ მათი თოფი გამოვცალე და ბუჩქის ძირას დავდე, ხოლო ორივეს ვუბრძანე ხეზე ასულიყვნენ და იქ მანამდე მსხდარიყვნენ, სანამ ძირს ჩამოსკლის ნებას არ მივცემდი. არა მგონია, ვინმე აცოცებულიყო ხეზე ისეთი სიხარულით, როგორც ეს ორნი. ისინი თითქმის კენწეროზე მოექცნენ და ისე მაგრად ჩაეკვრნენ ხეს, რომ უმალვე ნათელი გახდა: იმ ხნის განმავლობაში, რაც სოფლიდან გამოსვლის მომენტიდან გავიდა, მათი წარმოდგენა კაციჭამიაზე ნადირობის შესახებ ძირფესვიანად შეიცვალა.

მარჯვნივ თხის ბილიკი მიდიოდა ტერასებად განლაგებული მინდვრისაკენ, რომელსაც დიდი ხანია აღარ ამუშავებდნენ და ველურ შვრიას დაეფარა. ამ ნაყანევის სიგრძე ასი იარდი იქნებოდა და ბორცვის თხემამდე იყო გადაჭიმული. იმ მხარეზე, სადაც მე ვიდექი, ნაყანევს ათი ფუტის განი ჰქონდა, მოპირდაპირე მხარეზე — ოცდაათი. ორმოცდაათი იარდის მანძილზე ვაკე იყო, შემდეგ უხვევდა მარცხნივ. დუნგარ სინგხმა შემამჩნია, რომ მინდორს ვათვალიერებდი, და მითხრა, მინდვრის ბოლოდან შეიძლება იმ მიტოვებული ნახნავის დანახვა, რომელზეც ჩეჭმა ძმამ რაღაც ჟღალი საგანი შენიშნაო. მოკუზულებმა გავაღწიეთ ყანის შორეულ ბოლოში. იქ ოთხზე დამდგარნი ნაპირთან მივცოცდით, ბალახი გადავწიეთ და ძირს გადავიხედეთ.

ჩვენ ქვემოთ იყო პატარა ხეობა, რომლის მოპირდაპირე მხარე ბალახით დაფარულ და ახალგაზრდა მუხის ხშირი ამონაყარით გარშემორტყმულ ფერდობს წარმოადგენდა. წვრილიანს იქით ღრმა ხევი იდო, სადაც ვეფხვმა დუნგარ სინგხის დედა შეჭამა. ბალახით დაფარული ფერდობის სიგანე დაახლოებით ოცდაათი იარდი იყო და მთავრდებოდა კლდოვანი ხრამით, რომლის სიმაღლე, თუ მის ძირას ამოსული ხეების მიხედვით ვიმსჯელებთ, ოთხმოციდან ას ფუტამდე იქნებოდა. ფერდობის ახლო, იმ მხარეზე, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით, მოჩანდა მეორე, სიგრძით ასი და სიგანით ათი იარდი ტერასებად განლაგებული მინდორი. ჩვენ ახლო იყო დაბალი, მუქი მწვანე ბალახით დაფარული პატარა ნაკვეთი. მინდვრის დანარჩენი ნაწილი ოთხი-ხუთი ფუტის სიმაღლის ხშირ სურნელოვან მცენარეებს დაეფარა. ფორმით ქრიზანთემის მსგავსი მათი ფოთლების ქვედა მხარე თეთრი ფერისა იყო. მწვანე ბალახის ნაკვეთზე, ერთიმეორისაგან ათი ფუტის მანძილზე მზის გულზე ორი ვეფხვი იწვა.

ის, რომელიც ახლოს იმყოფებოდა, ჩვენკენ ზურგით იწვა, თავი კი ბორცვისაკენ ჰქონდა მიქცეული, მეორე — ჩვენკენ მუცლით, ბორცვისკენ — კუდით. ორივეს მაგრად ეძინათ. უფრო მოხერხებული იყო პირველისათვის მესროლა, მაგრამ მეშინოდა, ხმა, რომელსაც ტყვია გამოსცემს სხეულში გავლის დროს — არ აურიოთ ეს ხმა თოფის გასროლის ხმა-

ში — მეორე ვეფხვს გააღვიძებდა და იგი დაეშვებოდა ხშირი მცენარეულობით დაფარული ბორცვის ფერდობზე, რომლის თავშექცევითაც იწვა. თუ ჯერ მეორეს ვესროდი, იმავე მიზეზით პირველი ვეფხვი აირბენდა ან ზევით აღმართზე, სადაც მცენარეულობა ნაკლები იყო, ან ჩემკენ წამოვიდოდა. ამიტომ გადავწყვიტე ჯერ მეორისათვის მესროლა. მანძილი იქამდე დაახლოებით ას ოც იარდს უდრიდა. ხოლო დამიზნების კუთხე — ამის დავიწყება არ შეიძლება, როცა მთიდან ძირს ისვრი, — არც ისე დიდი იყო, რომ მხედველობაში მიმეღო. ხელის ზურგი ყანის ნაპირზე დავდე, რომ რბილი საყრდენი მქონოდა, მაგრად დავიჭირე შაშხანა, გულდასმით დავუმიზნე ვეფხვს გულში და აუჩქარებლად დავაწექი სასხლეტს. მხეცი არც კი განძრეულა. სამაგიეროდ მეორე ისარივით ავარდა ზევით და ერთი ნახტომით აღმოჩნდა ხუთფუტიან ბორცვზე, რომელიც ყანას თხრილისაგან ყოფდა. აქ ის შეჩერდა ჩემკენ ფერდმოშვერილი და მარჯვენა მხრიდან თავის ამხანაგს გადახედა. კიდევ ერთხელ ვესროლე. ვეფხვი ყალყზე შედგა, შემდეგ ზურგით თხრილში გადავარდა და თვალს მიეფარა.

მეორე გასროლის შემდეგ შევნიშნე, რომ მაღალი სურნელოვანი მცენარეები შეირხა იმ ადგილთან ახლო, სადაც მოკლული ვეფხვი ეგდო. რომელიღაც მსხვილი მხეცი მთელი სისწრაფით გარბოდა მინდორზე. ვიდრე გავისროდი, იგი სულ ახლო იმყოფებოდა ორ მძინარე ვეფხვთან, მაშასადამე, ესეც მხოლოდ ვეფხვი უნდა ყოფილიყო. მე ვერ ვხედავდი მხეცს, მაგრამ ადვილად ვარჩევდი მის გზას მცენარეების მოძრაობაზე, რადგან მათი ფოთლების ქვედა მხარე თეთრი იყო. სწრაფად დავაყენე სამიზნო ორას იარდზე, დავიწყე ცდა, რომ მხეცს გაშლილ ადგილზე მიერბინა. მალე ვეფხვიც გამოჩნდა: აქ შევნიშნე: მთის ფერდობი მარჯვნივ უხვევდა ზუსტად ისევე, როგორც მინდორი, რომელზედაც ვიწექი მარცხნივ. ეს საშუალებას მაძლევდა, რადგან ვეფხვი ჰორიზონტალურად გარბოდა, მისთვის ფერდში მესროლა.

არა ერთხელ დამინახავს, ერთი გასროლით როგორ ეცემიან ცხოველები, მაგრამ არასოდეს მინახავს, რომელიმე მათგანი ისე უგრძნობლად დავარდნილიყო, როგორც ეს ვეფხვი.

რამდენიმე წამს უძრავად ეგდო, შემდეგ თანდათანობით თა-
თებით დაცურდა ფერდობზე ხრამისკენ. ქვევით ხრამის ნა-
პირიდან რამდენიმე ფუტის დაშორებით რვა-ათი ფუტის სიმ-
სხო ახალგაზრდა მუხა იდგა. ვეფხვი მუცლით დაასკდა ამ
ხეს და ისე გადაეკიდა, რომ თავი და წინა თათები ერთ მხა-
რეზე აღმოჩნდა, კუდი და უკანა თათები — მეორეზე. თოფი
მხარზე მქონდა მიდებული, თითი სასხლეტზე მედო და ვიც-
დიდი. მაგრამ მხეცის სხეული ოდნავადაც არ ათრთოლებუ-
ლა. ფეხზე წამოვდექი და პატვარის ვანიშნე ჩამოსულიყო
ხიდან. იქიდან, ზღმარტლიდან, როგორც ტრიბუნიდან, იგი ხე-
დავდა ყოველივეს, რაც ხდებოდა. დუნგარ სინგხი მთელი ამ
ხნის განმავლობაში იწვა და ჩემ გვერდით ნაწყვეტ-ნაწყვეტად
სუნთქავდა. ახლა კი სიხარულისაგან ცეკვავდა. შევხედე, რო-
გორ ავლებდა იგი თვალს ხან ვეფხვს და ხან უნაგირაზე მყოფ
ხალხს, და მივხვდი: იგი თხზავდა ამბავს, რომელსაც ყველას
მოუთხრობდა არა მარტო დღეს, არამედ კიდევ მრავალი თვის
მანძილზე.

როცა ყანაში ორი მძინარე ვეფხვი დავინახე, გავიფიქრე,
კაციჭამიას თავისი მეგობარი მოუნახავს-მეთქი. მაგრამ მეორე
გასროლის შემდეგ, რომელმაც მესამე ვეფხვი დააფრთხო,
მივხვდი, რომ საქმე მქონდა ძუ ვეფხვთან და მის მოდგმასთან.
დედის გარჩევა ახალგაზრდა ვეფხვებისაგან შეუძლებელი იყო.
როცა მათ სამიზნე ჩარჩოში ვუყურებდი, ყველანი ერთი
ზომის მეჩვენებოდნენ. ის, რომ ერთი მათგანი ტალადეშის
კაციჭამია იყო, ეჭვს არ იწვევდა: მთებში ვეფხვები იშვიათია,
ეს სამნი კი ახლო იყვნენ იმ ადგილიდან, სადაც ცოტა ხნის
წინათ ვეფხვმა მოკლა და შეჭამა ადამიანი. ახალგაზრდა ვეფ-
ხვებს დედის ცოდვებმა უწია. ცხადია, რომ მას შემდეგ, რაც
აღარ წოვდნენ ძუძუს, დედის მიერ მოპოვებული ადამიანის
ხორცით იკვებებოდნენ, მაგრამ ეს როდი ნიშნავდა, რომ მისი
მეურვეობიდან წასვლის შემდეგ კაციჭამიებად გადაიქცეოდ-
ნენ. ჩემი მტკიცების გარშემო ატეხილი მითქმა-მოთქმის მიუ-
ხედავად იმის თაობაზე, თუ როგორ ხდებიან ვეფხვები კაცი-
ჭამიები — მაინც მიმაჩნია, რომ კაციჭამია ვეფხვის ბოკვერებს
ადამიანის ხორცის ჭამა (ყოველ შემთხვევაში ინდოეთის იმ
ნაწილში, რომელზეც მე ვწერ) არ ხდის კაციჭამიებად.

ყანის პირს ჩამოვჯექი, შაშხანა მუხლებზე დავიდე, ჩემს თანამგზავრებს სიგარეტებით გავუმასპინძლდი და ვუთხარი, მოვწევ და თხრილში ჩავარდნილი ვეფხვის სანახავად ჩავალმეთქი. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ იგი მკვდარი დამხვდებოდა. მაშასადამე არაფერი დაშავდებოდა, თუ რამდენიმე წუთს ვიდგებოდი თუნდაც იმიტომ, რომ გამეხარა იმ შესანიშნავი წარმატების გამო, რომელიც წილად მხვდა. ტალადეშში ჩასვლიდან ერთი საათის შემდეგ სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინე ძუ ვეფხვი, რომელიც რვა წლის მანძილზე თავზარს აცემდა მოსახლეობას მრავალი ასეული კვადრატული მილის ტერიტორიაზე, და რამდენიმე წუთში თავის ბოკვერებთან ერთად გავანადგურე. გარდა უდიდესი სიამოვნებისა, რასაც განიცდის თითოეული მონადირე, იმის შეგნებით, რომ ოსტატურად ხმარობდა შაშხანას უკიდურესი მღელვარების დროს, სიხარულსა და შვებას კიდევ იმიტომ ვგრძნობდი, რომ მტაცებლები დავხოცე და აღარ მომიხდებოდა მათი დევნა; ამისათვის კი ყოველთვის მზად უნდა იყო, თუ ვეფხვებზე ქვეითად ნადირობ.

ჩემი ხალხი ამ განსაკუთრებულ წარმატებას უბრალო შემთხვევითობას როდი მიაწერდა. მათ ხომ წინასწარ იზრუნეს, რომ ყველაფერი კარგად დაგვირგვინებულიყო. ვიდრე სანადიროდ წავიდოდით, ისინი მივიდნენ ნაინი ტალის ტაძრის მოხუც მღვდელთან რჩევისათვის, თუ როდის სჯობდა გასდგომოდნენ გზას, და მან შეგვირჩია ხელსაყრელი, კეთილის მაუწყებელი დღე. მაშასადამე, წარმატება არ შეიძლებოდა ბედნიერ შემთხვევითობად მიგვეჩნია. მე რომ ვერ დამეხოცა ვეფხვები, ეს ხალხი ამას არ ჩათვლიდა არახელსაყრელ გარემოებათა დამთხვევად. როგორ ზუსტადაც უნდა დამემიზნებინა ტყვია, სულ ერთია, არავითარ ზიანს არ მიაყენებდა ცხოველს, რომლის სიკვდილის ჟამი ჯერ არ დამდგარიყო. მე ყოველთვის ანგარიშს ვუწევდი იმათ ცრუმორწმუნეობას, ვინც ჩემთან ერთად მოდიოდა სანადიროდ. თავად მე ვერიდები პარასკეობით მგზავრობას, ამიტომ ვერ დავცინებ მთიელთა ღრმად ფესვგადგმულ ადათს — არ დაადგნენ გზას ჩრდილოეთით სამშაბათს ან ოთხშაბათს, სამხრეთით — ხუთშაბათს, აღმოსავლეთით — ორშაბათს ან

შაბათს და დასავლეთით — კვირას ან პარასკევს. განა რა მოხდება ნება დართო ხალხს, რომელიც შენთან ერთად მოდის სახიფათო საქმეზე, თავად შეარჩიოს ნადირობის დაწყების დღე. სამაგიეროდ შენ გეყოლება ხალისიანი და კმაყოფილი თანამგზავრები, რომლებსაც ტვირთად არ აწევთ უბედურების წინათგრძნობა.

თითქმის დავამთავრეთ სიგარეტების მოწევა, რომ შევამჩნიე, ახალგაზრდა მუხაზე გადაკიდული ვეფხვი შეირხა. როგორც ჩანს, სისხლი დაუგროვდა სხეულის წინა ნაწილში და იგი უფრო დამძიმდა, რის გამოც ცხოველმა იწყო ნელ-ნელა თავით დაცურება წინ, ბოლოს, მოსწყდა ხეს და დასრიალდა ბალახით დაფარულ ფერდობზე ხრამისკენ. როცა ის, ხევში გადავარდნის დროს, იყო ჰაერში, გადმოვიღე შაშხანა და გახარებულმა ვესროლე ტალადეშში ჩემი მისიის წარმატებით დამთავრების აღსანიშნავად, აგრეთვე — მცხვენია ამის აღიარება — იმის საჩვენებლად, რომ ასეთ მნიშვნელოვან დღეს შემეძლო ნიშანში მომერტყა ტყვია რომელიც გნებავთ საგნისათვის, კლდიდან გადმოვარდნილი ვეფხვისათვისაც კი. თვალის დახამხამებაში ვეფხვი გაქრა ხეებს შორის. გაისმა მოღუნული და მომტვრეული ტოტების ლაწალუწი, ტკაცანი და შემდეგ მძიმე სხეულის დაცემის ყრუ ხმა. მოვარტყი თუ არა ტყვია ვეფხვს, ამჯერად ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა, ცუდი ის იყო, რომ ახლა გლეხებს მოუხდებოდათ უფრო გრძელი გზით მოევლოთ მისი გულისათვის.

დავამთავრე სიგარეტის მოწევა და ვთხოვე ჩემს თანამგზავრებს არ ეხმაურათ, სანამ თხრილში ჩავარდნილი ვეფხვის სანახავად ჩავდიოდი. ფერდობი მეტად ციცაბო იყო და ვერ მოვასწარი ორმოცდაათი ფუტის გავლაც კი, რომ შეშფოთებულმა დუნგარ სინგხმა დამიძახა: „შეხედეთ, საიბ! ვეფხვი!“ მე ვფიქრობდი იმ ვეფხვზე, რომელიც თხრილში ჩავარდა, ამიტომ ჩავჯექი, ავწიე შაშხანა და თავდასხმის შესახვედრად ამ მხრიდან მოვემზადე: მაგრამ დუნგარ სინგხმა დამიძახა:

— აქ არა, საიბ. იქ! იქ!

ფრონტიდან თავდაცვის აუცილებლობას რომ თავი დავაღწიე, შემოვბრუნდი და დუნგარ სინგხს შევხედე. ის მიმითითებდა მთავარი ხეობის უკან აღმართულ იმ ბორცვის

ძირისკენ, სადაც კაციჭამიამ დედა მოუკლა. მე უცებ ვერ დავინახე ვეფხვი, რომელიც გარდიგარდმო კვეთდა ფერდობს იგი ძალიან კოჭლობდა და ყოველი სამი-ოთხი ნაბიჯის შემდეგ ჩერდებოდა. მარჯვენა ბეჭზე სისხლის დიდი ლაქა ნოუჩანდა. ეს იყო ის ვეფხვი, რომელიც სულ ახლახან ტოტების ლაწალუწით მოსწყდა ხეს, რადგან თხრილში ჩავარდნილ ვეფხვს ტყვია მარცხენა ბეჭში მოხვდა.

ჩემ გვერდით ფერდობზე მაღალი ფიჭვი იდგა. სამიზნო ჩარჩო სამას იარდზე დავაყენე, მაგრად მოვხვიე მარცხენა ხელი ხეს, შაშხანა მაჯაზე ჩამოვიდე და გულმოდგინედ, დინჯად დავუმიზნე. ვეფხვამდე დაახლოებით ოთხასი იარდი იქნებოდა. ამასთანავე იგი ოდნავ ზევით იყო, ამიტომ მოვიცადე, ვიდრე მხეცი კვლავ შეჩერდებოდა, და შემდეგ ნელა დავაწექი სასხლეტს, მომეჩვენა, თითქოს მთელმა საუკუნემ განვლო, სანამ ტყვია ამ მანძილს გაივლიდა, და ბოლოს მტვრის ბუღი დავინახე. იმწამსვე, თითქოს წაიბორძიკაო, ვეფხვმა წაიწია წინ, შემდეგ კოჭლობით ნელა განაგრძო გზა. უფრო მაღლა დავუმიზნე, ვიდრე ეს საჭირო იყო, და ტყვიამ ცოტა ზემოთ გადაუარა. ახლა ზუსტად ვიცოდი, როგორ უნდა დამემიზნებინა, რომ მომეკლა მხეცი. მაკლდა მხოლოდ ტყვია, სწორედ ის ტყვია, ასე ქარაფშუტულად რომ გავატანე ქარს, როცა კლდიდან გადმოვარდნილ მხეცს ვესროლე. ხელში გაუტენავი შაშხანა მეჭირა, და ვუყურებდი, ტკივილების მიუხედავად, როგორ ადიოდა ვეფხვი ნელა თხემზე. იქ იგი რამდენიმე წამს შედგა, თითქოს ყოყმანობდა, და შემდეგ თვალს მიეფარა.

მონადირეები, რომლებიც არასოდეს ყოფილან ჰიმალაიებში, შეეჭვდებიან, გონივრულად მოვიქეცი თუ არა, რომ მსუბუქი 275-ყალიბიანი შაშხანით შევიარაღდი და მარაგად მხოლოდ ხუთი ვაზნა წავიღე. ეს შემდეგი მოსაზრებით გავაკეთე:

ა) ამ შაშხანას ვხმარობდი ოც წელზე მეტ ხანს და მას კარგად ვიცნობდი;

ბ) ის იყო მსუბუქი, ზუსტად ურტყამდა და მიზანს სამას იარდზე ხვდებოდა.

გ) ყურის ექიმმა პოლკოვნიკმა ბარბერმა გამაფრთხილა

თავი ამერიდებინა მძიმე შაშხანის ხმარებისათვის და არ მესროლა ხშირად, თუ ამას გარემოება არ მოითხოვდა.

რაც შეეხება ვაზნების მარაგს, ის მცირე იყო იმიტომ, რომ არ ვფიქრობდი ამ დილას ვეფხვებისათვის მესროლა. მსურდა მხოლოდ მენახა ის სოფელი, სადაც კაციჭამიამ თავისი უკანასკნელი მსხვერპლი მოკლა, და, თუ დამრჩებოდა დრო, ერთ-ერთი ზაქი დამება ვეფხვის მისატყუებლად. მსუბუქი შაშხანა და ხუთი ვაზნა თავის საქმეს გააკეთებდა, მე რომ ტყუილ-უბრალოდ არ გამესროლა ის საბედისწერო ტყვია.

ჩემი ხალხი დროზე მივიდა სოფელში, რათა თხემზე შეკრებილ გლეხებთან ერთად მომხდარი ამბების მოწმენი გამხდარიყვნენ. მათ იცოდნენ, რომ სულ ხუთი ვაზნა მქონდა საკაზნე კოლოფში. ამიტომ, მას შემდეგ, რაც მეხუთე გასროლა გაისმა, დაჭრილი ვეფხვი კი თხემს მიეფარა, მადხო სინგხმა ვაზნების ახალი მარაგი მომირბენინა.

ორივე მოკლული მხეცი, მწვანე ბალახზე მწოლიარეც და თხრილში ჩავარდნილიც, — იგი მკვდარი ვნახე იმავე ადგილზე, სადაც დაეცა, — მოზრდილი ვეფხვები აღმოჩნდნენ. მესამე დაჭრილი მხეცი, რომელმაც თავს უშველა, უეჭველია მათი დედა იყო — ტალადეშის კაციჭამია. მადხო სინგხი და დუნგარ სინგხი დავტოვე მოლაპარაკებიდნენ ხალხს, თუ როგორ გადაეტანათ მოკლული მხეცები სოფელში. და დაჭრილი ვეფხვის საძებნელად მარტო წავედი. გვიმრის შამბნარში, სადაც ის ხიდან ჩავარდა, გავიარე ოდნავ შესამჩნევ სისხლის ნაკვალევზე იმ ადგილამდე, სადაც ვეფხვი იდგა, როცა უკანასკნელად ვესროლე. აქ ვნახე ერთი ბღუჯა ბალანი, რომელიც ტყვიას ვეფხვის ზურგიდან ჩამოეგლიჯა, და ჭრილობიდან იმ დროს დაღვრილი ცოტა სისხლი, როცა ვეფხვმა გაიგონა თავს ზემოთ ქვაზე ტყვიის მოხვედრა და წინ გავარდა. აქედან თხემამდე სისხლის წვეთები მხვდებოდა, ხოლო შემდგომ დაბალ ხშირ ბალახში კვალი სრულიად დაიკარგა. მახლობლად ციცაბო მთაზე იყო ას იარდამდე სიგანის ხშირი ბუჩქნარის ნაკვეთი, რომელიც ფერდობზე ზემოთ სამას იარდამდე გრძელდებოდა. გუმანით ვიგრძენი, რომ ვეფხვი იქ უნდა დამალულიყო, მაგრამ რად-

გან ღამდებოდა და ზუსტი სროლისათვის საკმაო სინათლე არ იყო, გადავწყვიტე სოფელში დავბრუნებულიყავი და ბუჩქნარის გამოკვლევა ხვალისათვის გადამედო.

5

მთელი დილა მოვანდომეთ მოკლული ვეფხვების გატყავებას და ჩემ მიერ ნაინი ტალიდან ჩამოტანილ ექვსდუიმიან პალოებზე მათ გადაჭიმვას. სანამ ამ საქმეში ვიყავი გართული, ჩემი კარვის გარშემო ხეებზე ასზე მეტი სვავი მოფრინდა, რომელთაც გახსნეს საიდუმლოება, თუ სად გაქრა კაციჭამიას უკანასკნელი მსხვერპლის ტანსაცმელი. აღმოჩნდა, რომ სისხლით გაჟღენთილი ტანსაცმელი ახალგაზრდა ვეფხვებს ნაფლეთებად დაეგლიჯათ და გადაესანსლათ.

იქვე ისხდნენ გლეხები და თვალყურს ადევნებდნენ ჩვენს მუშაობას. მე ვთხოვე მათ დახმარებოდნენ გარხვალელებს გამოეგდოთ ნადირი ბუჩქნარიდან, სადაც, როგორც ეფიქრობდი, დაჭრილი ძუ ვეფხვი იმალებოდა. ისინი ხალისით დამთანხმდნენ. დაახლოებით შუადღისას მარეკებმა გაიარეს ბუჩქნარის თავზე აღმართული მთის მწვერვალის უნაგირას გასწვრივ მდებარე სოფელი, მე კი აქასობაში თოფის ბილიკით ხეობაში დავეშვი. შემდეგ ავედი თხემზე, რომლის გაღმაც გუშინ ძუ ვეფხვის კვალი დავკარგე. ბუჩქნარის ქვემო ნაპირას უზარმაზარი, სახლისოდენა ლოდი ეგდო. ამ ლოდის თავზე ავედი. ბორცვის მწვერვალზე მყოფმა ხალხმა დამინახა, და ქუდის ქნევით ვანიშნე მოგდება დაეწყოთ. უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად – ვეფხვს შეეძლო ვინმე დაესახიჩრებინა — ხალხს ვუბრძანე მწვერვალზე მდგარიყვნენ. ჯერ ტაში დაეკრათ და ეყვირათ, შემდეგ კი ბუჩქნარში ქვები დაეგორებინათ. ის იყო ვეფხვის მოგდება დაიწყო, რომ ბუჩქიდან გამოხტა კარკერი. აფრინდა რამდენიმე ხოხობი კალიჯი, მაგრამ სხვა არაფერი გამოჩენილა. როცა ჩემმა თანაშემწეებმა ქვებით მთელი ბუჩქნარი მოჩხრიკეს, ნიშანი მივეცი შეეწყვიტათ მოგდება და სოფელში დაბრუნებულიყვნენ.

მათი წასვლის შემდეგ ყოველ შემთხვევისათვის გავჩხრი-

კე პუჩქნარი, მაგრამ ძუ ვეფხვი ვერ ვნახე. გუშინ საღამოს თვალს ვადევნებდი, როგორ ადიოდა იგი ბორცვზე, და იმ დასკვნამდე მივედი, რომ მას ძალიან სტკიოდა ჭრილობა. დღეს ვუყურებდი სისხლიან ნაკვალევს იმ ადგილას, სადაც იგი გუშინ ტყვიამ მიწას დაანარცხა, და დავრწმუნდი, რომ მას ჭრილობა შიგნით კი არ ჰქონდა, არამედ გარედან. რატომ დაეცა ძუ ვეფხვი გასროლის შემდეგ მოცელილივით და რატომ გადაეკიდა ხეზე მთელი თხუთმეტი წუთის მანძილზე ისე, რომ სიცოცხლის ნიშანწყალიც არ ემჩნეოდა? ამ კითხვაზე ვერ ვპოულობ გონივრულ პასუხს. შემდგომ აღმოვაჩინე, რომ ნიკელის ბუდეში ჩასმული რბილთავიანი ტყვია ვეფხვს მარჯვენა ბეჭის სახსარში გაეჩხირა. როცა სწრაფსასროლი შაშხანიდან წასული ტყვია ძვალს ხვდება, ცხოველს ძლიერი შოკი ემართება. ეს გასაგებიცაა. მაგრამ ვეფხვი ხომ მსხვილი ცხოველია და სასიცოცხლო ძალების უდიდესი მარაგი აქვს. ამიტომ გაუგებარია, 275-ყალიბიანი მსუბუქი შაშხანიდან გასროლილმა ტყვიამ როგორ მოცელა და როგორ დააკარგვინა გრძნობა მთელი თხუთმეტი წუთის განმავლობაში.

თხემზე რომ დავბრუნდი, შევჩერდი და ადგილმდებარეობა დავათვალიერე. აღმოჩნდა, რომ თხემი მრავალ მილზე გრძელდება და ორ ხეობას ყოფს. მარცხნივ მდებარე ნაწილი წარმოადგენდა ბალახით დაფარულ გაშლილ სივრცეს: მის ზედა ბოლოში ხშირ ბუჩქნარიანი ნაკვეთი იყო. ხეობა მარჯვნივ. სადაც ვეფხვებმა ქალი შეჭამეს, ერთი მხრიდან დაფარული იყო ჯუნგლებით, მისი მეორე, ციცაბო მხარე, თავდებოდა თიხოვანი ფიქალით წარმოქმნილი კლდოვანი ხრამით.

კლდის შვერილზე ჩამოვჯექი, სიგარეტი მოვწიე, ჩავუფიქრდი წუხანდელ ამბებს და შემდეგ დასკვნებამდე მივედი:

ა) გასროლის მომენტიდან ხიდან ჩამოვარდნამდე ძუ ვეფხვი უგრძნობლად იყო;

ბ) ხის ტოტებსა და მის ქვეშ ამოსულ გვიმრაზე რბილად დაცემამ მას გრძნობა დაუბრუნა, მაგრამ არა სავსებით; იგი მაინც გაბრუებული იყო.

გ) ასეთ მდგომარეობაში უგზოუკვლოდ ღოღიალით ბორ-ცვამდე მიაღწია და მასზე ავიდა.

წამოიჭრა კითხვა: რამდენად შორს და რა მიმართულებით წავიდა ვეფხვი? ბორცვიდან დაშვება დაზიანებული თათით ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე აღმართში ასვლა, ამიტომ, როგორც კი გონს მოვიდა, ძუ ვეფხვმა შეწყვიტა ძირს ჩასვლა და დაიწყო თავშესაფარის ძებნა, სადაც შეიძლებოდა დაწოლა, სანამ ჭრილობა მოუშუშდებოდა. თავშესაფარში რომ მისულიყო, თხემი უნდა გადაელახა, მაშასადამე, უნდა გამომერკვია, ასე მოიქცა თუ არა ვეფხვი. შეუძლებელი იქნებოდა იმის გამორკვევა, გადაიარა თუ არა მხეცმა რამდენიმე მილის სიგრძის თხემი, რომ არ ყოფილიყო მხეცთა ბილიკი, რომელიც დანასავით ბასრ ნაპირს გასდევდა. ბილიკს იდეალური ზედაპირი ჰქონდა; ზედ აშკარად აჩნდა ყველა გავლილი ცხოველის ნაკვალევი. ბილიკიდან მარცხნივ ბალახიანი ფერდობი იყო, მარჯვნივ — შვეულად ჩამოქცეული ციცაბო ფიქალი ფლატე, მის ქვეშ კი ხევი.

მოვწიე სიგარეტი, გავყევი მხეცების ბილიკს და დავინახე გხორალის, სარაოს*, სამბხარის, ლანგურის, მაჩვზღარბის და ხვადი ჯიქის თათების ანაბეჭდები. რაც უფრო წინ მივდიოდი, მით უფრო მიფუჭდებოდა გუნება, რადგან ვიცოდი, რომ თუ ამ ბილიკზე ვერ ვნახავდი ვეფხვის ნაკვალევს, შესაძლოა, სულაც ვერ მეპოვა იგი. მაგრამ ქედის გასწვრივ დაახლოებით ერთი მილი რომ გავიარე, დავაფრთხე ორი გხორალი, რომლებმაც ბალახით დაფარულ ფერდობზე მოკურცხლეს, და მაინც ვნახე ძუ ვეფხვის თათების ანაბეჭდი და შემხმარი სისხლის ლაქა. ალბათ, გუშინ საღამოს გადაიარა ქედი და მიდიოდა დაბლა ამ ფერდობზე, ვიდრე არ მოღონიერდა, ხოლო შემდეგ ბორცვი ჰორიზონტალურად გადაჭრა. სწორედ ამ გზით გამოვიდა იგი მხეცთა ბილიკზე. ვეფხვის კვალზე ნახევარი მილი გავიარე იმ ადგილამდე, სადაც მან სცადა ფლატიდან ჩამოსვლა, როგორც ჩანს, იმ განზრახვით, რომ ხევგაღმა ჯუნგლებში დამალულიყო. აქ ფლატეს სიმაღლე ყველაზე მცირე იყო —

---

* სარაო — მთის ანტილოპა.

ოხუთმეტი იარდი იქნებოდა. არ ვიცი, რამ შეუშალა ხელი ძუ ვეფხვს, დაჭრილმა თათმა თუ სისუსტემ, მაგრამ, შედგა თუ არა ფლატეზე, დაცურდა ქვევით სულ რამდენიმე იარდზე, და მობრუნდა, თავგანწირული, მაგრამ ამაო ცდის შემდეგ, რომ ხევიდან ხრამში არ გადაჩეხილიყო, დაიწყო ფართოდ გადგმული თათების კლანჭებით მიწის კაწვრა. მე ისე მტკიცედ ვდგევარ ფეხზე, როგორც მთის თხა, მაგრამ ჩემთვისაც კი ძნელი იყო ამ ფლატეზე ასვლა. ამიტომ ბილიკზე კიდევ რამდენიმე ასი იარდი გავიარე, სანამ არ დავინახე ნაპრალი, და იქიდან ხევში დავეშვი.

როცა ასე ოცდაათი იარდის სიგანე ხევს ავყევი, ყურადღება მივაქციე, რომ ფლატეს ქვევით ხრამის სიღრმე სამოც-ოთხმოც ფუტს აღწევდა. ცხადია, ასეთი სიმაღლიდან ქვებზე დავარდნილი არც ერთი ცხოველი ცოცხალი არ გადარჩება.

იმ ადგილთან მიახლოებისას, სადაც უნდა დაცემულიყო ძუ ვეფხვი, უსაზღვროდ გახარებულმა დავინახე რომელიღაც დიდი ცხოველის თეთრი მუცელი. მაგრამ სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა: ეს ძუ ვეფხვი კი არა, სარაო იყო. ალბათ, სარაოს ხრამის შვერილის ვიწრო კიდეზე ეძინა და როცა იგრძნო, თავს ძუ ვეფხვი წამომადგაო, გაიღვიძა. იგი თავზარდაცემული გადახტა ძირს და ქვებზე ხრამის ძირას სასიკვდილოდ დაიმტვრა. სარაოსაგან ცოტა მოშორებით ფხვიერი სილიანი პატარა ნაკვეთი მდებარეობდა. სწორედ აქ, ისე, რომ თავისთვის არავითარი ზიანი არ მიუყენებია (მას მხოლოდ ჭრილობა გაეხსნა ბეჭზე). დაეცა ძუ ვეფხვი. მან ერთ იარდზე ჩაუარა გადაჩეხილ სარაოს, მისთვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია, გადაჭრა ხევი და გზაზე გარკვეული სისხლიანი ნაკვალევი დატოვა. ხევის მარჯვენა ნაპირის სიმაღლე სულ რამდენიმე ფუტი იყო. ძუ ვეფხვმა არა ერთხელ სცადა მასზე ასვლა, მაგრამ ამაოდ. ახლა ვიცოდი, რომ ვიპოვიდი მას ცოტად თუ ბევრად ვარგის პირველივე თავშესაფარში. მაგრამ ბედი არ მწყალობდა. ღრუბლები ჩამოწვა, და, ვიდრე ვნახავდი იმ ადგილს, სადაც ძუ ვეფხვმა ხევი დატოვა, კოკისპირულმა წვიმამ დაუშვა და სისხლიანი ნაკვალევი გადარეცხა.

ახლოვდებოდა საღამო. მე კი სადგომისაკენ სავალი გრძელი და ძნელი გზა მელოდა, და უკან გამოვბრუნდი.

ყოველგვარ შეჯიბრში ბედი მცირე როლს როდი ასრულებს, ძუ ვეფხვს კი ბედი სწყალობდა ყველაფერში. უწინარეს ყოვლისა, იმის ნაცვლად, რომ თავის ბოკვერებთან ერთად ყოფილიყო გაშლილ ადგილას, სადაც მას ადვილად გამოვარჩევდი, იგი მაღალ ხშირ ბალახში იწვა. შემდეგ ტყვია მოხვდა სწორედ იმ ძვალს, რომელმაც ხელი შეუშალა მის სასიკვდილოდ დაჭრას. მერე, ხრამიდან ორჯერ ჩამოვარდნისას, ის უსათუოდ სასიკვდილოდ დაიმტვრეოდა, რომ არ ყოფილიყო პირველ შემთხვევაში ხეები და გვიმრა. მეორეჯერ — ფხვიერი სილა, რაზეც რბილად დაეცა იგი. ბოლოს, როცა სულ რაღაც ას იარდზე ვიმყოფებოდი იმ ადგილიდან, სადაც ის ჩაწვა, წვიმა დაიწყო და გადარეცხა სისხლიანი ნაკვალევი. და მაინც ზოგ რამეში მეც მეწია ბედი. შიში იმისა, რომ ვეფხვი ბალახით დაფარული ფერდობით წავიდოდა და კვალს დავკარგავდი, არ გამართლდა; გარდა ამისა, ახლა ვიცოდი, სად უნდა მეძებნა იგი.

6

მეორე დილას დავბრუნდი ხევში ჩემ ექვს გარხვალელთან ერთად. მთელ კუმაონში სარაოს ხორცი დიდ დელიკატესად ითვლება. და ვინაიდან დაღუპული ცხოველი მშვენიერ მდგომარეობაში აღმოჩნდა, შეიძლებოდა ჩემი ხალხის ულუფის სასურველ დამატებად გამომეყენებინა. გარხვალელები სარაოს გასატყავებლად დავტოვე, თავად კი იმ ადგილისაკენ გავეშურე, საიდანაც წინა საღამოს გამოვბრუნდი. იქ დავინახე, რომ ბორცვზე კიდევ ორი ვიწრო ღრმა ხევი იყო. ვინაიდან ძუ ვეფხვს შეეძლო რომელშიც მოეპრიანებოდა, იმ ხევში შესულიყო, გადავწყვიტე, ორივე გამომეკვლია, და მახლობელი ხევიდან დავიწყე. მაგრამ რამდენიმე ასი იარდის სიმაღლეზე ასვლის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ხეობის ორივე მხარე ძალიან ციცაბოა ჯანსაღი ვეფხვისათვისაც კი, და თავდება ოცდაათი ფუტის სიმაღლის ფრიალო ხრამით, სადაც მუსონური წვიმების

დროს, ალბათ, წყალვარდნილი წარმოიქმნება. უკან დავ-ბრუნდი და ახლო მყოფ ხალხს გავძახე ცეცხლი დაენთოთ და ჩაისთვის წყალი აედუღებინათ. მეორე ხეობის დასათვა-ლიერებლად რომ წავედი, ბორცვის მეორე მხარეს მხეცების ბილიკი დავინახე. მასზე დარჩენილიყო გუშინდელი წვიმის ძიერ ნაწილობრივ გადარეცხილი ძუ ვეფხვის თათების ანა-ბეჭდები. ბილიკისაგან ოდნავ მოშორებით დიდი კლდე იყო. ახლო რომ მივედი, მის გვერდით პატარა ღრმული შევამ-ჩნიე. ამ ღრმულში ხმელი მოთელილი ფოთლები ეყარა და აქა-იქ შედედებული სისხლით იყო დაფარული. ალბათ, ვეფხვი აქ მოვიდა ხრამში ჩავარდნის შემდეგ, ორმოცი სა-ათის წინათ, და ეს-ეს არის წავიდა, როცა გაიგონა, როგორ ვეძახდი ხალხს, რომ ჩაი აედუღებინათ.

ყოველ ვეფხვს თავისი ჩვევა აქვს, ამიტომ არ შეიძლება წინასწარ გამოიცნო, რას მოიმოქმედებს ესა თუ ის დაჭ-რილი მხეცი ადამიანის მიახლოებისას. ძნელია იმის თქმაც, თუ დაჭრის შემდეგ რა ხნის განმავლობაში იქნება ის საშიში მათთვის, ვინც მას შეაწუხებს. ერთხელ დავინახე გაქცევის დროს ვეფხვმა როგორ მაგრად გაიჭრა უკანა თათი, მაგრამ ხუთი წუთის შემდეგ თავს დაესხა მთელი ასი იარდის მან-ძილიდან. მეორე ვეფხვი კი მრავალ საათს ილოკავდა მტკივ-ნეულ ჭრილობას, მოწინააღმდეგეს რამდენიმე ფუტის მან-ძილზე უშვებდა, ისე რომ არც კი უცდია მისი გაგდება. კიდევ უფრო ძნელია წინასწარ გამოიცნო, როგორ მოიქცევა დაჭრილი კაციჭამია ვეფხვი. მისი თავდასხმა, ალბათ. გამო-წვეულია არა მარტო იმით, რომ ადამიანმა შეაწუხა იგი, არამედ საკვების შოვნის სურვილითაც, თუ ჭრილობა შინა-განი არ არის. საერთოდ ვეფხვები, გარდა დაჭრილებისა და კაციჭამიებისა, ძალიან გულკეთილები არიან. ეს რომ ასე არ იყოს. ათიათასობით ადამიანი ვერ იმუშავებდა ჯუნგლებში, სადაც ხშირად ვეფხვები თითქმის ყოველ ნაბიჯზე გვხვდება, ხოლო ისეთები კი, როგორც მე ვარ, მთელი წლების მან-ძილზე დაუზიანებლად ვერ იხეტიალებდნენ ტყეებში ფეხით. ზოგჯერ რომელიმე ვეფხვი უკმაყოფილებას ავლენს, როცა ძალიან ახლო მიდიან მის შვილებთან ან ნადავლთან, რო-მელსაც იგი დარაჯობს. ეს პროტესტი უეჭველად ბრდღვინ-

ვით გამოიხატება; თუ ეს სათანადო შთაბეჭდილებას არ ახდენს, ამას მოჰყვება მოკლე ნახტომები, რასაც თან ახლავს ხმამაღლა ღრიალი. და თუ ასეთი გაფრთხილებებიც არ შველის საქმეს, მაშინ ყოველგვარი დასახიჩრებისათვის მთლიანად დაუპატიჟებელ სტუმარს ედება ბრალი. რამდენიმე წლის წინათ შემემთხვა ამბავი, რომელიც ადასტურებს ჩემს რწმენას, რომ ვეფხვები გულკეთილები არიან.

ერთ საღამოს მე და ჩემი და მეგი ვთევზაობდით მდინარე ბოარზე კალადხუნგიში, ჩვენი სახლიდან სამი მილის დაშორებით. უკვე დავიჭირე ორი საშუალო სიდიდის მახსირი*, კლდეზე დავჯექი და თამბაქო გავაბოლე. მოულოდნელად გამოჩნდა სპილოზე ამხედრებული ჯოფ ჰოპკინსი (მოგვიანებით იგი უთარ პრადეშის შტატის ტყეთა დაცვის სამმართველოს უფროსი გახდა). იგი მეგობრების ჩამოსვლას ელოდა, და რადგან სუფრაზე აკლდა ხორცეული, 240-ყალიბიანი შაშხანით შეიარაღებული, კარკერის ან ხოხბის მოსაკლავად გამოეშურა. რადგან თევზი საკმაოდ დავიჭირეთ, მივიღეთ ჯოფის წინადადება მასთან ერთად გარეულ ფრინველზე სანადიროდ წავსულიყავით. სპილოზე შეკუხდეთ. მდინარეზე გადასვლის შემდეგ სპილოს მარეკს ვუჩვენე, საით უნდა წავსულიყავით. ადგილი დაფარული იყო დაბალი ბალახითა და ველური ქლიავის ბუჩქნარით. მალე ერთი ხის ქვეშ მკვდარი ჩიტალი შევნიშნე. გავაჩერე სპილო და ჩამოვხტი ძირს, რომ ცხოველის სიკვდილის მიზეზი გამოვერკვია. იგი ბებერი ფური ჩიტალი აღმოჩნდა, რომელიც გუშინ მომკვდარიყო. რადგან სხეულზე არ აჩნდა ძალადობის კვალი, ვიფიქრე, გველის კბენისაგან დაღუპულა-მეთქი. უკვე შემოვბრუნდი და წასასვლელად მოვემზადე, რომ ბალახზე შევნიშნე ახალი სისხლის წვეთები, რომლის ფორმა ცხადყოფდა, მისი დამკარგველი ცხოველი მკვდარი ჩიტალის მოპირდაპირე მხარეს მიაშურებდა. ოდნავ მოშორებით ბალახი დავათვალიერე და კიდევ ერთი წვეთი ვიპოვე. ამ ახალი სისხლიანი ნაკვალევით საგონებელში ჩავარდნილმა დავიწყე ძებნა, სად მიდიოდა იგი, და სპილოს მარეკს ვანიშნე სპილოთი მომყოლოდა. ნაკვალევი გრძელდებოდა ბა-

---

[1] მ ა ხ ს ი რ ი — წვერა თევზი.

ლახზე სამოცი თუ სამოცდაათი იარდის მანძილზე და ხუთი ფუტი სიმაღლის ხშირ ბუჩქებთან თავდებოდა. ბუჩქთან ახლოს რომ მივედი, ორივე ხელით — ანკესი სპილოს ზურგზე დავტოვე — ფართოდ გადავწიე ბუჩქები. პირდაპირ, თავით ჩემკენ, იწვა ვეფხვი და ჭამდა ხავერდოვან რქებიან ხარ ჩიტალს. როცა ბუჩქები გადავწ-გადმოვწიე, ვეფხვმა თავი აიღო და შემომხედა; მისი თვალები უსიტყვოდ ნათლად მეტყველებდნენ: „აჰა! დალახვროს ეშმაკმა!“ ზუსტად იგივე ვუთხარი ჩემ თავსაც. საბედნიეროდ, მოულოდნელობისაგან გაოცებული, ადგილზე გავშეშდი — შესაძლოა, იმიტომ, რომ გულისცემა შემიჩერდა. ასე ახლო მწოლიარე ვეფხვისათვის არაფერს წარმოადგენდა თათი გამოეწია და დაერტყა ჩემთვის თავში, მაგრამ მან პირდაპირ თვალებში შემომხედა, შემდეგ მოხდენილი მოძრაობით წამოდგა, გაბრუნდა და მის უკან ატეხილ ბუჩქებს შეერია. ვეფხვმა ჩიტალი მოკლა ველური ქლიავის ბუჩქნარში ჩვენს გამოჩენამდე ცოტა ხნით ადრე. ნადავლის საფარში გადატანისას მან ჩაუარა მკვდარ ფურ ჩიტალს და სისხლიანი ნაკვალევი დატოვა, რომელმაც მე მათთან მიმიყვანა. სპილოზე მსხდომ სამ ადამიანს ვეფხვი არ დაუნახავთ მანამდე, სანამ ის ბუჩქებზე გადახტომის დროს არ გამოჩნდა. მაშინ შეშინებულმა სპილოს გამდენმა იყვირა:

— ფრთხილად, საიბ! ვეფხვი!

კვლავ ხელიდან გავუშვი ძუ ვეფხვი და ჩემს გარხვალელებს შევუერთდი. სანამ ისინი სარაოს ჭრიდნენ, რათა უფრო მოხერხებულად წაეღოთ, მე ამასობაში ჩაი დავლიე. შემდეგ ერთად დავბრუნდით კლდის ახლო ღრმულთან, სადაც ადრე შედედებული სისხლი ვიპოვეთ. ეს ხალხი ხშირად მახლდა თან ნადირობის დროს; ფოთლებზე ამდენი სისხლის დანახვაზე მათ ერთხმად გამოთქვეს მოსაზრება, ძუ ვეფხვს შინაგანი ჭრილობა აქვს და რამდენიმე საათში უეჭველად მოკვდებაო. ამაზე მე არ შემეძლო დავთანხმებოდი, რადგან ვიცოდი, რომ ჭრილობა ღრმა არ იყო და, თუ ძუ ვეფხვს გამოჯანსაღებას დავაცლიდი, მერე გაძნელდებოდა მისი დევნა.

თუ გსურთ დაახლოებით მაინც იცოდეთ, როგორი იყო

ადგილმდებარეობა, რომელიც მე უნდა გამომეკვლია იმ დღეს, წარმოიდგინეთ დაქანებული ბორცვის ფერდობი, გადასერილი ვიწრო ღრმა ხეობით. ხეობის მარჯვნივ ფერდობს ფარავდა საკმაოდ ხშირი უბუჩქნარო ტყე, მარცხნივ — ნორჩი ბამბუკის ხშირი რაყნარი, გვიმრა და სხვადასხვა ჯიშის ბუჩქები.

გადავწყვიტე, უმჯობესია ჩემი ხალხი ხეობის მარჯვენა მხარეს გავიდეს და, მხედველობიდან რომ არ დამკარგონ, იქ ყველაზე მაღალ ხეზე აცოცდნენ-მეთქი. თუ მათ დასჭირდებოდათ ჩემი ყურადღების მიპყრობა — დაესტვინათ: მთიელები, როგორც ზოგიერთი ბიჭუნა, ძალიან მოხერხებულად უსტვენენ. ხეობის გაღმა მათ არავითარი საფრთხე არ ელოდათ, რადგან ძუ ვეფხვი იქ თავს ვერაფერს შეაფარებდა. ნაკვალევი გვიჩვენებდა, რომ ძუ ვეფხვმა დიდ კლდესთან დატოვა ღრმული, და ხევის მარცხენა მხრიდან გაეშურა ზევით ბორცვზე. მეც იქით წავედი.

მე უკვე აღვნიშნე, რომ სახელმძღვანელოებით ჯუნგლებს ვერ შეისწავლი. ჯუნგლების შესწავლა თანდათანობით შეიძლება და მათი შეცნობის პროცესი უსასრულოა. იგივე ითქმის ბუნების დევნაზეც. ყოველთვის საქმე გვაქვს სხვადასხვა ცხოველთან და სულ სხვა გარემოებებთან. ამიტომ ნადირობის ეს ხერხი ყველაზე ამაღელვებელი და საინტერესოა. არსებობს ორი საყოველთაოდ მიღებული ხერხი დევნისა: — პირველი ნაკვალევზე გაყოლა, რომელზეც სისხლია, მეორე—ნაკვალევზე, რომელზეც სისხლი არ არის. ზოგჯერ დაჭრილ ცხოველს სორცის ბუზების ან ხორცის მჭამელ ფრინველთა ფრენის მიხედვით აღმოვაჩენდი ხოლმე. დევნის ამ ორი აღნიშნული საშუალებიდან უფრო საიმედოა პირველი, რადგან ჭრილობიდან სისხლი ყოველთვის არ სდის, ცხოველის ძებნა ხშირად გვიხდება ნაკვალევით, რომელსაც ისინი ტოვებენ მიწაზე, ან მოთელილი და გადამტვრეული მცენარეულის მიხედვით. მხეცის დევნა შეიძლება იყოს ძნელიც და ადვილიც ნიადაგის ხასიათის კვალობაზე და აგრეთვე იმის მიხედვითაც, თუ რა ცხოველთან გაქვს საქმე: ჩლიქოსნებთან თუ რბილთათიანებთან.

როცა ძუ ვეფხვმა ჩემი ხმა გაიგონა და ღრმული მიატოვა, ჭრილობიდან სისხლი აღარ სწვეთავდა, ხოლო ჩირქოვანი გამონაყოფი — ალბათ, ჭრილობა დაუჩირქდა — არ იყო საკმარისი,

რომ გავყოლოდი მის კვალს. ამიტომ ისღა დამრჩენოდა, კაციჭამია ან თათების ანაბეჭდით, ან მცენარეულობაზე დატოვებული ნაკვალევით მეძებნა. იმ ადგილას, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით, ეს დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, მაგრამ ბევრ დროს მოითხოვდა, რაც ძუ ვეფხვისათვის იყო ხელსაყრელი, ვინაიდან, რაც უფრო დიდხანს გრძელდებოდა დევნა, მით უფრო მეტი შანსები ექნებოდა მას ჭრილობიდან განკურნებისა და მით უფრო მცირე შანსები მრჩებოდა ძუ ვეფხვის აღმოჩენისა. თავი იჩინა უკანასკნელი დღეების დაძაბულობამ. ძალიან მოვიქანცე, ცუდად ვგრძნობდი თავს.

პირველი ასი იარდის მანძილზე კვალი მუხლამდე ბალახში მიდიოდა. ამ ნაკვეთზე ძუ ვეფხვის დევნა ადვილი იყო, იგი ცოტად თუ ბევრად პირდაპირ მიდიოდა. იქით ახალგაზრდა ბამბუკის ხშირი რაყა იწყებოდა. თითქმის არ ვეჭვობდი, რომ ეხეცი აქ იწვა. სროლის იმედი სრულიად არ უნდა მქონოდა, იმიტომ რომ ერთმანეთზე გადახლართულ ბამბუკში ჩუმად გავლა შეუძლებელი იყო, ეხოლოდ ძუ ვეფხვს შეეძლო ჩემზე თავდასხმით გაეცა თავი. ტაფობის ნახევარი რომ გავიარე, კარკერმა დაიყვირა. მაშასადამე, ძუ ვეფხვი სადღაც გაეშურა. როგორც ჩანდა მარცხნივ. რომელიღაც ღია ნაკვეთისაკენ, რადგან კარკერის ყვირილი განუწყვეტლივ ერთსა და იმავე ადგილიდან მოისმოდა. უკან გამოვბრუნდი და რაყას მარცხნიდან შემოვუარე, მაგრამ იქ ვერ აღმოვაჩინე ვერავითარი ღია ნაკვეთი და, როგორც გამოირკვა, არც მყვირალა კარკერს მივახლოებივარ. ის მალე მიჩუმდა. აქ ჟივჟივი ატეხეს კალიჯის ხოხბებმა. ძუ ვეფხვი კვლავ მიდიოდა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ სმენა დავძაბე და თავი ყოველ მხარეს მივაბრუნე, მაინც ვერ გავარკვიე კაციჭამიას მოძრაობის მიმართულება.

ჯუნგლებში გაგონილი ხმის მიხედვით მიმართულებისა და მანძილის ზუსტად განსაზღვრის უნარი დიდი ხელოვნებაა. ჩემი დაოსტატება ამ სფეროში სრულყოფამდე ავიყვანე, რითაც ძალიან ვამაყობდი. მაგრამ იმ დღეს, ჩემდა სამწუხაროდ, ნათლად ვიგრძენი, რომ თავზე დამტყდარმა უბედურებამ ეს უპირატესობა დამაკარგვინა. მივხვდი, რომ ჩემი სმენა ამიერიდან ვეღარ დამეხმარებოდა თავიდან ამეცდინა საფრთხე, რომ ვეღარ დავტკბებოდი ჯუნგლების ბინადართა ხმებით, ბინადრებისა. რო-

მელთა ენას ხანგრძლივი წლების მანძილზე ვსწავლობდი. მეორე ყური მაინც მქონოდა საღი! მაგრამ, სამწუხაროდ, მრავალი წლის წინათ თოფის „შემთხვევით“ გასროლის შედეგად ამ ყურის დაფის აპკიც დაზიანდა. თუმცა გარემოებათა შედეგად არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, მაგრამ მაინც არ ვაპირებდი დამეშვა, რომ ვეფხვს, კაციჭამია იქნებოდა იგი თუ არა, რაიმე უპირატესობა მოეპოვებინა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში.

დავბრუნდი გვიმრიანში, რომ იქ მეპოვნა ძუ ვეფხვი. ახლა ჩემი მხედველობის იმედიღა მქონდა. ჯუნგლებში ბევრი ნადირი იყო: ხან აქ და ხან იქ ხშირად ყვიროდნენ შეშფოთებული სამბხარი, კარკერი და ლანგური, რაც ძუ ვეფხვის ყოფნაზე მიუთითებდა; რამდენჯერმე გავიგონე ხოხბების, ჩხიკვებისა და შაშვების ხმაური. არ მიმიქცევია ყურადღება ამ ხმებისათვის, რომელთაც ჩვეულებრივ გატაცებით ვუსმენდი, ფეხდაფეხ ვივდევდი ძუ ვეფხვს. იგი ადიოდა ბორცვზე ხან პირდაპირ, ხან მიხვეულ-მოხვეულად — ერთი თავშესაფრიდან მეორეში და ხშირად ისვენებდა. ბორცვის მწვერვალის მახლობლად ასი იარდის სიგანის უხეში ბალახით დაფარული ღია მოედანი მდებარეობდა, უფრო ზევით — ხშირი ბუჩქნარის კიდევ ორი ნაკვეთი, რომელსაც ვიწრო გადასასვლელად ყოფდა და მწვერვალამდე იყო გადაჭიმული. უხეშ ბალახში ნაკვალევი დავკარგე. ძუ ვეფხვმა იცოდა, რომ ფეხდაფეხ მისდევდნენ და, ცხადია, უნდოდა, რაც შეიძლება ნაკლებად მოხვედროდა თვალში ადამიანს. გასასვლელიდან მარჯვნივ მდებარე ბუჩქნარი ოცდაათი იარდით ახლო იყო, და გადავწყვიტე ჯერ ის დამეთვალიერებინა.

ბუჩქიდან ერთი თუ ორი იარდის მოშორებით გავიგონე, რომელიღაც მსხვილი ცხოველის სიმძიმისაგან როგორი ტკაცანი გაადინა ხმელმა რტომ. მომეჩვენა, რომ ხმამ მარცხნიდან მოაღწია, და ბუჩქნარის მეორე ნაკვეთისაკენ გადავუხვიე. ეს იყო ჩემი მეორე შეცდომა იმ დღეს; პირველი — როცა ხალხს დავუძახე ჩაისთვის წყალი აედუღებინათ. მოგვიანებით ჩემმა ხალხმა მიამბო, რომ მე გადავჭერი გაშლილი ნაკვეთი იმწამსვე ვეფხვის შემდეგ და როცა მარცხნივ გავუხვიე, იგი იწვა პატარა მდელოზე ბუჩქნარში მარჯვნივ, რამდენიმე იარდის მოშორებით მისი ნაპირიდან, და, ალბათ, მე მელოდებოდა.

მარცხნივ ბუჩქებში ძუ ვეფხვის ვერავითარი ნიშანი ვერ ვიპოვე, გაშლილ ადგილას დავბრუნდი და აქ გავიგონე ჩემი ხალხის სტვენა. ისინი აცოცებულიყვნენ სულ მაღლა კენწეროზე, რომელიც ჩემგან მარჯვნივ რამდენიმე ასი იარდის მოშორებით იდგა, და როცა ხელი ავწიე იმის ნიშნად, რომ მათ ვხედავდი, ჟესტებით მიმითითეს ჯერ მაღლა, შემდეგ ქვევით, მაცნობებდნენ, ძუ ვეფხვი ბორცვის მწვერვალის გადაღმა მიიმალა. სწრაფად გავიქეცი ვიწრო გასასვლელით და მწვერვალთან მისვლისთანავე დავინახე, რომ ბორცვის მოპირდაპირე ფერდობი სრულიად შიშველია, — ცოტა ხნის წინათ აქ დაიწვა ბალახი. გუშინ იწვიმა და სველ ნაცარზე კარგად ჩანდა ძუ ვეფხვის ნაკვალევი. დამრეცი ფერდობი სწორედ იმ ნაკადულთან ეშვებოდა, რომლის ბინების ზემოთ რამდენიმე მილი გავიარე ტალაკოტში ჩამოსვლის დღეს. ნაკადულთან ძუ ვეფხვი წყურვილის მოსაკლავად შეჩერდა. შემდეგ გავიდა შიგ და ტაფობში მიიმალა. ახლოვდებოდა საღამო. გამოვბრუნდი უკან მწვერვალისაკენ და ხალხს ვანიშნე ჩემთან მოსულიყვნენ.

დიდი კლდიდან, სადაც ძუ ვეფხვის ნაკვალევს წავაწყდი, ნაკადულამდე სულ ოთხი მილი თუ იქნებოდა, მაგრამ ამ მანძილის გასავლელად შვიდი საათი დამჭირდა. თუმცა ამ დღეს ჩემთვის გამარჯვება არ მოუტანია, ის მაინც საინტერესო და ამაღელვებელი იყო ჩემთვის იმიტომ, რომ როცა ძუ ვეფხვის ნაკვალევს მივყვებოდი, ყოველ წამს მზად ვიყავი დაჭრილი კაცუჭამიას მოულოდნელი თავდასხმა მომეგერიებინა. ჩემი გარხვალელებისათვის იმიტომ, რომ ხიდან მათ თითქმის მუდამ შეეძლოთ თვალყური ედევნებინათ ძუ ვეფხვისა და ჩემთვისაც. ეს დღე დიდხანს გაგრძელდა: ბანაკიდან გარიჟრაჟზე გამოვედით და მხოლოდ საღამოს რვა საათზე დავბრუნდით უკან.

7

მეორე დილას, ვიდრე ჩემი ხალხი საუზმობდა, მე დახოცილი ვეფხვების ტყავებს მივხედე. ხელახლა გადავჭიმე ისინი პალოებზე, ნედლ ადგილებს კი ხის ნაცარი და შაბი წავუსვი. ვეფხვის ტყავი დიდ მზრუნველობას მოითხოვს. თუ მთლიანად

არ გააცალე ქონი და არ დაამუშავე ლაშები, ყურები და თათების ბალიშები ისე, როგორც საჭიროა, ბალანი გასცვივა და ტყავი წახდება. შუადღემდე დავამთავრე მუშაობა და ჩემ ოთხ თანაშემწესთან ერთად — ორნი დარჩნენ ბანაკში სარაოს ტყავის დასამუშავებლად — იმ ადგილისაკენ გავეშურე, სადაც წინა საღამოს შევწყვიტე ძუ ვეფხვის დევნა.

ხეობა, სადაც ნაკადული მიედინებოდა, იყო განიერი, საკმაოდ სწორი და დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიემართებოდა. მის მარცხენა მხარეზე მდებარეობდა ბორცვი, რომლის მოპირდაპირე ფერდობზე გუშინ ვეფხვს მივდევდი, მარჯვნივ — მეორე ბორცვი, ტანაკპურისაკენ მიმავალი გზით. კაციჭამიას ადამოჩენამდე ხეობის ნაწილს ამ ბორცვს შორის ტალაკოტის მცხოვრებნი საძოვრად იყენებდნენ, ამიტომ აქ მიწას გარდიგარდმო კვეთდა პირუტყვის მიერ გაყვანილი ბილიკები და წვიმის წყლისაგან წარმოქმნილი მრავალი ვიწრო თხრილი. ხეობაში ბუჩქნარისა და ხეების ხშირ რაყაში გაფანტულიყო სხვადასხვა სიდიდის მდელოები. აქ კარგი ადგილებია სამბხარზე, კარკერზე და დათვებზე სანადიროდ (მათი ნაკვალევი ბილიკებზე ვიპოვე). მაგრამ არა მგონია, ვინმეს დაებადოს სურვილი აქ ონადიროს კაციჭამია ვეფხვზე. ხეობა კარგად ჩანდა მარცხნივ აღმართული ბორცვიდან; ჩემი ხალხი მოვათავსე ხეებზე თხემის გასწვრივ, ერთმანეთისაგან ორასი იარდის შუალედით. მათ თვალი უნდა ედევნებინათ ადგილისათვის და, თუ საჭირო იქნებოდა, ჩემთვის დახმარება აღმოეჩინათ. ამის შემდეგ წავედი იქ, სადაც წინა საღამოს ძუ ვეფხვის დევნა შევწყვიტე.

ვეფხვი 7 აპრილს დაეჭერი, ესე იგი სამი დღის წინათ. როგორც წესი, დაჭრიდან ერთი დღე-ღამის შემდეგ ვეფხვი აღარ ითვლება საშიშად. რადგან იგი ამჯობინებს არ დაგესხას თავს. მაგრამ ბევრი რამ დამოკიდებულია ჭრილობის ხასიათსა და თვით მხეცის ჩვევებზე. თუ ჭრილობა მსუბუქია, ადამიანის მიახლოებისას ვეფხვი, ჩვეულებრივ, მიდის. მაგრამ თუ მძიმედ არის დაჭრილი, იგი საშიშია რამდენიმე დღის განმავლობაში. მე არ ვიცოდი, რა ხასიათის ჭრილობა ჰქონდა ძუ ვეფხვს, მაგრამ რადგან წინა დღეს მას ერთხელაც არ უცდია ჩემზე თავდასხმა. გადაეწყვიტე უგულვებელმეყო, რომ ის დაჭრილია, და

მიმეჩნია მხოლოდ კაციჭამიად, თანაც ძალიან მშიერად — მას არაფერი ეჭამა იმ დღიდან, რაც ქალი მოკლა და გვამი თავის ბოკვერებს გაუნაწილა.

იქ. სადაც ძუ ვეფხვი ნაკადულზე გადავიდა, წვიმის წყლებისაგან წარმოქმნილი, სიგანით სამი და სიღრმით ორი ფუტი თხრილი გადიოდა. კაციჭამია აჰყვა ამ თხრილს, რომელსაც ორივე მხრიდან ხშირი ბუჩქნარი ერტყა. მის ნაკვალევს გავყევი და პირუტყვის მიერ გატკეპნილ ბილიკზე გავედი. აქ აღმოვაჩინე. რომ ძუ ვეფხვს მარჯვნივ გადაეხვია. გადასახვევიდან სამას იარდზე ხარობდა ხშირტოტებიანი ხე. ძუ ვეფხვმა მის ქვეშ გაატარა ღამე. მას ტკივილი სტანჯავდა, ბორგავდა, მაგრამ ნაწოლ ფოთლებს არ აჩნდა არც სისხლი და არც ჩირქი. შემდეგ გავყევი ახალ ნაკვალევს, უსაფრთხოების ყველა ღონისძიებას ვიცავდი. რომ ჩასაფრებული ძუ ვეფხვი მოულოდნელად არ დამსხმოდა თავს. საღამომდე მის დევნაში გავიარე რამდენიმე მილი ბილიკებზე და რუებზე, მაგრამ მისი კუდის წვერიც კი არ დამინახავს. მზის ჩასვლისას შევკრიბე ჩემი ხალხი. ბანაკში დაბრუნების შემდეგ მათ მიამბეს, თვალს ვადევნებდით ძუ ვეფხვის მოძრაობას ჯუნგლებში ცხოველებისა და ფრინველების შეშფოთებული ყვირილის მიხედვით, მაგრამ არც ჩვენ დაგვინახავსო.

ნადირობის დროს, როცა ჯანსაღ კაციჭამია ვეფხვზე მიდიხარ ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით, ყველაზე მეტად უნდა უფრთხილდე თავდასხმას ზურგიდან და, უფრო ნაკლებად, ფლანგებიდან. თუ ზურგის ქარი უბერავს, საშიშროება ფლანგებიდან გემუქრება. როცა ქარი მარჯვნიდან გცემს, საშიშია მარცხენა და ზურგის მხარე, ხოლო თუ უბერავს მარცხნიდან, — მარჯვენა მხარე და ზურგი. წინიდან თავდასხმის საშიშროება მცირეა. გამოცდილებით დავრწმუნდი, რომ ჯანსაღი ვეფხვები, კაციჭამიები არიან ისინი თუ არა, ამჯობინებენ ასე არ მოიქცნენ. ჩვეულებრივ, კაციჭამია ვეფხვები მსხვერპლს თავს ესხმიან ისეთი მანძილიდან, რომელიც ერთი ნახტომით შეუძლიათ დაფარონ. სწორედ ამიტომ უფრო ძნელია გაუმკლავდე მათ, ვიდრე დაჭრილ ვეფხვებს: უკანასკნელნი აუცილებლად თავს ესხმიან უფრო შორი მანძილიდან, ასე, ათი. ოცი იარდიდან და ზოგჯერ ასიდანაც. პირველ

შემთხვევაში უნდა იმოქმედო ელვის სისწრაფით, მეორე შემთხვევაში გაქვს დრო, რომ შაშხანა ასწიო და დაუმიზნო. ასეა თუ ისე, ყოველთვის საჭიროა სწრაფი რეაგირება, ამასთან ერთად გასროლას ჩვეულებრივ თან აყოლებ მხურვალე ვედრებას, რომ ერთმა ან ორმა უნცია ტყვიამ შეაჩეროს შენკენ გამოქანებული რამდენიმე ასეულგირვანქიანი არსება.

ვიცოდი, რომ ჭრილობა საშუალებას არ მისცემდა ძუ ვეფხვს ერთი ნახტომით დამსხმოდა თავს, და, თუ მისგან საკმაო მანძილით ვიქნებოდი დაცილებული, შემეძლო თავი მეგრძნო შედარებით უშიშარ მდგომარეობაში. ამავე დროს არ უნდა დამევიწყებინა, რომ გასულ ოთხ დღეში, მას შემდეგ როცა უკანასკნელად ვნახე კაციჭამია, შესაძლოა, მას ჭრილობები მოშუშებოდა. ამიტომ 11 აპრილს დილით, როცა კვლავ ძუ ვეფხვის სადევნელად მივდიოდი, გადავწყვიტე მოვრიდებოდი კლდეებს, ბუჩქებს და ხეებს, რომელთა უკან, შესაძლოა, ძუ ვეფხვი მიდარაჯებდა.

წუხელ საღამოს კაციჭამია ტანაკპურის გზის მხარეს გაემართა. კვლავ ვიპოვე ადგილი, სადაც ღამე გაატარა, ამჯერად თივის რბილ საწოლზე, და ახალ ნაკვალევს გავყევი. ის თავს არიდებდა ხშირ შამბნარს, შესაძლოა იმიტომ, რომ იქ უხმაუროდ ვერ გაივლიდა, და რუებსა და ნადირთა ბილიკებს მიჰყვებოდა. ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ის ნადავლის პოვნას ცდილობდა. მალე ერთ თხრილში ძუ ვეფხვმა ნახა მზის სხივებში რბილ სილაზე მძინარე სულ რამდენიმე კვირის პატარა კარკერი, მოკლა და ძვლებიანად შეჭამა, მხოლოდ ჩლიქებიღა დატოვა. ახლა მე ძუ ვეფხვისაგან ერთი ან ორი წუთის სავალზე ვიყავი და, რადგან ვიცოდი, რომ კარკერი მას მხოლოდ მადას გაუხსნიდა, სიფრთხილე გავაორკეცე. ალაგ-ალაგ სარუეები და მხეცთა ბილიკები, რომელთაც ის მიჰყვებოდა, მიიკლაკნებოდა, ხშირ შამბნარში ან კედლების ახლოს გადიოდა. ჯანმრთელად რომ ვყოფილიყავი, ძუ ვეფხვის ნაკვალევს პირდაპირ გავყვებოდი და, შესაძლოა, დავწეოდი კიდეც, მაგრამ ცუდად ვიყავი. სიმსივნე თავზე, სახესა და კისერზე ისე გაიზარდა, რომ აღარ შემეძლო თავის არც აწევდაწევა და არც მიბრუნებ-მობრუნება. მარცხენა თვალი კი

მთლად დამეხუჭა. საბედნიეროდ, მარჯვენა თვალი შემრჩა საღი და ოდნავ კიდევ მესმოდა.

მთელ დღეს მივდევდი ძუ ვეფხვს, მაგრამ ერთხელაც არ დამინახავს იგი, და, ვფიქრობ, მასაც არ დავუნახივარ. იქ, სადაც თხრილებს, მხეცებისა და პირუტყვებისაგან გათელილ ბილიკებს ხშირი მცენარეულობით დაფარული ნაკვეთები სერავდა, გვერდს ვუვლიდი მათ და მოპირდაპირე მხარეზე კვლავ ვპოულობდი თათების ანაბეჭდს. ძალიან მიშლიდა ხელს ის გარემოება, რომ ადგილს არ ვიცნობდი, ამან არა მარტო მაიძულა გამეკლო რამდენიმე ზედმეტი მილი, არამედ არ მაძლევდა საშუალებას მივმხვდარიყავი, საით წავიდოდა ძუ ვეფხვი და ჩავსაფრებოდი. ბოლოს, როცა იმ დღეს უარი ვთქვი შემდგომ დევნაზე, მხეცი ხეობას აპყვა და სოფლის მხარეს მიაშურა.

ბანაკში რომ დავბრუნდი, ვიგრძენი, მდგომარეობა გამიუარესდა. მე ვიცოდი და ვშიშობდი, რომ ეს შეიძლებოდა მომხდარიყო. ვეებერთელა დაჩირქებული მუწუკი ისე ძლიერ მიფეთქავდა, თითქოს მასში ელექტრული დენი გაეშვათ. თავში კი თითქოს ჩაქუჩებს პირტყამდნენ. უძილო ღამეებმა და ცუდმა კვებამ (ჩაის გარდა, თითქმის პირში არაფერი ჩამიდვია) სავსებით გამომფიტა. შეძრწუნებული ვფიქრობდი იმაზე, რომ საწოლზე მჯდომს კიდევ ერთი ღამის თეთრად გათენება მომიხდებოდა და ტკივილებისაგან დატანჯული რაღაცას უნდა დავლოდებოდი. სახელდობრ, რას თვითონაც არ ვიცოდი. ტალადეშში იმიტომ ჩავედი, რომ მოსახლეობა საფრთხისგან მეხსნა და ამასთან ერთად ავადმყოფობისაგანაც განმეკურნა თავი. ჯერჯერობით კი მხოლოდ იმას მივაღწიე, რომ კიდევ უფრო გავაუარესე ამ რაიონის მცხოვრებთა მდგომარეობა. ჭრილობამ წაართვა ვეფხვს შესაძლებლობა მოეპოვებინა ჩვეულებრივ საკვები — ცხოველები. თუ რვა წლის განმავლობაში მან სიცოცხლეს გამოასალმა ას ორმოცდაათი კაცი, ახლა, ვიდრე ჭრილობა არ მოშუშდებოდა, ის ეცდებოდა მოეპოვებინა ყველაზე იოლი ნადავლი — ადამიანი. დრო იყო გამესწორებინა ვეფხვთან ანგარიში. და ამისათვის სწორედ ეს ღამე იყო ყველაზე შესაფერისი.

ვუთხარი, ჩემთვის მოეტანათ ფინჯანი ჩაი—მომზადებული,

როგორც მთებშია მიღებული, რძით. — და ზეზეურად დავ-
ლიე იგი ისე, რომ კარავში არც შევსულვარ. ეს იყო ჩემი სა-
დილი. შემდეგ მოვიხმე ხალხი და ვუბრძანე სოფელში მეორე
საღამომდე დამლოდებოდნენ; თუ ვინიცობაა ამ დროისათვის
არ დავბრუნდებოდი, ჩემი ბარგი შეეკრათ და მეორე დღეს
დილაადრიან ნაინი ტალში გაეგზავნათ. შემდეგ ლოგინიდან
შაშხანა ავიღე და ხეობაში გავემართე. ჩემი ხალხიდან, ვინც
მრავალი წლების მანძილზე მიცნობდა, კრინტი არავის დაუძ-
რავს, არავის უკითხავს, სად მივიდოდი და არ უცდიათ ჩემი
შეჩერება. ყველანი ერთად იდგნენ და მდუმარედ მიყურებ-
დნენ, როგორ ვშორდებოდი მათ. შესაძლოა, ცრემლი მათ
ლოყებზე ჩემი წარმოსახვის ნაყოფი ან მთვარის კაშკაშა შუ-
ქის ანარეკლი იყო. უკან მივიხედე და დავინახე, არც ერთი
მათგანი ადგილიდან არ დაძრულიყო.

8

ჩემი სიჭაბუკის ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო მოსაგონ-
რია გასეირნება ზამთარში ათ-თორმეტ მეგობართან ერთად
მთვარის სხივებით მოფენილ ტყის გზებზე და ვახშამი, რო-
მელსაც მადიანად შევექცეოდით სახლში დაბრუნებისას. ამ
გასეირნების მიზანი იყო დაგვეთრგუნა ის შიში, რომელიც,
ჩვეულებრივ, იპყრობს ადამიანს ტყის სიბნელეში, და აგრე-
თვე შევგუებოდით ღამის ჯუნგლებისათვის დამახასიათებელ
ხმებს. შემდგომში მრავალი წლის გამოცდილებამ განმიმტკი-
ცა რწმენა, გაიზარდა ჩემი ცოდნის მარაგი ჯუნგლების ბინა-
დართა ცხოვრებაზე. ამიტომ, როცა 11 აპრილს, მთვარიან ღა-
მეს, ბანაკიდან ტალადეშის კაციჭამიასთან საბრძოლველად
გამოვედი, არც მიფიქრია, რომ შესაძლო იყო დავმარცხებუ-
ლიყავი ამ ჭიდილში, რომელიც სხვას, ალბათ დამღუპველად
მოეჩვენებოდა.

რაც თავი მახსოვს, ყოველთვის მაინტერესებდა ვეფხვე-
ბი, და რადგან ცხოვრების უმეტესი ნაწილი ისეთ მხარეებში
მიცხოვრია, სადაც ვეფხვები ძალიან ბევრი იყო, კარგი შესაძ-
ლებლობა მქონდა თვალყური მედევნებინა მათთვის. ყრმობის
წლებში ჩემი სანუკვარი სურვილი იყო დამენახა ვეფხვი.

მხოლოდ დამენახა და მეტი არაფერი. მოგვიანებით აღმეძრა სურვილი მომეკლა იგი, და ეს სურვილი განვახორციელე. როცა გავემგზავრე სანადიროდ ვიღაც მეზღვაურისაგან ორმოცდაათ რუპიად ნაყიდი ჯარისკაცის ძველი შაშხანით, რომელიც, ვფიქრობ, მან მოიპარა და სანადირო თოფად გადააკეთა. უფრო მოგვიანებით მოვინდომე ვეფხვის ფოტოსურათის გადაღება. დროთა განმავლობაში სამივე სურვილი ამისრულდა. ის მცირეოდენი რამ, რაც ვიცი ვეფხვების შესახებ, სწორედ მაშინ შევიტყვე, როცა ვცდილობდი მათი სურათი გადამეღო. მთავრობამ „ტყეში თავისუფლად შესვლის“ უფლება დამრთო, რასაც ძალიან დიდად ვაფასებ. ეს უფლება მთელ ინდოეთში, ჩემ გარდა, მხოლოდ ერთ მონადირე სპორტსმენს ჰქონდა. მე შემეძლო დაუბრკოლებლად მევლო იმ ჯუნგლების რაიონში, სადაც ვეფხვები ყველაზე ბლომად იყვნენ, თვალყურს ვადევნებდი რამდენიმე დღის ან მთელი კვირის მანძილზე. ერთხელ ოთხ თვენახევრის განმავლობაში შესაძლებლობა მქონდა რამდენადმე შემესწავლა ამ მხეცების ჩვევები, განსაკუთრებით მსხვერპლთან მიახლოებისა და მისი მოკვლის მანერა. ვეფხვი არ დასდევს თავის მსხვერპლს. ის ან საფარში წევს, ან შეუმჩნევლად ეპარება. ორივე შემთხვევაში ის ძალიან სწრაფად ესხმის თავს მსხვერპლს, ერთი ნახტომით ანდა აკეთებს მოკლე სწრაფ ნახტომს და შემდეგ აცხრება მას. ამგვარად, თუ ცხოველი ახერხებს ისეთ მანძილზე ყოფნას, რომელსაც ვეფხვი ერთი ნახტომით ვერ დაფარავს, თუ ის არ მისცემს მტაცებელს მიპარვის შესაძლებლობას და სწრაფ რეაგირებას მოახდენს საშიშროებაზე, როდესაც დაინახავს, სუნით იგრძნობს ან გაიგონებს, მაშინ მას აქვს შანსები სიბერემდე იცოცხლოს. ცივილიზაციამ ადამიანს მოუსპო ცხოველისათვის დამახასიათებელი მახვილი ყნოსვა და სმენა. თუ ადამიანს კაციჭამია ვეფხვის თავდასხმის საშიშროება ემუქრება, მხოლოდ მხედველობას ძალუძს იხსნას იგი სიკვდილისაგან. როცა აუტანელი ტკივილებით მოთმინებადაკარგული იძულებული გავხდი იმ ღამეს ბანაკიდან წავსულიყავი, ჩემი მგდომარეობა არასახარბიელო იყო: მხოლოდ ცალი თვალით ვხედავდი. სამაგიეროდ ვიცოდი, რომ ძუ ვეფხვი ზიანს ვერ მომაყენებდა, თუ მას ახ-

ლოს არ მოვუშვებდი, მე კი შემეძლო ის შორი მანძილიდან მომეკლა. ამგვარად, ჩემი მითითება ხალხისადმი — წასულიყვნენ ნაინი ტალში, თუ მეორე დღეს საღამომდე არ დავბრუნდებოდი, გამოწვეული იყო არა ვეფხვის უძლეველობით, არამედ მხოლოდ იმის შიშით, რომ დავკარგავდი გრძნობას და თავდაცვას ვერ შევძლებდი.

გავლილი ადგილების დაწვრილებითი რუკის შედგენაა გონებაში ის უპირატესობა აქვს, რომ საშუალებას გვაძლევს ადვილად ვიპოვოთ გზა ყოველ პუნქტთან. ამგვარად, უმალვე ვიპოვე ადგილი, საიდანაც გუშინ უკან გამოვბრუნდი, და განვაახლე ძუ ვეფხვის დევნა. ღამით ეს შესაძლებელია მხოლოდ მხეცების ან პირუტყვის მიერ გატკეპნილ ბილიკებზე. საბედნიეროდ, კაციჭამია სწორედ ამ ბილიკებზე მიდიოდა. მდელოებზე გამოვიდნენ სამბხარები და კარკერები, ერთნი საბალახოდ, მეორენი უშიშროების გულისათვის. თუმც ვერ შევძელი განმესაზღვრა, საიდან მოისმოდა მათი მშფოთვარე ყვირილი, მაგრამ მაინც ვიცოდი, როდის მოძრაობდა ძუ ვეფხვი, და დაახლოებით წარმოვიდგინე, საით მიდიოდა იგი.

პირუტყვის მიერ გატკეპნილ და ხშირ მცენარეულობაში ვიწრო მიხვეულ-მოხვეულ ბილიკზე დავტოვე ვეფხვის ნაკვალევი და თხელი ბუჩქნარის შემოვლით გავეშურე, იმ განზრახვით, რომ მოპირდაპირე მხრიდან კვლავ ნაკვალევზე გავიდოდი. გზა უფრო გრძელი აღმოჩნდა, ვიდრე ვვარაუდობდი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს გავედი კორდზე, სადაც დაბალი ბალახი და იშვიათი მაღალი მუხები იდგა. ერთი მუხის ქვეშ შევჩერდი. მალე მუხის ჩრდილის რხევის მიხედვით მივხვდი, რომ მის ტოტებზე ლანგურების მთელი გუნდი ბინადრობდა. ბევრი ვიარე და ახლა შემეძლო მშვიდად დამესვენა, რადგან ლანგურები უთუოდ გამაფრთხილებდნენ საშიშროების შესახებ. დავჯექი მიწაზე, ზურგით მუხას მივეყრდენი, პირი კი იმ შამბნარისაკენ მქონდა, რომელსაც ეს-ეს იყო შემოვუარე. დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ ლანგურმა დაიყვირა: ძუ ვეფხვი გაშლილ ადგილას გამოვიდა და ფრინველმა შენიშნა იგი. მალე მეც დავინახე ძუ ვეფხვი სწორედ იმ მომენტში, როცა იგი დაწოლას აპირებდა ჩემგან ასი იარდისა და ხშირი შამბნარიდან ათი იარდის მოშორებით. იგი ჩემკენ

გვერდზე დაწვა, თავი ასწია და მყვირალ ლანგურს დაუწყო ვზერა.

მე ღამით სროლის დიდი გამოცდილება მაქვს, რაც ჯერ კიდევ იმ ზამთრის თვეებში შევიძინე, როცა ვეხმარებოდი ჩვენს მოიჯარადრეებს კალადხუნგში ნათესები დაეცვათ მოთარეშე ღორებისა და ირმებისაგან. ნათელ მთვარიან ღამეში ცხოველს ასი იარდის მანძილზე ვახვედრებ. მე, ისევე როგორც იმ ადამიანების უმრავლესობას, რომლებმაც თვითონ ისწავლეს სროლა, სროლის დროს ორივე თვალი მიხილია. ეს საშუალებას მაძლევს ცალი თვალი ვადევნო ნიშანს, მეორეთი დავუმიზნო.

სხვა დროს დავუცდიდი ძუ ვეფხვის ადგომას და ვესროდი, მაგრამ, საუბედუროდ მარცხენა თვალი დახუჭული მქონდა, ხოლო ამ პირობებში ასი იარდი საკმაოდ დიდი მანძილია. წინა ორი ღამე ძუ ვეფხვმა ერთ ადგილას გაატარა, და შესაძლოა, დროის მეტი ნაწილი ეძინა; შეიძლება ამ ღამესაც ასევე მოქცეულიყო. ის რომ გვერდზე დაწოლილიყო და დაეძინა, მე დავბრუნდებოდი პირუტყვის მიერ გათელილ ბილიკზე და მის ნაკვალევზე შამბნარზე გავლით გავიდოდი მისგან ათი იარდის მოშორებით მდებარე მდელოზე, ან ხოხვით მივიპარებოდი გაშლილ კორდთან, რომ თოფი საკმაოდ ახლო მანძილიდან მესროლა. მაგრამ ის მუცელზე იწვა თავაწეული, ამიტომ არ შემეძლო არც ერთისა და არც მეორის გაკეთება. ისღა დამრჩენოდა, წყნარად ვმჯდარიყავი და მელოდნა, სანამ იგი რაიმე ნაბიჯის გადადგმას გადაწყვეტდა.

საკმაოდ დიდხანს, სულ ცოტა ნახევარ საათს, ძუ ვეფხვი ერთ მდგომარეობაში იყო, დროგამოშვებით აბრუნებდა თავს ხან ერთ და ხან მეორე მხარეს, ხოლო ბებერი ლანგური ნამძინარევი ხმით საგანგაშო სიგნალებს იძლეოდა. ბოლოს, ძუ ვეფხვი ადგა და ძალიან ნელა, გაჭირვებით წავიდა ჩემგან მარჯვნივ. იმ მხარეს, საითაც ის გაემართა, ათი-თხუთმეტი ფუტის სიღრმისა და ოცი-ოცდახუთი იარდი სიგანის უტყეო ხევი იყო, რომელიც აქეთობისას ქვემოთ გადმოვჭერი. როცა მანძილი ჩემსა და ძუ ვეფხვს შორის ას ორმოცდაათ იარდამდე გადიდდა და, მაშასადამე, შემცირდა მის მიერ ჩემი დანახვის შანსი, უკან მივყევი. ხიდან ხესთან გადარბენით და ვეფ-

ხეზე უფრო სწრაფი მოძრაობით ჩვენ შორის მანძილი ორმოცდაათ იარდამდე შევამცირე იმ მომენტში, როცა მან ხევის კიდეს მიაღწია. ახლა შემეძლო სროლა, მაგრამ ვეფხვი ჩრდილში იდგა, კუდის ბოლო კი, რომელსაც ვხედავდი, მიზანში ამოსაღებად არ გამოდგებოდა. იგი ერთ წუთს უძრავად იდგა, მაგრამ შემდეგ ხევზე გადასვლა გადაწყვიტა, ძალიან ფრთხილად დაეშვა ქვემოთ.

როგორც კი ძუ ვეფხვი ხევში გაუჩინარდა, მოვიხარე და უხმაუროდ გავიქეცი წინ. მოხრილი და თავდაღუნული სირბილი ძალიან დიდი უგნურობა იყო ჩემი მხრივ. რამდენიმე იარდის გარბენაც ვერ მოვასწარი, რომ თავბრუ დამეხვა. მახლობლად აღმოჩნდა ორი ახალგაზრდა მუხა. ისინი ერთმანეთისაგან რამდენიმე ფუტის დაშორებით იდგნენ და ტოტები ერთმანეთში გადაეხლართათ. შაშხანა დავდე და ავცოცდი ათი-თორმეტი ფუტის სიმაღლეზე. იქ აღმოვაჩინე ერთი ტოტი, რომელზეც შემეძლო დაჯდომა, მეორეზე ფეხებს დავაწყობდი და კიდევ რამდენიმე პატარა რტო, მკერდით რომ მივყრდნობოდი. რტოებზე ხელები დავაწყვე, ზედ თავი დავდე: ამ დროს გასკდა ჩემი მუწუკი არა შიგნით, როგორც ვშიშობდი. არამედ გარედან, ცხვირსა და მარცხენა ყურში.

„ადამიანისათვის ყველაზე დიდი ბედნიერებაა აუტანელი ტკივილის მოულოდნელად შეწყვეტა“, — თქვა ერთხელ იმან, ვინც ბევრი იტანჯა და განცდილი ჰქონდა ტანჯვისაგან მოულოდნელი ხსნის ბედნიერება. დაახლოებით შუაღამისას ვიგრძენი შვება და როცა თავი ავწიე, აღმოსავლეთით ირიჟრაჟა. წვრილ ტოტზე ოთხ საათს ვიჯექი, ფეხები დამეკრუნჩხა, ამან მაიძულა გონს მოვსულიყავი. ერთხანს ვერ მოვისაზრე, სად ვიმყოფებოდი და რა დამემართა. მაგრამ მალე ყველაფერი გავიხსენე. ვეებერთელა სიმსივნე გაქრა, მასთან ერთად გაქრა ტკივილიც. შეშეძლო როგორც მინდოდა თავის მობრუნება, თავისუფლად ყლაპვა და მარცხენა თვალით ხედვა. მართალია, ხელიდან გავუშვი ვეფხვის მოკვლის ხელსაყრელი შემთხვევა, მაგრამ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამას, როცა მე კვლავ საღად ვიყავი? სადაც უნდა წასულიყო ძუ ვეფხვი, ყველგან ვდევდი და ადრე თუ გვიან უეჭველად მოვკლავდი.

როცა უკანასკნელად ვნახე, ძუ ვეფხვს გეზი სოფლისაკენ

ეჭირა. მსუბუქად ჩამოკხტი ხიდან, რომელზეც ასეთი გაჭირვებით ავცოცდი, ავიღე ჩემი შაშხანა და მეც იქით გავემართე. ქდინარესთან შევჩერდი, ვიბანავე და ტანსაცმელი გავრეცხე.

როგორც ვუბრძანე, ჩემი ხალხი სოფელში არ წასულა და ჩემი კარვის აპლოს კოცონთან გაათიეს ღამე, თან განუწყვეტლივ ადუღებდნენ წყალს. თავიდან ფეხებამდე სველი რომ დამინახეს, ისინი გახარებული ყვირილით წამოცვივდნენ:

— საიბ! საიბ! დაბრუნდით, ჯანმრთელი დაბრუნდით!

— დიახ, — ვუპასუხე მე, — დავბრუნდი, ჯანმრთელი დავბრუნდი.

როცა ინდოელი თავის ერთგულებას გამოხატავს, ის ამას აკეთებს გულწრფელად, სრულიად უანგაროდ. როგორც კი ტალაკოტში ჩავედით, მამასახლისმა ჩემს ხალხს ორი ოთახი დაუთმო, რადგან თავი უშიშროებაში რომ იგრძნო, განსაკუთრებით ძილის დროს, ეს მხოლოდ დაკეტილ კარს შიგნითაა შესაძლებელი. მიუხედავად ამისა, ჩემი ხალხი, რომელსაც შეგნებული ჰქონდა, თუ რა საფრთხე ემუქრებოდა, ჩემთვის ამ ძნელ ღამეს ღია ცის ქვეშ დარჩა, რათა საჭიროების შემთხვევაში დამხმარებოდა. თან მზად ჰქონდათ ცხელი ჩაი. არ მახსოვს, დავლიე თუ არა ჩაი, მაგრამ კარგად მახსოვს, რომ მზრუნველმა ხელებმა გამხადეს ფეხსაცმელები და დამახურეს პლედი, როცა ლოგინზე დავწექი.

დიდხანს მეძინა მშვიდად, შემდეგ სიზმარი ვნახე: თითქოს ვიღაც დაჟინებით მეძახდა, მეორე აგრეთვე დაჟინებით ირწმუნებოდა, მისი შეწუხება არ შეიძლებაო. სიზმარი მეორდებოდა მცირეოდენი ცვლილებით. ბოლოს სიტყვებმა ჩემს შეგნებამდე მოაღწიეს და რეალობად იქცნენ.

— თქვენ უნდა გააღვიძოთ ის, თორემ ძალიან გაჯავრდება.

და პასუხი:

— ჩვენ არ გავაღვიძებთ მას, იგი ძალზე დაიღალა.

ეს უკანასკნელი განგა რამას ხმა იყო. მე დავუძახე მას და ვუთხარი, რომ შემოეშვა ჩემთან კაცი. ერთი წუთის შემდეგ ჩემი კარავი გარემოცული იყო აღელვებული კაცებითა და ბავშვებით. მათ ერთი სული ჰქონდათ, სანამ მაცნობებდნენ. რომ ხეობის ბოლოში კაციჭამიამ ეს-ესაა ექვსი თხა მოჰკლა.

ფეხსაცმელებს რომ ვიცმევდი, შევათვალიერე შეკრებილნი. მათ შორის აღმოჩნდა დუნგარ სინგხი. ვკითხე, იცი თუ არა ის ადგილი, სადაც კაციჭამიამ თხები დახოცა, და ხომ არ შეგიძლია იქამდე მიმაცილო-მეთქი.

— რასაკვირველია, ვიცი, — ხალისით მიპასუხა მან, — და შემიძლია მიგიყვანო იქ.

მამასახლისს ვთხოვე არ გაეშვა ხალხი, ავიღე ჩემი 275-ყალიბიანი შაშხანა და დუნგარ სინგხთან ერთად სოფელზე გავლით ხეობისაკენ გავეშურე.

ძილმა ძალ-ღონე დამიბრუნა, და რადგან აღარ იყო საჭირო ფრთხილად გადამედგა ნაბიჯები, რომ თავი არ მტკენოდა, მრავალი კვირის შემდეგ პირველად შემეძლო მსუბუქად და თავისუფლად მევლო.

9

ტალაკოტში ჩემი ჩასვლის დღეს დუნგარ სინგხმა სოფელზე გავლით ვიშრო უნაგირასთან მიმიყვანა, საიდანაც კარგად ჩანდა ორი ხეობა. ხეობა მარჯვნივ ციცაბოდ ეშვება მდინარე კალისაკენ; მის ზედა ნაწილში დაეხოცე ახალგაზრდა ვეფხვები და დავჭერი ძუ ვეფხვი.

მარცხნივ მდებარე ხეობა, ნაკლებად დამრეცია და უნაგირადან მისკენ თხის ბილიკი მიდის. კაციჭამიას თხები სწორედ ამ ხეობაში დაეხოცა. ჩემი გამყოლი სირბილით დაეშვა ბილიკზე და მეც მას მივყევი. ხუთას-ექვსასი იარდის მანძილზე ბილიკი ციცაბო და არასწორ ფერდობზე უხვევდა, შემდეგ მას ჰკვეთდა ნაკადული და მერე ქვევით, მარცხენა ნაპირის გასწვრივ მიდიოდა. ნაკადულისა და ბილიკის გადაკვეთის მახლობლად იყო გაშლილი და საკმაოდ სწორი ნაკვეთი. მასზე გადაჭიმულიყო კლდოვანი მთაგრეხილი, რომელსაც პატარა ღარტაფი ეკრა. აქ ეყარა სამი მოკლული თხა.

სანამ ჩვენ ბორცვიდან ვეშვებოდით, დუნგარ სინგხმა მიამბო, რომ დაახლოებით შუადღის ხანს ათი-თხუთმეტი ბიჭი მწყემსავდა ამ ხეობაში თხების ფარას, მოულოდნელად გამოჩნდა ვეფხვი — მწყემსები ფიქრობენ, რომ ის კაციჭამია იყო — და ექვსი ცხოველი დახოცა. ვეფხვის დანახვაზე ბიჭებმა საშინელი ყვირილი ატეხეს. მათ შეუერთდა რამდენიმე კაცი,

რომლებიც იქვე ახლოს ფიჩხს აგროვებდნენ. ამ აურზაურში, როცა თხები აქეთ-იქით აწყდებოდნენ, ხალხი კი ყვიროდა, ვეფხვი წავიდა, და, როგორც გამოირკვა, არავის არ დაუნახავს საით. ხალხმა წამოიღო სამი მოკლული თხა და გამოეშურა სოფელში, რომ ჩემთვის მომხდარი ამბავი ეცნობებინა. სამი ხერხემალგადამტვრეული თხა კი ტაფობში ეყარა.

მე ეჭვი არ მეპარებოდა, რომ თხები დაჭრილმა ძუ ვეფხვმა დახოცა, რადგან როცა უკანასკნელად დავინახე, იგი სოფლისკენ მიდიოდა. ხალხმა მიამბო, რომ დაახლოებით ერთი საათით ადრე ბანაკში ჩემს დაბრუნებამდე ნაკადულის ახლო, მათგან ასი იარდის მოშორებით ყვიროდა კარკერი. მათ იფიქრეს, რომ კარკერმა ხმაური ჩემს დანახვაზე ატეხა, და ამიტომ დაანთეს ცეცხლი. ბედნიერებაა, რომ ისინი ასე მოიქცნენ: მოგვიანებით აღმოვაჩინე ძუ ვეფხვის თათების ანაბეჭდი კოცონის მახლობლად, შემდეგ ვეფხვი წავიდა სოფელში. ცხადია, იმ განზრახვით, რომ კაცი მოეკლა. მარცხის შემდეგ ძუ ვეფხვი სოფლის მახლობლად ჩაწვა და პირველი შესაძლებლობისთანავე დახოცა თხები. ძუ ვეფხვი მშიერი იყო. მიუხედავად მტკივნეული ჭრილობისა, რომლის გამოც ძლიერ კოჭლობდა, მან ეს რამდენიმე წამში გააკეთა.

ამ ადგილებს არ ვიცნობდი, ამიტომ დუნგარ სინგხს ვკითხე, შენი აზრით, ძუ ვეფხვი რა მიმართულებით წავიდოდა-ვეთქი. დუნგარ სინგხის ვარაუდით მხეცი ქვევით ხეობაში წავიდოდა, რადგან იქ ჯუნგლებიწ ხშირი ჯაგნარი იყო. სანამ დუნგარ სინგხს ვეკითხებოდი ამ ჯუნგლების შესახებ და ვაპირებდი თვითონ წავსულიყავი ძუ ვეფხვის საძებნელად, ხოხობმა კალიჯიმ იყივლა, დუნგარ სინგხი მობრუნდა, ზევით ბორცვს შეხედა და ამით მაჩვენა ის მხარე, საიდანაც ფრინველთა ხმები აღწევდა. მარცხნივ ციცაბოდ აღმართულიყო ბორცვი, რომელზეც რამდენიმე ხე და ბუჩქი იდგა. ვიცოდი, რომ ძუ ვეფხვს არც კი უცდია ზედ ასვლა. დუნგარ სინგხმა შეამჩნია, საითკენ ვიყურებოდი, და მითხრა, ხოხობი იქ კი არ არის, არამედ ხევშია, ბორცვის შვერილის უკანო. რადგან ხოხობს ჩვენ არ დავუნახივართ, მისი შეშფოთება მხოლოდ ძუ ვეფხვს შეეძლო. დუნგარ სინგხს ეუთხარი სირბილით დაბრუნებულიყო სოფელში და ზურგიდან ვიცავდი შაშხანით მანამ-

დე, სანამ სამშვიდობოს არ გავიდა. შემდეგ შევუდექი ჩასასაფრებლად შესაფერისი ადგილის ძებნას.

ხეობის ამ ნაწილში მხოლოდ ვეებერთელა ფიჭვები იდგა. მათზე აცოცება ყოვლად შეუძლებელი იყო — ტოტები ოცდათი-ორმოცი ფუტის სიმაღლეზე იწყებოდა. ისღა დამრჩენოდა მიწაზე დავმჯდარიყავი: დღე კიდევ არა უშავდა რა, მაგრამ თუ ძუ ვეფხვი თავის ნადავლს საღამოს დაუბრუნდება, და ამასთან ადამიანის ხორცს ამჯობინებს თხისას! ამ შემთხვევაში რომ ცოცხალი გადარჩე სრულ სიბნელეში იმ ორი საათის განმავლობაში, სანამ მთვარე ამოვიდოდეს, ძალიან იღბლიანი კაცი უნდა იყო.

ტაფობის მახლობლად კლდეზე, მთაგრეხილის შუაგულში, გამოშვერილი იყო, დიდი ბრტყელი ქვა, მის გვერდით იდო მეორე ოდნავ ნაკლები სიდიდისა. ვიფიქრე, თუ მომცრო ქვაზე დავჯდები, შეიძლება დიდ ქვას ამოვეფარო და იქიდან მხოლოდ თავს გამოვყოფ, რომ ძუ ვეფხვმა არ შემამჩნიოს-მეთქი. ასეც მოვიქეცი. ტაფობი პირდაპირ ჩემ წინ იდო. მისი სიგანე ორმოც იარდს უდრიდა. ტაფობის მოპირდაპირე მხარე აწეული იყო ოც ფუტამდე. მის თავზე საკმაოდ სწორი მოედანი გახლდათ ათი-ოცი იარდის სიგანისა, რომელიც ციცაბოდ ეშვებოდა მარჯვნივ და ბორცვის დაქანებულ ფერდობზე გადადიოდა. ტაფობში დარჩენილი სამი თხა, რომლებიც ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ, როცა ხალხი სოფელში გაიქცა, ახლა უკვე დახოცილიყო, ძუ ვეფხვმა ისინი მიწაზე დასცა და ერთ მათგანს ზურგზე ტყავი გადააგლიჯა.

ხოხობმა კალიჯიმ ყივილი შეწყვიტა. ვიჯექი და ვმკითხაობდი, როდის დაიყივლა მან: როცა დაინახა ზევით ხეობაში მავალი ძუ ვეფხვი, თუ როცა ის უკვე ბრუნდებოდა. პირველ შემთხვევაში დიდხანს უნდა მელოდნა, მეორე შემთხვევაში იმედი უნდა მქონოდა, რომ მალე გამოჩნდებოდა. ნაშუადღევის ორ საათზე მოვეწყვე ქვაზე, ხოლო ნახევარი საათის შემდეგ ხეობაში მოფრინდა წყვილი მტრედისფერი ჰიმალაის კაჭკაჭი. ბარტყების გამოჩეკის პერიოდში წიწკანებისა და სხვა წვრილი ჩიტების ბუდეების გამანადგურებელ ამ ლამაზ ფრინველებს განსაკუთრებული ალღო აქვთ და ადვილად პოულობენ ჯუნგლებში ლეშს. მათი ჭახჭახი ბევრად ადრე გავიგონე, ვიდრე ისინი გამოჩნდებოდნენ.

კაჭკაჭებმა შეამჩნიეს თხები, შეწყვიტეს ჭახჭახი და ფრთხილად მიფრინდნენ მათთან. რამდენჯერმე ცრუ განგაშის გამო ისინი ჟივილით ავარდნენ ზევით, შემდეგ დააფრინდნენ ზურგგადაგლეჯილ თხას და დაუწყეს წიწკნა. ჰაერში უკვე კარგა ხანია დანავარდობდა მეფე სვავი. თხის ლეშზე კაჭკაჭები რომ დაინახა, ნარნარით დაეშვა ძირს და ბუმბლივით მსუბუქად დაჯდა ფიჭვის ხმელ ტოტზე. მეფე სვავებს თეთრი გულმკერდი, შავი ზურგი, წითელი ფეხები აქვთ. ისინი სვავების ყველაზე წვრილი ნაირსახეობაა, სხვაზე ადრეც პოულობენ ნადავლს. მათთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ყველას დაასწრონ, თორემ უფრო დიდი ნათესავები მოფრინდებიან და განდევნიან.

გამეხარდა სვავის მოფრენა; მას შეეძლო ჩემთვის საჭირო ცნობები მოეცა. მაღალი ფიჭვის ტოტიდან ირგვლივ შორს ყველაფერს ხედავდა. თუ ის ფიჭვიდან აფრინდებოდა და კაჭკაჭებს შეუერთდებოდა, მაშასადამე, ძუ ვეფხვი წასული იყო; თუ სვავი ადგილზე დარჩებოდა, მაშინ ძუ ვეფხვი სადღაც ახლოს იქნებოდა ჩაწოლილი. ნახევარი საათის განმავლობაში სურათი არ შეცვლილა, კაჭკაჭები ჭამდნენ, სვავი კი ხმელ ტოტზე იჯდა; შემდეგ წვიმის მძიმე ღრუბლებმა დაფარეს მზე. თითქმის იმწამსვე კვლავ გაისმა ხოხობი კალიჯის ხმა და კაჭკაჭები გულშემზარავი ჭახჭახით გაფრინდნენ ქვემოთ ხეობაში. ძუ ვეფხვი ახლოვდებოდა. ახლა უფრო მალე, ვიდრე ველოდი, კვლავ მომეცა მისი მოკვლის შესაძლებლობა, რაც წინაღდეს ხელიდან გავუშვი იმის გამო, რომ თავბრუ დამეხვა.

რამდენიმე თხელი ბუჩქი ბორცვის შვერილზე ფარავდა ჩემგან ხევს, მაგრამ მალე დავინახე ძუ ვეფხვი. ის ძალიან ნელა მოდიოდა ღრმულის მოპირდაპირე კიდეზე სწორი მოედნის გასწვრივ და პირდაპირ ჩემკენ იხედებოდა. ვიცოდი, რომ თუ არ გავინძრეოდი, იგი ვერ შემამჩნევდა, რადგან დიდი ქვიდან მხოლოდ თავი მქონდა გამოყოფილი, თვალებზე ქუდი ჩამოვიფხატე და გავქვავდი; ჩემი შაშხანა ბრტყელ ქვაზე იდო. ძუ ვეფხვმა გარკვეული მანძილი გაიარა და სწორედ ჩემ პირდაპირ დაჯდა. ჩვენ შორის იდგა დიდი ფიჭვი, რომლის ერთ მხარეზე ვხედავდი მხეცის თავს, მეორე მხარეს — კუდსა და უკანა თათებს. ასე იჯდა იგი საკმაოდ დიდხანს და დროგამოშვებით იგერიებდა ჭრილობაზე დასეულ აბეზარ ბუზებს.

რვა წლის წინათ, როცა ძუ ვეფხვი შედარებით ახალგაზრდა იყო, ის სერიოზულად დაშავდა მაჩვზღარბთან შეტაკებაში. შესაძლოა, იმ დროს მას ჰყავდა ბოკვრები და, რადგან მათ გამოსაკვებად ვერ შეძლო ჩვეულებრივი საზრდოს შოვნა, დაიწყო ხალხის ხოცვა. ასეთი ქცევით ძუ ვეფხვი დანაშაულს არ სჩადიოდა ბუნების კანონის წინააღმდეგ. ის ხორცისმჭამელი ცხოველია, და ხორცი — სულერთია ადამიანისა იქნება თუ ცხოველისა — ერთადერთი საჭმელია, რომელსაც ითვისებს მისი ორგანიზმი. გარემოებათა გავლენით ცხოველი, ისევე როგორც ადამიანი, ჭამს იმ საჭმელს, რომელსაც ჩვეულებრივ პირობებში არ ხმარობს. თავის კაციჭამიობის მთელ პერიოდში ძუ ვეფხვმა მოკლა ას ორმოცდაათი კაცი — ოცზე ნაკლები წელიწადში. ამიტომ მე იმ დასკვნამდე მივედი, რომ ადამიანი სახის საკვებს, როგორც მისთვის უფრო მისაწვდომს, ის მაშინ მიმართავდა, როცა ბოკვრები ჰყავდა, და ძველი ჭრილობების გამო ვერ ახერხებდა საკმაო რაოდენობით ეშოვნა ცხოველები თავისთვის და თავისი მოდგმის სიცოცხლის შესანარჩუნებლად.

ტალადეშის მოსახლეობას სასტიკად ტანჯავდა ძუ ვეფხვი, და ახლა ხალხის ყველა მიყენებული უბედურებისათვის მას მთლიანად უნდა ეზღო. რამდენჯერმე დავუმიზნე თავში, რომ ბოლო მომეღო მისი ტანჯვისათვის, მაგრამ სქელი ნისლის გამო საკმაოდ ბნელოდა და დარწმუნებული არ ვიყავი, რომ სამოცი იარდის მანძილზე მოვარტყამდი ასეთ შედარებით პატარა მიზანს.

ბოლოს ძუ ვეფხვი ადგა, გადადგა სამი ნაბიჯი, დადგა გვერდით ჩემკენ და დახოცილ თხებს გადახედა. ბრტყელ ქვას იდაყვებით დავეყრდენი, გულდასმით დავუმიზნე გულში და დავაწექი სასხლეტს. ძუ ვეფხვის უკან ბორცვზე მტვერი აისვეტა. ვიფიქრე, გულში მოვახვედრე კი არა, მგონი, საერთოდ ავაცდინე-მეთქი, მაგრამ ისე გულდასმით ვუმიზნებდი, რომ ეს არ შეიძლებოდა მომხდარიყო. ტყვია, ალბათ, გამჭოლ გავიდა. თოფის გავარდნისთანავე ძუ ვეფხვი წინ გადახტა, შემდეგ გავარდა სწორ მოედანზე — თითქოს ძალიან დამ-

ფრთხალი იყო და არა დაჭრილი — და, სანამ მოვასწრებდი სასხლეტზე კიდევ ერთხელ ხელის დაჭერას, თვალს მიეფარა.

ძალიან გული დამწყდა, რომ ასეთი შესანიშნავი შესაძლებლობის მიუხედავად, ვერ მოვკალი ძუ ვეფხვი, და მტკიცედ გადავწყვიტე, მაინც ვერსად წამივა-მეთქი. ქვიდან ჩამოვხტი, სულმოუთქმელად გადავეცლე ღრმულს, ავიარე ოცფუტიანი აღმართი, სწორი მოედანი და იმ ადგილთან გავჩერდი, სადაც ძუ ვეფხვი გაქრა. აქ დავინახე, რომ ორმოცი ფუტის სიმაღლეზე შვეულად ძირს ეშვება ფხვიერი ფიქალნარი ფლატო. ძუ ვეფხვი მასზე დიდი ნახტომით დაეშვა. მე ვერ გავბედე იგივე გამეკეთებინა, იმის შიშით, რომ იოგების დაჭიმულობა არ მიმეღო. ამიტომ ჩავცუცქდი და ისე ჩავსრიალდი ქვევით. ფლატეს ძირში საცალფეხო ბილიკი გადიოდა. დარწმუნებული ვიყავი, ძუ ვეფხვი ამ ბილიკს დაადგებოდა, თუმცა მაგარ ზედაპირზე არ აჩნდა მისი თათების ანაბეჭდი. ბილიკის მარჯვნივ, ქვიან ფსკერზე, მოედინებოდა ნაკადული, რომელზეც დუნგარ სინგხთან ერთად გადავედი. ნაკადულს ბალახით დაფარული ციცაბო ბორცვი დაჰყურებდა. ბილიკის მარცხნივაც ბორცვი იყო, რომელზეც რამდენიმე ფიჭვი იდგა. ბილიკი პირდაპირ მიემართებოდა. გავირბინე ორმოცდაათი იარდი და გხორალის შეშფოთებული ყვირილი გავიგონე. გხორალი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ერთ ადგილას, ჩემ მარჯვნივ, ბალახით დაფარულ ბორცვზე. შესაძლოა, ძუ ვეფხვი გადავიდა ნაკადულზე და ამ ბორცვზე ავიდა. შევდექი, რომ დამენახა, ხომ არ ჩანდა იგი სადმე. ამ დროს ხალხის ყვირილი მომესმა. სოფლის მხარეს შემოვბრუნდი — უნაგირაზე ხალხი იდგა. შეამჩნიეს, რომ მათ ვუყურებდი, და მიმითითეს ქვევით ბილიკზე. წინ გავიქეცი და მოსახვევს იქით ახალი სისხლი დავინახე.

ცხოველებს ტყავი მჭიდროდ არა აქვთ მიკრული კუნთებზე. თუ ტყვია ხვდება უძრავად გაჩერებულ მხეცს და შემდეგ ის მთელი სისწრაფით გარბის, ტყვიის მიერ გაკეთებული ნახვრეტი ტყავში არ ემთხვევა იმავე ტყვიისაგან გაკეთებულ ნახვრეტს სხეულში. სანამ ცხოველი სწრაფად გარბის, ჭრილობიდან სისხლი არ სდის ან, თუ სდის, ძალიან მცირე რაოდენობით. მაგრამ როცა ცხოველი ანელებს სირბილს, ორივე ნახ-

ვრეტი თითქმის ერთდება და რაც უფრო ნელა მოძრაობს იგი, მით უფრო მეტი სისხლი სდის. თუ ეჭვი გეპარებათ, რომ ტყვია მოხვდა მიზანს, უნდა მიხვიდეთ იმ ადგილას, სადაც ცხოველი გასროლის დროს იმყოფებოდა, და მოძებნოთ, ხომ არაა იქ სადმე ტყვიისაგან ჩამოცვენილი ბალანი. ტყვიისაგან ჩამოცვენილი ბალანი იმას მოწმობს, რომ თქვენ მოახვედრეთ ცხოველს, მისი არარსებობა კი იმაზე მეტყველებს, რომ ააცდინეთ.

მოსახვევში ძუ ვეფხვი თუმცა ნელა, მაგრამ ჯერ კიდევ მაინც მირბოდა — ეს დაღვრილი სისხლის რაოდენობით განსაზღვრე. რომ დავწეოდი, სირბილს ვუმატე. მაგრამ მალე გზა გადამიღობა მარცხნივ მდებარე ბორცვის შვერილმა. აქ ბილიკი შვერილს უკან უხვევდა და მახვილი კუთხით მიდიოდა მოპირდაპირე მიმართულებით. თავი ვერ შევიმაგრე, შიშველ ფერდობზე კი ხელის მოსაკიდი არაფერი იყო, ინერციით გადავახტი ბილიკს და სადღაც ქვევით დავეშვი. დაბლა ათითხუთმეტი ფუტის მანძილზე ახალგაზრდა როდოდენდრონი ხარობდა, მის ქვევით ბნელი ციცაბო ხრამი იწყებოდა, რომლის ფსკერზე ნაკადული რამდენჯერმე უხვევდა სწორი კუთხით და კვეთდა მთის ძირს. როცა როდოდენდრონს ჩავუქროლე, მოვახერხე მარჯვენა ხელით ჩავჭიდებოდი მას, საბედნიეროდ, ხე მაგარი აღმოჩნდა. თუმცა მოიღუნა, მაგრამ არ მოტეხილა. როდოდენდრონის წყალობით გადავრჩი ხრამში გადაჩეხვას. და როცა ფრთხილად დავიწყე ზევით ასვლა, მთელი ძალით ვაჭდობდი ფეხსაცმლის ქუსლებს ხშირი გვიმრით დაფარულ ბორცვს თიხნარიან ზედაპირში.

ცხადია, ძუ ვეფხვს ვეღარ დავეწეოდი. მაგრამ მან დატოვა მკაფიო სისხლიანი ნაკვალევი, ამიტომ შემეძლო არ ავჩქარებულიყავი. ბილიკი ჯერ ჩრდილოეთისაკენ მიდიოდა, ბორცვის შვერილს რომ შემოუარა, დასავლეთით გაემართა და გრძელდებოდა ჩრდილოეთისაკენ ხშირი ტყით დაფარული ფერდობის გასწვრივ. ბილიკზე კიდევ ორას იარდამდე რომ გავიარე, ბორცვის ერთ-ერთ განშტოებაზე ხშირი გვიმრით და აქა-იქ ბუჩქებით დაფარული სწორი მოედანი დავინახე. ჩემი ვარაუდით, ამ მოედნის იქით ვერ წავიდოდა ვერც ერთი ვეფხვი, რომელსაც ტყვიამ სხეულში გაუარა. ამიტომ მას დიდი სიფრთხილით ვუახლოვდებოდი.

ინდოეთის ჯუნგლებში ყველაზე საშიში მხეცია ვეფხვი, რომელმაც გადაწყვიტა ჭრილობებისათვის შური იძიოს. ცხადია, ძუ ვეფხვს სწყურდა სამაგიეროს გადახდა. მან ერთბაშად ექვსი თხა დახოცა. შემდეგ კი, ვესროლე თუ არა, გაიქცა. ეს იმას მოწმობდა, რომ ხუთი დღის წინათ ფეხში მიყენებული ჭრილობა არ უშლიდა მას სწრაფად ემოძრავა. უეჭველია, როგორც კი იგრძნობდა, რომ მას სდევნიდნენ და საშუალება ექნებოდა დასცემოდა მდევარს, ის სწრაფად დაესხმოდა თავს; და მე ალბათ ერთხელ სროლას მოვასწრებდი. შაშხანის საკეტი დავწიე, გულდასმით გადავათვალიერე ვაზნა. ის აღმოჩნდა უკანასკნელი ვაზნა იმ პარტიიდან, რომელიც ცოტა ხნის წინათ მენტონმა კალკუტიდან გამომიგზავნა. ამ მდგომარეობით კმაყოფილმა ვაზნა ისევ სავაზნეში ჩავდე, მოვწიე საკეტი და საცავი მოვხსენი.

შემდეგ ბილიკი გადიოდა ხშირ, წელამდე სიმაღლის გვიმრაში. სისხლიანი ნაკვალევი იქ მიდიოდა: შესაძლოა ძუ ვეფხვი თვით ბილიკზე ან მის გვერდით ჩაწოლილიყო. ამიტომ შამბნარს ნელი ნაბიჯით ვუახლოვდებოდი, და მხოლოდ წინ ვიხედებოდი. ასეთ შემთხვევაში არაა საჭირო აქეთ-იქეთ ყურება. როცა გვიმრამდე დაახლოებით სამი იარდი დარჩა, თვალი მოვკარი მოძრაობას ბილიკიდან მარჯვნივ ერთ იარდზე: ძუ ვეფხვი თავდასასხმელად ემზადებოდა. დაჭრილი და მშიერი, იგი მაინც ცდილობდა ბოლომდე ებრძოლა, მაგრამ ნახტომის გაკეთება აღარ დასცალდა. როგორც კი ადგა, ჩემმა პირველმა ტყვიამ სასიკვდილოდ დასჭრა, ხოლო მეორემ განგმირა იგი.

ავადმყოფობამ, დაძაბულობამ და უჭმელობამ იქამდე მიმიყვანა, რომ ხელ-ფეხი მიკანკალებდა. გაჭირვებით მივაღწიე ბილიკის მოსახვევამდე, სადაც ქვევით კლდეებზე შემთხვევას რომ არ ჩაეგდო როდოდენდრონის თესლი, სიცოცხლეს გამოვესალმებოდი.

სოფლის ყველა მცხოვრები და ჩემი მხლებლები შეიკრიბნენ ბორცვის ღრმულზე და მის ორივე ფერდობზე. ძლივს მოვასწარი ქუდი ამეწია და დამექნია მათთვის, რომ მამაკაცები და ბიჭები ყვირილით დაეშვნენ ძირს. პირველად ჩემმა მხლებლებმა მოირბინეს. როცა მოლოცვები მოთავდა, ძუ ვეფხვი

ჭოკზე მიაბეს და კუმაონში ექვსმა ყველაზე უფრო ამაყმა გარხვალელმა ტალადეშის კაციჭამია ზეიმით წაიღო სოფელ ტალაკოტში. აქ ძუ ვეფხვი დადეს გაშლილ ჩალაზე, რომ ქალებსა და ბავშვებს ენახათ. მე ჩემს კარავში წავედი, რათა მრავალ-ი კვირის ნაშიმშილევს გემრიელად მესადილა. ერთი საათის შემდეგ ხალხით გარშემორტყმულმა ძუ ვეფხვი გავატყავე.

275-ე ყალიბის პირველი რბილთავიანი სასკდომი ტყვია ნიკელის გარსში ძუ ვეფხვს ვესროლე 7 აპრილს. მისი ნამსხვრევები მაგრად ჩაჯდა მხეცის მარჯვენა ბეჭის სახსარში. მეორე და მესამე ტყვია, რომლებიც ვესროლე მაშინ, როცა იგი ვარდებოდა ხიდან, შემდეგ კი, როცა ბორცვზე ადიოდა, მიზანში არ მოხვდა. მეოთხე — 12 აპრილს — გავიდა სხეულში ისე, რომ ძვალს არ შეხებია, მეხუთე და მეექვსემ გადაწყვიტეს მისი ბედი. ძუ ვეფხვის მარჯვენა წინა თათიდან და ბეჭიდან ამოვაძვრე მაჩვზღარბის ოცამდე ეკალი, თითოეული ორიდან ექვს დუიმამდე იქნებოდა. ეს ეკლები იყო მიზეზი იმისა, რომ ვეფხვი კაციჭამია გახდა.

მეორე დღეს ოდნავ გავაშრე ტყავი, სამი დღის შემდეგ კი მშვიდობით დავბრუნდი სახლში.

ბეინესმა ძალიან თავაზიანად მიიწვია დუნგარ სინგხი და მისი ძმა ალმორში საჯარო ზეიმზე, მადლობა გადაუხადა დახმარებისათვის და ჩემგან, ნიშნად პატივისცემისა, საჩუქარი გადასცა. ნაინი ტალში დაბრუნების ერთი კვირის შემდეგ სერ მალკოლმ ჰეილმა მომცა სარეკომენდაციო ბარათი პოლკოვნიკ დიკთან, ყურის სნეულებათა სპეციალისტთან, სამი თვის განმავლობაში მმკურნალობდა იგი ლახორში საავადმყოფოში და იმდენად აღმედგინა სმენა, რომ ადვილად შემეძლო ურთიერთობა მქონოდა ჩემ მახლობლებთან, მომესმინა მუსიკა და ფრინველთა გალობა.

დამსახურებული სასჯელი

საბჭოთა ხომალდი ინდოეთის ოკეანეში მიცურავდა. მშვენიერი ამინდი იდგა, ცაზე ერთი ღრუბელიც არ ჩანდა. გემი მარჯვედ მიაპობდა ტალღებს. უცებ სამანქანო ტელეგრაფმა გადმოსცა მოულოდნელი ბრძანება: „სდექ!“ მემანქანეებმა ვერც კი მოასწრეს მანქანების გაჩერება, რომ მოვიდა ახალი ბრძანება: „სრული სიჩქარით უკან!“ ამას მაშინვე მოჰყვა: „სდექ!“ შემდეგ — „სრული სვლით წინ!“ „ნელი სვლით უკან!“

— ხომ არ გაგიჟდა ჩვენი კაპიტანი? — იფიქრეს მემანქანეებმა და გემბანზე აცვივდნენ.

... სამანქანო ტელეგრაფთან სამუშაო ვახტზე დამდგარიყო გემის მეზღვაურთა საყვარელი ცხოველი — მაიმუნი რიკი.

თავხედი რიკი დაისაჯა: ნავსადგურში იგი სამუდამოდ გამოემშვიდობა ხომალდს.

ავტორიტეტული დასკვნა

წყალქვეშა ცურვის შვედმა ოსტატმა სვენ ნალინმა სპეციალური აკვალანგი გააკეთა თავისი ფოკსტერიერისათვის და წყალქვეშ ზურგზე ცურვა ასწავლა მას. ფოკსტერიერი „ლაელი“ პირველი ძაღლია, რომელიც წარმატებით დაეუფლა მისი თვისტომებისათვის ამ უჩვეულო სპორტს.

როდესაც ეს ამბავი გახმაურდა, ცხოველთა დაცვის შვეციის საზოგადოებამ პროტესტი განაცხადა.

სვენ ნალინმა საზოგადოებას შემდეგი ცნობა წარუდგინა: „ძაღლს უყვარს თამაში, გართობა, ცურვა. ფიზიოლოგიის თვალსაზრისით წყალქვეშ ცურვა ძაღლისათვის ისევე უვნებელია, როგორც ადამიანისათვის. უფრო მეტიც: ყურის სპეციფიკური აგებულების გამო ძაღლი ადამიანზე უფრო იოლად იტანს წყლის წნევის გავლენას“.

ამ ცნობას ხელი მოაწერა სტოკჰოლმის ვეტერინარული ინსტიტუტის პროფესორმა ლოტერმანმა.

ჯუჯა ანცი

ჯუჯა ანცი — ასე ეწოდება ყველაზე პატარა მაიმუნს. ზრდადასრულებული ჯუჯა ანცის „სიმაღლე“... 114 მილიმეტრია, წონა კი — 120 გრამი.

მდინარე ამაზონის ტროპიკული ტყეების ბინადარი ჯუჯა მაიმუნი თურმე ახლა ყველაზე მოდუნ შინაურ ცხოველად ითვლება. იგი მალე ეჩვევა ადამიანს. ანცობა კი, მოგეხსენებათ, მაიმუნის მოგონილია, ასე რომ განებივრებულმა ადამიანებმა კარგი გასართობი იპოვეს.

ზარმაცი

რაზმაცა ბინადრობს სამხრეთ ამერიკის ტყეებში და მთელ ცხოვრებას ხის კენწეროზე ატარებს. თავისი გრძელი ფეხებით თავდაყირა ჩამოეკიდება ხოლმე ტოტზე და ნელ-ნელა შეექცევა ფოთლებს. მიწაზე სიარული სიკვდილივით ეზარება. გვარიანად რომ გამოძღება, ცოტას გაისეირნებს — ნახევარი მეტრით ან ზევით აცოცდება ხეზე ან დაბლა ჩამოინაცვლებს. მაგრამ ასეთი მძიმე ჯაფა ისე ღლის, რომ იძულებულია ვახშამდე ძილით მოიმაგროს თავი. მძინარე ზარმაცა ბუსუსებიან დიდ მსხალსა ჰგავს.

ერთი საოცრებაც ახასიათებს ამ ცხოველს — წარმოუდგენლად ზანტია. ერთი ფეხის წინ გადადგმას რამდენიმე წუთს უნდება, შემდეგ ამდენივე ხანს უნდა დაისვენოს. სანამ მეორე ფეხს გადადგამდეს. ზარმაცა „რომ მოკლა", მთელი დღის განმავლობაში ერთ კილომეტრზე მეტს არ გაიარ ლის. ხეზე რომ ავა, მანამდე არ იფიქრებს დაბლა ჩამოსვლას, სანამ მთლიანად არ გაცლის მას ფოთლებისაგან. მაგრამ დაბლა ჩამოსვლაც ეზარება. ამიტომ მოიკუნტება და ტყაპანს მოადენს ხოლმე მიწაზე. ახლა მეორე ხეზე ავა და ა. შ. ერთი ხიდან ზარმაცა გვარიანად ჩასუქებული ჩამოდის, მაგრამ სანამ მეორე ხეზე ავიდოდეს, ისე ხდება, რომ როგორც იტყვიან, „ძვალი და ტყავი" რჩება

ზვიგენები, აღარ გვეშინია თქვენი!

მკვლევარი-მეცნიერები დიდი ხანია ცდილობენ მიაკვლიონ ზვიგენისაგან მოცურავეთა დაცვის საშუალებას. ამ მიზნით მოწონებულ იქნა რამდენიმე სახის ქიმიური ნივთიერება, მაგრამ შეუძლებელი გახდა მათი გამოყენება, რადგან ქიმიური ფხვნილი მაშინვე მიჰქონდა წყლის დინებას. ამ ცოტა ხნის წინ ახალგაზრდა ამერიკელმა გამომგონებელმა ჯონ ჰიკსმა გარკვეულ წარმატებას მიაღწია ამ მხრივ. მთელი ექვსი წელიწადი მოანდომა მან თავისი გამოგონებული ელექტრული მოწყობილობის — ელექტრომაგნიტური ტალღების გამომსხივებლის — სრულყოფას. და აი გამოსცადეს ეს მოწყობილობა. შედეგი? როგორც კი ჩაირთვება აპარატი, ზვიგენები ადგილზე ქვაევდებიან, თითქოს კედელს დაეჯახენო! შემდეგ კი უკან მოუხედავად გარბიან. ადამიანს, რომელსაც თან აქვს ეს პატარა მოწყობილობა, არაფერს არ გრძნობს. ამის მიზეზი. გამომგონებლის აზრით, ისაა, რომ ადამიანის ნერვული სისტემა ძალიან განსხვავდება ზვიგენის ნერვული სისტემისაგან. ზრდადასრულებული ზვიგენი დაახლოებით 20 მეტრზე შეიგრძნობს გამოსხივებულ ტალღებს და მაშინვე გარბის. უფრო პატარა ზვიგენები კი, რომელთა ნერვული სის-

ტემა ჯერ კიდევ არაა სრულყოფილი, უფრო ახლო მანძილზე მოდიან აპარატთან.

ჯონ ჰიკსი ერთხელ ძლივს გადაურჩა ამ მტაცებელთა თავდასხმას და ამის შემდეგ დაიწყო მან ზვიგენისაგან თავის დაცვის პრობლემაზე მუშაობა.

ბუნების კიდევ ერთი ამოუხსნელი საიდუმლოება

ვეებერთელა აკვარიუმის ფსკერზე სილაში ზანტად წევს ჩვენი პლანეტის უზარმაცესი არსება — ელექტრული გველთევზა.

უკვე მრავალი ათეული წელია მეცნიერები გულმოდგინედ სწავლობენ ამ თევზის განსაცვიფრებელ თვისებებს. დიდი ხანია ცნობილია, რომ გველთევზას ელექტრობის გამომუშავების უნიკალური უნარი აქვს. ძლიერი მუხტებით, რომელთა სიმძლავრე 650 ვოლტამდე აღწევს, გველთევზას შეუძლია ადამიანის მოკვლა, ვეება ხარის გაბრუება. ყველას აინტერესებს, რა ძალა განაპირობებს ამ ცოცხალი „ბატარეის“ შეუფერხებელ მუშაობას.

ამ საიდუმლოების ამოხსნა იმიტომაც ეჩქარებათ მეცნიერებს, რომ მისი მიმსგავსებით უნდათ შეჰქმნან ისეთი ორიგინალური ბატარეა, რომელიც სწრაფად აღიდგენდა დახარჯულ ენერგიას.

გველთევზას მძლავრი გენერატორს წარმოადგენს ეგრეთ წოდებული დიდი ელექტრული ორგანოები. ასეთი ორგანოების ერთი წყვილი მოთავსებულია თევზის კუდის გასწვრივ. ისინი წარმოადგენენ სახეშეცვლილ კუნთოვან ქსოვილს — „ელექტრულ ხორცს“, რომლის ბუნებას ჯერ კიდევ არ იცნობენ მეცნიერები. გველთევზას „ელექტრული ხორცი“ არცერთი სხვა ცხოველის კუნთოვან ქსოვილს არა ჰგავს. ეს ხორცი თეთრია, ლაბას მსგავსი და უცნაურად თრთის, როცა მის პატარა ნაჭერს ხელში დაიჭერთ. ამ ცოცხალ „ბატარეაში“ 6 ათასამდე უჯრედია, ისინი ერთმანეთისაგან იზოლირებული არიან ელექტრობის გაუმტარი ქსოვილით, მაგრამ, როდესაც გველთევზას ტვინი ბრძანებს — დენი გაუშვითო, ყველა უჯრედი ერთად ამოქმედდება.

ბიოქიმიკოსები ფიქრობენ, რომ ელექტრული დენის წარმოშობა გველთევზას კუნთებში ქიმიური პროცესის შედეგად ხდება...

არანაკლებ საინტერესოა ელექტრული გველთევზას დაბადების საკითხი. ჯერ არავინ იცის, დედის მუცლიდან იბადება ის, თუ კვერცხიდან იჩეკება. ტყეობაში გველთევზა არ მრავლდება.

ელექტრულ გველთევზას ჩვეულებრივ არც ერთი თევზი არ ესხმის თავს. ამ „დანაკლისს“ ისინი იმით ინაზღაურებენ, რომ ერთმანეთს უმართავენ ხოლმე ბრძოლას. ასეთი „სამოქალაქო ომი“ მეცნიერთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, რადგან ბრძოლაში გველთევზები მომაკვდინებელ იარაღს — ელექტრულ დენს იყენებენ ხოლმე. საოცარი ისაა, რომ მხოლოდ დღე-ღამის შემდეგ ხდება ცხადი, თუ რომელმა გაიმარჯვა. დამარცხებული კვდება ზუსტად (!) 24 საათის შემდეგ — არც ადრე, არც

გვიან. ასეთი სიკვდილის იდუმალი თავისებურება ჯერ ამოუხსენელი გამოცანაა.

ფრთოსანი დარაჯები

ჯერ კიდევ ძველმა რომაელებმა იცოდნენ ბატის უჩვეულო გულისხმიერების ამბავი. ცნობილია რომ „ბატებმა იხსნეს რომი". ბატის სწორედ ეს უნარი გამოიყენეს ამასწინათ შოტლანდიის ღვინის ქარხანაში: დარაჯებად შტატში აიყვანეს... 70 ბატი. როგორც კი ვინმე უცხო პიროვნება გამოჩნდება ვისკიანი კასრებით სავსე ვეებერთელა საწყობში, ერთი ვაი-უშველებელს შექმნიან ბატები. ფრთოსანი დარაჯები იმითაცაა ხელსაყრელი. რომ, როგორც ცნობილია, ბატები არაყს არ მიირთმევენ.

მაგრამ თურმე განა მხოლოდ ბატი გამოდგება ასეთ თანამდებობაზე სამუშაოდ. ავსტრალიაში ერთ ფერმაში ეს საქმე მინდობილი აქვს სირაქლემას, რომელიც ორი ნაგაზის მოვალეობას ასრულებს და ერთგულად მწყემსავს ცხვრის ფარას. დაუღალავი, ამტანი და საკმაოდ „მკაცრი" ზედამხედველი დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს თავის სამწყსოში — ცხვრები უსიტყვო მორჩილებას უცხადებენ თავიანთ მეურეკს.

სამხრეთ ამერიკის ფერმებს ერთგულ თანაშემწეობას უწევს თურმე წეროსებრთა ოჯახის წარმომადგენელი აგამი, რომელიც ძალიან ადვილი მოსაშინაურებელია. პატრონის დაძახებაზე ძაღლივით მიირბენს ხოლმე და თვალებში შესციცინებს — რას დამავალებო. ამაყად დააბიჯებს ეზოში და ფხიზლად იცავს წესრიგს. რაო, მამლაყინწები წაიჩხუბნენო? მაშინვე მიირბენს ინციდენტის ადგილას და გააშველებს მოჩხუბრებს. მეზობლის ქათმებს ჩვენსა რა უნდაო? და მაშინვე გადარეკავს ეზოდან. ჩვენ ქათმებს საქმელი შემოაკლდათო? მომკილ მინდორში წავა და „გაუჩინარს გააჩენს". ზოგჯერ თურმე ინდოელებს ძაღლის მაგივრადაც კი დაპყავთ ის სახადიროდ.

მექანიზაცია

მონადირე ჯიბიდან იღებს მინიატურულ ტანკეტს და თითს აჭერს ღილაკს. ტანკეტი ბუყბუყს იწყებს და ნელ-ნელა მიძვრება მელის სოროში. მელა მაშინვე კბილებით დაეძგერება „უცნაურ თავდამსხმელს", მაგრამ რჯს დააკლებს ლითონის ჯავშანს... ტანკეტში სინათლე ინთება — ფარები პირდაპირ თვალებში ანათებს ცხოველს. თავზარდაცემული მელა სოროდან გარეთ გამორბის. აქ კი მონადირეა ჩასაფრებული...

ასე ნადირობს თურმე მელებზე ერთი დანიელი მონადირე.

მხსნელი ხოჭო

გულწითელა ნეკრობია პაწაწინა ხოჭოა, სულ 4—6 მილიმეტრი სიგრძისა, თავი, ულვაშები და მუცელი შავი აქვს. ამ ხოჭომ სიცოცხლე აჩუქა ცნობილ ფრანგ მეცნიერ-ენტომოლოგს ლიატრეილს...

საფრანგეთის რევოლუციის დროს ლიატრეილი ციხეში ჩასვეს. სხვებთან ერთად მასაც გვიანაში უპირებდნენ გაგზავნას. გვიანაში გადასახლებულებს კი უკან დაბრუნება არ ეწერათ. ციხის საკანში ლიატრე-

ილთან ერთად ერთი სნეული მოხუციც იყო. იგი ისე შეუძლოდ იყო, რომ მის სანახავად თითქმის ყოველდღე მოდიოდა ექიმი. ერთხელ სწორედ ექიმის იქ ყოფნისას იატაკიდან პაწაწინა ხოჭო ამოძვრა. ლიატრეილმა მაშინვე დაიჭირა იგი და ქინძისთავზე წამოაგო.

— იშვიათი ხოჭოა? — ჰკითხა პატიმარს ექიმმა.

— იშვიათი, — უპასუხა ლიატრეილმა.

— მომეცით, — უთხრა ექიმმა.

— რად გინდათ?

— მე ვიცნობ ერთ კაცს, რომელსაც გავახარებ ამით.

— ეგრე იყოს, წაიღეთ, — მიუგო მეცნიერმა — წაუღეთ თქვენს ნაცნობს ეს ხოჭო და სთხოვეთ გამოიცნოს იგი.

ექიმმა ხოჭო მართლაც წაუღო თავის ნაცნობს ბორი დე სან ვანსანს, მაგრამ მან ვერ გამოიცნო იგი. მეორე დღეს ექიმმა ლიატრეილს უთხრა: ჩემ ნაცნობს არ სცოდნია იმ ხოჭოს სახელიო.

— როგორც ჩანს, თქვენი ნაცნობი კარგად ერკვევა ხოჭოებში, — უთხრა ლიატრეილმა. — მაშასადამე, მას ჩემი ვინაობაც ეცოდინება, გადაეცით მას, ლიატრეილს გვიანაში აგზავნიან და ალბათ ისე მოკვდება, რომ ვერ დაამთავრებს თავის ნაშრომს ხოჭოებზე-თქო.

ბორი ჩაერია ლიატრეილის „საქმეში", რომელიც მისი მოწადინების მეოხებით გადასინჯეს. მეცნიერი ენტომოლოგი ციხიდან გამოუშვეს. გემი, რომელსაც იგი გვიანაში უნდა წაეყვანა, ზღვაში ჩაიძირა. სწორედ ამის სამახსოვროდ დაარქვა ლიატრეილმა ციხეში ნახულ გულწითელა ხოჭოს „ნეკრობია", რაც მკვდრის გაცოცხლებას ნიშნავს (ნეკროსი — მკვდარი, ბიოსი — სიცოცხლე). ასე გადაარჩინა პაწაწინა ხოჭომ ფრანგი მეცნიერი.

შინაარსი

	გვ.
კენეტ ანდერსონი შავი ავაზა შივანიპალიდან . . .	7
ჯიმ კორბეტი — ტაძრის ვეფხვი	217
საინტერესო შემთხვევები (შეკრიბა და თარგმნა გ. ქველაძემ).	386